

K 4/3 5.53  
3

ბერძენიშვილი



საქართველოს ისტორიის  
საკითხები

I



Digitized by Q. A.

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР  
Институт истории им. И. А. Джавахишвили

Н. А. Бердзенишвили

\*

Вопросы истории  
Грузии  
книга  
I

Историческая география



Учредительство Академии наук Грузинской ССР  
Тбилиси 1964

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლის  
აკადემიური სახელმწიფო უნივერსიტეტის  
სამსახურის მიერ მიღებული იქნება

## ნ. ბერძენიშვილი



საქართველოს ისტორიის  
საკითხები

ზოგი

I

ისტორიული გეოგრაფია



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემლის  
სამსახურის მიერ მიღებული იქნება

თბილი 1964

K 113553  
3



90 (c 41)

911 (47, 922)

3 571

ରାଜପ୍ରଦୀପନାଥ ର. ପାତ୍ର ଓ ପାତ୍ର

ସେୟାର-2000  
ବୋଲିଷନ୍‌ରେଗ୍‌ସ୍ଟ୍ରୀୟୁସ୍ଟୀ

କାର୍ଯ୍ୟକ୍ରମ ପରିବର୍ତ୍ତନ  
ପରିଚାରକ କାନ୍ତି  
ପରିଚାରକ କାନ୍ତି  
ପରିଚାରକ କାନ୍ତି

## წინასიტყვაბობა

„საქართველოს ისტორიის საკუთხების“ ამ ჩემს პირველ წიგნს შევსათვალიად (ე. ი. საქუთრივ) „ისტორიული გეოგრაფია“ ჰქონა. წიგნის ასეთი სათაური ზოგადად შესაფერისია, ოლონდ საჭიროა კანძარტება.

ისტორიულ გეოგრაფიაზე, როგორც სამეცნიერო დასციპლინაზე, ყველას იმთავით რამე გარკვეული მთლიანი წარმოდგენა არ ჰქონია. ამდენადვე მისი ისტორიულ-გეოგრაფიულ მივლინება-მოგზაურობანი საამისოდ გვამისიერი თვითდანვე, ბუნებრივია, კურანებოდა.

იმ დროს ახალგაზრდა ისტორიკოსთა შორის გარკვევით ფეხმოკი-დებული იყო კრიტიკული დამოკიდებულება წინა თაობის მიერ გაწეული, ამ რიგის სამუშაოთა მიმართ: მეტად ვიწრო გვერდებულება „ისტორიულ-არქეოლოგიურ მოგზაურობანში“ და სხვა ასეთ ნაშრომებში მათ მიერ მომარჯვებული თვალსაწიფერი. ვცდილობდით ამ თვალსაწიფერის გაფართოებას, ველზე ისტორიის რთული ნაკვალევის აღმოჩენას...

თითოეული მივლინება-მოგზაურობა ანილი მოვლენებით (და მის შესაფერისი ფაქტებით) თანდათან აესებდა და სრულყოფდა ყველობის წარმოდგენას ამა თუ იმ მხარის (ქვეყნის) ისტორიულ გეოგრაფიაზე, ვიდრე, ბოლოს, ყველაფერი ეს გარკვეულ მეცნიერება ცოდნად (სისტემად) არ შეუმუშავდა მას.

ზოგადი სიტყვა ისტორიულ გეოგრაფიაზე, როგორც სამეცნიერო დასციპლინაზე, სულ უკანასკნელად ითქვა, ხოლო მისი თეორიულ-მეცნიერული დაკინკრეტება დღესაც გრძელდება.

წინამდებარე წიგნი, ამრიგად, მიზნიდ ის ახავე იმის ჩვენების. თუ მეთოდოლოგიურად და ქრონოლოგიურად როგორ თანდათანობით შეუმუშავდა ავტორს მეცნიერული წარმოდგენა ისტორიულ გეოგრაფიაზე, როგორც ის-ტორიის დამხმარე სამეცნიერო დისციპლინაზე.

ამითაა გამართლებული, რომ ავტორს: 1) ეს სამუშაოები უნდა ვალი კულტურული ისტორიის საექითხების წრეში შემოაქვს და 2). რომ ავტორს უველა ამ ხასიათის სამუშაო კი არ შემოაქვს თავისი ცისქურობის რიცხვ გეოგრაფიაში, არამედ ხსენებული მიზნისათვის უსტურებული რეპიონ შერჩეული.

აქ წარმოდგენილ ნაშრომთა დიდი უმრავლესობა პირველად ქვეყნდება. დაწერილია კი ისინი დიდი წენის წინ, 1932—1951 წლებში. სრულიად ბუნებრივია, რომ ასეთ ნაშრომებში მოცემული ზოგიერთი მეცნიერული დასკვნა დღეს თვით ავტორს არ აქვთ ყოფილებს. მიუხედავად ამისა, ავტორი არ ცდილობს მათ გასწორებას. ასეთი ოპერაცია მოშლილია ამ წიგნის პირველ და მეორე ნახევრისას, თუ როგორ თანათან შეუმუშავდა და ჩამოუყალიბდა ავტორს მეცნიერული წარმოდგენის ისტორიულ გეოგრაფიაში. შეცემოდებიც და მიღწევანიც ამ პირობებში თანაბრად საინტერესოა მეოთხეულისათვის.

სამწუხაროდ, ავტორმა ვერც ამ წიგნში მოახერხა ისტორიულ გეოგრაფიაშე თავისი დასრულებული საბოლოო ხიტყვა ეთქვა და ძირითადი შრომა მეცნიერების ამ დარგში (— „ქვეყანა“) შის ახლაც ცალკე გამოსაქვეყნებლად ჩატარდა.

ამ წიგნში წარმოდგენილი ყველა ნაშრომი ერთ პრინციპში ავტორი არაა. მასალაც ერთნაირი პროპორციით არაა მოტანილი ზოგჯერ ამ მხრით ვადამეტებული ნებისმიერობაც შეინიშნება). ეს გასაგებია: იმთავით ერთი მთლიანი, მტკიცედ შემუშავებული სახელმძღვანელო გეგმა, როგორც შევნიშნე, ავტორს არ ჰქონია.

საერთო და ვამაერთიანებელი ამ ნაშრომებში ისაა, რომ ყველა ისინი ჩვენში ისტორიული გეოგრაფიის სამეცნიერო დისცილინის ჩამოყალიბების ჩეკენბას ემსახურებიან დამოუკიდებლად იმისგან. თუ რომელ კრიტიკ მიზანს ითვალისწინებს ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, 1932 წლის ექსპედიციის მიზანი იყო ქველი საკუპრო-სამიმოსკო გზების მოხილვა, ჯვარების 1933 წლის ექსპედიცია მიზნად ისახედა ეპიგრაფიული მასალის შემოწმებას და სხვა სიცველეთა აღრიცხვას, ხოლო „ბორჯომის ხეობა“ 1947 წლისა არის შთაბეჭდილებათა დღიური ავტორისა, რომელიც იგივეობისას ისტორიულ გეოგრაფიულ დაკიტერებებსაც აწარმოებდა).

რა თქმა უნდა, აჭობებდა, რომ ყველა ეს ჩემი „მოგზაურობანი“ მაშინც დაბეჭდილიყო, როცა ისინი იწერებოდნენ, მაგრამ ამაში ბრალი მხოლოდ ავტორს არ ეკისრება მთლიანად, არც იმის ბრალს ვკისრულობთ, რომ ზოგი ნაშრომი დაუსრულებელია. ამისაც ავტორი საგან დამოუკიდებელი საქმია მიზეზი ჰქონდა.



და ბოლოს, ცოდვა იღიარებული სკომია, აფტორი დიდი ხანგ  
ალარ ფიქრობდა, რომ მას ამ ნაშრომთა გამოქვეყნების პირობებში შექმნა  
ექმნებოდა (ამიტომაც ის მათ არც უფროხილდებოდა და პირველი მომა  
საქვეყნებლად ამზადებდა).

და მხოლოდ მას შემდეგ, რაც ისტორიული გეოგრაფია ჩვენში  
ცალკე სამეცნიერო დისციპლინად გამოიკვეთა, ამ ნაშრომებს დამა-  
ტებითი, ახალი შინაარსი შეეძინა და მათი გამოქვეყნებაც (ამ ახალი  
დისციპლინის შემოღების ისტორიის გასაშენებლად) ყოვლად საჭი-  
რო გახდა.

#### 6. ბერძენიშვილი

# ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია 1932 წელს

(დღიური)\*

გასულ წელს საქართველოს მუნიციპალიტეტის მიერ მივლინებული კოკი სოფელ წითელქალაქში. ჩემი მივლინების ამოცანა ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა არ იყო, მაგრამ მე სპეციალური დავალების გვერდით ასეთი მუშაობაც გავწირ. ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით მოვიხილე „სათარჩნო“ ასეთი შესწავლისას მე ბუნებრივად მივადექი კლდეეარის საყითხს. ამან კი თავის მხრით კლდეეარზე მიმავალ გზების შესწავლის საყითხი წარმოშო. გონიერი ამოცანა გავაფართოვე და საქართველოს გზების ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა განხილულია. სათარჩნოს შესწავლისას გამოყენებული მეთოდი („წარმოებითი გეოგრაფია“—გზები) მეტად ნაყოფიერად და საინტერესოდ მეჩვენა და გადავწყვიტე შემდგომი ზაფხულები ასეთ მუშაობის მოვანდომო (ამ მეთოდით მუშაობა ჯერ კიდევ გურიაში დავიწყე შარშან სათარჩნოში მოსვლა მდის). საქართველოს მუნიციპალიტეტის სამუშაო გეგმაში შევიტანე კიდევაც ასეთი მუხლი ჩვენი განყოფილებიდან, გეგმა და მტკიცებულ იქნა, მაგრამ „უსაბსრობის“ გამო მუნიციპალიტეტი მოვალეობა აღმოჩნდნენ „პრინციპიალურად“ წინააღმდეგნი, და ისევ საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოების მცირედანაუნია გამოვიტანეთ. ოროდიონ სონდულაშვილმა გვიშეს.

9. VIII. დილით აღრე სურამში ვართ. სურამს სძინავს. სიმონ ყაფხშიშვილი მოხერხებული კაცია. სასტუმრო გაახსენდა. წავედოთ. გამოვიძინეთ. სიმონ ჭანაშია მოვნახეთ. ასე გვქონდა დათქმული. აღ-

\* პეტერბურგის პირველად.

მასკომს ვეწვიეთ. თავმგდომარებ ჩიხი შეგვინელა. დახმარდა ამ მოგვიჩინა. ბაზარში მეურმე ვიქირავეთ. ჩვენი ტეირთი დაუღუდეთ და წიფას წავედით. სოფელი ფონა დადეს საზღვარია იმერეთის ქაფა; იქართლს შორის. ფონა ორია: ზედა ფონა და ქვედა, ზედა ჭურიმელი უკერძო რეალაც ჰქვია. ფონაში დღემდის დაცული „ზასტავა“ ნაგრევი გვიჩვენებს, თუ საღ გადმოდიოდა დეკლი შარაგზა სურა ამზე. უცნაურია მხოლოდ, რომ „ზასტავა“ აქ ფონაშია. საზღვარი განა აქ იყო? ქუთასის გუბერნიის კა, მაგრამ ქართლის არა. წიფა და მისი მიძღვომი ქართლის აბაშიძეთა ხელში იყო XVIII საუკუნეში.. ასეა თუ ისე ერთი ცხადია: სურამში შემომავალი გზა დასავლეთ საქართველოდან ერთ-ერთი ეს იყო. სურამი—ფონა—წიფა—ნებოძირი და ჩხერიმელას პირით.

ნებოძირი იმიტომ ეწოდა, რომ აქ განმტოვდებოდა მთავარი გზა იმერეთიდან, რომელთაგან ერთი წიფა-სურაში მიდიოდა, ხოლო მეორე ქვიშები შეს თ-გალ მამხარში: ხეისი — წირმი — ახალსოფელი, ქარელი — ხელურეთი? წიფიდან სურამში მეორე გზა ც უნდა ყოფილიყო: წიფა — მთის გადალახვით სამხრეთ აღმოსავლით: სავანლისუბანი — ტექერი — ბეკამი — ვარდისუბანი — სურამი.

მესამე გზა სურამში დასავლეთ საქართველოდან ეს იყო: რიკოთი გადმოსავლით: სურამი — ჩუმათელეთი — რიკოთის გადასავალი — ნაღაბური — ძირულას ხეობა — ამაშუცეთ-უბისა — შროშა...

წიფაში სოფლის რწმუნებულმა ვინმე მახაიროპულოს სახლში მივიჩინა ბანა (მახაიროპულო გაქართველებული ბერძნია ხეთი პატარა შვილით). აღვილობრივი მასწავლებლის ოთახში, იატაბზე ვავიშალეთ. შეა ღამეს ვიღაც ქალი მოადგა რთახს როგორც თავასას. შიგ ის მასწავლებელი ეგონა. საბედნიეროდ მატარებელი ჩქარა უნდა მოსულიყო. წავედით.

დილით აღრე შორაპანში ვიდავით. მატარებლიდან ვაკეირდებით ჩხერიმელას ნაპირებს. აქა-იქ ემჩნევა შარაგშის კეალი. ზოგან საქმიოდ დაცული, ეს შეიძლება XIX საუკუნისა იყოს. ზაგრამ უდიდესია აქ უძველესიდან გადიოდა ერთი მთავარი გზა. აქა-იქ მოებზე ჩანს ციხეები (ჩხერიმელას სამხრეთ შენაგადზეა ბორი...). წიფაში უზომო ჭაბაშ ბედი მაწყევლინა. შორაპნის ციხეზე უკვე ავადა ვარ. შორაპნი ტიპიური ძველი ქალაქია (არქეოპოლისი, ქუთაისი, შორაპნი, სამშეილდე, დმანისი, ახალქალაქი — უკედა ნახევარეუნდულები ერთი ან ორი მდინარის მიერ შექმნილი) — „ხერსონეზოს“ ძირულა — ყვირილასი. ციხე საქმიოდ მოზრი-

დილი (დაბლ. ორი დღიური ფართობი). კედლების ასამდენშეც ხილი  
წყობა მეტავნებს სხვადასხვა ეპოქას... ციხის შიგნით ნაშენობაები.  
აქროპოლისი გვიჩვია ყვირილაშე. ეს ციხე, ისე როგორც მაშტავის  
დე—ახალისხე—დმანისის ციხეები ქალაქის დამცველი კუთხზე მდგრად  
გზაზე ელობებოდა ქალაქში შემსვლელს და ციხის გავლის გარეშე  
ქალაქში არ შეისვლებოდა. მოსახლეობა, რა თქმა უნდა ქალაქის  
(კ. ი. ციხით და მდინარეებით გარშემოზღუდულ აღგილის) გარეთაც  
იყო, აქვე, მაგრამ ეს გარეუბანი იყო და მაშესადამე დაცუას მოკ-  
ლებული. შიშიანობისას ისინი ქალაქში შედიოდნენ.. შორაპანში  
უკეთესად მარტო მდინარის გზა (რიონ—ყვირილა) არ მოღიოდა. აქ  
ქუთა ის იდანაც მოღიოდა შარავზა. მას მტრიცებს ძველი  
ხიდის ნანგრევი ჩოლაბურზე (?). უნდა ვიფიქროთ აქვე—  
შორაპანში შემოდიოდა გზა გაღმამხრიდან, რომელიც აქედან წა-  
სული გაივლიდა კვალით—სვირ—აჯამეთს და რიონის მარცხენა ნაპი-  
რით (ვარდციხე—ვანი—გომი)—მიიმართებოდა შავი ზღვისა-  
კენ. შეორე შერით შორაპანიდან გზა აღმოსავლეთისაკენ შროვდებო-  
და: 1. ძირულა ჩხერიმელის პირით, ძირულის პირით. 2. და ყვი-  
რილის პირით. ამრიგად, შორაპანი ფრიად მნიშვნელოვანი აღვილი  
ჩანს, სადაც 5—6 მიმართულებით გზა იყრიდა თავს. რა თქმა უნდა,  
შორაპანის ციხეს, ისე როგორც სხვა ციხეებს დღეს არავითარი დაცუა  
არ აქვს. ციხეში მოწყობილია მოსახლეობა. შიგვე არის ზესტატონის  
წყალსალენის აუზი.

კინებე ერთი საათის ყოფნის შემდეგ სადგურში დაბრუნდით და საბაზო მატარებლით ზესტაფონს ჩივედით, რომ იქიდან ტელეფონი შავი წავიდეთ. ზესტაფონში უკვე ჩემი ავადყოფა იქმდის გაძლიერდა, რომ საჭირო ხდება ფირრი უკან თბილისში დაბრუნებაზე. რაც დენ ჯულელისას ბინა გავიჩინეთ. თვით რაც დენი იშვიათი სტუმართოყვარე ინტელიგენტია, ის სვირელია.

Зиси მონათხრობიდან: ჯულელები, წაქაძენი და კაპანაძენი ერთი მაშინ შვილები არიან. ეტიმოლოგიები: ერთს ძმას ჯუჯულურას უძახოდენ, მისგან ჯულელები წარმოსდგენ, მეორე წაქეპამიასაგან წაქაძენი, მესამესაგან კაპანაძენი. ღლესაც კი ამათ შორის ჭალი არ გათხოვდება.

„სვირი საბატონო არ ყოფილა. თვისუფალი იყო“ (ცდება: სვირი საცელებით იყო, უმთავრესად და სამეფო; სვირს XIX საუკუნეში ელიზბარ ერისთავი დაკობდა). XIX საუკუნეში ასეთი გლეხები ხომ სახაზინონი შეიქმნენ. აქედან წარმოდგა შეხელულება, თოსქოისინი არასოთვეს საბატონონი არ ყოფილიან. „პაშიძემ სვირის უ-

ლესიაზე თავისი დედის დასაფლავება მოისურვა. სვიტელუბმა ლები გააზრახეს. ქალებმა აბაშიძის მევდარი ხევში გადაუშვეს. აბაშიძემ თავისი მიცვალებული წამოიღო და საღვარი სვიტელუბმა იქ ტყეში დასაფლავა. იქ გაიჩინა სასაფლაო. “(ფეოდალის დედის სათვო ეკლესიის გალავანში დასაფლავებაში სვიტელუბმა ფეოდალის პრეტენზიები დაინახეს თეთ სოფელზე).

„თურმე მეფემ აზნაურებს მისცა სვიტი. ეს ამბავი ხალხისათვის მღვდელს უნდა გამოეცხადებია. მან წინასწარ დაიხიგა ხალხი. წირვის შემდეგ მე გამოგიცხადებთ, რომ თქვენ აზნაურებზე ხართ გადაცემული, ჯვარით და კურთხველით მორჩილებისკენ მოგიწოდებთ.. თქვენ კი ჯერ მე მცემეთ და მერე აზნაურები იფრინეთო. და როცა წირვის შემდეგ მღვდელმა მეფის წყალობა ხალხს გამოუცხადა, ხალხი მისცვიდა მღვდელს და სცემა მის. აზნაურები, რომლებიც იქვე იყვნენ, კატებით და ქვებით იფრინეს და მანამდე სდიდეს. სანამ ყვირილის არ გადმოაცილეს. აზნაურები წავიდნენ, მეფეს მოახსენეს: ამ ქვეყანას ჩენენ ვერ ვებატონებითო. მერე იგი ლვდელი დაიკირეს და გადასახლეს (ჩანს, აქ ორი ამბავია არეული: ძველი და XIX საუკუნისა). სვიტელებს დიდი ბრძოლა ჰქონდათ მომიჯნავე ფეოდალ გორმები ამილახორთან ცხერის საძმერის თაობაზე...“ (ცერჩივი ავადმყოფობის გამო).

სვიტი, როგორც ჩანს, საინტერესო ადგილია: ის, როგორც ცნობილია, სათავადაზნაურო აზ ყოფილა. ჯერ საეკლესიო-სამეცო და XIX საუკუნეში სახელმწიფო იყო. ბატონებს (ფეოდალებს), ჩანს, ჰქონდათ სურვილი სვიტის ხელში ჩაგდებისა. სვიტელებს კარგად ესმით საფრთხე და გამუდმებით ფრთხილობენ. უნდა ვიფიქროთ, იქ სხვა საინტერესო გაღმოცემებიც იქვე კლასობრივი ბრძოლის შესახებ. ფრიად საინტერესოა რაედრენ ჭულელის დავვირევება, რომ სვიტელები ურთიერთობაში უზრდელები და უხევები არიან („თქვენბით მიმართო აზც კი იქვთ“). ეს საინტერესო მოვლენა საჭიროა შესწავლილ იქნას: ჩენენში მოიპოვება აზნაურულ ბუდეებს მოშორებული სოფლები, საჭიროა მათი „ზრდილობასთან“ შედარება სააზნაურო სოფელთა გლეხების „ზრდილობასთან“ (ეს მოვლენა მე სხვაგანაც შემიმწნევია).

ღამე რაედრენისას გავატარეთ. დილას სიცხემ ოდნავ მიყლო და გადავწყვეტეთ გზის გაგრძობა. მოელს ზესტაფონში ერთი ეტლია: ვასო კორტის. გაურიგდით, უკეთ: რაც მოითხოვა, მივეცით, სხვა გზა აზ იყო. ბევრი ვანამუსეთ, მაგრამ ფულის ქერის ფასობაზე გადატანით ვასო კორტმა „დაგვარწმუნა“, რომ ის სავსებით სინდისიერად

აქცევა, როცა ზესტატონიდან ტელეფონიდი 150 მანეთად მწიდნა. ტელეფონიკენ გაუარეთ ფერო-მშენს. ვეებერთელა წამოწყვეტილობის პირშენელობის საქმე. ცოტა ვეემოთ ცნობილი სანერგე. ჭმალუაში უკუკერა ახსოვს სტარისელსკი. ვეიჩენებს სახლს, სადაც ის ცხოვრობდა...

ვეებერთელა ზეარი. არა ჩანს, რომ მოვლოლი იყოს. სამწუხარო მოვლენაა: უველაფერს „სახელმწიფოს“, „საერთოს“, „ჩვენსას“, უველაფერს „არა ჩემსას“ ასე სკირს. დიდია გლეხური კერძომესა-კუთრული სულის წინააღმდეგობა... გაუვლით დაბლა საქართვის, არგ-ვეთას (და არა „არგვეთს“), გადავდივართ ჩოლაბურს და მდინარე ჩიხარის ნაპირით ჩირდილოეთისაკენ მივდივართ, შეა თერჯოლაში „ბაზრის“ ნამყოფი. დღეს კომპერატივი და ალთიაქი და საქმიანობენ. „დუქნები“, ჩანს, დიდიხანია დაეკტილია. მრავალია ეხლა საქართველოში ეს წყალდაწყვეტილი თევზებივით მევდარი დუქნები. ისინი თან გაღაყვნენ წარსულ სამეურნეო სისტემას... ერთი სამიკიტნო გადარჩენია ამ ქარიშხალს... ვასო კორტმა იცის, სად უნდა შეასვენოს ცხენები... სამიკიტნოდან გამოდის ვიღაც ცალთვალა, გურული ჩინილაკის მსგავსი გრძელი თეთრი წევრით და ბახუსის ლოკებით, კულგალელილი. მოდის ეს მომღიმარი გულკეთილი კიკლოპი და ვასოს თხოვს უცხო სტუმრები დაუპატივოს. აქ უარი არ გადის და ორივე სიმონი სამიკიტნოს დაზგასთან იგეშებენ ზემოიმერეთის სიახლეებს.

შეა თერჯოლიდან აღმოსავლეთისაკენ წავედით, მდ. ჩხარშე გავედით და ტელეფას აღმართს შეუდექით. ქვემოთ, სამხრეთით, მოჩანს ლეანკითი, რომლის უშეალო გაგრძელებას ტელეფა წარმოადგენს. ღვანკითში ვასო კორტს ღირსშესანიშნავად მიაჩინია გვიჩვინოს ბაგრატიონის ნაბუღარი. „გვარიც გადიკეთაო, ამბობენ, ჩეკი-შვილად დაიწერაო, — დიდა მემამულე იყო. იი იქ იყო სასახლე, უოველ დღე ამოღდენიმე ხარი იყვლოდა იქ... აზნაურები, თავადი-შვილები სულ იქ ეყარენ“... და გვიჩვინებს შორს მაღლობზე, საღაც მოჩანს „სასახლის“ აგრერიგად დამახასიათებელი ვეებერთელა მუხრის თუ ცაცხვის ხეები. იქვე დგას საქმოდ მოშრდილი სახლი. „ახლა მისიანი იქ აღარავინაა...“ აბოლოებს კორტი.

გარშემო სოფლებში ტელეფა უველაშე მაღალია. განსაკუთრებით ის აღგილი, საღაც ეკლესია დგას ან კიდევ — ექვთიმე ცქი-

ფურიშვილის სახლი, მეეტლემ კოლმეურნეობის კანცელირისა  
გააჩერა თავისი ეტლი. არავინაა. ეს კანცელარიაც ულაზორცი დატუდა  
ნებული ქოხია. მეეტლემ ჩქარა მოვციყვანა ერთი მოხუცი, რომელიც  
მაც ბინის მოუწყობლობით მოიბოლიშა... ჩვენ გაუადვილეთ: ცვე-  
ლაფერი საკუთარი გვაქვს, მხოლოდ ჭერქვეშ მიღებას ვთხოვთ. ვაგ-  
ვიძლვა. 70 წლის მოხუცი. ჯანსაღად გამოიყურება. „შეიღის დალუ-  
ვამ გამტეხა, 16 წელია მას შემდეგ რაც ის ოში დამეღუპა, თვარა  
კიდევ უკეთესად ეიქნებოდი“ — „კაცო, როგორ მოიყვანე აგი უცხ-  
სტუმრები, ყელამდი ნაგვაში ვართ“ — „გარდი ქალო, აგრი ისე-  
თი უზღელი სტუმრები აზ გახლავან, რომ მეშეაცი ამისთანება  
დაძრახონ“ — მოუჭრა ექვთიმემ აღშეფოთების სიტყვა ცოლს, რომე-  
ლიც სახლის აიგანზე ახლად მოკრეფილ ლობის საზამთროდ შესა-  
ნახვად არჩევდა. ჩვენი ბარგი დავალაგეთ და „ციხეზე“ წასკლა და-  
ვაპირეთ — ზორევთში — (მომიჯნავე სოფელი აღმოსავლეთით) —  
ციხის არსებობის შესახებ ჩვენ ზესტაფონშივე გვითხრეს. აქაურმა-  
განათლების განყოფილების გამგემ, პეტ. ინსტიტუტის კურსდამ-  
თავრებულმა გვამცნო, რომ იქ მეტად საინტერესო ციხეა... „აი ის-  
ციხე, სადაც ციციშვილმა გლეხები ამოხოცა: ეს ჩვენ გიგო ნათახემ  
გაგვაცნო წელს“... აშკარა მსმენელს აურევი საციციანოს (ქართ-  
ლის) ძორეთი იმერეთის ზორევთან... ჩვენ განსაკუთრებით გვაინ-  
ტერესებს ამ „ციხის“ ნახვა. შეიძლება ტელეფოს ციხე ის იყოს და-  
მაშინ უფრო თამამად შეიძლება იფიქრო, რომ აწინდელი ტელეფა-  
პროკოპი კესარიელის ტელეფისია. ციხის ჩვენება თავს იდო კო-  
ლექტივის წევრმა სიმონ გვენცაძემ. მხარბეჭიანი ბრგე კაცი 50  
წლისა ყოფილი მიყიტანი აღმოჩნდა. ყოფილი „მემამულე“ მამა-  
მისი, როგორც თითონ გვიამბო, წულუქიძის მოურავი იყო. დიდი  
„მამულები“ შეიძინა. ცოლიდანაც საკმაოდ მამულები მიიღო: მი-  
სი ცოლი აჩნაურ მესხების სახლიშვილია. უველა ეს მმულები ჩა-  
მოართვეს სიმონს. დღეს ის კოლმეურნეობაშია. — „უსაქმო კაცი და  
ლვინის დიდი მოყვარული“ — გვითხრა ჩვენმა მასპინძელმა ექვთიმემ  
მეორე დილით, როცა სიმონშე ჩამოგვივარდა ლაპარაკი. მაგრამ მისი  
ეს მხარეები ჩვენ კარგად ვაცოდით უკვე, განსაკუთრებით, ღვინია-  
ტაფიალის შესახებ.

ბილიკებით, სიმინდის ყანებით გვატარა სიმონმა და პატარა მდინარის ხმორი და ის გაელით შორევთს (და არა „შორევთუნუ“) გვაცედით. „ციხისკენ“ აღმართი გვიდევს წინ. მოსახლეთა ჟურნალურუება მოვლილ ეზოებში გადავდივართ. ერთ-ერთ ეზოდან სიმონვნების შეძინვილი წინ უსწრებს მოხუცი კვეტენაძის წამოღვომას: ის რაღაც კა დამჯდარი საქმიანობდა. „სიმონ ჩემო, იგი უცხო სტუმრები რომ არ მაშვით არა ქნა“. „ნათლის ვახლავირ“ დაუჭიბევინა ჩვენმა მეგზურმა და შეპირდა სურვილის შესრულებას უკან დაბრუნებისას: „ეხლა ეჩქარებათ, „ციხე“ უნდა ასწერონ“... ჩვენ მორჩილად ვისმენთ ვანაჩენს და მიყდევთ სიმონს, რომელმაც ამის შემდეგ სისწრაფეს საგრძნობლად უმატა. ლაპარაკის დიდ ხალისს აქამდისაც არ იჩენდა ის და ეხლა სულ მიყუჩდა... 15 წუთის შემდეგ უკვე „ციხესთან“ ვიყავით. სამწუხაროდ, ჩვენი მოლოდინი სრულიად არ გამართლდა. აქ არავითარი ციხე არაა. არის პატარა თლილი ქვისავან ნაშენი ეკლესის ნანგრევი. არც ადგილია საციხო აქ. საკურივულია მხოლოდ: რატომ ეწოდება მას ციხე. იქნება ეს ჩვენდა სასიამოვნოდ სახელდახელოდ შექმნილი „ციხეა“?

საამური საღამოა. აღმოსავლეთით, მდინარე ზუსას გაღმა, სოფელი საზანო გაჭიმულა. საზანოს ციხე ცნობილია. სამწუხაროდ, ჩვენ მისი ნახვის დრო არა გვაძეს. გვაგონდება შარდენი, რომელმაც, ქუთაისიდან თბილისში გზად მიმავალმა, საზანოში ღამე გაითაა. საკუნძღვა უოფილიყო ის გზა? საზანო ორია: ზედა და ქვედა. ძველად, ხალხის სიმცირისას უნდა არსებულიყო ერთი საზანო. სახელდობრ — ზედა საზანო აწინდელი ტერმინოლოგით. ამ რაოდნში სხვაც არის ასეთი სოფელები—ზედა და ქვედა ანუ ზედა და დაბლა: სიმონეთი, საქარა, ალისუბანი...—ხალხის გამრავლებით, სოფლის ბუნებრივი ზრდით გამოწვეული მოვლენა (საინტერესოა: XIII ს-ში მოიხსენიება ზენა სკანდე. მაშ უნდა ყოფილიყო დაბლა ანუ ქვენა სკანდეც. დღეს სკანდე ერთია მხოლოდ). შარდენიც, მაშ ზედა საზანოში უნდა დასადგურებულიყო ქუთაისიდან თბილის შიმავალი.

სანამ ჩვენ ლაპარაკისა და მოსაზრებებში ვიყავით გართული და მოლოდინის გაცრუებას სხვადასხვა ახალი მოსაზრებებით ვინაზღურებდით, ჩვენმა გამყოლმა სიმონმა მოსაუბრე იპოვა. ვიღაც შეახნის კაცი მეზობელ ყანიდან გამოძერა და თავაზიანად მოვევსალმა. უთუ პატიცს დამდებენ და მეწვევიან ლვინო კარგი მაქვს. ოჯახობა,

შართალია, კოლმეურნეთა კრებაზეა წასული, მარა მე თვითონ  
შევძლებ მოოფახებას და ღარიბულად გამისპინძლებას.. ჩემო სამოქანი  
სოხოვე დამდონ პატვი“... სიმონმა გადმოგვედა. ჩვენ უფროშორეულ  
დიდი მაღლობა მოვახსენეთ... სიმონმა აუხსნა ჩვენი საქმიანობა,  
დაღლილობა, მოსკენების საჭიროება და თანაც დაურთო, რომ ის  
ნათლის დაპირდა, რომ ჩვენს თავს აწვევს... ღამდებოდა, სიმონს  
აბეზრებდა ჩვენი ბაასი: ნათლისთან ეჩქარებოდა და მოუსცენრობის  
ნიშნებს იჩინდა. ჩვენც ავედევნეთ და ხუთ წუთში თითქმის მგლუ-  
რი ძუნძულით უკვე ნათლის ეზოს მივალექით. სიმონმა ჰიშევი  
გააღო. გაბედულად შეაბიჯა, შეგვიძლვა და მციქარე ხმით შესძახა  
ნათლის. მოხუცი კეტენაძე წამსევ განინდა და სამი წუთიც ას გასუ-  
ლა, რომ მოხუცის სუფთა და ლამაზ ეზოში, დიდი ცაცხვის ძირში,  
მარანის გვერდით სუფრას შემოუსხედით — თხილი, ხილი, ცხელი  
ჰადები, იმერული ყველი და საუცხოვო ლვინო. გამყოლმა სიმონმა  
თამაღლობა ხელთ იგდო და ენაც ამოიღვა... საქმაოდ გვიანი იყო,  
როცა ლვინით „შეხერებული“ ექსპედიცია თამაღლა სიმონის წინა-  
ძლომით ექვთიმე ცეიფურიშვილის სახლს მიაღვა. მასპინძელიც გარ-  
ჯილიყო, ვაშშის თადარივი ეჭნა და ჩვენს დაბრუნებას ელოდა. თა-  
მაღლა სიმონი მოუყვა, თუ სად ვიყავით, ბოლიში მოგვხადა და ხალი-  
სით მიუკდა სუფრას. სიმონი აქაც თამაღლად დადგა და ექვთიმეს  
ახლობლების სადღეგრძელოები დაიწყო. ჩვენ უკვე გამოცდილებით  
ვიცოდით, თუ რა სიგრძე სიმოკლისაა ეს პროცედურა და მხიარუ-  
ლება ტანხვად გვექცეოდა. დაღლილებს მოსკენება გვინდოდა. სი-  
მონი კი როგორც ჩინდა, ფერხერობით ამაზე არ ფიქრობდა. „კაცო,  
ჩვენ რომ „ციხეს“ უძახით, ის თურმე საყდარი ყოფილა“, არა ერ-  
თხელ გაიმორა სიმონმა. ბოლოს გვითხრა: მართალია, გონის მოვდი-  
ვარ, ციხე ქვევითაა ზორევეთის ბოლოზე. ამ ახალი „ციხისადმი“  
ჩვენ ხალისი არ გამოიიჩინეთ: სიმონის ცნობა საეჭვო ჩანდა.

საინტერესოა სოფლის სახელი ზორევეთი (და არა ზოვრეთი რო-  
გორც ალ. ჯავახიშვილის რუკაზე). ზორეა შეიძლება დაკავშირე-  
ბულ იქნას როგორც კერპო თაყვანისცემისთან, იგრეთვე დარა-  
ჭობასთან.. ორივე შემოხვევაში მას, კვეშირი შეიძლებოდა ქონიდა  
ტელეფასთან, თუ ტელეფა ნამდვილად ციხე იყო სკანდე — შორაპ-  
ნის ხაზზე.

დ ი ლ ი თ დ დ რ ე 12.VIII ჩვენმა მასპინძელმა ექვთიმემ შეაბა  
ურემი და ჩხარისაუნ გაუდექით. კვირა იყო და ჩხარში გარშემო  
სოფლებიდან ხალხი მრავლად მოდიოდა. გზაში გაუმარგლელი

სიშინდის ყარები გვხედება... ეს კოლექტივისაა, ნიშნის მოგეწილ გვი-  
უბნებიან საცაჭროდ მიმავალი გლეხები. დელაკელები არ ფირჩევება  
და ხმამალლა გაიძახიან კოლექტივის უსაქმობაზე. აშკოვდება წილია  
დავ, რომ კულაკმა ერთის შეხედვით მარჯვე საბაბი იშროა კოლექ-  
ტივის ჩასაწილად. ძალაუნებურად მომდის თავში: სიმონ-თამადა  
— 9 კვარტის გადამკერელი — კოლექტივის წევრი... ჯერ კიდევ  
შორსაა მიზანი და ძნელი დაბრკოლებებია გადასალახევი...

დილის 10—11 საათზე უკვე ჩხარში ვართ.

ჩხარი მოზრდილი დაბაა. „წყალდაწყვეტილი“ დუქნები აქაც მრა-  
ვალია, მაგრამ შედარებით ბევრია ლია. ხელოსნები: ღურგლები, ექელ-  
ლები, ხარაჭები, მეწალები, ნალბანდები ჯერ კიდევ ცოცხლობენ.  
ასევე — დალაქები, მეერვალები. არის კოოპერატიული სასადილო.  
არის კერძო („ინვალიდთა აზტელი“?) სასადილოც. საჭმელი სალი  
და გემრიელი. საკვირეელია, ვისაც არ ვკითხავთ უკელა კერძოში  
შესვლას გვიჩჩევს: „თქვენ გემოზე იქ გაუშევენ მხოლოდ“.

ჩვენ ჩხარის და მისი გარემოს ნახვა გვეჩერება. ხვალ გვინდა  
სკანდე გავიაროთ და ტყიბულში გადავიდეთ. შევხვდით ნაცნობ  
ახალგაზრდებს. აღგილობრივი (ჩხარელები) კაჟკაჭიშვილი, სიმონ-  
გულოვა და სხვები დიდის ხალისით მოგვყვებიან. სიძეველების სა-  
ჩერებლად. ყოფილი თავმჯდომარე ჩხარის აღმასკომისა თბილისას  
კომუნიკაციების ფურსდამთარებული და ეხლა ჭიათურაში მო-  
მუშავე ამს. სახელაშვილი მეტად საინტერესო და სასიამოვნო კაცი  
ჩანს. ის სრულად შეგნებულად, კულტურული ადამიანის თვალით  
უყურებს ისტორიულ სიძეველებს, პხედავს მათი დაცვა-მოვლის  
საჭიროებას, თავი მოაქეს, რომ ამ რაიონში მისი მუშაობის დროს  
არც ერთი ისტორიული ნაშთი არ განადგურებულა, გულწრფელად  
სწუხს, რომ ასეთ სამწუხარო მოვლენებს მისი წასკლის შემდეგ ქო-  
ნია დგილი. გამოშვიდობებისას სახელაშვილი გვაძარებს გადავცეთ  
მის ყოფილ მასწავლებელს ვუკო ბერიძეს, რომ მას უკურის  
ნაწავლები არ დაერწყია და წარსულის ნაშთების მოვლა-შენიხევის  
საჭიროება კარგად ესმის. ვფიქრობ, ამს. ვუკოლს ჩვენ ამის უფრო  
სასიამოვნოს ვერას გადავცემთ.

ამს. სახელაშვილი გვიჩჩევს ვნახოთ ჩხარის „ციხე“. მოგახსე-  
ნოთ მე ასეთი არა გამევონა რა და ცოტა ეჭვის თვალით უცემეროდი.  
სიმონ გვენცაძე მისი „ციხით“ — გუშინდელი მაგალითი იყო. ჩვენ  
ჯერ ჩხარის სამრეკლო ვნახეთ, შემდეგ ოქონის საკათალიკოზო  
ეკლესია (იქ კათალიკოზის საზაფხულო საღვომი იყო) და შემდეგ  
სახელაშვილს და სხვა ახალგაზრდებს გაფურცელ „ციხის“ სანახავად.

მეტად გონიერი უმაშვილია კიბეკიშვილი. მისი კითხვები და ვალიური ვებთ თავდაცერილობის, პასუხი მოფიქრებულობით. ჩაინ, ისტორიკოსები, არა ვართ განებირებული ისეთი თავდაცერილი კიბეკიშვილი ბით. ჩვეულებრივ, ცნობის მოყვარეს, გადაქრილი და ზეღმიწევითი პასუხები სურს მიიღოს, ხოლო გეკითხება ყველაფერს, რისთვისაც კი უყრი მოუკრავს, თვით წარლენის ქრონოლოგიასაც კი. და არ მოსწონს, როცა ჩვენი პასუხი არ ეთანხმება მის ცოდნას ან კიდევ არ ამირთლებს სენიაციის მოსასმენად მოწყობილ გულისყურს. მრავალი დაკვირვებიდან ვიცი: მრავალი მოხალისე მსმენელი უმაღვარბის, როგორც კი დაინახავს, რომ ისტორიული საუბარი ცუდი, საქმიანი და მეცნიერულია...

ჩხარის „სამრეკლო“ ელასიკური ეპოქისაა. თლილი ქვისაგან აგებული ის ლამაზი ჩუქურთმებითა შემკული. ეზოში სადაც ისადგას დიდი ტაძარი მდგარა. ის XIX—XX საუკუნეთა მიზნაზე დანგრეული. ეტყობა დიდი ტაძარი იყო იმავე ეპოქისა, თუ უფრო აღრინდელი არა, რა ხნისაც ეს „სამრეკლოა“. იქვე მეორე ეზოში XIX საუკუნეში აფხაზეთის ყოფილი მთავრის მიხეილ შარვაშიძის დახმარებით აუგიათ კელესია. მასზე მოუხმარიათ ნაწილობრივ ძველი ტაძრის ქვები.

ამ ძველ ტაძარში ყოფილა დასაფლავებული სოლომონ მეორის შოქიშპე დაეით იმერთა მეფე, რომელიც ჩხარელებმა, ახალციხეს გარდაცეალებული, მალვით მოასვენეს და აქ დაასაფლავეს... იშეიათ სანახაობა იშლება თვალწინ ოქონის უკლესის გალავნიდან. ჩრდილოეთი ტყიბულის მთები აუარებელი ბუნებრივი ქვაბებით, ტყიანი ხევებით, მკაცრი კლდეებით. სხვა დანარჩენი სამიმხრით გადაშლილია ზემო იმერეთს ზეგანი, მიღებული სოფლებით. შორს სამხრეთით ლადოსა და ფერსათის მაღალი მთები. აქ მართლაც საუცხოვო საზაფხულოა. ეკლესიის ეზოს ამშვენებს უთხოვარის საუკუნოვანი ხევები. ისინი ჯერ კიდევ საღად დგანან. „ამ მთის გადაღმა ქალაქი ყოფილა, — გვებნებიან ჩვენი მხლებლები, — ბალისტომი რქმევია. უსამართლობას დაუნგრევია“. საინტერესო რომ ბალისტომის უჩვენებები აგრეთვე მდინარე ზუსას პირზე ზორევთხა და საზანოს საზღვარზე, რომელიც აგრეთვე სუსამართლობაშ დააქცია“... ოქონა მთლიანად უფრო ძველისძველ ციხის ანუ ციხე ქალაქის იდგილს გვაგონებს... რაღაც კედლების ნაკვალევიც ჩანს თითქო. ყველა ამას ჩაჯდომა, ძიება უნდა. ერთ ჩვენს მხლებლს აკვირებებს: აქედან სკანდე მდე სულ „ციხე ებია“... უკალა ერთ ხაზზე და ერთ სიმაღლე ზე...

სახელმწიფო „გინესისაცენ“ გვაჩქარებს. „ჩვენი ცინის მსგავსი ა—  
საღ არ მოიპოვება“, გვეუძნება ის. ოქონადან მდინარე შეიცვალა კუთხით: ი  
ში ჩავედით. ათასი წლების წინ გაუგლეჭია მექენას ჰუმანიტარულ  
წარმოშობის კლდის კედელი და ამ კედლის ნაშთები ისე ცოცხლად  
დგანან, გეგონებათ წლევანდელი ნაწყალდიდევ-ნაომარი აღილა.  
მდინარისა და კლდისაო. ეს უამრავი ქვაბები იქცევენ ყურადღებას  
და „მღვიმის აღმიანის“ ნასაღომეეს გვაცულვებინებენ. მრავალი  
ქვაბი გავვიძლულია: ისინი სახიშარად გამოუყენებიათ შემდეგ „ის—  
ტორიულ“ დროში.

ნახევარი საათის შემდეგ მდინარე ძევრულის მივადექით და მისი გამოსავალისაკენ ვიქტორ პირი. მალე „მეტის სასახლესთან“ შევჩერდით, ძევრულის მარცხენა ნაპირზე, მისი გვირაბიდან გამოსავალის ახლოს — სულ რაღაც 200 მეტრის დაშორებით — არის ეს „სასახლე“. „აქ დავით მეტე ცხოვრობდა, სოლომონიც. სასახლე ქონდათ გამართული“ — ვაუბნება ერთი მოხუცი... სასახლე ე. ი. მთავარი შენობა, ფეოდალის საცხოვრებელი საქმიანდ მოზრდილი შენობა უნდა ყოფილიყო რიყის ქვისაგან აგებული. ღასაცლეთიდან მიღებული ქვითია აბანო ორი განკოფილებისაგან შემდგარი. აბანში წყალი შემოღონდა მილით. ეს წყალი გამოიდის სასახლის ჩრდილოეთით ათიოდ მეტრის მოშორებით. წყარო ფრიად მოზრდილია და მეტად ცივი. ამ წყაროზე აგებული ყოფილა რაღაც შენობა, რომელიც ეხლა ჩატევულია. ამ შენობის გვერდში მდგარა კიდევ სხვა შენობა, რომლის არეში დღეს საკირეა გამართული. ცოტა კიდევ ჩრდილოეთით ქვითკირის საწნევებლის ნაშთია გადარჩენილი.

სამწუხაოოდ, ჩირბეს ადგილობრივ ხელისუფლებას ყურადღება ვერ მიუქეცევა და სასახლის გადაკეთება გადაუწყვეტიათ ჯიშიან ქათმების ბინად. აქა-იქ გამონგრეული კედლები შეუკეთებიათ. საა-მისო ჭვა, აგური აქვე სხვა ნანგრევებიდან აუღიათ და ყველაზე მე-ტი უსესხნიათ ახლოს მყოფი ნანგრევიდან, ე. ი. აბანოდან და რო-ცა ბუნებით დანგრეული არ ჰყოფნიათ მიმღვარან და დიდის ოფ-ლისლერით დაუნგრევიათ დღემდის საქმაოდ დაცული საერთო ხა-სიათის შენობის ერთ-ერთი ნაშთი და ეს იმ დროს, როცა ასეთი ნა-შთები ყველაზე ძვირია ჩვენში. მრიგად, ჩენ თვალშინ ნაღვურ-დება მეტად საინტერესო ფეოდალური სასახლე მთელი მისი შე-გვილობით. ჯიშიანი ქათმების მოშენება მეტად სასაჩვებლო საქმეა, მაგრამ განა საჭიროა, რომ ეს კეთილი საჭმე იშვიათი ისტორიული ძეგლის განადგურების ფასად დაჭდეს?.. სახელაშვილი გულწრფე-ლად სწობს — „არჩემნინგრეული ფაზ არ იყოან, თუ რა იყო იქ, იმ

იციან ამის მნიშვნელობა, თორემ ამის არ დაუშევებდენ. ან შეიძლება პა არც იყოდნენ, რომ ეს ხდება, — გვეუბნება ის, —ჩავიდეთ ჩაბაზი და ვაცნობოთ ხელისუფლებას". დიახ, ეს შეიძლება და საცილებელი და სავალალოც ის არის, რომ შეიძლება ასე იყოს. სადაა ჩვენი სიძეველეთა დაცვის განყოფილება, რომელზედაც საქმაოდ მოზრდილი თანხა იხარჯება ყოველწლიურად. რატომ არ აქვს ასეთ ადგილს დაცვის ტრადარეტი, რატომ არ მოგვეპოვება დღემდე ბროშურა დასაცავი ძეგლების აღნიშვნით, რატომ არ ეწევა ეს დაწესებულება ზეპირსა და წერილობით პროპაგანდას ძეგლების დაცვის საჭიროების შესახებ, მაგრამ იცის კი განყოფილებამ, სადაა ისტორიული მნიშვნელობის ძეგლები? ან რა ძეგლებს სთვლის იგი ისტორიის ღირსაფ და დაცვის ღირსაფ? არის ერთი ციხე, ან ხილის ნაგრძევი, ან სასახლის ნანგრევი მისი მნიშვნელობის ქვეშ? ან ცველასათვის ცონბილ ეკლესიებს გაჩდა სხვა რამდე ძეგლები იშყოფებიან ვინმეს მეუვალყურეობის ქვეშ?? და რა გასაყირია, რომ რაიონის აღვილობრივმა ხელისუფლებამ არ იცოდეს ასეთი ნაშთების მნიშვნელობის, მათი დაცვის საჭიროების შესახებ. დამნაშავე იქ კი არა აქა საძგბარი.

ჩვენ უბსნით დამსწრეთ ამ ძეგლების კულტურული, მეცნიერულ, კულტომიურ (ტურიზმის განვითარების პერსპექტივები) მნიშვნელობას და გონიერებების მსმენელები ჩქარა თვით გვთავაზობენ გონიერ მოსაზრებებს...

ძეგრულს მარტენა ნაპირით ჩვენ მისი გამოსავლისაც წავედით. ნაპირებზე აქ-იქ ქანახშირის ვროვა ჩანს. ეს წყალდიღობისას ტყიბულიდან გამოაქვს ძეგრულას. აქ გლეხები იკერენ ფაცრებით, ბადებით და საწვავ მასალად ხმარობენ სამჭედლოებსა და საკირებზე... „ციხის კარები“ საშინალად დაქანებული კულტანური კლდეებია. მდინარე წისქვილის სათავისათვის შეტბორევილი იყო და იძულებული ვაჟავით ციცაბო კლდის ფერდი გადაგვევლო. ჩხარის „ციხე“ მართლაც დიდებული სანახაობაა. ყოველი მხრიდან შემოსღუდული მაღალი და სასტიკელდოვანი მთები ქმნიან წრეს, სადაც ერთა მეორეს ერთვის ორი მდინარე. ორივე ისინი ტყიბულის მხარეს გვირაბში შესული 5—6 კილომეტრის გვირაბით გამოდიან აქ. ძეგრულს გამოსავალი აქვთ, მეორესი ცოტა მოშორებით ჩრდილოეთით. შეკრილ მდინარეებს საერთო ძალით, „გაუნგრევიათ“ კლდოვანი კედელი, რომლის ნაშთები ეხლაც მრისხანედ მდგარი თითქო კელავ შეერთებას და მდინარის გაუცდეს ლამობენ... „ციხის“ არე საქმაოდ დიდია, რამდენიმე ათეული პერტარი. ჩრდილოეთის შტრიქ მთა ნაკლებ ყაფარია და უფრო მისადგომია. ციხეში, უპირ-

ელეს ყოვლისა, ყურადღებას იშურობს ქვაბების სიმრავლე  
სიღიდე. ზოგიერთი ამ ქვაბთაგან შემდეგ გამოუყენებიათ: ზოგ უც-  
ხოვრიათ. ეტყობა, კიდევბი ხელოვნური კედლებით შეუჩინულებელი  
ქვაბები სხვადასხვა სიღიდისაა — ზოგი ისეთი ღრმაა, რომ ჩამდებული იყენება  
მე ათეული შედის კლდეში, მათი ტევადობა ფრიად დიდია.  
სხვები კიდევ მეტად განიხილი ნაკლებ ღრმა არიან... ქვაბებია ყოვე-  
ლი მხრით დაბლაც და მალუაც. ზოგიერთი დღეს ნაკლებად მისაღვო-  
მია, ზოგიერთი კი მდინარის პირასაა. რომ მათგანში ჩვენ ვიყავთ —  
ისინი ამოქსებულია ქვითა და სილით... ვეირაბიდან გამოსული ძვე-  
რულა აქ იმოდენაა (ვაჟუშტის თქმით ორი ნაკადული), რომ განხრა-  
ხულია მისი გამოყენებით ძლიერი პიდროელსადგურის აგება... მისი  
გამოსახულის გვერდში ერთი უდიდეს ქვაბთაგინია. ქვაბის პირი  
ოდესმე დაბჭული ყოფილა უზარმაზარი სისქის კედლით. მისი ნაშ-  
თები აოცებს მნიშვნელს. „აქ დაეთი შეფეს ქონდა ციხე“ გვიუპნება  
ერთი ძვრელი მოხუცი („ცეცე“ „მლეიმის ადამიანის“ სადგომში...).

არავის ეჭვი არ შეგვლის, რომ აქ პირველყოფილი ტომის ნა-  
ბუღარია. ზომიერი — თბილი ჰავა, თევზი, ნადირი, ტყე, ხილი, საკ-  
ვები მცენარეულობა (შხალი, პურეული), იშვიათი ბუნებრივი სად-  
გომები — ყველა ეს საკმაო პირობები იყო იმისათვის, რომ მღვიმის  
ადამიანს ეცხოვერა ამ რაომნში. ადამიანი იმ დროსაც თავისებურად  
„ბინადარი“ იყო. ასეთ თავდასაცავ აღვილებს ის ძნელად თუ სად-  
მე იძოვიდა. ამიტომ ასეთ მოხერხებულ ბინას ის თავისი ნებით არ  
დასტოვებდა. ნამატი შესაძლოა მიღიოდა, უნდა წასულიყო საკვე-  
ბის სიმცირისა და სახეტიალო რადიუსის გაღიდების გამო ან კი-  
დევ უნდა ამოწყეტილიყო, მაგრამ ძირითადი ბირთვი ტომისა ზოგ-  
ჯერ მეტი, ზოგჯერ ნაკლები მუდმივ აქ ბინადრობდა. და ყველაზე  
უფრო სწორედ ამ საფეხურზე უნდა ყოფილიყო ადამიანი ნაკლებად  
განწყობილი ბინის მონაცეალეობისადმი... ის დაძრწოდა გარშემო  
მეტი თუ ნაკლები რადიუსით, ეძებდა, კრებდა, ნადირობდა, მაგ-  
რამ ბინა ერთ ნაცადს და მოხერხებულ აღვილს ჰქონდა...

„ეს მართლაც „ციხეა“, მაგრამ არა ქართველების ან ვინმე სხვა  
ერის მიერ აგებული, არამედ პირველყოფილი ადამიანის, როცა  
შერ კიდევ არაფერს აგებდენ, არამედ ბუნებრივ მღვიმეებში ცხოვ-  
რობდენ“ — ვეუბნებით ჩვენ გამოჲლოთ. აქ გათხრები საინტერესო შე-  
დეგებს მოვცემდა... ვერ მოვასწარით ამის თქმა და მაშინვე გაახსენ-  
დათ, რომ 1913—14 წლებში აქ ვიღაც გერმანელი იყო. მან გათხა-  
რა ეს მღვიმე — გვიჩვენებენ იმ მღვიმეს, რომელშიაც ჩვენა ვართ —  
და ბევრი რაღაც აღმოაჩინა. ის გერმანელი შემდეგ, ომთან დაკავში-

რებით, დაატყვევეს, ხოლო წალებული მასალა ჩამოართვეს. კა შეიძლება გვივით, თუ ეინ დაატყვევა და რა ჩამოართვეს, გვიადვილებენ საქმეს ჩვენი მომთხრობლები... კაის ნატებებზე ფრთვე ქო „რეტუშით“, ყოველ შემთხვევაში არა ადგილობრივში არა უჭირა იცის, შეიძლება ესენი იმ „გრძიანელის“ მიერ წარმოებული „გათხრის“ შედეგია... სახელდახტელი „პონით“ გატაცებული თუნდაც ვერმანელი, არაფრით ჩამოუვარდება ჩვენებურ საფლავების არქეოლოგებს, ჩანატანებ ძეირფასეულზე რომ ნადირობენ... ხშირად ვახვდება გაქვავებული ძელები და სხვა მრავალი „ნივთების“ მსგავსი ქვები... ჩვენი მხლებლები ჩაფიქრებული დასკერიან აუარებელ ქვებს, ათვალიერებენ, ხომ არაფრით ჩანს ისეთი... „ისეთებს ვინ აქცევდა ყურადღებას, აწი გაუფრთხილდებით“ — გვეუბნება სახელაშვილი... ცოტანს შევისევნეთ, გრანდიოზული სანახაობით და მეტად საინტერესო აღმოჩენით — ჩვენ არ ვეჭვობთ, რომ აქ აღმოჩენასთან გვაქვს საქმე — დაქმაყოფილებული წამოველით თავმევ, უკვე ძევრულის მარჯვენა ნაპირით... ნახევარ საათში სოფელ ძევრის კონპერატივთან ვიყავით. როგორც ჩანს, აქ წინადაც ყოფილა სავაჭრო ადგილი. ოთხი-ხუთი ძევრი დაკეტილი დუქანი მოწმობს მას. სამჭედლო და სანალბანდო მუშობს. მდინარე ძევრულაზე ხილია გაკეთებული, აქ გაიღლის ქუთაისიდან მომავალი შაჩაგზა, ას გზა საჭართველოში შიდის „კავკასიის გვიმოწმებს აქ ვიღაც მოხუცი. მოქმედი ხილის ცოტა ზემოთ ფრიად მოხერხებულ ადგილზე შენახულა ძევრი ხიდის კუტარების „კუტარების აუზი“ (ასე ეძახიან აქ ხილის თავებს). მდინარის ორივე მხრიდან ისინი მტკიცედ დგანან და ძევრ გზას მოწმობენ. „გი ვის ახსოვს, სულ ისეა“ გვეუბნება აღვილობრივი მოხუცი. როგორც გაზომიდან ჩანს ხილი საქმიოდ ფართე უნდა ყოფილიყო: არა ნაკლებ სამი მეტრისა. „ასე თივე ხიდი ას თავებია გადარჩენილი მდინარე ჭიშურაზე ჭუთაისისკენ“ „ძევრის ხიდიდან იქამდე 15—20 კერსი იქნება“. „ასე თივე ხიდი მდინარე ზუსაზე ლიპრაძების წისქვილთან“, — აგონდებათ იქვე მოვროვილ ცნობის მოყვარეთ და მოგონებებს ერთი მეორეს უმოწმებენ... და გონებამანვილებმა უკვე წარმოიდგინეს ძევრი გზა ქუთაისიდან—ჭიშურა — ძევრულა — ზესაზე გარდამავალი. იქვე იგონებენ „თამარის ხიდს“, ჩოლაბურზე რომ ყოფილა გადებული ჭილატყეს. ეს ხილი ერთი ვერსით მოშორებულია იმ ადგილს, სადაც ბუგა და ზესა ერთი მეორეს ერთვიან და ჩოლაბურს ქმნიან.

ის იყო, საფიქრებელია, ქუთაისიდან შორეული  
მიმავალი გზა.

უკვე საღამო იყო როცა ჩხარში დავბრუნდით. „ინვაზიაზე მოვალეობა თვალის დახმხამებაში მოვართვეს გემრიელი საღილი. შემცირებულ წინ ჩევნ რაპარტეომის მდივანი ენახეთ და „სასახლის“ ბედნე ერ-ლაპარაკეთ. ის თავაზიანად შეგვპირდა რომ საყითხს დასვამს სათა-ნადოდ.

ორიგინალურ სასტუმროში, რომელსაც კიდევ უფრო ორივა-ნალური მასპინძელი ყავს, ხელობით დალაქი, საქმაო „მოსვენებით“ გავათით ღამე.

13. VIII. აღრე დილით მეურმე ერმილე ბოჭორიშვილი მოვეად-გა. მან უნდა ბარგი წაგვილოს მუჯირეთამდის. გზას გაუდექით და ჩხარის გრძელი „ბაზარი“ ჩქარია მოვიტოვეთ... გზაზარნარები გვა-რის მამისა იყო. ჯვარის მამა იქვე ცხოვრობდა. იქ იყო ჯვარის მამის სასახლე... ამ გზაზე, როგორც ჩანს, არავინ ზრუნავს: ჯერ ქუთაის-შორავნის შარამ და შემდეგ ჩკინის გზაშ საბოლოო მივიწყებას მის-ცეს ქართლ-იმერეთის შემაერთი ეს მეტად მოკლე, მოხერხებული და მეტად დასახლებულ რაიონებზე გამვლელი უძველესი გზა. დღეს ის უბრალო სასოფლო გზის სამსახურისა სწერს მხოლოდ. შედარებით კიშრო — 3 მეტრი, ოლრო-ჩოლრო, ვეება ქვებით ახერგილი მიძ-რება ის სოფლიდან სოფელში, უპატრონოდ მიტოვებული. მხოლოდ იქან მახლობელი სიმაღლეებიდან ციხეები და საყარაულო — სა-ბოლიები, გარშემო სოფლებში დიდი ფეოდალების ნასაფვომევნი (მეფე, კათალიკოზი, გელათელი, ჯვარის მამა და სხვა თავადები), დიდის ხელოვნებით შესრულებული ეკლესიები, ნახილურები და ნაქალაქევნი, — ყველა ესენი მოწმობენ, თუ რა მნიშვნელობის უნდა კოფილიყო ეს „დიდი შარა“, რომელსაც ძელიდან მხოლოდ ეს სახელილა შერჩენია. „გზაი—ნაგზურზე, წყალი—ნაწყლურზე...“ წყლის რა მოგახსენოთ და გზის შესახებ კი თამამად შეიძლება ითქ-ვას, რომ აქ ქართული დაკვირვება — ანდაზა ჯერ არ გამართლებულა. ჩვენში რეინის გზა განზრახ ჩატარების ინტერესების უგულვებელყოფით გაყვანილს უფრო ჰგავს, ვადრე პირუკუ და ეს ასეცაა. ჩვენში კი იყო რეინის გზა, მაგრამ ჩვენი ხომ არ იყო; ჩვენთვის ის არავის გაუ-ცვანია... ამიტომაცა, რომ ის შორს ტოვებს ყველაზე დასახლე-ბულ, მოსავლით განთქმულ და დად ეკონომიურ შესაძლებლო-

ბათა რაიონებს და ტლაპო-ჭაობებზე ჭიქურ სერავს აღმოსავალის—  
დასავლეთ საქართველოს ტერიტორიას...

ახალგაზრდა მასწავლებლები ჩიტიძე და ბელელაძე, რქიაფაშვილი  
წყაროში დაგვხვდენ. ისინი წუხელ ჩხარში შევგვპირდტება პშევაზომისკა  
ლთაწყაროში არაბიძეები ცხოვრობენ გელათის ყოფილი ყმები. აქ-  
ვე ა გენათლის სასახლე „სამას კოკიანი“ ქვევრით. აქედანვე არი-  
ან აზნაური კახიძეები. სოფლის მიდამოში პატარა ტყეში დგას ნა-  
ხევრად დანგრეული ეკლესია, რომლის საკურთხეველში გადაჩჩე-  
ნილია ნუსხური წარწერა; ქ. მხესნე თე სოფელსა შესა ამის ეკ-  
ლესის ა/ლ/მშენებელი /ჩ/ხეიძე: სიმეონი:

ჩვენს თხილთაწყაროელ მასპინძლებს „შეთქმულება“ მოუწყ-  
ებათ. მათ შეგვიყვანეს ალავერდის ეკლესის იშვიათი სანახობის  
ეზოში. ეკლესია ახალია და ამიტომ არც საინტერესო. აქვე არის  
ძველი ეკლესის ნანგრევი. არც ის არის რითომე განსაკუთრებით  
ღირსშესანიშნავი. სამაგიეროდ ასეთი ლამაზი მდებარეობის ადგილი  
იშვიათია. თვალუწედენი ჰორიზონტი მთელი ზემო იმერეთის უმე-  
ტეს ნაწილს იტევს: კიათურა—საჩხერე, სვირი—ბალდათი, ქუთა-  
ის—გელათი... ცატევის ხეების სამო ჩრდილი მწვანე ბალახზე წა-  
მოსაწოლად გიზიდავს და წინ გადაშლილი ქვეყანა მის წარსულზე  
ფიქრებს განვევს თავს. „შეთქმულთ“ ეს ადგილი შეურჩევიათ და  
მცირე ხნით განსასვენებლად გვიპატივებიან, უცბათ სუფრა გაიშალა,  
მეურმე ხალისით მოვიზდა—ეხლა ალაზ ეჩქარება—ერთი ახალი პი-  
რიც შემოვემატა — მასწავლებელი აჩაბიძე — ისეთი სიმპათიუ-  
რი, როგორიც ძველი სოფლის მასწავლებელი შეიძლება იყოს მხო-  
ლოდ. და „ქართველსა გულმა როგორ გაუქლოს“ და გადატა ექს-  
პედიციამ. გრძნობიარე სიტყვებს ცოტა ხნის შემდეგ მორცხვი მრა-  
ვალუამიერიც მოჰყეა. თავს ძალა დავატანეთ და ორი საათის შეწ-  
ლებ გზას გაუდექით. მასპინძლებმა გამოვგაცილეს. გადაუარეთ  
ალისუბანს.

აქედან ჩანს ისტორიუსისათვის მრავალმეტყველი ჩიხორი. სკანდესა და ჩიხორს შეუ მდინარე ზუსახე ძველი ხიდის ნა-  
შთია. ის გზა გაივლიდა ზედა საზანოს და ძველი  
ბოსლევით და შროშით ამაშუკეთში გავიდოდა, საიდანაც ძირულის ხეობით და რიკოთის გადა-  
სავლით სურამის უწევდოდა. ძველი ბოსლევიდან გზა კორბო-  
ულზეც უნდა გასულიყო: ჩიხორული — ტყემლოვანი—  
მანდაეთი—კორბოული—ჭვარი—ალი. მაგონდება ჩვენი „წახდენის-  
ნიშანი, — საძაგელი ჩიხორის ომი...

მეორე მთავარ გზას ჩვენ მივდევდით: სკანდე—მუჭარი  
თი—თავასა—ბილა—ქვაციხე — საფურწე — კაცხი — ნავთარე.  
თი—ჭიათურა. ჭიათურიდან ერთი გზა შუქრუთი შრები  
ლით კორბოულზე ჯვარის გადასავლით შემდეგი მუსიკურება  
ჭიათური, მეორე—საბისერეზე. იქედან ყვირილას ხეო-  
ბით მიიმართებოდა ის ფრონესა ან ლიახვის სათავეებისაკენ. ცველა  
ესენი დღეს მიერწყებული ადგილობრივი მნიშვნელობის გზებია...

სკანდეში შეტად ხალისძაյარგულებმა მივატანეთ. უხეირო  
ვზამ და საუცხოვო ლვინომ ერთი მეორეს შეუწყო ხელი და სკანდეს  
ძელისძველ ციხეში, რომელსაც თლილი ქვის პერანგს ჰილის  
გველმოდგინებით აცლიან ადგილობრივი მკვიდრნი, საფუძვლიანად  
გამოვიძინეთ. სკანდეში გადაჩენილია საერო შენობის მოზრდილი  
ნაწილი საინტერესო თაღებით. თუ ვამსაკუთრებული ზომები არა,  
ეს ძეგლი ჩქარა დაიღუპება გაუზომელ-შეუსწავლელი. როგორც  
ირკვეოდა ჩვენ ამ დღეს მუხურაში ეყრ ივიღოდთ. გადავწყვიტეთ  
მუჯირეთი გავიაროთ და თავასაში გავითოთ. ჩქარი სკლით საღა-  
მოს უკვე თავასაში ვიყავით. იქვე გადის „ქართლის შარაც“.  
ჩვენი მიზანი იყო მუხურაში შესვლა და იქიდან ტყიბულზე გავლით  
და ნაქრალას გადასავლით რაჭაში გადასცლა. ჩვენ მრავალი ინტე-  
რესებზე გვქონდა: არგვეთის კავშირი რაჭასთან (და რომელ რაჭას-  
თან?), ნიკორწმიდა, ნიკორწმიდის სიგელის ადგილზე შესწავლა,  
რაჭა-სკანერთის ისტორიული ურთიერთობა, ცხინვალი—ონი—სკანე-  
რის გზა, და ცხინვალი—ონი—ქუთაისის გზა, ზემო და ქვემო რაჭას სა-  
კითხი და სხვა... სამწუხაროდ ჩვენმა ხაზინადარმა ფრიად პესიმის-  
ტური ტონით გვაუწყა ჩვენი თანხების ქანცმილეულობა და საშიშრო-  
ება, რომ რაჭის შესწავლით ჩვენ საფრთხეში ჩაეაგდებთ კლდეკარის  
ნახევის პერსპექტივის... და დავთმეთ რაჭა. მდურვით მოვიგონეთ სა-  
ქართველოს გოგრაფიული საზოგადოება, რომელმაც უარი გვით-  
რა საექსპედიციო ხარჯებზე და გადავწყვიტეთ კაცხზე გავლით ვნა-  
ხოთ ჩვენთვის საინტერესო ჩიხა და კორბოულის გზით გაღმოვი-  
დეთ ალში.

თავასაში ჩვენ პლატონ ცინაძისას მოვთავსდით. ეს მოქალაქე,  
სიძეველეების დიდი მოყვარულია და, რამდენადაც ძალა შესწევს,  
უკლის და იცავს მათ. სკანდეს ციხის რლვევა მას შეუჩერებია. საქ-  
მე სასამართლოშიდისაც მიუუკვანია. ბერი, უკიცა გადამტერებია,  
მაგრამ ამ თავდადებულ აღამიანს თავისი გაუტანია. მან იცის ამ ახ-  
ლო რაიონში თუ რა სიძეველეებია. საჭიროა სიძეველეთა დაცვის კო-  
მიტეტის დახმარება.



შეკვეთი დაღმებული იყო. მოსკენებას ვეჩქიარებოდათ, რომ თან მოედიდა თბილისელი მასწავლებელი თავისელი მკიონერი ციხესიმაგრესი ის დასასვენებლად იყო ჩამოსული. მან სასიამოვნო საზოგადოებრივი გადაწყვეტილების საინტერესო საკითხებზე... ცოტა ხნის შემდეგ გამოიჩინა, რომ აქაც „შეთქმულებას“ ვიმზადებენ. თავისაში გეოლოგიური ექსპედიცია მუშაობს და მათ მასპინძელს გადაუწყვეტა ამაღლამ თავი ერთად „შეგვაძლევნოს“. ჩვენ მოვიძოდიშეთ და გადაჭრილი უარი უთხარით...

ცოტა ხნის შემდეგ დასასვენებლად დავლაგდით. დილით აღრე „შეთქმულება“ თეოთ ჩვენმა მასპინძელმა ითავა და იძულებული გაეხდით 7 საათზე გამზიარების მაგივრად ათ საათზე შევდგომოდით თავისას აღმართს. სიძეველეთაგან აქ ვეისახელებდნენ საზანოს ციხეს, „სადაც უძველესი ეკლესია“. ციხეს ერთი მხრით პუჯა უვლის, მეორე მხრიდან შაზარულა... მუჭირეთის აღმოსავლეთით მღინარე ზუსა და მღინარე ვარხმელა (ლვარხმელა?) ქმნიან სამკუთხედს — ურთიერთს ერთვიან — ამ სამკუთხედს ნაქალაქარი ეწოდება. აქ პოულობენ საფლავებს უძველესი იარაღებით: „თორები“, „შუბი“, „ხანგალი“, „საომარი წალდი“, ოქროს ნივთები...

ციხე ჩიხორი სკანდეს ციხის სამხრეთით ძევს სამი ვერსის მოშორებით. აქ არის აღვილი, რომელსაც „ნაომარი“ ეწოდება. ვადმოცემა: მუხურიდან თათრებს ტყვევები მოპყავდათ, საჯვარებელი დანებდნენ, შეებრძოლენ, დააყრევინეს. აქედან: — „ნაომარი“. ჩვენ კი ნაომარი ჩიხორის ცნობილ ომს ვვაკონების... ჩიხორი „ნაქალაქარის“ ჰყიდავს. შენიახულია თქმულება: თავისადან საზანომდე სულ ქალაქი იყო: „თხას სახლის თავებზე უვლია და თავისადან საზანოს გასულა“...

უველა ეს ენობრივი თუ მატერიალური კულტურის ნაშთები დაუინებით მიუთითებენ, რომ სეანდე — ნაქალაქარი — ჩიხორი — საზანო — სახლი ისტორიულ-არქეოლოგიურად მეტად საინტერესო რაიონია და ელის საფუძვლიან შესწავლას. ჩვენთვის მარტო გეოგრაფიული სახელი „საზანოც“ კი, სწორედ აქ, მრავალმეტყველია და გასაგებს ხდის როგორც „ნაქალაქარის“, ისე სკანდე — ჩიხორის. საკითხს სეანს არვეოთის გეოგრაფიული რაობის შესახებ და წირმოგვიჩნენ ერთ-ერთ მაგალითს თემის კიდურებზე „ქალაქების“ — სავაჭრო პუნქტების ჩასახვა-განვითარებისას...

თავისელმა მასპინძლებმა ბიღას საზღვრებამდის გამოვაცილეს. აქა-იქ სოფლებში ვხვდებით გზებზე მუშაობას. ჟეელ ეირიო გზას აფართოებენ, ქვიშას აყრიან. ქვაციხეში ძეელი საწნებლის ნამტვრევი ვიპოვეთ... თავისადან კაცხამდის კარ-

ვა მოზრდილი მანძილია. საღამოს ხუთი საათი იქნებოდა  
რომ კაცხის ეკლესის გაღაებას მიეკადექით. სოფელი კაცხი ღამიანი  
მდებარეობსაა. მეტად დამაფიქრებლად გამოიყურება მფლობელობის  
სიმრავლე კულკანურ კლდეებში. ოვით „კაცხის სკეტი“ — ეს კულ-  
კანური კლდე და მისღამი თაყვანისცემა ფრიად არქაული ხასიათისა  
და არქეოლოგისათვის დამაფიქრებელ რასმე წარმოადგენს. ხოლო  
კაცხის გოგრაფიული მდებარეობა (გზაგვარედინი ჭუთაისიდან —  
თბილისში და შორაპანი — ხრეითი — რაჭა) ისტორიკოსისათვის გა-  
სავებს ხდის მის მრავალმნიშვნელოვნობას საქართველოს ისტორი-  
ის საშუალ საუკუნეებში. აქეე ახლო ჩვენთვის ცნობილი ნავარ-  
ძეთი. იქ ეხლაც, როგორც ამ რვასი წლის წინათ, მისდევენ თიხის  
კურტვლის დამზადებას. გადააქვთ ნეტივი ეხლაც ნავარძული ქვევ-  
რები ნიკორწმიდაში?

კაცხის ეკლესია ხელოვნების იშვიათი ძეგლია. ის თან ატარებს  
XI—XII საუკუნის ქართული ხაუროთმოძღვრების ყველა ნიშნებს.  
შინი ხუროთმოძღვრული შეფასება სპეციალისტების საქმეა, ჩვენ  
ისტორიკოსებს კი ამ კოპწია შენობას იქთ, ამ საუცხოო ჩუქურთ-  
მებს იქთ გვეხატება აღნიშნული ეპოქის ეკონომიკური ძლიერება,  
ფეოდალთა კლასის ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული მო-  
ძრიფება-დაფაკეაცება... ცოცხლად წარმოგვიდგება დადა ფეოდალი  
ლიპარიტი, რომელიც, ოცი წლის ბრძოლით მოღლილი, დამარცხების  
შედეგად პოლიტიკურ ასპარეზს მოცილებული დასასვენებლად  
წვიდა მამეულ კაცს... კაცხში ჩვენ ძევს გზის აუქციეთ და რეინის  
გზის სადგურ სალიეთში ჩამოვედით. დღე-ღამეს ეყრდნოდა, როცა  
ჭიათურას მივატანეთ. ჩქარა გავიარეთ ჩვენი მრეწველობის დედა-  
ბოძი და „ფეოდალურ“ საჩერეს ამოვავით თვით. ვხედავთ რომ  
ნაჩქარევად ვმგზავრობთ. გული გვწყდება, რომ მრავალი საინტერე-  
სო რამ შეუმოწმებელ — შეუსწავლელი რჩება. კერძოდ, გვაინტერე-  
სებს კაცხისა და ჩიხის ისტორიული ურთიერთობა. ამისთვის საჭი-  
როა შესწავლილი იქნას როგორც გზები, ისე მატერიალური კულტუ-  
რის ძეგლები, წარწერები, გეოგრაფიული სახელები... ასეთი ძიება სი-  
ნათლის შუქს მიაყენებდა ზემო და ქვემო რაჭის ურთიერთობასაც...

საჩერეში მეტად უსიამოვნო ღამე გავათიეთ. ჩვენი სასტუმრო  
გლეხთა სახლის სამდივანმწიგნობრო იყო. სასტუმროს გამგე დადად  
გვებოლიშებოდა და სწუხდა, რომ ცარიელი იატაკით შეუძლია მხო-  
ლოდ გაფიმისაპინძლდეს, რომ ყველა საწოლები დაკავებულია... ამა-  
ზე არა ნაკლებ სამწუხარო ის გარემოება იყო, რომ საჩერეში საჭ-  
მელი არა იპოვებოდა რა და ჩვენ კი საჭინაალმდევოს იმედით —

კუიქრობ ამის უფლება გვეონდა — არაფერი გადავინარჩუნოთ და დავისაჭერო ასეთი წინდაუხედაობის გამო...

დილადრიან ურმის ძებნის შეუდექით კორბოულში განვითარებულ ლულად. ძველი შარიაგზა აქედან კორბოულშე არ მიღიოდა, გზა, როგორც ჩანს, ჰიათურაში ვანშტროვდებოდა (თუ სახელდობრი სად, ამას კვლევა უნდა), ერთი შუქრუთ—კორბოულზე მოდიოდა, ხოლო მეორე კვირილის პირით ჩიხას მიადგებოდა. ჩიხასვე შემოუერთდებოდა ამ გზას მეორე გზა, რომელიც ქუთაისიდან წიმოსული (გველითი) ტყიბულს ამოდიოდა, აქედან მუხურა—ხრეით—წირქვალის გამოვლით საჩხერების მოადგებოდა. ჩიხადან გზა ყვირილის ხეობით მიღიოდა, სოფელ პერევის ქვემოთ ის გაიყოფოდა. ერთი პერანგის გადასავლით მდინარე ფრონენს ხეობაში გადაღიოდა, მეორე კი მდინარე ყვირილის სათვავებით დიდი ლიახვის შენაკად მდინარე ფანის ხეობაში შედიოდა. აქ მას ქუთაის—ონის გზა უერთდებოდა. ამ გზებს ქართლში ქალაქი ქრცხინვალი და ნიკოზი ხედებოდა... საშუალ საუკუნეებში იმერეთიდან ქართლ-სამცხეში გარდამავალ გზებს ქალაქები ხედებოდა: ოძეხე — სურამი—ალი—ცხინვალი. დასავლეთ საქართველოში კი ასეთი ჩამ არ ჩანს. ეს, რა თქმა უნდა, გეოგრაფიული კოთარებით არ აიხსნება. დასავლეთ საქართველოშიაც იყვნენ სასაზღვრო ქალაქები (ვარციხე, შორაპანი, სკანდე, ჩიხორი). მაგრამ ყველა ისინი შემცირდნენ ან გაქრნენ, მაშინ როცა „ქართლის“ მხრიდან ძველნიც დარჩნენ და ახალნიც გაჩინდენ... ეს აიხსნება ერთის მხრით აღმოსავლეთ საქართველოს ეკონომიკური წარმატებით ჩვენი ისტორიის გარკეთვლი დროიდან, მეორე მხრით ეს გარემოება ლიხთიქითის ამ ქალაქების ხასიათზეც მიუთითებს. ისინი დიდი სატრანზიტო გზის მოშლასთან ერთად ეცემიან VI—VII ს-ში.

დამაფიქრებელია ქართლის ერისთავი ჩიხას. თუ ტექსტი მოწევნული სახით დაუმახინებელია და აქ ჩიხა გეოგრაფიული სახელია და არა საკუთარი (რაც თავისთავად სრულიად შესაძლებელია: ჩიხა ბერიძე — ჩიხაბერიძე, ჩიხაიძე — ჩიხაიძე...), მაშინ ან ცნება „ქართლი“ ცოტა სხვაგვარად გისაგები ჩანს, ან კიდევ ტექსტი უნდა გავივით სხვაგვარად<sup>1</sup>. მართლაცდა მეტად საეჭვოა აშინდელი ქართლის ერისთავი, აფხაზთ მეფის მოხელე, ჩიხას მფდირიყო, მაშინ როცა ჭერ კიდევ ლეონ აფხაზთ მეფემ საზღვრად ქართლსა და აფხა-

<sup>1</sup> ქართლის ცხოვრება, 1906, ტფ. ვვ. 223.

ზეთს შორის ლიხის მთა დასდო. უნდა დაუშვათ, რომ ქართლი გავეთის<sup>2</sup> ამ ნაწილის სახელი იყო კოლხურ-მეგრული გეოგრაფიული ვაკებით, მაგრამ ტექსტის ამ აღგილას ჩვენ რეალურ ქართლის გეოგრაფიული ლიხთ აქითხე გვაქვს საუბარი... ამიტომ ტექსტი უნდა გავიგოთ ასე: ვიორგი აფხაზთა მეფე, ლეონის ძემ და დიმიტრის ძმამ, ქართლი აღო. შემდეგ უკუიქცა და ჩიხის ერისთავი დასეა ბაგრატ დიმიტრის ძე. „და ცოლმან (ვიორგი) მეფისამა მოკლა ძე დემეტრესი ე რისთა კი ჩიხის ა და ეცრუა იგი ივანე მთავარისა შავლალიანსა და შთაგდეს ბაგრატ ზღუას, ხოლო ღრთნ განარინა იგი და მიიწია კოსტანტინეპოლედ..“<sup>3</sup> ასე რომ ეს ჩიხის ერისთავი არა კარგების ერისთავი.

საჩხერიდან — საირხე — ვორისა — მოძვის გადმოვლით ჩვენ კორბოულში მოვედრო. აქედან ქართლის გზა აღწევ მიღის. ის ახლო წარსულშიაც კი მოვლილი ყოფილა. ჭიათურიდან ვოში ურმებით ეზიდებოდენ მარგანეცს, სანმ შორიაპან — ჭიათურის გზას გააკეთებდენ... კორბოულს (ძვ. კოლბეცური) რაიმე სიძველე არაა. სასაფლაო შესანიშნავია საფლავის ქვების აწინდელი ტრაფარეტით. ის ნასესხი არ უნდა იყოს, არამედ ორიგინალური განვითარება ან სახესსეაობაა ძველი საფლავის ქვებისა. მოტივი გეომეტრიულია — საქმაოდ სიმეტრიული და საერთოდ ლამაზი. ეკლესიის გვერდში დგას ხის საყარაულო „სანთოობო“, როგორც უწინდა აღვილობრივმა გლებმა.

სოფლის კაცელარიაში მოვთავსდით. თარიხე მეტრიკის წიგნები ეწყო. გადმოვიდე. XIX საუკუნის 40-იან წლებში სოფელს ჯერ კიდევ კოლბეცულს ეძახდნენ (ვარდა მავალი ფორმა კოლბეცურიდან კორბოულისაკენ). მეტრიკის წიგნებში მოიხსენიებიან საბატონო ყმები მაჭარაშვილები, ტაბატაძეები და იმავ სოფლელი „აზნაურინი“ მაჭარიანი და მაჭაროვი. ორივე ესენი, რა თქმა უნდა, იგივე მაჭარაშვილები არიან, მაგრამ ეკონომიკურად და სოციალურად „დაწინაურებულნი“ თავიანთ გვარსაც განასხვავებენ გუშინდელ მომეთავაზ: ამსგავსებენ აზნაურთა გვარს მაჭარიანს ან კიდევ რუსული — თვით ემიჯნებიან უკკე სათავილო „შეილს“. აქვე მოიხსენებიან აზნაური ლაბუაშვილები — წერეთელთა ერთი შტო?

აღვილობრივი მცხოვრებენი საბაკო ს გეინვენებენ სოფელ ბერეთისასა და წყალშავს შეა სოფელ ნიგოზეთში. აქ ს ვერ ი ის ბატონის სასახლე იყო. ეს გზა სვერსა და ტყემლოვანის შეა გადიოდა და,

<sup>2</sup> ქართლის ქანონება, 1906, ტუ., გვ. 223—224.

როგორც ჩანს, ძველ ბოსლევში უერთდებოდა შორაპან—კანისებრის/  
გზის ერთის მხრით და საზანო—ბოსლევ—ამაშუეტის გზას მორი  
მხრით... ამ გზის არსებობის გათვალისწინებით ს კ ე რ ი წ ე რ ი წ ე რ ი წ ე რ ი  
საგები ხდება, გასაგები ხდება, თუ საიდან „უწიფეს შემცირებელე“  
სელუეებმა „დიდი თურქობის“ პირველ წელ XI ს-ში.

გზა კაცხიდან კორბოულშე მოდის: კაცხი — ნევარძეთი—ჭიათუ-  
რა—შექრიუთა—წასრი—ჯალაურთა— კორბოული. კორბოულიდან  
გზა შორაპნისკენ: კორბოული—საბაკო—სვერი—თვალუები—კო-  
დისწყალი — ულევი — ქოჩასწყალი—მოქვემნული — სანაზშირე—  
შორაპნი. ზესტაფონიდან გზა ჭიათურაში: საქარა—დილიკოური—  
ბოსლევი—ჭიოუვეთი—კაცხი—ნავარძეთი—ჭიათურა.

„სანამ რკინის გზა არ იყო, საურმე გზა სულ ყვირილას მისდევე-  
და შორაპნამდის“. ეს გზა, უძვევლია, მარგანეცის წარმოებასთან  
არის დაკავშირებული. ის ქართულ სამუალო საუკუნეებში არ უნდა  
არსებოւლიყო. უძველესი გზა, რომელიც „რიონშე“ ასოც ხიდს სა-  
ჭიროებდა, ქართულ საშუალო საუკუნეებში მიღიწყებულია, ან  
უკეთ, ვაჭრობისა და ტრანსპორტის სახის შეცვლასთან ერთად, ის  
გზა ყვირილას მოშორებია და მდინარის გაღმა გამოღმა სოფლებზე  
ვაძართულა.

(საინტერესო ანალოგია: რამდენადაც ის გზა სატრანზიტო იყო  
და ადგილობრივი მოსახლეობას მცირედ ეხებოდა, ის არც ამ  
მოსახლეობით დასახლებულ პუნქტებზე მიემართებოდა: რიონი—  
ყვირილა—მტკვარი. სწორედ ისევე როგორც რკინის გზა XIX ს.-ში.  
მაშინაც ადგილობრივი მოსახლეობა ამ გზის მიღმა რჩებო-  
და, ახლაც. მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამ გზამ სატრანზი-  
ტო მნიშვნელობასთან ერთად ადგილობრივი მოსახლეობის ინტერე-  
სები გაითვალისწინა, ან უკეთ, მას შემდეგ რაც ადგილობრივი მოსა-  
ხლეობა ჩაება ამ ალებ-მიცემაში და აზებული გზები გამოიყენა, ეს  
გზები ძველი მიმართულებიდან გადაიხარა და დასახლებულ და მწა-  
რმოებელ პუნქტებზე გავიდა...). გზების შესახებ ცრობებს კვაწვ-  
დის ჭორვილელი წერეთელი — „მუ შათხუცი შვილი“ (საინ-  
ტერესო გვარია, როგორც უჩვეულო ხელისუფლის დასაღასტურებ-  
ლად ფეოდალურ საქართველოში, ისე სასახლის მეურნეობის  
ძის ორგანიზაციის დეტალის წარმოსახენად).

კორბოულიდან ჩვენ დილაადრიან გამოვემგზავრეთ. ჩვენი მეურ-  
მე სოფროო მაჭარაშვილი 70 წლის მოხუცია. მაგრამ ისეთი მარდი,  
ენერგიული, ხალისიანი, რომ გევონება 70 წლის ნახევარიც კი არ  
აწევს მხრებზეო. ლაპარაკი არ ეზარება და უყვარს პოლიტიკა, ქრი-

ტიკოსია. და ენამწარეც...თავიდან ბოლომდე გლეხია. პრაქტიკოსი  
ძულს უსაქმურობა და უსაქმურინი. გულუბრუცილობის შეშირა ასა-  
ფერია... აი ეს არის დასაძლევი და ძნელად დასაძლევი შესაძლებელი

რომა ინდივიდუალური მეურნეა...

გზა კარგია, აღმართ-დაღმართი მცირეა, „გადასავალს“ ძლიერ-  
ამჩნევე. კორბოული დიდი თემია. გავიარეთ კორბოული—გორგაძირი-  
(ჩონთოს თემი), ძირულას გავედით, სი ფე ლი ბორე უ ლი, ხო-  
ჭელი ჯ ვ ა რ ი. აქ არის გადასავალიც. გადასავალზე „კვარი“ მდგრადი,  
ეხლა აღარაა. იქედან იწყება მდინარე წყალწყულა, რომელიც ზის-  
ხევთან ერთად ქმნის ჰერაოხევს. გზა ამ მდინარეთა პირს მისდევს  
და საკმაოდ დამტელია: ეს გზაც არაა, უფრო მდინარის კალაპო-  
ტია. ხოფელ ასე ზემოთ ამ გზას მოერთვის მეორე გზა, რომელიც  
დედაბერას გადმოსაველით და მონასტერ უ ლ უ მ ბ ა ს გამოვლით  
ძირულს ხეობიდან გადმოიდის. კვარის გადმოსაველით გზა მარტო  
ალში როდი მოდის: გადმოსავლის უმაღ ერთი სოფელ ლო ფ ა ნ ზ ე  
მ ი დ ი ს და ლო ფ ნ ი ს წ ყ ლ ი თ ფ რ ი ნ ე ს ხ ე თ ბ ა შ ი შ ე-  
დ ი ს მეორე გზა აღიდან ხეთი კილომეტრის მოშორებით გამოეყოფა  
ალის გზას და სოფელ ჩ ი რ ჩ ა ნ ა ზ ე გაელით ისევ ფრონეს ხეო-  
ბაში შედის. ამ გზის შტო სოფელ წ ა ღ უ ლ ზ ე გაულის. კორბო-  
ულ—კვარის გზის გათვალისწინებით გასაგები ხდება წ ა ღ უ ლ ი და  
იქ მეტე დავითის სადგომი. უკვე ღამე იყო, როცა ალში შემოვედით.  
იქვე შემოსავალში, ალიდან ერთი კილომეტრით მოშორებით გან-  
ცალკევებულ გორაზე დგას საკმაოდ მოზრდილი ციხე. რომლის და-  
ნიშნულება ამ გზაზე ბატონობა, მისი გასაღების ხელოქონება იყო.  
შეიძლება სწორედ ალი და ამ ციხის რიონი იგულისხმებოდეს  
ცნობილ გამოთქმაში „აზნაურინი საზუშრელნი“. საგულისხმიეროა  
რომ საზუშრელი საკუთარ სახელად სწორედ იქაური აზნაურის  
გვარს — შემდეგდროინდელ ამირევიბი — შერჩათ მხოლოდ. ერ-  
თი სიტყვით, ამ რაიონში, ჩანს, მთავარი საბაკო იყო — საზერე  
შრავალრიცხოვანი მოხელეებით — აზნაურებით.

ალი XV ს-დის როგორც ქალაქი არა გვხვდება, მაგრამ ეს, რა  
თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ ის იქამდის ქალაქი არ იყო... რომ ეს  
გზა X—XI საუკუნეებში დიდმნიშვნელოვანი იყო საქართველოს  
ორი ნაწილის ეკონომიკურსა და პოლიტიკურ ურთიერთობაში, ეს  
უკვე ექვს გარეშე მტკიცდება...

სამწუხაროდ ჩეენ ალის ისტორიულ-არქეოლოგიური დათვალი-  
ერება არ დაგვცალდა. ალში უკველია მოიხოვება ნაშთები, რომ-  
ლებიც ქალაქის არსებობის თარიღებს დაახლოებით გამოარკევენ.  
შესასწავლია აგრეთვე წ ა ღ უ ლ ი ს თ ა ვ ი , საიდანაც დაეით აღმა-

შენებელმა ცნობილი შეტევა განავითარა ღომოსაელექტ ჩრდილოეთ  
სიაში ჩამოსახლებული სელფუპების წინააღმდეგ... უკრიცავული

ჩეენ ეფიქტობდით ალში და მის რაიონში ერთი ფაზულიაზურა  
ჩენას, ზაგრამ დაღლილობამ და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ  
რაიმე დაბმარების ვერალმოჩენამ ღამის გასათვეის პოვნაში, ვეო-  
ძულა იმავ წამს წამოვსულიყავით, რომ თბილისისკენ მომავალი მა-  
ტარებლისათვის მიგვესწრო საღვურ გომში. უნაზავ-შეუსწავლელი  
დავტოვეთ ალი—ნაბახტევი—ვაყა... თუმცა სწორედ იშით რომ ჩვენ  
„ქართლის შარით“ მოვადექით ამ ადგილებს და არა რეინის გზის  
საღვურიდან ძიებით ვიპოვეთ ისინი, ერთი მთავარი შტრიხი აღვენიშ-  
ნეთ ამ რაიონის ისტორიულ მეცნიერულ შესწავლაში. შემდგომი  
ექსპედიციის მიზანი უნდა იყოს როგორც ჭერათხევის, ისე ფრონესა  
და დიდი ლიახვის ხეობათა ამ მიზნით მოვლა-შესწავლა. დამის პირ-  
ელ საათზე სიმონ განაშია სურამში, ხოლო სიმონ ყაუხჩიშვილი და  
მე თბილისისკენ გამოვემგზავრეთ...

მრიგვად, ჩეენი გეგმა სანახევროდ შეუსრულებელი დაგვრჩია. რა-  
პა ვერა ვნახეთ. სვანეთის ისტორიული გოგრაფიის საკითხი, სვა-  
ნეთ—რაჭის ურთიერთობის საკითხი, ქუთაის—რაჭის გზები და  
არგვეთ—რაჭის ურთიერთობის საკითხი, ორი რაჭის საკითხი, რაჭა—  
ქართლის საკითხი და ბოლოს რაჭა—ქართლის გზები შეუსწავლელია  
დაგვრჩია. შეუსწავლელი დაგვრჩია ლაზიერის ძველი გზა რიონის გაღ-  
მა მხრით (მარცხენა ნაპირით) რომ მიმართებოდა: უნაზავი დაგვრ-  
ჩია ვარციხე—ვანი—ვომი...

უკელა ამის გმო, რა თქმა უნდა, ვეგმის შესრულების მხრით  
კმაყოფილი ვერ ვბრუნდებოდით და საქართველოს გოგრაფიულ  
საზოგადოებას მაღლობის გრძნობით ვერ ვიგონებდით, მაგრამ ექს-  
პედიციით საერთოდ ფრიად კმაყოფილი ვიყავით. ამ ექსპედიციის  
ახალმა მეთოდმა უიპველად გაამართლა თავისი თავი: ის ფრიად  
ნაყოფიერი აღმოჩნდა და მრავალი აქამდის გაუგებარი გასავები და  
ნათელი გახადა...

გზები, ვართალია, ძლიერ არის დამოკიდებული გოგრაფიულ  
პირობებზე, მაგრამ მათი საბოლოო მიმართულება მანც წარმოე-  
ბითი გოგრაფიით აიხსნება და ეს მით უფრო, რაც უფრო მონაწილეობის  
ესა თუ ის მხარე ქვეყანათა შორის ეკონომიკურსა და პოლი-  
ტიკურ ურთიერთობაში. აქედან გზების მიმართულების ცვლაც...  
გზებისა (და მაშ ეკონომიკური ურთიერთობის) გათვალისწინებით გა-  
საგები ხდება ამა თუ იმ პუნქტისა თუ რაიონის დაწინაურება-აუგა-  
ვება, ისე როგორც მეორესი დაცემა-დაქვეითება, მივიწყება... რა

თქმა უნდა, აქვე გათვალისწინებული უნდა გვერნდეს, რომ ამა იმ პუნქტის დაწინაურება-აყვავება თვით იწვევს გზის მიღებულებას ბის შეცელას, თუ ასეთი გზა აქამდის უძლევდა მას, მაგრამ უკავშირება მხრით აყვავებაც უგზოდ წარმოუდგენელია... ასეთი ცოცხალი ურთიერთობის გათვალისწინებით გზების ძიება „ცნობილი“ პუნქტების და ძეგლების მე ვწებთან დაკავშირება-ახსნა საკითხია არა მარტო ისტორიული გოგრაფიის, არამედ საკუთრივ ისტორიისაც და უპირველს ყოვლისა მისი საკითხია და იმ მხრით მათი შეუსწავლელობა აწინდელ დროში მიუტევებელია.

სადგურ გომში დაკავებით, რომ სამი დღის შემდეგ თბილისიდან მანგლისში ავალთ. უნდა კლდეკარი და თრიალეთის სხვა საკითხები შევისწავლოთ....

\* \* \*

თბილისიდან დათქმისამებრ, რა თქმა უნდა, ვერ წავედით. ვისაც ზაფხულში „სოიუზტრანსის“ საშუალებით უმგზავრნია, ის ჩვენი ჩამორჩენის მთავარ მიზეზსაც უმაღ გაიგებს. 19-ში განაპირები ძლიერ 21-ში გავედით თბილისიდან.

მიუხედავად ზედმეტი გადატვირთულობისა ავტომ საქმაო სისწრაფით გაგვატარა მანძილი და შუადღის 12 საათზე უკვე მანგლისში ვიყავით. გადავირბინეთ ტაბახელე, კოჟორი, გავეკლე თ სამადლოს, კოჟორის ციხეს, გადაკლე თ ობლად მიტოვებულ ბეთანიას... უველა ეს სახელები ჩვენი ისტორიის მეტყველი ფრაგმენტებია... საჭიროა მათი ერთ ქარგაზე ასხმა... და ჩვენი მეოთხი აქაც, უმშევლია, ნაყოფიერი იქნება...

მანგლისი ძველი ცენტრია. უფრო ძელი, ვიდრე ჩვეულებრივ წარმოუდგენიათ, როცა „მანგლისის ჭუართან“ დაკავშირებით ეს სახელი ცნობილი ხდება IV—V საუკუნეში, ე. ი. როცა სომხური უსახელო გოგრაფია მოიხსენიებს მოელ რაიონს *მანგლისაց ქაფი* -ის სახელით. მთლიანი ერთეული ჩანს მანგლისის რაიონი არაბთა შემოსულისასაც მე-VII ს-ის პირველ ნახვაზი. ის ამ ცროს ერთ-ერთი „სამთავროა“ იმ თერამეტთაგან, რომელიც არაბებს დამოუკიდებლად უდებენ ზავის პირობებს.

მანგლისის ცენტრობა, რა თქმა უნდა, ქრისტიანობის შემოსვლისთან არა დაკავშირებული, ქრისტიანობამ ის გამოიყენა მხოლოდ და ძეელი „ჯვარის“ თუ „ხატის“ ადგილას ახალი სალოცავი შექმნა.

ნა... მაგრამ „პრეისტორია“ (რაიც ისე „მომწიფებულია“, რომ კარის თვით ალაპარაკდეს ჩერეში სათანადო დისციპლინის დაუინტენ-თი დუმილით მოთმინებადაკარგული) მიუხედავად ანტიჭრის მიზანი კვლევის წრეში მჯერად ვერ შემოვა. წარმოებითი ეკონომიკური გენერაცია მოყენება იქაც, რა თქმა უნდა, საჭირო და მიზანშეწონილია, მაგ-რამ „პრეისტორიას“ კვლევის სხვა სპეციალური მეთოდებიც იქვე და საამისო სპეციალისტებიც ჰყავს... ჩვენ კი ამ ჯერად „ისტორიუ-ლი“ ხანით ვიფარგლებით.

მანგლის ფრიად ხელსაყრელი ადგილი უჭირავს აღმოსავლეთ საქართველოში. მანგლისის მხარე ეკვრის შიდა ქართლს, თბილისს, სომხეთ — საბარათოანოს და წალკა—გავახეთს. იმყოფება რა ალგე-თის, თექმის (სამაჭიალოს ხევი), კავთურას და ვერეს გამოსავლებში მანგლისის ხეობა სტრატეგიულად ბატონობს აღნიშნულ მხარეებზე. ბუნებრივია მიტომ გზების ის სიმრავლე მანგლის რომ აკაშირებ-და აღნიშნულ რაიონებთან. სომხეთიდან შიდა ქართლში, გადახეთი-დან კახეთში უმოკლესი გზები სწორედ მანგლისზე გადიოდა. ბასი-ლი ბულგართკრონი — გიორგის წინააღმდეგ. თურქ სელჩუკთა კოალიცია დავით აღმაშენებლის წინააღმდეგ (დიდგორი) და ბოლოს, თემურლენგი (თვით მანგლისში, ქვათახვეში) — უკელანი მანგლისზე გადმოვლით ფიქრობდნენ ქართველთ დამარცხებას.

გზა ქვათახვე—კავთისხევში და ქვათახვე—ნიჩბის—ძეგვში, დიდ-გორ—მცხეთაში, ვერეს ხევით თბილისში (საბურთალოში), კოეთრ—თბილისში, ფარცხის—სამშეილდეში, კლდეკარზე (აქედან სათარხ-ნო—საგავახიანოში) და წალკა—გავახეთში, ყველა ესენი აქ მანგ-ლისში ეჭვარებიან ერთი მეორეს... ამასთან ეხლა მხოლოდ ორი-ოდეა სახელმწიფოს ყურადღება—ზრუნვის ღირსაც ცნობილი (თბი-ლის—კოეთრ—მანგლისი და მისი გაგრძობა მანგლის—წალკა), სხვა დანარჩენი უბრალო სისოფლო გზებია. სამწუხაოოდ, ჩვენ საშუა-ლება არა გვქონდა ეს გზები გაგვევლო. ჩვენი თანხები ამის ნებას არ იძლეოდნენ და ჩვენ მიერ აქ წარმოდგენილი გზათა კვანძი შეუ-მოწმებელ სინამდვილედე დარჩია: ხსნებული კვანძი უტყუარ ისტო-რიულ მონაცემებშე დაყარებული დასკვნაა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო მანგლისი მას შემდეგ, რაც ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობა რომსა და მის მემკვიდრე ბიზანტიასთან უმთავრესად ხმელეთის გზით (ანა-ტოლიით) გაჩაღდა, ხოლო მას შემდეგ, რაც ბიზანტიის „სამფარვე-ლოში“ მოქმედება ქართულ მხარეებში ქართული სახელმწიფოებრი-ობა აღდგა (ტაო-კლარჯეთის და არტაან-გავახეთის სამფლობელო—

ბი), მანგლის-წალკა, როგორც ამ რაიონთა შემაერთი ქვეყანა აღმოსავალი საელექტ საქართველოს სხვა ნაწილებთან, უკვე სრულიად განსაკუთრებული მნიშვნელობის აღვილად იქცა.

ვნახეთ მანგლისის „სიონი“, აწინდელი სახით ის მე X—XI საუკუნის ნაწარმოებია. მარტო ეს ტაძარი თავისი მოცულობა-შემკულობით სრულიად საკმაო საბუთია იმის დასამტკიცებლად, თუ რა დიდი ეკონომიკურ-პოლიტიკური მნიშვნელობის აღვილა იყო მანგლისი. ამასევ მიუთითებს ისიც, რომ აქ საეპისკოპოსი კათედრა იყო... კათედრები სწორედ ასეთ ცენტრებში აჩსდებოდა.

თაქვე ძეგლებზე: შეიძლება გადაჭრით ითქვას, რომ უდაბნოში (ე. ი. მთავარ გზებსა და მოსახლეობის საწარმოო და სავაჭრო ცენტრებს მოცილებულ აღვილში) ღირსშესანიშნავი ხუროთმოძღვრელი ძეგლების არსებობა გამონაკვლისი შეიძლება იყოს, რომელიც სრულიად ვერ არყევს იმ მოსახრებას, რომ საერთოდ ასეთი ძეგლები ეკონომიკურსა და პოლიტიკურ-კულტურულ ცენტრებში იყო. დღეს კი, როცა ასეთი ცენტრები გადანაცვლებულია, ისინი ამ ცენტრითა აღვილებს ან ამ ცენტრებისევნ მიმავალ მთავარ გზებს გვანიშნებენ... მხოლოდ ღვთისმოსაობა დიდი და ძეირუასაღ შემკული ტაძრის აგების სტიმულად ვერ გამოღვება. ამისთვის კიდევ სხვა სტიმულებია საჭირო, რომელთა შორის ჩევნ მიერ აღიარებული ვარებობანი ერთი უმთავრესია. უცვლაზე განთქმული სალოცავები ჩევნში უბრალო ნიშებია, როცა ისინი გზებსა და ცენტრებს მოცილებულა საღლაც მივარდნილ ხევშია ან უმაღლეს შევერვალშე...).

ზედაპირული შეხედულითაც კი ცხადად ემჩნევა, რომ ეს ტაძრითავდაპირველად აწინდელი სახის არ უნდა ყოფილიყო... რომ პროფ. გ. ჩებინაშვილის მოსახრებანი ამ საგნის შესახებ მართალია. (მაგრამ პირადად ჩემთვის საეჭვო ისიც არაა, რომ მანგლისის ძველი „სიონი“ იმავე დროისაა, რა დროისაც ბოლნისის, ურბნისის და სხვა უძველესი „სიონებია“. უცვლა მოსახრება ისტორიულ-არქეოლოგიური ხასიათისა იმასაც გვეუბნება, რომ ნინოს ცხოვრების თქმულება, „მანგლისის ჭვარშე“ ისტორიული სინამდვილე უნდა იყოს). ნაჩერევად ვამოწმებთ წარწერებს... ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობისაა კარიბჭის წარწერება. სამწუხაროდ, ის ფრიად დაზიანებულია და იძახე მეტი რაც პროფ. აკ. შანიძეს ამოუკითხავს ცერც ჩევნ შევძელით. მართალი უნდა იყოს პროფესორი ამ წარწერის აღდგენაშიაც.

\* Заметки о Манглисском храме, № 1, ტე., 1921—22.

შეტბისა ლოგდმყ...ისა გრ ჭკლის ა/ღ/შოსა/ვლეთისა ქურთის/ ლატისა და თვთმშეყრობელისა? (საინტერესოა როდის მოილის ქართველმა ბაგრატიონებმა „ყოვლისა აღმოსავლეთისა“ ტაქტიკურა ტობის ტიტული. X ს-ნის კურაპალატები ჩვეულებრივ მარტივად კურაპალატად იწოდებიან...).

ძეგლი საქმაოდ კარგადა მოელილი, მაგრამ, სამშეცხაროდ, ეს მოვლენა ჩვენ სიძველეთა დაცვის კომიტეტს არ მიეწერება. ავარაფ-ზე ძეგლის დაცვა-მოვლის ჩვენებურ ნიმუშად შეიძლება სურამის ပიხე ჩაითვალოს, რაც მეტყველი მოწმობაა როგორც მოაგარეთა კულტუროსნობისა, ისევე სიძველეთა დაცვის კომიტეტის თაოს-ნობა-საქმიანობისა... დღევანდელი მანგლისელებისათვის მანგლისის სიონი „ქართველების საყდარია“ — მათ მასთან არაფრი აევში-ჩებთ. აქ ცოცხალი ტრადიცია გაწყვეტილია — ძეგლები სხვას ამ-ბობს, ხალხი სხვას... „ეამთა ვითარების“ სამშეცხარო შედევრია...

უკვე გვიანია. ხვალ ბარმაქესიშემი მიღდივართ. ალგეთის პირით ასელა კლდეკარში გაცალებით უტრო ძნელი და უხერხელია, ვიდ- არ წალკიდან. თანაც ბარმაქესიშემი შემთხვევით მიმავალი ეტლი მეტად ხელსაყრელი გარემოებაა. ფურგონები და ისიც უტრო მცი- რე მანძილზე გაცილებით მეტს მოითხოვენ. 22 ავესტოს დილით მეტლებ თავმოწონედ დაგვექანა დამართში მდინარე ალგეთისა- კენ. გავიარეთ ბუდიონოვეა (ყოფ. პოსელენიე), „ალგეტია“ (რუკაზე „სლობოდა“) და შეუდექით აღმართს. გზაზე გვხედება თივით დატ- ვირთული ურმები, ფურგონები „მანგლელ“ რუსებისა. „კოლექტი- ვისა?“ კეკითხებით მეტლეს. აქ კოლექტივი არცა... საკვირვე- ლია... თივა წალკის საზღვრიდან მოქვეთ 30 კილომეტრის სიშორი- დან. აღმართს შეუდექით და ჩვენი მეტლის თავმოწონებაც გაქრა. სადაცები მიუშვა და ცხენები დატვირთული ურმის სისწრაფით მიგვათრევდნენ. ჩვენი მეტლე მანგლისელი რუსია და ჩვენვის სასაჩვენებლო მან არა იცის რა, კეკითხავთ ამა თუ იმ მთის ან ადგი- ლის სახელს. არა იცის რა: „Ниакак не зовется гора и все...“ მდინარეთაგან მხოლოდ „ალგეტია“ იცის და გაღმა მთის ძირას მთი- ულთა სოფლების სახელებს საშინლად ამაზინებს. ზოგიერთის სახე- ლიც არ იცის... არც აგრე ადვილია ახალი გეოგრაფიული სახელის შექმნა-დარქმევა... მარტო დარქმევა როდი ქმარა. საჭიროა ის „იც- ნონ“, ე. ი. გავრცელდეს, მიიღონ... ეს დეკტიტით არა ხდებოდა...

გეოგრაფიული სახელების ამა თუ იმ ენაზე არსებობა ფრიად რთულ გარემოებათა, მაგრამ მაინც გარკეეული საზოგადოებრივი ურ- თიერთობის შედევრია. უკვე ასი წელია გვახეთში სომხები სახლო-

ენ ან კიდევ წალკაში ბერძნები და რამდენიმა აქ „უსახელო“ აღგა-  
ლები, მდინარეები, მოები... ძველი ქართული სახელები თან გაიაპა-  
ვა აღგილობრივ ქართველებს; ამათ კი ვერაფერი დაურქმდა მარტინ ინტერესთა, რომ თუ ააჩ ახალი სახელებია, სულ თურქულია... მნი-  
ლოდ აქანი თრიალე სომხური სახელი, რომელსაც მეზობლები არ  
სცნობენ, სხვა სახელს ეძახიან... ჩვენი აღმართი მეტად ვრჩელია.  
ლავაკის ხევს გარმა (ეს სახელიც კი ვერ დაგვიდასტურა ჩვენში მეტ-  
ლემ!) მოჩანს მოთველთ სოფლები. ზრბითი, ახალსოფელი. „სხედან  
მოებში ქორებიეთ, ჩამოიძენენ კვირაობით და სული მგლებიეთ  
ისევ ტყეში მიუღისთ, სტელთ ბარი“. მასივეს მოიხსა მათ შესახებ  
გარიყულელმა ზაქარია ბოჭორიძემ... მართლაც ქორებიეთ სხედან  
მოებში ეს ამაყი მთის შეილები, მაგრამ აწ საე აღარ შეიძლება:  
მთა და ბარი გასწორდა. აღმართი თითქმის ავათავეთ. აქ გზიდან  
მარცხნით ეკლესის ნანგრევი მოჩანს. ეს ცნობილი გონიარის ეკ-  
ლესია (იხ. თაყაიშვილი). გადავიღეთ სურათები საინტერესო საფ-  
ლოების ქვების, კარიბჭის წაზრიერის, რომელიც მეტად საინტერესო  
ეპიგრაფიკული ფაქტია. (ვ-ესა და ბ-ანის ნაგვიანვე თავშეერუ-  
ლობით). ახლა აქ სოფელი არაა. მხოლოდ გალმა 3—4 კილომეტრის  
მოშორებით მოჩანან ახალსოფელი, ზრბით... უბისელია გზა უძვე-  
ლეს დროსაც აქ გადიოდა. ასეთი შევენიერი ძეგლი ამის კარგი სა-  
ბუთია. ეს აღგილი მართლაც რომ გონიარია: კულკანური ქვების  
ზღვაა. ნაგებობათა მსგავსად ერთი მეორეზე არიან დალაგებუ-  
ლი... აღმართი ავათავეთ და გვოგრაფიულ წალკას ავედით. ბუნება  
უცბათ შეიცვალა. ტყიანი მოისალთები და დაბურული ხევები  
არც თუ ულამაზო კელმა და ბალახოვანმა, მაგრამ უტყეო მოებმა  
შესცვალა. გაუარეთ იმ რა ს. იქ ბერძნები სახლობენ — თურ-  
ქელად მოსაუბრენი. ბერძნული არ იციან...

მზე ჩადიოდა, როცა ბარმაქსიზე მივიღწიეთ. ბარმაქსიზე წინათ ყაზახთა თათასეული მდგარა. იმ შენობებში ეხლა კომუნა მოწყობილი. კომუნა ახალია და ეხლა შლის სამუშაო ფრთხოებს. ბარმაქსიზე უფრო პატარა იყო, ვიდრე გუნია-ყალა, სოფელში არც ერთი სახლი მიწის ზევით არ ყოფილა. ახლა რაობნის აქ დაარსებასთან და ხრამებესთან დაკავშირებით სოფელი სწრაფად იცვლის სახეს, ზენდება ახალი სახლები, მცხოვრები ამოდიან მიწიდან. ბარმაქსიზე სულ ბერძნები ცხოვრობენ. ესენიც თურქულად მეტყველებენ. ბერძნულად მოსაუბრე თრიალეთში რაობდე სოფელია. სხვების ბერძნობა აქმდის ქრისტიანობაში მეტავრდებოდა. ეხლა არაოსმალობას იმით ამრჩილებინ რომ სკოლებში ოსმალური ენის წინააღმდეგი

არიან და თავიახოთ ბავშვებს რუსულად ასწავლიან. სკოლები  
ლოდ რუსულია...

სიმონ ყაუხხიშვილის ბერძნულის კოდნამ ჩვენს გურული უწევება  
ლი ატმოსფერო შექმნა. აյ აღმოჩნდა სანტელი ბერძნები. სანტაში  
ბერძნულად საუბრობენ... მომლიმარი და ცოდნის მონატრული სა-  
ხეებით უცქეროდნენ ადგილობრივი „ურუმები“ ამს. სიმონისა და  
სანტელი ბერძნების საუბარის მათთვის „უცხო“ ენაზე. ესეც „უამთა  
ვითარების“ ერთი შედევრია.

ადგილობრივი ხელისუფლება სავმაო უურადლებით მოგვეპა.  
სავარების ბინის უქონლობისათვის ბოლოში მოიხადა, აღმასკომის  
სხდომის დარბაზი მიგეიჩინა და ამ სახლის დარაჯს ჩვენი დანასაქმის  
შესრულება უბრძანა. მაგრამ ყველაზე მომქმედი მაინც სიმონის  
ბერძნული იყო. სასადილოში წაევდით. პური არა პქონდათ. როცა  
ჩვენ უთხარით, რომ ჩვენი პური გვაქვს, აღმოჩნდა, რომ კერძი არა  
იქვთ. წალეის ცენტრში სასადილოში პური არა იქვთ და კვერცხიც  
კი კერ მოუმარაგებიათ... „როცა გვაქვს რამე, არავანა ჭამს, როცა  
არა გვაქვს, მაშინ მოითხოვენ...“ ფილოსოფოსის სიღინჯით სოქვა  
სასადილოს გამგებ. იქვე ვიღაც ახალგაზრდამ გაცხოველებით სცადა  
ემხილა აღმინისტრაცია მაგრამ უპასუხოდ დარჩენილი მიღუმდა.  
მეორე დღისათვის დაგვპირდნენ პურისა და ყველის შოვნას. ბანაზე  
წავედით.

ძველი ამბები აქ უბრალო ხალხს სრულიად არ აინტერესებს. ეს  
გასაგებიცაა: სხვისი ძველი ამბები რაში ესაქმებათ. მეტ ხალისს  
იჩენს მოინტელიგენტო ხალხი, ხელისუფლებაში მყოფი ახალგაზრ-  
დები. აქაც, ისე როგორც ჭავახეთში, აქვთ თავისებური წარმოდგე-  
ნა თავიანთ ახალ სამშობლოზე. ჭავახეთის ხომხებს შორის არსე-  
ბობს ლეგენდა, რომ ჭავახეთი ქართველების ციმბირი იყო, რომ  
ყველა მძიმე დამნაშავეს აქ ამ ციმბირში გზავნიდენ... უნდა ვიფიქ-  
როთ, ჭავახეთის გრილი პავა და მეაკრი ზამთარი, „ციმბირის სი-  
ცივით“ იყო ნიადაგი ასეთი ლეგენდის წარმოშობისა. არაა საფი-  
ქრებელი, რომ ის ჭავახური ტრადიცია იყოს. თუ ტრადიციაზე მიღ-  
გებოდა საქმე, მათ უნდა ის ხსომებოდათ, რომ ჭავახეთი ძველი  
საქართველოს ძლიერებისა და იყვავების ხანაში მისი პოლიტიკური  
ცენტრი იყო. მიტომაც ის საუფლისწულო დომენი იყო... „მე ჭა-  
ვახეთს რა მიშავდა, მოვარე იდგა მზესავითა, კალმაზი და ქერის  
პური წინ მეყარა ბზესავითა“... ხიდები, ქარვასლები, ციხეები და  
ტაძრები. ყველა ესენი ციმბირის ლეგენდის შესაქმნელ ნიადაგიდ  
ცერ გამოდგებოდა. ამჟამან ტრადიციაგარებულობის შეეძლოთ მხო-

ლოდ ასეთი შემოქმედება. წალკაში ეს ლეგენდა ქართული ხაზე  
რაფიო სახელითაც კი დაუსაბუთებიათ. აულიათ ქართული „წალკა“  
რესული გამოთქმით „ცალკა“; ღამიახინგებული სიტყვა „ცალკა“  
ქართულ სიტყვა „ცალკა“-ში (—ცალკერძ) ოღონუჩენიათ და მიუ-  
ლიათ ეტიმოლოგია სემასიოლოგით: ცალკა, განცალკევება, იზოლ-  
ცია, ციმბირი, გაციმბირება... ჩვენ დაურღვევთ ნასიბრძნი „ცალ-  
კა“ კი არა „წალკა“; წალკაც მთელ რაიონს კი არ ერქვა, არამედ  
რაიონის ნაგვიანევ ცენტრს, რომ რაიონს უნდა თრიალეთა  
რქმეოდა.

ჩვენი მოსაუბრები არც თუ კმაყოფილი დარჩენ: საკუთარი  
შენამოქმედიანის მოშელა უსიმოვნოა. და როცა ჩვენ გამოვთქვით  
შესაძლებლობა, რომ ტერმინი „წალკა“ (და არა ცალკა), შეიძლება  
წალკოტს (წალკი გურულად ბალახის გვარი, სა-წალკი — ადგი-  
ლის სახელი) დაუკავშირო, ერთ-ერთს ჩვენს მოსაუბრეს საინტერ-  
სო ფაქტი მოაგონდა: „აქ წალკაში გერმანელებმა სოფელ იაგუბ-  
ლის, სადაც ისინი სახლობდნ, სახელის გამოცელა მოინდომეს და  
სხვა ცერა მოუკონეს რა — დაარქვეს „ბლოგენფელდ“, ესეც ხომ  
იგივე „წალკა“-ა, ალბათ ძველად „წალკის“ დამრქმევებმა და ეხ-  
ლანდელმა გერმანელებმა ორთავემ ადგილის ზაფხულობით ყვავი-  
ლოვნობის გამო უწოდეს შინაარსით ერთი და იგივე სახელი. ასეთი  
იყო სამართლიანი მოსაზრება ამ მოსაუბრისა... სწორ „ეტიმოლოგიე-  
ბი“ უკვე ნაელები გაბედულობით გავვაცნეს: „ამბობენ და ალბათ  
არც ესაა სწორი — წარუმდვიარებდეს ხოლმე თითოეულს — „გუნა-  
ყალა (ზოგის გამოთქმით ჰუნია-ყალა) გურიების, გურული ქალე-  
ბის — მეტად ლამაზი ქალები ჰყავდათ — საპყრობილე იყოვთ“. ვუნია-ყალაში მართლაც შესანიშნავი ციხეა. თხრილიც კი, რომე-  
ლიც წყლით ცვსებოდა და ციხეს გარშემოცვლიდა, დღემდე დაცუ-  
ლია. „აქ ქარვასლის ნაშთებიცაა“ — უმატებენ ისინი. ცნობები მეტად  
სიინტერესოა, ხოლო ეტიმოლოგია მიუღებელი, უპასუხებდით ჩვენ:  
გუნია-ყალა ახალი სახელი ჩანს. სწორედ ამ სოფელს უნდა წალკა  
რქმეოდა... „აი ტბა ს ა ლ ა მ თ გავახეთში, ხომ იცით, იქვე სოფელი-  
ცია ამ სახელის. ამბობენ თამარ მეფე — დიდი მეომარი ქალი — ქა-  
ვახეთს ამოიარა. გზად სწორედ მაგ სოფელში დაულამდა და ღამე  
იქ გაატარა. ამიტომ საღამო ეწოდა სოფელსაც და ტბასაც“, მოვ-  
ვითხრობს ერთი მოსაუბრეთაგანი ლეგენდას, რომელიც, როგორც  
ეტყობა, ქართულ მოსახლეობაში შექმნილი შეუთვესებიათ მო-  
სულთ.

სანამ ამხ. განაშია და მე გავიხურ — თრიალურ ლეგანტების გან-  
მენდით, ამხ. ყაუჩხიშვილმა „ლოქო“ დაუტია. სანტელ პერძემთა  
საუბარი გააძა და პონტის დაკარგული ბერძნული დიალექტურული  
მომაღვენელი წალკაში აღმოაჩინა... გამარტინია

„ეხლა ხრამქესს რომ ააშენებენ მოელი ექვის სოფელი წყლით  
დაიფარება, გუნია-ყალაც წყალში მოპყვება“... გვეუბნებიან მოსაუ-  
ბრენი იმ მნიშვნელობით, რომ თუ ამ სოფლებში რაიმე სიძველეე-  
ბია და შესაძლებელია, საშუალო საქმეა. ჩვენ უდასტურებთ სამართ-  
ლიან მოსაზრებას და აღუოქვამო, რომ სათანადო გზებს მივმარ-  
თავთ.

■ საქმაო გვიან იყო როცა მოსაუბრენი წავიდნენ.

ხვალ დილაადრიან კლ დ ე კ ა რ შ ი მავდივარი.

თრიალეთი აღმოსავლეთ საქართველოს გული იყო. კლდეკარი კი  
თრიალეთის გასაღლები.

მსხვერილი და წერილფეხა საქონელი და ხორბლეული — ესაა თრი-  
ალეთის სიმღიდრე. მაგრამ ეს არ იყო ის, რაც ასე ძვირფასად ხდიდა  
თრიალეთს, მიტაცების საგნად ჰყოფდა მას, ხოლო მიმტაცებელს  
ამდიღრებდა, აძლიერებდა.

ჭანისღილი ჰავა, უხვი დოველათი თავისთავადაც დიდი სიკეთე, მაგ-  
რამ არა ნაკლები მნიშვნელობისაა ის, თუ საღ, როგორ გეოგრაფი-  
ულ არეშია ეს სიკეთე. თრიალეთი სწორედ ამით იყო განსაკუთრე-  
ბულ ხელსაყრელ პირობებში. მანგლისის მხარესთან ერთად თრია-  
ლეთი მოელი აღმოსავლეთ საქართველოს გზასაყარი იყო. აქ გამო-  
ცვლიდა ცეკვაზე უმოქალა და უმნიშვნელოვანესი გზა ბიზანტიი-  
დან — ქართლში (მცხეთაში, თბილისში) კახეთში, სომხეთიდან —  
ქართლში, თრიალეთში შემოდიოდა ან კიდევ თრიალეთ — მანგლისზე  
გადიოდა გზები შიდა ქართლში: ძამის ხეობით, ტანას ხეობით, თებ-  
შის ხეობით, კლდეკარით, მანგლის — კავთისხევით. მანგლის — მცხე-  
თა, მანგლის — თბილისი; კახეთში: მანგლის — მცხეთის ხიდით, მანგ-  
ლის — ისანი; ქერქეთში: მანგლის — სამშეოლდე — გარდაბანი; სომხეთ-  
ში, ქვემო ქართლში: მანგლის — სამშეოლდე — გომარეთ — ღმანისი; ჯა-  
ვახეთში: ნარდევან — ფარაენა — ფოკინი, სამსარი — წითელი ეკლე-  
სია — თრიალეთ — ტაბისყური...

ამ გზათა მიმართულებების გათვალისწინებით გასაგები ხდება  
თრიალეთის ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა საქართ-  
ველოს სხვა რაიონებისათვის. ხოლო თუ ამას დაუმატებთ იმ გარე-  
მოებასაც, რომ მანგლის — თრიალეთი ზეგანია და სტრატეგიულად  
ბატონობს შიდა და ქვემო, ქართლსა — ყველა ამ ხელსაყრელ გარე-

მოებათა გათვალისწინებით გასაგები ხდება ის ძლიერება და უძლიერები, რომელსაც თრიალუთის მფლობელი ფეოდალები ქართული კულტურის პატრონები) ინკენ X—XI საუკუნეთა სიგრძეზე. „და ეს მარტინ მარტინი რა არ არის მარტინი ქუცავანი თრიალუთისანი, აღავთ კისე კლდევართა და იპატრიონა დაეით ძე ბაგრატისის“. ეს იყო IX ს-ის უკანასკნელ შეოთხედში. რა თქმა უნდა, მხოლოდ ამ დროიდან არ გამხდარა თრიალუთი მნიშვნელოვანი და მიმზიდველი. თრიალუთ-მანგლისზე მარმავალი ბიზანტიის—საქართველოს დიდი გზის მნიშვნელობა პავიონერიაფიულ თხულებიდანაც (ნინოს მიერ ქართლის მოქცევა) კარგად ჩანს: ერთშეთსა და მანგლისში ძელი ცხორების ნაწილების ბიზანტიიდან მოტანა, როგორც ამ პუნქტების დიდმნიშვნელოვანბას მოწმობს, ისე იმ დიდი გზის არსებობასაც, რომელიც დიდიხანია ამ პეტენტს შორის ეკონომისტ-პოლიტიკური ურთიერთობის ნიაღავზე უნდა ყოფილიყო გათელილი.

ქვერ კიდევ საკულტურია ქართლის გამზე სპარს და ორაბ მოხელეთა საზაფხულო საჯდომი სად იმყოფებოდა. გაცილებით უფრო ჰქონიან ახლოა ისეთი აღვილი სწორედ თრიალეთის რეხანა და საპიტია-ნშოში ვეძიოთ, ვიდრე იწინდელ შიდა ქართლში, სადაც ჩემ ა დღეს არც კი არსებობს. აյ არის წინარეხი, რომელიც, როგორც მისი სა-ხელიდან ჩანს, უფრო ნაგვიანერია თრიალეთის რეხაზე და იმ თავით-კე წინარეხი უნდა რჩეოდა. თავსართი წინა პეტლისშმობს რო-გორც იმას, რომ ეს სახელი სოფ. რეხას არსებობის პირობებში წარმოიშვა, ისე იმასაც, რომ ამ სახელის წარმოშობისას რეხას არ-სებობა უგულებელი არ ყოფილა.

IX ს-ის პირველი ნახვერიდან კი, მას შემდეგ, რაც საქართველოს  
ცალკე პროვინცია-სამთავროთა საწარმოო ძალები იქმდის გაიზარ-  
და, რომ სამთავროს კიტრო სახლვერები გადალია და „იბრძოდეს ქა-  
რთლისა ზედა“, — ამის შემდეგ თრიალეთის პატრონთა მონაწილეობის  
გარეშე არ ხდება თითქმის აჩც ერთი დიდი პოლატიფური მოვლე-  
ნა. თრიალეთის პატრონთ, ხან არენი უკირავთ (ტანას ხეობა), ხან  
ქართლის ერისთავნი არიან, ხან დაბანის — სამშევილდეს პატრონობენ.  
ხან თბილისის სამინიოს ემუქრებიან და ბოლოს მოელს აღმოსავ-  
ლეთ საქართველოში პირველიად იცხაშთა მეფეთა ათაბაგობა) სურთ. გამუდმებული ბრძოლა თრიალეთის პატრონთა  
და აფხაზთ მეფეთა შორის, პატრონისა და ყმის ასეთი შეურიცებ-  
ლობა სწორედ ყმის მეტისმეტი სიძლიერით ითხსნებოდა, რაც მისი  
საპატრონო ქვეყნის ძლიერებასა და განსაკუთრებულ მდგრმარე-  
ობას ემყარებოდა. აფხაზთ მეფის უფლება აღმოსავლეთ საქართვე-

ლოში უოველოვის საფრთხეს ქვეშ იქნებოდა. სანამ  პატრიონი მისი მორჩილი არ იყო.

ბოლომოცებელი ბრძოლა დავით აღმაშენებელმა უკავშირშედა  
მახასიათებელი უკომპრომისობით გადაჭრა: თრიალუთი ჩამოართვა  
ბალვაშთა სახლს და სამეცი საეუთრებად აქცია. საქართველოს გამა-  
ერთიანებელი სხვაგვარად ვერ მოიქციოდა: თრიალუთის გარეშე ასე-  
თი გაერთიანება შეუძლებელი იყო.

ესლა თრიალუთის ზეგანის მიმოხილვით, მისი გეოგრაფიულ-ტო-  
პოგრაფიული შესწავლით, მისი ბუნებრივი სიმდიდრის გათვალის-  
წინებით ჩენოთვის ნათელი გახდა კლდეკართა ის უდიდესი მნიშვნე-  
ლობა, რაც აგრე კარგად ესმოდათ, როგორც იმათ, ვინც აქ ციხე  
ააგო, აგრეთვე იმათ, ვინც ამ რჩბის ბუდის ხელში ჩაგდებას ცდი-  
ლობდა.

წალკელმა ბერძნებმა კლდეკართის სახელიც კი არ იციან. ამ გა-  
დასავალს აქ „ყაშაყაიას“ უწოდებენ. ასეთი „ყაშაყაია“ მაშავერის  
ხეობაში ერთ მთასაც ეწოდება... „კლდეკართი“ ამათ არაფერს ავო-  
ნებს, ამიტომაც დაივიწყეს.

თრიალუთი და არც ერთი ლეგენდა კლდეკარზე, არც ერთი ის-  
ტორიული მოთხრობა... სდუმს ძველი ციხე თავისთვის და ქვეყანა  
თავისთვის. არ საუბრობდეს: ურთიერთის არ ესმიოთ...

დალაადრიან წავედით. ადგილობრივი ბერძნენი სპირდონა წავიყ-  
ვანეთ. დალა შევენიერია, გზა კარგი. მინდვრებ-ყანებში მეა და ხენაა  
გაბურებული. საინტერესო და საამოა კოლმეურნეთა მუშაობა. ერ-  
თად შრომა შეუნდებელი სიხალისეა. „თავი გაბეზრებული მქონდა  
მარტო შრომით. აქ შრომის ვერც კი ვტყობილობა.. მაგონდება ჩოჩე-  
თელი კოლმეურნის ნათქვამი. სამწუხაროა. რომ დრო არა გვაქვს  
აქაურ კოლმეურნეთ მოვესაუბროთ...

გავიაჩეთ ბაშევვზე, არჯევან-საჩვანზე. მარცხნით აუარეთ ბეჭ-  
ტაშენს, გედაკლარს, მინასკენდს, მარჯვნით ყიზილაჭლი — ჩილაჩს.

კლდეკარი თრიალუთის ყოველ კუთხიდან მოჩანს. ზღაპრული  
აქლემის გიგანტური ორი კუზი თითო რჩბის ბუდით. ასეთი გეჩვე-  
ნება კლდეკართა მშვერვალები ცახის ნაგრევებით 15—20 კილო-  
მეტრის სიშორიდან. მიახლოვებისას სურათი მრავალფერად იცვ-  
ლება. ხან მრისხანე და მიუდგომელი ჩანს ის, ხან მშევდად და სანდო-  
მიერად გამოიყურება, მაგრამ არც ერთხელ სიღუმლობის რიცე  
მსა არ სცილდება...

ნახევარი კილომეტრის მოშორებით ჩვენი „ფურგონი“ დავტო-  
ვეთ. სპირდონა ბერძნიც დარჩა. მას „ყაშაყაია“ რათ აინტერესებს? ციხეზე ყიზილაჭლელი თათარი გუმბეთა ალბაშოლი წაგვუა. სა-

ჩუქარ-გისამრგელოს მოლოდინში ის ხალისით მოსცილდა გრიფის ულს, რომელიც ამ სოფლის კოლმეურნეობას გაება ანუ ულმარიზატული ნავად. გრმბეთა გუთნისდეობას ასწავლიდა ახალგაზრდმა ჭავჭავაშვილი ურნეს... „უკკე უწემოთაც მოხნავს“ — გვიპასუხა მან, როგა ჩევნ შიში გამოვთქვით, რომ მისი წამოსკლით გუთნეული მუშაობას მოსცილდება.

წალკიდან კლდეკარზე მისადგომი გზა რაიმე სიძნელეს არ წარმოაღვნის. გზას აქ, რა თქმა უნდა, არავინ უვლის, მაგრამ ბუნებრივი პირობების წყალობით ის საქმიოდ კარგადაა შენახული, ასე რომ ეტლს თავისუფლად შეუძლია კლდეკარის მწვერვალებს ზედ ძირზე მიაჭვეს. ეხლა ეს გზა კი არა, ნაგზურია, მაგრამ ხელოვნურად გატერილი კლდეები და მწვერვალებზე მიშენებულ ციხის კედლების ნანგრევები მოწმობენ იმ უურადლებასა და მზრუნველობას, რომლოთაც სარგებლობდა ოდესმე აქ გარდამავალი უმნიშვნელოვანესი გზა. დღეს ცველაუყრი ეს წყალდაწყვეტილ წისქვილსა ჰგავს. მაც ცოცხლებელმა მდინარემ შორს აუქცია, სხვაგან დაიდო კალაპოტი, სხვაგან დააბრუნა წისქვილები და მდინარის მიეცევის თან გაპყარების ქვილეც..

გრმბეთამ როგორც ციხის, ისე ადგილის სახელი კარგად იცის: კლდეკარს ეძახის. მას საინტერესო დაკირვებაც აქვს: შეუმჩნევია, რომ სანამ კლდეებს გაკვეთდენ და გზას გაიტანდენ, მანამდის კლდეზე გადასაცლელი გზების ნაშთები აქმდის კარგად შენახულა. მან მიექცია მასზე ჩევნი უურადლება, გვაჩვენა აგრეთვე მეორე გზაც. რომელიც აგრეთვე არ გადიოდა გაკვეთილ კლდეებში... გრმბეთას დაკვირვება სახესშით სწორი აღმოჩნდა: თრიალეთის მხრიდან ორი გზა შემოდიოდა კლდეკარში საშერეთოდან და დასაცლეთ-სამხრეთოდან. ისინი ერთი მეორეს მხოლოდ ულელტეხილზე შეეყრებოდნენ. არც ისინი იყვნენ სრულიად მუნებრივინი და კლდეებში ისინიც ადამიანის მიერ განატანი ჩანა. შემდეგ ულელტეხილი ღრმად გაუკვეთიათ და ორივე გზაც ულელტეხილზე მიდგომამდის შეყრილა.

ნაკვეთი კლდის სიღრმე რამდენიმე მეტრია. განი — სამი მეტრი. საინტერესოა: ხიდის კურტანი ძევრზე (ზ. იმერეთში) და ხიდის განი ყაურმაში (გავახეთში) ასეთივე განისაა. რკონის ხიდის განი კი  $1\frac{1}{2}$  მეტრია. ეს უნდა სხვადასხვა ღროვით და სხვადასხვა სატრანსპორტო საშუალებებით აიხსნას. ნაკვეთი გზა გაერთიერთ და ქართლს გადავადებით. ტყეში მოჩანან — მეტრია, გოსტიბე, რკონი, შორს — ფილები, ქვემოთ მტკვრის პირი და მტკვარს გაღმა აშურიანი. ზოგჯერ ციხიდან გორიც ჩანს — გვეუბნება გრმბეთა.

შთავერი გზა აქედან კოსტიბე — ერთი წმინდა და  
დის მეორე სალომე — სამაჭალოთი რკონ უკარცხული  
ჩება თეძმის ხეობით თრიალეთიდან გრაფიკოსები  
ს ულგზას. არსებობდა თუ არა ძევლად მესამე გზა: — კლდეკარი—  
გარჯანი — წინარეხი დასადასტურებელია, თუმცა საამისოდ სასარ-  
გებლო მოსაზრებათა მოყვანა აქაც შეიძლებოდა. დღეს კლდეკარის  
ციხეზე ბილიკი ჩრდილოეთიდან აღის. აქედანვე უნდა ყოფილყო  
ასასვლელი ძევლადაც: სხვა მხრიდან ის სრულიად მიცდგომელია.  
ჩრდილოეთიდანც ფერიად დაქანებულია და ციხის ხა-  
ფუძველი კლდეები ისე გაღმოსწოლიან ქართლში გარდამავალ გზას  
და ციხეზედ მიმავალ ბილიკს, რომ ყოველ წამში განადგურება-ამო-  
ქოლვას ემუქრებან. საშუალო საუკუნეების საომარი ტექნიკის პი-  
რობებში კლდეკარის ციხის იერიშით აღება შეტაც ძნელი უნდა ყო-  
ფილყო. ის საკმაოდ მოზრდილი ფერდალური ციხეა. აფებულია  
მთის ორივე მწვერვალზე, რომელთა შორის შემაერთი კედელი ყო-  
ფილა ამოყვანილი შესავალი დიდი კარებით. დღეს ეს კედელი გარ-  
დველია. თათარი გუმბეთის გაღმოცემით აქ კედელი და კარები  
სრულიად ხელუხლებლად იყო დაცული. სულ რამდენიმე წლის  
წინ მეხმა დაპკრა და კედელი დაანგრია. „აქედან თათარი კაცი არა-  
ფერს წაიღებს“ — გვაიმუდებს გუმბეთა. — „ერთხელ აქ მე კარგი  
ქვა ვნახე გათლილი, სახლში წაყიდვ სარკმელს უდებდი; მამამ გამო-  
ვო და მაშინვე უკან აღგილზე მიმართანინა — დაგაქცევს“. ღიმი-  
ლით მოვიყვა გუმბეთა აქმდის ჩეცნში სიძველეთა დაცვის ამ ქრ-  
თადერთი საშუალების შესახებ, მაგრამ გუმბეთის გულუბრყვილო-  
ლიმილიდან გაფრთხილებაც ისმის: აქმდის ცრუ შიში რამდენიმედ  
მაინც იცავდა ძეგლებს, ამიერიდან კა... ნეტავ თუ აქვს სიძველეთა  
დაცვის კომიტეტს კლდეკარი დასაცავად აღნუსხული? კლდეკარის  
მწვერვალზე ერთ საათს დავრჩით. შენიშვნების ჩაწერა, სურათების  
გადაღება, დიდებული სანახაობით დატებობა, ფიქრი... სამჩრეთით,  
მანგლისის მხრით, საუცხოვო წაწენარი ტუეა, მდინარე ალვეთის  
სათავეც იქ არის. პირველი სოფელი აქეთვენ უგუდეთია: ჩრდილო-  
ეთით სამაჭალოს ხევი გაცილებით უფრო ღრმა. ციხის გაღმა, ხევის  
დასაწყისში ჩანს სოფელი ზირთა. „იქ ქართველები ცხოვრობენ, —  
გვეუბნება გუმბეთა და უმატებს — ჩეცნი ყორული იქა — გვიჩვენებს  
ზედ სოფლის თავზე გავლებულ საზღვრის ნიშანს. წინათ ეს სულ  
ბატონის იყო, დათიკო ჭავახოვის, ყორული გაღმოლმა წალკაში იყო,  
ეს ციხეც მისი იყო, მერე ჩვენ ვინივლეთ და ჩვენი ყორული იქ  
დადგეს. ეხლა იქ ჩვენი ცხვრის ბინებია, ციხეც ჩვენ ყორულშია —  
დასარულა გუმბეთამ...“

„ქამთა სრბოლა“ — თდესმე მრისხანე ციხე, რომლის სახელი  
— ღმოსავლეთის მფლობელმა ტოლჩულ ბეგმა ისევე იცოდა წარმარწმუნები  
კორც დასავლეთის შპრინებელმა ბიზანტიის კიისარმა, დადალიშვილის  
მიუვება სასოფლო ყორულს და მიუვება ისე. რომ არც ერთ — პა-  
ტრონს, როგორც ძეველს, ისე ახალს ის (ციხე) არ აინტერესებთ: მათ  
შორის დავა ცნორის საბალახოს ეხება...

ვპრონდებით უკან. შთაბეჭდილება წარუხოცველია, მაგრამ დიდ  
ნაცილსაც ვგრძნობთ: შთაბეჭდილებები ისტორიის „მასალად ნაცილ-  
ბად გმოსადეგია... მეტყველი კი აქ მცირე გადაიჩინილა. ტრადიცია  
გაწივიტილია, ძეველი საეკოგრაფიო სახელები წაშლილია... საცო-  
დავი ჩანან აწინდელი ადგილობრივინი, რომელთაც არაფერი იქვთ  
სათქმელი კლდევართა შესახებ. სპირიდონა ბერძენს მეტად ესამოვ-  
ნა, რომ ის მოსაწყენ ლოდინს გადავარჩინოთ. ცხენები სწრაფად  
შეიძა და წასასვლელად მოემზადა. საქმაო გასამრჯელოს მიღებით  
კმიუთფილი მეგობრულად გამოვვეთხოვა სიმპათიური გუმბეთა და  
წასვლისას სპირიდონა ბერძენს მარჯვე გზა ისწავლა. მაგრამ სპი-  
რიდონი იმ ტრის ადამიანია, რომელიც კითხვასა და გაგებას არ თა-  
კილობს, მაგრამ სხვისი ძნელად სჭრა და ნაცადი და ძნელი ურჩევ-  
ნია შეიძლება უკეთესს, მაგრამ უცნობს მან მოუსმინა გუმბეთას  
და ისევ ძველი გზით წამოვიყვანა. ბაშქეცა და არჯევან-საჩვალში  
შევამოწმეთ თაყაოშვილს მიერ გაღმოლებული წარწერები.

შემტაშენის მარცხნით ბარმაქსიზილან 5 კილომეტრის მოშორე-  
ბით ნასოფლარი გვიარეთ. აქ ორი ეკლესიის ნანგრევია და ერთია  
სამლოცველო მთაზე. სამლოცველო ეხლაც პატივშია. აქ ეხლაც  
მიაქვთ სხვადასხვა შესაწირავები. სოფელი საქმაოდ მოზრდილი ყო-  
ფილა. ამის მოწმობს აურაცხელი ნასახლარი ორმოები. საინ-ტერე-  
სოა: ყველა აწინდელი სოფელი წალკას, ჯავახეთში ან ზურტაკე-  
ტის ხეობაში გამოუკლებლივ ძველ ნასოფლარებზეა გაშენებული.  
და რამდენია კიდევ პარტაზი... ეს პარტაზები იმითაც არის საინ-  
ტერესო, რომ საშუალებას იძლევიან დაახლოებით გამოვარევიოთ  
მცხოვრებთა რიცხვი სოფელში ძველად. აღწერის დავთხები ამის  
მაგივრობას კერ გასწევენ: ისინი მეტად ნაგეოანევი ხანისანი არიან,  
როცა მოსახლეობა ამ კუთხებში მეტად შეთხელებული იყო. პარ-  
ტაზი კი გაცილებით უფრო დიდი ხნის შეიძლება იყოს — სოფელი  
ერთბაშად ან პარტაზდებოდა, ჩვეულებრივ ეს თანდათან ხდებოდა  
— და უფრო ობიექტური მაჩვენებელიც არის აღწერის დავთხებზე,  
რომელსაც ყოველი შესაძლებელი საშუალებებით ემაღლებოდენ. სა-  
კიროა მხოლოდ შესწავლის იქნეს ქართველი გლეხის მოსახლეო-  
ბის ტიპი ამ ჩაიონში. გამოირკვეს იმ ნაგებობათა რიცხვი და მოცუ-

ლობა, რომელიც თითო ოჯახს ჰქონდა... ძნელია გამჭრალი ცერემონია, სევდიანია მიტოვებული სოფლების სურათი... რა შემცირებული ველებენ ისინი უსიტყვოდ... რა შავბნელი დრო იყო... უზაფირის ჩარენა ნებს, რომ ეს წარსულია, რომ აქმო და მომვალი „ჩვენვე გვაუდნის“.

უკვე მხე ჩაღიოდა, ბარმაქსიში მივაღწიეთ... სწორედ იმ ხიდზე, რომელშიაც დატანებულია ახლობელ ეკლესიებიდან მოტანილი ქვები წარწერებით, ჩვენ დაგვხედენ წალეის რაიპარტეომის მდივანი და სხვა ადგილობრივი ხელისუფალნი. მათ ჩვენ მეტად სასიამოვნო საუბარი გაგვიძეს ისტორიაზე, ერებზე, ენაზე, სიძველეებზე. მათ აინტერესებთ, სურთ იცოდენ მეცნიერების მიღწევები ამ დარგში და ვერძნობდით ჩვენს დანაშაულს, რომ ექამდის ვერ მივიწოდება აღნავ მაინც დამაქმაყოფილებელი მეცნიერული ცოდნა. ვერ მივვაწოდებია ისიც კი, რის მიწოდება შეგვიძლია და ვინ იყას, რით არ იკვებებიან. ხიდზე წარწერები შექმნიშვეთ, დათარიღება პროც. თავაოშეილისა სწორია. ის ეკუთვნის 1058 წლის შემდეგ ხანას, მაგრამ, ვფიქრობთ, კიდევ უფრო ზედმიწევნილობითაც შეიძლებოდა ამ წარწერის დათარიღება. ის იწერება იმ დროს, როცა თრიალეთი ლიპარიტის და მისი სახლის ხელში აღარა და საერთსთავო მირიან თარხონის ძეს—ატენის ერისთავს აქვს მიუღმული. მასვე იქვს ამ დროს მანგლისიც და ვერს ხევიც, ე. ი. უკველა ის, რაც ლიპარიტ ქართლის ერისთავს ჰქონდა ამ მხარეში. როგორც ცნობილია, ლიპარიტის შემდეგ მისი შვილი ივანე საბერძნეთს ვარჩა და მხოლოდ რამდენიმე ხნის შემდეგ ლიპარიტის თხოვნით დაბრუნა ბაგრატი და მამეული სახელოც უკუ მისცა. იმ ამ დროს, როგორც ჩანს საერთსთავო მირიანს ჰქონებია. ეს უნდა ყოფილიყო 1059—1062 წლებში. ამის შემდეგ ქართლის ერისთავად და კლდეკარის პატრინად ისევ ივანეა ბაგრატის და მისი ძის მეფობის პირველ ხანებშიაც... ასე რომ ეს წარწერა ეკუთვნის 1059—1063 წლებს. უკვე ბნელოდა, როცა ჩვენ პინას მივატანეთ.

წალეის რაიპარტეომის მდივანი ამ. ნაზაროვი ჩემი ნაცნობი აღმოჩნდა. 1927 წელს ის ახალქალაქის მაზრის აღმასკომის თავმჯდომარედ იყო. პან გულთბილი დახმარება აღმოუჩინა ჩვენს ისტორიულ-არქეოლოგიურ ექსპედიციას. ამ. ნაზაროვი ლირსეულად აფასებს ისტორიულ ნაშთებს, საჭიროდ სცნობს მათ დაცვას. ის, როგორც ყველ კულტურულ აღამიანს შეეფერება, ისტორიის მოყვარულია და სურს იცნობდეს იმ მხარის წარსულს, საღაც მას პრაქტიკული საზოგადოებრივი საქმიანობა უხდება. ჩვენ ურჩევდით ხაძეელეთა დაცვის კომიტეტს ნაზაროვისთან ამზანავებთან საქმიანო-

კავშირის დაჭრის გზით ცდილოყო სიძველეების დაცვას. მათზე უკეთ მთ ვარავინ დაიცავს... მხ. ნაზარეთვი როგორც მაშინ, ჯერა- თში, ეხლაც ცდილობდა გაეგო ჩეენგან ამა თუ იმ პუნქტში მისმა და ამ ნაშთის შესახებ, გვირჩევდა გვენახა ისინი...

სამწუხაროდ, ჩეებ ძეგლების სათითაოდ დათვალიერების დრო არა გვერდა, არც ჩვენი სახსრები გვაძლევდნენ ამის ნებას. იძუ- ლებული ვიყავით მახელად ერთი გავლით დაცვიაუთილებულია- ვით და ამ მრავალმნიშვნელოვანი მხარის ზედმიშვენითი ისტორი- ულ-გეოგრაფიული მომავალი წლებისათვის გადაგვედო.

გზა ბარიაქსიშიდან ფარავანზე (და არა ფონოვარი იხ. ოუკ) იჩია: შემოვლითი — გუნია-ყალა, თაქეილისა, ედიქილისა, აზშმაზე გავლით და პირდაპირი საძოვარ სათიბებზე გადავლით. რა თქმა უნდა, ჩვენი სურვილი პირველი მარშრუტი იყო... სამწუხაროდ, ეს არ იყო სპირიდონის ბერძნენის სურვილი, რომლის დამაჯერებელ არგუმენტს უსიტყვოდ ვემორჩილებოდით: ვემუქრებოდა რომ ამ შორი გზით წამსვლელი ის არა და სჯობს სხვა მოვნახოთ.. ღმის 3 სათი იქნებოდა სპირიდონა მოვდადგა კარებზე. რადგან სოფლებ- ზე არ გავივლიდით ჩვენც ვარჩიეთ ღამით მთვარის შექმნე გაგვი- კლო წალკის ნაწილი, რომ ხვალის დღე ჯავახოსათვის მოგვეხმა- რა. სამწუხაროდ, ღმევ ღრუბლიანი შეიქნა და ცივი, ცოტა ხანში ნისლიც დაყარა და გაწეიმდა კიდეც. — „აქ სულ ასეა, გადავივლით და წვიმა არ იქნება“ — ვეამდებდა სპირიდონა ფურგონში სა- ცოდავად შეუცუდულ ნიბაღწანურულ ექსპედიციას. საძოვრები, სა- თიბები, იალალები. „აქ ბორჩალულ თათრების „კარვევებია“ — გვე- უბნება სპირიდონა. ნისლი მეტად ხშირია. გზა არა ჩანს. სპირიდონა, ეტუობა, ასცდა გზას. ათვალიერებს. ბუდუნებს. უცებ საუცხოვო ცხენზე მამაცურად მჯდომი ვაკეაცი თავს წამოგვადგა. სპირიდონა შეესაუბრა და რა გაიგო რომ გზის არ ამცდარა ქმაყოფილმა ცხე- ნებს შეუძახა. მხედარმა ჩქარა გააქანა ცხენი და ნისლში მიიმაღა. თათარია, აქ „კარვევა“ აქვს.. ათასი წლებია მთათ ეს ჩეეცულება იქვთ. ბორჩალულში ისე არ გაიძლება... მაგრამ ქართველები, სომხები, გერმა- ნელები — არსად მიღიან ხოლმე... მიტომიაცა ვერ უძლებენ იხილე- ბიან. თათარი კაურბის, ემალება მალაზიას, გვერმანელი ებრძვის და კულტურული ცხოვრებით ცდილობს დაამარცხოს ის, ქართველი და სომხები არც ერთს სხიათს არც შეორეს და სენიც მათზე იყრის ჯარს. ამავე ღრმის ეს „თათრული წესი“ ჩვენში უძველესი დროიდან იყო... ის XVI—XVII საუკუნეებში ჭერ კიდევ იყო სამეგრელოსა და ქვე- მო იმერეთში. სამწუხაროდ ეს ჩვეულება გადავარდა, ხოლო სა- მავიერო შეიარება სენთან კულტურული ბრძოლა ხათანალოდ ვერ

განვითარდა და დასწეულდა მთელი მხარეები... უკანასკნელი წლებში ხალხმა მოაგორავეობის სახით სცადა ღლებინა ძველი წესი. მაგრამ ეს გურია—სამეგრელო—იმერეთი. აქ კი ისევ წყდჭრილი ტო მარაბდა, მარნულ, დურნუეს მაგალითები ჩადა ტურქის კუმუსის სინია გათენდა. საცავ ფარავნის ტბას მივაღვებით. თანდათან გადა-იღო ნისლი. იქეთ არც უწევიმია, ნაბადის ქვეშიდან გამოვდეურით. ჩვენს თვალწინ ფარავნის ტბა უზარმაშან სარკედ გადაიშალა. აქ უზადა კლიმატური საღგური იყოს. ნალვლიანად ამბობს ერთი, იქნე-ბა კიდევაც... რა სანადირო იქნება ზამთარში... რა სასპორტო იქნება... „თავფარავნელი ქაბუკი საფარის ქალსა ყვარობდა“... ამ ღიღებული შემოქმედების ავტორნი არც გაღმა დატენილან, არც გამოღმა. სულძალლი ბებერი — ევთა მსელულობა აფი და ულმობელი იყო გაფახტის მეციდრთათვის...

რა კარგია, რომ ეს ყველაფერი იყო და აღარ იქნება... ლამაზი მეთოლიები გამაბეჭრებელი წიაქით დასტრიალებენ თავს მეოვეზე-ებს, რომელთაც ბადე იმუტორებიათ და ნანადირებს ჰქონებენ. თევზი ვიყიდეთ და სოფ. ფარავანისკენ წავედით. 12 საათი იყო, როცა სო-ფელს მივატანეთ და უმაღ ქარვასლასთან გაეჩნდით.

ასეთივე საგზაო პუნქტების არსებობას. მოწმობს „ქარვასლის ხევი“ და „ფუნდუკი“ კომარეთ-ბაშიერთის რაიონში და თვით „ბა-შქიჩეთიც“, შეიძლება ვითიქროთ, საგზაო პუნქტის აღმნიშვნელი ძევლი ქართული ტერმინის თურქული შესატყვისია.

ფარვანაში სამუალო სიღიდის თლილი ქვის ეკლესია. სამხრე-თის კუდელზე მთავრული წარწერა: ქვ შე პ-ლე. ივოვი წარწერა გა-მეორებულია უფრო დაბლა. წარწერა შეიძლება XI—XII ს-ის იყოს (ლაიი ნუსხურია). სპირიდონაშ ჩქარა მონახა ნაცნობი ქალა. თევზი შეაწევევინა და ჩვენ მაღიანად ვისადილეთ. უკვე ორი საათი იყო ფარვანიდან რომ გამოვედით. აქედან ახალქალაქმდის ორმოცი კილომეტრია. ცხადია, ვერ ჩავასწრებთ. გადავწყვიტეთ სოფელ განძაში გავათოთ. ფოკასკენ წავედით. ფოკადან ფარვანისკენ შუ-ზედ გზა განშტოვდება. ერთი ფარვანაზე მიღის, ხოლო მეორე გადა-იღლის გულოვოლის მთას და მიღის მდინარე ქარვასლისხევით. ამ ხევის გამოსავალს უნდა ყოფილიყო „ფუნდუკი“. სალამალეიქზე გაიღლის. აქ სალამალეიქში პროფ. ლეონ მელიქშეთ-ბეგის გაღმოცე-მით ისეთივე ქარვასლაა, როგორც ფარვანში. ფოკაში გადავიღეთ XI ს-ის მშენებირი ტაძრის სურათები, შევამოწმეთ 1927 წელს ჩემს მიერ გაღმოწერილი წარწერები და საჩქაროდ განძისავენ წა-ვედით. ფოკაში კორაქზე მოჩანს ციხის გალვანი. ის სიმაოდ ფარ-

თუ ადგილს უვლის გარს, ეს არაა ფეოდალური ხანის ციხეს. ტაძა  
გალავანს შეინიო პატარა ეკლესია ჩანს.. განმა ისე როგორც ფრთხ.  
მდინარე ჯავახეთის მტკვრის ორივე ნაპირის არის გაშენებული წერტილები  
დან „ფოკანი“ და „განძანი“). ის საქმაოდ დიდი სოფელია. გამოიხა  
სიძველეებია: „ერშაპი“, ციხე-გალავანი, ორი თლილი ქვის ეკლესია  
და სასაფლაო.

განძის ციხე — ჩეეულებრივი ციხე-გალავანია. ასეთი ციხის და-  
ნიშნულება შეიძინობა—ომის დროს მთელი სოფლის მოსახლეობის  
შეხიზენა იყო. მიტომ ის განსხვავდებოდა ფეოდალური ციხე-კო-  
შივისაგან. პირველში მთავარი იყო გალავანი თავისი სათოფურებით  
და ბურჯებით. ასეთ ციხეში სხვა ნაგებობა შეიძლება არც ყოფილა-  
კო ან თუ იყო, ის მთავარი ან იყო... ციხე-კოშე კი უმთავრესად ამ  
კოშეს ძეცვედა ყურადღებას. ასეთი ციხე მოცულობით უფრო პა-  
ტარა იყო, მაგრამ უფრო მაღალი და შეუდარებელი როგორი. ის ფე-  
ოდალის მთელი „კარი“-სოფერი იყო ვათვალისწინებული და ამ-  
ტროებით თავშესაფარად, არამედ სამედამდევო საცხოვრებლად...  
გალავანი ასეთ ციხეს დამოუკიდებელი არცა ჰქონია. ის ამავე ტროს  
შენობის კედლებსაც შეადგენდა, პირველის სიმაგრე მისი გალავანის  
ტევადობა და მეოთხეთა სიმრავლე იყო, მეორესი კი მისი სიმაღლე  
და მიუდგომლობა... პირველი უმთავრესად ფორმით სწორი რთხ-  
ეცითხედი იყო. მეორე ამ მხრით გარკვეული ფორმისა არ ჩანს: მისი  
ფორმა დამოკიდებული იყო იმ ადგილისაგან, სადაც ის შენდებოდა. პირველი შედარებით ვაკე ადგილის შენდებოდა, მეორე კაფარ  
კლდეებს და მთის მწვერფალებს აბოლოებდა. თავიანთ დანიშნულე-  
ბით ისინი ძირითადად განსხვავდებოდენ. ციხე-კოშე ახლობელი  
ოლქის აღმინისტრაციული ცენტრი იყო. ციხე-გალავანი კი უმთავ-  
რესად ხალხის დროებით თავშესაფარი და თავდაცვის ადგილი იყო,  
ვარეშე მტერთაგან. ციხე-კოშე სწორედ უკანასკნელი ფუნქციის  
პატარებელი არ იყო: მთელი მოსახლეობის შესახიზნად ის ვათვა-  
ლისწინებული არ იყო, არამედ მხოლოდ ლაშქრის, ე. ი. ფეოდალის  
ძალისა. ციხე-კოშე ფეოდალურ კლასობრივი საზოგადოების ლკი-  
ლი, მისი დამახისითებელი და მისი ბურჯი იყო. „აზნაურის“ ატრი-  
ბუტი ციხე-კოშე იყო, ის პირველ ყოვლისა მის კლასობრივ პატო-  
ნობის ემსახურებოდა. ციხე-კოშესა და ციხე-გალავანის კონსტრუქ-  
ციული განსხვავება ზემოთქმულს გარდა უეპეელია შეიარაღების  
ტექნიკისაგან იყო დამოკიდებული. ციხე-კოშეს დრო ეს არის „ლაშ-  
ქრის“ და აბგრის ხანა, ციხე-გალავანი — ეს უკვე თოფის ხანა. პირ-  
ველი შეიარაღება უმაღლესი კლასების ნიშანია. თოფი სახილხოა...

აქედან ქრონოლოგიაც: ციხე-კოშკი საერთოდ უფრო ძველი გადავანზე, რა თქმა უნდა, გამონაცლისები აქც არის. არ გვაძლევთ ბა ისიც, რომ ასებობს ჩვენში უძველესი ა-ციხე-ჯალვანი ტერიტორია თავისი დანიშნულებით განსხვავდებოდნენ ამათგან და განსხვავდებოდნენ კონსტრუქციულადაც, მაგრამ ამაზე სხვა დროს.

სამწუხაობოდ, სასაფლაოს დათვალიერება არ დაგვცალდა. ის სოფელს მოშორებულია. ჩვენ ის 1927 წელს ვნახეთ. და მაშინაც ისეთ პირობებში, რომ სასურველი სისრულით დათვალიერება შემდეგისათვის გადავდეთ. მახსოვს იქ ფრიად საინტერესო ქვის ჯვარი ეგღო ასომთავრული წარწერით. ქვა ვულკანური იყო და წარწერა მეტად ძნელად იყითხებოდა. ასოების მოხაზულობა დიდ სიძველეს ამეღლავნებდა. ეხლა ჩვენი ფინანსები ისეთ ყოფაში იყო, რომ, თუ ას ვიქეარებდით, ცუდ დღეში ჩაყრას გვემუქრებოდა. ხოლო სასაფლაოს დათვალიერება ერთ დღეს ჟელმეტს პეტრის მობლისმობდა... კვლავ გადავდეთ...

განძაში ისე როგორც ფოკაში უნდა ძეელად ხიდი ყოფილიყო ჯავახთის მტკვარზე. აქედან გზა მიღის დმანისისაცენ ზურტყერტ-მაშავრის ხეობით. აწინდელი ხიდი ძეელი არაა საინტერესოა გამოკვლევა: აქვე იყო ძეელი ხიდი, თუ შეიძლება აქვე ახლოს შენახულიყო საღმე ძეელი ხიდის ნაშთები? სამწუხაობოდ, ჩვენ დრო აღიარა გვერდა სამისო, ხოლო განძელო სამისო ცნობა რაიმე ვერ მოგვაწოდეს.

განძაში ოემაღმასკომის კანცელარიაში მოვთავსდით. უნდა აღნიშნოს: 1927 წელთან შედარებით სოფლებს ჯავახთში შესამჩნევი კეთილმოწყობა ემჩნევა. სახალხო-საზოგადო დაწესებულებაში უკვე მზის სინათლეზეა გამოტანილი: ქვის ლიმაზი სახლები აუგიათ მათთვის... აქა-იქ ზოგიერთ კერძო პირთაც მიუბაძევთ და მიწიდან ამომძვრალან. რა თქმა უნდა, ეს მარტივი და ადვილი საქმე არ არის, მაგრამ უცველად სასურველი. ყოველ შემთხვევაში საცხოვრებელი ბინების ბოსლიდან გამიჯვნა ეხლაც შესაძლებელია... ასეა თუ ისე, მოგზაურს ეხლა საშუალება აქვს ჯავახურ ოდაში მონიაცის სუნით არ გაიგულოს...

თემაღმასკომის თავმჯდომარე, უდარიბესი გლეხი, ფრიად პატიოსანი კაცი ჩანს. ის ამიცე დროს კოლმეურნეობის თავმჯდომარეა და მისი თავდაცებული მუშაკი. გულწრფელად უხარის და მორცხვად ამაყობს თავისი მიღწევით — რაც კიდევ უფრო სიმპატიურს ჰყოფს მას: — განძაში ჩვაასი კომლია, შარშან ჩემს აქ მოსვლისა.

კოლექტივში სულ 15 კომლი იყო. ეხლა ასი კომლია და ვრცელობდა  
თუ მიმდინარე საშეურნეო წელი სასურველად დავისრულს „მარ-  
შის თრი ამოდენა იყოს“.

მეორე მისი სიამაყე განძის შეიძლებადია „ჩემი სკოლა ჭერ და—  
თავრებული არაა. ის ძლიერ დიდია... ნახეთ“... მართლაც საცეცხო  
შენობა დაუწყიათ. გატაცება და სიყვარული, რომლითაც საქმის მო-  
თავენი არიან გამსჭვალული, საქმის საწინდარია იმისა, რომ მოკლე  
ხანში სოფელ განძაში შეიძლებადისათვის საუკეთესო შენობა მზად  
იქნება. დილას აღრე წარმოვედით ეშტია—ყაურმას მიმართულებით.  
განძის „ვეშაპი“ ჭერ კიდევ 1927 წელს მენახა. ეხლაც გამოიარეთ.  
სურათიც გადავიდეთ. ეს ძეგლი ლიტერატურაშიაც ცნობილია. ეხ-  
ლაც მუშაობენ ამ საკითხზე, კერძოდ პროფ. ლ. მელიქსეთ-ბეგი.  
ამიტომ მე, ამ საკითხში არა სპეციალისტი, არას ვიტუვი. მხოლოდ  
ერთი კითხვა. ამ „ვეშაპებთან“ საერთოდ ბევრი ისეთი ცერემონიე-  
ბია და ტერმინებია დაკავშირებულია, რომლებიც ფალოსის კულტის  
დაუინებით უსვემენ ხახს. ამიტომ უკანასკნელი საფეხური (ქრის-  
ტიანობამდის) ამ ღვთაების განვითარებაში თითქოს სწორედ ფალო-  
სი უნდა ყოფილიყო და არა ვეშაპი, მათ ვეშაპობა, თუ ასეთი მართ-  
ლაც იყო, უფრო აღრინდელი ხანისა უნდა იყოს.

სოფელი ეშტია გავიარეთ — იქ სიძეელე არა გვეგულება რა—  
და ყაურმას მივედით.

სამწუხაროდ, ამ ჩემი „დღიურის“ ბოლო ფურცლები დამკარგა.  
თუმცა ეს ნაკლი რამოდენადმე შევსებულია სხვა დროის ჩემივე  
„დღიურში“. იხ. აქეე: გვიხეთის 1933 წლის ექსპედიციის დღიური.

## ჯავახეთის 1933 წლის ექსპედიციის

### დღიური

(საანგარიშო მოხსენება)\*

საქართველოს მუზეუმის ხელნაწერთა განყოფილებას სხვათი შორის ერთი დიდი საქმე აქვს განშრახული. ეს გახლავთ ქართულ წარწერათა კორპუსის გამოსაცემად დამზადება. განყოფილებას, რა იქმა უნდა, გათვალისწინებული აქვს ამ საქმის სირთულე-სიძნელე. მან კარგად იცის, რომ ასეთი საქმე სხვათა შორის ვერ მოთავსდება, მაგრამ მან ისიც კარგად იცის, რომ დღესდღეობით ამ საქმეს სხვა მოვირნახულე გარდა საქართველოს მუზეუმისა არავინ უჩამს, ჩოლო საქართველოს მუზეუმში სამისოდ მოწოდებულია ხელნაწერთა განყოფილება.

აღნიშნული საყითხი კარგა ხანია ქართულ სამეცნიერო წრეების ზრუნვის სავანია. რამოდენიმეხელ წარმოწყვებულიც იყო ეს საქმე. წამოწყვებათა უშედეგობა უცნერგიობით იცხსნება... ამავე დროს სხვა საშუალო საქმეთა შორის ეს ყველაზე მოუთმინარია. დაგვიანება-ჩამორჩენილობის სამწუხარო შედეგი იქ ყველაზე თვალნათლივია. განადგურებულია და მეცნიერებისათვის სამუდამოდ დაკარგულია მრავალი უძველესი წარწერა და, რაც კიდევ უფრო სავალოა, დღეს ჩვენ თვალწინ დიდის სისწრაფით ნადგურდება და იღუპება ის, რაც აქვთ დიდი სამთა ქარტების გადაურჩა.

ამ პირობებში ჩვენი სამეცნიერო წრეების მოვალეობა და პასუხისმგებლობა დიდი და სერიოზულია. დრო აღარ ითმენს. ეს დიდი საქმე გადაუდებლად უნდა შესრულდეს.

დაუ, გამოცემა დაგვიანდეს. მთავარია და საშუალი მასალის შეგროვება, მეცნიერულად დამზადება. განადგურების საშიშროებისა გან მისი გადარჩენა.

\* ქვეყნება პირველად. წაყითხული იყო თბილისის უნივ. საქართველოს ინსტიტოს კოსმოგრაფიის კაბინეტის სტანდაზე 1937 წ.

ამიტომ ხელნაწერთა განუოფილების გაბედული წარმოადგენა  
ჩვენი სამეცნიერო წრეების მხრით ცხოველი თანაგრძნობისა და კულ-  
ტურული ურჩევის შემწევობა-დახმარების ლირისა.

სასიამოვნო გარემოებად უნდა აღინიშნოს საქართველოს ტუნე-  
მის დირექციის საღი მიღვომა ამ საქმისადმი და განსაკუთრებით  
ამზ. 6. ღლონტის საქმიანი თავგამოდება, რის შედეგადაც ეს საქმე  
პროექტ-გეგმათა სუეროდან რეალურ შესრულების საფუძველზე  
დაღვა.

ამზ. გ. ბოჭორიძისა და ჩემი წლევანდელი მოვლინება სწორედ  
ამ საქმის დასაწყისია.

ამისდა მიხედვით ჩემი სამივლინებო მოცანა სავსებით გარკვე-  
ული იყო: ლიტერატურაში არსებულ გავახეთის წარწერათა შემო-  
წმება და ახალ წარწერათა აღმოსაჩენად მხარის მოხილვა. ამას  
გარდა სპეციალური დავალების სახით ნაკისრი მქონდა მხარის სია-  
ველების აღნუსხვა და სიძეველეთა დაცვის მდგომარეობის შესახებ  
მოხსენების წარმოდგენა. და თუ მიუხედავად ამისა დღევანდელს  
ჩემს საანგარიშო მოხსენებაში ამ გარკვეულ დავალებათ გარდა სხვა  
სციონისტური არის საუბარი, ეს იმ იმდრო, რომ დამსწრე ამხანა-  
გების აზრის მოსმენა ამ საინტერესო საკითხების შემდგომ დაღრმა-  
ვებით შესწავლაში მოხსენებელს შეუწყობს ხელს.

გავახეთში ჩემი ისტორიულ-არქეოლოგიური მუშაობა მე დამ-  
თავრებულად არ მიმართია. თუ მეტი არა, კიდევ ერთხელ მივლინე-  
ბია მაინც აუკილებელია, რომ ჩვენს სამეცნიერო შეძლების პირო-  
ბებში ვასათვალისწინებელი მასალა სისრულით ამოწურულ იქნას.  
ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ სურვილი არ მაკლადა, მე დასრუ-  
ლებული სახის ნარკევების წარმოდგენას ამჟამად ვერ განვითრახვა-  
დი. მაგრამ, რადგან მომავლის მიმირთ დაზღვეული არავინაა, ამი-  
ტომაც ნაკისრ დავალების შესახებ მხოლოდ შშრალი ანგარიშით და-  
კავშირულება მე არ ვისურვე და თქვენს წინაშე მეცნიერულად დაუ-  
მუშავებელი საკითხების მოხსენება ვიკადნიერე.

ფორმით ჩემი მოხსენებისა მისიდა შესატერად პასიური იქნება:  
ის მცირედ შესწორებული (უკეთ „გადათეთრებული“) ჩემი სამო-  
გზაურო დღიურია.

29. VII. ახალქალაქის რაიონშისკომის თავმჯდომარების მოაღვილე:  
—დიალ, ციხის დაცვის საქმე ცუდადა. ანგრევენ. ვიბრძვი. რაფორ  
იქნება იქ დაყენებული ისტორიულ სიძეველეთ დაცვის საქმე—ნათე-  
ლია. ნაზარეტიანშა, რაიონშისკომის თავმჯდომარებ, მხოლოდ რამ

საისტონიო ძეგლის არსებობა იცის მთელს რაიონში: ახალქალაქი კიხე და კუმურდო... და ესეც აღმართ იმის წყალობით, რომ შარზან თუ შარზანშინ ვიღაც უცხოელ სტუმრებთან ერთად ვარძია კაცების დო ინახულეს მთავრობის წევრებმა... და როცა მე, სიძეელეთა დაცვის კომიტეტში საგანგებოდ დაუცულ ახალქალაქის მაზრის სიძეელეთა სიი წარუდგინე, ამს. ნაზარეტიანი გულწრფელად მაჯერებდა, რომ მან ასეთი ისტორიული ძეგლების არსებობის შესახებ არა იცის რა. თავმჯდომარის განცხადებას სხვებიც ამოწმებდნენ: არც მათ იცოდენ სიძეელეთა დაცვის კომიტეტის „ზრუნვის“ ეს ობიექტები. სიი გადაიწერეს ადგილებისადმი დასაგზავნად. სახელდახელო თათბირზე ვამოითქვა აზრი: საჭიროა სარაიონო ჩამონებული. უფასოდ არავინ იყიდებას. საჭიროა გასამრეცლო. ხარჯების ნაწილს აღმასკომი გაიღებს, ნაწილიც კომიტეტებმა გაიღოს...

ასეთი ადვილი შეთანხმება მე არასაიმედო მეჩვენა: გასულ წელს პროფ. ს. ყაუხებიშვილი, დოც. ს. განაშია და მე გავლით ახალქალაქში ვიყავით. ვნახეთ — ძველ კინძეს ანგრევდენ. სამწუხარო გარემოებაზე ჩვენ ამს. ნაზარეტიანს მიუთითოთ. მან კატეგორიულად დაგვამედა, რომ ასეთს ამიერიდან ადგილი არ ექნება და რომ დამნაშავეს პასუხი მოეთხოვება. მიუხედავად ასეთი დაპირებისა ციხის განადგურების პროცესი შემდეგაც გაგრძელებულა... მე იქვე სხდომაზე აღვნიშვნე ეს გარემოება და ჩვენი საურთიეროო სიმპატიებიც, როგორც შევატყვე და შემდეგ კიდეც დაერწმუნდი, ამის შედეგად საგრძნობლად შეწელდა...

ძველი აქალ ქალაქი. ეს სიძეელეთაგან ცოცხალი თოთქმის აღარისერია. შედარებით ნაგიანევი ციხე, რომელიც 1927 წელს თოთქმის მთელი იყო, უკანასკნელ დღეშია: სრულიად გაუტუაებიათ ციხის შიგნით თლილი ქვის ნაგებობანი. თლილი ქვა ქალაქის აწინდელ შშენებლობაზე მოუხმარიათ. ეხლა კორე ქვის ბურჯებს და კედლის ნაშთებს მიღვომიან და ანგრევენ. ციხის შიგნით ერთადერთ გადაჩნენილ დარბაზში საქათმე მოუწყებათ. უსუფთაობა-სიმყრალის გამო. საშუალო საუკუნეთა ამ საინტერესო შენობის დათვალიერება-შესრულად ყოვლად შეუძლებელია. ინგრევა და ნადგურდება ქალაქ გარეთ ახალქალაქის წყალზე გაშენებული ძველი აბანოები...

ქალაქის ადგილმდებარეობა ტიპიურია. ის გაშენებული ყოფილა სამუზხედულების, რომლის წევრს გავიხეთის მტკვრისა და ახალქალაქის წყლის (აწინდელი ყერბულაბ ან უკეთ „ტილიფის“, ე. ი. დლიკის წყალი) შერთვის წერტილი წარმოადგენს. სამკუთხედის გვერდებია ამ მდინარეთა მიერ შექმნილი ლრმა კალპოტები, ხოლო სამ-

კუთხედის საფუძველში ციხეა მოთავსებული, რომლის წინა გადასახლება  
ბურჯები ქვერავინ ქალაქს. სამეცნიერებლის (—ქალაქის) სამართლებული  
მთავრობითი იმპერატორის, როგორც ფრინველი მოზრა  
შეიღება..

არ შეიძლება ითქვას, რომ ახალქალაქი ისეთივე მთულები იყო  
სამი მხრით, როგორც ღმიანის ან სამშვილდე. აღნიშნული მდინარე-  
ები აქ ასეთ ლრმა და ყაფიან ხევებს არა ქვემით. ცოტად თუ ბევრად  
ქალაქი კოველმხრით მისადგომი უნდა ყოფილიყო. მიმტომ აქ კე-  
დლებს, გალავანს მთავარი მნიშვნელობა უნდა ქვემოდა. ამას თრ-  
მხრივ ადასტურებენ როგორც ისტორიული ცნობები, ისე გალავანის  
აწინდელი ნაშთიც, რომელიც საკმაოდ მოჩანს მთელი ქალაქის ვა-  
რშემო. შედარებით კარგადაა დაცული კარიბჭის ნაშთი სამხრეთ-და-  
სავლეოს მხრიდან. მეორე კარები ქალაქს უნდა ქვემოდა აღმოსა-  
ვლეულ-ჩრდილოეთის მხრით. ქალაქის შუაში გადაოდა საქმაოდ გა-  
ნიერი, მაგრამ არა მარჯვე ქუჩა... ქალაქის სამეცნიერების წვერში  
უნდა ყოფილიყო ეკლესია სასაფლაოთი. მესამე კარიბჭე, უაპე-  
ლა, ციხის მხრიდან ქვემდა ქალაქს. ქალაქის სამხრეთ-დასავლეოს  
მხარეს ყოფილა ქარგასლა, რომლის ცალი მხარე — ათ თალოვანი  
დღესაც დაცულია. ქარგასლა თლილი ქვისაგან ნაშენი უნდა ყოფი-  
ლიყო: ამის ცხადი კვალი დაცულია. ეს ნაშთი მხოლოდ მიმტომ  
ვადარჩენილა, რომ ის ნაგვიანევად ციხის ჩრდილო-დასავლეთ კედ-  
ლად გამოუყენებიათ.

ქუჩის გაწმენდით, ზღუდის გარემხრადან ვათხრა-ვაწმენდით,  
შეიგნით ნაგებობათა შესწავლით, ქალაქის შეიგნით და მისი გარეუბ-  
ნის განვითარებით შეიძლება საინტერესო შედეგების მიღება სხვა ასე-  
თივე ქალაქებთან შედარებითი შესწავლის გზით... დროა დაისვას სა-  
კითხი საქართველოს და ამიერკავკასიის ძველი ქალაქების ტარორი-  
ულ-არქეოლოგიური შესწავლისა. ქალაქების ტიპები, მათი სიღიდე,  
გამონაბის წესები, ქალაქების ნაწილები და უბნები, ქალაქების  
ზრდა და კლება, მათი ეკონომიკურ-პოლიტიკური და კულტურული  
მნიშვნელობა... საქართველოს მუზეუმი, სახელმწიფო უნივერსიტე-  
ტის საქართველოს ისტორიის კათედრა, საინჟინერო დარგის სააღმ-  
შენებლო სპეციალობის კათედრა, თბილისის კომუნალური მარ-  
თველობა და სიმველეთა დაცვის კომიტეტი, — ყველა ამათ წი-  
ნაშე შეიძლება დაისვას ეს საკითხი. ხუროთმოძღვან-აღმშენებელი,  
ტოპოგრაფი, არქეოლოგ-ისტორიკოსი, ფოტოგრაფი — ასეთი ექსპე-  
ციის წევრები უნდა იყვნენ.

ძეელი ახალქალაქის დაცლა და აწინდელი ქალაქის ახალ ადგილზე დაარსება ორც ისე ძველი ამბავია. სოფელ დილისკაში ცუცუჩურული თურმე მოხუცი, როგორსაც ეს საქმე ახსოვს; ყოველ შეუზღიურებულ ეს ამბავი XIX საუკუნის მეორე ნახევრისაა. მიუხედავად ამისა ტელ ქალაქში, როგორც აღვნიშნეთ, ნაშთები ფრიად მცირეა. თვით ციხეს საქმაოდ დიდი ტერიტორია უჭირავს. ის არამც თუ ქალაქს ჰქეტავს სამხრეთიდან, არამედ თითონაც ყოველმხრით იქეტება, ასე რომ აქობოლისის შთაბეჭდილებას სტოვებს. თუმცა ძნელია დაშვება, რომ ეს უძეველესი დროიდან მოდის. უფრო სამართლიანი იქნებოდა დაგვეშვა, რომ ციხე ქალაქის მხრიდან გვიან ჩაიკეტა, უკანასკნელის ეკონომიური დაცემისა და შემცირების შემდეგ, როცა ქალაქს აღარ ჰქონდა იმის შექლება, რომ ფართო ტერიტორიის გალავანი განვითარებულ სამხედრო ტექნიკის (თოფ-ზარბაზანი) შესაფერად განემტკიცებია.. საფრთხის დროს ამიერიდან მოსახლეობა სტოვებს ქალაქს, ისე როგორც ძველ დროს გარეუბანს სტოვებდენ, და ციხეს შეეფარება. შემცირებულ მოსახლეობას ადვილად იტევს საქმაოდ ფართო ციხე. მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო ის გარემოებაც, რომ ოსმალთა მფლობელობის დამყარების შემდეგ ეს ციხე, უკეთელია, გამოყენებული იყო, როგორც გარეშე მტრისაგან დასაცავად, ისე ადგილობრივ დაპყრობილ მოსახლეობაზე საბატონოდ მეტი ცოვნე თურქული ჯარი, ბუნებრივია, დაპყრობილ მოქალაქეთაგან მტკიცებული კადა კადლით იყო გამოყოფილი. ისევე, როგორც თბილისის „ციხე“ სპარსული ჯარით XVII—XVIII საუკუნეებში...

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ გვაეიშუდება, რომ ქალაქისაგან ციხის ასეთი გამოყოფა საშუალო საუკუნეების ქალაქის სოციალურ ურთიერთობის ნიადაგზედაც ბუნებრივად იახსნება. ფეოდალი, ქალაქის პატრინი არა ნაელები ციხე-კოშკით ემიგნება თავიანთ ყმებსა მაგრამ ყველა ეს ზოგადი სამართლიანი მოსაზრებანი ყოველ კონკრეტულ შემთხვევისათვის ისტორიულ დადასტურებას მოიხსოვს... კერძოდ ახალქალაქის ციხის შესახებ ჩვენ ვიცით, რომ გარკვეულ დროიდან ის ოსმალთა მეცისონე ჯარის სადგომი იყო და აქვე ცხოვრობდა ჯარის უფროსი და მხარის შმართველიც... როგორ იყო საქმე მანამდის, XIV—XV—XVI საუკუნეებში, როცა საუფლისწულო ჯავახეთის მოსაქარგვე თანდათან მისი მემამულე შეიქმნა, ჩვენ სამწუხაროდ, სამისო ცნობები არ მოგვეპოვება. ამ დროს შესაძლებელია აქ ამ ქვეყნის მემკვიდრე მფლობელად გამხდარი ფეოდალი მედარიყოს და ქალაქის ციხე-გალავნისაგან განცალკევებული ცახე-კოშკი შეონოდეს: ხოლო შემდეგ როცა ეს ქვეყნები ოსმალთ

ჩაუკისრდათ ხელთ, ციხე-კოშეკი ამ ახალშა ბატონშა თავისი შილების  
სა და დროის მიხედვით გამოიყენა.

ციხი 1020-დან

ასეა თუ ისე, აწინდელ ციხეს იმ კედელთან არაფრთმა პატიმაზეთა-  
თო, ქალაქს რომ ახლად შემოავლეს შე-XI საუკუნეში...

ახალქალაქი ნაგვიანევად წარმოშობილი ქალაქია. არა ჩანს რას  
ემყარება ივ. როსტომაშვილი, როცა წერს, რომ „ახალქალაქი და-  
რისა მეუე ბაგრატ III (980—1014), მავრამ უკიხოლდ“-ო. ასეთი ცნო-  
ბის არსებობა ჩვენთვის უცნობია. თავისითავედ კი ახალქალაქი შე-  
სძლოა მართლაც ამ ხანებში წარმოქმნილიყოს. რა თქმა უნდა, ეს  
არ გამორჩეავს იმ გარემოებას, რომ აյ ქალაქზედ უწინ, დიდი ხნით  
ადრე, იყო მოსახლეობა, რომ ქალაქი შემდეგ თანდათან წარმოიშ-  
ვა და მისი სახელმწიფო დადასტურება (სანქცია) რამე განსაკუთ-  
რებული საქმიანობით აღინიშნია (ქარგასლის აშენება, ფუნდუკების  
აშენება, ეკლესიის აგება), რაის შემდეგ მას „ახალქალაქი“ ეწოდა.  
ანალოგიურაოვის შეგვეძლო ისტორიულად უდავოდ ცნობილი ატე-  
ნის ქალაქიდ გამოცხადება მოგვემოწმებდა ბაგრატ IV დროს შე-XI  
საუკუნეში. ახალქალაქის ნაგვიანევად წარმოშობილობაზე სხვადა-  
სხვა გარემოებანი მიუთითებენ: პირველად თეოთ სახელი. უდავოა,  
რომ ის ქართველების მრერ არის დარქმეული, რაც ერთგვარ ქრისტ-  
ლოგიური ვარაუდის შესაძლებლობას იძლევა. მეორეც ისა, რომ ამ  
კომპოზიტის მეორე შემადგენელი ნაწილი (სიტყვა ქალაქი) ნასესხე-  
ბია და ჩვენს ენაში გარკვეული ხნიდან შემოღის. საყურადღებოა,  
რომ ჩვენს შემთხვევაში ამ ნასესხებ ტერმინს თვისი პირვანდელი  
მნიშვნელობა (ქალაქი—ზღუდე) დაკარგული აქვს და მოსახლეობა —  
მეურნეობის სრულიად გარკვეული ტიპის აღსანიშნავადაა გამოყენე-  
ბული (ახალქალაქი უზღუდო იყო და ეს სახელი კი ერქვა). ამ ტერ-  
მინის შინაარსის ასეთი მრავალმნიშვნელოვანი შეცვლა ჩვენში, სა-  
შეურნეო ცხოვრების დიდ ცვლილებასთან დაკავშირებული, ასევე  
მტერუ ქრისტოლოგიური საყრდენის მომცემი შეიძლება იყოს.  
დაბოლოს, თეოთ სახელი „ახალქალაქის“ შექმნის ქართველი ენობრი-  
ვი ტექნიკა (მსაზღვრელი საზღვრულის წინ) ისეთი ხასიათისაა, რომ  
თუ ამ სახელის სიძეველეს არ ეწინააღმდეგება, მაინც მის. ნაგვიანე-  
ობას უფრო უჭერს მხარს.

მოყვანილ მოსაზრებებს მხარს უჭერენ ისტორიულ-ლიტერატუ-  
რული ცნობებიც. ლეონტი მროველის წყარო ახალქალაქს არ იც-  
ნობს და ჯვახეთის მშართველთ წუნდაში მიუთითებს. არც მეოთხე  
საუკუნის შესახები საქრისტიანო გადმოცემანი იცნობენ ახალქალაქს  
და ჯვახეთის სარწმუნოებრივი ცენტრი სხვაგან ეგვალებათ. კიდევ

უფრო ნიშანდობლივია ქართველთა მოქცევის მოთხოვნის დაუმიტა  
ახალქალაქის შესახებ. სომხეთიდან წამოსული ნინო ფარავნის ტბის  
პირს დადგა. აქ მას ქართლელმა მეტევარეებმა მცხეთის ჭირის მიზნებით  
ლეს. გავახეთის მტკერის დიყოლებით წამოვიდა ნინო და სულ  
წყლის პირით ვლი მცხეთამდის. მთელი გზა გავახეთ—სამცხეზე აქ  
უდაბურად და საშიშრად არის წარმოდგენილი. ნინომ ლხინება მხო-  
ლოდ მაშინ პოვა, როცა მდინარეებ აღმოსავლეთისაეკი იქცა პირი  
(ე. ი. როცა აწინდელ ქართლში შემოვიდა). ამიერიდან მას აღარ  
ჰქონდა მქეცავან შეკმის. შიში, რადგან მრავლად პოვა ქალაქ  
ურბნისს და შემდეგ მცხეთის მიმავალი მგზავრები. ამ მჩავალმხრივ  
საინტერესო ცნობიდან ჩვენთვის ამჟამად საყურადღებოა: 1. რომ  
ასებობს გზა სომხეთიდან საქართველოში გავახეთზე გავლით, 2.  
რომ გზა ფარავანიდან მცხეთის მდინარის პირს მისდევს, 3. რომ გა-  
ვახეთზე (და სამცხეზე) მდებარე გზა უდაბურად და საშიში და კულ-  
ტურული პირობები მხოლოდ ქართლში შესვლის შემდეგ ახლავს ამ  
გზას.

გავახეთის გზის აუთი დახასიათებისას ახალქალაქის აჩვებობა  
შეუძლებელია (ეს გზა მას ვერ აუქცევდა).

სხვადასხვა მოსაზრებათა შედეგად შეიძლება განვალადოთ, რომ  
მოტანილი ცნობა სინამდვილეს მოყლებული არ უნდა იყოს, — იმ  
ნაწილში მაინც, რომელიც გზის ხსიათის ეხება, — და რომ ეს ცნო-  
ბა ძველი დროიდან მომდინარეობს.

ყველა ეს თანხმობით მოწოდს, რომ ახალქალაქი ნაგვიანევი ქა-  
ლაქია. მაგრამ ახალქალაქის მდებარეობა ისეთია, რომ ძნელი დასა-  
შვებია აქ „უდაბნო“ ყოფილიყო იმ დროს, როცა გავახეთი საერთოდ  
დასახლებული იყო. პირიქით, აქ უძველესი მოსახლეობის კვალია  
საძიებელი (ამ მხრით ამირანის გორა საგულისხმოა). ბუნებრივად  
კარგად დაცული ადგილი, თევზით მდიდარი მდინარეთა ნაპირები  
და ნოკიერი ველი (სამოვარ-სახნავი)... ამ მხრით მას იშვიათად თუ  
სხვა ადგილი სჭობნიდა გავახეთში.

მაგრამ აქ არ იყო ქალაქი. ქალაქს ასეთ ბუნებრივ პირობების  
ნიადაგზე უმოაერესად საზოგადოებრივი (სოციალურ-ეკონომიკი)  
პირობები ქმნის. ასეთი პირობები კი ახალქალაქს ნაგვიანევად დაუ-  
დგა, დაახლოებით IX—XI საუკუნეებში, როცა საქართველოს სხვა-  
დასხვა მხარეს არა ერთი და ორი „ახალქალაქი“ წარმოიქმნა.

ფრიად დამახსიათებელია, რომ XI ს-ში უკვე ქალ აქს—ახალ-  
ქალაქს ჯერ კიდევ ზღუდე არა აქვს...

ქვეყნის ძლიერი ეკონომიკური წინსელის შედეგად ამ ეპოქის  
ქალაქები ჩნდება და იზრდება უციხოდ, უზღუდოდ, „უპირველეს გა-  
ეს არ არის ფეოდალის სასახლის, მისი ციხე-ქოშის უშუალობაზეცაც  
ბა-პატრიონობას შეფარებული ყმა ხელისნები ან ყმა ვაჭრებია... შე-  
იძლება ფეოდალი განწდეს აქაც, ეს ასეც მოხდა, მაგრამ ეს პოხდა  
უფრო გვიან. ასეთი ქალაქები, ბუნებრივია, ერთგული დასაყრდენი-  
უნდა ყოფილიყვნენ მეფის ხელისუფლებისათვის დიდგვარიან ფეო-  
დალებთან ბრძოლაში.

რა თქმა უნდა, ამათ გვერდში, ამავე ეპოქაში ფეოდალური ქა-  
ლაქებიც წარმოიშვიან... XI ს-ში ახალქალაქი ჯავახეთის ეკონომიკუ-  
რი და პოლიტიკური ცენტრი იყო, ხოლო თვით ჯავახეთი კი საუფ-  
ლისწულო ტერიტორიაა. ქართლის ძლიერ ფეოდალებთან ბრძოლის-  
დროს „აფხაზთ მეფეები“ უმთავრესად ამ ტერიტორიას უყრდნო-  
ბოდენ... ასეთივე იყო ტანას და ძამის ხეობანი შიდა ქართლში. ამათ  
უშუალო გაგრძელებას წარმოადგენდა ჯავახეთი... XI—XII ს-ში  
აფხაზ მეფეთა დომენი, საუფლისწულო ტერიტორია შეუდარებლად  
გაიზარდა და ეს მოხდა უმთავრესად უძლიერეს ფეოდალთა ხარჯ-  
ზე (ტანას ხეობა—კახას ჩამომავალი, ძამის ხეობა—ძამელი მთავრე-  
ბი, თრასალეთ-მანგლისი—ბალვანი, მუხრან-ზელაზენი — აბულე-  
თისძენი, ქასან-ლიახეზე — აბაზაძენი...).

ქართლის დიდგვარიანები იმიტომ კი არ იყენენ აგრე ჟედფიც-  
ხელი და აფხაზთ მეფეთა ხელისუფლებისადმი შეურიგებელნი,  
რომ საკითხი ეხებოდა ფეოდალურ მეფეთა ნომინალურ უფლებას,  
ამის საწინააღმდევო ფეოდალს არაფერი ჰქონდა, — არამედ საკით-  
ხი ეხებოდა ასეთი უფლების მატერიალურ დასაყრდენის გამოკვე-  
თას, რაც, სხვა გზა არ იყო, ამ ფეოდალთა ხარჯზე უნდა მომზდა-  
რიყო.

უკვე X საუკუნის მეორე ნახევრიდან მაინც, თუ უფრო ადრეც  
არა, ჯავახეთი აფხაზთ მეფეთა საუფლისწულო ტერიტორია იყო.  
ამას მოწმობს 964 წლის კუმურდოს წარწერა... აღმოსავლეთ სა-  
ქართველოს სამეფო-სამთავროებთან და ქართლის დიდგვარიანებ-  
თან ბრძოლაში აფხაზთ მეფეთა ხელში უშუალოდ მყოფი ჯავახეთი  
დიდ უპირატესობას უქმნიდა უკანასკნელთ. ის ჰყოფდა და იგივე  
აერთებდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ საქარ-  
თველოსთან. ჯავახეთის შეფეხურებულ აფხაზთ მეფეს ხელი ადეილად  
მიუწვდებოდა სამხრეთსა და აღმოსავლეთ საქართველოს უკვე  
მხარეს. მის ხელში იყო მთავარი გზები სამხრეთიდან (სომხეთი) თუ

სამხრეთ-დასავლეთიდან (ბიჭანტიიდან). ჯავახეთზე გამოვლით შეღიძენები ეს გზები „აფხაზეთში“ (სამცხით), შიდა ქართლში<sup>1</sup> (სამცხით, თრიალეთით), მცხეთა-თბილისში (თრიალეთ—მანგლისის უკანასკნელი გახეთში).

გამტარ გზების სიმრავლით და ცენტრალური მდებარეობით მხოლოდ თრიალეთი თუ შეედრებოდა ჯავახეთს... თუ ჯავახეთი სამცხე—ტაო-კლარჯეთის მხრით ჰქეტავდა თრიალეთს, თრიალეთი ქართლ—კახეთის მხრით ჰქეტავდა მას. ამ ორი ქვეყნის საეს თუ ისე გაერთიანების გარეშე, მათ მფლობელთა ურთიერთ შორის ქიშპის პირობებში საქართველოს ეკონომიკური და პოლიტიკური გაერთიანება ფრიად ფერხდებოდა. აუცილებელი ჩანდა (ქვეყნის ეკონომიკური განვითარება ამას შორის გვითხვდა): ან ჯავახეთის პატრონს (— აფხაზთა მეუკე) უნდა აელო თრიალეთი, უნდა დაემორჩილებინა ის, ან კიდევ აფხაზთ მეუკეს უნდა დაეთმო ჯავახეთი თრიალეთის პატრონისათვის და მაშასადამე აღმოსავლეთ საქართველოსაც გასცლოდა, ხოლო საქართველოს პოლიტიკური გაერთიანების საქმე სხვას ეთავა, მაგრამ იმას კი, ვინც უპირველეს ყოვლისა ამ ორი ქვეყნის ხელში აღებას შესძლებდა.

ახალქალაქი აწინდელი ჯავახეთის გეოგრაფიულ ცენტრშია ტერიტორია კი ჯავახეთის დამაცემითის კიდურისაერნაა. ის უთრო არტანის მტკერის პირით მომავალ გზაზე მდებარე პუნქტი უნდა ყოფილიყო, კიდრე ჯავახეთის ზეგანის დამაქმაყოფილებელი ვაჭრობა-ზელოსნიბის ცენტრი. უკანასკნელისათვის სწორედ ახალქალაქი იყო მოწოდებული. და როცა ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების გარკვეულ საფეხურში ასეთი რამ აუცილებელი შეიქმნა, წუნდა ახალქალაქმა შეცვალა.

ივ. როსტომაშვილს და პიროვ. ე. თაყაიშვილს ახალქალაქიდან ერთი ძველი ასომთავრული წარწერა მოჰყავთ. ქვა ამ წარწერით მათ აწინდელ ეკლესიის გალავანში უნიავთ. სამწუხაროდ, ასეთი ქვა იქ დღეს აღარ არის. არც 1927 წელს და არც წელს ცდა არ დამიკლია, რომ ის ქვა აღმომეჩინა, მაგრამ უშედეგოდ. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ წარწერის ფოტოგრაფიული პირი არ აჩინებობს და, მაშასადამე, როგორც პალეოგრაფიული მასალა, ეს ძეგლი დალუპულია. მოიპოვება ივ. როსტომაშვილის მიერ გადმოღებული პირი. წარწერა ნაკლულია. ის იყითხება:

<sup>1</sup> ამ ორითდე წლის წინ ეს წარწერა კვლავ აღმოჩნდა და დაცუ<sup>2</sup> ის ინახება ახალქალაქის სამხატვოსტურნეო მუზეუმში.

აღვმრნე; ესე; შ-ი  
...სსა; და; ამ-რსა  
... გმკლისა; ძეთა;  
...არ-ტს; პტ-რნბა; შ-ა  
...ოცვლ [ლ] სლ-ისა; და  
...ა; ის დ-აგს; შედ-ნ; ლ-ნ; ა-ნ

პროფ. ე. თაყაიშვილი ამ წარწერას X1საუკუნისად თვლის. ეს შეცდომად უნდა ჩაითვალოს: ტერმინი ამირსპასალარი მხედართ-მთავრის ოლსანიშნავად ჩვენში XIII საუკუნეზე იღრე არ უნდა ყოფილიყო; გამრეკელის ძენი (თუ ამირსპასალარი ამ გამრეკე-ლის პატივად წავიკითხეთ) შეიძლება იყვნენ შეიღები თამარის დროის ამირსპასალარის დიდი გამრეკელ თორელისა, რომლის სიკვდილის შემდეგ მის შეიღებს „ომოგვისაგან კიდე არარა დააკ-ლეს“<sup>2</sup>. ეს იყო 1190 წელს. ამ წარწერის ასე გაგებისას ელებუ-ლობთ: თუ ამირსპასალარ გამრეკელის სიკვდილის შემდეგ „ომო-გვისაგან კიდე არარა დააკ-ლეს შეიღლოთ მისთა“ და ამ წარწერით კი მათ საუფლისწულო ჯავახეთში რაღაც ესაქმებათ (ახალქალაქის ეკლესის აგებენ?), ჩევნ შეგვიძლია დავასკენათ, რომ ჯავახეთი სა-კარგავად თორელებს ჯერ კიდევ დიდი გამრეკელის დროიდან პქო-ნიათ (და შეიძლება ამაზე აღრიც...). ამ გამრეკელის ერთ-ერთ ძეს ჰყავდა შეიღლი გამრეკელი თორელი, რომელიც მონღოლებმა საქარ-თველში უმეტობის უამს— XIII საუკუნის 40-იან წლებში ჰყვეს ბევრის მთავრად და „კელთ უდვეს ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუ ქალაქამდე“<sup>3</sup>.

ამის ძე, ცნობილი მეცურჭლეთუხუცესი, კახა თორელი აგრეთვე ჯავახეთის მმართველია და ახალქალაქის ერისთავადაც იხსენიება<sup>4</sup>. კახის შეტ სახელად, საფიქრებელია, ჯავახი რქმეოდა. XIII ს-წის უკანასკნელ მეოთხედში ცნობილია გამრეკელ ჯავახიშეიღლი<sup>5</sup>. იყო თუ არა ეს უკანასკნელი ახალქალაქის ერისთავი, არა ჩანს.

<sup>2</sup> ქართლის ცხოვრება, ე. თაყაიშვილის გამ., 1906. ტლ., გვ. 444.

<sup>3</sup> იქვე, გვ. 624.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 671.

<sup>5</sup> იქვე, გვ. 779.

რაიონის ხელისუფლებას სახაზინო ფასებში სატრანსპორტო  
სამუალებანი ვთხოვეთ თუ ეს არა, კერძო ბაზარი მიუწვდომელი  
ჩანს. როგორც გადმომცეს, სოფლებში სანოვაგის შოვნაც რეაქცია  
გაძნელებულია, პური კი სრულიად არ იშოვება გასული წლის მოუ-  
სავლიანობის გამო. აქ, ახალქალაქში პური კერძოდ 6 და 7 მანეთს  
ფასობს ვირვანქა. ხელისუფლებას ნორმის პური მოვთხოვეთ. პა-  
სუხს სამი დღე უცადეთ. რაიონის მდივანში ამს. იშხანოვშა გადაჭ-  
რილი იმედი მოგვცა.

სოფლების გამოყითხვა, ძველი ქალაქის დათვალიერება, ამი-  
რანის გორაზე ასელა და სოფელ ხულგუმოს ძველი სასაფლაოს ნახ-  
ვა — ეს იყო ჩეენი საქმე ქალაქში ამ უნდაში ჯდომის დროს. ხულ-  
გუმოში თურქულად მოლაპარაკე კათოლიკური სარწმუნოების მო-  
სახლეობაა. ასეთივე ბავრა, კარტიკამი და, როგორც გადმომცეს,  
ტურცი. სომხურს ესენი ეხლა ითვისებენ. მათ თავიანთი ეროვნუ-  
ლი ვინაობისა არა იციან რა: ხელგუმოდან 35-ოდე უმატვილი ახალ-  
ქალაქის ქართულ შეიძლებელში (ეხლა ზევე ათწლებში) სწავლობს  
და ამიტომაც თავის თავს ქართველს უწოდებს, სოფელში სომხური  
სკოლაა გახსნილი და სომხურად მოსწავლენიც თავს სომხად აღია-  
რებენ, მაგრამ ორივე ეს იმ შემთხვევაში, თუ არ მოეშვებით და იმტუ-  
ლებთ თავიანთი ვინაობა სარწმუნოებრივი მომენტის გარეშე გან-  
საზღვრონ, რაც მათ მეტად ეძნელებათ. ჩვეულებრივ ისინი თავის  
თავს ფრანგებს („ფრანგ“) უწოდებენ.

ხულგუმოში ძველი ეკლესია არ შენაბულა. ძველი სასაფლაო  
(გმურგილერი მეზერისტან — ასე უწოდებენ მას ხულგუმოები)  
საქმაოდ მოზრდილია და შედარებით დაუცულიც... სასაფლაოს შეაში  
საქმაოდ ღილი წრეა კვებერთელა თითქო კედლის ქვებით გარშემოვ-  
ლებული. წრის შეაში ერთი თლილი ქვაა — სვეტის ნატეხი (%). აქ,  
უნდა ვიფიქროთ, ეკლესია იყო. წრეშიაც და მის გარეთაც მრავლა-  
და საფლავის ქვები. ამათგან ზოგი უბრალო გაუთლებო ლოდია,  
ზოგი კიდევ „ნანდვილი ქვა“ (ერთი ბაზალელი ქალის გამოთქმით),  
ე. ი. ხელოვნურად (და ზოგჯერ ხელოვნებითაც) გათლილ-გამოქან-  
დაკებული. ასეთებია: სადაც გაკუთხული, სიონის სახის, ჯვარის  
სახის მდგარი (მატური), ან კიდევ ქანდაკებანი ვერძების, შეკაზმუ-  
ლი ცხენების, ადამიანების სხვადასხვა საყოფაცხოვრებო, სამეურ-

ნეო თუ საომარი იარაღებით... ხულგუმოს ერთ-ერთ ვერტენ თუ ქული წარწერა შევამჩნიო. სამწუხაროდ ფოტოაპარატი წამისდა/და ეს მეტად საინტერესო ექნებოლარი (ქრისტიანულ სასაფლაოს/ქრისტიანის საფლავის ქვაზე თურქული წარწერა.) გაძმულებულია დამტკიცირებულად. დამტკიცირებულად. თუ ვინმე მკვლევარი გაივლიდა აქ რამე წარწერას საპოვნელად, თორემ სხვა მხრით ის იშვიათად თუ ვინმეს აინტერესებდა...

ამავე ღროს სასაფლაო ტალ-ტაქლე და მთლიანად შესწავლილი ფრიად საინტერესო და საგულისხმიერო მასალა შეიძლება იყოს საზოგადოების მეურნეობის, ყოფა-ცხოვრების, ხელოვნების და რელიგიის ისტორიისათვის. საზოგადოების სოციალ-ეკონომიკური აღნავობაც საინტერესო თვალსაჩინოებით არის ხოლმე წარმოდგენილი ამ სხვადასხვა სახისა და ხარისხის ძეგლებით.. ძეგლი ხანა (ე. ი. საშუალო საუკუნეები) ამ მხრით, როგორც ჩანს, სრულიად არ განსხვავდებოდა შემდგენლოინდელი ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან, რომლის სასაფლაო, საფრე მივარზნილ სოფელში არის ის, თუ სამრეწველო ქალაქის ცენტრში, სრული რელიგიური ასახავს ამ საზოგადოებაში არსებულ სოციალურსა და ეკონომიკურ დაფენების...

სამწუხაროდ, ასეთი მასალა არა თუ არ იცემა, სიძეველეთ დაცვის კომიტეტსაც კი ის აქამდის დაცვის ობიექტადაც არა აქვს გამოცხადებული: ჯავახეთის ისტორიულ სიძეველეთა სიაში, სიძეველეთ დაცვის კომიტეტში რომ მომცეს, სადაც ნაშთები დახარისხებულიც კია, „პირველად“ და „მეორე“ კლასის ძეგლებად, არც ერთი სასაფლაო (და მით უფრო ტალკეული საფლავის ძეგლი) დასახელებული არაა.

ნეტავი როდის იცნობს სიძეველეთ დაცვის კომიტეტი ასეთ სასაფლაოებს დაცვის ლიტრაცი?

ხულგუმოს სამხრეთ-დასავლეთით, მდინარე აბლარისწყლის შესართავთან, ჯავახეთის მტკერის მარჯვენით შულისპირას კლდეებში პატარა თლილი ქვისაგან ნაშენები ეკლესია დგას ( $6 \times 3$  მეტრი). მდინარის ორსავე მხარეს კლდეებში აქ მრავალი სახიშარი ანუ მღვიმეებია. თუ არ ამ მღვიმეთა ბინადართ, ეს ეკლესია სხვას არავის ემბრიობა..ან შეიძლება აქ ძეგლად „წარმართული“ ნიში რამე იყო, ძლიერი „სალოცავი“ და ქრისტიანობაში საკულტო შენობის დადგმით ამ სალოცავის „მოხსნა“, გაქრისტიანება სცადა? მაშინ ამ ეკლესის არსებობა ამ მღვიმეთა შორის (სახიშრებად ისინი გვიან ეცნები) გასაგები და საინტერესოა. სამწუხაროდ, ხულგუმოელ

მწყემსებმა, რომლებიც აქვე იყვნენ, არაფერი იციან იმის შესახებ,  
თუ რომელ „სურბ“-ის სახელობაზეა ეს ეკლესია აგებულიან რო-  
მელ „სურბ-ს ლოცულობდენ ან ლოცულობდენ ახლაც აქ ცურაბიშვილი  
საკურთხევლის აღაგის შენაწირი მჩეარი, თმა, ფული, სახული და  
ასანთი ეხლაც იძოვება)...

ახალქალაქი საბჭოთა ხელისუფლების პირობებში, რა თქმა უნ-  
და, შენდება და უმჯობესდება, მაგრამ არა იმ სიცხოველითა და  
ტემპით, როგორც სხვა მრავალი სამაზრო თუ სარაიონო ცენტრები.  
ლირსშესანიშნავ წამოწყებათაგან წყალსადენი პირველი ჩანს. განხ-  
რასულია აბლარიდან წყალი გამრიცვანონ ქალაქში. მიწის სამუშა-  
ოები ქალაქიმდის თითქმის შესრულებულია — (ზულგუმოდან ქალა-  
ქამდის ასეთ თხრილს მოვყევით ჩვენ); იმედია სულ ახლო მომა-  
ვალში მოქალაქეთ საუკხოვო წყაროს წყალი სახლებში მიუვათ და  
შორი და მიუდგომელი წყაროებიდან წყლის სახლში ზიდვა აღარ  
დავირდებათ...

2. VIII. ასე გაცრუდა მთელი ჭავახეთის ორ-სამ კუნძული მოვ-  
ლის ვარაუდი. მხარე ოთხ-ხუთ სამუშაო რაიონად დავყავით და გზას  
გაუდექით. ყველაზე უარესი სოფლებში პურის შოვნის შეუძლებ-  
ლობაა. იძულებული ვართ ხშირად ვიყოთ სარაიონო ცენტრებში—  
ახალქალაქ-ბოგდანოვკაში. სამი ღლის საგზლის თან ტარება—მაქ-  
სიმუშმია.

სოფელი ხ ო ს პ ი ა. ჭავახეთის მტკვრის ორსაკე ნაპირზე. 1918  
წლამდის მდინარის მარჯვნით სომხები, მარცხნით იერლი, ბინალი  
ანუ ქართველი მუსლიმანები ესახლენ. ალნიშნულ წელს უკანასკ-  
ნელი აყარინენ და ოსმალეთში გადასახლდნენ. დღეს მათ ადგილზე  
ორიალელი ქართველები და ბერძნები სახლობენ სოფელ რეხადან. ისინი მთლიან კოლექტივში არიან გაერთიანებულნი და მოახალშე-  
ნოების სიმძიმე მეურნეობის ორგანიზაციის ამ ახალი წესით სურთ  
გადალახონ.

გალმა ხოსპია სომხურივე დარჩა. ამ ნაწილს სახელი გამოსცვ-  
ლია. ეხლა მას მარტუნი ჰქვიან.

სიძველეთაგან, როგორც გამოლმა, ისე გალმა დაცულია ეკლესია  
და სასაფლაო. გამოლმა ეკლესია ერთი თერქი მოხელის ბრძანებით  
ძეველადვე კოშკი გადაუკეთებით. კოშკი თვით ის მოხელე დაბი-  
ნავებულა. ასეთი ცნობა ივ. როსტომაშვილისათვის ადგილობრივ  
ბეგს ფალავანდიშვილს მიუწოდებია. ეს მართალი ჩანს: ადგილობ-  
რივი მევიღრი, თუნდაც მუსლიმანი, ასეთ რასმე კერ გამედავდა.

ივ. როსტომაშვილი ამ ძეგლის დაცვის გარშემო შემდეგ  
ზოდს გაღმოვცემს: 1892 წელს აქ ხოლორობა ყოფილა. ერთ სო  
მხის დედაკაცს სიზმარში სჩენენდია, რომ ხოლორა ემს შეუძლია  
უპატიოდ დატოვებისათვის მოვლენილი სასჯელია ხალხის თავს. ის  
დროდან ამ სიძეველეს უვლიანო, დაასკვინის როსტომაშვილი. ნეტავი  
იმ სომხის დედაკაცს ჩვენი სიძეველეთ დაცვის კომიტეტისათვის  
მიეცა მაგალითი და აქაური საინტერესო სასაფლაოებიც შეეტანა  
საპატიოდ მოსავლელ-დასაცავთა სიაში! ეს ეკლესია გაზომილი აქვს  
ხუროთმოძღვარ მ. შავიშვილს.

გაღმა ხოსპიტის პატარა ძეველი ეკლესია დღეს კოლმეურნეობის  
საწყობია. სამწუხაროდ, საწყობის გამგე მინდვრად ორის წასული და  
შენობა დაეცემოს. ეკლესის გარშემო აქაც საინტერესო საფლავის  
ძეგლებია. აღვილობრივი გლეხის გადმოცემით „აქ ეს ძეგლები გა-  
ცილებით მეტი იყო... ვინ რაისთვის ხმარობს მათ: ზოგი სამეურნეო  
შენობის მასალად წაიღებს ხოლმე, ზოგი თავის მიცვალებულის სა-  
ფლავს ამკობს... განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში მიყვეს ხელი  
ამ საფლავის ჰევებს“. აზალ სასაფლაოზე ჩვენ მართლაც ეიბორეთ  
რამდენიმე ასეთი ძეგლი. წარწერა რომე ხოსპიტი არ შეგვხვე-  
დრია.

შურგახეთი. (ამავე ძირისანი არიან მურჯი, მურჯიყანი?).  
1917—1918 წლამდის მოსახლეობა იყო ქართულ-სომხური. ქართ-  
ველები იყვნენ ქრისტიანები და მუსლიმანები. უკანასკნელი აყრა-  
ლან. სიძეველეთაგან აქ ცნობილია „ძიქა“. 1917 წლამდის აქ ასეთი  
ორი ქვა იყო. მეორე — „მოკაყულა 1917 წელს ექიმმა ოგანგანო-  
ვმა მოათხრეონა“. მოთხრის დროს ის გატეხილა და შემდეგ დაკარ-  
გულა. „ძიქას“ სწირავენ: ტრედს, ქათამს (დედალი, მამალი სულ-  
ერთია), უფრო კი შავ ქათამს. რძენაყლული, ან ბერწი ოთხფეხი კი  
მოყავთ აქ. შეავედრებენ, გარშემოავლებენ. მლოცველი ქალები  
ამ ქვას ერბოს უსვამენ. საკლავსაც ხშირად კლავდენ აქ. სოფელში პა-  
ტარა ეკლესია. ძეველი ეკლესია გადაუეთებით აღმართ XVIII საუ-  
კუნეში. მხედრული წარწერა საკურთხეველში ტრაპეზის მარჯვნით:

ქ.: ლონი: შე: ცი: სა  
ბა: ჭანგურ  
საქ: მლდელი  
ვინც: შენდობა  
ბრძანოთ: თქნც

ქ. ლმერთმან შეიწყალუ ცო-  
დებლი სა  
ბა ჭანგური  
საქ მლდელი  
ვინც შენდობა  
ბრძანოთ თქვენც

მურჯახნელები (sic) (შედრ. მურნაშეთი, „მურნაშენელზაუ“) სკელეთა მოყვარული ხალხია. მათ იციან. რომ მურჯახეთი, ჭურუჩული აწინდელს ზემოთაც, ე. ი. სამხრეთით ყოფილი ახალქალქებზე და მურჯახეთის წყლის ორსახე მხარეს. „მდინარის მარვნით ნასოფლარს დიდი მურჯახეთი პქეიან, მარცხნით პატარა მურჯახეთი ა. აწინდელ მურჯახეთს კი თავი მურჯახეთი პქეიანო“, გვიაჩნია კოლმეურნე გლეხმა მიხეილ ინასარიძემ. ორივე საქმოდ მოზღვრილი ნასოფლარია. თეთო სოფელში შარშან ზამთარს აღმოუჩენიათ „დარან“ი, ე. ი. მდვიმე ფრისად ლრმა და ვანიერი. მდვიმე რჩი ნაწილისაგან შედგება. გასვალი ერთიდან შეორები—ეიწრო ხერელია ეხლა ეს ლეკებისაგან თყელასაცავად გვეთებულად მიაჩნიათ.. მეტად დიდია ლეკიანობის საშინელების კვალი, რომ ხალხი ივარწყებს უძეელეს გადმოცემებს და ლეკიანობას უკავშირებს ყოველად ისეთს. „ლეკიანობის“ დროს, უეჭველია, გამოიყენებდნენ ამ მღვიმებს, მაგრამ მათი არსებობა უძეელესი ხანიდან მოდის და უნდა ვიფიქროთ მათ შესახებ სულ სხვა ლეგენდა არსებობდა, სანაც ლეკიანობამ არ დაჩრდილა ის.. სინტერესო „ლეკიანობა“ ჯავახეთში... ლეკო თარეში საერთოდ XVII—XVIII საუკუნეების ამბავია. XVI საუკუნეში ის მხოლოდ კახეთმა იცოდა. XVII საუკუნეში ჯავახეთი უკვე რსმალეთის პროეინციას შეადგნდა. ლეკო ბრბოები ჩეელებრივ შეხედულებით რსმალეთს ვერ ავნებდნენ, ისინი თითქმ მათ დაქირავებოდნენ მხოლოდ საქართველოსა თუ სპარსეთის სხვა პროეინციების სარბევად... მაგრამ ჯავახეთის ქართველი მოსახლეობის გადმოცემანი გვაფიქრებინებს, რომ ლეკების სარბევი ობიექტი რსმალთა პროეინციებიც ყოფილა... სინტერესო ვიცოდეთ იერლი (ე. ი. ჯავახი მუსლიმანი) როგორი შეხედულებისა ლეკიანობაზე, მათაც აქვთ თუ არა „ლეკიანობა“ ასეთ მიზნად, რომლის იქით არც ერთი ისტორიული ამბავი თითქმის არ გადაიდი? სამწუხაროდ, მურჯახნელი მუსლიმანები აყრილან და რსმალეთში გადასახლებულინ. და საერთოდ ჯავახეთში იერლი სამიოდ სოფელშილა შერჩენილი მხოლოდ: ოკამში, თოკში და ქილდაში (ორ უკანასკნელში ნარევი მოსახლეობაა).

მურჯახეთის ძველი სასაფლაო ისევე საინტერესოა, როგორც მრავალი ასეთი ჯავახეთში. ვერძებსა და მოქაზმულ ცხენებს გარდა აქ ერთი საფლავის ქვეა სამღებროს იარაღებით (ქვევრი, ჯაში, რაღაც დისკოს მსგავსი), აქვე გამოქანდაკებულია მამაკაცი. ჩემმა მო-

საუბრე მურჯახნელებში ეს გაუჭირვებლად ახსნეს. „ეს მოგბაზე ჩე-  
ნებოდა, სამღებრო პეტრი გამართული და ეს დაუხატიათ, სო-  
ფელში სამღებრო ჩვენც გვიხსოვს. დად ქვევრში წყალს ჩაისახავთ და  
წამალს ჩიყრიდენ. ქვევრი სანახევროდ მიწაში იყო ჩაფლული. 00-  
ხლი ქვევრისაგან მოშორებით იყო გაჩიდებული. ცეცხლიდან მიღი  
ქვევრისაკენ იყო გაყვანილი და იქ წყალს ათბობდა. წყალში ნართს  
ავლებდენ. ლებავდენ“. სამღებროების არსებობის შესახებ ჩვენში XVIII ს-ში საბუთები მრავლად მოგვეპოვება. ყველა ამათი შეს-  
წავლით ზედმიწევნით შეიძლება როგორც ამ სამღებროთა რიცხვის  
და კუთვნილების გამორკვევა, ისე თვით სამღებროს სურათის აღ-  
გენაც. ფეოდალური ეპოქის მეურნეობის ეს საინტერესო დარგი  
ჩვენში ე. წ. ბანალურეტისაკენ იხრებოდა. ყოველ შემთხვევაში სამ-  
ღებროთა რიცხვი სრულად გარკვეული იყო და მისი იგება ყველ-  
გან და ყველას მიერ არ შეიძლებოდა. სამღებრო ჩვეულებრივ იქა-  
რით გაიცემოდა ხოლმე მეფისა თუ ფეოდალი მიერ... ის საქმიოდ  
მსხვილი შემოსავლის წყარო ჩანს ფეოდალის მეურნეობაში.. მურ-  
ჯახნელთა ეს ცნობა სამღებროს შესახებ მით არის საინტერესო, რომ  
ერთხელ კიდევ ადასტურებს ამ ტერმინის („სამღებრო“) ერთადერთ  
უდავო გაგებას (სამღებრო და არა სა-ამღებრო, ე. ი. თითქო საბა-  
რო), როგორც ეს ჩვენში ზოგიერთ მკვლევარს გაუგია...“

ლულისი 1918.წლამდის დასახლებული იყო სომხებით და  
შუსლიმანებით. უკანასკნელი ამ წელს აყრილან და ოშმალეთში გა-  
დასულან. მათი აღგიღი წალკიდან მოწვეულ სომხებს დაუჭირათ..  
ღულალისის სიძეელეთაგან შესანიშნავია: ფრიალ მაღალი კოშკი,  
რომელიც 10—15 კილომეტრის სიშორიდანაც მეტად ლამაზ სანა-  
ხობად მოჩანს... ი. როსტომიაშვილს ღულალისში ციხეც აქვს აღნი-  
შნული, ხოლო კოშკი მაშინ მოელი ყოფილა. ღლეს ციხის თითქმის  
აღ-რაფერია, ხოლო კოშკი წაქცევაზედ არის მიწევნილი: სამი მეოთ-  
ხედი გვერდებისა შემონგრეული აქვს და აღბათ ჩქარაც დაინგრე-  
ვა, თუ ასეთიც ხელის შეწყობა გაგრძელდა: სოფლელები თავიანთ  
სამეურნეო საჭიროებისათვის ქვებს მხოლოდ აქედან ეზიდებიან  
და ვინ დაუშლის, როცა რაონის ხელისუფლებამ არც კი იცის, რომ  
აქ დაცვის ლირსი რამე სიძეელე მოიპოვება? ან კი სიღდან უნდა  
ცუდეს, როცა ამ ციხისა და კოშკის შესახებ თვით სიძეელეთა ღაც-  
ვის კომიტეტში არა იციან რა: მათი სიით ღულალისში მხოლოდ

„Старинная церковь“ аრის სიძველეთ აღიარებული... „Старинная церковь“ ჯერ კიდევ არის. ეს ეკლესია არაფრით შეაცნოშნაული არაა. ის არც „Старинная“ უნდა იყოს. ძველი ამ ტაძერსიც ჩატარებული ის ქვეა, სამხრეთიდან თავკიდურად რომ აქვს დატანებული და რომელზედაც ცნობილი წარწერაა 1060 წლისა:

- 1 ჯ ქ ი დ ბ გ [ტ]
- 2 ა ფ ხ ს თ ა (sic) და ქ რ ე [ლთა]
- 3 მ ფ ე ს ე რ ტ ს ი დ ა ძ ე მ თ ი ვ ი კ პ ტ ი
- 4 რ წ ნ დ ა ღ ტ ე ბ ნ თ [ვ] ი [ქ] თ ი ლ
- 5 ქ [მნ] [ქპ] ტ ს თ ო დ ს ძ ე ს....რ თ ს
- 6 გ ნ ს ძ ლ რ [ბ ლ დ] [ა] ვ [გ ვ]
- 7 [ქ ს] [ი] გ ლ ე ს ე ა (sic)
- .8 ქ ქ ნ ი ყ უ ს პ

ე. ი. ექსპ ქრისტე ადიდე ბაგრატ აფხაზთა (sic) და ქართველთა შეფე სევასტოსი და ძე მათი გორგი კურაპალატი შე[ე]წიონ დაოტებენ თავი კეთილ[ე]ქმენ ვპატოს თოდს ძეს.... რთს განსაძლიერ[ებლად ა] ვ [აგ ე] [ქ ს] [ი] გ ლ ე ს ე ა (sic) ქრონიკონი იყო სპ. ისტორიული მნიშვნელობის გარდა ეს წარწერა ძვირფასია პალეოგრაფიულადაც: მისი თარიღი უდივოა და იმიტომაც ეს წარწერა ერთ-ერთი საყრდენია ამ ეპოქის ასომთავრული დამწერლობის შესწავლისას. სამწუხაროდ, ჩემ მიერ გადანაღები ამ წერწერის სურათი წახდა. თუ ჩვენს ფოტოთევაში ეს წარწერა არ მოიპოვება, იგი უკველად უნდა გადაღებული იქნას. წარწერა დაზიანებულია და ძნელად იქითხება. პროფ. ე. თაყიაშვილის წაკითხვა, იმ მცირე შესწორებებით მე რომ შევიტანე, საესებით მისაღებია. ციხის ნანგრევის შიგნით, მიწაში მოიპოვება მცირე სალოცავი. ის ორი ერთიმერის მსგავს ნაწილისაგან შედგება და ფორმით ეკვდიდის შთაბეჭდილებას სტოვებს (მაგრამ უცნაურია ქრისტიანული სალოცავი). უმართებულო ეს მუსლიმანების გაბატონებით გამოწვეულ მოვლენად ვაღიაროთ, როცა მოსახლეობა ჩრდიდ განაგრძობდა ქრისტიანობას: ეს „სალოცავი“ არც ისე ფარულია: ციხის შიგნით ლამაზად ნაშენი ის არ სტოვებს ნამაღლევობის შთაბეჭდილებას; ის, უკველია, თვალწინ უნდა პქონოდათ თურქ მეციხოვნეთ და მაშ მუსლიმანურ ხელისუფლებას... საფიქრებელია, რომ უძეველესი დროიდან აქ იყო რაიმე „ჯვარი“ („ჯვარი“ მისი უძველესი მნიშვნელობით, ე. ი. სალოცავი და არა ქრისტიანობის.

უმბლება), აა ასეთი „სალოცავი“, „ჯვარი“ ან კიდევ „სურბი“, როგორც მათ ადგილობრივი სომხები უწოდებენ, ქრისტიანულებრივი მოჭირნახულეთ უცდით თფიციალურ რელიგიის კულტურულ უძველესობას და სამწუხაროდ, ღულალისის სომხურ მოსახლეობაში (ისე როგორც ჯვარებში საერთოდ) ძველი ჯვარები ტრადიციები შენახული არ არის, რომ შეიძლებოდეს ამ ქრისტიანულ სალოცავში აღმოვაჩინოთ ჩვენი მოსაზრების დამადასტურებელი ჩვენებანი. ღულალისის პირდაპირ ახალქალაქისწყლის მარჯვენა მხარეს ჩანს ნასოფლარი გ ა გ ა შ ე ნ ი. რუსულ ხუთვერსიან რუკაზე ეს ვერანა სოფელი უსახელოდ მაინც არის აღნიშნული, — ქართულ ხუთვერსიან რუკაზე კი (პროფ. ალ. ჯვარიშვილის რედაქციით) ის სრულიად არა ჩანს (?!).

სოფელ მამზარა რაში სიძველეთაგან უნდა აღინიშნოს: 1. ცახე-ბურჯი უზარმახარი ქვებისაგან და, აამდენადაც ერთ ხანმოქლე დათვალიერებას შეიძლება კენდოთ, უკირროდ ნავები... ცახებურჯი დღეს საქმოდ დაბალია და თუნდაც რომ კენდოთ (და არა გვაქვს საბუთი არ კენდოთ) ადგილობრივ პარტ-მომავრებულის სასიამოვნო და კულტურულ განცხადებას ამ ნაშთის მის ღროს ხელუხლებლად დაცულობის შესახებ, ეს მხოლოდ მის ღროს, რადგან ზომეველია, რომ ამ შენობის ასეთი სიდაბლე მხოლოდ მისი ქვების დატაცებით აიხსნება. სიძველეთა დაცვის კომიტეტის ჯვარების კალოგში ეს ცახე-ბურჯი აღნიშნული არ არის. 2. „ჯ ვ არ ი“ ან „სურბი“ შიგ სოფელში ერთ ლრმა მღვიმეში ქვის სვეტი მეტრნახევარი სიმალლისა, რომელზედაც სულ ეხლახან ჯვარის სახე გამოიყენეთათ (ეს აქ ახსოვთ კიდევ). რა „სურბია“? მოხუცები არ ამბობენ, ახალგაზრდებმა არ იციან: ზოგი რას ამბობს, ზოგი რას: სარქის, პოვანეს, კარაპეტი...

სოფლიდან აღმოსავლეთით ორი კილომეტრის დაშორებით არის ვერანი მამზარა, სოფელი დიდი კონდურა, სიძველეთაგან ქ მხოლოდ სასაფლაო და გადარჩენილა. მოხუცი ქალი, რომელიც წლევანდელ შიმშილობა-სივიწროვეს ჩივის, ზედმიწევნილობით გვიჩვენებს, „პინ გერეზმან“ს (ძელ სასაფლაოს), რომელიც მისივე თქმით „ვრაცი გერეზმანია“ (ქართველთ სასაფლაო). სასაფლაოზე ჯერ კიდევ აქა-იქ დაცულია ცხენები, ვერძები. „ძველად ძალიან ბევრი იყო, სულ წაილწამოიდეს“. — გვეუბნება მოხუცი. როგორც ქ, ისე პატარა კონდურაში ჩვენ დაგვისახელეს მოე-

ლი რიგი ახლო მდებარე ვერანა სოფულები, რომელთაგან უმრავლესი  
ხუთეტრისიან ჩუსულ რეკაზე (და მით უფრო ქართულზე) ეჭვწერული  
ნული არაა. ისეთებია: შეით უმან პატარა კონდურას ჰასტატურია  
თით სამი კილომეტრის მოშორებით, ვარდისუბანთ ან ვარზაონოვან  
ან ვარაზთუ მან — პატარა კონდურას სამხრეთით. ასე სხვა-  
დასხვანაირად გამოთქვამენ ამ სახელს აქაური სომხები. ამათგან  
ორი სახელწოდება თანაბრად კანონიერია „ვარდისუბან“ და „ვა-  
რაზთუბან“. მესამე კ. ი. ვარზაონოვან უნდა ვარაზთუბანის  
დამახინჯება იყოს. ორიღან ვარაზთუ ბანი ჩვენ უფრო  
შესაძლებლად მიგვაწინია, რადგან არსებობს მისი დამახინჯება  
„ვარზაონოვან“ თავისთავად კი — „ვარდისუბანის“ წინააღმდევ  
თუნდაც ჭავახეთში, არა ითქმისრა: აյი არსებობს სოფელ ვარევანის  
აღმოსავლეთით ვერანა „ვარდის ციხე“; სოფელ ტილიფის  
(დლიფის) სამხრეთით მთის კალთებზე ვერანა „ქოხალიხარ ა-  
ბა“. სამწუხაროდ მისი ძეველი სახელი ვერ გავიგვ თე ქოხილი არ  
წარმოადგენს მის დამახინჯებას; — ვარაზთუბანის ახლოს დაგვისახე-  
ლეს ვერანა „ქელერთან“ (და არა „ტელისტა“ იხ. რუკა); —  
ხანჩალის ტბის ჩრდილოეთ ნაპირას მალაქა (და არა „მალაკა“,  
იხ. რუკა); — ტილიფიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით და ხანჩალის  
ტბის სამხრეთით — „თეზხარაბა“ (და არა „გეზხარაბა“, იხ.  
რუკა). უკეცელია უკანასკნელის სახელი სანამ ის ცოცხალი სოფელი  
იყო, თეზი იქნებოდა. აქ მოყვანილ ვერანაებიდან პირველი სა-  
მი ჩუსულ-ქართულ რუკებზე აღნიშნული არაა, დანარჩენი სამი კი  
ქართულ რუკაზე ჩუსული დამახინჯების ქართული ასოებით გამოთ-  
ქმაა. სამწუხაროდ, ყველა ამ ადგილებში ჩვენ არ ეყოფილებოთ. ვა-  
რაზთუბანის შესახებ აქ ვარევევით ამბობენ, რომ იქ არისო: ეკ-  
ლესია, სასაფლაო და ძველი „ძითაპანგ“ ანუ „ბაზირხანა“, კ. ი.  
ზეთის სახელელი „ქარხნის“ ნაშთი...

ტილიფი (სომხურ გმოთქმით „დილიფ“) დაშლიტაფას ძირზე,  
განთქმულია წყაროების სიუხვით. სახელი შეიძლება ვითიქროთ  
მცენარე ტირიფის (ტირიფ) — სახელისაგან არის ნაწილმოები (შეა-  
დარე „ტირიფონა“ ქართლში, „წნორის კახეთში). მართლაც, აქ ტი-  
რიფი დღესაც მოიპოვება. და როცა მე ამ მცენარეზე მითითებით  
ადგილობრივ გლეხებს ვკითხავდი ხარობს თუ არა ეს მცენარე აქ, ერთმა გლეხმა მითხრა: თქვენ რომ აქ რამოდენიმე წლის წინ მოსუ-  
ლიყავით, ნახავდით სახლს, რომლის კერი აქ ანაზარდ ტირიფის  
უაცრებიდან იყო ვაკეთებული. ამ „ეტიმოლოგისაგან“ დამოუ-  
კიდებლად უნდა აღინიშნოს, რომ „ტირიფი“ („დილიფი“) ბუნებრი-

უად გვაგონებს მატიანე ქართლისაით (ქართლის ცხოვრება) კავკაზი  
ცნობილ პრეტეს დ ლ ი კ ს, რომელიც ჯვეახეთის სწორედ ამ თაობის  
შინა ნაცულისხმევი.

ძველი სასაფლაო აქცი მდიდარია ცხენებ-ვერძებით. „თავათ  
მეფის დროინდელია“ — მარწმუნებელი აქაური სომხები. ეკლესია არ  
შენახულა. ყოფილა მეორე ძველი სასაფლაოც. ის საბოლოოდ მოუ-  
შლიათ: ქართოფილი უთხსიათ. მიწის თხრისას აქ უპოვიათ სახნი-  
სი, რეინის რალაც ნივთები და ორი ქვა წარწერით. „გოგაშნელი-  
ქართველი ხეცესი მოვიდაო, ვერც იმან წაიკითხაო მას შემდეგ  
15—20 წელიწადიათ“. ვეძებე ის ქვები, ვეღარ ვიძოვეთ...

დილიჭი მდიდარი სოფელი იყო — მეუბნებიან და მართლაც  
სამისო აქ ყველაფერია: სახნავისა და იშეიათი საძოვრების სიუხ-  
ვე, სელი, თაფლი, ქართოფილი—სოფლის დოვლათიანობის საწინ-  
დარია...

ხანჩალის ტბის პირზე დღეს მხოლოდ ორი სოფელია: პატარა  
და დიდი ხანჩალი, მაშინ როცა ძველად ამ ტბის გარშემო სულ მცი-  
რე ექვსი სოფელი მაინც ყოფილა.

3—4. VIII. პატარა ხანჩალი. 1918 წლამდის აქ უმრავლე-  
სობა მუსლიმანები ყოფილა. ამ წელს ისინი აყრილან და ოსმალეთ-  
ში გადასულან. მათი ადგილი სომხებს დაუცერიათ.

სოფელში დაცულია ძველი სასაფლაო ქართული და მუსლიმანუ-  
რი. აქვეა სომხეთ ეკლესის ეზოში მაღალი ოთხეული სვეტი. აღვი-  
ლობრივ ახალგაზრდა ოგანეზოვის სიტყვით ეს სვეტი აქ მანამდისაც  
იდგა, სანამ მის ძირში ტერტერას დაასაფლავებდენ, და როცა ტერ-  
ტერას ლოდი დაადგეს ეს სვეტიც ამ საფლავის დასაშვენებლად გა-  
თალეს... ლოცვა ან რაიმე რიტუალი ამ ქვის გარშემო ოგანეზოვს  
არ ახსოვს. აქვე მოვიდა მეორე ახალგაზრდა, რომელიც სახესბით  
უარყოფს ოგანეზოვის ცნობას და ამტკიცებს, რომ ქვა გამოკვე-  
თეს და მოიტანეს ტერტერას საფლავის დასაშვენებლად და მანამ-  
დის აქ არავითარი სკეტი არ მდგარა. სამწუხარისებრი ამ სოფელში გა-  
ჩერება არ შეიძლება, რომ სინამდვილე გამოვარკვით: რაღაც ინ-  
ცემიური სენი მდვინვარებსო...

პატარა ხანჩალი მეტად ღარიბი სოფელი ჩანს. ამის მიზეზი ნა-  
წილობრივ მათი ახალმოსახლეობაც უნდა იყოს. გასულ წლის მოუ-  
საელიანობას მაინც სულ გაუნადგურებია ამათი კეთილდღეობა...  
ძველ საფლავის ქვებს ვათვალიერებ. ვხედავ, ცოტა მოშორებით  
ვიღაცას სასაფლავებენ. მივედით. ვიღაც ბავშვი სურადაში გახვეუ-  
ლი უკუმ ძევს სამარეში. გარშემო ქვებს უწყობენ ქვებზე კვრს.

სდებენ. „ეთნოგრაფიული მოვლენით“ დაინტერესებულმა ფრენს  
ამის აზრი. უგემურად მიპასუხა იქვე მდგომა: „ლურსმანი არა,  
ხე არა, დასაწყლებული ვართ, მიცვალებულს დაუმარხება, ჩრდილოებით  
დავტოვებთ. ეს კევრი ზემოდან მიწას მაინც შეიივებს... შემჩრევა...  
ვინ იცის, რა თეორიები არ იშვებოდა, რომ ვინმეს მიცვალებული  
უკუბოდ კევრგადაფარებული ეპოვა ისეთ სამიწათმოქმედო ქვეყა-  
ნაში, როგორც ჯავახეთია...“

5. VIII, სოფელი ორჯალი ა. არსებული ლიტერატურით  
აქ მოსალოდნელი არა იყო რა. არც სიძველეთა დაცვის კომიტეტის  
სიაში არის ეს სოფელი და მისი სიძველე მოხსენიებული. სამწუხა-  
როდ, ეს სოფელი ჯავახეთის სიძველეთა მკლევარებს გამორჩენიათ.  
რაც შეეხება სიძველეთა დაცვის კომიტეტს, მან მხარის ისტორიულ  
სიძველეთა სიის შედგენისას მხოლოდ ამ მკლევართა მასალით ისარ-  
გებლა და ისიც არა სრულად (მაგალითად, ლულალის ციხე, როს-  
ტომაშვილის მიერ აწერილი, სიაში არ შეიტანა). დამოუკიდებელი აღ-  
წერა, ან თვალსაზრისის გაფართოება კომიტეტს ფიქრადაც არ მოსვე-  
ლია. შედეგი აქ ისაა, რომ ამ კოტა ხნის წინ, რა თქმა უნდა, მას  
შემდეგ, რაც ივ. როსტომაშვილს, მით უფრო ბროსეს, ეს მხარე შე-  
სწავლილი ჰქონდათ, ძეელი ქართული ეკლესია გადაუკეთებიათ,  
რომლის დროსაც, უკეცელად, ეს საინტერესო ძეგლი გაუნადგურე-  
ბიათ. ამ ეკლესიიდან გადატანილია სინტერესო ბარელიეფი არა  
უგვიანეს XII—XIII საუკუნისა. დღეს ის დატანებულა აწინდელი  
ეკლესიის აღმოსავლეთ კედელში. ეკლესიის გადაეცეთებიას საშენ  
მასალადვე გამოუყენებიათ აგრეთვე საფლავის ქვებიც. ორი მათ-  
განი ფრიად საინტერესო საყოფაცხოვრებო ბარელიეფით დაცუ-  
ლია სამხრეთის კედელში: ერთი მათგანი წარმოადგენს გამართულ  
გუთხეულს ოთხულელა ხარით. გუთანი აღჭურვილია თვლებით  
(დიდი და მცირე) და საკვეთლით. მეორე მათგანი, — ეს არის მამა-  
კაცი თოფით, სათოფისწამლით და სხვა ხელსაწყოთი. აქვე ეკლე-  
სიის ეზოს შესავალში გალავანში დატანებულია საფლავის ქვა:  
დედაეცაცი მხარზე კოქაშედგმული. შიგნით ეზოში მოიპოვება  
მხარტვრულად შესრულებული ვერძები და შეკაზმული ცხენები.  
ცხენების გვერდებზე გამოქანდაკებულია საომარი იარალების  
შშეკილდისარი, თოფი, ხმალი (სხვადასხვა სახის), ხანჯალი, დანა,  
სათოფისწამლე, ყანწი, კულა... ბარელიეფის სიგრძე 1,85, სიგანე  
0,85. აქ წარმოდგენილია ოთხი თანასწორი სიღილის ფიგურა. მათ  
შეუძინ მაკურთხეველი ანგელოზია მოთავსებული. ოთხივე მამაკა-  
ცია (?), კრიტორებია (?). სამწუხაროდ, წარწერა მეტად დაშინებუ-

ლი და მოკლეა, ხოლო მთავარი წარწერა, რომელიც, უკუკალია, თი ბარელიფის შემცველ ცელესის ექნებოდა, დაკარგულია. სუბტ-  
დუროდ ფოტოს ვენდევი და ბარელიფის აღწერა სურათის ზე და  
ხელით განვიზრახე: ლამდებოდა და წარწერას მუშაობა შრინებოდა,  
ხოლო აქ დაჩინა, უპურობის გამო, არ შეიძლებოდა. სურათი უხე-  
ირო გამოვიდა... ასომთავრულ ასოთა მოხაზულობის მიხედვით წარ-  
წერა XIII საუკუნეშე უფრო გვიანდელი არ შეიძლება იყოს, მაგ-  
რამ ის არც მეთერთმეტე საუკუნეშე აღრინდელია.

ეს ბარელიფი აქაურ მხატვრულად შესრულებულს და შინა-  
არსით მდიდარ საფლავის ქვებთან ერთად უაპველად უნდა დაცულ  
იქნას...

წარწერა შემდეგია:

დ	პ - (?)	ან	ლ	ლ	- -
ნ	ა	გ	ჰ	ლ	-
ბ	ე - (ი ?)	პი	კ	ნ	ნ

პარალელური ხაზებით აქ ფიგურების ადგილია აღნიშნული.  
როგორც ვხედავთ, ოთხი ფიგურა ყველა ერთნაირი ზომისაა, მე-  
ხუთე მათ შეაში უფრო პატარაა. მეორე და მესამე ფიგურებს შო-  
რის ასოები ამოტეხილ-დაზიანებულია. მათი წაყითხვაც საეჭვოა.  
უკანასკნელი ფიგურის ორივ მხარეს ხაზები (დიფიზები) ასოების  
ნაკვალევს აღნიშნავს. უკანასკნელი სამი დიფიზი შესაძლებელია  
ერთი ასოს კვალი იყოს მხოლოდ.. მა წარწერიდან უდაცოდ მხოლოდ  
სიტყვა „ანგელოზი“ იჩეკევა. მცირე ფიგურის გარშემო ასოთა ჯგუ-  
ფიდან. შეიძლება აგრეთვე იქვე ქვემოთ „უე“ ჯგუფი წავიკითხოთ.  
დანარჩენი ჯერ-ჯერობით გამოუცნობია.

ქალაქიდან ჩასულთადმი გლეხის უნდობლობა საერთოდ ცნობი-  
ლია. ეს ქველი დროის უსიამოვნო მემკვიდრეობაა. სოფლისა და ქა-  
ლაქის აწინდელი ურთიერთობის პირობებში, უკეცელია, ეს მემკვი-  
დრეობა გაქრება. აღნიშნული მოვლენა ჯვახეთში გართულებულია  
და ქართველი მკელევარის მდგომარეობა მით უფრო მძიმეა. კერ-  
ძოდ მე მკელევარი ისტორიების მყავს მხედველობაში. საერთო  
გლეხურ უნდობლობას აქ თან ერთვის მეტად საეჭვო ხასიათის მემ-  
კვიდრეობა. აქა-იქ სოფლებში ნაკულაკარ-ნახუცრები და წარსუ-  
ლის „ინტელიგენტები“ ჯერ კიდევ ახერხებენ აცოცხლონ მოხარუ-  
ლ სოციალიზმის პირობებში ნაციონალიზმის საძაგლი რუდიმენტი და  
მით დრო და დრო დაუსჯელად შხამონ შშრომელი მოსახლეობა.

ეს უნდა ითქვას, აღინიშნოს, რომ დღის სინათლეზე გამოიტანოს მისი საბოლოო აღმოფხვერა გაადვილდეს...

ორჯალარის ბარელიეფზე კმუშაობ, ხალხი მოგრძელდებოდა ესების შექრებილთ ჩევნი კვლევის მიზნებს... არ ბეჭდური არის რომ დავარწმუნე: ზოგი მათგანი უნდოდ გამოიყურება. ეკითხე-არის თუ არა ვინმე პარტიული მათ შორის, მიმითითეს ერთ გლეხზე, რომელიც სერიოზულად, მაგრამ ოდნავ უხერხულად გა-მოიცირებოდა... ერთი გულწრფელი მოხუცი ერანა სოფლების სახელებს გვასწავლის: „ეს სულ ქართველთ ადგილი ყოფილია აა იმ ხარაბას (და მიგვითითებს დასაცლეთისაკენ) ორჯოლ არივე ჰქვიან, ბატკანაც დიდაბის ხარაბა იყო. ჩევნ სოფლელებს თერ-მე იქ, ხადაც ეხლა ბატკანაა, ბატკანი ედგათ, აქ კი ცხვარი. იმ აქე-დანაა სახელი „ბატკანა“, ეხლა რომ „პატკანა“-ს ეძახიან. ბატკანაში მუსლიმანები ესახლა. ისინი 1918 წლს აიყარენ. მათ ადგილზე სომხები დასახლდა. ორჯალარი დღესაც ხარაბაა; იქ ძევლი ქართუ-ლი სასაფლაოა“.

ზოგიერთ იქ მდგომს არ მოსწონს მოხუცის საქციელი, უარყო-ფენ მის ცნობებს.. და უკეთელია, დააღმებდენ მას, რომ ერთი ახალგაზრდა მის მხარეს არ დამდგარიყო. ცხარე ლაპარაკი გაიმართა, რომლის შედეგად უკელა წავიდა. ჩევნთან მხოლოდ ორი კაცი დარჩა ერთადერთი პარტიული კაცი და მოხუცის მიმღვომი ახალგაზრ-და, რომელთაც ჩევნი ეკვი „ყოფილ ხალხთა“ ნაშების გაელენის შესახებ მდ სოფელში მწეხარებით აღიარეს.

სამუშაო ჩქარა დავასრულე. ლამდება, ბოგდანოვეკაში ეიჩქარით. ერანანები უნახავი დაგვიჩია. შეა გზახე ერთი ერანა სოფელი შევნიშნე. სახელი არ იყოან. რუსულ და ქართულ ხუთვერსიან რუ-კებზე ეს ნასოფლარები იღნიშნული არაა. რაც შეეხება ბატკანას, ის დღეს ცოცხალი სოფელია. მდ სახელის სომხური გამოითქმა „პატ-კანა“ ქართული რუკის შემდგენელთ რუსულ გამოიქმად მიუღიათ და მისი გაღმოქართულება უცდიათ: „უათკანა“..

6. VIII. სოფელი სპასკოე. მდ სოფელს სომხები დღესაც ყარალას უწოდებენ. გზა ბოგდანოვეკიდან მდ სოფლისაკენ ველ-ზე მიღის. მინდორში გახურებული მუშაობაა. კოლმეურნეობა სთი-ბავს. სასიამოვნო და მხიარული სანახაობაა ერთად მუშაობა და მით უფრო მანქანებით... სოფელში მხოლოდ ბავშვებს თუ შეხვდები, მოზ-რდილთაგან თითქმის არავინაა. ერთი ქალი შეგვხვდა და ისიც ჩივის, რომ ავადმყოფობის გამო მინდორში ვერ წავიდა და შრომადლე გაუ-

ცდა, კოლმეურნეობის საშდივნოში შევედით, მდივანი მეტად ახა  
გაზრდაა, და ალბათ ჩვენი მიზნებისათვის არ გამოდგება. სამრიცხლოს  
კედელზე შეჯიბრება-დამკვრელობის გრძელი პირობაა ჯერულყოფილი  
ისევ სოფულში დავდივართ. აქ ერთი მოხუცი ქალი შეგვხვდა.  
ასც მან იცის რამე ამ სოფლის ძველი სახელისა ან კიდევ ახლო-  
მახლო ვერანა სოფლების არსებობისა და მათი სახელების შესახებ.  
საერთოდ, ტუხაბორები გავახეთის წარსულისადმი მეტად მცირე ინ-  
ტერესს იჩინენ და გავახეთის სიძეელეთა შესახებ გაცილებით ნაკ-  
ლები იციან, ვიღრე მათსაცით მოსულმა სომხებმა. და თუ სომებთ  
შორის გავახურ ტრადიციების დაცველობა ავრე ამიმებს მხარის-  
ისტორიულ კვლევას, მით უფრო უმწეოა მკვლევარი დუხაბორთ  
შორის. განსხვავებით სომხებისაგან (და ალბათ მსგავსად თურქები-  
სა) დუხაბორებს ახასიათებს გეოგრაფიული სახელების შეცვლის  
ტენდენციები (ზოგდანვე—ხოჯაბეგ, სპასკო—ყარალალა, აზლოკ-  
კა—ახმას, გორელოვე—ბულდაშენ, რალიონოვე—ფარავანი, ტამ-  
ბოვე— ჩაჩკა...). მოხუცმა დედაკაცმა „ძველი სასაფლაო“ გვასწავ-  
ლა, კარგახანს ვიაჩეთ. სოფლიდან ორი კილომეტრის მოშორებით  
საბჭოთა მეურნეობის ავრონომი შეგვხვდა. მან ავიხსნა, რომ დუ-  
ხაბორების ნასწავლები „ძველი სასაფლაო“ — ეს არის მათი წინამ-  
ძღვილი ქალის ლუკერისა საფლავი, რომელიც ამ 50 თუ 60-ოდე  
წლის წინ გარდაიცვალა. ეს ქალი დუხაბორებს წმინდანად მიაჩინათ  
და მის საფლავს დიდ პატივსა სცემენ... უკან დაგბრუნდით. ვზაში  
ერთმა დუხაბორმა გვასწავლა იქვე სპასკოს გამამ ვერანა სოფელი-  
სოფელ სპასკოს მდინარე ჩამოუკლის სამხრეთიდან და სათხაზე  
გვლით გავახეთის მტკვარს ერთვის. რუსულ რუკაზე ის უსახელოა.  
ქართულზე მას მდ- ბულდაშენი ეწოდება. საეჭვოა. ბულდაშენის-  
წყალი უფრო საფიქრებელია: არსებობს ტბა ბულდაშენი, რომელსაც  
ეს მდინარე გამოივლის. ასც რუსებმა, ასც სომხებმა ამ მდინარას  
სახელი არ იციან (!). დუხაბორმა დასძინა: „იქ ორი ნასოფლარია,  
სასაფლაოცაა; ციხეც იყო მთაზე. მთელ შავ ადგილს ყარალალის-  
ვეძახით“... ორივე ნასოფლარი მდინარის მარჯვენა მხარეს არის. ისინი ერთომეორისგან ნახევარი კილომეტრით არიან დაშორე-  
ბულნი. ეს ნასოფლარები ყურადღების იქცევენ თავიანთი სიღიღით  
და შედარებით დაცულობით. ორმოები — შენობების ნაშთებია,  
სხვადასხვაგვარი ნათალი ქვები, წისქეილის აზხი და წისქეილის ნან-  
გრევი, ერთ-ერთ სოფლის შუაში საკმაოდ შენახული გზის ნაკვა-

ლევი — ცოცხლად აღადგენერ დიდიხნის მკვდარ სოფლებს.. აქე  
ზემოთ მთაზე მოჩანს საფუძვლამდის დანგრეული რიყის ქვიშაგან ჩაუჭიკ  
გები ციხე. კ არა ღა ღ ა ზე ც უპეველია ამ ციხის თურქელი აუზჭირებულია  
გვიან მოსული მოსახლეობის მიერ ციხის ეს სახელი გადმოტანილია  
ამ ნასოფლარებშე და თვით სპასკოეზეც. რა ერქვა ამ სოფლებს ან  
სპასკოეს? — არავინ იცის. დუხაბორი გვიმტკიცებს, რომ აწინდელი  
სპასკო ძეველ ნასოფლარზე გაშენებული არაა, რაც ფრიად საექ-  
ვია: ცეცლა სხვა სოფელი მთელს ჯავახეთში თურქელი, ქართული,  
სომხური თუ რუსული ძეველ ქართულ ნასოფლარებშეც გაშენებუ-  
ლი. ამას ამტკიცებენ, როგორც ნაშთები ცეცლესია. სასაფლაო, ზეთ-  
სახდელი, „ჯვარი“, ისევე იმ სოფელთა ოროლი სახელი (ძეველი და  
ახალი), რომელთაც ახალი სახელი მოეპოვებათ. განსხვავება დუხა-  
ბორებსა და ცეცლა დანრჩენით შორის ისაა, რომ უკანასკნელთ ეე-  
რანა სოფლები დაუნგრევლად გამოიუყენებიათ, დუხაბორებს კი ძევ-  
ელი ნასოფლარი საფუძვლიანად გადაუთხრიათ და მასალა თავიათ  
სოფლის გასაშენებლად მოუხმარიათ. ეს მოელენა ყოფის სხვადა-  
სხვაობით აისწინება: სამხრეთელ-მოახალშენეთა სოფლის ტიპი და-  
ახლოებით იცივე იყო, რაც ძეველი ჯავახებიათ, დუხაბორებს კი  
ჩრდილოეთიდან სრულად განსხვავებული სოფლის ტიპი მოუტა-  
ნიათ. არც სპასკოეს შეორე სახელი, სომხები რომ ეძახიან, არც ეს  
ცერანა სოფლები და არც ნაციხარი ყარალალა ჩვენს ხუთვერსიან  
რესულ და ქართულ რუკაზე აღნიშნული არა.

სოფელი სათხა უსახელო მდინარის (მულდაშენისწყლის?)  
ორივე მხარეზეა გაშენებული. ძეველი სოფელი, როგორც ეს დაცულ  
სიძველეებიდან ჩანს, მდინარის მარჯვენა მხარეს მთის კალთაზე  
ყოფილა გაშლილი. სიცხეა. წყაროსთან დაისვენეთ. სოფელში ჩაღ-  
ხი მცირედ ჩანს: სათიბი აქვთ; წყაროზე მოხუცები, ირეალიდები  
სხედან. ცეკითხებით სიძველეთა შესახებ. „აი აქ, — გვეუბნება ერ-  
თი ინვალიდი, საღაც ახლა კონკრეტული დუქანია, მე მახსოვს,  
ცელესია იყო და სასაფლაო...“ ცერ მოასწრო სიტყვის დამთავრება,  
რომ ლაპარაკში ჩამოერია შეორე მოხუცი, ჩვენი მოსაუბრე შეჩე-  
რა და ჩვენ მოგვიბრუნდა: „ამან არა იცის რა: სულელია, ბოდავს;  
აქ არაფერი სიძველეები არაა, რა სიძველეები უნდა იყოს აქ. ჩვენ  
არაფერი ვიცით..“ თითქო ეს ნიშანი იყო, ამის შემდეგ ცეცლას ენა  
ჩაუშეუდა და აღარავინ „არაფერი“ იცოდა.. ვატყობ აქ ახალს ცერა-  
ფერს შევიტყობ. მაინც ვცდი. უხსნი ჩვენ მიზნებს. არ სჭრის. ახა-  
ლი ცეცლესიასკნ წავედით. იქ ძეველ ქართულ ცეცლესიაზე წარწე-  
რებია, ლიტერატურით ცნობილი. გალავანში ახალი ცეცლესიის

გვერდში დგას ძველი მტკიცედ და ლამაზიად ნაგები ეპლესია, მას წა-  
ზურიყი აღარა აქვს. გადარჩენილია მხოლოდ კედლების მუსიკასთან.  
ზოგან კედლებიც გამონგრეულია. ეკლესია წევრლების უძირულ  
ეკლესიაზე დიდია:  $15,27 \times 6,9$ . დავთვალიერე. სამწუხაროლ აღმოჩნ-  
და, რომ აქ მრავალი წარწერა განხრას ამოუფხევიათ. ზოგი მათგანი  
იყ. როსტომაშვილის აქ ყოფნის უწინარეს ცავი ამოცხეყილი ყოფი-  
ლა: მას არ მოყავს ის წარწერანი, რომელთა ნაკვალევი აშეარად  
ჩანს, ეტუმბა ეს სამწუხარო ფაქტი მას ვერ შეუნიშნავს... მაგრამ  
ასეთი საქმიანობა ამ მკვლევარის აქ ყოფნის შემდეგაც გაგრძელებუ-  
ლა და მის მიერ გადმოლებულ წარწერათა უმრავლესობა ამოშლილ-  
განადგურებულია... „აღმოსავლეთის კედელზე“ ივ. როსტომაშვილს  
მოყავს წარწერები:

ქე შე რა მა კითხულობს: ქრისტე შეიწყალე ირემად  
(უნდა: ქრისტე შეიწყალე ხერემიად)

ქე შე ხრა კითხულობს: ქრისტე შეიწყალე ხარაძე  
(უნდა: ქრისტე შეიწყალე ხარაძებე)

ეს წარწერები მოთავსებული ყოფილა აღმოსავლეთის კედელზე  
საკურთხევლის სარქმლის მარჯვნით და მარცხნით. დღეს ისინა ამო-  
თლილია. გადარჩენილია ქვემო რიგიდან მხოლოდ ქე შე—ასო-  
მთავრული XII—XIII საუკუნისა.

დასავლეთის კედელზე სარქმლის მარჯვნით წარწერა აღხევილია—  
გადარჩენილია: ასომთავრულით... ქნ ზე.

ასევე აფხევილია წარწერა აქვე სარქმლის ქვემოთ. გადარჩენი-  
ლია ქე შე...

ივ. როსტომაშვილის მიერ „დასავლეთის კედელზე“ წაკითხუ-  
ლი წარწერები, ზომიერია, ნაგვიანევი ხანისაა და ძნელად იჩჩევა.  
ერთი ცხადია: აქ არავითარი ქრონიკონი არ იყითხება, როგორც  
სამართლიანად შენიშნავს ე. თაყაიშვილი. ეკლესის შიგნით სამხ-  
რეთის კედელზე ასომთავრულით: ქე შე ცხრა. აქვე შიგნიდან  
საკურთხევლის კედელზე ასომთავრულით: ქე შე ცხ. აქვე შიგნი-  
დან საკურთხევლის კედელზე მარჯვნით: ქე შე გი. ყველა ესენი  
ერთი ხელითაა შესრულებული იმავე XII—XIII საუკუნისა.

ჩვენი ამ მუშაობის დროს ვიღაც შუახნის კაცი მახლობელ სახ-  
ლის ბანეჲ გადმოდგა და რუსულის მოყვარულობით უცნაური ღრე-  
ჭით გვაუწყა: „Мто письмо зачистил, зачистил раньше, Николай  
иремя“.

სამხრეთიდან ამ ეკლესიას ახალი ეკლესია აქვს მიშენებული ისე რომ ძველი ეკლესის სამხრეთის კადელი ახალის ჩრდილოებული კედლადაა გამოყენებული. როსტომაშვილის აღწერილობრივი მრავარა ცოდი, რომ ამ კედელში დაცულია ბარელიფი და ეკლესის ამშენებელის წარწერა.

ჩვენი მუშაობისას ზალხი თანდათან მოგროვდა ეკლესიის გასაღები ვიყითხე. არავინ იცის... ჩემი ჩრდილები იმოვილე და თემის ოფიციალური პირი მოვითხოვე (სათხა თემის ცენტრია). არავინაა. პარტიული ვინგე ვიყითხე. არავინაა. გულმოსულმა წერა-კითხის მცოდნე მოვითხოვე და რაიონიდან მიწერილობა წაუკითხე... ალპარაკდენ. ერთი ყმაწვილი გაგზავნეს. მან ცოტა ხნის შემდეგ მოხუცი მოიყვანა ეკლესიის გასაღებით. ეკლესიაში შევეღი და როსტომაშვილის მიერ გაცხოველებულ წარწერას ძებნა დაუწევე. მის მიერ აღწერილი ბარელიფი ადგილზე, ხოლო წარწერა არა ჩანს... კიბე მივიღეთ (ის აქვე იყო ეკლესიაში) და ბარელიფის მარცხნით, მარჯვნით, ზემოთ სულ გადავფხიყვ ნალესი კირი. აშეარა გახდა, რომ წარწერა დაღუპულია. ბარელიფი გადავიღე. როსტომაშვილით აქ სამხრეთის კედელზე ორი წარწერა ყოფილა ასომთავრულით:

ადნ ღნ ფრან ე ე აშნა ესე  
ეკლესა სდბლდ მთდ და შშბლთ  
მთდ სლცვ  
ლ დ

კითხულობს: „ადიდენ ღმერთმან ფარსმან ერისთავთ ერისთავი ააშენა (უნდა: აღმენა ან აეშენა) ესე ეკლესია სადიდებლად მათდა (და) შშობელთა მათდა სალოცველად“.

ჩვენ მიერ შეტანილი შესწორება „აღმენა“ (ან აეშენა) შეიძლება საბუთიანი იყოს: ამშენებლის მესამე პირით მოხსენიება უჩევე-ულოა. ამავე კედელზე ამ წარწერის ზემოთ ყოფილა მეორე წარწერა: ქ' შ' ყ' ყ' ნი კითხულობს: „ქრისტე შეიწყალე ყოველნი“. მკელევარი არ აღნიშვის, რომ ეს წარწერა ნაცლულია. ხოლო თუ ის სრულია, მაშინ ასე წაკითხვა ყოვლად შეუძლებელია და ე. თავაიშვილის შესწორება სამართლიანი ჩანს: ქ' შ' ყ' ინ' ე, ი. „ქრისტე შეიწყალე იოანე“. სამწერხაროდ, დღეს აღარც ეს წარწერა გადარჩენილა.

ეკლესიის ეზოში, გალავანს შიგნით განსაკუთრებული სიღილის ცხენები და ვერძებია. ჩანს, სასაფლაო აქვე ყოფილა... სათხას თავზე უზარმაშარი ციხის ნანგრევია. მისი ქვები დღესაც სათხელთათ-

ვის ჩეცულებრივი საშენი მასალაა. ადგილობრივი მას ღმერთი უწოდებენ. ხუთერსიანი რუკები არ იცნობენ მას. ამ ციხის დათვა-ლიერება, მასი კედლების და ფართობის გაზომება საჭირო და მიზანი ტერესოა... სამწუხაროდ, ჩვენი ტემპი მეტად ნელია. დღეს უძდა არაგალის დათვალიერება მოვასწროთ. თანაც ამ ხალხის ასეთი გან-წყობილება მუშაობის ყოველივე ხალის გვიკლავს.

არაგალისკენ წავედით. ჯერ ისევ სათხაში ვიყავით, რომ მესა-მე ძეველი სასაფლაო ვნახეთ. ალბათ ეკლესიაც იყო საღმე იქვე. სათ-ხა, ყველაფრიდან ჩანს, მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა ძეველად: დიდი ციხე, ორი თუ სამი ეკლესია... ის უნდა გზისაყაჩუ ყოფილი-ყო გუმბრიდან ახალქალაქისაკენ და ახალქალაქიდან თრიალეთშე მი-მავალი საგვერო გზებისა...

დიდ არა აგალში სიძეველებია: პერანგ შემოცლილი საქმაოდ მოზრდილი ეკლესია. ის ჯერ კიდევ ივ. როსტომაშვილის დროს გა-ტყავებული ყოფილა. ამ ეკლესიის თლილი ქვები აქვე სოფელში სომხურ ეკლესიაშე მოუქმარიათ. იყო თუ არა, ან სად დაიყარება ჩეცურთმიან-წარწერიანი ქვები? ახალ სომხურ ეკლესიაში ამის კვალი არა ჩანს.

ძეველი ეკლესიის გარშემო სასაფლაოა: ცარიელი ლოდები, არც ერთი ქანდაკება. ესეც სინტერესოა. ასეთ სასაფლაოებს ჩვენ სხვა-განაც ვხვდებით (ჩიტლიკი). ეკლესიის სამხრეთით ფრიად დიდი ლოდი ჯერით და ნაგვიანევი წარწერით: თერწე. ეს წარწერა ჯვარის ცალ მხარესაა ამოჭრილი (მარჯვნით). აქვე დგას ორი ქვის „სასანთ-ლე“ — ზეთის ჩასასხმელი ან კიდევ შეიძლება ესენი ჯვრების კვარ-ცხლბეკები იყვნენ, რაც უფრო ჰქონისთვის ახლოა: ამის მაგალითები სხვაგანაც გვაქვს.

ეს „თერწე“ შეიძლება სულ სხვა დანიშნულების ქვა ყოფი-ლიყო (ქვეყაცა?) და მხოლოდ შემდეგ ნაგვიანევად უადგილოდ მიუ-ტმასნებიათ ქრისტიანობის ემბლემა (ჯვარი) და სახელიც თერწე. სათხაში განცდილება ამ დღეს გამოკითხვის ხალისი დაგვიარება. უკან დაბრუნდით და ლამის 11 საათი იყო, რომ ბოგდანოვეს მივალწიეთ. ვაშშიმისას (იგივე იყო ჩვენი საღილიც...) ერთმა ახალგაზრდამ საუ-ბარი გაგვიმართა. ის რაიპარტკომში მომუშავე აღმოჩნდა. ისტორია აინტერესებს, სურს ჯავახეთის წარსული იცოდეს. უურადღებით გვისმენ და თავის შთაბეჭდილებებსაც გვიზიარებს. სათხას შემდევ ეს განსაკუთრებით სისიამოვნო და საიმედოა. სრულიად გარკვეული მოსაზრებით, რომ ჩვენი მუშაობის პირობები კიდევ უფრო არ გარ-თულებულყო, მე იმ არასასიამოვნო შემთხვევების მოთხრობილან

თავი შევიკავე , მაგრამ, კუიქრობ, საზოგადოდ ამის დაცარებაში მული არ იქნებოდა.

7. VIII. ხო ჯაბე გ. ი. ძეველი სოფელია ბოგდანოვკის ჭურული მოსახურის გავახელი მეკილრი, რუსებს გარდა, თვით ბოგდანოვკას ბოგა-ბეგა უწოდებენ). სიცელეთაგან აქ თითქმის აღარაცერი გადარჩე-ნილა. ეკლესია ამ 50 წლის წინ დაუნგრევიათ და მასალა ახალ ეკ-ლესიაზე გამოუყენებიათ. სასაფლაოც განადგურებულია. ქვები აუ-ცლიათ. ერთადერთი ერძი გადარჩენილა, რომლითაც ვიღაცას თა-ვისი მიცვალებული შეუშეკა ახალ სასაფლაოზე.

ხოგაბეგის სამხრეთ დასავლეთით 2—3 კილომეტრის მანძილზე, ხანჩალის ტბის პირას არის სოფლისა და ციხის ნანგრევი „კალა-ჩი ა“, აქედან ცოტა მოშორებით დასავლეთით „კარტულა“ — ერთანა სოფელი. რუსულ ხუთერისიან რუკაზე „კარტულა“ აღნიშნულია, „კალაჩია“ კი უსახელოდ არის აღნიშნული. ქართულ რუკაზე არც ერ-თი და არც მეორე აღნიშნული არაა.

ერთი ადგილობრივი სომები, ყოფილი ჭარისყაცი და რუსულის შცოდნე, ხალისით გვწევდის თავის ცოდნას ჭავახეთ-ჩილდირის საზ-ლვებზე — ერთანა სოფლების შესახებ.

სამწუხაორი, უინციდენტოდ საქმე არც აქ დამთავრდა: ერთი „შცოდნე“ დაღვა და დაინინებით უუპნება ჩვენს მოსაუბრებს, რო-მელნიც მას ჩვენი მუშაობის მიზნებს უხსნიან (ამის შესახებ ჩვენ მისცლისთანავე მოვახსენეთ): „მე კარგად ვიცი რა უნდათ მაგათ, ესენი ქართველებია..“ ძლიერ დაადუმეს.

8. VIII. ე შტრია. დიდი სოფელია. სომებ-კათოლიკები სახლობენ. ძეველი ეკლესია აქ აღარაა. ის ახალზე მოუხმარიათ. ამ ახალ ეკლე-სის კედლებში საფლავის ქვებიც მრავლად დაუტანებიათ. ზოგი მათ-განი საინტერესო ქანდაკებიანია: გუთანი საკეთოი, დიდ და მცი-რე თველებით, სამი ულლით. მეორე ქვაზე წარმოდგენილია სამხე-დრო იარაღი: თოფი კაუიანი ჩახმახით, სათოფისწამლე, ხმალი, ხან-ჭალი, დანა. არის სხვა ქვებიც. წარწერა არ გადარჩენილა..

ეკლესიის ეზოში ძეველი სასაფლაოა. მრავლად არის გადარჩენი-ლი ვერძები, ცხენები საინტერესო სამცაულებით, შესანიშნავია ხმლის ორგვარი სახე. ქანდაკებანი ოსტატურადა შესრულებული. მდიდარი სასაფლაო ჩანს.

ყაურმა აქე ხორფი (ყაურმა-ხილი) ისტორიულ ნაშთებით შესანიშნავია. აქ დღემდის დაცულია ძეველი ხილი ჭავახეთის მტკვარ-ზე. ის ხეთ თაღოვანია და საქმიანი ფართ (სამ მეტრიამდის). ვისაც საქართველოს ზოგიერთ კუთხეებში გადარჩენილი ძეველი ხილები ან

მათი ნაშები უნახავს, ის სამართლიანად შეეძლება: ყაურმა და  
დი XIX საუკუნეში შეკეთებისას ხომ არ ვაფართოენ, შექმნა  
ბელია, მაგრამ უკეცელი არც ესაა: აწინდელი ხიდი არდებულია როგორც XIX ს-ში იკეთებდნენ (ყაურმას ხიდი 1893 წელს შეი-  
თხდია), მეორე მხრით, არსებობს იმის ნიშნებიც, რომ ძელ სა-  
ქართველოში არა მარტო ვიწრო ხიდები იცოდნენ (1,5 მეტრიანი),  
არამედ ფართეც. ხიდის სივიწროე-სიფართე დამოკიდებული შეიძ-  
ლება იყოს იმაზეც, თუ რა ტიპისაა ის: ბურჯ-სკეტებშე და მრავალ  
პატარა თაღებშედ არის დაბჭენილი, თუ გადაგდებულია ერთ ვეებე-  
რთელა თაღად და მხოლოდ კურტნებშეა დამიგრებული. ეს სხვადა-  
სხვა სახეობა დამოკიდებულია იმაზე თუ სად არის ხიდი აგებული-  
ფონის ადგილის, თუ მდინარის კიტროზე. მრავალთაღოვანი ხიდი  
უფრო ფართეა საგულისხმებელი, ცალთაღოვანი, გადაგდებული ხი-  
დი, ბუნებრივია კიტრო იყოს...

ხიდების შესწავლა სავაჭრო-სამიმოსკლო გზების შესწავლასთან  
არის დაკავშირებული და ფრიად მნიშვნელოვანი ნაწილია მისი.  
ძელი გზების მიმართულებათა დასადგენად ხიდებისა და გზა-ჭრილ-  
თა ნაშების პოვნა-შესწავლა ამ მიმართულებათა დასაყრდენი პუნ-  
ქტების პოვნას უდრის. ხიდეთა ნაშების ნაგებობათა ტექნიკისა და  
საშენი მასალის შედარებითმა შესწავლამ შესაძლებელია მოგვცე-  
ფრიად მნიშვნელოვანი თარიღები ამ ხიდთა და მაში თვით გზების  
ამ ადგილებშე არსებობის შესახებ. ასეთი თარიღები კი სამედო  
დასაყრდენი იქნებოდა ჩოულ ისტორიულ მოვლენათა კონკრეტულ  
შესწავლისას. ხიდების და გზაჭრილთა სიფართე-სივიწროე ძელი  
გზების სიფართეს უკეცელად განმარტივს: ხიდებისა და გზაჭრილთა  
ხსიათი სატრანსპორტო გზის საერთო ხსიათზეა დამოკიდებული;  
თვით გზის ხსიათს კი, რა თქმა უნდა, ტრანსპორტის სახე და სა-  
შუალებანი განსაზღვრავენ. შეუძლებელი არაფრია, რომ ყაურმას  
ხიდი ძელადაც ამ სიფართისა ყოფილიყო. მისი ფონზე ნაგებობა—  
მრავალთაღოვანობა ამის სრულ შესაძლებლობას იძლეოდა, ხოლო  
ჯავახეთის ადგილობრივი ტრანსპორტი (ჯავახური ურემი) ასეთ  
ხიდს მოითხოვდა კიდევაც. დაბოლოს, ის არც განსაკუთრებულია,  
თუნდაც ძელი დროისთვის. ხიდი აზრაანის „მტკვარსა ზედა“ ომო-  
გვის ძირის, რომელზედაც („კიდსა ზედა“) „შეიძნეს და შეიქნა ომი“  
გამდგარ ფეოდალთა და თამარის მომხრეთა შორის, რა თქმა უნდა,  
ისეთი ვიწრო არ უნდა ყოფილიყო, როგორც რკონის ან კიდევ  
ოძრების ხიდებია (ე. ი. ერთ მეტრ ნახევარი). საინტერესოა, რომ  
ძევრულაშე ხიდის კურტანი ისეთივე განისაა, როგორც ყაურმას

ხიდი. კიდევ უფრო საინტერესო და ნიშანდობლივია ის, რომ კლდე  
კარისა და უფლისცხის თავზე ქველი გზაჭრილები დაასტურებულია  
ასეთივე სიფართისა არიან. ასევე საინტერესოა ამ მხრით ჩიტრული მარტინ  
აღმოსავლეთიდან უფლისცხიზე მისასელული გზა, რომელიც  
კლდეშია გაშრილი. ისიც ამ სიფართისაა. ასეთივე ფართე ყოფილა  
ხუდაფურინის ხიდი არეზე. ხოლო როსტომის მიერ XVIII ს-ში ავე-  
ბულ ხიდის შესახებ ვაჟუშტი გადმოგცემს: „აქა (ესა იგი ხუნაშა)  
არს ნახიდვარი. ამის გამო აღაშენა პთ მეფემან როსტომ ხიდი ქვიტ-  
კირისა დიდ შევნიერი, რომელისა სევტისა შინა არს სახლი შევნი-  
ერთ მცვერეტი ამიერ და იმიერ მდინარისა. სიკრცე ხიდისა: შეარი,  
აქეთ და იქით ქციის კიდესა ზედა ფუნდუკი დიდნი და კეთალი  
თლილის ქვისანია<sup>4</sup>. ასე რომ ორგვარი გზა-შარა ეხლავ შესაძლებელია  
თითქოს აღინიშნოს: ვიწრო, რომელიც მოიანეთს ახასიათებს და მის  
სატრანსპორტო მოთხოვნილებებს აქმაყოფილებს და ფართე ბარის  
ტრანსპორტის ხასიათით გამოწვეული. საქართველოში გზებისა და  
ხიდების ნაშთები უხევდ მოიპოვება. მათი სრული აღნუსხვა-შესწავ-  
ლა, ეჭვი არაა, გზების ზედმიწევნილობითი სურათის აღდგენას შე-  
გვაძლებინებს. პროფ. ივ. ჯავახიშვილის წამოწყება ამ მხრით უნდა  
ვაგრძელდეს. ეს საკითხი ერთობ მომწიფებულია და საფლის-  
წესრიგო.

1893 წლამდის ყაურმის ხიდის თავში დაცული ყოფილა ძეელი  
ქართველი წარწერა. შეკეთებისას ვინშე „ფოდრაჩიქს“ ეს ქვა ამოუ-  
ლია და მის აღგილას თავისი სახელით ამოქრილი სომხური წარწერა  
ჩაუსვამს. დღეს აღარც ეს წარწერა იპოვება. ამ წარწერების ად-  
გალს ყაურმელები ნიშანდობლივ გვიჩვენებენ.

მეორე ძეგლი ყაურმაში — ეს ეკლესიაა. ნაგებობით ის განსაკუ-  
თრებულს და ღირსშესანიშნავს არაფრეს წარმოადგენს. აქ უწინ  
თითქო დიდი ელევასია მდგარა: მისი საფუძველი დღევანდლამდის  
დაცულია. აწინდელი ეკლესის წარწერები იმ ძეელ ეკლესიდან  
უნდა იყოს დატანებული. სწორედ ამ წარწერებით და ჩუქურთმა-  
სამეულით შესანიშნავია ეს ეკლესია:

I დასაცლეთის კედელზე სარქმლის ზემოდან ასო-  
მთავრულით: ქარე ადრე იქმა ქარე, ე. ი. „ქრისტე აღიდე ოქროპირ  
ქართლისა კათალიკოზი“.

II იქვე სარქმელის მარცხნით და მარჯვნით, ასომთავრუ-  
ლით:

<sup>4</sup> ვახუშტი ი. გეოგრაფია, 59.

ქ ე მ წ ყ ი  
ე რ ქ ნ ი მ ა ვ  
ნ ე ს დ ლ ს ა  
მ ა ს შ ე ლ თ ა  
ა ნ თ

ე. ი. „ქრისტე, შოწყალე  
ექმნენ იოვანეს დღესა  
მ ა ს შეიძლითოურთ ამინ“. ბიბლიოგრაფია

III ს ა მ ხ რ ე თ ი ს კ ე დ ე ლ ზ ე მოჩიუქურთმებულ ბალა-  
ვერზე ასომთავრულით:

ქ ე ა დ დ ე	ე. ი. „ქრისტე ა დ ი დ ე	ქ ე ა დ დ ე	ე. ი. „ქრისტე ა დ ი დ ე
ვ ი მ ფ ე	გ ი მ რ გ ი მ ე ფ ე	მ ლ ქ შ ე	მ ე ლ ქ ი ზ ე დ ე ვ
დ ა შ ე ნ ი	დ ა შ ე ი ლ ნ ი	ქ რ თ ლ ს	ქ ა რ თ ლ ი ს
მ თ ნ ი	მ ა თ ნ ი	კ თ ლ კ შ ე	კ ა თ ა ლ ი კ ო შ ი
		დ ა შ ე წ ი	დ ა შ ე წ ი ვ ე

დ ლ ე ა მ ა ნ დ ღ ე ს ა მ ა მ ი ნ ა

დამწერლობის თვალსაზრისით ეს წარწერასი, რა თქმა უნდა, მე-  
ტად ძვირფასნი არიან. ისინი კარგად არიან დაცული: მათი დათარი-  
ლებაც, ზოგიერთის მაინც, ზედმიწევნილობით ხერხდება, ასე რომ  
წარწერათა შესწავლისას ისინი საყრდენად გამოდგებიან. აუცილე-  
ბელია მათი ფოტოგრაფიული პირის დამზადება. ამისათვის კი სპე-  
ციალურ მოწყობილობით მისვლაა საჭირო. სახელდახელო ფოტო-  
აპარატით აქ ეკრანულს გააწყობთ. ორი წარწერა ისე მაღლაა, რომ  
დაბლიდან გადალებული, ისინი სულ სხვა სახის გამოდიან და მაში მე-  
ცნიერული შესწავლისათვის ფისტავარგულნი ხდებიან. მთავარი  
ბალავრის წარწერა კი თუმცა საქმიან დაბლაა, მაგრამ ამ მხრიდან  
ეკლესიას მიშენებული აქვთ საბძლი და ამ საბძლის სახურავის ძე-  
ლებს ქვეშ მოყოლილი ეს წარწერა ფოტოსურათის გადასაღებად  
სრულიად მოუხერხებელია. აუცილებელია სიძეველეთა დაცვის კო-  
მიტეტშა ილონის ამ წარწერის განთავისუფლება საბქელში ტკვეო-  
ბისაგან, რომ ის ხელმისაწვდომი გახდეს მეცნიერული შესწავლისა-  
თვის.

აქევ ერთი შენიშვნა: წარწერათა კორპუსის მეცნიერული გა-  
მოცემა წარმოულენელია, თუ წინასწარ არ იქნა დაგროვილი არა  
მარტო ყველა აქამდის დაცულ წარწერათა წაკითხვანი, არამედ ამ  
წარწერათა ფოტოგრაფიული სურათებიც და ეს რაც შეიძლება  
მაქსიმალური სისრულით. ფოტოსურათების ისეთი გადაღება კი,  
რომელთაც მეცნიერული ფასი შეიძლება პქონდეთ, მოითხოვს რო-  
გორც ფოტოგრაფ-სპეციალისტს, ისე სპეციალურ მოწყობილობა-  
საც. სამწუხაროდ, ჩვენთან ეს საყითხი აქამდის არ ქცეულა ჯერო-  
ვანი ყურადღების საგნად. ჩვენი კუსტარულ-პრიმიტიული ფოტოგ-  
რაფობა ენერგიისა და ფულის ცუდად ფლანგვაა მხოლოდ. მუშე-

უმს ასეთი საშუალებით იოლად წასკლა არ გამოადგება. აზალი  
ბელია მუშეუმის ფოტო-განცყოფილებაშ შეიძინოს სათანადო მო-  
წყობილობანი და, რაც მთავარია, ფოტო-განცყოფილებას უნიტრისტები  
ლოს მაღალკეალიფიციური ფოტო-მუშავები, რომელთაც შექმენია  
ლებათ უზრუნველყონ რთული მეცნიერული მოთხოვნილებანი  
ფოროგრაფიის საქმეში...

ყაურმის ეკლესიის წარწერებში მოხსენიებული ოთხი პირისაგან  
საში თითქოს უდავიდ ცნობილია, ვიორგი მეფე, ეს ვიორგი I, რომე-  
ლიც 1014—1027 წლებში მეფობდა; მელქიზედეკ კათალიკოზი,  
ეს ცნობილი მელქიზედეკია, მცხეთის საკათალიკოზის რომ განაგე-  
ბდა XI საუკუნის ათიან წლებიდან 30-იან წლებამდის. დამწერ-  
ლობის ხასიათის გარდა ამ მოსახრებას მხარს უჭერს ორივე ამათი  
ერთად (ბალავერის ქვაზე) მოხსენიება. ცნობილია ოქროპირ კათა-  
ლიკოზიც. ის საკეთმცყრობლობს მცხეთას მელქიზედეკის შემდევ  
და უკანასკნელის „გაზრდილია“<sup>7</sup>.

უცნობია ეს ითანე, რომელიც დასავლეთის სარქმლის გარშემო  
წარწერაში მოიხსენიება.

მართლია, ოქროპირ ქართლისა კათალიკოზის მეორე სახელი  
(უფრო სწორედ, პირველი) იოვანე იყო, ასე რომ ბუნებრივად  
ჩნდება ცოცხება ეს იქროპირი და ითანე ქაც გავაიგიოთ, რომ  
ამას არ ეწინააღმდეგებოდეს: იოვანეს მოხსენიება კათალიკოზის  
გარეშე, მისი მოხსენიება შეიღიოთურთ (თუ ჩვენი წაეითხვა სწორია)  
და სიტყვა იოვანეს ი-ნით დაწყება და არა ჯ-ტით, როგორც ამას  
ადგილი აქვს ფოკას წარწერაში, სადაც ეს კათალიკოზი მოვანე-  
ოქროპირის სახელითა მოხსენიებული.

უკანასკნელი მოსახრება ჩვენ, რა თქმა უნდა, ურყევად დასაუ-  
რდენ არგუმენტად არ მიგვაჩინია, არამედ მხოლოდ აღნიშვნის ღირ-  
სად სხვა არგუმენტების არსებობის დროს.

იმის გასარკვევად, თუ როგორ წარმოსდგა წარწერათა ასეთი  
ჯუფი, ისტორიულა და პალეოგრაფიულ მოსახრებებს გარდა აუ-  
ცილებელია ხუროთმოძღვრული საბუთებიც: აწინდელი ტაძარი მა-  
რთლაც ძველ, უფრო დიდტაძრის ნანგრევზეა აგებული, თუ ეს XI  
საუკუნის შენობაა?<sup>8</sup> ბალავერის ასეთი სიდიდე რამდენადაა დასა-  
შები შედარებით მცირე ეკლესიაში? ჩუქურთმების ზომიერება და

<sup>7</sup> პროფ. ი. ჭავახიშვილი, ქართველი უზის ისტორია, ტ. II; ნ. ბ ერ-  
ძე ნიშან ვილი, მცხეთის საბუთო შე-XI-ე საუკუნისა, საქ. მუშ. მომბე. VI.

<sup>8</sup> ნ. ბ ერძე ნიშან ვილი, მცხეთის საბუთო XI საუკუნისა, საქ. მუშ. მო-  
მბე. VI.

დღიდა მხატვრული შესრულება რამდენად შეესაბამება ასეთ ასახულო ტრიას? ერთი სიტყვით: ეს ტაძარი თავისი სამეცნიერო ულად შექმნილი მხატვრული ორქიტეტერული მთლიანობის წალენჯი სხვადასხვა ღრიას შენამოქმედთა ჯამი? ხუროთმოქმედი მაგიკური ცილისტის საბუთიანობა აქ მთავარი დასაყრდენია და, სანამ ასეთი დასაბუთებანი არ წამოგვეშველებიან, ამ წარწერათა ასეთ ჯვაფის ასწის ცდა მყარ საფუძველს მოკლებული და ამდენადვე ნააღრევი იქნებოდა.

ცალკეულად კი: 1. ბალავერის წარწერა ეკუთვნის 1020—1027 წლებს. აქ გიორგი მეფე შვილებით და მელქიშედე კათალიკოზი ცოცხლად არიან მოხსენებული. გიორგი მეფეს შვილები კი ვ. ი. ბაგრატ და დემეტრე შეუძლებელია 1020 წელზე აღრე პუოლოდა: ბაგრატ და დემეტრე სხვადასხვა დედის შვილები იყვნენ და უფროსი ამ ძმთავანი ბაგრატ 1021 წელს 3 წლის ყმარვილი იყო<sup>\*</sup>; 2. წარწერა ოქტომბრი კათალიკოზის მოხსენებით შეიძლება ეკუთვნიდეს 1033—1048 წლებს შორის. ხანას, როცა ეს კათალიკოზი მცხეთის საყდარს განივებდა; 3. სარქმლის გარშემო წარწერის დათარიღება ძნელია. ხელის მიხედვით ის თითქო XI—XII საუკუნისათვისაც შეგვეძლო მიგვეკუთვნებინა — თუმცა ის უკეცელად უფრო ნაგვიანევი ჩანს, ვიდრე ბალავერის წარწერა, — მაგრამ სანამ ამ ეკლესიის აშენებისა თუ ასლად აშენების საკითხები მტკიცედ გარკვეული, არა გვაძეს, ამ წარწერის დათარიღება შეუძლებელია. მოყვანილ წარწერათა აღგილმდებარეობიდან ერთი ამ თავითვე უდავოა: ბალავერის წარწერა არ შეიძლება უფრო ნაგვიანევი იყოს, ვიდრე დანარჩენი წარწერანი. ამას მხარს უჭირს წარწერათა პალეოგრაფიული ხსიათიც.

\* \* \*

სოფლის საბჭოს წევრი მოვითხოვე და ეკლესია გავაღებინე. გადაწყვეტილი აქვთ კოლმეურნეობის საწყობად აქციონ. კოლმეურნეობის მდივანს მე საჭირო საბუთები უნდა და სიძეელეთა დაცვის კომიტეტის მისამართიც მივეცი. ეკლესის წვიმა უცლის. არეული ამინდია: ხან წვიმს, ხან მზეა. ჩემი ფოტოგადაღებაზი ჯერ მზიან დასრული რა არის, რომ ასეთში ივარგოს... წარწერები კვლავ შეეამოწმე, ხელით გადმოვიდე და წამოსელის ვაპირებდა, რომ სამხრეთის აედელში მოქცეულმა ჩუქურომიანმა ქვამ მიიქცია ჩემი ყურადღება. აქ იშვიათი ხელოვნებით თხზულხაზებში მოცემულია ხარების

\* ვ. ჭავახაშვილი, ქართველი ერის ისტორია, II.

სტრილიზაცია და ეს ისე თავისუფლად არის შესრულებული, მათგან  
დიდი მხატვარი უმაგრეს ქვაშედ კი არ ამოცრიდა მას, არამედ ნამ  
ქალალდე უსეამდა მორჩილ ყალამს. მხეს დაუცადე, მცრავს შენიშვნები  
ვამოანათა და სურათი გადავიღე. ეს ქვა თავის როტლი რჩხულია, მათგან  
ნაწილი ხაზებით და თავისუფლალი ყალამის ხმარებით შეიძლება პირველ  
სახე იყო ჩვენი დიდი მხატვარი-ოქრომჭედლების—ოპიზარების შე-  
მოქმედებისა. ძეელ ნასოფლარებს ვეკითხებით შეგროვილ ხალხს.  
ვეისახელებენ „ნორა შენს“ და „დიგა შენს“. ორივე ყაურმას  
დასაცლეთითა ჯავახეთის მტკვრის მარჯვენა მხარეს. პირველი ორი  
კილომეტრით არის დაშორებული ყაურმასაგან, მეორე კი სამით.  
ნორაშენის მეორე სახელი „ხურმი გიგ“იც გვისწავლეს. ეს სახე-  
ლი უფრო ძევლიაო, ამბობდენ. ჩუსულ ხუთვერსიან რუკაზე დი-  
ვაშენის მაგივრად თაგაშენ-ია აღნიშნული, ხოლო ხურმიგ-ნო-  
რაშენი სრულიად არაა მოხსენებული. ქართულ ხუთვერსიან რუ-  
კაზე არც ერთი და არც მეორე ნასოფლარი აღნიშნული არაა. ყაურ-  
მაში მესამედ ვარ მისული და არც ერთხელ უსიამოვნო ინციდენტი  
არ აგვიდენია.

უსიამოვნო ინციდენტები, ჩვენ რომ ჯავახეთში შეშაობის დროს  
აქა იქ გვხვდებოდა, უკეცელიად მოწმობდა იმ სამწუხარო ფაქტს,  
რომ აღვილობრივ მოსახლეობაში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო ავად-  
სახსენებელი კვალი წარსული დროისა, როცა ნაციონალისტურ-შო-  
კინისტური ელემენტები სიძულვილსა და უნდობლობას სთხოვდნენ  
მომზე ერებს შორის.

ხოჯაბე გიდან გუმბბისაკენ ძევლიად კარგად მოვ-  
ლილ შარაგზა ყოფილა. ესლა ამ გზის ნაკვალევია მხოლოდ. გზაში  
გვხვდება სოფელი „კათნაღურ“. ეს სოფელი რუკაზე აღნიშნული  
არაა. სოფელ არლოვეს მისახვალში პატარა ტბა არის. აჩებობს  
ვადგინცემა, რომ ამ ტბის აღვილზე ქართული სოფელი იყო. ტბა  
ვაჩნდა, სოფელი ჩაიტანა... ჩატანის ჩა მოგახსენოთ და საქმიოდ მო-  
ზრდილი ნასოფლარი დღესაც ჩანს ამ ტბის ჩრდილოეთ ნაპირზე.  
რევერ ეკლესიის ნანგრევიც. სოფლის სახელი არავინ იცის. ტბას  
„ახმაზ“ს (გაუმდინარს) უწოდებენ. ნასოფლარს ელარც კი ამჩნევენ  
და მხოლოდ ეკლესიის ნანგრევებზე მიგვითოთებენ. და ეს იმიტომ,  
რომ ნასოფლარი აწინდელ აჩლოვეს მოსახლეობას თავის სამე-  
ურნეო მიზნებისათვის გამოუყენებია (სამწუხაროდ, აქაც დავაგვია-  
ნეთ. ასეთი მოელენა უკანასკნელ ხანებში გახშირებულა): ნასოფ-  
ლარზე თივასა სთიბავენ, ორმოებს ავსებენ, მიწას ასწორებენ, შე-  
ნობათა ნანგრევებს თხრიან. უკეცელია ასეთივე ბედი მოელის უახ-

ლოგის დროში სხვა ნასოფლარებსაც ამიტომ აუცილებელია; და აღნიშნულია და აღნიშნულია ყველა ნასოფლარისა, მათი სახელებისა და აღნიშნული მდებარეობის გეოგრაფიული გარეკვევა ჭავახეთის ის ტურქეთის მდებარეობის შესადგენად, ძველი ჭავახის მოსახლეობის ტიპის შესწავლა, რომ ამ ხერხით შესაძლებელი გახდეს ნასოფლართა მოსახლეობის რაოდენობის დაახლოებით გათვალისწინება, დასაცავად საჭირო ნაშთების შეგროვება-დაცვა.

გორელოვანის კედელი წავედით. ამ სოფელს ადგილობრივი სომხები ბულდაშენს ეძახიან. უეპეველია არც ესაა მისი უძველესი სახელი. სიძველეებისა აქ არაფერი ასსოვთ. ვერანა სოფლების სხვაც უნახავთ, მაგრამ სახელი არც ერთისა არ იყიან... საერთოდ დუხაბორები ამ მხრით სომხებს მეტად ჩამორჩებიან: მათ შორის იშეიათია ასეთი ვინგე, რომ ამ მხარის წარსული ანტერესებდეს, დაკვირვებანი პერნდეს, რაიმე იცოდეს მის შესახებ... „ძველად ეს ქვეყანა ქართველების მიწა ყოფილა“ — ეს იყიან და ეს. სოფელში აფთიაქის გამგე ქართველი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, მას მონაცირეობა უფრო ეხერხება, ვიდრე სიძველეებზე დაკვირვება... მან აქ ერთი მოხუცი დუხაბორი გვასწავლა: სიძველეთა შესახებ, თუ აქ ვინმევ რამე იყის, ეს ისევ ამ სპიტნენ ვ მართ. ყმაწვილი გაგვაყოლა. ერთ საცაოდ სრულსა და ზედმიწევნით სუფთა სახლში შევვიყავნეს. სბიტნევი მართლაც საინტერესო კაცი აღმოჩნდა. ის ფრიად მოხუცია, მაგრამ საღი გონება შერჩენია და ბევრი რამ ასსოვს. სამწუხაროდ, ჩვენი პირდაპირი მიწნებისათვის ამანაც ცოტა რამ იცის. „არლოვაც და გორელოვაც, — გვეუბნება სბიტნევი, — ძველი სოფლების ნანგრევებზეა გაშენებული. კარგად მახსოვს, აქ დიდი „აულის“ ნანგრევი იყო, ეკლესია და სასაფლაო, ზეთის სახდელის ნაგებობა... სასაფლაოზე, არც ერთი მატური არ იყო. დიდ დიდი ლოდები ეწყო“... დღეს ამ სოფლებში რაიმე სიძველის კვალიც კი არ იპოვება. რა ერქვა იმ ნასოფლარებს სბიტნევმა არ იცის. ბულდაშენიდან აღმოსავლეთით მაღათთაფას (ერთი კონტინენტი მთაა) სამხრეთ კალთაზე სბიტნევი ორ ნასოფლარს მიუთითებს. „ეს აულებით უნდა მეტად დიდები ყოფილიყვნენ, ეს ნანგრევთა სიმრავლიდან ჩანსონ“. ასევე ბულდაშენის სამხრეთით მთის კალთაზე აწინდელ საზღვრის ზოლში იცის მან ვერანა სოფელი... „სხვაც არაერთი შემხვედრია ველში. წინად ბევრი იყო... მრავალი გადასწორეს და ეხლა სათობებიაო“... არც ერთის სახელი საბიტნევშა არ იცის... საჭიროა მა აღვილებზე წასლა. მათი აღნიშვნა რუკაზე. ყველა ამათგან რუსული რუკა მხოლოდ ერთს აღნიშვნას ტბა ბულდაშენთან და იმასაც უსახელოდ, ქართულ რუკაზე კი არც ეს არის.

ლოეს დროში სხვა ნასოფლარებსაც ამიტომ აუცილებელია: და და აღნუსხვა ყველა ნასოფლარისა, მათი სახელებისა და აღნილ მდებარეობის გეოგრაფიული გარკვევა ჯავახეთის ი ს ტ. ქ. ს ტ. ქ. ს ტ. ქ. ს ტ. ქ. ს შესადგენად, ძველი ჯავახის მოსახლეობის ტიპის შემწევ-ლა, რომ ამ ხერხით შესაძლებელი გახდეს ნასოფლართა მოსახლეო-ბის რაოდენობის დაახლოებით გათვალისწინება, დასაცავად საჭირო ნაშების შეგროვება-დაცვა.

გორელოვანი კენტი წავედით. ამ სოფელს ადგილობრივი სომხები ბულდაშენს ეძინან. უმცველია არც ესაა მისი უძვე-ლები სახელი. სიძეველებისა აქ არაფერი ახსოვთ. ვერანა სოფლები სხვაც უნაბავთ, მაგრამ სახელი არც ერთისა არ იციან... საერთოდ დუხაბორები ამ მხრით სომხებს მეტად ჩამორჩებიან: მათ შორის იშვიათია ასეთი ვიზმე, რომ ამ მხარის წარსული ანტერესებდეს, დაკუირვებანი ჰქონდეს, რაიმე იცოდეს მის შესახებ... „ძველად ეს ქვეყანა ქართველების მიწა ყოფილა“ — ეს იციან და ეს. სოფელში აფთიაქის გამგე ქართველი აღმოჩნდა. სამწუხაროდ, მას მონაცირე-ობა უფრო ეხერხება, კიდრე სიძეველებზე დაკუირვება... მან აქ ერთი მოხუცი დუხაბორი გვასწავლა: სიძეველეთა შესახებ. თუ აქ ვინმევ რამე იცის, ეს ისევ ამ ს ბ ი ტ ნ ე ვ მ ა რ. ყმაწვილი გავვაყოლა. ერთ საქაოდ სრულსა და ზედმიწვნით სუფთა სახლში შეგვიყვანეს. სბიტნევი მართლაც სინტერესო კაცი აღმოჩნდა. ის ფრიად მოხუ-ცია, მაგრამ საღი გონება შერჩენია და ბევრი რამ ახსოვს. სამწუხა-როდ, ჩვენი პირდაპირი მიზნებისათვის ამანაც ცოტა რამ იცის. „არლოვეკაც და გორელოვეკაც, — გვეუბნება სბიტნევი, — ძველი სოფლების ნანგრევებზეა გაშენებული. კარგად მახსოვს, აქ დიდი „აულის“ ნანგრევი იყო, კელესია და სასაფლაო, ზეთის სახლელის ნაგებობა... სასაფლაოზე, არც ერთი მატური არ იყო. დიდ დიდი ლო-დები ეწყო... დღეს ამ სოფლებში რაიმე სიძეველის კვალიც კი არ იპო-ვება. რა ერქვა იმ ნასოფლარებს სბიტნევმა არ იცის. ბულღაშენიდან აღმოსავლეთით მაღაოთთაფას (ერთი კოხუსისებური მთა) სამხრეთ კალათზე სბიტნევი რჩ ნასოფლარს მიუთითებს. „ეს აულებიო უნდა მეტად დიდები ყოფილიყვნენ, ეს ნანგრევთა სიმრავლიდან ჩანსო“. ასევე ბულღაშენის სამხრეთით მთის კალთაზე აწინდელ საზღვრის ზოლში იცის მან ვერანა სოფელი... „სხვაც არაერთი შემხვედრია ველში. წინად ბევრი იყო... მრავალი გადასწორეს და ეხლა სოთი-ბებით... არც ერთის სახელი სბიტნევმა არ იცის... საჭიროა ამ აღ-გილებზე წასვლა. მათი აღნიშვნა რუკაზე. ყველა ამათგან რუსული-რუკა მხოლოდ ერთს აღნიშვნას ტბა ბულღაშენთან და იმასაც უსა-ხელოდ, ქართულ რუკაზე კი არც ეს არის.“

შალარის შემოტევის ნიშნები მაქეს. იძულებული ვათ რა იმა  
ცენტრს მივაშურო. აქ, სხვა არა იყოს ჩა, უჭმელობით ამოგერენე  
სული...

11. VIII. ბოგდანოვიდან განდაში გზა სათხა-  
შიდა მდგრადი მიმართვა  
მიღის. დუხაბორი დავიქირავე და განძის წაველით. გზა გრძელია და  
უხეირო. დუხაბორი მოსაწყენია: ჩემი მას არ ვაეგება, მისი ტკიფოლი  
ისაა, რომ შეხსრებული თვით ჩამოიტანა დამშადებაში და არ მი-  
იღეს. იღრინება, სათხაშე ვავიარეთ. აღმართს შეუდექთ. აქ გაცხა-  
რებული მუშაობას ახალი საავტომობილო გზატკეცილის გზის უვა-  
ნაუ—თბილისი—ახალქალაქი—გზით ნავსურზე, წყალი ნაწყლურ-  
ზე—იტყვიან ჩვენში. უაპეველია, აწინდებული გზა ნაკლებ მაცოცქელე-  
ბელი არ იქნება ჯავახეთისათვის, ვიდრე ძველი „ჭართლის გზა“, რომ-  
ლის მოშლა ჯავახეთის კეთილდღეობის მოშლის მომასწავებელიც  
იყო... საღამოს ტბას მივალექთ. ჯავახეთის შტკერის გამოსავალს აქ  
სოფლის ნანგრევი ჩანს. დუ მა ეწოდე გ ბ ა. აქედან თვით ტბის სა-  
ხელი დუ მა ნ გ მ ლ. აქ იმ ტბას საღამოს ტბას არვინ ეძახის. კერა-  
ნა „დუმს“ რუკები არ იცნობენ. ვავიარეთ სოფელი საღამო მისი სამი  
ეკლესით... გადაწყვეტილი გვაქვს ბინა განძაში დავიდოთ. ღამდება.  
გვეჩერება. კარგი ხანს ცდა დაგვეჭირდა განძის კოლმეურნეობის  
კანკულარიაში, სანამ ლამის გასათვე ბინას მივვიჩნდენ. „პერი  
არავის აქეს, მიღება სცხვენიათ“—ოსტატურად გაგვაფრთხილა  
სოფლის საბჭოს წევრმა. შეგვივნეს ერთ მიწურში. ოდა-ბოსლის  
გვერდით. ამონიაკის საშინელ სუნში გაძლებას რამოდენადმე  
კეთილი გულის მასპინძელი, ახალგაზრდა გლეხი გვიშს უბუქებდა.  
გადავათენეთ. სასაფლაოზე გავიჩეცი, აქ ჯვარი მეგულებოდა, ვიპო-  
ვე. ის, სამწუხაროდ, წარწერის მხრით მეტად დაზიანებული აღმოჩ-  
ნდა. ხალხი სწრაფად შეგროვდა. დაინტერესდენ. მათ შორის ერთი  
მჭედელია. ის წყნარი, გონიერი და სიმათიური კაცი ჩანს, მას ბევ-  
რი უნახავს, უფიქრია აინტერესებს... „აქ უწინ ეკლესია იყო“ — და  
გვიჩენებს კიდლის ნაშთს (დუღაბს). „განძაში ძველად მატუ-  
რი ეკლესია როდი იყო... აქო, მამიჩემი იტყოდა, შეიდი ეკლესია  
დაგვხვდათ. დადი მოსახლეობა უნდა ყოფილიყო. ალბათ ქალაქი  
იყო აქ. დიდი ციხეც არია“.

ჯვარის წარწერა მეტად ძნელად იყოთხება. ეულკანური ქვის  
ნახერეტები კიდევ უფრო აბნელებენ ისელაც გადალეულ ნაწერს.  
წარწერა ასომთავრულია. იყოთხება:

- შ ა ი ნ ე  
 1 ესე ჯ ი ა ე ბ  
 2 რთა მ მ ნ ო  
 3 [დეს] პ ტ [?]  
 4 — ნ ჭ ლ ძ  
 5 ფ — [ო ა ?]

ე. ი. წმილად იონანე  
 ესე ჯუარი ა ე ბ-  
 ა რთა მ ა შინ თ. ც ა რ ი ც ა რ ი ა  
 დ ე ს პ ტ . (ეს წერილი შესრულებული იყო  
 საეჭვოა).

— ნ ჭ ლ ძ  
 (წ ი) ფ ა ( „ წ ი ” - ს კ ვ ა ლ ი ც ა რ ი ა  
 „ ფ ა ” ს ა ე ჭ ვ ა წ ა კ ი ა რ ხ ე ბ ა ).

უძეველესი წარწერები ჩვენში საერთოდ ჯვრებზეა დაცული, თუ ასეთი საფლავის ძეგლი არაა. თუმცა ისიც ირკვევა, რომ ჯვარის ძევ-  
 ლად საფლავის ქვად არ ც ხმარობდენ. მჭედელმა გაიხსენა: „აქ ე მბა-  
 ზი (ავაზან) იყო“, ეს უნდა იყოს და ერთს თითქმის საესებით მი-  
 წაში ჩაფლულ ქვაზე მიმითოთა. მე ამან მეტად დამიანტერესა. კი-  
 ცოდი, რომ ეს ე მბაზი კი არა, ამ ქვარის ჩასაცვამი კვარცხლბეკი  
 იქნებოდა. ჩემი ალპენშტაუკი მოვიტანე და მიწას ჩინქნა დაუჭურ.  
 მჭედელმა ლომი მოიტანა, ახალგაზრდებსაც შეუძინა და რაღაც  
 ათიოდ წუთში „ავაზანიც“ ამოიღეს. ჩემი გუმანი გამართლდა —  
 ამაში მჭედელიც დარწმუნდა — სამწუხაროდ კვარცხლბეკი უწარ-  
 წერო აღმოჩნდა...

კვარცხლბეკზე ქვარი წმინდა ითანესი, ზედ ვალესია (თუ ეკლე-  
 სია ცალკე იყო და ეს ქვარი ცალკე?). ჭვრის ფორმა უთუოლ ძევ-  
 ლია: მოკლე მხრები. შეიძლება ძეველი სალოცავი ჩაიმე — „ვა-  
 რი“ გადააკეთეს, ჭვრის ფორმა მისცეს? ჭვრის ზომაა: სიგრძე  
 0,94, განი ძირში 0,29, განი წვერში 0,23, განი მხრებიანა 0,42, მხრე-  
 ბი თითო 0,09, სისქე ძირში 0,29, სისქე წვერში 0,17. კვარცხლ-  
 ბეკის თავი  $0,56 \times 0,35$ , ძირი  $0,66 \times 0,50$ , ღრუ  $0,26 \times 0,33...$

სურბ ოვანეს დღესაც განძის ახლოს დიდი სალოცავია. იქ პა-  
 ტარა ეკლესია და 24 ივნისს დიდამი მლოცველი იყრიდა თურმე  
 თავს. უკელავერი თითქო იქით უთითებს, რომ წარწერა ძეველია.  
 ასოების მოხაზულობაც, ზოგიერთის მაინც, ფრიად ძველია, მაგ-  
 რამ ზოგი (ნ-არი) მეტად „ვულგარულია“. როგორ შეიძლებოდა აქ  
 წარმოდგენილი ძეველი მოხაზულობის ასოების (ე, ჭ, ა, თ) გამართ-  
 ლება, თუ დაუშვებდით, რომ ეს ქვარი იმ დროისაა. რომელზედაც  
 აქ წარმოდგენილი ნ-არის დამწერლობა მიგვითითებს? სამწუხაროდ,  
 წარწერა ადგილად არ იჩინება. მას სპეციალური ჩაჭდომა სჭირია.  
 შეიძლება ცოტა აკლდეს კიდევაც. გამოთქმა „აემართაც“ ნეოლიგიზ-  
 მია, მაგრამ რა ნეოლიგიზმზე ლაპარაკის უფლება გვაქვს წრომის

წარწერის შემდეგ? (აღვოჩა). წარწერიდან თითქო უდავოდ უკავშირი ბა, რომ ჯვარი წმინდა ითანხს სახელზეა ამართული. ის კვარცხლებულებული ჟე მდგარი. უნდა ვიფიქროთ, ეკლესია შემდეგაა აგებული რუსული ხავა საც ჯვარი „შეუცას“ (და ძეველი „სალოცავი“, „ჯვარი“ ქრისტიანულ ემბლემად უქცევია). პირუკუ წარმოდგენა, რომ უწინ ეკლესია ააგვს და შემდეგ ჯვარი ამართეს, უწყეულო და გაუმართლებელია. ამიტომ ეს ჯვარი, როგორც ქრისტიანული სალოცავი, იქ ნადგომ ეკლესიაზე უფრო ძველია. ასეთივე ჩანს მისი წარწერაც. ეს წარწერა ეკლესის არსებობის პირობებში ასეთი შინაარსის თითქო არ უნდა ყოფილიყო. „ესე ჯვარი აემართა“ ნიშნავს ჯვარის დაზოუკიდებელ სალოცავად არსებობას...

„ჯვარის ამართვა“ საერთოდ ძეველი და ფრინველ საინტერესო ტრადიციაა ჩვენში. X—XI საუკუნეთა შემდეგ „ჯვარის ამართვა“ საქართველოს ბარში, როგორც საერთო მოვლენა, აღარ არსებობს. ჯვარის ამართვა საერთოდ ქრისტიანობის ბრძოლას უკავშირდება, მის წინა დროინდელ კულტებთან, მაგრამ თითოეული ამართული ჯვარი, რა თქმა უნდა, ასეთ ბრძოლის კონკრეტულ შედეგს შეიძლება არც წარმოადგენდეს და ჯვარის ამართვას დროთა განმავლობაში შეიძლება შინაარსიც გამოეცვალოს. ამიტომაც არის, რომ ამა თუ იმ „ჯვარის ამართვა“ შესაძლებელია ნაგვიანევ ცრიმისაც მომხდარიყო, როცა ქრისტიანობას უკეთ დიდი ხანია ე. წ. წარმართობასთან ბრძოლაში ყველა პოზიციები, გარევნულად მაინც, დაპყრობილ ქვენდა...

ქრისტიანული „ჯვარის“ საშუალებით ახალი რელიგია „ხსნიდა“, აუქმებდა წინაპერისტიანულ „ჯვარს“. თვით სახელი „ჯვარიც“ კი ქრისტიანობის ემბლემას ამ წინაქრისტიანულ სალოცავის სახელითან შესაძლებელია ჰქონდეს შეთვისებული... ასეთი მიღვომით შესაძლებელია ზოგიერთ შემთხვევაში ამისი დადგენაც კი, თუ რომელი წინაქრისტიანული „ჯვარი“ (-სალოცავი) „მოხსნა“. შესკვალა მის დღიულზე ომიართულმა ქრისტიანულმა „ჯვარმა“... ამისთვის საჭიროა ამა თუ იმ „ჯვარის“ გარმეოთ არსებულ რიტუალის ყოველზრივი (შედარებითი, ისტორიული) შესწავლა. ასეთი რიტუალი, აქამდის ცოცხლად დაცული, ჩქარი ტემპით ევდება და ქრება. უცილებელია მათი სასწავლოდ ჩაწერა-შეგროვება, რომ ეპოქა-თა ცელის იდეოლოგიური ბრძოლის ეს მეტად საინტერესო მასალა საბოლოოდ არ დაიღუპოს და მეცნიერების ხსენებული ეპოქის დალრიმვებით და ცოცხლად შესწავლის საშუალება არ მოესპოს. ეს ჯრები ჯავახეთში (ისე როგორც სამცხეშიც) განსაკუთრებით მრავ-

ლადაა დაცული. ჯვარი აქ დღემდის „ცოცხალია“ და ანგარიში „წიგლად ადგილად შესაძლებელი. რომ ის გვიან შემოტანილი იყოს ლენა არა, როგორც ამას პფიქტობდენ, ამას მოწმობს ეჭირებულება ლებულობა მთელს საქართველოში. ამის შესახებ უკვე ტექსტები იმაზონა თას ლიტერატურული მოწმობები უხვად მოიპოვება იველ ქართულ მწერლობაში. ამასვე მოწმობს საქართველოს მთის თუ ბარის ეთნოგრაფიული სინამდვილე და გეოგრაფიული სახელები...

ამიტომ, გამეორებოთ, ეს საქითხი მეტად მნიშვნელოვანი, სინტერესობ და მასალებით მდიდარია. რაც უხვ ჯილდოს უქადის მასშედ მუშაქს.

საქითხოა მხოლოდ ეხლავე მეცნიერული შეგროვება კველა, იმ მასალისა, რომელიც ცოცხალი ჩიტუალისა, გადმოცემებისა თუ მატერიალური ნაშთების სახით ჯერ კიდევ არსებობს.

„ჯვრები“ ჯავახეთში მრავალგვარია: უბრალო სვეტი—ხაში ქვისაგან (სამსარი), გაუსთული (ხორებია), ჯვარის ქანდაკებით (ლართა), სვეტი გათლილი და ზედ სხევადასხვა ბარელიეფები (აფნია), ჯვარის სახის სვეტი უკვაჩულბეკორთ (ბურნაშეთი), ასეთივე კვარცხლბეჭუშე (განძა, ბარალეთი, მელრევი), სვეტი-ევშაპი (განძა); სვეტი-ფალოსი (მურჯახეთი)... მაგრამ უკველგან ეს ქრისტიანული ჯვარის სახე, სადაც ის არის, ზედმეტის, შემდეგ მოფიქრებულ გაერთიანებულის შთაბეჭდილებას სტოვებს... და მართლაც ეს ჯვარი (ქრისტიანული შინაარსით) დეკორატიული დარჩეა არა მარტო გარეგნულად, არამედ შინაარსის მიხედვითაც, მოუხედავად ხერხიანი ცდისა, რათა ძველი შინაარსი ახალი ქრისტიანული გაეცემოთ „მოეხსნათ“...

განძაში საექიმო პუნქტია. აღგილობრივ ექიმთან ორიც სხვა (მობილიშებული) აღმოჩნდა. უკველანი ქართველებია. ჩვენთან მოვიდნენ. უკვირთ, რომ აქ სომხების სოფულში ქართული წარწერები მოიპოვება... შეგროვილ ხალხს ვერანავების შესახებ ვერთხები. განძან სამხრეთ-აღმოსავლეთით, მოებში ვეისახელებენ ვერანა „მაღარო ს-ა-ს, სადაც თურმე ეკლესიის ნანგრევებიც მოიპოვება. უკუველია ეს ვერანა იმ გზაზედ უნდა ყოფილიყო, რომლითაც ჯავახეთი ბაშეინის უკავშირდება...“ განძის სამხრეთ-დასავლეთით, ჯავახეთის მტკვრის მარჯვენა ნაპირზე ისინი ასახელებენ ნისოფლარ „ქავთაროული“ თურქულად „ქავთაროლლით“ გააზრებული) და „დ უ მ ა-ს ჯავახეთის მტკვრის გამოსავალში. პირველი ამათგანი უკვე სახნავიდაა ქცეული, მეორე შედარებით უფრო დაცულია.

ეკლესიის წარწერათა შესამოწმებლად წავედი. ეს წარწერა  
სამწუხაროდ, აქაც საფრთხეშია. ქვემო (დასავლეთის) ეკლესიერებული  
ლაგრის წარწერა მავალითად ფრიად დაზიანებულია და გადატარებულია  
უკანასკნელი წლების საქმეა: ასეთები განხრის არის ამოტებილი.  
ასევე განხრის ამოტებილია ზემო (აღმოსავლეთის) ეკლესიის სამ-  
ხროთ კედლის წარწერა ორ ადგილის, უკანასკნელი დაზიანება კირ-  
ვა ხნისაა: ის რასტომაშვილის დროს იყო ჯერ კიდევ როგორც  
ალენიშვილთ, აქ ორი ეკლესია დარჩენილი. წარწერები ირიცვება.

ქვემო (დასავლეთის) ეკლესიის სამხრეთ კედელზე (ბალავერზე)  
ასომთავრულით:

- 1 ქ— ღორი. გვრგვნო
- 2 სანი. მეფობად. გი'სი
- 3 ლაშქარნი დ სმოცლა-  
ფრენ-

- 1 ქ—ღმრთივ გვრგვნო
- 2 სანი მეფობად გიორგისი
- 3 ლაშქარნი და სამეფო დამფარენ

4 დ—დო. ყორა. მესნელისო დედაო ყოველთა მძსნელისაო.  
იქვე სამხრეთის კედელზე სარქმლის მარჯვნით ასომთავრულით:

- 1 ქ—ღ—ღორ ად—დე. ორთავე ცხორებათ. მანდატკროვე
- 2 კეცი. შალვა. ძითა. და ძმითა. მათგან. ცოცხალთა—
- 3 ვაშენეთ. მეორე. წ—დ. ესე. საყდარი. ჩ—ნ ნიკოლასქეთა—
- 4 შალვას. მონასა. მანგლაფას. მეობ. ექმენ. ღ—ო. ყ—ლთო—
- 5 საყდარი. დედისა. ღ—ოსად—

5. ი. 1 ქრისტე ღმერთო ადიდე თრთავე ცხორებათ[ა] მანდატკროვე  
2 უცესი შალვა ძითა და ძმითა. მათგან ცოცხალთა  
3 ვაშენეთ მეორე წმინდად ესე საყდარი ჩუქი ნიკოლასქეთა.  
4 შალვას მონასა მანგლაფას მეობ ექმენ ღმერთო ყოველთაო.  
5 საყდარი დედისა ღმერთისამ.

ზემო (აღმოსავლეთის) ეკლესიის დასავლეთის კედელზე ასომთავ-  
რულით:

- 1 ქ—ღ—ღორ ა—დე. ორთავე.  
შ—ა ცხორებ
- 2 ათა მეტერჭლეთ ჭხვცესი—
- 3 შალვა. ძითა. ძმითა. მათმა
- 4 თა ცოცხალთა. ვაშენეთ.  
წ—დ
- 5 ესე საყდარი. ჩ—ნ. ქ—სა  
და—

6 ნე—ლას. ძეთა

- 1 ქრისტე ღმერთო ადი-  
დე თრთავე შინა ცხორებ  
ათა მეტერჭლეთ უხუცესი  
შალვა ძითა, ძმითა. მათმა  
ცოცხალთა ვაშენეთ წმიდად  
ესე საყდარი ჩუქი ქებასა  
და ნიკოლასქეთა.

იქვე სამხრეთის კედელზე ასომთავრულით:

1. კ. ქ' ლ'თო ადიდე ორთვე შ' ა ცხრბთა
- 2 ძლიერი და ოძლ'ველი ყო
- 3 ელთა. მტერთ'გან მექორქლეთო [ხ]
- 4 ოცე] სი შალვა რლმან ძალითა
- 5 [ . . . ] ათა და მელაფითა თავისი -
- 6 თა შეაძრწონვა ყოველი პა[ . . . . . . . ] რსეთისაა.

ე. ი. ქრისტე ღმერთო ადიდე ორთვე შინა ცხოვრებათა

ძლიერი და უძლეველი ყო

ელთა მტერთაგან მექურქლეთ-უ[ხ]

უცე] სი შალვა რლმელმან ძალითა

[ლმრთის] ათა და მელაფითა თავისი

თა შეაძრწუნვა ყოველი პა[ტრონი სპა]რსეთისაა.

ორივე ეკლესიის წარწერები ერთი ეპოქის არიან. როგორც დამწერლობის ხასიათი, აგრეთვე შინაარსიც ამას მოწმობს. ზემო ეკლესია უწინ აუგიათ შემდეგ კი ძველი (დასავლეთის) ეკლესია. პირველი ქებას და ნიკოლასძეთა აუგიათ, მეორე კი მხოლოდ ნიკოლასძეთა. პირველის ავების კამის შალვა მექურქლეთუხუცესი და სპარსთა ძალის შემაძრწუნებელი. შალვას ამ დროს ჰყავს ძმა და ძე.

მეორე ეკლესიის წარწერა ისხენიებს მეფე გორგას და ლაშებას. აქვე მეორე წარწერაში ისხენიება შალვა, მაგრამ უკვე მანდატურთუხუცესი. ვინ არიან ეს გორგი მეფე და შალვა? სანამ სხვა რამე ცნობა არა ვეაქვს, თითქო არაფერია იმის საწინააღმდეგო. რომ ესენი არიან მეფე გორგი VI—ბრწყინვალე და შალვა, ძე ბექა მანდატურთუხუცესისა.

წარწერები საინტერესოა ისტორიულადაც. შალვა ორივე წარწერაში მოხსენიებულია „ძითა და ძმითა“. ჩანს, მას ამ დროს ერთი ძმა ჰყავს. შალვას კი—თუ ის ბეჭასძე — ჰყავდა ორი ძმა: სარგის და ყვარყვარე. სარგის ათაბაგი ვახუშტის ქრონილოგით გარდაცვალა 1334 წელს და გორგი მეფემ ათაბაგობა ყვარყვარეს მიუბოძა (თუმცა ათაბაგობით ეს ყვარყვარე გარდა ვახუშტისა დედ წყაროებში არსადა მოხსენებული; ის ცნობილია როგორც მინისპასალარი და სამცხის სპასალარი). ჩანს, განძის. ეკლესიათა წარწერები 1334 წლის შემდეგაა მოჭრილი, მაგრამ არა უგვიანეს 1345 წლისა (გორგი მეფის სიკვდილის თარიღი).

წარწერიდანვე იჩვევა: 1334 წლის შემდეგ ვიღრე 1346 წლიდან შალვა მექურქლეთუხუცესი მანდატურთუხუცესი გამზღვარა. აქედანვე გარევევით ჩანს: შალვა ათაბაგი არა. ათაბაგობა შართლაც

კვირყვარეს უნდა პქონოდა, როგორც როგორც ამირსახლაში  
(და ეს კი დაბასტურებულია ძველი წყაროებით. ჭუარის ჭარწევები  
რას აღაპები, ომფორის წარწერა, ფრესკები) ბუნებრივ მუზეუმში ეს  
რე იყო თაბავობისა.

წარწერებიდან თითქო იმ დასკვნის გამოტანაც შეიძლება, რომ  
საქართველოს ამ დროს ხანგრძლივი ბრძოლა აქვს სპარსეთთან. ამ  
ბრძოლაში სახელი გაუთვეომს შალვა ჭაველას.

უველა ამას გარდა ირკვევა, რომ უკვი გიორგი ბრწყინვალის  
ეამს საუფლისწულო ჯავახეთი, რომელიც XIII საუკუნეში თო-  
რელთ სახელოს შეადგენდა, ჭაველთ გადასცემით. შეიძლება ეიფი-  
ქრისტ, რომ ეს შალვა პირველი ერისთავია ჯავახეთისა ჭაველთა  
კვარისაგან. ძველი წაკითხვანი ჩვენ მიერ შესწორებულია. წარწე-  
რები აღვილად იყითხვიან. საეჭვო შეიძლება იყოს ამონაფხევი ად-  
გილის აღდგენა: „პატრონი“ თუ „პატივი“?

მთელი ეს ჩემი მსგელობა ამ წარწერათა შესახებ შეიძლება  
მცდარიც აღმოჩნდეს. ჩვენ აზ მოგვეპოვება ცნობა, რომ სამეფო-  
საუფლისწულო ჯავახეთი XIV საუკუნეში ჭაველთა ფეოდალური  
სახლის საპატრიონოდ შექმნილიყოს. ბექა-ალბულას სამართლის წიგ-  
ნი და სხვა ისტორიული ხასიათის ცნობანი და მოსაზრებანი ამ  
დროს ჯავახეთს სათაბაგოდან გამოჩიცხავენ (ჯავახეთის სათაბა-  
კოში მოქცევა უფრო გვიანი მოვლენა ჩანს და ის ხანგრძლივი  
ბრძოლის შედეგად წარმოგვიდგება. სამწუხაოოდ, დღემდე შეუსწივ-  
ლელი რჩება ეს დიდი მნიშვნელობის ფაქტი ფეოდალური საქართ-  
ვილოს პოლიტიკური დაშლილან).

შალვა მეცნიერებლით უცხუცესსა და მანდატურთუხუცესში უფრო  
პართებული ჩამს, მიტომ. XII—XIII ს. დიდი მოღვაწე შალვა თო-  
რელი ვიცეულისხმოთ, თუ ამის ნებას ამ ძეგლების არქიტექტურა და  
დრწერლობის ხასიათი (პალეოგრაფია) მოგვცემდა — (სპეციალუ-  
რი შესწავლა უნდა).

უველას თავისი ვით აშუხებს... ერთი გლეხი მოდის და ჩუმი ხმით  
მეცნიერება: „განა კოლმეურნეობას უფლება აქვს ძველი ციხე დაა-  
გრიოს და ციხის ქვებით საერთო ბოსტო ააგოს“?

კოლმეურნეობის ეს „მოეკო“ ხალისით წამყვა ციხეზე და დამ-  
სმენის კილოთი შემიყეთა: „წლევანდლამდის ეს ციხე მთელი იყო...  
პარშან უნდოდათ დანგრევა. ერთი მასწავლებელი იყო აქ კოლმეუ-  
რნეობის წევრი, იმან დაუშალა. წელს ის მასწავლებელი აღარაა.  
არც სხვა დაშლელი ვინმეა. ჩვენ ვინ რას დაგვიჯერებს... ადგნენ  
ამ ორი თვის წინ, შეესივნენ და აი თვით ხედავ...“ გლეხი ამით ჩემ-

თან საუბრის გათავებას არ აპირებდა, რომ ჩვენები მომდევული გლეხები არ დაენახა. ის უძალ დაღუშდა და ჩქარა წავიდა კოლცე.

განძის ციხე მე 1927 წელშიაც მენახა. გასულ წელს უკავშირდებოდა ვლისას შეეხედე ისევ ხელუხლებელი იდგა. ეხლა კი ჩემ თვეოლებაზ თოთქმის მხოლოდ ნანგრევები-და იყო... ციხები აქამდის ჩვენი ისტორიული კვლევა-ძიების გარეთ ჩემდიან. არა თუ ისტორიული შესწავლის, ისინი უბრალო აღრიცხვის ღირსიც კი ვერ გამხდარან. სიძეველეთა დაცვის კომიტეტს, მაგალითად, ისტორიული მხიშენელობისად მიჩნეულ ძეგლთა ჯავახეთის სიაში გამოტოვებული აქვს არა-ერთი და ორი ციხე (საოთხა, ღულალისი, ფოკა) იმ არა სრულ აღნუსხეიდანც კი. რომელიც ვანსვენებულ შევლევას იყ. როსტომაშეილს მოეპოვება. შეუსწავლელია ჩვენში ციხების არქიტექტურა, შეუსწავლელია ისინი სოციალურადაც; ორივე თვალსაზრისი, რა თქმა უნდა, ერთომეორეს შეავსებს: ციხის სოციოლოგია გან-საზღვრავს უმთავრესად მის არქიტექტურას, ციხის არქიტექტურა დიდად გვიშველის მის სოციოლოგიურ შესწავლაში.

თეულ საუკუნეთა სიგრძეშე შენდებოდა ჩვენში ციხეები. სა-ქართველოს ყოველი კუთხე მოკენებილია ამ ძეგლებით. დგანან ეს წარსულის მოწმები წყალდაწყვეტილ წისქვილუბიერთ, საუკუნეთა გადამლახავნი ჩვენ თვალშინ ინგრევიან და ქრებიან, ისე რომ არც არავინ ფიქრობს დაკითხოს მათ წარსულზე, აოქმევინოს ცოცხა-ლი და მართალი სიტყვა იმ საზოგადოების შესახებ, რომელიც ამ ციხებს აგებდა, უკლიდა, ებრძოდა ანგრევდა.

თუ ეკლესიებიც კი, რომელთა სახუროთმოძღვრო ფორმები გარევეულ ეპოქაში მაინც დაკანონებული და მიღებული იყო, ეპო-ქის ზეგავლენით არაერთგზის იცელიან გარესახეს, რომდენ უფრო ცოცხალი, არსებულ საზოგადოებრივ ურთიერთობასთან და ტექ-ნიკის განვითარებისთან შეფარდებული, ბუნებრივიდ მოზარდი უნდა ყოფილიყო და იყო კიდევაც ჩვენში ციხეთა შესწავლობა. ადგილი, ხანა და დანიშნულება — აი ეს იყო ის მთავარი მომენტები, საბო-ლოო ანგარიშით რომ განსაზღვრავდენ ციხეებს, როგორც ხუროთ-მოძღვრულ მოვლენას. მთა თუ ბაზი, გარდამავალი ხანა, ფეოდა-ლურ პატრიონებური, ფეოდალურ ბატონებური, თუ ხანა „სტაგნა-ციური ბატონებობისა“; სახალხო ლაშქრის, თუ ფეოდალური მხედრობის, ხმალ-მშეილდისრის თუ თოფზარბაზნის ეპოქა, ციხე ფართო მოსახლეობის თვედაცეისა, თუ ფეოდალთა კლასობრივი ბა-ტონობის იარაღი, — აი ეს მომენტები ვანსაზღვრავენ იმას, თუ რა

გვევს თეალტინ: ციხე-გალავანი, ციხე-კოშკი, ციხე-ჭალეული  
ციხე-ბურჯი.



მარიამ გადა

ქალაქების, გზების, სოფლების, სამთავრო-სათავადოებულებულობის პირობებში, არა თვია  
უნდა, ციხეთა ისტორიულად შესწავლელობის პირობებში, არა თვია  
უნდა, ციხეთა ისტორიულად შესწავლა შეუძლებელია. მიტომ მატე-  
რიალური კრლტურის ამ ნაშთთა საბოლოო შესწავლა შესაძლებე-  
ლია მხოლოდ მომსკნებულ კომპლექსში მოხდეს. მათავითვე კი აუ-  
კილებელია ზედმიწევნით აღინიშნოს ყველა ციხე-ნაციხეარები ვე-  
ოგრაფიული განსაზღვრით მათი ისტორიულ ჩუკაზე გადატანის მი-  
ზნით. არქიტექტურის შედარებითი შესწავლით უნდა შესაძლებელი  
შეიქმნეს მათი დათარიღება და კლასიფიცირება. უპირველეს უო-  
ლისა კი ეს ძეგლები სიძეველეთ დაცვის კომიტეტის ზრუნვის ღირ-  
სად უნდა იქნან ცნობილი...

განძის ციხე საინტერესოა არა მარტო თავის სიდიდით (რითაც  
თეთი განძის მოსახლეობის რაოდენობა და ადგილის დიდმიშვნე-  
ლოენობა იგულისხმება), არამედ თავისი სიძეველითაც. ის არის არა  
ფეოდალურ ციხე-კოშკის ტიპი, არამედ უფრო ციხე-გალავნისა. სა-  
დაცუ შიშიანობის ქამს თავს აფარებდა, საფიქრებელია, სოფლის მთე-  
ლი მოსახლეობა. ამ მხრით ის XVIII საუკუნის ქართლის ციხეებისა  
გვას, მაგრამ იმ დროი განსხვავებით, რომ განძის ციხე გათვალის-  
წინებულია არა ცეცხლის მფრქვევა იარაღზე: მას არც ერთი სათო-  
ფური არ გააჩნია. მისი მეტად სქელი კედლები სრულიად ყრუ არის  
და ფილავენის გამძლებული უნდა იყოს ნაგულისხმევი. მასვე უნდა  
გულისხმობდეს ხელოვნური არხი ციხის გარშემო. რომელიც ჭა-  
ვანების მტკვართანა შეერთებული. ციხეში წლევანდლამდის დაცუ-  
ლი ყოფილა ოთხი საინტერესო საფლავის ქვა: ვერძები და შეკაზ-  
მული ცხენები. — სამწუხაროდ, ესეც ამ ორი კვირის წინ მოუთ-  
ხრიათ... კოლმეურნეთათვის ეს ყოვლად შეუფერებელი საქციელი  
რი გადაეწყვიტე დავსეა სარაონო ცენტრის წინაშე.

„ოქენ ჩეენი ქოროლი უნდა ნახოთ? მეუიხება ერთი იხალ-  
განძიდა განძის ჭვარზედ მუშაობის დროს. „აი იქაა ქოროლი!“ და  
ხელს იშვერს ერთ კონტსისებურ მოისავენ განძის ჩრდილოეთით.  
იფ. როსტომაშვილის შრომიდან მე „აბული“ და „ქოროლი“ ვი-  
ცოდი, მაგრამ ამხელად იქ ასელის არ ვაპირებდი... ესენი და სხვა  
ასეთი „ქალაქები“ („გმირთვეთილები“, ბოსელეთი, აკვანასქელი)  
სპეციალური-შედარებითი შესწავლის საგანი უნდა გახდეს კომპ-  
ლექსური ექსპედიციისა... ჩემი ამ ხანად იქ ასელა უნაყოფო შრომად  
მიმართდა.

ქვაბი და ლოდოვანი ღილი ხანია დატოვა აღაშიანმა, შეურიცებელი ბის წესისა და საზოგადოებრივ ურთიერთობის ფორმის კულტურული გაუვა საცხოვრებლის ეს ტიპიც.. ხმარებიდან გამოსულ ქართულ კულტურულ კულტურული ქვაბი და ლოდოვანი თანდათან უცხო და გაუგებარი ხდებოდა და ვავე სულ სხვა კულტურის აღმიანისათვის. ეამთა ცვალება საუკუნეთა სისქით ქვარავს ხსოვნის მათი რაობის შესახებ და გულმავიწყი საზოგადოება ვის ორ ასახლებს ამ თავის წინაპირთა ნასადგომევში...

აღმიანის მოძულე დევები არიან პირველი ბინადარნი ამ პარტაზისა. მათ ებრძვის, ხოცავს ამირანი, მაგრამ ცეცხლის მომტანი მარტოხელი გმირი მარტედება. მაგრამ რა შეგავვავს წინსვლას? რა შეაჩერებს ქოვრების სრბლლას? ამირანს შესცლის გმირთა დასი, ის დაეუფლება ქვაბსა და ლოდოვანს. დღეს ქოროლლი თავისი რაზმით ჩვენ შორისაა. ასწილია გმირი ამირანიც.

დღეს მღვიმე-ქვაბები თავისუფალია. მას უნდა მეცნიერება ეწვიოს. ვინ იყო ქოროლლი? — ვერითხე. — „კაცს არ კლავდა. ლარიბა უყვარდა, რაზმი ჰყავდა. მეფეს ებრძოლა. ამბობენ თოფს არ ხმარობდათ. საწყალ ხალხს ესარჩელებოდა თურმე, ან როგორც თქვენი არსენა“ — მეცნიერებიან აქეთ იქიდან, ერთი მეორეს არ აცლიან. „ის თურმე ისეთი კაცი იყო, როგორც ლენგი თემური“ — თქვა ერთმა შეანნის კაცმა. „ლენგი თემურ ვინდა იყო?“ „ისიც ქოროლლისავთ კაი კაცი იყოვო, იტყვანა“... საინტერესოა, რა რინამდევილები და რა წრემა იქცა ლენგი ქოროლლის ან არსენის შეგავს ტიპად? საერთოდ კი ფრიად საინტერესო ფოლკლორული თემაა..

საღამო. აქ სამი ეკლესია. სამი სასაფლაო. წარწერებით ღარიბი საღამო მეტად საინტერესოა თავის სასაფლაოებით. უდიდესი და ნაგებობითაც უმღიღერესი ჩრდილო ეკლესია. სამწერებოდ, ამ ეკლესის როგორც დასხველეთის, ისე სამხრეთის კარის ბალავერი შემდეგში მინაშენებ ეკვდრებით არის დაფარული. ამიტომ არ ვიცით, აქეს თუ არა ამ ეკლესის რამე წარწერა. სამხრეთის ეკლერი ფრიად ხელოვნურად არის შესრულებული და არც მეტად ნაგვანევი ჩამს.

მცირე წარწერა მოიპოვება ორ დანარჩენ ეკლესიაზე: შეა ეკლესის სამხრეთ კედელზე გარედან: ქვე შწე მნა შნი გვორგ აის ძე მშობელი მისნი, ე. ი. „ქრისტე შეიწყალე მონა შენი გეორგისე მშობელი მისნი“. ეს წარწერა, უნდა ვიფაქტოთ, ეკლესის ავტოს შემდეგ ნაგვიანევადა ამოჭრილი, როგორც ამო-

ქრის ხასიათი, ისე დამწერლობაც ამას მოწმობენ: მოაკრული, უსახერი და მხედრული ასოები ერთი მეორეს სკელიან აქ და მომზრის სახე უფრო ამოკაწრულს მოგვაგონებს. აქვე მეორე წარწერა მარტინ კორელაცია ვერზე ასეთივე დამწერლობისა: ქე მნა შ... ე. ი. „ქრისტე შონა-შენი]...“ დაარჩნენი ჩამოტეხილია: ამავე ეკლესიაში შიგნით ჩრდილოეთის კედელზე ასომთავრულით:

ქ. ც ე მ ა დ [ბ ა]რ ნ ა ბ... (აქ რამოდენიმე ასოს ადგილი აუხეყოლია).

ეს წარწერა ხელის მიხედვით უფრო ძეგლია, ვიდრე წინა ორი. აქვე ცალკე საკურთხეველის მხარეს ასომთავრული თხზული: როსტომიაშეიღლი ამ ლიგატურაში „ქრისტე“-ს კითხულობს, რაც, უფიქრობ, უმართებულია: ამ წარწერას არა აკლია რა. ის დასრულებულია. ასეთივე უნდა იყოს მისი წაკითხვაც: შეიძლება იყითხებოლეს: ქე შე პე, ე. ი. „ქრისტე შეიწყალე კეირივე“...

ქვემო (სამხრეთის) ეკლესია თითქმის დაუზიანებელია, რაღაც წარწერა ასომთავრულით აქაც ყოფილა ბალავრუზედ ამოკაწრული. ის თითქმის სავსებით გადასულია. იტჩევა შეოლოდ ცალკე ასოები: ბალავარზე: 1 ერე ო(?)...

2 ომე ...

სხვა ქვაზე იქვე გვარ დი თ: ეს...

ეკლესიების ბარელიეფთაგან უჩვეულო მოტივებია: ორი გველი მთავარ ეკლესიის სარქმლის ორი მხრით. გველის ქანდაკება ჯვარისა-ვან განცალევებულად მე ეკლესიებშე იშვიათად შემხვედრია (ვაკისჯვარში, ფავნისში) — ჯვართან ერთად ის ჩეცულებრივი მოტივია... მეორე უჩვეულო მოტივია სამხრეთის ბალავერზე: ლამაზ ჩუქურთმებიან კამარის მარცხნით საღვდელმთავრო კვერთი, ხოლო მარჯვნით ხელია გამოქანდაკუბული, ხელს ჯვარი უჭირავს, მა ხელის ცერი შტოსაებრ გაგრძელებულია და ხუთად განშტორებულია და ასე მესამეჯვერაც...

სალამის სასაფლაო იშვიათია. საფლავის „ქვები“ (ე. ი. ცხენები, ეკრძები) აქ შედარებით ბევრია შენახული და, რაც მთავარია ზოგი მათვანი მართლაც ხელოვნებითაა შესრულებული. მდიდარია ეს ძეგლები საყოფაცხოვრებო სამეაულ-იარაღებითაც. ასეთი მდიდა-

რა სასაფლაო მე ჯერ ჯევაჩეთში არ შემხვედრია. რა თქმა უნდა, რა თავისებად შემთხვევით დაცულობას მიეწერება (საღამოში მოწყვეტილი მანები ცხოვრობენ. ქრისტიანის საფლავის ქვის ისინი გვიცვლია მაგრამ არ დაადებე). მაგრამ აյ შეორე მხარე სინტერესო: ესაა ამ სათლავის ქვათა მხატვრული შესრულება... ხელოვნების განუოფილება დიდ საეჭვს გააკეთებდა. თუ კეშმარიტად ხალხური ხელოვნების ამ ძეგლებს შეაგროვებდა, შეისწავლიდა, გამოპოვენდა... ვან იცის, „ფიროსმანაშვილი“ სამიერნოს აბრების საჩივილს გარედაც აღმოჩნდეს... განა სასაფლაოები ნაკლები სარბიელი იყო მხატვარ მოქანდაკეთათვის?? მაგრამ ჯერ პირველ რიგში უნდა დაცის საჭმე მოვარდდეს. უმრავლეს ადგილს ეს ძეგლები სულ მთლად განადგურებულია, გადარჩენილი კი ეხლა ნაღვურდება დიდის სისწრაფით... სიძველეთ დაცის კომიტეტმა მათი არსებობისა და ისტორიული მნიშვნელობის შესახებ არა იცის რა. საღამოში სამი სასაფლაოა. მათი შედარებიდან ჩანს, რომ თითოეული შათვანი სხვადასხვა დროისა და სხვადასხვა სოციალურ წრეთა განსასვენებელი ყოფილა. მთავარი ყკლესის ეზოში დაცულ მდიდარ სასაფლაოს სრულიად არა ჰგავს სხვა სასაფლაოები. აქ უბრალო ხამი ქვებია ძეგლების მიგრირად გამოყენებული. კოთელიაში ერთმა ქალმა მარტივად და დამაჯირებულად ახსნა ეს გარემობა: სასაფლაოს ვათვალიერებდი. იქ მოვიდა ბარალელი ბერიძის ქალი. „ეს საფლავი ვინმე მდიდრის ყოფილა“ — სოჭვა მან და ერთ გაყუთხულ ქვაზე მიმითოთა. „ქვას“ ის აეთებინებდა, ვისაც სიმდიდრე პქონდა. ვისაც შეძლება არა პქონდა, ის იმ ლოდს დადებდა რომელიც ამ მიცვალებულის საფლავის გათხრისას მონაცემდოდა. ამას „ქვასაც“ არ უწოდებდენ. მამა ჩემი ყირიმში იყო, ვატრობდა. დედა რომ მომიკვედა მამა ჩიშოვიდა, დედას „ქვა“ დაადგა. ოსტატი აქეთ სოფლებში არ იყო. ხანდოს იყო. მას გავაკეთებინეთ. სამი თუმანი მივეცით. ეს 1911 წელს იყო. ზოგი ქვა მეტიც ყდებოდა“.

სურათი ნათელია: სასაფლაოები საცეცხოვოდ მხელს სოფლის სოციალ-ეკონომიკურ ყოფის ზოგად სურათს.

ბერიძის ქალის სიტევები სხვა მხრითაც სინტერესოა: ოსტატები იშვიათი არიან. მათ მუშაობა დიდი აქვთ. ამიტომაც სრული საშუალება აქვთ გაიწაფონ, დახელოვნდენ. მეტაც სინტერესოა, რომ XIX—XX საუკუნეში გაეთებული „ქვები“ (ვერძები, შეკაშმული ცხენები თუ სხვა) შესრულების მხრით მეტაც მდარე ლირსებისა

არიან. ყოველივე ორიგინალობას მოკლებული ისინი შეელი „აქადის უშნო და უნიჭო მიბაძვას წარმოადგენენ... არც ერთი ცოცხლი არ ზი ან ნაკვეთი. ეს „ვერძბი“ და „ცეცხები“ მართლაც როგორ გამოიყენები...“

რა არის ამ მოკლენის მიზეზი? „ქები“ ეს აც მრავალ კეთლება. ოსტატი ნიჭიერი ეხლაც ისევე შეიძლება იყოს. მაგრამ არა მთავარი პირობა: მოთხოვნილება არაა ძველებრი: საფლავის კულტი თან გადაიყა, როგორც ჩანს, ძველ ჭავახეთს, ფეოდალურ ქვეყნის. აწინდელი საფლავის ქვა სახლისა თუ გვარის პატივის საკითხი კი აზ არის, არამედ უბრალ მოსახლნარი მამიდან შეიღლამდის ხანგრძლივობით... ამიტომაც არის, რომ „ქვის“ ახალი, თანამედროვე სახეც კი ვერ შეუმუშავებიათ აწინდელ ოსტატებს და ძველ ვერძებსა და შეკაზმულ ცხენებს იმეორებენ. სალაშერო ცხენი კი თავის აღვაზმულობით და მოლაშერის სამხედრო სამკაულ-იარაღებით აწინდელ ჭავის ოსტატისათვის სრულიად უცნობია... აქ ნიჭის სარბიკელი აღმართა ქვეს და ისიც კარგა ხანია სიფლიდან ქალაქებში გადაბრჩევდა... ეს შეტაც რთული საკითხი, რა თქმი უნდა, ასე შეატოვად კერ გადაწყვდება. მაგრამ ზოგადი ხასიათის მოსაზრებათა შორის, ჩვენი მოსაზრება, ვფიქრობთ, უმართებულო აზ არის.

სალაშობონ ისევ განძას დაგრძელდი, ჭავის იმოუარე. ჩემი ყურადღება დისკომ მიიქცია, ჭვარის მხართა შეურის აღვილშე რომ არის გამოქანდაკებული. ის თითქო მზის სახე უნდა იყოს, რას ნიშნავს ეს მოტივი ქე?... მე განზრაა აზ შევჩერდი განძის ცნობილ „ვეზაზე“, როგორც მას უწოდებენ ლიტერატურაში: მასშიც საკმაოდ ბევრი თქმულა. თუმცა მისი შესწავლა სამცხე-ჭავახეთის ჭვრების სრულ და შედარებით შესწავლის გარეშე და ეთნოგრაფია-ეთნოლოგიის მოუშევლივბლად შემცდარად და წინასწარ მარცხად განწირულად მეჩევნება...“

განძაში უჟეჲელია ძეელადც არსებობდა ხიდი ჭავახეთის მტკვარე: ახალქალაქიდან მოკლე გზა ეშტია-ავჭალაზე გამოვლით განძას სწორედ ჩრდილო-დასავლეთიდან მოაღვება და მხოლოდ მცინარის გადმოლახვით შემოვა განძაში. თეთი განძა მდინარის ორსავე ნაპირის უნდა ყოფილიყო გაშენებული და ამიტომაც, შესაძლებელია მას ერქვა „განძანი“ (შეადარე: ფოკანი, არტაანი...). ღლეს განძაში ხიდი ახალია. საფიქრებელია, აქვე იყო ძეელიც. ძეელი ხიდის შესახებ აქ არა ახსოვთ რა.

კომისარი ვეძიე. ვერ ვიპოვე ვერც ის, ვერც კოლმეურნეობის თავმჯდომარე, რომ აქაურ სიძველეთა დაცვის შესახებ მომესაუბრა.

13. VIII. ფოკაში წავედით. აქ შესანიშნავი ტაძარია XI საუკუნისა. წარწერებიც საყმო და საგულისხმიეროა. ეს წარწერებია გვიანდებული გვარის მარჯვნით:

1 ქ ადდე ბე

ე. ი. ქრისტე ადიდე ბავ-

2 რატ კორპლ

რატ კურაპალატი.

3 ტი

აქვე კვარის მარცხნით:

1 ქე ძო

ე. ი. ქრისტე, ძო და სი-

2 და სტურ-ლ

ტუეთ ღმრთისაო, ადიდე

3 თ-სო ად-ედ

მოვანე ოქტომბერი—ქართ-

4 ოქ-ნე ოქტ

ლისა კათალიკოზი ორთავე

5 თბ-რი ქრ-თლ

შინა ცხოვრებათა, ამინ.

6 სა კ-თალ-ჭი

7 ი თრთვე

8 ე შ-ნა ც-ხრ

9 ებთა ა-ნ

აქვე დაბლა ბალავერს ქვემოთ, კარის მარჯვნით:

1 ქ. სახთა ლთა მე ბე

ე. ი. ქ. სახელითა ღმრთი-

2 [რ]ლი ლრს ვიქმნ შებ

სახთა მე ბევრელი (ბავრე-

3 [აწ]ვ[ს]ა ამს ცესასფლი

ლი ?) ლირს ვიქმნ შენება-

4 დ[ . . . ] თა მე თნა

სწმილადსა ამის ცელესი-

დვრი ჭ

ისა საფუძველი დაიდუა

5 ე[ლოსა] ნი ვიყვ ოქტომისა

(sic), მე თანა დაეშურ.

6 ქ ქნსა

კელოსანი ვიყვ ოქტომი-

რისა ქართლისა კათალიკო-

ზისა.

აქვე სამხრეთ კედელზე მარცხნა სარქმლის ქვეშ:

1 ქი ადდე მქლ ქრთსა

ე. ი. ქრისტე ადიდე მიქელ

2 მნქსლრი

ქართლისა ბინქესალარი.

წარწერათა მოთავსების აღგილები და შინაარსი თითქო ეჭეს არ სტოვებენ იმაში, რომ ეს ცელესია ავებულია მოვანე-ოქტომბერის მიერ, რომელიც ქართლის კათალიკოზი იყო ბაგრატ მეფის (1027—1072) კურაპალატობის ეპისტოლა, ე. ი. XI საუკუნის ოცდაათიანი წლების მეორე ნახევრიდან ორმოცდაათიანი წლების პირველ ნახევრამდის. მოხსენებული მოვანე — ოქტომბერი ივივეა, მელქისედეკ ქართლის კათალიკოზის მცხეთისადმი დაწერილსა და გაჩენილს რომ ამტკი-<sup>10</sup> ცხად და რომელიც ყაურმა-ქვერფის ცელესის წარწერაში მოიხსე-

<sup>10</sup> ხე. მეტ. მომშვ. VI, 294.

ნიება, ბაგრატ კურაპალატი — ეს ბაგრატ IV, „აფხაზთა დაქართულთა მეფე“, რომელიც კურაპალატის პატივს ატარებდა სწორი ამავე ხანებში.

ცნობილი ხდება წარწერაში მოხსენებული ბევრების შეზღუდვები რელიუ: ის „კელოსანია“ ოქროპირ კათალიკოზისა და დიდი თანამდებობის პირი. ეკლესიის მაც კელოსანებს მცხეთისშვილები ეწოდებოდა. ბევრები საკათალიკოზო სოფლების მოურავი შეიძლება იყოს ამ მხარეში!

უფრო რთულია საკითხი სარქმლის ქვეშ წარწერაში მოხსენებული პირის ვინაობისა და მისი თანამდებობის შესახებ. წარწერის დროის, ხასიათისა და აღვილის მიხედვით საფიქრებელია, რომ ეს მიქელ (თუ მიქაელ) დიდი თანამდებობის პირია. მისი თანამდებობა კი წარწერაში ოღნიშნულია: „ქართლისა ბნესლრი“. როგორ უნდა ვიხსნოს, სიტყვა — „ბნესლრი“? ამ სიტყვის მეორე ნაწილი — „სლრი“ თითქო სალარი-თ უნდა გაეხსნათ. კარგი ცნობილია. ის სპარსული ტერმინია და ნიშნავს უხუცესი, მეთაური, წინამძღოლი, მთავარი გამზვდი (ი.e. ცენტრი, ლექსიკონი; chef, commandant, général //Senior, Aufsührer, Vorsteher, Oberhaupt). სიტყვის პირველი ნაწილი — ჯგუფი ბნე შეიძლება სხვადასხვაგვარად ვიხსნას და ეს იმის მიხედვით, თუ რა სიტყვას ვიგულისსმებთ ამ ჯგუფში: (ბინქ, ბანქ, ბინექ, ბანაქ...). ქართულში სიტყვა სალარი ცალკე სახელისუფლო ტერმინის სახით, თუ არ ვცდებით, არა გვხვდება. წყაროებში ეს სიტყვა მხოლოდ ნასესხ კომპოზიტებში გვიქვს: სპასალარი (ამირსპასალარი), ახორისალარი (ახოსალარი)... ამ. ს. განაშიას მოსახრება: ბნესლრი — ბანაქსალარი-თ გაეხსნათ. თავისითვის აქ შეუძლებელი თითქოს არაფერია. ამ შემთხვევაში ასო ქ'ანი ს'ანის მეზობლრით გამოწვეულ ფონეტიკურ სახენაცვლად უნდა წარმოვიდგინოთ ასო ქ'ანისა. ამის შემდეგ საძიებელი რჩება: ეს სიტყვა ასეთ კომპოზიტის სახითაა ნასესხი, თუ ეს კომპოზიტი ქართულ ენობრივ სინამდვილეშია შექმნილი. თუ ნასესხია, მაშინ ეს ტერმინი იმ უცხო ენში (სპარსულში, სომხურში?) უნდა დადასტურდეს, თუ ქართულია, მაშინ უნდა დამტკიცდეს, რომ სალარი ქართულ ენობრივ სინამდვილეში დამოუკიდებელი ტერმინის სახით, თუნდაც ნასესხები, არსებობდა. შეიძლება ამის მოწმობად გამოდგეს გვარი სარალიძე — სალარიძე?

1) ბაგრელი, ბევრები თუ ბევრები? შტდ. ამირან-დაჩევანიანი, 163, ფრთხის ბევრები...

უფრო ბუნებრივია, ვფიქრობთ, „პნესლრი“ ბინებმა და  
 გაეხსნათ. ბინები კი ოურქულ ტერმინად გავიგოთ—სახელით და  
 საჯდომი ცხენი (იხ. ცეკვერი, ქ—cheval de seller შემთხვევაში განვიხილავთ Reitpferd). ასეთ გაგებისას უნდა დაუშეათ, რომ ეს ტერმინი  
 სპარსულ-თურქულ სამყაროდან (არაბულის გზით?) გვაქვს ნისესხე-  
 ბი. თვით სპარსულში კი (თუ არაბულში) ეს აღმოსავლეთ თურქუ-  
 ლი ტერმინი საქედარი საქონლის აღსანიშნავად, სრულიად ბუნებ-  
 რივია ძეველ დროსევ შემოსულიყოს. აღსანიშნავია, რომ ტერმინი  
 ახორციალარი შინაარსობლივ დაახლოებით უდგება აფრე გაგაბულ  
 ბინებსალარს იმ გამსხვავებით რომ: 1. ახორციალარი არაბულ-სპარ-  
 სულია, ბინებსალარი კი თურქულ-სპარსული; 2. ამას გარდა, ახორ-  
 ციალარი უფრო დაბალი თანამდებობა ჩამს, ვიდრე ბინებსალარი: ის  
 ქართლის სამეცნიშვილ კი ჩვეულებრივ მრავლობით რიცხვით კვე-  
 დება, მაშინ როცა ბინებსალარი, თუ მთლიან საქართველოში არა,  
 ქართლში მაინც ერთი იყო. შეიძლებოდა ისეთი აბსაცია: ბნე არის  
 თურქული ქ— (ქ) ათასი და ბნესალარი თათასის-თავი. ას შემ-  
 თხვევაში უნდა დაგვეშვა, რომ თურქულ-სპარსულ სინამდევილეში  
 შევმინილი ეს ტერმინი ჩვენში ჩეალურად თათასისთავი კი არ ნიშ-  
 ნედა (ათასის თავის თანამდებობა ჩვენში ისედაც არსებობდა),  
 არამედ განსხვავებულს და უფრო მაღალ კელს. „ქართლისა შესა-  
 ლარი“ ამას გვაფიქრებინებს.

სხვა წარწერები იმავე სამჩრეთის კედელზე:

- 1. საფუძვლის ლურჯ ქვაზე ნუსურით: ქე შე მომწულისა, ე. ი. „ქრისტე შეიწყალე მომწულისძე“.
- 2. თავეიდურ ქვაზე ჭვარია ამოკრილი, მის გვერდით ნუსხურით: ქე შე ხლი, ე. ი. „ქრისტე შეიწყალე ხელი“ (ას ლ-ასა იმ წარწერა-  
 ში მთავრულია).
- 3. სამხრეთის კარილიან მარცხენა მხარეს ასომთავრულით: ქე შე მწევარი, ე. ი. „ქრისტე შეიწყალე მწევარი“.
- 4. იქვე საფუძვლის ქვაზე ორჯერ: ქე შე ბია, ქე შე ბაია, ე. ი. „ქრისტე შეიწყალე ბაია“.

ეკლესიის შიგნით მარცხენა სკეტზე ასომთავრულით:

ქე შე გბრი და ელისაბედ, ე. ი. „ქრისტე შეიწყალე [6] გაბრი-  
 ელ“ და ელისაბედ“.

„გაბრიელ“ წაითხვა არ გვაქმაყოფილებს...

უფრო ამ წარწერილან ბევრელის წარწერა დაზიანებულია (ასო-  
 ები ამოტეხილია), ეს იმით აიხსნება, რომ ეს წარწერა დაბლაა და  
 ამობურულია, ე. ი. ბავშვებისათვის ხელმისაწვდომია და სათუთა.

ტაძარი ძველებურადვე დგას. ცელილება რაიმე დაზიანების  
მხრით არ ეტყობა. საფლავის ქვები იქაც საინტერესოა... ძველი კი-  
ხის ნაშთიც ისევ ისეა, როგორც ეს 1927 წელს იყო. ის მარტინი განადგურებული იყო თითქმის. რა ეწოდებოდა ამ ცინეს — ამ  
იყიან. ცინეში პატარა ნიში დგას... საინტერესოა, რომ კითხვაშე, თუ  
ვის სახელშეა ეს „სურბ“-ი ადგილობრივნი გარევეულ პისუხს ვერ  
იძლევიან, და ეს არა მარტო აქ, ფოკაში, ასეა სხვაგანაც. სურბ კა-  
რაპეტ, სურბ ოვანეს თუ სხვა, რომელსაც არ დაასახელებ, იმას ვი-  
დასტურებენ და თვით მათ დაასახელება კი თქვენ დაუხმარებლად  
უჭირთ... „სურბ“ — ამბობენ უსაყუთარსახელოთ და სხვა არაცერი.  
ნიშნავს ეს გარემოება იმას, რომ ეს „სურბები“ აწინდელი სომხური  
მოსახლეობის ლვიძლი შენამოქმედი არაა, მისთვის უცხოა და ამი-  
ტომაც ყველა ერთი ფასისაა, თუ სხვადასხვა მოსაზრებით მოსახ-  
ლეობა მაღავს თავის ცოდნას ამ სურბების შესახებ?

საფიქრებელია, რომ ორივე ეს გარემოება მოქმედებს აქ. ეს  
„ჯვრები“ რა თქმა უნდა, სომხების მოტანილი არაა XIX საუკუნეში-  
ისინი გაცილებით ძეველი წარმოშობისანი არიან და ადგილობრივი,  
ჭავახური წარმოშობისანი. იმას უცილობლად ამტკიცებს ასეთი  
ჯვრების საყოველთაო გაერცელებულობა საქართველოს ყოველ  
კუთხეში და მესხეთში განსაკუთრებით. მაგრამ ისიც მართალია, რომ  
სომხეთ შორისაც არ არის „ჯვარი“ უცხო რამ. ასე რომ XIX საუკუ-  
ნეში მოსულთ მათ ადგილად შეეძლოთ ზოგიერთი მაინც ასეთი ჯვრე-  
ბიდან თავიანთ სურბებად გადაენათლათ. ასე რომ თუ დღეს ამ  
„ჯვარ“ — „სურბების“ ვინაობის გაგება გვიჰირს, ეს უნდა აისწერო-  
დეს, როგორც ამ ჯვართა არა ფართე პოპულარობით, ისე მოსახლე-  
ობის განზრას დუშილითაც.

ადგილობრივმა სომხებმა ახლო-მახლო ვერანა სოფელი ვერ დაგ-  
ვისახელა, მაგრამ სხვა საინტერესო დავვირვება გაგეიზარა: მან  
ეკლესიის მახლობლად ერთი ფრიად განიერი და ლჩმა ორმო ვეინ-  
ვენა და დაურთო: „აა აქ ძველად ქართველებს ბაზირხანა ჰქონიათ.  
საწნეხი დიდროანი ქვები მეც მახსოვეს ეყარა... დიდი ბაზირხანა კო-  
ფილა... ბოლო დროს მაზრაში სულ ორიოდ-სამიოდ ბაზირხანაღა  
იყო. ახლა აღარც ის არის. ახალქალაქშია ზეთსახდელი ქარხანა.  
ძველად კი, როგორც ასეთი ხარაბაებიდან ჩანს, თითქმის ყოველ  
სოფელში ჰქონიათ ბაზირხანა. ეტყობა სელი ბეერი უთესიათ და  
ზეთიც ბლომად უხდიათ“.

ეს დაკვირვება სრულდად სწორია, ხოლო საქოთხი ფრინად მარტველოვანია ისტორიული ჯავახეთის მეურნეობის ინტენსიურობისა თუ მოსახლეობის სიმჭიდროვის ასახსნელად...

ზეთსახდელთა (ძითავანგ, ბაზირბანა) ნანგრევების სიმრავლისა-თვის უურადღება არა მარტო ფოკაში მიუქცევიათ, ამასვე გვიმოწ-მებდენ მოელ რიგ სოფლებში. სოფელ გოგაშენში კი ზეთის მოხ-მარების ფართო სარბელიც მოგვიხაზეს: „ჯავახეთში კამეჩი ზეთის წაუსმელად სრულიად ვერ გაძლებდა, ასევეა ქლემიც. ზეთია ხარ-ხრობის ერთადერთი წამალი, როცა მათ შენი სჭირო... ზეთი ღარი-ბი ხალხის მთავარი საქებია, მარხვაში კი ყველა ზეთსა ხმარობდა მხოლოდ, სანათიც ზეთისა იყო. ნავთი გვიან შემოედა...“ ძეველ დრის ზეთს, რა თქმა უნდა, გაცილებით ფართო მოხმარება ქვენდა: ის იყო თითქმის ერთადერთი ასანთი სიონე, საჭმელადაც მისი მოხ-მარება შეუდარებლად უფრო ფართო იყო: ღარიბი მოსახლეობის გვერდით, რომელიც მაშინაც უმოავრესად ზეთის მომხმარებელი იყო, აუზებელი მონასტრები ზეთის მუდმივი მომხმარებელნი იყვ-ნენ, ხოლო მარხვის დლევებში (და წლის ნახევარი, თუ მეტი არა, სწორედ მარხვის დლევები იყო) მოელი მოსახლეობა ზეთის მომხმა-რებელი ხდებოდა... სავაჭრო ტრანსპორტის უმთავრესი მატარებელი — აქცეულები ღილი რაოდენობით მოითხოვდნ სოფლის მეურნეო-ბის ამ პროცესტს. ყველა ამის გათვალისწინებით აღვილი წარმო-სადგნია, თუ რა დიღმნიშვნელოვანი უნდა ყოფილოყო სოფლის მეურნეობის ეს დარგი ჯავახეთისათვის და გასაგები ხდება ზეთსახ-დელთა ნანგრევ-ნაშთების ის სიმრავლე, რომელიც აგრე ღილ ყუ-რადღებას იქცევა აჭინდელი მოსახლეობისას.

ამასთან დაკავშირებით არანაულებ მნიშვნელოვანია საქოთხი, თუ ეს კუთხონდა ეს ზეთსახდელები, მოელ სოფელს საერთოდ, კინგე კერძო პირს სოფელში, თუ ფეოდალს. იყო მეურნეობის ეს დარგი ბანალიტეტის საგანი თუ არა. როგორ იყო ეს საქოთხი გადაწყვეტი-ლი ძეველად „ქართველობის“, შემდეგ „ოსმალობის“ დროს?

ამ საქოთხების შესახებ წერილობითი რაიმე ცნობები მე არ ჰემ-ხვერდია. თუმცა უნდა ითქვას, რომ სპეციალურად არც მიძებნია. აქ კი აღვილობრივ ასეთ კითხვებზე პასუხს ვერ მიიღებ. აქაურთა კოდნა XIX საუკუნეს არ სცილდება, როცა ეს ზეთსახდელები კერძო პირთა საკუთრებას შეადგენდნენ. სხვადასხვა მოელითი ხერ-ხებით ამ დიღმნიშვნელოვან საქოთხის გამორკვევა, ვფიქრობთ, იმ შემთხვევაშიაც შეიძლება, რომ არაეთიარი პირდაპირი წერილობი-თი ცნობა ამ საქოთხის შესახებ მართლაც არ გადატენილიყოს. მა-

ნამდის კი საჭიროა აღრიცხულ და დაცულ იქნას აქა-იქ სოფლებზე  
აქამდის „გადარჩენილი ძეველი ზეთსახლელები“ (დილისკაში) ფარმაციული  
ნიურულად აღწერილი იქნან ისინი. სიცველეთ დაცვის კარგისამომავარ  
სათვის ასეთი სავითხი ჯერჯერობით არც არსებობს...

როგორც ფოკანი (თუ ფოკა). ისე სხვა სოფლებიც ფარავნის  
ტბის პირზე (ასუარა, მახარონი, თავფარავანი..) ძეველი წყაროების  
მიხედვით ცალკე, ჯავახეთისაგან გამოყოფილ ჩაიონს წარმოადგენ-  
დნენ—ფანავრის რაიონს. ეს აგრე ესმის მელქისედეკ ქართლის  
კათალიკოზე XI ს-ში<sup>12</sup>. ასევე ესმის ეს მცხეთის საკათალიკოზო  
სოფლების სიის შემდგენელსაც XVII-ში. უკანასკნელი საბუოიდან  
ისიც დასტურდება თითქო, რომ აწინდელ სოფელ ჩაღიონოვას ანუ  
ადგილობრივ სომებს და თურქ მოსახლეობის გამოთქმით ფარა-  
ნის ძეველად უნდა თავთ არავანი რქშეოდა. ამას ეთანხმება  
ცნობილი ხალხური ლექსიცი: „თავფარავენელი ვაბუე ასუარას  
ქალსა პყვარობდა“... ჯავახეთის ტბების გარემოთა არქეოლოგიურ-  
მა შემოვლა-შესწავლამ შესაძლებელია მეტად საინტერესო შედეგე-  
ბი მოვცეს, როგორც ისტორიული ხასიათის, ისე, და უმთავრესად,  
ეგრეთ წოდებული პრეისტრიული ეპოქისათვის.

თავფარავანის მეორეჯერ მიხდება გავლა. შარშანაც ვიყავი ურთი  
საათით. აქაური სიძველეები ცნობილია: ქარეასლა და ორი ეკლესია.  
ქარეასლა გაზომილი აქვს ხუროთმოძღვანი მიხეილ შევიშეილს. აქ  
მუშაობისას მას უპოვნია ასომთავრული წარწერა. წარწერიანი ქვა-  
ბი ზოგი მორყეული ყოფილა. ზოგი კიდევ მოცილებული ძირს გდე-  
ბულა. ხუროთმოძღვანი შევიშეილს წარწერა გადმოუხატავს, ქვები  
კი (სულ ოთხი ქვა ყოფილა), იმის შიშით, რომ არ დაკარგულიყო,  
სოფლის რწმუნებულისათვის ჩაუბარებია დასაცავად. საუბედუ-  
როდ, წარწერის გადანახატი მან ვეღარ იპოვა, ხოლო სოფლის რწმუ-  
ნებული 1927 წელს, ვისაც მან ეს ქვები ჩააბარა, მე ვერ ვიპოვე...  
ვერავინ გაიხსენა, თუ ვინ იყო ამ წელს აწმუნებული... მე საშუალე-  
ბა არ მქონდა სამაზრო არქიეპის გზით მემია ის პირი, ასე რომ ეს  
ძვირფასი წარწერა ჯერჯერობით დაკარგულია.

იყ. ჩოსტომაშვილის ჯავახეთში მოგზაურობის დროს ეს ქარეასლა  
სავსებით მთელი ყოფილა „Караван-сарай состоит из ворот, ве-  
дущих во внутренний отделения сараая, образующих внутри три

<sup>12</sup> საქ. მუხ. მოამბ.: VI.

свода, длиною до 30-ти шагов, при ширине в четыре аршина каждое отделение. Построен он весь из прекрасно обожженного серого камня и кирпича<sup>13</sup>.

ქარვასლის სიგრძე — 24,2 მეტრი; ის სამი ნავისაგან შედგება. თითო ნავში ხუთი კამარაა, ე. ი. ხუთი ოთახი. თითო ოთახის სიგრძე — 4,2 მეტრი, განი — 3,2 მეტრი. სულ ასეთი ოთახი 15-ის (თუ : თ ი: შუა ნავი უნდა კორიდორი ყოფილიყო). ფასალის კედლის სისქე — 1,45 მეტრი. სიმაღლეზე ლაპარაკი არ შეიძლება: ის მიწით და ქვითაა ამოვსებული.

ქარვასლა გადანაკეთები ჩანს: პირველად ის სულ თლილი ქვასაგან უნდა ყოფილიყო აგებული. თლილი და ორნამენტიანი ქვები აქა-იქ უწესრიგოდ არის დატანებული. უკვე დასანგრევად ხელმა-ყოფილი, მაგრამ შედარებით მთელი ყოფილა ის 1927 წლისაც, როგორც გადმოგვცემს ხუროთმოძლვარი. მ. შავიშვილი. დღეს კი ეს ძეგლი ისეთ მდგომარეობამდისაა მიყვანილი, რომ დღე-დღეზე უნდა დაინგრეს. არცერთი თლილი ქვა აღარ შეურჩენიათ. რაც ერ მოუ-ცილებიათ, დაუმტკრევიათ. უკანასკნელად აგურსაც მისღვიმიან. თუ სასწრაფო ზომები არ იქნა მიღებული ძეგლის დასაცავად, ვეძ-ეობ, ერთია-ორი წლის შემდეგ მისი ნაშთიც აღარ იქნება....

სამარცხინოა და დანაშაულია, როცა ასეთი ძეგლი სიძეველეთ დაცვის კომიტეტისათვის უცნობია: დაცვის ღირსაც ცნობილ ისტორიულ ძეგლთა ჯავახურ სიაში მას თავდარავნის ქარვასლა შეტანილი არა აქვს. აუცილებელია ამ ძეგლის მეცნიერული შესწავლა. საჭიროა მისი გაწმენდა, გაზომვა. ასეთი მუშაობა შესრულებული აქვს ხუროთმოძლვარ შავიშვილს. საჭიროა მუხეუმმა შეიძინოს ეს ნაშრომი. ქარვასლათა ნაშთები საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში საკმაოდ მოიპოვება, ასე რომ მათი ისტორიულ-შედარებითი შესწავლა სახვებით შესაძლებელია. თავის მხრით ქარვასლების შესწავლა მციდროდაა დაქავშირებული სავაჭრო გზების მიმართულებათა, მათ კეთილმოწყობათა შესწავლის საკითხთან. გზები, ხილები ქარვასლები, ტრანსპორტი, ვაჭრობა და ქალაქები და კულტ ეს სასოფლო მეურნეობისა და სახელოსნო წარმოების განვითარების ნიაღავზე,—ყველა ეს ერთი მთლიანია, ერთიმეორეს გულისხმობს...

<sup>13</sup> Сборник материалов для описания местности и племен Кавказа, XV, 58.

თავფარავანში თრი ძეელი ექლესია. ერთ მათგანს პერანგო საკულტურული მემკული აქვს და მხოლოდ დუღაბი და დგას. მეორე შედარებით მთელია. უკანასკნელზე თრი წარწერაა დაცული და ერთი და იგივე შინაარსისაა: „ქრისტე შეიწყალე პავლე“.

წარწერანი ასომთავრულია, მხოლოდ ერთ მათგანში ვ' ინი და ლ' ისი ნუსხურია: წარწერები შეიძლება XII—XIII საუკუნისა იყოს:

ქ' შ' პ' პ' ლ' ან

ე. ი. ქ' რისტე შეიწყალე პა-

ქ' შ' პ' პ' ლ'

ვლე ამინ. ქ' რისტე შეიწყა-

ლე პავლე.

იქვე ექლესის გარშემო სასაფლაო ყოფილა. იქ შესანიშნავი აღარადერია. ქვები დატაცებულია.

თავფარავნიდან ტბა დიდებულ სანახაობას წარმოადგენს. უზარმაზარ საჩიქედ გადამლილა ის და კიდევბზე ჩამწერივებული სოფლები ჰყალულად იცქირებიან მის გულში. მახსოვე შარშანდელი ჩვენი საუბარი: აქ უნდა კლიმატური სადგური იყოს... რა სანადირო აღვილია, რა სასპორტო...

ტბას გაღმა პირდაპირ სოფელი ასფარა მოჩანს. ენას თავისითავად ადგება: „თავფარავნელი ჭაბუკი ასფარას ქალსა პყვარიბდა...“ ამ დიდებული შემოქმედების აეტორნი არც გაღმა დარჩენილან, არც გამოღმა... სულძალი ბებერი — უამთა ვითარება იყი და აბეზარი იყო ძეელი ჭავახეთის მევიდრთათვის.

ლაშაზი შეთოლიები გამაბეზრებელი წიაქით დატრიალებენ თვეს მეთევზებებს, რომელთაც ბადე ამოულიათ და ნანადირებს პერებენ.

ტამბოვკას აკენ წავედით. გზა ტბის პირს მიპყვება. შეიანჯარიანი დღე ღრუბლიანშა საღამომ შეცვალა. ქარი ჩადგა. აღელვებულ ქაფებული ტბა უცებ. დაწყნარდა და თათქო სულთქმა შეწყვიტა, გაინაბა. ეს მოახლოებული წვიმის უტყუარი ნიშანი იყო... სოფელში ძლიერ შეეასწარით. კოვიპაბიტული დაშვეა. დუხაბორისას გადავათიერ. ჩვენმა მასპინძელმა ისიც კი არ იცოდა, თუ მის სახლის უკან კარტოფილის ყანის ვევრდით ვისი სასაფლაო იყო... ძეელი სასაფლაო ომოჩნდა. ეკლესია საფუძვლისა დანგრუელი, საფლავის ქვებიც მცირედაა გადარჩენილი.

ტამბოვკაში მისავალს მისებინ 1/2 კილომეტრის მოშორებით დღეს პატარა სოფელია გაშენებული. აქ ხულგუმოდან გაღმოსული თურქულად მოსაუბრე კათოლიკები დასახლებულან...

ტამბოვკას, დუხაბორებს გარდა, დღესაც ყველა ჩა ჩა-ს უწოდებს. შეიძლება ეს ძველი ქართული სახელის სომხურ-თურქული

ფორმა იყოს: ჩატეა(რი) ან ჭაჭეა (რი). როგორც ჭაჭეა ისეზარი არ ხო არცა ჭართულ ონომასტიკონში: ქუაბულისძე ჭაჭეა ჭაჭესძე, ჩატი ჭაშვილი... „კარი“—ამ შემთხვევეში შეკვეცისტური უკიდურესი ლება იყოს წარმოდგენილი „კა“-ს სახით. ასეთი შეკვეცისტური უკიდურესი, თურქულ ან სომხურ ნიადაგზეა მომხდარი. ძველ ჭავახეთში ცნობილი იყო სოფელი ჭაჭეა ჭარი ვარძია — თმინგეს შორის მტკვრის პარცხენა ნაპირზე („ჭაჭერული მალი“), ეხლა იქ სოფელი აღარ არის, გოგარენი უკიდურესი ბალებია: ჭაჭერებს უწოდებენ...

ას ფარა სულ უკანასკნელ ხანებში დასახლებულა. აქ სოფელ კარტიკმიდან გადმოსახლებული თურქულად მოსაუბრე კათოლიკები ცხოვრიდნენ. რა თქმა უნდა, სოფლისა და მის არეშარეს საძველეთა შესახებ ამათ არა იციან რა. სოფლის შეუაში მომზრდილი ბორცვია, რომლის თავზე ძველი ეკლესიის ნანგრევია; აქ ყოფილი ძველი სასაფლაოც, აქეთ ბორცვის ფერდობზე — მის სამხრეთის მხრიდან ყოფილი გაშენებული ძველი სოფელიც ეკლესია პატარა (20,30 × 4) ყოფილა, თლილი ქვისაგან ნაგები. ეკლესია-სასაფლაო ფრიად სქედი და მაღალი კიდლით ყოფილი შემოზღუდული.

გზა ასფარიდან დასავლეთით პობლიკამისავენ მიდის. ტბას აქ მაღალი, კალარი კიდევები აქვს. აქა-იქ კლდეებში მღვიმეები პოჩანან — „დარანები“, როგორც ადგილობრივი ამბობენ. (სიტყვა დარანი ქართული არ უნდა იყოს, მაგრამ ის, როგორც ჩანს, არა მარტო სამცხე — ჭავახეთში იმპარებოდა. მცხეთის სოფელთა ერთ-ერთ ძველ ნუსხაში მოხსენებულია: „არაგუის თავს ჭვეს (მცხეთის ეკუთვნისო)... სოფელი, აგარანი და ქუაბნი და დარანი და სიმაგრენი“<sup>13</sup>... (გურიაში „დარანი“ არ შემხვედრია, მაგრამ მისგან ნაწილობრივი სიტყვა კი დღესაც ცოცხალია: „გამოდარანებული“ ნიშნავს გამოლრუებულს). საჭიროა ამ დარანების დავლა, შესწავლა... მაგრამ, როგორც არა ერთგზის დაურწმუნდი, სათანადოდ შეუიარაღებელი, მოუშადებელ-ხელცარიელი ხეტიალი ამ დარანებში, თითქმის უსარგებლო შრომაა (ელექტრო ნათურები, წერავები). კარვები, სათანადო ფოტოაპარატი და სხვ.)<sup>14</sup>.

ასფარასა და პობლიკამს შეუა ტბაში ღრმად შეკრილ ნახევარ-კუნძულზედ მოჩანს სოფლის ნანგრევები. ჩანს ის დიდი

<sup>13</sup> თ. ეთრდან ი. ქრონიკები..., 11, 196.

<sup>14</sup> საბას გამოიტებით: „დარანი კლდეში, ანუ მიწის ჭვეშ შესასულელი (+სამაღაფი ც). სახლი მიწას ჭვეშ ნავები, გინა მიწა და კლდე შეთხრილი უნდობად ც“.

ხნის ვერანაა: ნაშენობა იქ ჩიმე არა დარჩენილა. მხოლოდ შინუალები მომოვნები მცულავნებენ სოფლის ნაკვალევს. მით უფრო საინტერესოა ამ ნასოფლარის შესწავლა. ასეთივე სოფლის ნანგრევი კუნძულზე აღნიშნულია ტაბისყურის პირზეც... რა ქვია ჩვენს ვერანას იქ ვერ მითხრეს. არც იყოდნენ თუ აქ „ხარაბა“ იყო. რუსულ-ქართულ რეკებზე ის ას ფართი იწოდება.

სოფელ ვლადიშიროვას ფოკელი სომხები პობლიკამს უწოდებენ. აქ ეხლა მალაკნები სახლობენ. უკეთელია პობლიკამი (და არა ბობლიკან, როგორც რუსული და ქართული რეკები აღნიშნავენ) ძეველი სახელია იწინდელ ვლადიმირსკოეს ან მის ახლოს მდებარე ნასოფლარისა. უცნაურობის მიუხედავად ეს სახელი — პობლიკამი ქართული სახელი ჩანს: მას არა ერთი მონათესავე მოეპოვება როგორც ჯავახეთში (კარტიკამი, კულიკამი, ოქამი) ისე საქართველოს სხვა მხარეებშიც.

ფოკის დაებრუნდით. აბულ-ჯარტიკამზე გავლით აქედან მოკლე გზა მიღის ახალქალაქისაკენ. მე კი გული პატარა არაგალზე მიმიწევდა. განძაში მარწმუნებდნენ, რომ იქ „მალაურების“ შესავალში ძველი რაღაც წარწერები მოიპოვება. ასეთი ცნობების დიდი ნდობა არა მაქს ხოლმე, მაგრამ გაუსინჯავად მაინც ვერ მოვისვენებდი.

წამოვედით და ფოკადან ოცი ვერსის გავლით გვიან სალიმოს დიდ არაგალში მიეღით. ჩვენ კოლმეურნეობის მოანგარიშე აღს გრიგორიანისას მოგვათვასეს. აღს გრიგორიანი პარტიული კაცია, ახალგაზრდა, ჰეკვიანი გლეხი. მას საგულისხმო დაკვირვებები აქვს როგორც კოლმეურნეობებზე, აგრეთვე საერთოდ მეურნეობაზე, ხალისიანი მოსაუბრეა და თავაზიანი მასპინძელი.

ცოტა ხნის შემდეგ შემოგვესტუმრნენ ადგილობრივი კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. მივითანი და სხვა რამოდენიმე პირი. ამხ. მივითანი ბოგდანოვის რაიალმასკომის ყოფილი თავმჯდომარების გონიერი და განვითარებული კაცი ჩანს. ვილაპარავეთ ჩვენს მიზნებზე, მუშაობის ტექნიკურ სისწრეებზე, არასასურველ განწყობილების არსებობაზე ჩვენს მიმართ, ზოგიერთ ადგილებში განსაკუთრებით.

ვისაუბრეთ ჯავახეთის სამეურნეო შესაძლებლობებზე. საუბარ-ზა დაადასტურა ჩვენი მოსაზრება, რომ ჯავახეთში მეხორბლეობა არახელსაყრელია. თუ ქერი—კიდევ პო, პური აქ ნაძალადევი ამბავია. აღრეული ყინვები მეტად ხშირად აცდებს მოსავალს. ამავე დროს თივა მოუმცდარია და დიდ მოსავალს იძლევა. ამიტომაც მესა-

ჭონლუობა აქ ფრიად ხელსაყრელია და ის უმთავრესი დაწესებულება /  
იყოს მეურნეობისა.

საეითხია: ასეთ არარენტაბელურ მეურნეობის მიმღები გერმანული  
ნენ ჯავახეთის მკვიდრინი სულ მუდამ?

უფლება გვაძეს ვამტკიცოთ, რომ ასეთი რამ გარკვეულ დროს არ  
უნდა ყოფილიყო: მოსახლეობის ის სიმრავლე, რომელიც აშ არსე-  
ბული, თუ ვერანა სოფლების გაოვალისწინებით ივარაუდება, შე-  
უძლებელია ასეთ არარენტაბელურ მეურნეობის პირობებში შექმ-  
ნილიყო და ასებულიყო. მასვე გულისხმობდა საქართველოს სა-  
მეურნეო და ეკონომიკური მთლიანობა მისი ფეოდალური განვითარე-  
ბის უძლიერეს ხანაში. მსხვილი და წერილუფეხა საქონელი (შემა-  
საქონელი, ხორცი, მატყლი, ტყავი, ჩინი ნაწარმი), სელი (-ზეთი),  
თაფლი (-თაფლი, სანთელი), შინიური ფრინველი და თევზი, ქერი  
იყო ჯავახეთის მოსახლეობის ღოვლათი, რაის გარდანამატსაც ის  
სააღებმიცემო საგნად აქცევდა საქართველოს სხვა კუთხეებთან,  
რომელიც მას საჭირო სახმარით (ცური, ლეინო, მარილი, ფარჩეუ-  
ლი, ხილი) ამარავებდნენ.

საქართველოს სამეურნეო და პოლიტიკური შერყევა XIII  
საუკუნეში მონალოლთა ბატონობასთან დაკავშირებით, მისი პოლი-  
ტიკური დაყოფა XIV—XV ს.—ში და ბოლოს ჯავახეთის (და მთელი  
მესხეთის) ოსმალთა მიერ საქართველოდან ჩამოგლეჭა—უდიდესი  
მნიშვნელობის ფაქტები იყო, რომელიც შესაფერის გვოლენის  
ანდენდნენ საქართველოს თვითურელი კუთხის მეურნეობის სახე-  
ობის შემდგომ განვითარება-დაცემაზე და ამდენადევ ქვეყნის  
პოლიტიკურ, თუ კულტურულ მომავალს განსაზღვრავდენ... XV—  
XVI საუკუნიდან, საფიქრებელია, მეტად გაძლიერდა აქამდისაც  
სააღებ-მიცემო ურთიერთობის შესუსტებით საკმაოდ შერყეული  
ძველი რენტაბელური მეურნეობის მოშლის პროცესი.

ჯავახეთის მოსახლეობაც იძულებული იყო იხალ პირობებთან  
შეგუებით მეურნეობის ძეველი სახე შეეცვალა. არახელსაყრელად  
შექმნილ მესაქონლეობისა და სელის წარმოების ხაზზე პურეულის  
ოუსვა გაეძლიერებია, რაც ჯავახეთის პირობებში სამეურნეო რეგ-  
რესს მოასწევებდა და საბოლოო ანგარიშით ძველი მოსახლეობის  
საგრძნობ შემცირებას გულისხმობდა...

შემოსტუმრებულთ შორის მე ვიცან ის სათხელი გლეხიც, რო-  
მელმაც უცნაური ლრეპით გვამცნო, რომ სათხის ეკლესის წარწე-  
რები ნიკოლოზის დროს „ვაკისტილი“-ი, ეხლა მან როსტომიაშეიღილის  
მიერ წაყითხული წარწერის დალებვაც გვაცნობა, როცა ერთი ქართ-

ველი მოვიდა და სტეფანე ფალოიანთან ერთად ეკლესიაში წარწერი  
აღმოაჩინა და მელნით გამავა. ეს კარგად მახსოვესო. მისი შემცირებული  
ის წარწერა დიდხანს იყო, მაგრამ მერმე, როცა სომხის ეჭვისმატებული  
დევნა დაუწყეს (ე. ი. 1900 — 1903 წწ.), თუ მაშინ ის ქვეჭვიალებულე  
და „ვაჩისტილი“-ო. მი ცნობის პირველი ნაწილი სინამცდევილის იერს  
ატარებს: წარწერის მელნით გამავება, სტეფანე / ფალოიანი — ეს  
როსტომაშვილსაც აქვს მოხსენებული. ცნობის მეორე ნახევარში  
მართალი უნდა იყოს ის, რომ წარწერა გამოიძეს და „ვაჩისტილი“,  
ხოლო მისი მიზეზიად სომხეთ ეკლესიის დევნა ნიკოლოზის მთავრო-  
ბის მიერ, რა თქმა უნდა, არ გამოდგება... უხერხულობის თავიდან  
ასაცილებლად ცნობის მომწოდებელ გლეხს შეტი აღარა ვკითხე და  
მოსაფრენებს არაგალის მღვიმებზე და იქაურ წარწერებზე ჩამოუგ-  
დე საუბარი. „მაღარა“ ყველამ იცის, წარწერა — არავინ...

მეორე დღეს დილადრიინ „მაღარა“-ს სანახვად წავედი. სამწუ-  
ხაროლ, ჩემი ეკვი გამართლდა. აქ წარწერა რაიმე არ აღმოჩნდა-  
ეს არის უზარმაზარი ბუნებრივი მღვიმე ყაფარ კლდეში საკმაოდ  
მაღალი „ჰერით“. მღვიმე მეტად ღრმადა შიგნით შევრილი. მ-  
ბობენ ხუთას სულ ცხვარს იტვესო. შიგნით უკუნი სიბნელეა. შე-  
სკლა—დათვალიერება—გაზომეა სპეციალური მოწყობილობას მო-  
ითხოვს: ძეველად გამოსავალში ამ „მაღარას“ ხელოვნური კედელიც  
კი პქონია. ჩანს, ნაგვიანევად სიმაგრედაც გამოუყენებიათ ის.

13. VIII. იმედგაცრუებული ახალქალაქში წამოვედით. აუცი-  
ლებელია დასკვნება. გზად ყაურმიდან ხორენიამდის ჯავახეთის  
მტკვრის მარჯვენა ნაპირზედ ორი ეერანი გავიარეთ: ნორე შენი  
(ყაურმიდან 3 კილომეტრი) და დიგა შენი (ნორაშენიდან ორ  
კილომეტრში). უკანასკნელი მეტად დიდი და კარგად შენახული  
ნასოფლარია. ეკლესიის ნანგრევიცაა აქ. სასაფლაოზე ერთი ფრიად  
მხატვრულად შესრულებული ცხენის ქანდაკებაა თავის მოკაზმუ-  
ლობით. სხვა საფლავები ღარიბულია: ცარიელი, ბრტყელი ქვები.  
ეკლესიის ნანგრევში ტრაპეზის მაღალი ოთხუთხი ქვა დღეს რაღაც  
სალოცავია: „სურბ სარქისიაო“ ამისსნა ჭიგრაშენელმა სომეგმა...

შუადღე გადასული იყო, როცა ხორე ნია შე მოვედით. ხო-  
რე ნია ა-კარ ნეთი ცნობილია სიძეველეებით. აქ სპეციალური მოსვ-  
ლა საჭირო. ამხელად კი ერთი წარწერის შემოწმებით კემაყოფილ-  
დებით. ესაა ეკლესიის ბალავერის წარწერა. ის შესრულებულია  
წითელი სალებავით და ფრიად დაშიანებულია (უფრო განზრახ, ვიდ-  
რე ბუნებრივად):

- |                           |                                 |
|---------------------------|---------------------------------|
| 1 ჯ 0 [ქეხი]              | გ. ი. 1 კუარი ქრისტეშო          |
| 2 ქ ე ღდევი               | 2 ქრისტე ღდიდე ქრისტენები       |
| 3 მელქიშედ ეს ქართლისა    | 3 მელქიშედ ეს ქართლისა ქართლისა |
| 4 კათალკოზი ორთა[ვ]ე შ[ა] | 4 კათალკოზი ორთავე შინა         |
| 5 ცხორ ქებათა ან          | 5 ცხორბათა ამინ                 |
| 6....                     | 6 (ქრონიკონი იყო სმით)          |

ამას ქვეეკით ახლად აფხევის გამო აღარა ირჩევა რა. პროფ. ეჭ. თაყაიშვილის მიერ წაყითხვა თრიოდ უმნიშვნელო დეტალს გარდა სრულიად სწორია. აქა იქ შერჩენილ წითელ სალებავის ნაკვალევით მისთვის ჩეცული სიმახვილით აღუდგენია პატივცემულ მკვლევარს წარწერა და სრულიად სწორად. მხოლოდ „ქ ნ ი იყო ს მ თ“ სრულიად აღარა ჩანს. წარწერა ეკუთვნის XI საუკუნის ცნობილ პირს, მელქიშედეკ ქართლის კათალკოზს და შესრულებულია 1029 წელს... ხალხმა თავი მოიყარა. „ვრასტან“ „პაიასტან“ აქაც გაისმა. ერთი მეორეს ედავებიან. თუ რა ენაზეა ეს წარწერა. უმრავლესობა უარყოფს მის ქართულობას და სომხურად წაყითხვას ცდილობენ... გვეკითხებიან. უსხნით. პარტკომის მდგრანი. ამ. გაბრიელიანი დახმარებას გვიძირდება...

კვლავ დაბრუნების იმედით ამ ერთი წარწერის შემოწმებით კვიყოფილდებით და ახალქალაქს მიედივართ.

რაიალმასკომის თავმჯდომარე ამ. ნაზარეტიანი უარს გვეუბნება ნორჩის პურის მოცემისზედ. კომერციული პური კი უმოწყალოდ გვანადგურებს (გირვანქა 7 მანეთი)... ჯერ დალლილობისა და შემდეგ უამინდობის გამო თრი დღე ახალქალაქში ეკვექით. თხუთმეტ დღისტუროს საღამოს ნაჩქარევად უახლოეს სოფელ დილისკა ში გავედით. ძველი ეკლესია აქ აღარა. ის ახალზე გაუხმისარით. სასაფლაოებს რამოდენიმეს გვიჩვენებენ: ცხენების და ცხერების ქანდაკებები, გუთნეული ეძვესულელათი სახნის-საკვეთლით და ორივე ერთნაირი სიღილის თელებით. საინტერესოა აქაური ხაჩქარები. ასეთივე ტიპის ხაჩქარები სომხური წარწერებით მოიპოვება სოფელ კარტიკამის ძველ სასაფლაოზე. გვისახელებენ უახლოეს ეკრანა სოფელს მურჯი კი კანს, სადაც მოიპოვება თურმე დიდი დარანა. მურჯიანს ჩვენი ხუთვერსიანი ოუკები არ იცნობენ... სამწუბაროდ მხოლოდ გვიან—აქეთობას დილისკელ თანამგზაერთან საუბრიდან გამოვარევით. რომ სოფელში ჯერ კიდევ დაცულია ძველი ზეთსახდელი ქარხანა (ძითაძანგ, ბაზირხანა). საჭიროა მათი ხაჩქაროდ დეტალური აღწერა. გაზედმეტებული. მომქმედ მეურნეობიდან გამოსული, ისინი უეკველია, მაღვე გაქრებიან.

16. VIII. ბ ა კ რ ა ს ე კ ლ ე ს ი ი ს წ ა რ წ ე რ ე ბ ი ლ ი ტ ე რ ა ტ უ რ ა მ ი ა ც ნ ი ბ ი  
ლ ი ა: 1. ა ლ მ ი ს ა ვ ლ ე თ ი ს კ ე დ ე ლ შ ი ს ს ა რ კ მ ლ ი ს თ ა ვ ზ ე მ ო თ ა ვ ს ე ბ უ ლ ი  
ბ ა რ ე ლ ე ფ ი — დ ა ნ ი ე ლ ლ ი მ თ ა რ მ ი შ ი რ ბ ა რ ე ლ ე ფ ი ტ უ რ ი ს ტ უ რ ი ს ტ უ რ ი ს  
ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი წ ა რ წ ე რ ა ა:

ქ ე ა დ ე ს ტ ე რ ნ, ე. ი. „ქ რ ი ს ტ ე ა დ ი დ ე ს ლ ფ რ ი ნ ს“

შ ე რ ე რ წ ა რ წ ე რ ა ე კ ლ ე ს ი ი ს დ ა ს ა ვ ლ ე თ ი ს კ ე დ ე ლ შ ი ა: წ ა რ წ ე რ ა  
ო თ ხ ე უ თ ხ ი ქ ვ ი ს გ ა რ შ ე მ რ ა დ ა თ ი თ ა რ ა ც ი თ ხ ე უ თ ხ ე დ ს ქ მ ნ ი ს. ქ ვ ა მ ო  
თ ა ვ ს ე ბ უ ლ ი ა თ ი თ ქ მ ი ს ს ა ხ უ რ ა ვ ქ ვ ე შ (ს ა მ ხ ე ბ ი). ე ქ წ ა რ წ ე რ ი ს  
ა დ გ ი ლ ი ა რ ა ა. ა მ ი ტ რ მ, ს ა ფ ი ქ რ ე ბ ე ლ ი ა, ი ს ე ქ ე ლ ე ს ი ი ს გ ა დ ი კ ე თ ე  
ბ ი ს ა ს ა ს ა რ ა ლ ი დ ა ტ ა ნ ე ბ უ ლ ი. წ ა რ წ ე რ ა ა ს ო მ თ ა ვ რ უ ლ ი ა:

1 ს ა ხ   . . . . .	ე. ი. ს ა ხ ე ლ ი თ ა
2 ლ ი თ ი ს ა ი თ ა ა გ ო ე ს ე	ლ მ რ ი თ ი ს ა ი თ ა ა ქ ე გ ო ე ს ე
3 ჟ ე ლ ე	ე პ ლ ე —
4 ს ი ა წ ა ს ფ ი ნ რ ს ქ რ ნ ქ რ ლ ს	ს ი ა წ მ ი ღ ა დ ს ლ ფ რ ი ნ ს ქ რ ნ ქ რ ლ ს.

ხ ე ლ ი ნ ა გ ი ა ნ ე ე ი ა — XIV—XV ს. ს ა ნ ი გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ ი მ თ  
ხ ა ს უ ლ ი ბ ი ს ა ა. წ ა კ ი თ ხ ვ ა ს ა ე კ ე რ ა. რ თ ს ტ რ მ ა შ ე ი ლ ი მ მ ხ მ ლ ი ღ დ რ ა მ ი მ  
დ ე ნ ი მ ე ს ი ტ უ კ ვ ა ს ა რ ჩ ე ვ დ ა. პ რ ი ფ. თ ა ყ ა მ ი შ ე ი ლ მ ა ბ ო ლ ი შ ი დ ა უ რ ი თ ი  
ა რ ა რ ს ე ბ უ ლ ი „ძ ს თ ა“ დ ა მ ა ი ნ ც ა რ ა გ ა მ რ ე ი ღ დ ა რ ა. ჩ ვ ე ნ ი წ ა კ ი თ ხ ვ ა ც  
ა რ ა ა დ ა მ ა ქ ა მ ა რ ი ლ ფ ი ლ ე ბ ე ლ ი. წ ა რ წ ე რ ა ს ა რ ს ე ბ ი თ ი ა რ ა ა ქ ლ ი ა რ ა, რ ა ც  
ა ქ ლ ი ა, ი ს ა დ ვ ი ლ ა დ ა ღ ი ღ დ ი ნ ე ბ ა: ს ა ხ (ე ლ ი თ ა), ა ს ე რ ი მ წ ა კ ი თ ხ ვ ი ს  
ს ი ძ ნ ე ლ ე უ ჩ ე ე უ ლ ი (ა ნ შ ე ს ა ძ ლ ე ბ ე ლ ი ა უ ვ ი ლ უ რ) დ ა წ ე რ ი ლ ი ბ ა შ ი ა.  
ა ქ ე ე ე კ ლ ე ს ი ი ს ე ზ ი შ ი მ მ თ ა ვ ს ე ბ უ ლ ი ა ს ა ს ა ფ ლ ა მ, რ მ ე ლ ი ც მ ი მ  
დ ი ნ ა რ ე წ ლ ი ს ზ ა ფ ხ უ ლ ს მ ე ტ ა დ დ ა ზ ი ნ ი ა ნ ე ბ უ ლ ა. ა დ გ ი ლ ი ბ რ ი ვ კ რ ლ  
მ ე უ რ ნ ე რ ი ბ ა ს ე ს მ ი ღ ა მ რ ა თ ა ე ს ს ს ა მ ე უ რ ნ ე რ მ ი ზ ი ნ ე ბ ი ს ა თ ე ი ს გ ა მ რ ე  
უ ე ნ ე ბ ი ა დ ა ს ა ფ ლ ა ვ ი ს ს ა ი ნ ტ ე რ ე ს ი ს ქ ე ბ ი ზ ა გ ი ხ ე ვ შ ი გ ა დ ა უ კ რ ი თ,  
ზ ა გ ი ც ა დ ა უ მ ტ ე რ ე ვ ი ა თ. ჯ ე რ კ ი ღ ვ ე დ ა ც უ ლ ი ა ს ა ფ ლ ა ვ ი ს ქ ვ ა მ თ ა ვ  
რ უ ლ ნ უ ს ხ უ რ ნ ა რ ე ვ ი წ ა რ წ ე რ ი თ:

1 ქ. ე ს ე: ს ფ ლ ვ ი: მ გ დ	ე. ი. ქ. ე ს ე: ს ა ფ ლ ა ვ ი: მ გ დ
2 ა რ ს: შ ნ: ლ თ ნ: დ ა: ვ ნ ც	ლ მ ე რ ი თ მ ა ნ: დ ა: ვ ი ნ ც შ ე ნ დ ღ მ ა ი: თ ქ უ ა ს: მ ა ს ც ა: შ ე ნ დ ღ ვ ე ნ: ლ მ ე რ ი თ მ ა ნ:
3 შ დ ბ ი: თ ქ ს: მ ს ც ა: შ ნ: ლ თ ნ	

ბ ა ვ რ ა ს ა წ ი ნ დ ე ლ ი მ ი ს ა ხ ლ ე რ ა თ უ რ ქ უ ლ ა დ მ ი ს ა უ ბ რ ე კ ა თ ი ლ ი  
კ ე ბ ი ა. ა ღ ს ა ნ ი შ ი ნ ა ვ ი ა მ ა თ ი ი ნ ტ ე რ ე ს ი ს ი ძ ე ლ ე ბ ი ს ა ღ მ ი ა. კ უ მ უ რ დ მ,  
წ ყ ა რ ი ს თ ა ვ ი, ზ ა რ ი შ ა, ვ ა რ ძ ი ა... მ ა თ ი რ ა მ ბ ა დ ა ზ ი ნ ე რ ი ბ ა... ა ხ ლ ი ნ  
ს ა ფ ლ ა რ ი თ ა ვ ა ნ დ ა გ ვ ი ს ა ხ ლ ე ს ი ა ქ ე ე ა ღ მ ი ს ა კ უ ლ ე რ ი თ ი ქ უ ნ უ კ ა დ ა ვ რ ა

და კარტიკაშის თავს გოგრაშენი (თუ კორგაშენი?). წარმოადგინდეთ სამხრეთ აღმოსავლეთით ხანუმ ფუნარ (დედოფლის წყარო). არც ერთი ამათგანი სუთევერსიან რუკებზე აღნიშნული პრაქტიკული

თორიაში პროფ. ე. თაყაიშვილი ორ წარწერას პრინციპულურად დღეს არც ერთი აღარ გადარჩენილა. ძველი ეკლესიის ადგილს მხოლოდ დუღაბი ამედივნებს. აქვე ყოფილა სასაფლაოც. ორიოდე ცხენერები ჯერ კიდევ მოწმობს ამას. წარწერიანი ქვები მოვიყითხე. არვინ იცის რა.

ეკლესიის ნანგრევთან ახლოს „სურბდომინიკოს“-ია. ეს არის სამი ქვის ჯვარი, ერთ ერთი ამ ჯვართაგანი თავისი ფორმით (შოკლე მხრები, ასიმეტრია) უდავოდ ძველის შთაბეჭდილებას სტოკებს. ქვემო ნაწილი მას საკვარცხლბეჭედ აქვს წამიახვული. აქვე დგას მისი კვარცხლბეჭედიც და კი არვინ იცის, რომ ეს ჯვარი ამ კვარცხლბეჭედ უნდა იდგეს. ცალ-ცალკე ვიპოვეთო, გვიპასუხებენ. თორიელი სომხები კათოლიკები არიან. ამიტომაც მათი სურბი „დომინიკოსია“. აქვე ახლოს მთაშე აქვთ ასეთივე სალოცავი ქვა „სურბ ავანესა“.

„აქ დიდი ზეთსახედელი (ძითაპანგ) იყო. ეხლახან დავანგრიეთ... გვიჩვენეს „მალაზი“. ეს არის ძველი რალაც ნაშენობა შიგ სოფელში. ვიწრო შესასვლელით სრულიად ბნელი და, როგორც ამბობენ, მეტად ლრმა და ფართო. შესაძლებელია, ის სამეურნეო დანიშნულების ნაგებობა იყოს, მაგალ.—ფარები, თუმცა აქაურები ასეთ შესაძლებლობას უარყოფენ.

უ ჩ მ ა ნ ა ზ ე გველით ჩვენ ა ბ უ ლ ს წავედით. ეკლესია და სასაფლაო აბულში უვნებლადა დაცული. წარწერა შევამოწმე. ეკლესიის დასავლეთის კედელზე: ასომთავრულით

ჯი ქსი  
ქე შე გლნ.  
ატზ

ე. ი. ჯუარი ქრისტესი ქრისტე შეიწყალე გალატონი

წარმოდგენილი წარიმოვა—ასე კითხულობს ი. როსტომაშვილიც— არაა საესებით უდავო: სიტყვა „გალატოზნი“-ს ასოების ორ წყებად დალაგება უცნაურია და უჩვეულო; არც გალატოზთა წარწერის ადგილია თითქო ა. წარწერა XI—XII საუკუნის შედეგი ხანისა შეიძლება იყოს მხოლოდ. სასაფლაო დავათვალიერე. საინტერესო საფლავის ქვებია. ვერანა სოფლები მოვიყითხე. ახალს ვერას გვიშნებიან. „სურბ“-ი აბულის მთის წვერში დაგვისახელეს. სახელი არ იციან.. განხეხას შევევითხე, ხომ არ იციან იქ წმინდა ხაჩატურის საფლავის შესახებ (ი. როსტომაშვილის ცნობის თანახმად). ასეთ ცნობას უარყოფენ...

დაბრუნებისას სოფელ თახჩი გამოვიარეთ. ეს 1918 წლამდის „მუსლიმანური“ იყო. ეხლა იქ სომხური მწამახრულებელი ბაა. სიძეველეთაგან კერაფერი გვიჩვენეს.

გზაზევა კარტიკა მიცი. იქ თურქულად მოსაუბრე კათოლიკები ცხოვრობენ. სიძეველეთაგან მეტად საინტერესოა სასაფლაო ხანქარები სომხური წარწერებით, მხატვრულად შესრულებული ცხენები, ვერძები, საომარი თუ საყოფაცხოვრებო იარაღები... სამწუხაროდ, გვიანია და ღრუბლიანიც: სურათების გადაღებას ვერ ვახერხებთ.

დღევანდელი მოგზაურობისას გავიცანით ახალქალაქის ქართული ათწლედის მოწაფე ბენო გვარმაძე. მისი სიტყვით ქალაქში სულ თხბილი კომლი ქართველია: ბერიძე, გვარმაძე, მიქელაძე... ქართული ათწლედი რაიონის ქართულ სოფლებს ემსახურება... გვარმაძეს აინტერესებს სიძეველები. იატორიისადმი, როგორც ყოველი მესხი თუ ჯავახი, რომანტიკულად არის განწყობილი და მტკიცნეულად გრძნობს.

ხორენიაში მეორედ მივედით. აღმოსავლეთის მხრიდან სოფლის თავში აქ ერთი პატარა ეკლესიაა ძველი სასაფლაოთი. ეკლესია თლილი ქვისაგანაა. სამხრეთის მხრიდან ბალავერზე, რომელიც უზარმაზარ ფიქალს წარმოადგენს, მოთავსებული ყოფილა მთელ სიგრძეზე ერთ სტრიქონიანი წარწერა, რომლის მხოლოდ ნაკვალევი და ჩანს დღეს: ვიღაცას დიდი გულმოლგინებით ამოუთლია წარწერა, ისე რომ არც ერთი ასო არ გადაუჩინებია. საკუ ამითლილია იქვე სამხრეთის კედელზე გამოქანდაკებული ჯერის ზემოთ წარწერა, ეტყობა ხორენიაშიც იგივე ხელი მუშაობა, რომელიც განხრას ანადგურებდა წარწერებს სათხასა, აღასტანში და სხვაგან ჯავახეთში.

ამას წინად აქ ყოფნისას პარტკომის მდივანი ამს. გაბრიელიანი დაბმარებას დაგვიძრდა. სამწუხაროდ, ის ეხლა ვერ ვიმოვეთ: კოლმეურნეთა სამყალში წასულა. იმ იმედით, რომ უკუმოქცევისას ვნახევთ მას, ჩვენ პირველად ვერანა კარნეთში წასელა გადავწყვიტეთ. ეს ნასოფლარი აქვედან სულ ორიოდ კილომეტრის მანძილზეა.

ვერანა კარნეთი ჯავახეთის მტკერის ღრმა ხეებია ზედ წყლის პირზედ. მეტად მაღალი და ციცაბო კლდოვანი ნაპირები მრავალ მღვიმე-სახისრებით ამ ნასოფლარს საიდუმლოების იერს ანიჭებს. თუ ჯავახეთის მტკერის პირით გზას არ წარმოვიდგენთ, რაის ნაკვალევი მე ვერ შევნიშნე, ისე აქ ღრმა და კლდოვან ხეები სოფლის არსებობა გაუგებარია. შეიძლება წისქვილები პერნათ აქ. მაგრამ

მამინ ეკლესია ოთვაშია? ერთიც გაუგებარია: ნასოფლარი  
ნასაღვომევნი) მდინარის მარცხნითა, ხოლო ეკლესია მეურებულები  
კარწეთის ეკლესია ეკვდრიანი ყოფილა. წარწერა, გვეჯორიშვილი  
შეიღს რომ მოპყავს, დღესაც არსებობს. ის ეკვდრის კარის ბალა-  
ვაჩხეა, ერთობ დაბლა (ცხვრის ნაცელით ნიადაგის შეზეინვის გა-  
მო) და შწყემს ბავშვებისათვის ხელმისაწვდომია. წარწერა მეტად  
დაზიანებულია. ი. როსტომაშვილს ის განხრას, მოტეხილ-მოთ-  
ლილად შეუნიშნავს... წარწერა შეიძლება XIV—XV სს. ეკუთხო-  
დეს. დამწერლობა ისომთავრულია. ხელი ულამაზო. უწიგნურობაც  
ჩანს. რამდენადაც გადარჩენილი ნაშთით მსჯელობა. შეიძლება, ეს  
წარწერა ეკვდერს არც კი უწდა ეკუთხოდეს... გასში შესაძლებელია  
მეტად სისწრეოსი მასალა ყოფილიყო დაცული ჭავახეთის წარსუ-  
ლიდან. აუცილებელია ამ ქვის ახალქალაქში გადატანა. აქ ადგილზე  
მის დაცვასზე ლაპარაკიც არ შეიძლება-

- 1 . . . . . ქანლის ძისა გარდანს მიბო (ძე)ს:
- 2 ს . . . . . ხოროდხვრანი ოდ (?) და დე ვანი: . . . . .
- 3 სიცა ( . . . . . თ) აჯი მლუნითა: დ(ა) ოტიცვრითა:  
დ (ე . . . . . ბ)
- 4 ონენ(ა) . . . . . თა ოდეს მე მომზუდეს კაცი არ  
(ო . . . . . ) ლ
- 5 (მ)ყოა ( . . . . . . . . . ) ასარჯიშმენს ოცდა ათი-  
თა და (ლითა)
- 6 მოვ ( . . . . . ჩ) უიდშეტი ათასი თეთრი ქათლიკა  
(დ . . . . . )
- 7 მოი (ჯ . . . . . . . . . ნ)ედ დ(ა) რა ქ'შე (ყვლით-  
რთ—თა . . . . . )
- 8 შლინ: ( . . . . . . . . . . . . . . ი) იდ(ე—  
გადე—ა ოც) იათა
- 9 სი თე (თრი . . . . . . . . . . . . . . ს—) მ—  
თს(ო)ლნი

წარწერა მეტად დაზიანებულია. აქ რაიმე მთლიანის ამოქითხვა  
ხანგრძლივ შრომას მოითხოვს, რაც ადგილზე ჩვენს პირობებში შე-  
უძლებელი იყო. ხეირიანი ფოტოგრაფია რამოდენადმე დედნის  
მაგივრობას გასწვდა... სამწუხაროდ ჩემს მიერ გადალებული ამ  
წარწერის სურათი (ისე როგორც უმრავლესობა ჩემი გადალებები-  
სა) ამ მხრით სრულიად გამოვსადევარია.. ეკლესის (და არა ეკვდ-  
რის) სამხრეთ კედელზე მოთვესებულია რაღაც წარწერა, რომელიც  
ეკედრის სკეტითა დაფარული, ის თან სტანდარნად ყოფილა და მხო-

ლოდ სტრიქონების დასაწყისის და ზემო სტრიქონის ბრუნვის  
ჩანან:

1 ვიყ . . . . 0.4  
2 რნი . . . .



ვკვდრის სვეტი მკვიდრად დგას და წარწერის წაკითხვის საშუალების არ იძლევა. წარწერა ხელის მიხედვით XI—XII საუკუნეებს შეიძლება მიეკუთვნოს.

შემჩერეულმა გარემოებამ დამატებითა და ეკლესიის ბალავერს დაუწეუ ჩხრეკა. ის ვკვდრის კედლით სრულიად დაფარულია. დიდის წვალებით დუღაბის მცირე ნატეხი გამოვაგდე, ბალავერის ნაწილი თვალმისაწვდომი გახდა და ერთი ასომთავრული „ა“-ნიც შეერიშე. მოჩანს ჯვარის ძირიც. ბალავერი ჯვარით ყოფილა შემკული. შემდგომად წვალებამ კიდევ რაღაც ასო დამინახვა (ცერ გავიჩჩიო). მცირე რამ ხელსაწყო რომ მჭირდეს, ამ ბალავერის გათვისუფლება არც თუ შეუძლებელია.

იქვეა მეორე პატარა ეკლესია: მის ბალავერზე შიგნიდან ნუსხურით:

ქ' შ' უ' ერდ (სხვა ამოტეხილია).

ხორენაში დაგებრუნდით. გაბრიელიანმა გვიშველა. კიბე მოატანინა და ახალი ეკლესიის სახურავხე ავედით. აქ ყველამ იცის რომ ჰერზე სახურავს ქვემ მოყოლილი წარწერა. ეს ის წარწერაა იყ. როსტომაშვილს რომ მოჰყავს. პროფ. ე. თაყაიშვილის შესწორებით ეს წარწერა ასე იქოთხება:

„ოდეს თათართა ყოველი ქუშუანად წაგუაროთ, მისგან დაუმთავრებელნი კარის ბეჭნი მე ჩიგა გავათავენ. ვინცა ამას ნახევიდეთ მოგვერნებდეთ (sic) ოცდა ჩვდეტი ათასი თეთრი კათალიკოზისა და მეფისა გახმარეთ.“

უკანასკნელი ოთხი სიტყვა შეიძლება შესწორებას საჭიროებდეს. იყ. როსტომაშვილის გადმონახატი უკანასკნელი სიტყვის „ვანმარეთ“ წაკითხვას არ ამართლება: „რ“-ის წინ „ო“-ნი გარკვეულად ჩანს იქ. ესეც რომ არ იცის „ვანმარეთ“—ამ „ხ“-ანით XIII საუკუნეში უჩიეულო გვეჩვენება. ამიტომ უფრო სწორი იქნება, ვთქმულობოთ, აღდგენა: „ე(მსა) ხურეთ“. ამისდა მიხედვით შეიძლება წინა სიტყვებიც შეიცვალოს: „კათალიკოზისა და მეფესა ემსახურეთ“. წარწერის საბოლოო დადგენა, რა თქმა უნდა, მხოლოდ მისი ნახვის შემდეგ შეიძლება.

ჩვენმა ქერზე ასულამ, უქმად ჩიარა. სახურავს ქვემ შესველა, თუ სახურავის ნაწილი არ აიშალა, შეუძლებელია....

ამს. გაბრიელიანი კოლმეურნეთა სურათის გადაღებას გვთხოვთ. ის მათ მოსაგროვებლად წავიდა. მასიონაში შეი სოფელში მდგრადი რა ქვითკირის შენობა ვნახე (3:10×2). ის დანგრეულია. ფრაგმენტებია სამკედლიანი. ნაშენია ყორით. შენობის შიგნით ჩრდილო აღმოსაფლეთის კუთხეში, თითქმის კედელში დგას უზარმაზარი, ამ შენობის საერთო სიღიღესთან შეფარდებით, ქვა-სვეტი, რომელის კონსტრუქციული გამართლება აქ არ შეიძლება. მას უკეცელია სხვა დანიშნულება აქვს. თვით შენობაც ოთხკუთხია; მას საკურთხევლის მომრგვალება არა აქვს, რომ ეს ქვა საკურთხეველის ნაწილად მიგველო... მე მაშინვე „სურბი“ ვიფიქრე და მოგროვილთ მისი სახელი ვკითხე. მათ გაიკირევს, თუ საიდან ეიცი, სახელს რომ ვკითხულობ და მიპასუხეს: „ტობანუკ“. ტობმანუკის სიგრძე — 1,80 მ, სისქე — 0,45 მ, განი — 0,70 მ. ტობმანუკის გვერდში პატარა ნიშანია, სადაც ეხლაც ყრია სანთელი, სპილენძის ფული, ქათმის ფრთხები... ტობმანუკს მხოლოდ ქალები ლოცულობენ. შაბათ საღამოს ჩრმად მოდიან, სანთელს ანთებენ... საინტერესოა ტობმანუკთან დაკავშირებული რიტუალის ჩაწერა და შედარებითი შესწავლა. თავისთვად სახელი ტობანუკ მეტად საინტერესოა. იქ ამის მნიშვნელობის შესახებ არა იციან რა. ხომ არ არის აქ ორი სიტუაცია ტობმ და მანუკ? ტობმ—თესლი და მანუკ — შვილი-ყრმა... მაშინ ქვა ტობმანუკი, შეიძლება, ფალოსია...

18. VIII. ვერანა „ჩფლე“-ის მხოლოდ სასაფლაოდ გადარჩენილა. ეს სასაფლაო მით არის საინტერესო, რომ აქ მხოლოდ ერთი „ვერაძი“ მოიპოვება, სხვა დანარჩენი სულ გაუთლებ-გაუკუთხავი, ხამი ქვებია, რაც ყოფილი მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური სახის მანიშნებელი შეიძლება იყოს.

ჩან დურა მოზრდილი სოფელია ახალქალაქისწყლის მარცხნა ნაპირზე. როსტომაშვილი აქ ძეველ ეკლესიას და წარწერას იხსენიებს. დღეს ეკლესია აღარაა. არც წარწერას იციან რა. ერთი საინტერესო საფლავის ნაშთი გვიჩვენეს: კლდე იმოქრილია ადამიანის სივრცეზედ ნახევარი მეტრის სიღრმით. მას ჰქონია სახურავი, რომელიც ამ ორიოდ წლის წინ აუძრიათ. სახურავიც ქვისა ყოფილა და ფრიიდ ისტატურად საფლავს მორგებული. სახურავს ქვეშიდან ჩაღაც ნიშნები („წარწერა“) იყოვო გვეუბნებიან... ვინ აიღო, ან რა უყო იმ სახურავს, ვერ გვითხრეს (არ გვითხრეს?). ეკლესიის ნამყოფი ადგილი ქვებით შემოურავდეთ. შიგნით, სხვათა შორის, წმინდა გორგის ქანდაკებაა. აქვე შეგროვილი ქალები და-

უინგბით მიმტკიცებენ, რომ ეს „სურბ სარქისია“. საინტერესოა წმიდა გოორგის ეს გასურბაძეების.

გოგოშე ენი გარეგნულად ისევ უცვლელია. მე აქ 1927 წელს უკავშირდები ვიყავი. ისევ უწყლობას უჩინებიან. წელს მოუსავლობაც დართვით. თემპერატურის თავმჯდომარებ გვისტუმრა. სკოლის შენობაში, საელასო ოთახში ცხოვრობს. ახალგაზრდა კაცია — ქილდელი. აინტერესებს ისტორია, ესმის. სიძველეთა დაცვის საჭიროება. იცნობს ქართულ ლიტერატურას და მიუხედავად სკოლაში უსწავლელობისა საესპენით გონიერაგანსნილი ახალგაზრდა.

ქართული სოფლები ჯავახეთში თითებზე ჩამოითვლება (სულ 17-ია; ამათგან 6 მხოლოდ ნაწილობრივ არის ქართული, 11—მთლიანად). მით უფრო საინტერესოა მათი ისტორიულ-ეთნოგრაფიული საფუძვლიანი შესწავლა. ვინ იცის რამდენ ახალს რასმე მოგვცემდა ასეთი შესწავლა; რამდენ გაუგებარს უცნაურობის საბურველი აეხდებოდა.

სამწუხაოროდ, ისტორია-ეთნოგრაფიის ერთიანი—შეთანხმებული მუშაობის საჭიროება აქამდის აზ არის ჩვენში საურთოდ აღიარებული და მუზეუმში კერძოდ. ამის საუკეთესო საბუთია გასული ზაფხულის ეთნოგრაფიული ექსპედიცია აქარაში. ამავე დროს სადათ აზ უნდა იყოს თითქო ასეთი შეთანხმებული მუშაობის სარგებლიანობა.

ბარემ შინდა ჩაეჭდე გოგაშენში რამდენიმე დღით, გამოიყინოთ, ჩავიწერო, ასევე სხვა ქართულ სოფლებშიაც...

დარწმუნებული ვაზ გაცოცხლდება ისტორიული ჯვარეთი. ვარანა ნასოფლარები ავამლდებიან, გლეხები მინდორ-ყანებში სათიბ-სამკალს მოედებიან, ჩალეწილი ციხეები შეღიღურად აშოთებიან. ციხის კედლებში საგუშავო ჩიასაფრება, ციხის კარებით ბატონები გამოჩნდებიან, ქალაქთა ნანგრევებში ვაჭარ-ხელოსნები წარმოდგებიან, მოედნები ახმაურდება, ძეველ ნაგზურებზე ქარავანი გადიკანება და მუნჯი მდეიმე-ტაძრების ნანგრევები აღალადდებიან... მაგრამ ამას დრო უნდა და სათანადო მოწყობილობა — მე კი, თუ გამჭცევს არა, გამოვლელს მაინც ვგვევარ...

აფ ნიაში ეკლესიის ეზოში ერთ დიდ ოთხუთხ ქვაზე, „ჯვრის“ კვარცხლხეჭზე პატარა ქვა იღვა თურმე. ის ეხლა ცალკე გდია. ოთხუთხია. ითხოვე გვერდით ქანდაკება აქვს: ფოთოლი, უვავილი, ირემი, ქვარი. ეს ქვა სხვა ჯიშისაა ვიდრე კვარცხლხევისა. წვერი მას ამოლრმავებული აქვს. ვიყითხე ამ ქვარის სახელი. ვერ მითხრეს. „ხატი პეტრიან, ქვარი პეტრიან“ მიპასუხა მოხუცმა ქალმა. ერთმა გლეხმაც დაურთო: „ვისაც თვალი ისტყივდებოდა, მოიტანდა

წყალს და იმ ქვის ამოლრმავებულ წვერში ჩაისხამდა. ვარსკვლავი  
და თვეუკინებდა (ც. ი. ღამით წყალს აქვე დატვებდა). შემრებ  
დოლას ამოლებდა და თვალებს დაიბანდა მით, ეშველოდე მარი ისე და  
აშეარია: აქ ქრისტიანულ გვართან კი არა ქრისტიანობაძლელ  
მოვლენასთან გვაქვს საქმე. რიტუალიც და ქანდაკებანიც ამას  
მოწმობენ. გვარი აქ ქრისტიანობის გველენით ზედმეტად არის მი-  
კერძული — (ეს „მოისარის“ ხატი ხომ არ არის?). „გვარი“ აფნია-  
ში მეორეცაა. სოფლის დასაცლეთით, ნახევარ კილომეტრში დგას  
უბრალი ქვის სვეტი მეტრნახევარი სიმაღლისა დაახლოებით. არა-  
ვითარი ნიშანი გვარისა ან სხვა რაიმე ქანდაკებისა მას არა აქვს.  
გარშემო ყორე აქვს შემოვლებული. გოგაშენში გვითხრეს იმასაც  
„გვარს“ ეძახიან. ეს მეორე „გვარი“ ჩვენ ღამით ვნახეთ მირაშხა-  
ნიდან გოგაშენში მიმავლებმა, ასე რომ აფნიელთ მის შესახებ კე-  
რა ვჰქითხეთ რა...

ო კამი საკათალიკოზო სოფელი იყო. ის ეხლაც დიდი სოფელია.  
მოსახლეობა — ქართველი მუსლიმანები, ი ე ჩ ლ ი, როგორც თვი-  
თონ იტყვიან. სოფლის შეაშე დიდი ტაძარი მდგარა. როსტომა-  
შვილის დროს ის კიდევ ყოფილა. დღეს მისი მცირე ნანგრევებილა  
არის მხოლოდ.

თურქულ (თარექამა) სოფელ აზმანაზე გავლით ქარცებში  
წავედით. წარწერები გვეგულება, აქ ძველად დიდი ეკლესია ყოფი-  
ლა, გადაუკეთებით და ეკვდერი მიღებულია. სხვადასხვა დროის  
წარწერები უაღილოდა მოთავსებული. ეკვდრის სამხრეთ კე-  
დელზე:

### I. ასომთავრულით XV—XVI სს.

1. პატონისა: ყრყრის:: გმევ ღომ, ე. ი. პატონისა ყუარყუარე გაუ-
2. ისითა: ბძნბითა აღვშეტ შარჯვე ღმერთო  
ესე სუდ შისითა ბრძანებითა აღვაშენეთ
3. რი:: ჩზ: ქრცხლთა ესე საყდარი ჩეენ ქარცხელთა  
წარწერაში ყურადღების იქცევს ფორმა „პატონისა“ და სიტყვა „საყ-  
დარი“; უკანასკნელი აქ ხმარებულია იმ სიტყვის აწინდელი ჩიმვ-  
ნელობით: ქარცხებში საეპისკოპოსო კათედრა არ ყოფილა. წარწერა  
შეიძლება ეკუთვნოდეს როგორც XV. ისე XVI საუკუნეს.

### II. მეორე წარწერა ნუსხურისა და მეტრულის ნარევობაა.



- 1 მამისს : ლშა
- 2 ქრაიძეს; მისნი:
- 3 ცოდვისი:.. შეუ
- 4 ნეს: ლომნა:

- ე. ი. მამისს ლაშ  
ქრაიძეს მისნი ცოდვისი შეუნდ  
ცოდვისი შეუნდ  
ნეს ლმერთმან.

III. მესამე წარწერა ასომთავრულია და იმავ ხელითაა შესრულებული, რაც პირველი:

- 1 ალბის ძეა:
  - 2 გეგლსი: ოქ
  - 3 რპრისა: და:ჭ
  - 4 ობინს: შს: ლნ
- ე. ი. ალბის ძეა  
გამგებელსა ოქ-  
როპირსა და  
ჯუბინს შეუნდნეს ლმერთმან.

წარწერაში საყურადღებოა ხელისუფალი გამგებელი აქამდის ჩეკონვის ცნობილი „ძეგლის დადგებით“.

IV. ცალკე ნატეხ ქვაზე. ხელი იგივე რაც პირველი და მესამე:

1. გ—გნს — ეს წარწერა ნაკლულია.
- თ: ი ე ს
- შნს: ლნ

V. სრულიად განცალკევებულად იმავ ასომთავრულით:

ქ.: ათ — ამას არა აკლია რა: ცარიელი აღგილი დაუწერელია. ჩანს წარწერა დაუწყით და დაუმთავრებელი დაუგდით.

ქარცებში ეკლესიის ეზოც სინტერესოა ძელი სასაფლაოთი. მუშაობის დროს ერთი თარაქამა მოვიდა. აღგილობრივი პარტიული მუშავია. აინტერესებს ეკლესიის სიძველე. ეკლესიაც და წარწერებიც სომხური ჰერნია.

ღართაში, ისე როგორც ქარცებში, თარაქამა სახლობს. ეხლა ეს პატარა სოფელია. ნანგრევებიდან ჩანს, რომ ძელად ის გაცილებით დიდი სოფელი იყო. აქ ეკლესია უწარწეროა, სასაფლაო მარტივი (ხამი ქვები), „ბაზირხანა“ ან შენახულია.

ერანა სოფელ ნავარძიების ნახვა ვერ მოვახერხეთ. ის აფნია-ქარცების საზღვარზეა.

მირაშხანს ჩავედით. „შენ მირაშხანო ბალდალო, წალკოტო ყვავილიანო!“ მართლაც რა საშინელი კონტრასტია ალპიურ აფნიალოთასა და მათ შეა მოთავსებულ ვენახოვან მირაშხანს შორის! და ეს სულ რაღაც 2—3 კილომეტრის მანძილზე... მირაშხანში დღეს ქურთები ცხოვერობენ. სიჩქარის გამო აქ სიძველეები არც გვიძებნია. აფნიაზე გაელიო გვიან ლამით გოგაშენში მივედით.

ხეალ ვანის-ქვაბი უნდა დავათვალიეროთ. გვაფრთხილუმავალი არ შევძლებთ: ასასვლელი გზა—გვირაბი დანგრეულია. ზემოთის თავმჯდომარე ადგილობრივი კაცის გატანებას გვპირდება. მის რიცხვები დილააღრიან გოგაშნელ ყმაწვილ მირიან ნათენაძესთაში უძრავი ჩენ ვანის-ქვაბის ძირს მივადექით.

დღეს უკვე სადათ არ უნდა იყოს, რომ ეს მონასტერი სწორედ ის ვაძანის ქვაბია, რომლის „წესმა და განგებამ“ ჩენ დრომდის მოაღწია. სწერ მოსაზრებებს გარდა ამას აღასტურებს ძეგლში მოხსენებული გეოგრაფიულ სახელთა მთელი რიგი, რომელიც ამ მონასტრის ახლომახლო ეხლაც იპოვებიან სოფლებისა, ნასოფლარებისა, თუ აღვილთა სახელების სახით.

ეს „წესი და განგება“ დადგებულია XIII საუკუნის პირველ მეოთხედში ამ მონასტრის „ამშენებლის“ ერთ-ერთი თმოველის მიერ (ამ ანტიკაა ამ). ლ. მუსხელიშვილიც, რომელსაც ეს ძეგლი დამზადებული აქვს გამოსაცემად). მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მონასტერი აქ მანამდის არ არსებობდა. ამას მოწმობს მისავალში ერთ-ერთი ეკლესიის საძირკველში დატანებული ქვა ასომთავრული წარწერით:

- |  |  |
|--|--|
| 1 ქე: ე . . . . . [ორ] თავე: ე. ი. 1. ქრისტე ე . . . . . | [ორ] თავე                                |
| 2 შა: ს[უფევათა: შფ] ე . . . . . [ორ] თავე               |  |
| 3 თა [მეფე:დ] ა:დდ[ფ]ლ[ი:]                               | 2 შინა ს[უფევათა მეფ]ე                   |
| 4 თმრ:წე[ლსა] მეტბისა:შა                                 | 3 თა[მეფე დ]ა დედო[ფ]ალ[ი]               |
| 5 თისაა: ქ: ანტრ: [ქ] სა: მრ                             | 4 თამარ წე[ლსა] მეფობისა შა              |
| 6 ალეშნა ზღდე: ესე შ[ნ ლნ]                               | 5 თისასა ოცა ანტონ ქუონ-<br>დიდლისა მიერ |
| 6 ალეშნა ზღდე ესე შეუნდ-<br>ვი[ნ ლნ]                     |  |

წარწერა დამთავრებულია და შინაარსი ცხადი. ამას ხელს ვერ უშლის რამოდენიმე აღუდგენელი ან კიდევ სადათ აღვილი. პირველ სტრიქონში მეორე სიტყვა უდეველად ე-ნით იწყება. მეორე ასოს ნაშთი შეიძლება იყოს წ-ილი, წ-ინი ან ჟ-ინი. უკანასკნელი სტრიქონის ნაკლები აღვილი როგორც არ უნდა აღდგეს — უწყინარია. (სამწუხაოობრიდ, ფოტო ხელოვნებამ აქაც მიღალატა და მხოლოდ ხელით გადმონალების ამარა დამტოვა... საერთოდ გაცილებით სჯობდა, რომ ეს აპარატი არ მქონებოდა, ან არა და მის დამზარებას არ დავნიდობოდი...). ზღუდის აშენება მომხდარია თამარის მეფობის ოც წელს, ე. ი. 1204 წელს. ცნობილია, რომ თამარის მეფობის წლები 1184 წლიდან ითვლებოდა (სიგელები, ისტორიული სერიები).

საინტერესოა კ-არის ოლდგენა ჭგუფში: —ანტონ:—სა: მრ: და ვა-  
სი ჭყონდიდლად წაიკითხვა. მოცემულ კონტექსტში სხვაგვერდის აღ-  
ვენა ჩვენ ვერ წარმოვიდგინეთ. ამას მხარს უკერს წარწერის შე-  
ნარჩის. მაგრამ, თუნდაც აქ ჭყონდიდლელი არ ვიგულისხმოთ, მთა-  
ვარი მაინც უცდლელია. ეს მთავარი კი ის გარემოებაა, რომ 1204  
წელს ვანის-ქვაბს ზღუდეს უშენებს ვინმე ანტონ (უცკეცელია სამღ-  
ვდელო პირი. ამას მისი სახელი მოწმობს) და საამისო წარწერაში  
მხოლოდ მეცე თამარი იხსენიება. რომ ვანის ქვაბი ამ დროს თმოვ-  
ვალთ საკუთრება ყოფილიყო, მათი სახლის მონასტერი ყოფილი-  
ყო, შეუძლებელია ასეთ წარწერაში ისიც არ მოეხსენებია... ჩვენ  
კი დარწმუნებული ვართ, რომ ჩვენი ოლდგენა სწორია, რომ ზღუდე  
აღუშენებია ანტონ ჭყონდიდლელს (გნოლისთვისძეს), რომელიც  
ასეთ საქმიანობით სხვაგანაც ცნობილია<sup>15</sup>. მარტივად ჭყონდიდლო-  
ბით და არა მწიგნობართუხუცესობით მოხსენიება ამ ვაზირთა უპი-  
რესელესისა აგრეთვე დადასტურებულია 1202 წლის მის მიერვე  
შიომღვიმისადმი მიცემულ დაწერილში.

გამოდის, რომ 1204 წელს ვანის-ქვაბს ზღუდეს უშენებს ჭყონ-  
დიდლელ-მწიგნობართუხუცესი ანტონ, მეფის უახლოესი პირი და ეკ-  
ლესია მონასტრებშიაც სამეფო პოლიტიკის გამტარებელი. ვანის-ქვა-  
ბზე ის იმავე უფლებითა და მოტივებით ზრუნავს, როგორც შიო-  
მღვიმეზე. ვანის-ქვაბიც, ისე როგორც შიომღვიმე, ვარძია, ვარე-  
ჯა, სამეფო მონასტრია და ბუნებრივია მასწედ წარწერის ამოჭ-  
რისას მონასტრის „პატრონი“ ყოფილიყო მოხსენებული. ასე, ჩვენ  
უპირველად მიგვაჩნია, რომ 1204 წელს ვანის-ქვაბი ჭერ კიდევ სა-  
მეფო მონასტრერი იყო, რომ ის ჭერ კიდევ თმოგველთ საკუთრება  
არ იყო, რომ, მაშასადამე, ვანის-ქვაბი თმოგველთ არ აუშენებიათ  
(თუმცა არც „წესი და განვება“ იჩემებს მის ახლად აშენებას. იქ  
თითქმი მხოლოდ გაფართოებაშეა საუბარი). თმოგვი კი, როგორც  
ცნობილია, ჭერ კიდევ 1190 წელს ებოძა სარგის ვარამისძეს და ამის  
შემდეგ არც გამორთმევიათ, სანამ ეს სახლი (თმოგველთა) არსე-  
ბობდა.

<sup>15</sup> ჭარილის ცხოვრება, შიომღვიმის მონასტრის ატორიული საჭუთება.

ეს მეტად საინტერესო მოულენა საბაბს იძლევა საკელისუფლე-  
თა ფეოდალიზაციის ერთ ცოცხალ შემთხვევას შევეხოთ... მაგრამ  
ამაზე სხვა ღრმას, აქ კი უნდა აღვნიშნოთ, რომ, ჩვენი, მუშაფავა  
თმოველთ მიერ (მეტარ გრ დ ლ ი ს მიერ) ერთანის „წილაშამისერა  
გება“ დადგებულია სწორედ ამ ფეოდალიზაციის მომენტთან დაევ-  
შირებით. საჩვისმა თმოვე მიიღო, ხოლო მქარგრძელმა ციხე ქალა-  
ქი საგვარეულო მონასტრით სრულყო. მან მიიღო მცირე სამეფო მო-  
ნასტერი, გააფართოვა ის და „წესი და განგება“ დაუდევ. სამეფო მო-  
ნასტერი სააზნაურო საგვარეულო მონასტრად იქცა. ამიერიდან ამ  
დიდებულს ციხე-ქალაქიცა აქვს და მონასტერიც. სხვა ნიშნებიც  
რომ არა იყოს რა, ვფიქრობთ, მარტო ასეთი მოსაზრებაც კი საუ-  
მაო საბუთი იქნებოდა იმისთვის, რომ ვაჟანის „წესი და განგება“  
სწორედ იმ ხანისთვის მიგვეკუთვნებინა, როცა თმოველთ ეს  
მონასტერი მეფისაგან მიიღოს და საგვარეულოდ აქციეს. ეს კი შე-  
უძლებელია XIII საუკუნის პირველ მეოთხედს გადასცდეს. მოყვა-  
ნილი მოსაზრებანი ამხ. ლ. მუსხელიშვილთან საუბარში არის ჩა-  
მოყალიბებული, ვანის-ქვაბი სრულიად შეუსწავლელია. მაგრავ მი-  
სი შესწავლა სულ სხვა პირობებს ჰგავლისხმობს. მე კი დღეს მხო-  
ლოდ წარწერებით უნდა დავქმაყოფილდე.

კლდეში ასი მეტრის სიმაღლეზე (მეოთხე სართულზე) მოჩანს  
პატარა თეთრი ეკლესია. გვარწმუნებენ, რომ იქ რაღაც წარწერე-  
ბია. ასასელელი გვირაბები, ბილიქები, გზა-ჭრილები მზე-წევი-  
მისაგან საშინლად წამზდარია. ყოველ წამში ვადაჩეხის საფრთხის  
წინაშეა ამსკლელი, ხოლო ორი-სამი ადგილი ისე დაზიანებულია,  
რომ, თუ ის არ შეკეთდა, უკვეველია, მსხვერპლი მოყვება... მე კი  
ამიერიდან იქ მეორედ ამსკლელი აღარა ვარ...

ჩვენი გამყოლი მირიან ნათენაძე გვარწმუნებს, რომ აქ მას  
ჯერ კიდევ გასულ წელს უნახავს ლამაზად „გაფუთხული“ ქვა რაღაც  
წარწერით. ვერ ვიპოვოთ.

აველით „თეთრ ეკლესიაში“. ეს არის პატარა ეკლესია შიგნით  
და გარედან თეთრად გალესილი. კედლები მრავალგან მინაწერები-  
თაა აჭრელებული. მაგრამ ეს არაა ჩვენი ღროის მჯღაბნელების საქ-  
მიანობა. ეს წარწერები უმთავრესად XV—XVI საუკუნეს არ უნდა  
სცილდებოდენ. წარწერანი სულ მქედრულია, რაღაც შავი სალება-  
ვით ნაწერი. აქა-იქ გადასულია, მაგრამ უმრავლესობა ჯერ კიდევ  
შენახულია. ის გარემოება, რომ აქ ამოსკლა ასე ძნელია, საუკეთესო

მცენელი გამზღვდათა ამ წარწერათა, თორემ ჩვენმა სიძველეთ დაცვა  
კომიტეტმა ვანის ქვების არსებობის შესახებაც კი არა იცის, უწითესული  
წარწერები ათეულობით ითვლება. იყოთხება ფრიად ძნელების მიზანების  
ჭიროა ორი კაცის ხანგრძლივი გულდამითი მუშაობა. იმიტომ  
საჭიროა ასასკოლელის გაეყოფება და სათანადო მოწყობილობის ატანა...  
მე კი რასაც მოვასწრებ ორ-სამ საათში, ის არის...

1. ქ. ლაშერათო და ყოვლა წამიდათ: დედოფლალი: ლმარათიანის  
მაშობელო და: რანიცი: წამიდანი: და მთავარი: ანგელოზი: საუ-  
ენაებისართ თქუებისა: ძალასა და მოწყალებასა: უშველეთი და ულა-  
ზირები: მოსამასახურიავსა: მიწასა: თქუენია თუალი: პატიოსანია  
უებაროს გულაქანისა: ვიყვავა: ცო? დავილი: რომი: მოიყვანია:  
მანუჩარია: ქლადა: და გასათხოვარადა: ქამარი: მე: ჯვრი: არა  
მედგა: ლაშერათაისა მადლობა: და მოწამიდათა: მადლაშა: ჩემსა:  
ულაშაზესი: სულიერი: დედას: მიწაზედა: არა: იარებოდა: და  
არც: სახუა: გამოსულა: არც თუალადა: არც ტანადა არც: ზნითა:  
არც: გონებითა: თუარემა: ჩემნი: მნახავნი: არა: გამომატყუვანებ-  
ნა: ეს: ხიზანი: არიან: ამისნი: მოწამენი: და ეს ლომი:

ე. ი. ლმერთო და ყოვლად წმიდათ დედოფლალო ლმრთის შშობე-  
ლო და რანიც წმიდანი და მთავარ ანგელოზი სუენებისართ, თქუე-  
ბის ძალასა და მოწყალებასა, უშველეთ და ულხინეთ მოსამასახურია  
მიწასა თქუებისა თუალპატიოსანსა უებროს გულქანს. ვიყვავ ცოდვი-  
ლი რომ მო(მ)იყვანა(?) მანუჩარ ქალად და გასათხოვარად. ქმარი  
მე ჯერ არ მედგა, ლმერთის მადლმა(?) და წმიდათა(?) მადლმა. ჩემსა  
ულაშაზესი სულიერი დედასმიწაზედა არა იარებოდა და არც სხვა-  
გამოსულა არც თუალად, არც ტანად, არც ზნითა, არც გონებითა.  
თურაემ ჩემნი მნახავნი არა გამომტყუვენებენა? ეს ხიზანი არიან  
ამისნი მოწამენი და ეს ლომი.

ეს წარწერა გარშემოვლებულია სხვადასხვა ცხოველთა ნახა-  
ტებით. ნახატებიც შესრულებულია იმავე შევი საღებავით.

II. ამ წარწერის ბოლოზე მიწერილია სხვა ხელით: ქ: ქალი  
თამარი: შემდა შზემან ავად დაუხატავს ვისცა უქნია.

III. შესამე წარწერა ეკლესიის შიგნითაა კედელზე:

ქ. ყალაზამიდო: შენ: უწაყაი: ე. ი. ყოვლად წმიდათ შენ უწყი.

ცახადი: . და დაფუარულია: .  
რა ვაქინა: . მე: . შეიძისა: . არა: .  
მაქიასა

საქამე: . კეთილად: . ქანილია: .  
შევაზარებიყორა: . სიკუდილსა: .  
შემაწრიტუნებია: . გულია: .  
ანასა: . უშეღლე: . ცოდივილსა: .  
შენა: . იქსენა: . მისი: . სულია: .

ულა წმიდო: . დედოფალო: . მიშულე შენსა: ძისა სიყარულსა: .  
ღრიბსა: . ოცი ოთხშატა: . მარხვა: . შემომიწრავს: . ზაფხულსა: .  
დაღეთა: . ჩემად (ერთი სიტყვა ვერ გავაჩჩიე): . რაცა: . დღენი. მე-  
სახინესა: . ეგაბისა შენისა: . წყალობითა თავი კელთა: . არა: . მაქო-  
დესა: . როდეცა: . მაქა: . გაგითავება: . მიშულე: . რაცამე: . დამიწრა: .  
რაჩეულაშეილსა: . ანასა: . ეკენისათუესა: . დამალვასა (აქ ერთი სიტ-  
ყვა აკლია).

ცოვლა წმიდათ დედოფალო მიშუელე, შენსა ძისა სიყარულსა,  
ღრიბსა ოცი ოთხშატა(თ) მარხვა შემომიწირავს ზაფხულისა დღე-  
თა ჩემად.... რაც დღენი მესხნეს. ეგბის შენის წყალობით თავი  
კელთ არა მქონდეს, როდესცა მაქ, გაგითავებ. მიშულე რაცამე. და-  
მიწერია რჩეულაშეილსა ანასა ენენის თუესა დამლევსა....

#### IV. ეს წარწერაც შიგნით არის კელზე მოთავსებული:

ქ. ლამაქრთისა: . მაშობელო: . შენ: .  
ცოდფილთა...  
შეობი: . ხარ: . უშურველი  
შენ: . აქოცე: . ცოდვა ჩემი: .  
უმრავლესი: . უთვალავი: .  
მე სამოელ ტანაჯევად: . მაწვევას: .  
უშიში და უკიარაზალვაელი: .  
მაწეომ: . ჩენა: . მიშაველე: .  
გამოქანას: . შენგანა: . ველი: .  
მარავალი: . თუალინი: . ანგელო-  
ზნი: .  
შენავანა: . ძრაწინა: . ძალანი: .  
დასანი: .

და ჯოჯოხეთით: . მოციქულნი  
გამოვიდეს: . ბევრასი: . დასნი:

ცხადი და დაფუარულია.  
რა ვენა, მეშიესა[ბედშევებული] არა  
მაქეს პირულითია  
საქმე კეთილად ქმნილია [ქმნულია?],  
შევზარებიყეარ სიკედილსა,  
შემძრწუნებია გულია;  
ანას უშეღლე, ცოდვილსა,  
შენ იქსენ მისი სულია.

ე. ი. ღმრთის მშობელო,  
შენ ცოდეილთა  
შეობი ხარ, უშურველი;  
შენ აქოცე ცოდვა ჩემი  
უმრავლესი, უთვალავი.  
მე სამოელ ტანაჯევად მაწვევეს,  
უშიში და უკიარაზალვაელი.  
მაწეომ ჩემო, შენ მიშველე  
გამოქანას შენგანა ველი.  
მრავალ თუალინი ანგელოზნი  
შენგან ძრაწინ ძალნი დასნი  
და ჯოჯოხეთით მოციქულნი  
გამოვიდეს ბევრას დასნი

(ბევრათასნი?)



აქვთ ცალკე იმავ ხელით, რაც IV წარწერა:

იმედ: მოხვილი

ე. ი. იმედ მოხვების მინისტრი კულტურის მინისტრი

V ღმარათობისა: ხატო: ფარადა: ცოდვილსა: ანასა: შეუდანესა:

ღმერათამა: იმისა დედამიმათაცა (ჩამოტეხილია)... ნა ღმერთამა: ვცცა:

წკითხოსა: შედობა: უბაძან (ჩამოტეხილია)... თქეცა: შეგიღანესა: ღმერთმა:

/ ე. ი. ღმთაებისა ხატო, ფრიად ცოდვილსა ანასა შეუნდნეს ღმერთმა; იმისა დედმიმათაცა შეუნდევნ ღმერთმა. ვინც წაიკითხოს, შენდობა უბრძანეთ... თქვენცა შეგინდევნ ღმერთმა.

VI. ქ. ფრიადა: ცოდვილსა: ოძრებელელსა: დეკანოზისა შეილსა ლუკას: შნ:

ღმთნ და: ვინც: ბრძანოთ თქვენცა. შეგიღენეს: ღმთან ამინ იყავნ ე. ი. ქ. ფრიად ცოდვილსა ოძრებელელსა დეკანოზის შეილსა ლუკას შეუნდევნ ღმერთმან და ვინც ბრძანოთ, თქუნცა შეგინდევნ ღმერთმან, ამინ იყავნ.

VII. ქ. ღმერთო: სბაილოთო: შემახუეშ: მწყალბელო: თულ ფართო: ზალუმადაი: გათქმამულო: შენი სახეი: ზალმადი: გათქმამულო: ღმთათობისა: ხატო [შე]ნი ჭირიმე: ბატონო: ღმარათობისა: ხატო: მე: შენასა: სახელ (ა მ თ ტ ე ხ ი ლ ი ა) ხასენებასა: სადა ღრასავარა: კუროთხეულ ხარა: დიდებულ[ო ღმრ] თობისა: ხატო: ქარასატანობისაო: (ვერ გავარჩიო) საბარალ (ამოტეხილია ერთი სიტყვის ადგილი) საუკუნო: მიშელე: ნახქოსა: შემანა: საბრალ ვარა: რანიცა: (ერთი სიტყვა ამოტეხილია) გეხეწები: სადიღოსა: აჩავა: მე: მოგიდება: რომე: დაღოდე: თუ: ამისა (ამოტეხილია ერთი სიტყვის ადგილი) მაძაევას: მე: რე: გეხეწები: ისი: და: ადავალა: თაქევანა.

ე. ი. ქ. ღმერთო, საბაოთო. შემხუეშ(თ) მწყალბელო, თუაღმ ფართო, ზღვამდი განთქმულო. შენ, სახე ზღვამდი განთქმული ღმრთაებისა ხატო. შენი ჭირიმე ბატონო, ღმრთაებისა ხატო! მე შენსა სახელის ხასენებასა სადა ღირსვარაშ კუროთხეულ ხარ დიდებულ(ო ღმრ) თაებისა ხატო, ქრისტიანობისაო (ვერ გავარჩიო) საბრალო (ამოტეხილია ერთი სიტყვის ადგილი) საუკუნო... მიშელე ნახქოსა შემაზა (შერმაზან) საბრალო ვარ. რანიცა (ერთი სიტყვა ამოტეხილია) გეხევეწები: სადიღოს არც მე მოგიდებ, რომე დაღონდე, ამის (ამოტეხილია ერთი სიტყვის ადგილი) მაძევსო. მე რე (მე რომე?) გეხვეწები ის და ადვილია თქუნენგანა.

VIII. ქ. ლმართობისა: ხატო: შენისა: მარავალ მოწყვალების  
მაღლასა: შემიწყალე მონა: შენი: ანი: უშელ (იქვე თოთქო სსხვა, კუ-  
ლით: ანარსუბან).

ე. ი. ქ. ლმრთაებისა ხატო, შენისა მრავალ მოწყალების შესლების მეტე  
შემიწყალე მონა შენი ანი (ინაი) უშველე(?) ანარსუბან(?).

IX. მოწყალო: ლმართაებისა: ხატო. ყოვლისა: ლარიბისა: მეო-  
ხო: წმიდანო: (?) გაწყობილნო: კარისა: ლმართაი: მაშინბელნო:  
ლრიბისა: ინასა: უშელე: ნუცა: გატელ გულსა: ლმრთობო დიღუბუ-  
ლო შენი: მონა: და ყმა: ინაი: რასა: გეხწებოდესა: დღესა ინე: შა-  
ნუწე: და: უტერო: ლრბაი: არის: შენ. მახუწო ამასოფესა: საუკუნოსცა.

ე. ი. მოწყალეო ლმრთაებისა ხატო, ყოვლისა ლარიბისა შეოხო  
წმიდანო გაწყობილნო კარისა ლმრთაისმშობელნო. ლარიბისა იხასს  
უშველე. ნუცა გატელ გულსა. ლმრთაებაო დიღუბულო შენი მონა  
და ყმა ინაი რასა გეხწებოდეს დღეს ინე(?) შანუწე(?) და უტერო  
(sic) ლარიბაი არის შენ(ი) მახუ(ე)წი ამა სოფელსა და საუკუ-  
ნოსცა.

X. კიხესა: ვაზი: ეზო:

მაღალსა

თულნ: ძალვა: შემომაცდება: ვაზა: გურაბთა: შემოვალენა:  
შეველი: მაზედა: დაგვებანა: მაზიგანა: ორნი: გუშეგნ:  
ნაბაღასა: არა დაცდება:  
მათსა შემაბმელსა: დაკოცენა  
ცეცხლურება: შოედებიან

სათანადო შესწორებით ეს და-  
მახინჭებული ტაქტები ასე უნდა  
წავიკითხოთ:

კიხეს ვზი ეზომ მაღალსა,  
თუალნი ძლივ შემოწევდებიან,  
გზა გუირაბითა შემოვალხ  
წეველნი მაზედა დგებიან  
მაშიგან ორნი გუშეგნი  
ნაბაღასა არ დასცდებიან;  
მათსა შემბმელსა დაკოცენ  
ცეცხლურებ შოედებიან.

ჩემო ნუ მოხულა ჩემაშედანა:  
სახითა შებარძოლოთა: წიგითა:  
ნურცა მე მომელვა: კირითა:  
ამისაგანა: უარესითა  
დამთმეთა დაგთმობა: კირითა  
ამისგან უარესითა  
ამის შემცევი სტრიქონი სავსებით აკლია.

XI. ქ. უხარწელო: ლმართობისა: ხატო: შემიბრალე: მიშელ:  
საუკუნოსა: დაგადევა: ოცი ოთხშაფათი: პარასკევი: მარხვა: შემო-  
მიწრევასა: სასაღამადი: კოცხალვარა: ნუ რისა: თუ: თავი ჰელთა:  
მაქუ: შენისა: წყალბითა: დამიწერა: მე: რაჩეულაძესა: ანასა: სახუა:  
არისა: ღისა: ვიყავა: შემეწირა: (—)სავე: თვასავე: მივაჭირვი:

მარხულმა:: ორამოცა:: ორამოცა:: მუკალსა:: მოგადება:: შეწირე; ლმრათობისა:: ხატო: თუ: რამე; მეშეულებისა:: რაცა შემიწირავასა:: ძირება:: ამა: მარხავას:: გარეათა::

ეროვნული

ე. ი. ქ. უხრწენელო ლმრთაებისა ხატო შემიბრალე, მიშექმული მიზანი უკუნისა. დაგადეგ ოცი ოთხშებათ — პარასკევი მარხვა შემომიწირავს, სადამდი ცოცხალვარ ნურისა(?) თუ თავი კელთა ჰაქე(?) შენისა წყალობითა. დამიწერია მე რჩეულის ძესა ანასა. სხუა არას-ლიზს ვიყავ შემეწირა რჩსავე თვესავე მივაჭირე მარხულმა ორმოც ორმოცა მუქლს მოგდება. შეიწირე ლმრთაებისა ხატო, თუ რამე მეშეულების. რაც შემიწირავს, ისრე გვათავებდ ამა მარხვას გარეთ.

XII. დამიწერია ივანობის თვესა მე:: შატელიშვილსა ბერიველ:: ქალიშვილსა ხვარამზეს ესე წიგნი: ვინცა შემიბრალებთა:: მე:: და:: ბატონის: გოხალალას:: ჩემსა და იმის გაუყრელობასა:: უნდოდა:: ვა-მე:: თუ: ერთმანერთსა სიკუდილის: და: სულთამოსლის ღროსა:: არა:: დაეხუდეთ: ესრე: ჩეენ:: თქვენ:: ჩეენ:: შეგვიბრალეთ::

ეს კეტი მოწმენი:: იყვნეს:: პირველის ბატონების: ნაომარისა:: პეტინი:: და ოქრომკედნი:: ვაიმე:: მელთაზან:(?) დამდოლრასა:

ე. ი. დამიწერია ივანობის თვესა მე შატელიშვილსა ბერიველ ქალიშვილსა ხვარამზეს ესე წიგნი. ვინც შემიბრალებთ მე და ბატონს გოხალალას, ჩემსა და იმის გაუყრელობას უნდოდა. ვაიმე თუ ერთ-მანერთსა სიკუდილის და სულთამოსლის ღროსა არა დაეხუდეთ ესრე ჩეენ. თქვენ ჩეენ შეგვიბრალეთ.

ეს კეშმარიტი მოწმენი იყვნეს პირველის ბატონების ნაომრისა კეშმარიტი და ოქრომკედნი. ვაიმე მელთაზან დამდულრეს (უკანას-კნელი ორი სიტყვის ასოები თითქო ეკვეს არ იწვევენ...).

წარწერათა საერთო ხასიათის გასაცნობად გვეყოფა. ამიტომ ჩემ მიერ გადმოლებულ სხვა წარწერებით არ მოგაწყენო. მე, რა თქმა უნდა, კველა წარწერა ვერ წავიკითხე. ამას, როგორც აღვნიშვნე, ორი კაცის ხანგრძლივი მუშაობა უნდა (ოთხი დღით მაინც) სათანადო მოწყობილობით. წარწერები დაახლოებით 50-შეის იქნება. გათ მნიშვნელობაზე, ზედმიწევნით დათარიღებაზე და სხვა მხოლოდ მას შედეგ შეიძლება საუბარი, როცა ისინი ყველა გადმოლებული და შესწავლილი იქნება. ზერელუ გაცნობით კი ეს წარწერანი XV—XVI საუკუნის უნდა იყვნენ. რა თქმა უნდა, ამით არ გამოიჩინება შესაძლებლობა როგორც უაღრესი, ისე უფრო ნაგვიანევ წარწერათა შემთხვევისა. ორითდე სიტუაცია ვეფხისტყაოსნიდან ამოლებული დღისას შესახებ. ეს ადგილი ნესტან დარევანის ცნობილი წერილიდანაა, ქაჯოსის ციხიდან რომ მოსწერა ტარიელს და დ. კარიქაშვილის გამოცემით ასე იყითხვის:

1277 ტ. ციხეს ეზი ეზომ მაღალსა, თვალი ძლივ გარდასწულებინ  
გზა გვირაბითა შემოვა, მცეცლი მუწედა\* დგებრინკრული  
დღისით და ღამით მოყმენი ნობათია არ დასცდებონ, იმავე  
მათთა შემბმელთა დაქოცენ, მართ ცეცხლიდ მოედებიან.

1278 ტ. ნუთუ ესენი გეგონენ სხვათა მებრძოლთა წესითა?!

ნუცა მე მომკლივ ჭირითა, ამისგან უარესითა;

შენ მკვდარსა გნახავ, დაეიშვი ვითა აბედი ქვესითა.

მოგშორდი, დამომე გულითა ქლდისაცა უმაგრესითა.

როგორც ი. აბულაძის გამოცემისთან დართული ვარიანტების სა-  
მიებლიდან ჩანს, ეს ადგილები ასევე იყოთება სხვა ხელნაწერე-  
ბშიც.

ვანის-ქვაბის ეს მინაწერი კი, როგორც ხედავთ, შესამჩნევად  
განსხვავდება ხელნაწერებით დადგენილ ტექსტისაგან. მართალია,  
კედელზე მინაწერი სტროფები მეტად დამახანგებულია: სიტყვები  
გადასხვაურებულია: ეზი (-ეზომ), შემომაცდება (-შემომწვდე-  
ბიან), შემოვლენ (-შემოვა), ნაბაღსა (-ნობათია), არა დაცდება  
(არ დასცდებია); მეორე სტროფის ბოლო — ორი სტრიქონიდან  
პირველი სავსებით გამოტოვებულია, ხოლო უკანისკენელი სანახევ-  
როდაა გადარჩენილი.

გარდა ამისა უკეცელად ჩანს, რომ ამ სტროფებს დამახინჯების  
გზით ერთგვარ შემოქმედების ყალიბშიაც გაუვლიათ („გახალბურე-  
ბის“ გზას დასდგომიან): „ეზო მაღალი“, „შემომაცდება“, „არა და-  
ცდება“...

მაგრამ, ვფიქრობ, ყველა განსხვავებანი მხოლოდ დამახინჯებია-  
შესწორების ნიადაგზე წარმოშობილი არ არიან, არმედ თვით ვეც-  
ხისტყაოსნის სანონტერესო ვარიანტული სხვაობანი შეიძლება  
იყვნენ.

რაომე აზალი მოსაზრების პრეტენზით არ ვაცხადებთ, რომ ვეფხის-  
ტყაოსნის „ვარიანტი“ შესაძლებელია მის პირველ პირთან ერთად  
იშვა და ეს არა მაინცდამიანც უვიცობის ნიადაგზე (წაკითხვა-გა-  
დაწერის დროს შეცდომა-დამახინჯება), არამედ გადაწერთა თანა-  
შემოქმედების ნიადაგზე და არა მხოლოდ Spurius-ების ჩართვის  
სახით (ახალი სტროფები შიგნით, გაგრძელებანი), არამედ თვით  
პოემის პირველი ტექსტის ადგილთა შეკეთება-შესწორების გზითაც.  
პოემა სახარების ტექსტი არ ყოფილა, რომ მისი შეცვლა-შეს-  
წორება აკრძალული ყოფილიყოს და საშუალსაუკუნეთა ლიტერა-

\* სპარიუს, იხ. ველებსტყაოსნი, ს. კავაბაძის გამრუ, 1927.

ტურული ჩვეულებანი კი მხოლოდ ასეთი შესაძლებლობის სახურავის  
ლოდ ლაპარაკობს...

ხელნაწერებით წარმოდგენილ აღვილებთან კალელზე ჩანაწერის  
რი შემდეგ განსხვავებებს იძლევა:

1. ხელნაწერებით: დღისით და ღამით შოუმენი ნობათსა  
არ დასცდებიან.

მინაწერით: მაშიგან ორნი გუშაგი ნობათსა არ დასც-  
დებიან.

ხელნაწერთა „დღისით და ღამით“ აქ არც თუ აუცილებელია: სრუ-  
ლიად საყმაოა, რომ „გუშაგი“ (—მოყმენი) ნობათსა არ დასცდე-  
ბიან“. ხოლო „მაშიგან“ (კ. ი. გვირაბში) ორნი გუშაგი (და არა „მო-  
ყმენი“) ნობათსა არ დასცდებიან“ ნიშანდობლივი და რეალურია

2. ხელნაწერებით: მათთა შემბმელთა დაპჭოცენ მართ ცეცხლად  
მოედებიან. მინაწერით: მათსა შემბმელსა დაპჭოცენ ცეცხლუ-  
რებ მოედებიან. ჩვენ აქ გვაინტერესებს არა შემცდარი მხოლო-  
ობითი რიცხვი კედლის მინაწერიდან — „მათსა შემბმელსა“, არამედ  
გამოთქმა „ცეცხლურებ“ „მართ ცეცხლად“-ის მაგიურად. უდაცოა  
თითქო, რომ ხელნაწერებში დაცულ ტექსტის სფროო ენას „მართ  
ცეცხლად“ — უფრო უდგება, მაგრამ „ცეცხლურებ“ ნაკლებ წიგ-  
ნურია და ვინ იცის, უკანონოა აქ თუ არა?

3. ხელნაწერებით: ნუთუ ესენი გეგონენ სხვათა მებრძოლთა  
წესითა

ნუცა მე მომკლავ ჭირითა ამისგან უარესითა  
მინაწერით: ჩემო, ნუ მოხვალ ჩემზედა სახით მებრძოლთა  
წესითა

ნურცა მე მომკლავ ჭირითა ამისგან უარესითა

აქაც, ვფიქრობთ, კედლის ტექსტი თითქო უფრო მისაღებია, ხოლო  
ხელნაწერთა პირველი სტრიქონი ხელოვნური და უაღვილოცაა ნეს-  
ტანის წერილიდან სრულიად არ ჩანს, რომ ქაჯები „სხვათა მებრძოლ-  
თა წესით“ არ ყოფილან და არც ამ ცნობების შემდეგ აუშევებს ნეს-  
ტანი ტარიელს ქაჯთა განსაკუთრებულ საბრძოლო წესს... ამავე  
დროს სრულიად ბუნებრივია კედლის მინაწერით ნესტანი, რო-  
მელიც, აცნობებს არა ტარიელს ქაჯთა ციხის მიუღვომლობას, პრძო-  
ლით აღების უიმედობას, სთხოეს მას:

ჩემო, ნუ მოხვალ ჩემზედა სახით მებრძოლთა წესითა  
ნურცა მე მომკლავ ჭირითა ამისგან უარესითა.

როგორც ალენიშვილი, კედლის მინაშერს მეორე სტრიქის მესამე /  
სტრიქონი სრულიად აკლია, ხოლო უკანისენელი სტრიქონი დაქანებული  
იყითხვის:

—დამთმეთა დაგთმით ჭირითა ამისგან უარესითა.  
ხელნაწერებით ეს ადგილი წარმოდგენილია ასე:

(შენ მკედარსა გნახავ. დავიწვი, ვითა აბედი კეცესითა)

მოგმორდი, დამთმე გულითა კლდისაგანც უმავრესითა.

კადელზე მიმწერს, როგორც ჩანს, ეს ადგილი სუსტად ხსომე-  
ბია, მაგრამ მის მიერ შემონახული ნაწილიც საინტერესოა თავისი  
განსხვავებული სახით.

აქ წარმოდგენილი სახელდახელო შედარებანი, კიმეორებ რო-  
მე პრეტენზიებს მოკლებულია: ამისთვის საჭირო იქნებოდა  
სპეციალური კვლევა (ეს რუსთველოლოგ ლიტერატორების საქმეა),  
მაგრამ ყოველივე ეს ზემოთ გამოთქმულ მოსაზრებას კეფხისტყაოს-  
ნის ვარიანტების შესახებ, პოემის თავისებური „ხალხურობის“  
შესახებ სავმაოდ ადასტურებს... (ვინ იცის, ვეფხისტყაოსნის რომე-  
ლი „ვარიანტიდან“ არის მოელი „XII საუკუნის“ ნაშდვილად ეპი-  
გრაფი, „რუსთველისებური“, თუმცა არც ერთი ხელნაწერით არ და-  
მოწერბულ „ათასად გვარი დაფასდა...“). აქ კარა, ყოველ შემთხვე-  
ვაში ვანის-ქვაბის კადელზე მინაშერის საფუძველზე უცილობლად  
აღინიშნება მნიშვნელოვანი ფაქტი: ვეფხისტყაოსნის ტექსტს XV  
საუკუნისათვის უკვე გავლილი ჰქონია „გახალხურების“ საქმიალ  
გრძელი გზა.

ვანის-ქვაბიდან ჩვენ წ უ ნ დ ა-ნაქალაქევზე წავედით, ვარძიას,  
თმოგვეს უბრად ჩაუარეთ. ვანის-ქვაბის ძირზე აღმოსავლეთით, იქ  
სადაც ეხლა გოგაშნელებს ბალები აქვთ, არის ნასოფლარი ვ ა ნ ი ს  
ქ ვ ა ბ ი. ის, როგორც სოფელი, მოხსენებულია ერთ XV—XVI საუ-  
კუნის საბუთში.

თმოგვეს ციხე მტკვრის გალმიდან გაღმოგვცერის „ცხვირპირ  
ჩამტვრებული“, მაგრამ მაიც მრისხანე და ამაყო. თმოგვე ტიპიური  
სახეა ფეოდალური ციხე-ქალაქისა: ორი მხრით მიუვალი მაღალი  
მთა, ნახევარულზე. თხემი მაღალი გალავნით შემოელებული.  
კონცხის წევრში — კოშკი. მთის ფერდზე კადელს გაჩერთ, ქალაქის  
გარეუბანი, სასაფლაო. დაბლა ძირზე ხიდი მტკვარზე, რომელიც  
ქალაქს ქართლის მთავარ გზასთან აკავშირებდა.

XIII საუკუნიდან თმოგვისა და ვანის-ქვაბის ბედი განცემული იყო. ორივე ესენი — ციხე-ქალაქი და მონასტერი დაფიქტური აზნაურის სახლის სამკვიდრო იყო. XV საუკუნეში თმოგვი გადასახლდა ქალაქიდ ჩანს. მაგრამ ამ დროს მას უკვე სხვა პატრიარქი ჰყავს. XVIII ს-ში თმოგვი უკვე ქალაქი აღარ არის. ვახუშტი მას დაბადის სხვენიებს. ორდის გაქრა აქ ქალქი, ცნობილი არაა, მაგრამ, უკვალია. მისი გაქრობა დაევმიტებულია ქვეყნის ეკონომიკური დაცუმის შემდგომ გალრმავებასთან, და არა მიწის ძერასთან. ორგორუცვანის-ქვაბი, ისე თმოგვიც საცემით შეუსწავლელია. ტრი კია, ორმეტს ციხე-ქალაქი ისტორიულად შესწავლილი იყოს.

წ უ ნ დ ა. წუნდა, პერი, ქახატუნი, ქაჭაციხე, ნაქალაქევი, ნაქოლემი — ერთი და მავავე ადგილის მარტო ეს სახელთა სხვადასხვაობაც კი რაოდნენ საინტერესო საყრდენებს იძლევა ამ უძველესი ქალაქის ჩასახვა-განვითარება—დამკობა-გაქრობისათვის. ტერმინ „წუნდა“-ს პარალელები ჯავახეთის სწორედ ამ ადგილებში (სულდა, ჯოლდა, გულსუნდა, კუმურდო, დახუნდა, ქილდა) უნდა მოწმობდეს უძველეს მოსახლეობის გრძელებულ ფენში; ხოლო მისივე პარალელები საქართველოს სხვა კუთხეებში, ამ ფენის კვალს და შეიძლება მის მოძრაობაზედაც მიგვითოთებდეს.. არც პერი დგას განმარტოებით. ადგილი ამავე სახელით ცნობილია არტანი; ახლოს, ამავე ძირისა შეიძლება იყოს ვარევანიც. ქახატუნ — ქაჭაციხეში აღნიშნულია ორგორუც ეთნიკური ცელა მხარის მოსახლეობისა და პოლიტიკური ცვლილებანი, აგრეთვე იმ პრძოლის კვალიც ორმლის შედეგადაც ასეთი ცვლილებანი მომხდარია. უკანასკნელ ნაქალაქევი და ნაქოლემეჟ აღნიშნავენ ორგორუც ქალაქის დაცუმა-გაქრობას, ისე მის ადგილს მსახლობართა ეთნიკურ ცვლილებაც წუნდას ავება, მისი ქალაქიდ ქმნა ლეგნდარულ ჯავახოსს მიეწერება, მცხეოლობის ძეს. XI საუკუნის ისტორიკოსის ეს ცნობა მით არის საინტერესო, რომ ეს ქალაქი მის დროს უძველეს ქალაქთა რიცხვში იყო ნაგულვები (მცხოვა, უფლისციხე, კასპი, ურბნისი, ოძრეკე, სამშევილდე, ეგრი და სხვ.). შემდეგი დროის წყაროებში ჩვენ ამ ქალაქის შესახებ ცნობები არ გვაგნდება, მხოლოდ ვახუშტი გადმოგვცემს, რომ წუნდა ერთ-მეფობამდის, ე. ა. XV საუკუნემდე „იყო ციხე და ქალაქი და საერისთო... არამედ ამ არღარა არს ქალაქი. გარნა ციხე არს“. ავტორის ამ განცხადებას მხარს უჭირს ქართლის ცხოვრების გაგრძელების ცნობა გორგი ბრწყინვალეს შესახებ, რომ უკანასკნელმა დასხვა ერისთავი თვისნი კლარჯეთის, სპერს, კალმახის, არტანუქს და სამცხეს, არტანისა და წუნისა, ეს ცნობა ვა-

ხუშტაც მოაქვს თავის ისტორიაში. ვახუშტის ცნობა მეტად სამართლის ტერიტორია. არ ვიცით, ოღონდ საიდან აქვს ავტორის ამოღებული ასკონი დახვენა. თუმცა აზევითარი უფლება არა გვაქვს ეჭვი შეეტანაში სჩი ცნობის საზღოვრობაში. წყაროების დუმილი, რა თქმა უნდა, უკუნდა არგუმენტად ვერ გამოდგება. მაგრამ ვახუშტის ამ ცნობის სიმართლის პირობებშიაც წყაროების დუმილი ამ ქალაქის შესახებ იმის მაჩვენებელი მაინცაა, რომ წუნდა X—XIV საუკუნეებში ძველი შინშენელობის აღარა, რომ ახალ სამეურნეო და ეკონომიკურ პირობებში ნაგვიანევად წარმოშობილმა და განვითარებულმა ერთის მხრით თმოვგვმა და მეორე მხრით ახალქალაქმა წუნდას მნიშვნელობა ერთობ შეამცირეს...

წუნდას გეოგრაფიული მდგომარეობა ტრიპიურია: ის ზედ იმ გზა შარაშედ ძევს, რომელიც საბერძნეთიდან არტაან—წყაროსთავ—ოქ-შამ—უკურდო—წუნდაშე გამოვლით ხერთვის-ახალციხით ერთის მხრით ოძრე-ჩერინისჯვარზე კოლხეთისაკენ, ხოლო მეორეთი აშუურზე შიდა ქართლისაკენ მიიმართებოდა... წუნდა მოთავსებულია ტკივრის პირზე, კალის კიდეზე და რამე ბუნებრივ დაცვას მოკლებულია.

სიძველეთაგან დღეს წუნდა—ნაქალაქევში დაცულია ციხე და ეკლესია. წუნდას ეკლესია ფეოდალის კარის ეკლესია. კარ-საჩერებლისა, ბალავერის თუ სარტყლის (—კარიზის) მდიდარი ჩუქურთმები, წარწერის ხელი — ყველა XI—XII საუკუნეს აცხადებს. ეკლესია შესანიშნავია თავისი დაცულობით. მას თითქმის არა აკლია რა და ამიტომაც მეტად ძეირუასია. სამწუხაროდ, გასულ წელს ვილაც მოხალისეს თოფის სროლაში უგარჯიშნია და სასროლ მიზნად წარწერის ასოები ამოუღია. მოხალისეს ჩუბინის ნიჭი აღმოსჩენია და რამოდენიმე ასო ამოუტეხია... ექ წარმოდგენილ სამკაულ-ჩუქურთმების სიუხვე, მოტივების მრავალფეროვანება და ხისითი: „კოჭები“, ხელული მცენარეები, ყვავილები, უურძნის მტკენები და სხვა ძალაუნებურად დაგაფიქრებს იმ საერო შენობებზე, საღაც, უფრო ბუნებრივია, უნდა შემუშავებულიყო ასეთი ორნამენტური ელემენტები... ხე, როგორც მასალა და საერო ხასიათის შენობა იყო ის დაულეველი და საყოველდღეო პრაქტიკა, საღაც საუკუნეთა სიგრძეზე ნიჭიერი ხურთა მიერ რ შემოქმედების მისალით მშენებელი არ შეიქმნა ჩვენს ენაში მხატვრულ შემოქმედების აღმნიშვნელ ტერმინად. თუ ირა-ქართულმა გალატოზმა — დიდიხნის ბრძოლის შემდეგ განდევნა ქართული ხუროო ქვის მასალის არედან (—ქვით ხურო—) და მას

მისი პირვენდელი არე—ხის მასალა დაუნარჩუნა, „გაღატოდ უკაცესმა“ ვერ განდევნა „ხუროთმოძღვარი“, რომელიც ბოლომდის თარჩია სააღმშენებლო ზელოვნების ოსტატის შინაარსის ტერიტორიაზე ეს აღმშენებლობა ხისა, თუ ქვისაგან). წარწერა ეკლესიის საშენ ძალისაგან განსხვავებული ფერის ქვაზე სწორია. ამას ამჩნევდენ, რაის ნიადაგზედაც ლუგვენდაც კი შეუქმნიათ... მაგრამ ასეთი ქვა, თუმცა იშვიათად, ნახმარია როგორც თვით ეკლესიაზე, ისე ეკვდერზედაც. წარწერა მაინც დამაინც ეკლესიის იგების დროისაა. ის ასომთავრულია და უნდა XII საუკუნისა იყოს:

1 სხლითა: ღრეთა: მე: იჩქომნ გრგენის ძემან

2 აღვშნე ეკლს[გ ე]ს: მამლი: ჩნი: სხლსა ზა: წისა

3 ნორლსმტმსსა: სლუკდ ჩემთს: და მშბლთა ჩმთათს

ე. ი. სახელითა ღმრთისამთა, მე იჩქომნ გურგენის ძემან აღვაშენე ეკლესიად ესე, მამული ჩუენი, სახელსა ზედა წმიდისა ნათლისმცემლისა სალოცავად ჩემთვს და მშობელთა ჩემთათვს.

წარწერა საინტერესო ისტორიულ და ენობრივ მომენტებს შეიცავს, იჩქით გურგენისძე უცნობი პირია უკეცელია, რომ ის მაღალი აზნაურია. არა ჩანს, რომ ის მოკელე ვინე იყოს, უკველ შემთხვევაში ამ წარწერისათვის მას არ სკირია თავისი თავის მოკელეობით მოსსენიება. პირიქით, ის ხაზს უსაიმს სულ სხვა გარემოებას: მამულს ასეთი ხაზგასმა დამატირებელია და საინტერესო საუფლისწულო ჯავახეთში... ის არც მეფეს. იხსნების, არც უფლისწულს და, თითქო განზრახ, მამულს აღნიშნავს... ხომ არ მიგვითითებს ეს მოკლენა იმ გარემოებაზე, რაც ქართლის ცხოვრების გაგრძელებისა და ვახუშტის ცნობითაც თითქოს საფიქრებელი ხდება: ე. ი. რომ ამ ხანებში (XII—XIV ს.) არსებობდა წუნდას საერისთაო და ის შედიოდა არა ჯავახეთში, არამედ სამცხეში?? ან შეიძლება მეფე-უფლისწულის მოუხსენებლობით იჩქით გურგენისძე ფეოდალურ მფლობელობის სამამულო პრინციპის ხაზგასმას ცდილობდა?

ენობრივად საინტერესო „იჩქით მან გურგენისძე მან“ მოსალოდნელ „იჩქით გურგენისძემან“-ის მაგივრად.

ვანის-ქვაბიდან წამოსულ ჩვენ ნაქალაქევში დაგვალიდა. ღამე საექიმო პუნქტში გადავათეთ. პუნქტის გამგე ახალგაზრდა ექიმი

17 საკუთარი სახელი იჩქომნ შეიძლება გაიხსნას, როგორც იჩქომან, ისე იჩქომან, აძიევს წარწერაში (XII ს. ?) დადასტურებული გვაძეს იჩქარ, ხოლო უფრო მოვევარო ხანის ძეგლებში ჩვეულებრივ გვხვდება იჩქით.

ლომდარიძე ისე დაგვიხვდა „როგორც მა მივა ქმისთანა“ და მა მის მიზანი იყო მას მისი თემაზის თავმჯდომარე ლატიფ გოგალაძე, ქილდელი ქართველი შესლიმანი, ჩვენი უნივერსიტეტის სტუდენტი. ის მეტად მარტინი ბული ყმაწვილი იღმოჩნდა და მრავალი საინტერესო ცნობები მოგვაწოდა. ნაქალაქევში, კოთელიაში და ხიზაბავრაში ვერანა სოფლების შესახებ მიღებული ცნობებით ჩვენ დავრწმუნდით, რომ ერთის გავლით ასეთი ცნობების სისრულით მიღება შეუძლებელი საქმეა. ახალმოსულ მოსახლეობას ნაკლებად ინიტირებს ეს ვერანები, არც უკირდება, არც ხალისით გვებნება, ხშირად კი რაც იცის, იმასაც მაღავს... ზემოდასახელებულ სამ სოფელში ჩვენ გაცილებით მეტი ცნობები მიეღოთ, ვიდრე ყველა დანირჩენ სოფლებში. ვერანა სოფლების, ქალაქების, კოსტების, გზების, ხილების, მონასტრების და საკათედრო ეკლესიების თუ განთქმულ სალოცავების დაგვენასა და გეორგაფიულ აღნიშვნას კვლავ ერთი ექსპერტისა სჭირია სათანადო სპეციალისტებისაგან შემდგარი. ასეთი სამუშაო მეტად საინტერესო და მნიშვნელოვანი იქნება თავისი შედეგებით. სანდო მასალა უხვად დავრწყვდება საშუალსაუკუნეთი ჯავახეთის მოსახლეობისა და მისი ეკონომიკურისა და სოციალური ყოფის შესახებ.

ნაქალაქევის ჩრდილო დასავლეთით მტკვრის პირას არის ვერანა დამპალა, აქედან კოტა ქვემოთ ისევ მტკვრის პირას ვერანა ას ქორმ (მეცვე წყლით).

ნაქალაქევის დასავლეთით მტკვრის პირას ძველი ციხე — ვერანა კალა, კოტა ქვერანა ახტომის ქვევერთ სოფელ ჩუნჩხას ბალებში მტკვრის პირასვე, ჩუნჩხასა და ალჭოას შორის ხარაბა — ნაისა, ნაქალაქევიდან სამხრეთ-დასავლეთით ვანის-ქვაბის ჩრდილოეთით ბერთაყანასა (თუ ვერთა ყანა?) და მარგასტანს შორის, დანაკლის ძირშე — ხარაბა კეკლეთი.

ნაქალაქევიდან ჩრდილოეთით ქილდასა და კვარშეს შორის ხარაბა ბრმაწყარო, ხარაბა ახტომის პირდაპირ მტკვარს გაღმა ქურთების სოფელი — კოლდა; კოლდას ქვემოთ იერლის სოფელი გელსუნდა; გელსუნდას ქვემოთ ხარაბა ფია.

ქილდასა და ნაქალაქევს შუა ხარაბა ოქროჟალა, ხავეთისა და მურავვალს შუა ვერანა შაშალეთი; მურავვალის პირდაპირ მტკვრის პირას ვერანა გომანერი; აქვე მურავვალის ზემოთ ხარაბა ვენერი (ცნობა მურავვალელმა სომხებმა გადმოგვცეს); ქილდასა და კუმურდოს შორის ხარაბა დანუნდა და კილ-

დას შორის ხარაბა საგომი. ეერანა ახტომის ჩრდილოეთი  
მტკერის პირის ხარაბა დილიკა.



ცირკულარი

22. VII. მიუხედავად იმისა, რომ ნაქალაქეველი ჩვენი შემასტებელები ბი მეტად ცდილობდენ რაც შეიძლება მრავლად დაესახელებინათ ჩვენთვის ახლომახლო ეერანა სოფლები, მაინც აღმოჩნდა, რომ მათი ცნობები სრული არ იყო..

ნაქალაქევიდან ხერთვისის გზით წავედით. დამპალა გავიარეთ, ახტომი და დილიკას მისვლამდის კელავ ხარაბა შეგვხვდა. ეს ჩვენს მაცნების არ დაუსახელებიათ. აქ გზაზე გელსუნდელი იქტ-ლი შეგვხდა (იე რ ლი კოთელი კაცის ლექსიკონით — მკვად რ ი), მან იცის, რომ ის თურქი არაა, არც ქურთი. არც თარაქამა, არც „ქართველი“, — იქრლია.

სასტიკი აღმართი ავტეხეთ და ქილდას გავლით კუმურდოსა-კინ წავედით. ქილდანდან კუმურდომდის სამი ვერანა შეგვხდა. მხო-ლოდ ორის სახელი ვიცით. შესამესი არც კუმურდოლებმა იციან... სამივე — დილროანი ნასოფლარებია... ქილდაც იყო, კუმურდოც, დახუნდა, საგომიც და ეს უსახელოც...

კუმურდო გავახეთის სხევა ძეგლებზე უფრო შესწავლილია... მე მისი წარწერები შემოწმებული მაქვს ჭერ კიდევ 1927 წელს. თუმცა ახალქალაქის რაიალმასკომის თავმჯდომარე ამ ძეგლს სცნობს ისტორიულად და დაცვის ღირსად, მაგრამ, სამწუხაროო, ეს არ ჩანს საქმაო. დაცვის კომიტეტი კი... კუმურდოს პერანგს ძალცვავენ, აცლიან ჩუქურთმიან ქვებს ზოგი თავიანთ მიცვა-ლებულთა საფლავებს ამჟობს, ზოგი კიდევ სხვარიგად მოიხ-მარს... შედარებით 1927 წელთან, როცა მე ვიყავი აქ, ის ფრიად და-ზიანებულია. კუმურდოს წარწერების სურათები ვერ გადაეიღე... ეს წარწერებია:

I. აღმოსავლეთის კედელზე ამობურცული, მსხვილი და მეტად ლამაზი ასომთავრულით:

ე. ე. შ-შე მოენე ებქსი ამსი მშნბლი დღსა მს

ე. ი. ქრისტე შეიწყალე მოვანე ებისკოპოსი ამისი მამენებელი დღესა მას.

II. სამხრეთის მხრიდან ბალავერზე ამობურცულ ასომთავრულით:



1. შეწევნითა ღისამთა იოვენე
2. ებისკპსმნ დღვა სძრევლი  
ამს
3. ეკლესია კლითა ჩმ  
ცდელისა სკოცრისთა
4. ლუონ მეფისა ზშ იღდნ  
ონ ქრისტიანისა
5. რ
6. პდ
7. თა მ
8. ამსა
9. დღესა შ
10. ფთხის[ი]
11. შთოარ
12. ისსა ერის
13. თვობსა ზ
14. კიბისა ესე ბ
15. ლავრი მნ
16. დაღვა ქე
17. შეწე მნსა
18. შნსა ან.

ე. ი. შეწევნითა ღმრთისამთა იოვანე ეპისკოპოსმან დაღვა საძრეველი ამის ეკლესიისამ კელითა ჩემ ცოდვილისა სკოცრისთა ლუონ მეფისა ზშ. აღიდეს ღმერტმან, ქრისტიანისა რპდ თვესა მადს(სა)ა, დღესა შაფათსა, ა მთოარისსა, ერისთავობასა ზვასსა, ესე ბალავარი მან დაღვა. ქრისტე შეწეწე მონასა შენსა. ამინ.

### III. აქვე მარჯვნით ამობურცული ასომთავრულით:

1. წ'ო
2. ექლ
3. სიონ შნ
4. ი მოშენ
5. ი და ყულ
6. ნი მაშ
7. ნილნი შნი
8. დღესა მას,
9. სჭგლისს
10. ა დაიღრ
11. ენ და შწ
12. ი გლახეი
13. გი ლცესა
14. მომიქსნით
- ე. ი. წმიდაო ეკლესიაო შენ(6)ი  
მუშაქნი და ყოველნი მაშე-  
ნებელნი შენ(6)ი დღესა მას-  
საშეცლისასა დაიფარენ და  
შეცწყალე(6) გლახაკი გორ-  
გი ლოცვასა მომიქსნეთ.

IV. აქვე სამხრეთით შესავალის თაღზე ამოკვეთილი ასომთავრულით  
სხლ-თა ლ-თა შე ეფრ-შ ებ-სკმ-ნ დ-დვ აღ-დ

გბრლ კს-ა ე: ესა ყვლრს-ა  
და გაგრძელება იქვე თაღის მარჯვნით  
პრსკვი დღესსწლი წთა  
მოვრ ანგლომ და აებ  
ლო მ-ს გ-ნ ა-სი სრ-ლი ვი  
6 შცელს ქრლი  
არს ამით ხტ  
ითა და ჩ-ი  
თა გ-ი თ ა

ქ ე შ ე ს ლ ი  
გ ბ რ ლ ი  
ს ა მ ა ნ



ე. ი. სახელითა ღმრთისამთა მე ეფტემ ებისკოპოსმან დავდევ  
აღაპად გაბრიელ კუმურდოელისა ებისკოპოსისა ყველიერისა პარას-  
კივი, დღესასწაული წმინდათა მთავარ ინგელოზთად და ავილეთ მის-  
გან ფასი სრული. ვინც შეცვალოს, კრული არა ამით ხატითა და ჩუ-  
ნითა ჭუარითა. ქრისტე შეიწყალე სული გაბრიელ კუმურდოელისად.  
ამინ.

V. მცირე შესავლის ზემოდან თაღზე ამოკვეთილი ასომთავრულით:  
ქ ე შ ე ს ლ ი ჩ ლ ი ს ი ა ნ, ე. ი. ქრისტე შეიწყალე სული ჩ ლ ი  
ს ი ა მინ.

VI. ამ პატარა თაღს ქვემოთ ამოკვეთილი ასომთავრულით:

1. ქ. სხლ ითა
2. ლ ითა მე გ ლ
3. ებ ისქ მ ნ დ დვ
4. ალ პ დ ბ ზ ბ ს პ რ ს კ ე ი
5. მ ლ ნ ნ ს დ ლ ე ს ს წ ლ ი
6. წ თ ა მ ლ დ თ ა მ ო ძ ლ ი
7. თ ა ვ ი ნ ს რ ი კ ლ ი თ
8. ა რ ა ვ ა რ დ ა ი ქ ლ ი
9. ქ რ ლ ა ა მ ი თ ხ ტ ა
10. დ ა ჩ ნ თ ა ჯ რ ა
- ე ს ი ს რ ლ ი ა გ ლ ი

ე. ი. სახელითა ღმრთისამთა  
შე გაბრიელ ებისკოპოსმან  
დაუდიდ აღაპად ბზობის პა-  
რასკევი მ ლ ნ ნ ს (?) დღესას-  
წ ა უ ლ ი წ მ ი დ ა თ ა მ ლ დ ე ლ თ ა  
მ რ ძ ლ ვ ა რ ი თ ა. ვ ი ნ ს რ უ ლ ე ბ ი თ  
ა რ ა ვ ა რ დ ა ი ქ ა დ ლ ი ს, კ რ უ ლ ი ა  
ა მ ი თ ხ ტ ი თ ა დ ა ჩ უ ნ ი თ ა ჭ უ-  
ა რ ი თ ა ფ ა ს ი ს რ უ ლ ი ა გ ვ ი ლ ი ა.

VII. მცირე შესავლის ზემოდან ამობურული ასომთავრულით:

1. ქ. ს ხ ლ თ ა ღ მ თ ა მ ე ჟ ე
2. დ ლ ე ა ხ ს ბ ა ა ლ პ დ ვ ა ჩ ე ე
3. ვ ი ნ შ ც ე ლ ს ქ რ ლ ი ა ა მ ი თ
4. თ ა ხ ტ ა ჯ რ ა
5. ა რ ა ვ ა რ დ ა ი ქ ლ ი

ე. ი. სახელითა ღმრთისამთა მე მ ა-  
ვ ა ნ ე ბ ი ს კ ი პ ი ს მ ა ნ დ ა უ დ ე ვ  
დ ლ ე ა ხ ს ბ ა მ ა ღ ა რ ე ე რ ი ს თ ა ვ ა ს . ვ ი ნ შ ც ე ლ ი ს ,  
კ რ უ ლ ი ა ა მ ი თ ხ ტ ი თ ა დ ა ჩ უ ნ ი თ ა ჭ უ-  
ა რ ი თ ა ფ ა ს ი ს რ უ ლ ი ა გ ვ ი ლ ი ა .

VIII. აქვე მარჯვნით პატარა ქვაზე ამოკვეთილი ასომთავრულით:

1. დიდსა შ ფ თ ს
2. ა რ პ ი შ რ ტ ს ი
3. ქ ე შ ბ ს ი წ ნ ა დ ლ
4. გ ლ თ ს ა ვ ნ შ ც
5. ვ ლ ს ქ რ ლ ღ თ ს პ რ თ ა

ე. ი. დიდსა შ ფ თ ს ი  
ა ღ ა პ ი შ რ ტ ს ი (შ ა რ ტ ი ს ი ?)  
ქ რ ი ს ტ ე შ მ ბ ი ს წ ი ნ ა დ ლ  
გ ლ თ ს ა (გ ლ ლ ი ა თ ი ს ი ?) ვ ი ნ  
შ ც ე ლ ი ს , კ რ უ ლ ი ა ღ მ რ თ ი ს ა  
პ ი რ ი თ ა .

IX. აქვთ შეკვეთილი ასომთავრული:

- |                        |                                  |
|------------------------|----------------------------------|
| 1. ქ. სხლთა ლთა მე     | ე. ი. სახელითა ღმრთელობისადმისად |
| 2. გბლ ებსკმნ          | გაბრიელ ებისკოპოსისადმისად       |
| 3. დდ ვ ალპ დლე ეგრისი | დაუდევ ალაპად დლე ეგნატი-        |
| 4. გლთსა ვინ შცვ       | სი გლთსა (გოლიათსა?) ვინ         |
| 5. ლს ქრლა ამთა        | შეცვალოს, ქრულია ამთ             |
| 6. ნტრთა ჩირ გრო       | ხატითა (და) ჩუენით ჯვარით        |
| 7. ა.                  | ა.                               |

X. მთავარ შესავლის თაღის მარცხნით ამოკვეთილი ასომთავრული:

1. იანვარს ა . .
2. ამბა პ . .
3. მელისი ლნ მის
4. დლ სა ემსა წრვ . .
5. და ლუ ვი შ . .
6. ა წნ ვრნა . .
7. ვრდაიკა (დ)
8. ოს ლნ მის . .
9. იძიენ ან

წარწერის არსებოთად აღდგენა არ ხერხდება.

XI. მცირე შესავლის მხრით ამოკვეთილი ასომთავრული:

- |   |                               |
|---|-------------------------------|
| 1. სხლთა ლთა მე ზსმე ქ:                                     | ე. ი. სახელითა ღმრთისადმა მე  |
| 2. შვემე სკრონელი ბრძიშ                                     | ზოსიმე კუმურდოლმან            |
| 3. ფეხშიმი ჭორი და შვემკვე ხტ შევმოსე საკურთხეველი ბარძიშ   |                               |
| 4. [ი] ლობსად კლთა დეონის[ა] ფეხშეუში ჭვარი და შევამეკ ხატ- |                               |
| 5. მთა დაოდე სალოვლდ —                                      | ი ღვთაებისად კელითა დავითისა  |
| 6. —ობსა: ე: ქ [რ] ლსნთა მთა დაოდეკ სალოცველად —            | — ობსა: ე: კირიელეინონითა     |
| 7. ქსნდის წლისმისა შე —                                     | დევანოზი მოი                  |
| 8. — ნბით კრლ ამთ ხტა ვნ ქსენებდეს წმიდასა მაშასა შე —      | — ნბით კრულია ამით ხატითა ვინ |
| 9. შეოცველს   | შუეცვალოს.                    |

XII. ეკვდრის სამხრეთ ფრონტონშე ამოკვეთილი ასომთავრული:

ეკლია: (აღდენ ლონ მეფეთა მეფე ბაგრატ და დედა მა)თი მრმ  
დდ ფლი აღეშენა შტრ ესე მფბსა მთსა მლდლთ მოძრაბსა ზსმე  
კმრდოლისსა

ე. ი. (აღდენ ღმერთმან მეფეთა მეფე ბაგრატ და დედა მა)თი  
მარიამ დედოფალი. პლეშენა შტომ ესე მეფობასა მთსა, მლდლთ  
მოძლურობასა ზოსიმე კუმურდოელისასა.

XIII. ეკვდრის დასაცლეთ შესავლის ზემოთ ამოკვეთობის ას-  
მთავრულით:

- 1 ქ. იკ ქვ დბლ ჰუვ: ორთვე: შა ცხორებათა მ გრიგორი ბატონიშვილი
2. ეორედ: აღმშნბლი: პტრინი: ელისბლ: დდა: მთ(ი)
3. ქრისტინა: მეცხედრე: მათი მარის: ძენი: მთნი: და: ასლნი:  
მთნი. ან

ქ. იესვ ქრისტე დიდებულ ჰყავ ორთავე შინა ცხორებათა  
მეორედ აღმაშენებელი პატრონი ელისბალ, დედა მათი ქრისტინა,  
მეცხედრე მათი მარის, ძენი მათნი და ასულნი მათნი. ამინ.

XIV. აქვე მარცხნით, ასომთავრულით:

ლნ გლტშა მჭლს: შნს

ე. ი. ღმერთმან გალატოზსა მიქელს შეუნდოს

XV. იქვე მარჯვნით, ასომთავრულით:

ზოსიმე კმრდოელსა: შნს ლნ ან. ე. ი. ზოსიმე კუმურდოელსა შეუ-  
ნდოს ღმერთმან. ამინ.

ეს წარწერები უკანასკნელად წაყითხული აქვს პროფ. ე. თავაი-  
შვილს. წარწერათა პალეოგრაფიულ დახსინათებას ჩევნ აქ არ შეუ-  
დგებით. ამის შესახებ მსჯელობა უფრო ნაყოფიერი იქნება, როცა  
ხელთ გვაქნება წარწერათა ფოტოსურათები. საერთოდ კი ითვემის:  
წარწერანი ეკუთვნიან X—XVI საუკუნეებს. აქ უნებურად ყურად-  
ღებას იძყრობს ერთი გარემოება: უძველესი (ე. ი. მეათე საუკუნის)  
წარწერები ამობურული ასომთავრულითა შესრულებული. შემ-  
დევი (XI—XVI ს.) კი ამოკვეთილი ასომთავრულით. აქედან, რა  
თქმა უნდა, ჩევნ საერთო წესი არ გამოვყავს,—სხვა არა იყოს რა.  
ამს. გ. ბოკორიძის მიერ აღმოჩენილი ჰაემეტი წარწერა წყისედან  
ამოკვეთილია, — მაგრამ მაინც უნებლივთ გვაგონდება ბოლნების.  
ურბნისის უძველესი წარწერები, რომელიც აგრეთვე ამობურულ-  
ნი არიან...

აქ საერთო წესზე მეცნიერული ღირებულების მქონე დაკვირვება  
მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება გამოტანილ იქნას, როცა წარწერები  
ყოველმხრივ აწერილ-შესწავლილი და გამოცემული იქნება. ჯერ-  
ჯერობით შეიძლება მხოლოდ საყითხი იქნას დასმული ამ თრგვარი  
ტექნიკის ტენდენციებზე: უძველესად თითქო ამობურული წარ-  
წერები სკარბობენ, შემდეგ კი ამოკვეთილი. ამობურული ასოებით  
წერა, როგორც ტექნიკური მოვლენა, შეიძლება ქანდაკებათა ბედ-  
თან იყოს დაკვირვიტებული...

ისტორიულად უფრო საინტერესოა პირველი წარწერა, სადაც  
ტაბრის საფუძვლის ჩაყრაშეა საუბარი. როგორც აქელან ირკვევა,  
უკვე მეოთე საუკუნეში (—964 წ.) იუხაზ მეფეებს ხელობაში მიმდინარე  
ჭავახეთი, სადაც მათ კელისუფლების ერისთავი ახორციელებს  
ცერისთავი აქ მეორეცაა მოხსენიებული — ერთი მეოთე საუკუნის  
წარწერაშივე — ვაჩე ერისთავი. ვაჩეს სახელთან ბუნებრივად გვა-  
ვონდება სოფელი ვაჩიანი 5 კილომეტრში კუმურდოს სამხრეთ აღ-  
მოსავლეთით).

საინტერესოა წარწერა მეფე ბაგრატისა და მარიამის მოხსენიე-  
ბით „შტოის“ აგების შესახებ, რომელიც უნდა შესრულებული იყოს  
XI საუკუნის მესამე ან მეოთხე თეულში, ე. ი. ბაგრატის ყრმობის  
უამს, რაითაც შეიძლება აიხსნებოდეს დედისა და შვილის —ორ-  
თავეს მეფობით მოხსენიება (თუ *pluralis majestatis?*). წყორ-  
ებით საქმაოდ ცნობილია ამ მარიამ დედოფლის სახელშეწიფო-პო-  
ლიტიკური მოღვაწეობა განსაკუთრებით მისი შვილის, ბაგრატის  
მეფობის პირველ ხანებში, როცა ის ხელისუფლების ფაქტორი  
თანამონაწილეა.

დაბოლოს, მეორედ მაშენებელი ელისბალ. ეს წარწერა ხელის  
მიხედვით XVI საუკუნისაა, როგორც ამას ე. თაყაიშვილიც აღნიშ-  
ნავს. ამ ხანებში ცნობილია ზოსიმე კუმურდოლიც რომელიც  
ერთგულების ფიცს აძლევს მცხეთას. ამრიგად, ამ წარწერებიდან  
ირკვევა: X ს-ში ოთანე ეპისკოპოსი აგებს კუმურდოს ტაძარს. ეს,  
რა თქმა უნდა, იმას არ ნიშნავს, რომ აյ ამ დრომდის არა იყო ჩა.  
პირველით, უნდა ვიფიქროთ, რომ ოთანე ეპისკოპოსი სწორედ კუ-  
მურდოს ეპისკოპოსია და კუმურდო აქიმდისაც საეპისკოპოსო კა-  
თედრია იყო; რომ ოთანეს მხოლოდ ჩეგნამდის მოღწეული ტაძარის  
აგება ეკუთვნის და არა საეპისკოპოსო კათედრის შექმნა. კუმურდოს  
საეპისკოპოსო კათედრის შესახებ ჩეენ ამაზე ძეველი ცნობა  
არა გვაძეს, სამაგიეროდ გვაძეს ცნობა წუნდის საეპისკოპო-  
სო კათედრის შესახებ წუნდის საერისთაოსთან დაქავშირებით. ძნე-  
ლი დასაჯერებელია წუნდის და წყოროსთავის, როგორც საეპისკო-  
პოსო კათედრია იგულისხმება, ან კიდევ წუნდასთან გარკვეული ურ-  
თიერობის პირობებში, მის დამცრობა-დაცემისთან დაკავშირე-  
ბით და მის ნაცვლად წარმოიშვა კუმურდოს საეპისკოპოსო კათედ-  
რა. სკოთხის ასე დამშისას შესაძლებელია ოთანე ეპისკოპოსი კუ-

მურდოელი არც კი ყოფილიყო აქამდის, არამედ ამინურითაც  
ხდება ასეთად და ამ საქმეში მონაწილენი არიან ლეონ აფხაზთა შემთხვევა  
და მისი მოხელე ზედა ერისთავი (?)

ასეთ შემოხვევაშიც კი ძნელი დასაშვებია, რომ კუმურდობი  
X საუკუნეში რაიმე სამლოცველო არ არსებობლიყოს... ამის უტ-  
ყუარი მოწამეა კუმურდოს „ჯვარი“, ტაძრის შესავალთან რომ არის  
აღმართული და რომელსაც ქრისტიანული ემბლემის სახე ნაგვანე-  
ვად აქვს მიცემული... საფიქრებელია „ეს ჯვარი“ განთქმული და  
ფართო თაყვანისცემის საგანი უნდა ყოფილიყო: საეპისკოპოსო კა-  
თოლიკის დარსება მოწოდეს ამ აღგილის დიდმიშვნელოვნობას, რო-  
გორც საკულტო აღგილისას.

ტაძრის სიღიადე სააღმშენებლო ტექნიკის მაღალ ღონეს მოწ-  
მობს და საგვებით ეთანხმება სხვა ცნობებს ჩვენი ეკონომიკური და  
კულტურული დაწინაურებულობის შესახებ X საუკუნეში, გამსა-  
კუთრებით მის მეორე ნახევრიდან. შემდეგ, XI საუკუნის 30-იან  
წლებში კუმურდოს ტაძრისათვის მიუშენებით შტომ. დასასრულ,  
XVI საუკუნეში ტაძარს კაპიტალური შეკეთება დასჭირებია და  
„მეორედ მაშენებლად“ აღგილობრივი ფეოდალი „პატიონი ელის-  
პალ“ აღმოჩენილა.

\* \* \*

კუმურდობან ჩქარა წავედით. ჩვენი მიზანია დღესვე ზრდა-  
კალის წარწერა გადავილოთ: სადამოს მზეზე, თუ მოხერხდება მხო-  
ლოდ მისი გადაღება. ეს ქვა ვაჩიან-კუმურდოს გზაზე ძევს ერთი  
კილომეტრის დაშორებით ვაჩიანიდან. ობლად გდია ის გზის პირას  
გულალმა, მოუვლული. იქვე ახლოს, სადაც უწინ ეს ქვა მდგარა  
პატარა ბორცვია. იქ მეორე, შედარებით პატარა ქვა ეხლაც დგას.  
ჩვენი „სუინაკტის“ ნადგომი ეხლაც ამოლრმავებულია. ეინ წააქცია  
ეს ქვა, ან როდის, არავინ იცის... ერთი ვაჩიანული მკვიდრის გადმო-  
ცემით ამ აღგილს (თუ ახლო მთას?) თიქარი ქვია. აქ ძევლაც თურ-  
მე დადი დღეობა, ხატობა იყონენ. საინტერესოა ამ დღეობის რი-  
ტუალის შესწავლა; შეიძლება მან ამ „სუინაკტის“ შინაარსიც  
ცხადყოს... თავისთავად სახელი თიქქარ დამაფიქრებელია:  
(თი-ქქარ—თიქქარ—თიქ+ქარ=თიქა-ქარი). აქ საინტერესოა მოვი-  
ყვაონთ ერთი არაუ თიქარის შესახებ, რომელიც, საფიქრებელია,  
ძეველი არაუის ახალ პირობებში გადმოტანას წარმოადგენს. მღედელ-  
მა და დიაკონმა პეტრი სთესეს, გაუწილდათ; შემდეგ ქერი სთესეს,  
ისიც გაუწილდათ, ასევე მოუცდათ სიმინდიც. ბოლოს ფეტვი დათე-  
შეს. ისიც გაწილდა მხოლოდ ყანის შუაში მამაკაცის საჩუცვენელი

ამოვიდა. როცა ზრდა დაასრულა, მღვდელმა და დიაკონმა ქაშაგან  
და ბელელში შეინახეს. ამის შემდეგ საქმაო იურიდიკაზე ვისმე „თე-  
ქარ“, რომ ეს ახირებული კირნახული ურექცირებული ჩატარდა მარ-  
ჩვენთვის აქ სწორედ ეს სახელია საინტერესო, რომელიც რგო-  
ვეა, რაც ზემომოყვავილი საგვოგრაფია სახელი. (აქე შეიძლებოდა-  
გვეკითხა: ხომ ამავე ძირის და ამავე თავდაპირეელადი მნიშვნელო-  
ბის არ არის ვეაღყოფა „თიაქარი“?)

ზრდესკელის სუინაკტის ზომაა: სიგრძე 1,8 მეტრი; განი 0,8 მეტ-  
რი; სისქე 0,4 მეტრი. მაგრამ ეს არაა მისი თავდაპირეელი სახე: ის  
ძირის მხრიდან წატეხილია. წვერში სუინაკტის მინიატურული ჯვა-  
რი აქვს ამოქვეთილი და ყველაფრით ჩანს, რომ ეს ის სხვათაშორი-  
სია. წარწერა მოთავსებულია, როგორც შუბლის, ისე გვერდის მხრი-  
დანაც. დამწერლობა ნუსხურია. სამწუხაორდ, მარჯვენა კიდე ქვის  
დაშლის გამო დაზიანებულია და წარწერაც გადასულია. მაგრამ და-  
ზიანება იმდენიც არ არის, რომ ამ საინტერესო წარწერის აღდგენა  
არ შეიძლებოდეს. საჭიროა მხოლოდ ხანგრძლივი ჩაღორბა და  
კარგი ფოტოსურათები. უპირველეს ყოვლისა აუცილებელია ეს ქვა  
ამ ადგილიდან წამოღებულ და ღაცულ იქნას<sup>18</sup>.

1. სხლ-თა: ღრთა:
2. მე ბრ-ზე: ზრდესკელმან: ვე
3. ზე სუინაკტი: ბრძნენ/ბით]
4. ამისპასლრისა ზერისოთა...  
[ღ]
5. რსდევ: [ც]ხობსა მ... ს:  
შა: მ...
6. სა დღეგრძლბსა თს: ა-რ-
7. ი უკეთ: თანდასა  
ხ [ლად]
8. პ[?]რსა და სმნს: ღო
9. ნ

ეს არის შუბლის წარწერა. გვერდიდან კი ყოფილა ექვსსტრიქო-  
ნიანი წარწერა ნუსხურით:

1. ადდნ
  2. ცტაძ
  - ვი
- |             |             |
|-------------|-------------|
| ე. ი. ადიდნ | ე. ი. ადიდნ |
| ცოტა ძეი    |             |

<sup>18</sup> 1942 წელს ამ ქვის დაცვა შე ქართულ დივიზიის ეჭმიერ მოლეკუნიე-  
რურაშვილი). ქვა წამოიღეს და ახალქალაქში დივიზიის კლებში მოათავსეს. —  
1944 წელს ჩამოვა თხოვნით ეს ქვა გაღატანილ იქნა ახალციხის სამხარეომცო-  
ნია შეზეულში.



3. ადგინ:  
4. ლხ: შალვა  
5. და მთამ  
6. მთი: იქ:

აღიდენ  
ლმერთმან შალვა  
და მთამ  
მათი ივანე.

საქონის კულტურული  
და საზოგადო მიმღებელი

ამ მეორე წარწერას თითქო არა ყელია რა: მაგრამ დასაწყისი —  
მაიც უცნაურია მოსალოდნელი იყო „აღიდენ“-ის შემდეგ „ლნ“, ეს  
კი არაა. შეიძლება მეტისმეტი გადასულობის გამო? არ არის ამავე  
დროს დასაშვები, თითქო ეს გვერდის წარწერა შებლის წარწერის  
დასასრული იყოს.

ორივე წარწერა საინტერესოა ცნობილ ისტორიულ პირთა მოხ-  
სენიებით. ზაქარია ამირსპასალარისა და შალვა და ივანეს (ვგუ-  
ლისხმობ ძმებს აზალციხელებს) ერთად მოხსენიება ძეგლს XIII  
საუკუნის პირველი ათეულით ათარიღებს. უცნობი არიან კოტაძეი  
(ჩანს, ასევე დიდებაცი)<sup>19</sup>, ბერი ზრესკელი, და სვიმონ. ზრე სკი —  
ვერანა სოფელია აქვე 3 კილომეტრში. აქედან ბერი ზრესკელი<sup>20</sup>.

მართალია წარწერა მთლიად აღდგენილ-წავითხული არაა და ამი-  
ტობაც მის შინაარსზე მსჯელობაც ნაადრევია; მაგრამ ერთგვარი  
წინასწარი აზრის გამოთქმა ეხლაც შეიძლება არ იყოს ზედმეტი.  
ბერი ზრესკელი მოგვითხრობს რომ ზაქარია ამირსპასალარის ბრძა-  
ნებით „აშენა ზუინაკტი“. რომ აშენება მხოლოდ ამ ქვეის აღმართ-  
ვას გულისხმობდეს, საფიქრებელია იქნებოდა ნათევამი: „აღვმართ“  
და სხვა. ამდენადვე არც „ზუინაკტია“ საფიქრებელი, რომ ამ ქვეის  
სახელი ყოფილიყოს. „ზუინაკტი“-ს ქვეშ აქ საგულისხმებელი ხდე-  
ბა რაღაც „შენობა“, ბერმა ზრესკელშა რომ „ააშენა“ ზაქარია ამირს-  
პასალარის ბრძანებით. ეს სკეტი კი, ჩანს, ამ ზუინაკტის მთავარი  
ნაწილია. სიტუაცია „ზუინაკტი“ შეიძლება სომხურ Ախა ან Ախამაქ-ს  
დაუკავშიროთ (—სკეტი, მცირე სკეტი), მაგრამ უფრო ბუნებრივად  
გვეჩვენება სემასიური ნათესავობით ის ჭართული „ზუინ“-ისაგან  
გამოვიყვანოთ.

<sup>19</sup> კოტაძე მე არა ვდარ, არამედ საკუთარი სახელი მეორია.

<sup>20</sup> დოც. ს. განმშენას მოსაზრებით ჭარაგმა ბრძნ უნდა ფასხსნას ბარამან  
და არა ბერმან. შეიძლება, მაგრამ „ბერმან“-ის სასარგებლოდ მივვითოთხს აქვე  
შემ-ე სტრიქონში პატიკ ქვეშ სიტუაცია ბრძანა, რომელიც შემოლი „ბერსა“-დ შეი-  
ძლება გაიხსნოს და ამ ზრესკელს უნდა გულისხმობდეს. გარდა ამისა, რომ გმირ-  
ქმა: „ბერმან ზრესკელშია“, თუ დღესმე კი,—ამ დროს მაიც არ ეწინააღმდეგი-  
ზა პართლერის ნორმებს, ამის ამტკიცებს წუნდას ეკლესიის წარწერა. „სა-  
ხელით ღმრთობისათვის მე იწითმან გურგენის ძემის აღვაშენე“ და სხვ.

საბა ორბელიანის განმარტებით ზენი არის „განმრთელებული ბრჭა მდგარი ანუ ძნა და თივი, სელი, ცერცეი, და მისთანანი“. მოწოდებულის შეინიშვნით განმარტებით არის „ერთბამად ძნეული მდგარი“. მიწის შეზენება, მოზეინება, ჩალის დაზეინება—დღესაც ცოცხალი გამოთქმებით, ხოლო გამოსცლათა 8,14 სწორია, რომ მოსე და არონის ლოცვით დახოცილი მყუარი „შეერთებულ ზუინად ზუინად“. სომხურ დაბადებაში ამ ადგილს შეესატყვისება Կոյլი, რაც ნიშნავს გროვა, კუთა, სკოლენი. ასეთი ზუინის „აშენება“ მართლაც შესაძლებელი იყო. როგორც უკვე აღვნიშნეთ, იქ, სადაც ეს ქვა მდგარა, ეხლაც ბორცვია. შესაძლებელია, მაშასადამე, საუბარი ეხებოდეს ამ ბორცვის აშენებას და ზედ სკეტის ამართვის. სწორია თუ არა ჩვენი მოსახრება და შედგებოდა ეს ზუინაკტი მხოლოდ ბორცვისა და ამ სკეტისაგან, თუ აქ სხვა რამეც იგულისხმებოდა, ამას თვით ამ ბორცვის გათხრა დაამტკიცება...

მაგრამ სიძნელე მარც გადალაზული არაა: ზედსკელმა ააშენა არა ზუინი ან ზუინაკი, არამედ, „ზუინაკტი“. სულიქსისეული ამ ტარით ეს სიტყვა ზუინაკტი ბერძნულ ნაშმნაზ ზედშესარულს თაყვაზის სკნაკტეონ-ს უკავშირდება, ზმინისაგან (სუმუა) სკნაგო, რაც ნიშნავს — შეერებილი, შეყრილი, შეგროვილი და შინაარსობრივადაც ქართულ ზენს ენათესავება.

სამართლიანია თუ არა ეს ჩვენი ეტიმოლოგია ამისგან დამოუკიდებლად ეს ორმხროვანი წარწერა თავისითავად საინტერესოა. უკუკველია ასეთი სახით ეს წარწერები წარმოსადგენია სკეტის მხოლოდ თავისუფლად დგომის პირობებში. ამავე დროს ორივე წარწერა ერთმიერისაგან დამოუკიდებელია და, თითქო განზრახ, ერთმიერისაგან განცალკევებულად არის ამოკრილი. თუ ეს არა, ის ცხრა სიტყვა, მარცხენა გვერდზე რომ არის მოთავსებული, სრულად თავისუფლად დაეტეოდა შებლის მხარეზე. ამავე დროს დამწერლობის ტექნიკიდან ჩანს, რომ ორივე წარწერა ერთსა და იმავე დროსაა ამოკრილი. როგორც ვხედავ, არც ეს ჩვენი სახელდახელო ცდა მოვაცემს არიმე არსებით ცოდნას ამ ძეგლის შესახებ.

წარწერა უჩვეულოა. ის უფრო იურიდიული ხასიათის ძეგლის შინაარსს გვაგონებს (შდრ. თრიალური კელი).

ეს ამოდენა დიდებაცთა მოხსენიებაც (ზაქარია მჯარვერძელი, ცოტაძეი, შალვა (—თაალციხელი?) და მისი ძმა ივანე) თითქო ამავე გვაფიქრებინებს. გასაგები იქნებოდა, ასეთი ინტერპრეტაციისას, არარსპესალარის საქმიანობა ამ საუფლისწულო (ეხლა ხომ არ შეიქ-

მნა საუფლისწულოდ? შედრ. თრიალური კელი...) ქვეყანაში. გამა-  
ვები იქნებოდა შალვა და ივანე (ახალციხელები, გამრეკელ აზერსპა-  
სალარ—თორელის შვილები?) ამ იურიდიული აქტის მონაცემებით უკავშირდებოდა

მაგრამ, სანამ დაზუსტებით არ ვიცით, თუ რას ნიშნავს „ზუინა-  
კტი“ და მისი „აშენება“ ქვეყნის (ჯავახეთის) ამ შუაგულში, რამე-  
კატეგორიული მსჯელობა ძნელია... ჩვენ კი ჯერ ამ ძეგლის ზუსტად  
შეკითხული ტექსტიც კი არ გაგვაჩინია.

უკვე ბნელოდა, როცა ზრდესკელის წარწერა დავტოვეთ. ღამის  
11 საათზე მოვატანეთ მძინარე ახალქალაქს. მოლლილებს ნეტარე-  
ბად გვეჩვენა ჩვენი სასტუმროს „კომიტორტი“ და გვიან დილამდის  
„ტებილად“ გვეძინა.

მეორე დღესვე კოთელიას წავედით.

23. VIII. კოთელიაში ჩვენი მასპინძელია კოლმეურნეობის თავ-  
მჯდომარე ამს. ლაზრიშვილი. ის ენერგოული და კოცხალი კონების-  
კაცი ჩანს. აქ ძლიერი კოლმეურნეობაა და ლაზრიშვილსაც ღირსე-  
ულად მოსწონს თავი: ჩაიონბა კოთელიას კოლმეურნეობა პირველი-  
ყოფილა და ჭილდოდ დროშა მიუღია.

შემოგვეხვივნენ.. დავით ალმაშენებელი, თამარი, ლუკები, ჯავა-  
ხეთის დაცლა, პასკევიჩი — 1830 წელი... ისტორიული ლეგენდები-  
სოფლების სახელთა ეტიმოლოგიები... მრავლად გვაწვდიან ცრობებს-  
კერანების შესახებ (ამათ არ აშინებთ, რომ ვერანებს „დასასახლე-  
ბლად“ გამოვიყენებთ)...

კოთელიას სამხრეთ-აღმოსავლეთით დირკნა, ზაქუ (ანუ ძეგ-  
ვი), იქვე ზემოთ: სუსუს ხარაბა (უწყლო ვერანა). ზაქეს (— ძეგვის) გადმომამა ვერანა საბარე; იქვე ოლოვერდის ახლოს  
ნასოფლარი. ბუღაშენა და მერენიას შუა ვერანა ხიდი ჯვარი. ბა-  
რალეთსა და ხიდიჯვარს შორის ვერანა ტერტერაული. ბარა-  
ლეთს ზემოდინ ვერანა სირგვი, კავიოს გაღმა ვერანა მიმინეთი,  
მიმინეთს ზევით ვერანა კარანთა ბალინთას დასავლეთით ვერანა-  
ალანთა. ვანჯლას ზემოდინ ვერანა ბერენო თუ ბოჟანო; ტაბი-  
ურის ვერდზე ვერანა ხუნისი.

დილადრიან წარწერები შევამოწმეთ: ასეთი აქ ორია. ორივე-  
მხედრული. მცირე ეკლესიაზე: „ჩყნა წელსა მაისის შ-სა საფლავსა-  
ამას შინა მდებარე არს პრინცესიკი ნიკოლოზ ზარიძე. აღმომყინო-  
ვილნო შენდობა ბრძანეთ“.

მეორე ეკლესია ძველია. ის თლილი ქვის ყოფილა. შემდეგ აღუ-  
დგენიათ. სამხრეთის კედელში დაცულია წარწერა:

ქ.: ამა: წამიღისა: კეი  
რიკესა: საყდრისა: აღ  
შეხენებელსა: ქიშვაძეს:  
და თანა: მეცახედრისა: მეფ  
ისა: ასულსა: თამრის: შეუნ  
ს: ლმრომნ: გულბდსა:  
და: მისა: მეცახედრესა: მაზ-  
ქალს: შეუნდს: ღნ:

ხელის მიხედვით ეს წარწერა XV—XVI საუკუნისა ჩანს მდრ.

ლიკნის ეკლესიის გუმბათის წარწერა ბორჯომის ხეობაში).

კოთელიაში ორი სასაფლაოა. ძველი—მუსლიმანურია. ხამ ქვებს  
შორის აქ ერთი გათლილი ქვაა ჭრით და სომხური წარწერით .. ეს  
მეტად საინტერესოა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ის უფრო ადრინ-  
დელია. თუმცა მე გამორიცხულად არ მიმართია, რომ ქრისტიანი სო-  
მეხი იქვე დაერთალეს, სადაც ადგილობრივი (უკვე მთლიანად ან ნა-  
წილობრივ მუსლიმანები) იმარხებოდენ. მსგავსი შემთხვევა ჩვენ  
ხულგუმობრაც შეგვხვდა: იქ ქრისტიანულ სასაფლაოზე მოიპოვება  
ცხენი არაბული წარწერით. დაზიანებული სომხური წარწერის იქვე  
შეითხვა ვერ მოვასწირო. გადანალები უვარვისი აღმოჩნდა.

ბარალეთისკენ წასელის წინ მასპინძლისას მიებრუნდით მადლო-  
ბის მოსახსენებლად. ზურა გათენებამდის წასულიყო სათიბში. ჩვე-  
ნთვის საუშმე გამოეწყო თავის შეილივით ენერგიულ ლაზრიშეკილის  
დედას. ის ქილოდელი ქალია. სამოცდათ წელს მილწეული ის ისევ  
ენერგიულია, ხალისიანი. გონიერი და ჩახედულია ეს სიმპათური  
მოხუცი. მან იცის ჭავახეთის ავეარგა, ფასი. „ჰავა აქ მეტად კარგია,  
გასაძლისი. ადამიანი აქ ოც ოცდახუთ წელიწადს მეტას სცოცხლობს,  
ვიღრე სხვაგან. ავადულთა აქ იშვიათია. კაცი თავის დღით კვდება და  
ამას რა სჯობს?... ჭავახეთი მდიდარია, საქონელი, პური უხვი იცის...  
წინად ასე ღარიბად როდი ვიყავოთ. 1918 წელშა დაგვიცა (ოსმალთა  
მიერ ჭავახეთის დაპყრია)... კვლავ ვიდგამზ ფუქს... ესაა, უსუფთაოდ  
ვცხოვრობთ, თუმცა ვისაც სისუფთავე უყვარს, აქაც იცავს მას...  
მით ზრდილობიანად ვვაგრძნობინა ჩვენმა მოსატრემი, რომ უსამარ-  
თლოდ მოვაჭეცით. როცა მისი, შედარებით სხვებთან შეუდარებელი  
სისუფთავე არ აღნიშნეთ. დიახ, სისუფთავის დაცვა ძნელია: ზამთ-  
რობით აუცილებელია საქონელთან ერთად ყოფნა. აქ დიდი ყინვე-  
ბი იცის... ის ეხლა მიწურს სტრენგენ და იმას კი არ კითხულობენ,  
თუ რით უნდა გაათბონ ეს თხელევედლებიანი სახლები... დედი, ჩქა-  
რი აქ ჭავახეთში ისეთ მანქანებს დადგამენ, რომ მოელ ჭავახეთს გა-

ტ. ღ.  
ქ. ამა წმიდისა კეირიკესა საქულე  
დრისა აღმშენებელს უწევდოდებია  
და თანმიერებული შეფარდები  
ლა თამარს შეუნდნეს ღმერთმან.  
გვულბადსა და მისსა მეცხედრესა  
მწევალს შეუნდოს ღმერთმან.

და ანათებს „და გაათბობს“. განათება დაიჭერა, ხოლო გამოიძინა დაეკვედა ჩემი მოსაუბრე, მაგრამ ზრდილობამ ურწმუნოებას სპონსორი და მიპასუხა: „პო, თუ კალეც გაათბობს, მაშინ მიწაში და საქონელი ნებვში ვის ეხალისება“... მანეც დუხაბორებს არა არ მიპამეთ. ისინი ხომ მიწაში და საქონელთან არა ცხოვრობენ? „—ერთი მიმზადველი/გამბაზია ყველას კი არ უნდა, დუხაბორებს არ აქვთ. მე არ ვიცობ მათ...“

უცკელად არა ვახუშტი მართალი ჯავახ გლეხთა დახასიათებისას. ჩემი ნაცნობები: გოგაშნელი მირიან ნათენაძე, ქილდელი სოსო ბალახაძე, ქილდელივე ლატიფ გოგალაძე, ბარალელი გიორგი გოგალაძე და კოთელიელი დედა-შეილი ლაზრიშვილები — ყველა გლეხები და მკვიდრი ჯავახი ვახუშტისეული დახასიათების სრული უარყოფა.

ბარალეთ ში წავედით. ეს მოზრდილი სოფელი და საოცმი ცენტრი. მოსახლეობა ნარევია: სომხებრი, ქართული. ძეელად ბარალეთი ქალაქი ყოფილა. მცირე ქალაქიდ ეგველება ის ვახუშტისაც (გეოგრაფია, 219). კოთელიელთ გაღმოცემით ბარალელი სომხები 1829 წელს გადმოსახლებული კი არ არიან, არამედ დავით აღმაშენებლის მიერ არიან დასახლებული აქ. ეს გადმოცემა საინტერესოა და შესაძლებლობის მხრით — საჩქმეონ. უცკელია, დავითმა თავის სახელმწიფო-ცეკვონიური ლონისმიერის არა მხოლოდ გორი შექმნა...

ბარალეთი საინტერესოა, როგორც ერთ-ერთი სახე ფეოდალურ ურთიერთობის ხანგრძლივ პერიოდში წარმოქმნილ ქალაქებისა. ხსენებულ ეპოქაში ჩვენ ქალაქების რამოდენიმე ტიპი შეგვიძლია გაეითვალისწინოთ. დრო: აღვილი და სხვა კონკრეტული გარემოებანი ქმნიდენ სახეობათა ასეთ სხვადასხვაობას. ამიერკავკასიისა და, კერძოდ, საქართველოს ქალაქების ისტორია სრულიად შეუსწავლელი დარწია. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში აქვს აღვილი რამოდენიმე ცდას ქალაქთა შესწავლის მხრით. პროფ. მანანდიანის და ტერ-ავეტისიანის ცდები საყურადღებონი არიან. სამწუხაროდ, საქართველოში ასეთ ცდებსაც კი არ აქვს ჯერჯერობით აღვილი. აქ საქმე პლატონ იოსელიანის ქალაქთა სიას არ გასცილებია. სხვაზე რაღა უნდა ითქვას, როცა თბილისიც კი შეუსწავლელია ისტორიულად..

ამავე დროს არსებობს შესაძლებლობა მიერკავკასიის და, კერძოდ, საქართველოს ქალაქების ისტორიული შესწავლისა. ლიტერატურული ცნობების შემოკრება ამ ქალაქთა შესახებ, მათი შედარებით შესწავლა ისტორიულ-არქეოლოგიურად, სოციალ-ცეკვონიური

და პოლიტიკური გარემოს გათვალისწინება, — ასეთი მუშაობა დევად შესაძლებელი იქნება მეცნიერულად დამაჯერებელი სურათის. გადაშლა ჩვენი ქალაქებისა, მათი წარმოშობა-ზრდისა, გაფრინდისა, მათი ტიპებისა.

საყითხის ასეთ შესუსტავლელობისდა მიუხედავად, პირად (და რა თქმა უნდა, არა სრულ) დავვარვების შედევად ამ თავითვე ქალაქ-თა რამოდენიმე ტიპი გვესახება.

ფეოდალური ურთიერთობის ხანაში საერთოდ ქალაქი, როგორც მეურნეობისა და მოსახლეობის ტიპი, მთავარ ხაზებში ერთნაირი იყო. ეს იყო ქალაქი ნატურალური მეურნეობის ბატონობის პირობებში.

მაგრამ, ისე როგორც ფეოდალურ ურთიერთობის განვითარების რამოდენიმე სტადია ჰქონდა, აგრეთვე ამ ეპოქის ქალაქებსაც... ამის გვერდით არსებობდენ სხვადასხვა ხასიათის გარემოებანიც, რომელ-ნიც ერთდროულადც ჰქმნიდენ ქალაქთა განსხვავებულ სახეობებს (ციხე-ქალაქი, დაბა-ქალაქი, დედაქალაქი, სამეუფო ქალაქი, საბატონი ქალაქი, ნაეთხადგური, ხიდისთავი, ხეობის ყელი და სხვ.).

ბარალეთი იმ მცირე ქალაქთა (დაბა-ქალაქი) ტიპს ეკუთვნის, რომელიც მრავლად ომოცენდნენ ჩვენში X—XII საუკუნეში ქვე- უნის საწარმოო ძალთა ძლიერი განვითარების შედევად. ასეთი ქა- ლაქები უმთავრესად წარმოშობილი იყვნენ გარშემო ოლქის მომსა- ხურების საჭიროებით ვაჭრობისა და ხელოსნობის მხრით. ასეთ ქალაქების ერთ-ერთი თავისებურება ის არის, რომ ისინი არ წარმოა- დგენენ როლის პოლიტიკურ ან აღმინისტრაციულ ცენტრს. ჩვეუ- ლებრივ ისინი უციხო, უგალავნო არიან, გაუმავრებელი, ისევე როგორც გარშემო სოფლები.. დაბოლოს, ეს დაბა-ქალაქები, რა თქმა- უნდა, ამა თუ იმ გზებით სხვა ქალაქებს და ქვეყნებს უკავშირდებიან, მაგრამ ამ ქალაქების როგორც წარმოშობა, ისე არსებობა-კუთილ- დლეობა აგრერივად ამ გზებზე არ არის დამოკიდებული, როგორც ზოგიერთ სხვა ქალაქებისა ამავე ეპოქაში.

თეულობით არსებული XII საუკუნეში (მარტო შანშა მხარ- გრძელის „მამულში“ თეულობით ქალაქი ითვლებოდა), ისინი ჰვეუ- ნის ეკონომიკურ დაცუმასთან ერთად თანდათან ჰქარგავენ ქალაქის ხასიათს შემდეგ საუკუნეებში და უხმოდ და ბუნებრივად ისევ სოფლდებიან...

შეფეთა თუ სხვათა მიერ ასეთი ქალაქების „დაარსება“ სრულიად არ უარყოფს ასეთ ქალაქთა ბუნებრივ წარმოშობას და ამ ქალაქთა დღეგრძელობა სწორედ მათ ბუნებრივობაზე მიგვითოვებს. ქალა-

ქის დაარსება ამ დროს, — ეს ხელოვნური ღონისძიებაა ქვეყნის  
პოლიტიკური მესაჭის მხრით, რომელიც ხელს უწყობს საზოგადოებრივი  
ბის ეკონომიკური ცხოვრების ბუნებრივ ტენდენციებს. ეკონომიკური  
ქალაქები გაცილებით უფრო არიან დამახასიათებელი ფეოდალური  
ფორმაციის განვითარებული, ბატონიშვილი პერიოდისა, ვიდრე ის  
„ციხე ქალაქი კლდეშედა“, ფეოდალურ ეპოქის მთელ სიგრძეშე რომ  
ცოცხლობს და პოლიტიკურ მომენტის ძლიერი აქცენტით ხასიათ-  
დება. ცხადია: ფეოდალური ფორმაციისა საერთოდ და კერძოდ მი-  
სი ბატონიშვილი სტადიის მეცნიერული შესწავლა, მისი რეალურად,  
ხორცესხმულად წარმოდგენა შეუძლებელია ასეთი ქალაქების გათ-  
ვალისწინება—შესწავლის გარეშე.

ბარალეთის სიძველეთაგან: ეკლესია ნაგვიანევად გადაეცემუ-  
ლი. ქვა წარწერით უაღილოდ არის დატანებული აღმოსავლეთის  
ყდელში. წარწერა ასომთავრულია და ნაწილობრივ დაზიანე-  
ბული:

ვ. ი.

- |                  |                  |
|------------------|------------------|
| 1. [a] ღმენა ეკლ | ღმენა ეკლე       |
| 2. ესიაი ესე ძა  | სიაი ესე ძათ     |
| 3. თ ეამთ შინა   | ეამთ შინა,       |
| 4. ოდეს ლაშა მ   | ოდეს ლაშა მეფედ  |
| 5. ეფედ დაჯ      | დაჯდა აღიღენ     |
| 6. და ადილნ      | ლმერომან თათავე  |
| 7. ღ თნ ორთა     | შინა ცხოვრებათა. |
| 8. ვე შა ცხოვრე  |                  |
| 9. ბათა          |                  |

თარიღის გარკვეულობით — XII საუკუნის ათიანი წლები — ეს  
წარწერა ძვირფასია პალეოგრაფიულად. მაგრამ ის შესანიშნავია  
შინაარსის მხრითაც.

ლაშის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჯავახეთთან უდაოდ  
ჩანს მისი სახელით მოჭრილი ფულის ზედწერილიდან. ის იყითხება:

A „გორგი მეფისაი თამარის ძისაისა, ჯავახთ უფლისისა“

—الملك الموصم جلال الدنيا و الدين كيوركى بن تamar حسام المسبع — R  
(ქართული ზედწერილი ნუმიზმატ პახომოვს შეცდომით აქვს წავით-  
ხული. მისი შესწორება კუუთვნის თ. ლომოურს).

როგორ უნდა გავიგოთ ეს ქართული წარწერა?

თუ ლაშა ამ დროს საქართველოს ერთადერთი მეფეა და ეს  
ფული თბილისში იჭრება, მაშინ ეს წარწერა გაუგებარია: რა საჭი-  
რო იყო საერთო ფულზედ მისი მოხსენიება ჯავახთუფლობით?

თუ ლაშა ამ დროს საქართველოს ერთადერთი მეფეა და ეს ფუ-  
ლი ჯავახეთში იჭრება, მაშინ „ჯავახთუფალი“ გასავებია. მაგრამ

ასეთ დაშვებისას ჩეენ უნდა გეცოლნოდა: პერიოდათ თუ არა ჩეელუბა?

თუ ლაშა ამ ღრის თანამეფეთა, მაშინ ეს წარწერა ფული იქნება, თუნდაც თბილისში, ლაშას სახელით. ლაშა უკი მეფეა, მაგრამ არა ერთადერთი. მეფეთამეფე ისევ თამარია, გიორგი კი მეფე-უფლისწულია და გავახთუფალი.

აქ კვლავ ისმის საყითხი ნუმიზმატიკიდან. შეიძლებოდა თუ არა, ან უკი, გვაქვს თუ არა ფაქტი თანამეფეთა მიერ ცალ-ცალკე თათოველის სახელით ფულის ჭედვისა? მოყვანილი ქართულარაბული ზელწერილები ურთიერთს ეთანხმებიან ლაშას მოხსენიებაში „მეფობით“, „დიდმეფობით“ და არა მეფეთმეფობით. როგორც ის არის მოხსენიებული მისი ღრისის სხვა ფულების აჩაბულ ზელწერილებზე: იხ. პახომია, KING OF THE WORLD AND THE FAITHFUL

كبير كىيىن تامار حسام الميسع ზელწერილთا ეს თანხმობა თითქო იმ გარემოებას აღნიშნავს, რომ ეს ფაქტი ჯერ კიდევ თამარის მეფეობის ღრის ხდება, როცა ლაშა ჯერ კიდევ თანამეფე მხოლოდ (ცნობილია, რომ ლაშა ჯერ ისევ თამარის სიცოცხლეში იქმნა გამეფებული). როგორც ვხედავთ, საყითხი გადაუწყვეტელი რჩება და ეპივობ გადაწყდეს, სანამ ქართული ნუმიზმატიკის ეს საყითხები მეცნიერულად შესწავლილ-გაშუქებული არაა.

მაგრამ, დამოუკიდებლად იმისგან, თუ რა პირობებშია ეს ფული მოჭრილი, ჩვენთვის საინტერესო დღიალი ყოველ შემთხვევაში უცლელი რჩება; ეს არის ლაშას განსაკუთრებული დამოუკიდებულება გავახეთისადმი.

მართლადა თუ ლაშა ამ ღრის ერთადერთი მეფეა, რაღა მაინცადამიანც „გავახთ უფალია“ და არა ცველა იმ ქვეყნებისა, რომელნიც უშეულოდ სამეფო სახლს ეკუთვნოდენ? და თუნდაც რომ გავახეთში იყოს ეს ფული მოჭრილი, რა საჭირო იყო ასეთი ხაზგასმა, თუ გავახეთი განსაკუთრებულ პროვინციას ან წარმოადგენდა, სადაც მთლიანი საქართველოს მეფე ამის გარდა „უფალიც“ იყო? ხოლო თუ ის მეფე-უფლისწულია და მის ამ მეფობაში გავახთუფლობა განსაკუთრებით ხაზგასასმელი გარემოებაა, ცხადია, ეს გარეულ რეალურ გარემოების აღნიშვნაა: ის რომ ლაშა, მეფე-უფლისწული განსაკუთრებით გავახთუფალი, „ალასტანელია“ (რა თქმა უნდა, ჩეენ ჯერ აქ ის ალასტანელობა არა გვაქვს, XIII საუკუნის დასასტანულიდან და XIV საუკუნეში რომ განვითარდა. აქ ნაგულისხმევია მხოლოდ ის საფუძვლები—გავახეთის განკუთვნა განსა-

კუთრებით საუფლისწულო მამულად — რომელზედაც ეს საინტერესო საკითხი აქ ჩენი მსჯელობის საგანი ვერ გვეცხავთ ამავე საინტერესო გამოთქმა „გავახთუფალი“. ეს რომ ლაშას ღრის შემოტებული გამოთქმა იყოს, რა თქმა უნდა, იქნებოდა არა „ჯავახთუფალი“, არამედ ჯავახთ პატრონი. მიმომ შეიძლება ვიფიქროთ: ეს გამოთქმა ძველია და „აფხაზთ მეუკებს“ დამკვიდრებული აქვთ იმ „უფალთაგან“, რომელიც ჯავახეთში უფლობდენ აფხაზთ მეურთა მიერ მის დაპყრობამდე.

ზემოთქმულის შემდეგ ბარალეთის ეკლესიის წარწერა ლაშას ჯავახეთისადმი დამოყიდებულების განსაკუთრებულ ხაზგამშით შეგვიძლია გამოვიყენოთ. საფიქრებელია, ამ პირველი ალასტანელის (მოსახრება ლაშას „ალასტანელობის“ შესახებ ეკუთვნის პროფ. ივ. ჯავახიშვილს) მეფედ დაჭდომა განსაკუთრებით ალასანიშნავი იყო ჯავახეთში, რომლის „უფალი“ ის აქმდისაც იყო.

ეკლესიის ეზოში ყურადღებას იქცევს „ჯავარი“ თავის კვარცხლბეკით. ეს ჯავარი ისეთივე ფორმისაა, როგორც განძის ჯავარი: მხრებ მოკლე. ზომა: ჯვრის სიგრძე — 0,85 სმ; განი ძირში — 0,35; წვერში — 0,35; შეაში — 0,32; მხრების სიგრძე — 0,10 (თითოეული); ძარის განი (სიმაღლე) — 0,24 თითოეული; კვარცხლბეკი: ძირი — 0,80; წვერი — 0,60; განი — 0,43. როგორც ჯავარშე, ისე კვარცხლბეკშე გაეკეთებულია ჯავარის ქანდაკება. წარწერა რამდე არ აქვს... „ჯვრს ეძახიან“, „კოთელიელთაც აქვთ თავისი ჯავარი — კვარცხლველი“— გვითხრა აქვე ეკლესიის გალავანს მომდგარმა გლეხმა...

ბარალეთიდან ღრტილაზე გავლით სამსახური მიედივასთ.

კოთელიაში კარგად იციან, რომ ამ სოფულის ქართველი სახელი იხტილა კი ას არის, არამედ ღრტილა, მაგრამ მაინც იხტილას უწიდებენ: ჩანს ეს თურქული გამოთქმა უფრო ემარჩევებათ.

ღრტილა ცნობილია იმ პაექტობასთან დაკავშირებით, სომეხ-ქართველ სჯულისმეტყველთა შორის რომ პქონდა ადგილი სწორედ აქ ბაგრატ IV ღრის და მისივე თანდასწრებით. ბუნებრივია, მაშინ ღრტილა საამისოდ შესაფერისი ადგილი უნდა ყოფილიყო და არა აწინდელივით მიყრუებული ბუნავი. სიძველეთაგან აქ შესანიშნავია XIV საცურნის ეკლესია, რომელიც მთავარ ნაწილებში მაინც, აქმდის გადაუკეთებელი დგას. სამხრეთიდან ეკლესიის უკლშე დაცულია ასომთავრული წარწერა:



გათავდა ქვეშელისა ლპტის  
ცოლისა და: თმოგველთა ქა  
ლისა როსოდანისაგან შე ლზ  
ქვნი იყო ფეხ  
ჭორვანის ძესა: ინეს: შნ: ლნ: შეუნდვენ ლმერობა.

ე. ი.  
გათავდა ქვეშელისა ლპტისა ცოლისა და თმოგველთა ქალისა რუსუდანისაგან. შეუნდვენ ლმერობა. ქრონიკონი იყო ფეხ (-1308). ჭორვანისძესა ითანეს შეუნდვენ ლმერობა.

ჭარწერა დაუზიანებელია, თარიღიანი და მდენადვე პალეოგრა-  
ფიულად მნიშვნელოვანი. შინაარსის მხრით სინტერესოა: ლიპა-  
რიტ ქვეშელი, ეს უნდა იყოს, ორბელთა ქართველი შტოს წარმომა-  
დენელი, ქვეშის ციხის პატრონი. ლიპარიტ ქვეშელი ჯვარის მო-  
ნასტრის აღაპებშიაც იხსენიება თრგზის (ერთხელ, საფიქრებელია,  
გადამწერის შეცდომის წყალობით იხსენიება: „ლიპარიტ გიშელი“).  
სამწუხაროდ, ჯვარის მონასტრის აღაპები საერთოდ დაუთარილე-  
ბელია და არც კერძოდ, ეს წარწერა ლიპარიტ ქვეშელის შესახებ  
იძლევა რამდენ ნიშანდობლივ ცნობას, რომ ვიცნათ: ამ ლიპარიტ  
ქვეშელში იგულისხმება ლრტილას წარწერაში მოხსენიებული ლი-  
პარიტი, თუ კიდევ სხვა<sup>21</sup>.

რუსუდან თმოგველთა ქალს ჩვენ სხვა წყაროდან არ ვიცნობთ.  
ექვემდებარებულია, რომ მეთოხშეტე საუკუნის დასაწყისს ჯრ კიდევ  
„თმოგვე თმოგველთაგან ობლად“ არ იყო დარჩენილი.

სახიებელია, რა ესაქმებოდა ლიპარიტ ქვეშელის ცოლს ლრტილა-  
ში, რომელიც საფიქრებელია, უფლისწულ ალასტანელთ („მეფე-  
თა“) სამფლობელში შედიოდა. ხომ ამ შეიძლება ვიტიქროთ, რომ  
ალასტანელთა „სამეფო“ ამ დროს ჯვახეთთან ერთად თრიალე-  
ლიანისაც (საბარათიანო) მოიცავდა. ასეთ დაშვებისას ლიპარიტ  
ქვეშელი, საფიქრებელია, დმანელ მეფეთა („ალასტანელთა“) უმაღ-  
ლესი ხელისუფალი, ჯვახეთშიაც არ ყოფილიყო უცხო... ლრტილას  
წარწერა თედო ეორდანისა მოჰყავს თვეის ქრონიკების II წიგნში  
(გვ. 174). შემცდარი ქრონიკონით. მასთან ერთად მას იგი სადღაც  
„ბორჩალოს მაზრაში“ ეგულება „სოფელ სამსახში“.

ლრტილიდან სამსარში წაედით. შეა გზაშე ვხედებით ვერანას.  
ნასოფლარის კვალი ერთობ წარჩოცილია. მოჩანს ეკლესიის ნანგ-  
რევი და აქა-იქ ნასახლევი. სახელი არ იყიან.

სამსარში სოფლის საბჭოს რწმუნებული არ დაგვიხვდა. ამიტომ  
ორი ახალგაზრდის—კოლმეურნეობის მოანგარიშისა და პრაჭტიკან-  
ტის სტუმრები გავხდით. ესენი შეგნებული ყმაწვილები აღმოჩნდნენ,

<sup>21</sup> შერ. საქ. სიცელუნი, II, 40, ქრონიკები, II, 174.

კომედიუმირელები. კარგად გაგვიგეს და შზად არიან დასახმარებლები  
წვიმის ეპირება. გადაღების მოლოდინში ვზივართ. ცნობის  
მოყვარენი მრავლად მოვიღნენ. გვეთხულობენ. ჩვენი მატერიალური  
უხსნან. ერთ ვიღაცას ვხედავ, არ მოვწონეართ. სულ „ვრასტან“  
„შაიასტანს“ იძახის. ხოლო როცა გააგონეს, რომ ჩვენ ვერანაებიც  
გვაინტერესებს, მათ ადგილმდებარეობას და სახელებს ვიწერთ, ის  
ზეზე წამოვარდა აღარავის უსმენდა და არც თვის გულისთქმას მა-  
ლავდა. მე იძულებული ვიყვა ჩაერეოდი, ამგესნა, მემხილებინა.  
სტეფანე და ვარაზდატი (ჩვენი კომედიუმირელი მასპინძლები) კრაიო-  
ფილებით მიქნევენ თავს. მოკამათ ნაკენივით გაეარდა. სხვებმა  
ბოლოში მოხადეს. „უკიცია, რას ლაპარაკობს არ ესმისო“. ჩვენც არ  
გამოვედევნეთ ამ მართლა უვიცს და საუბარი სიძველეებზე ჩამო-  
ვაგდეთ. გვიძებენ „მაღარა“ს. გვენაძლევებიან, რომ იქაურ წარწე-  
რებს ვერ წავიკითხავთ...

წვიმის შიში აღარაა. შევედით. „მაღარა“ აქევა ნახევარ კილო-  
მეტრში. ვნახეთ: მონასტერი ვარძიის ან ვაპანის ტიპისა. მათზე  
გაცილებით უფრო ადვილმისადგომი და, სამწუხაროდ, უფრო დან-  
ვრეულიც. სამსახის მონასტერი გაცილებით უფრო პატარაა ვაპა-  
ნის და მით უფრო ვარძიის მონასტერში, მაგრამ მთავარი ეკლესია  
უკაცილებით დაღია ვაპანის მონასტრის ველესიაზე. მისი სიგრ-  
ძე—12,5 მეტრი, განი 6,5 მეტრი, სიმაღლე არანაკლებ ხუთი მეტ-  
რისა, ის სამნავიანია. სამხრეთით ჰქონია ორი სავმაოდ ფართე სარ-  
ქმელი და კარები. საკურთხევლის ორივ მხრით სრული ოთახები—  
საქვეთლო და საღიაკნე. შუა ნაეის შუაზედ გუმბათის იმიტაცია.  
რვა ცვეტით: ოთხი შუაში (ორ-ორი სამხრეთ-ჩრდილოეთით) და  
ოთხიც აღმოსავლეთ-დასავლეთის კუთხეებში. საერთოდ ეკლესია  
ფრიად ლამაზად ყოფილა გამოკეთილი. ამ შენობის მარჯვნით და  
მარცხნით მრავალი სენაკები-მლევიმები. ზოგი ნაკლებ, ზოგი მეტად  
დანგრეული. რა ერქვა სახელი ამ მონასტრის, არ იციან. დღეს მას  
სამსახიის „ მაღარა“ს ეძახიან.

საერთო შთაბეჭდილება ისეთია, რომ ეს მონასტერი ამ სახით  
უფრო ძველი არაა, ვიდრე ვარძია. შეიძლება ცოტა უფრო ნაგვია-  
ნევიც იყოს, მაგრამ დაბლობით ამ ეპოქის. ბუნებრივად ისმის  
საკითხი: რა იყო მიზეზი მონასტერების აგრე კლდეში გამოკვეთისა-  
სადაური ტრადიცია იყო ეს და რატომ ერთ დროს მინელებული  
(ჩვენში ხომ ქალაქებიც არის კლდეში გამოკეთილი), ეს ტრადიცია  
ძლიერად იჩინს თავს XII ს-ში?

ერთ-ერთი წარწერის ნაშთიდან ჩანს, თითქო ამ მონასტერსაც  
ვანს უწოდებდენ. „ვანი“, ისე როგორც „ვომი“, მეტად გავრცელე-

ბული, ძველი და სიონტერესო ტერმინია. ჯავახეთში (ისე როგორც  
სხვაგან საქართველოში და სომხეთში) ის რამოდენიმეა: ვერებულები  
პანი), ვარევანი, ვანი (სამსარის)...

მონასტრებს სამხრეთის მხრით მდინარე ჩამოველის. ის აქვე სამ-  
სარის მთებიდან გამოდის. არც ამ მდინარეს აქვს სახელი. ვაბუშტი  
მას ბარალეთის წყალს უწოდებს. ვფიქრობთ, უმართებულოდ: ბა-  
რალეთი ამ მდინარის არც გამოსავალშია, არც შესართავში. აյ არც  
ბარალეთის წყალი გაუგონიათ. გადასახლებულმა ჯავახებმა თან  
წილეს ქვეყნის ტოპონიმიეაც. მოსულთ კი იხალი სახელების დარწ-  
მევა ვერ მოუხერხებიათ: როგორც ჩანს, ეს არც თუ აღვილი საქმეა...  
და ამას გრძნობ ყველგან ჯავახეთში...

კარგა ხანს ვეძებე ძველი წარწერები. ვერა ვნახე რა. არსებული  
შევამოწმე:

I. კულესის სამხრეთით ქვა სამი მხრით ჩამოტეხილი. ნუსხურ  
ნარევი ასომთავრულით:

- |   |  |
|---|--|
| 1. ...ას ქა...                          | დაზიანების გამო ამ საინტე-<br>რესო წარწერის არსებითი<br>აღდგენა არ ხერხდება. |
| 2. ...რევა ეს...                        |  |
| 3. ...მან ქუ...                         |  |
| 4. ...ლმან ესე ვანი...                  |  |
| 5. ...რაჭა შიდ დიდისა...                |  |
| 6. ...აგან გუიკისმია] და                |  |
| 7. ...იქსენინ იგი ა...                  |  |
| 8. ...ესა მან განკი[თხვ]-<br>სასა...    |  |
| 9. ...ულა მაშინ დავწერე<br>ო[დეს]       |  |
| 10. ...გ[?] ასეთისა ეკლი-<br>სია.. ა... |  |
| 11. ...ნიოს კელი-ედ-წა                  |  |

II. ერთ-ერთ მღვიმისაგან მოგლეგილ ქვაზე ისეთივე ნუსხურ ნა-  
რევი ასომთავრულით:

- |                     |                      |
|---------------------|----------------------|
| 1. სახელითა ლთისა   | 6. სიად უდეს აღეშენა |
| 2. ჩთა და მეონებითა | 7. მაშინ ესე ადგი    |
| 3. წმიდისა ღმ-      | 8. ლი ტყისაგან არა   |
| 4. რთის მშობლისათა  | 9. ჩნდა              |
| 5. ესე წმიდად ეკლი  |                      |

III. იქვე პატარა ფერადებიანი თალი. შიგ ჯვარი. წარწერის ნაშთი-  
გარდამავალი მთავრულ ნუსხური: წი... კირ...

IV. აქვე წარწერის ნაშთი ოთხ სტრიქონად იმავ ხასიათისა:

- 1... თვა იყ სია...
- 2.... აყვა....
- 3.... თახა...
- 4 (აღარისფერი ირჩევა)

ერთ-ერთ მღვიმეში შესავალთან ნიში. იქვე ჯვრის ქანდაკება. ჯვრის მარჯვნით წარწერა იმავე ხასიათისა: წ' ა კუმა.

წარწერები ყველა ერთი დროისაა: ნუსხურნარეფი ასომთავრული. ამოვევეთილია ულამაზოდ, მაგრამ ეს ნაწილობრივ მაინც შეიძლება ტექნიკური გარემოებით ასრულოს. წარწერები შეიძლება XIII—XIV საუკუნეს ეკუთვნოდეს, მაგრამ არა უადრეს XII საუკუნისა.

საფიქრებელი არაა, რომ აქმდის აქ არაფერი იყო. სახელი „ვანი“ საქმიან საბუთია იმისათვის, რომ აქ უფრო ძელი ფენაც ევძიოთ, ვიდრე წარმოდგენილი XIII—XIV ს. ჩემი ზერელე და ნაჩქარევა დათვალიერება ამ მხრით უნაყოფო აღმოჩნდა... მაგრამ არის კი მოყვანილი წარწერები ამ მონასტრის გამოვევის დროინდელი? მეორე წარწერა თითქო წინააღმდეგს გვათქმრებინებს. ის თითქო იმ დროს იწერება, როცა აქ ტყე აღარაა, მაგრამ ჩერ კოცხალია ხსოვნა, რომ „ეს წმიდად ეკლესია უდეს აღეშენა, ეს ადგილი ტყისაგან არა ნინდა“. თუ არა უტყეობა, ტყის არსებობის პირობებში ასეთი წარწერა სრულიად გაუგებარი და ზედმეტი იქნებოდა. ას რომ წარწერა თითქო ნაგვიანევია და მონასტერი უფრო აღრეა აგებული, მაგრამ, როგორც აღვნიშვნეთ ის, მისი მთავარი ეკლესია მაინც, XII საუკუნეზე აღრინდელი არ უნდა იყოს. მაშინ გამოდის, რომ ტყის მოსპობას აქ ადგილი ჰქონია XIII—XIV ს.ში.

ცნობის მოყვარენი მალე წავიდ-წამვიდნენ. უკვე ბნელოდა, რომ მასპინძლებს დაუბრუნდით. საბჭოს რწმუნებული ახლოსაც არ გაგვეარა, ასე რომ, თუ ჩვენი კომეავშირელების გულთბილი მასპინძლობა არა, უსიამოვნო ღამე გველოდა... დამახასიათებელია, რომ ამ სოფელში არც ერთი ეკრანია არ დაგვისახელეს...

25. VIII. დილა, სოფელი აიძრა. ჩვენც საჩქაროდ წამოსასვლელად მოვემშალეთ. სოფელის ეკლესიის ნანგრევი დავათვალიერეთ. ის საქმიანდ დიღი ყოფილა, თლილი ქვისაგან ნაგები. აქვე სასაფლაო, ცხენები, ერქები. შეძლებული ხალხის სასაფლაო ჩანს...

ცალკე, სამსარის სოფულის განაპიროს — „სურბი“ სახელით „კარმირეორი“. შედარებით ახალი შენობა, შიგ სამი ქვა. ორ მათგანშე პატარა გვრებია გამოქანდაკებული. ერთზე სრულიად არაფერია. სტეფანემ და ვარაზდატმა გამოგვაცილეს... სამსარის დასავლეთით ერთ კილომეტრში სოფელის ნანგრევი ა. სახელი არ იციან. სამსა-

რისა და ლრტილას მამულების საზღვარზე — ვერანა. სოჭხები მათ ვანჭს უშიფრულებენ. ბარალელი ქართველების თქმით კი მისი საზღვარი „მე და რეკი“ ან „ნე და რეკი“. აქ საქმაოდ მოზრდილი უფრო და უძვირესია წარწერა არ აქვს. ეკლესიას გარშემო უვლის დიდი და თითქმის სრულიად დაცული გალავანი. ეზოში გალავანს შიგნით მრავალი სახლის ნანგრევი ჩანს... ასიოდე მეტრის მოშორებით ჩრდილო-დასაუ-ლეთით — პატარა გალავანი. შიგ მოთავსებული ყოფილა „ჭვარი“. დღემდის დაცულია: კვარცხლბეკი ჭვარის ქანდაკებით. კვარცხლბეკში ჩამოსული ყოფილა ქვა. ის გადამტკრეულია... აქვე მოწყობილია პატარა ნიში. კვარცხლბეკის ზომა: სიმაღლე — 0,90 მ, განი ძირში — 0,90, განი წვერში — 0,5.

სამსარიდან ბარალეთზე გამოვიარეთ. უკმელი ვართ. ეკრც აქ ვაშოვთ რაიმე. ხერთვისელ მამადიანს შევნედით. ჭერაშია პყიდვა. ვისაუშეთ: ახალქალაქიდან წამოღებული ხმელი ბური და ჭერამი... ბურნაშეთისაკენ მიყდიდართ, გზაზე ერთი ახალგაზრდა წამოგვეწია და მორიდებით გვეითხა ვინაობა. უგმურად უპასუხეთ: სიცხე, უკ-მელობა, მოღლილობა, თანაც აქ ჩველა, ესაქმება თუ არა, ვინაობას გვეითხება... ჩვენდა სასიამოვნოდ ეს ახალგაზრდა არაჩეცულებრივი აღმოჩნდა. ეს ბუნებით ინტელიგენტი, სწავლას მოწყურებულია ახალგაზრდა გლეხია. ასეთები იშვიათობაა საერთოდ და მით უფრო ჯვანეთის ქართველებში... მას მრავალი უკითხავს. გვაუკირებს მისი ცოდნა სპეციალურ საკითხებშიაც კი... იშვიათი მეხსიერება უჩანს. უმთავრესად ეტანება ისტორიის, არქეოლოგიის, ენას. დასახულებით იცის უველა, ვანც კი ჩვენში დღეს ამ დარგებში მცხოვბს... საკლასო სწავლა მას სრულიად მცირე მიუღია: ოთხწლედი დაუსრულებია 1926 წელს. ეხლა ის 21 წლისაა. წერს ლექსებს, იგროვებს ზღაპრებს და საერთოდ ხალხური სიტყვიერების ნიმუშებს. ცდილობს ურთიერთობა დაიჭიროს თბილისში პოეტებთან... სამწუხარიდ, ას მამით ობილია, ოჯახის უფროსი შვილია და საქმაოდ მოზრდილი ოჯახი კისრად აწევს — დედა, ორი ძმა, ერთი და... „უანაში მიე-დიოდი, ეხლა თქვენ წამოგვეცით ბურნაშეთს. მე იქ არაერთხელ ვყოფილვა დღეობაზე. წარწერა, ვიცი, ეკლესიაზეა. ქველი ასოები ვისწავლე, წაყითხებს შაინც ერ ვახერხებ“ — (ქარაგმებს ვერა ხსნის). ბარალეთიდან ბურნაშეთამდის 8—9 კილომეტრია. გზად ლოშატურ ცხრილი გავიარეთ. ვიორები გოგალაძე — ესაა ჩვენი თანამეგზარის სახელი და გვარი — წყალი გამოატანინა. ის თანაპ-რიდ თავისუფლად ლაპარაკობს ქართულად — სომხურად — თურქუ-ლად.

ბურნაშეთს მისცლისასკენ გოგალაძე საბჭოს რწმუნებულობა  
გაიტა. ჩვენ კი ძევლი ეკლესიის გალავანში დაეჭირთ. ხალხი მინი-  
კრადა სათბი-სამკალში. რწმუნებული არსადაა. გოგალაძემ რწმუნები  
მოხუც მონახა, რომელსაც ეკლესიის გასაღები აქვს. მოყვანა. ე-  
ლებია აქ ჯერ კიდევ კულტს ემსახურება. ის გააღეს. ჩრდილოეთის  
კედელზე წვრილი ასომთავრულით წერია:

1. ქ. სა-ლთა ლ-თა. დ
2. ა შმდგმლთა. წა. გს
3. თა დგწერე მე გრ-ვმ-
4. 5. თქერ. ბრნშნლთა მღ
5. ლთა. მოგც. ყნამ თქრ
6. თანს. ჩმგნ ნსყდი

2. ი. სახელითა ღმრთისამთა ლა  
შუამდგომლობითა წმიდისა  
გიორგისათა დაეგიშერე მე  
გიორგიშან (გორგიმან) თქუ-  
ენ ბურნაშნელთა მოდელ-  
თა, — მოგც ყანამ თქა-  
რთანს (?) ჩემგან ნასყილი.

მესამე სტრიქონში „გიორგიმან“ წაკითხვა ბუნებრივია, რომ  
ჩვეულებრივ გიორგი აგრე ქარაგმდებოდეს (გრგი) და რომ აქვე მეო-  
რე სტრიქონში არ გვქონდეს დაქარაგშებული იგივე სახელი გრ-თა  
(— გიორგისამთა). ამიტომ შეიძლება უფრო სამართლიანი იყოს მე-  
სამე სტრიქონში წაკითხვა გორგიმან. ბროსე აქ გურგენს პკითხუ-  
ლობდა.

მეხუთე სტრიქონში „თქრთანს“ ჩვენ თიქარის ანალოგიით  
კვითხულობთ, რაც, ჩა თქმა უნდა, მხოლოდ შესაძლებლობაა. საინ-  
ტერესო მეოთხე სტრიქონის „ბრნშნლთა“. ეს, უკველია, იყოთხება:  
ბურნაშნელთა. აქედან ცხადია, ამ სოფლის სახელი ყოფილა  
არა ბურნაშეთი, როგორც ქართველები უწოდებენ, ან გურნაშეთი,  
როგორც ბურნაშნელი სომხები ეძახიან დღეს, არამედ ბურნა-  
შენი.

დასასრულ, ტერმინი ყანა. აქ, საფიქრებელია, ეს ტერმინი ნათ-  
მარია მიწის მნიშვნელობით, რაც ძველი მოვლენის ვადმონაშ-  
თია და ამდენადეკ საინტერესო. ხოლო, თუ აქ მაინცა და მაინც ნა-  
თესი კირნაშული იგულისხმება (რაც ჩვენ გვეცვები: ასეთი ჩქარა  
გარდამავალი შინაარსის აქტი, საეჭვოა, ეკლესიის ყდლის წარწერის  
საფარი ცეკვულიყო), არც ესაა ინტერესს მოკლებული ეკონომიური  
თვითმმართვისით...

წარწერა საინტერესოა როგორც დიპლომატიკური დოკუმენტიც:  
ის „დაწერილის“ ერთ-ერთი სახეა. მი ძეგლში მეტად საინტე-  
რესოდ არის ნახმარი სიტყვა „დაგიწერე“: მას არ ანლავს სხვა  
საბუთებით მოსალოდნელი „და მოგც“ ან „შემოგწირე“ და სხვ.  
აქ „დაგიწერე“-ში უკვე იგულისხმება იურიდიული აქტი გადაცე-

მისა. რაც შეეხება ასეთი აქტის ტექნიკურ შესრულებას ეს გორც ჩამს, შეიძლება „დაწერილში“ სრულიად არ შედევზე დაწერა რომ ამ საბუთოთ „დაწერილი“-ს ისტორიულ გაგებას უფლებარიყოფა დით: „დაწერა“ — ესაა გადაცემის (მიყიდვის, ბოძების, შეწირვის) იურიდიული აქტის აღმნიშვნელი ტერმინი. „დაწერილი“ — ესაა ასეთი აქტის შემცველი წერილობითი საბუთი.

ამ ტერმინის ასეთ გაგებას მხარს უჭირენ ძევლი ქართული საბუთებიც... სამწუხაროდ, ძევლი უთარილოა. წარწერა პალეოგრაფიულად თითქო დიდ სიძველეს არ ამჟღავნებს. ის შეიძლება XII—XIII საუკუნისა იყოს.

გარედან აღმოსავლეთის კედელზე სარქმელს ზემოდან ბარელიეფი: დანიელ ლომთა ორმოში, ზემოდან ასომთავრულით:

1. ო-ო ე-ა იქსენ დანიელ პირი
2. საგან ლომთაისა ეგრ
3. ერქსნენ ამის წ-ა ეკლესი
4. სა მაშენებელი კელთგან
5. ჯგათისათა

- ე. ი. უფალო კითარცა იქსენ დანიელ პირისაგან ლომთაისა ეგრე იქსნენ ამის წმიდისა ეკლესისა მაშენებელი კელთგან ჯოჯოხეთისათა.

ეს წარწერა, რა თქმა უნდა, უფრო ძევლია, კიდრე შიგნითი, მაგრამ მეორე სტრიქონში „ლომთაისა“-ს ი-ნი და არა ე-ორი ამნელებს ამ წარწერის მიყუთვნებას XI—XII საუკუნის აღრინდელ ხანისას მი. ამას მხარს უჭირს ე-ნის, კ-ინის და ნ-არის მოხაზულობანიც.

ბურნაშენის ეკლესია დიდია, მდიდრულად ნაშენი. წითელქედარევი, ეს ქა სამსარიდან შეიძლება იყოს. ის თურქე აზლად მოტეხილი ადგილად სათლელია. შემდეგ კი მაგრდება...

სანამ ემუშაობთ, მოხუცი ქალები მოგროვდნენ... აკვირვებთ როგორ კითხულობთ. უკვირთ რომ წარწერა ქართულია.

სასაფლაო აქვე ყოფილა ეკლესის ეზოში: ისიც ჩვეულებრივი გავახური სასაფლაოა: ცხენები, კერძები, ხამი ქვები...

აზავრეთისაცენ ვიჩქარით. გოგალაძე გვეთხვება. ჩვენ ვპირდებით რომ მასთან წერილობით ურთიერთობას დავიკერთ. ვაძლევთ დავალებებს.

ბურნაშენშივე სოფლის განაპიროს წისქეილის რეს პირზე დგას „ჯვარი“, ჯვარი გავზომე: სიგრძე — 1,92 მ., განი ძირში — 0,56 მ., განი წვერში — 0,44 მ., მხრები თითოეული — 0,08 მ.

აზავრეთი მაღალი მთის სოფელია. სოფლის მეტრიკულის დაჩვარან (აზავერი) წარმოშობილი მისი სახელი საინტერესოა... აზავრეთი ჯვარეთის სხვა სოფლებიდან შესამჩნევად განსხვავდება: აქ

სახლებს კეთი გალავნები აქვთ შემოვლებული, ასე რომ თითოეულ  
მათგანი ციხეს მოვაგონებს...

სამწუხაროა, რომ დრო არა გვაქვს აქ დაცრჩეთ. მოგვარეობის  
კიდევ უფრო გვაჩქარებს...

ეკლესიის გალავანში დაფისვენეთ.

ეკლესია აქაც მოქმედი კულტის შენობად ჩანს დღესაც. შენობა  
ისეთივე ტიპისაა, როგორც ბურნაშენი. ცალნავიანი, დიდი, თლილ,  
ქვისაგან, ლამაზი ეკვდრით. გარედან წარწერა არ შერჩენია. ეკვდრის  
სარქმლიდან შიგნით შევედი და ჩრდილოეთის კედელზე მოთავსე-  
ბულ წარწერის ნაშთი გადავიდე.

წარწერა ქელის მიხედვით საყმაოდ ძველია. სამწუხაროდ, ის  
ნაწილობრივ არის გადარჩენილი. ასომთავრულით:

ორ თად  
? ა მს?  
შეე

ე. ი. უფალო, თეოდ (ორე?)...  
მამას(?)...  
შეეწიე.

ეკლესიიდან გამოვჭერი და უმაღ გოეიისაკენ წავედით:  
ჩვენი გეგმით ღამე იქ უნდა გავატაროთ, რომ ორ დღეში დავასრუ-  
ლოთ მოგზაურობა.

გ ვ კ ი ა 1918 წლამდის თერქელი სოფელი იყო. აქ ყარაფაფა-  
ხები ცხოვრობდნენ. 1918 წელში აყრილან ისინი. მათგან მხოლოდ  
ოთხი კომილია დარჩენილა. წასულო ადგილი დაუჭერიათ სომხებს,  
ქართველებს, ისებს, ბერძნებს. ქართველები სამცხიდან მოსულან.  
ანდრიაშვილიდან, ხიზაბავრიდან, არიან ჯავახეთის გოგაშინიდანაც...  
ოსები ვერ შეწყობიან „გლეხობას“ (ე. ი. მიწის მუშაობას) და წა-  
სულან. მათგან სულ ორი სამილდე კომილი დარჩა, აქამდის დარჩენილი  
თერქებიც არა დგებიან... სოფლის საერთო სალაპარაკო ენა თერ-  
ქელია. ასე იყო აქამდის. დღეს სომხური ლამობს მისი ადგილი და-  
იკიროს...

ჩვენ კოლმეურნეობის კანცელარიის მიეადექით. საღამო რჩოა.  
გლეხები დამსხდარან, საუბრობენ: თერქელს ქართული, ქართულს  
სომხური სცვლის. ეს სამი ენა აქ თითქმის ყველამ იცის... კოლ-  
მეურნეობის თავმჯდომარე აქ ბარალელი გვარამაძეა. ის ენერგიუ-  
ლი ახალგაზრდა კაცია.

მოსაცლის შიზებით უთხარით. განკარგულება გასცა და ჩვენი კულტურის მა ყმიწვილმა წაგვიყვანა. ზაქარია ტაბატაძისას აღმოვჩინდოთ მეტად კულტურული ლიანი ოჯახი. სამი ძმა გაუყრელი. ოჯახში 17 სუმშეულებული მეურნეობის წევრია. თუმცა ზაქარია ტაბატაძე სულ ათი წელია რაც ჯავახეთის მკვიდრია, მაგრამ ამ ახლო-მახლო ვერანაგების სახელები საქმოდ იცის. მისი ცნობით: ახალქალაქ-ბაკურიანის გზის მარცხნით, ბურნაშენიდან სამ ვერსში ვერანა ჭერ უ ლა; კოთელი-იდან დასავლეთით — მურ ჭი; გოკის ჩრდილოეთით: კალ თ უ-ბანი, ჭობარეთი, თეთრი ბი, გოკიაჩაი(?) ; გოკიდან აღმოსავლეთით 1/2 ვერსში — ზიარეთი; დასავლეთით ორ ვერსში — თ ლ დ ა ნ; აღსატანის ახლოს: ორთა ხარაპა, დევათი, კარ დის-ციხე. ვარგავის სამხრეთით — თ დის ე ბი.

დღეს ღადო — ბურნაშეთ — აზევრეთ — გოკია უკიდურესი ჩრდილოეთის საფლებია ჯავახეთში. ექცან ალპური საძოვრები და ტყიანი შთები იწყება, რომელიც ძველ ყვიბის ჯავახეთისაგან ჰყოფენ. ძველად, როგორც ჩანს, ასეთი უკაცრიელი ზოლი ჯავახეთსა და ყვიბის შორის არც ყოფილა. შთელი ეს მანძილი დასახლებული ყოფილა. გადარჩენილი ნასოფლარები, უკლესიები, ციხეები — ამას მოწმობენ. აუცილებელია მათი მოვლა. ადგილმდებარეობის, სახელების დადგნა, მოსალოდნელია საინტერესო ძეგლების აღმოჩენა. მოლლილობა-უდროობისა და მოუწყობლობის გამო იძულებული ვართ ეს საინტერესო საქმე შემდეგისათვის გადავდოთ.

გოკია ვახუშტით ქალაქი იყო (გეოგრაფია, 217) და მოსახლეობაზე აქ „მესხნი, სომეხნი, ურიანი ვაკერნი“.

როდის მოხდა გოკის დაცლა ამ ძველი მოსახლეობიდან და მისი ყარაფა ჯავახებით დასახლება, არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში, გოკის, როგორც ქალაქის გაქრობა ამ გარემოების არ მიეწერება.

გოკია, ჩანს, იმავე ტიპის ქალაქი იყო, რაც ბარალეთი, ე. ი. დაბა-ქალაქი, რომელიც, გარკეეულ პირობებში ბუნებრივადე იქცა სოფლად. მისი მოსახლეობის სახე ამ მოვლენის გამო იმ მხრით, საფიქრებელია, უნდა შეცელილიყო, რომ ებრაული მოსახლეობა თანდათან დასტურებდა მას.

თვალსაჩინო რაიმე სიძეელეები გოკიაში არ გადარჩენილა. მოჩანს რამოდენიმე ეკლესიის ნანგრევი, უკუთ, მხოლოდ საფუძვლები. მეტად მდიდარი სასაფლაოები ამხელენ მოსახლეობის ვინაობას და ქალაქის იყვავებულობას. წარწერები არ შენახულა. ერთადეგროთი საფლავის ქვა — ვერდი, ზურგზე გადაშლილი წიგნი რალაც წარ-

წერით (თუ წარწერის იმიტაციით?). ის თითქო მხედრულია. ეს გავარჩიო.

შიუხედავად მიწისზედა ნაშთების სიღარიბისა, გორეულობისა და ლოგიურად საინტერესო ადგილი მეჩვენება. აქ შესაძლებელია უფრო ძველი ფენაც, ვიდრე ფეოდალური „საშუალსაუკუნეები“. მაგრამ ის საინტერესოა, როგორც საშუალსაუკუნეების ქალაქიც.

ზაქარას ოჯახი მეტად გულთბილად დაგვიხვდა.

დილაადრიან წასასვლელად მოვემზადეთ. მასპინძელს სურათის გადალება შეეთავიზეთ. ქალებსა და ბავშვებს დღესასწაული შეექმნათ. არეული დარი დგას და შეის ყურს უცდით. ზაქარას ოჯახი ეკამდების. მაგრამ კოლექტივის წევრებს ავითნდებათ. ბრიგადირი პოლოსა ქუს: „ვისაც ჭამა არ გინდათ, ნუ გამოხვალთ“. გულდაწყვეტილნი მიდიან...

„გეყურბანე, ყოლა კარგი, მაგრამ ემ ბლარტებისა ვერა ვავაწყეთ რა! სამთავ მიდიან (ლაპარაკი აქვს სამ რადალზე) და სამ ძუძუმწოვარს მე მიტოვებენ მარტოხელს“ — ჩივის ზაქარას დედა... „დიახ, ჯერ ვერა ვართ მოწყობილი“... ბოდიშს პხდის ზაქარა კოლექტივს, რომ ბაგა არა აქვთ...

შე გამოვიდა და ზაქარას პატარაებს სურათები გადაულეთ... ქალებიც მოვიდნენ. ათი წუთით შეებულება აელოთ...

ალასტანისკენ წავედით. ზაქარამ კარგა მანძილზე გაგვაცილას კოლმეურნეობის დურგალია და მორიგი ყანის მუშაობისაგან თავისუფალია. თავის სახლის ახლოს ზაქარას საუცხოვო ბოსტანი მოუშენებია. „ჩვენ მოსვლამდის აქ ბოსტანი აჩავის პქონია. არც ეხლა მისდევენ. ბოსტნეულის თხოვნა კი ეხერხებათ... რომ გაირჩებოდენ, უკელვან იხარებდა...“

26. VIII. ალასტანი ბარის სოფელია. ის მოზრდილი, შედარებით კეთილმოწყობილი სათემო ცენტრია. დასახლებულია სომეხ კათოლიკებით.

სამწუხაროდ, სიძველეთაგან აქ ერთადერთი სანახევროდ დანგრეული ეკლესიის გარდა არა ჩანს რა... რა თქმა უნდა, ალასტანი შეოლოდ მის ამირა არ იქნებოდა. ალასტანის ძევლი ეკლესია თლილი ქვისაგანაა. საკმაოდ დიდი. არც სახურავი, არც გუმბათი. გაღარჩენილია მხოლოდ კედლები სარტყლამდის.

აღმოსავლეთის მხრიდან ხუთ სხვადასხვა ქვაზე პქონია წარწერები. როგორც ჩანს, ყველანი ერთი დროისა. მითვან სამი განზრის ამოთლილია და აღმა იქითხება. ორი წარწერა ისაა როსტომიშვილისაც რომ დახვედრია. ჩანს, წარწერები მის აქ ყოფნამდის ამოუ-

ლითა. ჩეენამდის მოლწეული წარწერები პომითავრულ შემდეგ სუს წარმოაღვენს. აქ განსაკუთრებით საინტერესოა ე-ნის მოხულობა, რომელიც შესაძლოა, ქველი ტრადიცია იყოს უწინვეტ შესრულებული წარწერა დიდ სიძეველეს ვერ დაიჩინებოს. ის შეიძლება აზრი დაუკავშირდეს.

I. სარკმლის ზემოთ სამი წრე ჯვრებით. მარცხენა წრის ქვაზე (წრის გარეთ):

ესე მე რო  
შელმან  
დავდე  
ქვამ.

ე. ი. ესე მე რო-  
შელმან  
დავდე ქვამ.

აქ „როშელმან“-ის მაგივრად შეიძლება იყითხებოდეს ოშებმან: შეიძლება რ-აე სულ არ იყოს, არამედ სამებილიანი ო-ნი. წარწერა მაღალზეა, ნახატი მკრთალია... ორ დანარჩენ წრე-ქვაზე წარწერები ათლილია.

II. სარკმლიდან მარჯვნით მაღლა ცალკე ქვაზე:

1. ესე მე ღრმ დასა  
2. საოლისძემ (?)

ე. ი. ესე მე დაჩიმ  
საოლისძემ (?)

ბროსესი და როსტომაშვილის წავითხვა: „ესე მე დავდე... ისაულისძემ“ იმ ადგილში მაინც მიუღებელია საღაც ისინი კითხულობენ „დავდე“ ამის მაგივრად აქ უნდა იყითხებოდეს დაჩიმ (-„დჩიმ“).

ალასტანიდან ვარევანს წავედით. ვხედავ მოლლილობის გამო გამოკითხვა-გამოძიების ენერგია აღარა მაქსი. დილა და ვეიხარია, რომ სოფელში მისვლისას არ დაგვჭირდება ხელისუფლებისაღმი დახმარების თხოვნა... ვხედავ ზოგ ადგილებში კვლავ დამჭირდება მოსვლა უფრო შეიარაღებული და ახალი ენერგიით.

ვარ ევანი ალასტანიდან ოხი ვერსის მოშორებით ძევს სამხრეთ-დასავლეთით. ეს სოფელი, ისე როგორც გოკია, ნარევი მოსახლეობისაა: სომხები, ქართველები, ბერძნები, თურქები.

ვარევანში წარწერა მაინტერესებს. როსტომაშვილით ის ეკლესის ეზოში ძევსა, მოვიარეთ. ვერაფერი ვნახეთ. სოფლის აწმუნებული აუცილებელია. ვიკითხეთ. სამეალში წასული აღმოჩნდა. ისევ კოლმეურნეობას მივმართეთ. „ქანცელარიაში“ შევედით. თავმჯდომარე ხაჩია სიმბატიური გლეხი აღმოჩნდა. ჩემი მოწმობები უჩვენედა მიზნებიც განუმარტე. ხაჩია კოლმეურნეობას მოანგარიშეს დაეკითხა. კოლმეურნეობათა ეს მოანგარიშენი აწინდელ სოფლის ნამდვილი „ვინტებია“. სამწუხაოოდ, ხშირად ისინი „ძველი“ ხალხია —

ოკამში, გოკიაში, ვარევანში — საეჭვო წარსულით და ბავშვობის მისწრაფებით... თავმჯდომარები — ალალი პარტიული ბიჭები ჩანა და ამიტომაც ესენი აღვილად შეიძლება მოპყვენენ ამ მდგრადი გარიშეთა გაელენის ქვეშ...).

მთანგარიშემ თავი გადააქნია და წარწერიანი ქვის არსებობა უარყო. „ამან ყველაფერი იცის აქ, ჩანს არ ყოფილა“ — გადაეცი-ყვიტა ხაჩიქმა. იმეტი არ დავიწყვიტე და ძველ სასაფლაოს ჩვენება ეთხოვე.

ხაჩიქი ხალისით წამოვიდა. გზაში ასეთ ქვებზე საუბარი გაუბი, მათი მნიშვნელობა აუხსენი. „ძველი სასაფლაო მოშლილია, ის, ამ-ბობენ, აქ იყოვ“ და ქოხებზე მიმითოთა, ახალ სასაფლაოს ნახავთ?

მე ვიცოდი, რომ ძველ სასაფლაოდან ხშირად მოაქვთ ხოლმე გა-თლილი ქვები და ახალ მიცვალებულებს ამჟობენ; ამიტომ ჩვეულე-ბად გაეიხიადე ახალი სასაფლაოების დათვალიერებაც, წავედით. ჩემ ხალისი ხაჩიქისაც გადაედო: მან მოიგონა: „აქ ძველ სასაფლაოს ად-გილზე ერთი წითელი ქვა იყო. წარწერა პქონდა. ვერავინ კითხულო-ბდა. შემდეგ ის გლეხმა თავის სახლს შუბლის ქვად დაუდო“... იმ გლეხისას წავედით. ვერაფერი ვნახეთ. მიიკითხ-მოიკითხა. ხალხი მოგროვდა. ზოგიერთმა დაადასტურა ხაჩიქის ცნობა, მაგრამ აღნიშ-ნავდნენ, რომ ეს იყო მრავალი წლის წინ და ის ქვა იდვა არა აქ, სადაც ხაჩიქი უჩვენებდა, არამედ წყლის პირს. ზოგი კი საცემით უარყოფდა რამე ასეთი ქვების არსებობას საერთოდ ვარევანში...

მე ასეთი არეული ცნობების კარგი გამოცდილი ვიყავ. ჩანდა, რომ აქ არის, რასაც ვეძებთ, მაგრამ საჭიროა ძებნა გულდასშით და ხანგრძლივ. ის გლეხი, რომელმაც „წითელი ქვა“ თავის სახლზე გაი-ხმარა, შინ არ აღმოჩნდა. ხაჩიქი, ცოტა არ იყოს შერტხვა და ხან ერთს ეკითხება „ქარმწერ ჭავა“-ის (ე. ი. წითელი ქვის) შესახებ. ხან მეორეს, თანაც ემუქრება: ხომ ხედავთ „პლანში“ ქონიათ, მისი დაკარგვა არ შეიძლება...

ახალი სასაფლაოსენ წავედით. ის მოთავსებულია ახალი ეკლე-სიის გალავანში. ეკლესია საქმაოდ დიდია. მის აღვილას აქ ძველი პა-ტარი ეკლესია მდგარა. ამ ორმოციოდე წლის წინ ის დაუშლიათ და მასალა ამ ახალზედ მოუხმარიათ.

ხაჩიქი, ისე როგორც ყველა წერავითხეის უცოდინარი, ჩუქურთ-მას ან სხვა სამეაულს „წარწერას“ უწოდებს. მან არაერთი ასეთი ქვა მიჩვენა და, როცა გივო ჩემგან, რომ ესენი წარწერიანი არ არი-ან, თავის „ქარმწერ ჭავა“-ის წარწერიანობაშიაც შეეცვდა.

ბოლოს მან ერთი სასაფლაოც გვაჩვენა და უიმედოთ შემოგვიახ  
იმის მოლოდინში, რომ მის ამ „წარწერასაც“ უარყოფილი მქონე გვა  
ჩვეულებრივ მატურის კვარცხლბეჭად დადებული ქვა-გეგმის მიზანი

თვით მატური უწარწერა და ახალი: მისი გაკეთება მრავალს აბ-  
სოცეს. ეს არის ორი ერთმეორებულ მდგარი თოხუოთი პრიზმა, რო-  
მელსაც ასრულებს გუმბათი ჯვრით. დგას ის ორ ერთი მეორეს პა-  
რალელურად მდებარე ქვაზე. ერთი ამათვანი არის ჩვენთვის საინ-  
ტერესო ქვა.

მასშე ერთ „სტრიქონად“ მართლაც რაღაც უპნეური „წარწე-  
რა“ ჩანს (რა თქმა უნდა ჩვენ აქ ამ ტერმინებს „სტრიქონი“, „წარ-  
წერა“ პირობითად ეხმარობთ).

ქვის ზომა: სივრცე — 118 სანტ., განი — 44 სანტ. სისქის გაზომ-  
ვა ეკრ მოვახერხე: ის ღრმად ზის მიწაში (და პატრონიანი საფლავის-  
„შეწუხება“ ადვილი არა).

„წარწერა“ ქვის ზედა პირის შეაზედაა მოთავსებული და აშია  
შემოვლებულია მობურცულ თოხუოთხედით. ამ ჩარჩოს სიგრძეა 106 სანტ., სიგანე — 17 სანტ. ქვა გავსინქვე: ის ჩვეულებრივი საშენი  
ქვაა. არც რბილი, მაგრამ არც „კულყანური“. ვიყითხე ამ ქვის ჭიშის  
შესახებ. ერთმა სამოცდარვა წლის მოხუცმა, მიყირტიჩ იპანის ძე-  
ულიანშა, რომელიც სპეციალურად მოაყვანინა ხარისხი ჩემის თხოვ-  
ნით, როგორც ხარაბაების მცოდნე, აღნიშნა, რომ ეს ქვა ვარევნუ-  
ლი არაა; რომ ასეთი ჭიშის ქვა ხარაბა ცხიაშია (ცხია ვარევნიდან სამ-  
ხრეთით ძეგს სამ კილომეტრში), თვით ეს ქვაც მისი აზრით ცხიას  
სასაფლაოდან უნდა იყოს მოტანილი: მას ეს ქვა ძველი ეკლესიის  
დადელში ახსოეს. შემდეგ, როცა ის ეკლესია დაიშალა და მის ად-  
გილშე ახალი ააგეს, ეს ქვა აღარ გამოუყენებიათ. ის უქმად ეგდო  
და ამ საფლავის ჭირისუფალმა მატურის დასაღმელ ქვად გამოი-  
ყენა.

ულიანის მონათხრობი ნაწილობრივ შეიძლება მართლი იყოს.  
შეიძლება ეს ქვა მართლაც ცხიადან (არა მაინცდამაინც ცხიას სასაფ-  
ლაოდან) იყოს მოტანილი. რომ ის ვარევნული არაა, ამის სხვებიც  
ადასტურებენ. მაგრამ საექვოა, რომ ის ვარევნის ძველ ეკლესიის კე-  
დელში ყოფილიყოს შეშენებული: მოსალოდნელი იყო, რომ რაიმე  
ამის კვალი დარჩებოდა მასზედ, და მეორეც: რატომ აზ გამოიყენეს  
ის ახალი ეკლესიის შენებისას?

მაგრამ დავიწყოთ თავიდან: შეიძლება თუ არა, რომ ეს ქვა ამ  
საფლავის სამკაულად იყოს დამზადებული?

გარდა იმისა, რომ ასეთი სამკაული ყოვლად უცნაური ჩამა, ამას უარყოფს ყველა აქ დამსწრე. ასეთი ვარაული, ყველაფერს უართა იმითაც გამორიცხულია, რომ ამ ქვებს ასეთივე „წარწერა“ უკიდურეს მოეპოვება და სისქით კი ის, როგორც კვარცხლივები, თვიდაზე მარტინი ჩაფლული და სამკაულის დანიშნულებას არას გზით არ ამრითლებს... დაბოლოს, მატურთან შედარებით ეს ქვა მეტად „ძველად გათლილობის შთაბეჭდილებას სტოვებს.“

თუ ამ მატურის პატრონის არა, ის ხომ არ არის შესაძლებელი, რომ ეს ქვა XIX საუკუნეში ვინმე ქვისმთლელის ნაოცნებევა იყოს?

ჩვენ ესეც გამორიცხულად მიგვაჩნია. პირველ ყოვლისა მისი პატრონი აქ არავის გაუკონია.

ზედა სიბრტყის „წარწერა“ ათი „ჯგუფისაგან“ შედგება. თითოეული ჯგუფი მობურცული ხაზებისა და მობურცული „ლურსმების“ კომბინაციას წარმოადგენს.

პირველი ჯგუფი მობურცულ ხაზებისაგან შემღვარი კვადრატია;

შეორე ჯგუფი, ისე როგორც ყველა შემღვმი, გარდა მეათესი, ორ ვერტიკალურ ხაზს შორის არის მოქეცელი. ის შედგება: ვერტიკალური მობურცული ხაზი აშიიდან აშიამდის, მობურცული ვერტიკალური „ლურსმანი“ ზემო აშიიდან ქვემო აშიამდის, „ლურსმანი“ ასევე ვერტიკალური პირველის პირშემცვით, ე. ი. ქვემო აშიიდან ზემო აშიამდის. აშიიდან აშიამდის მიყვანილი მეორე ვერტიკალური, მობურცული ხაზი ასრულებს ამ ჯგუფს.

შესამე ჯგუფის წინა ვერტიკალია იგივე მეორე ჯგუფის უკანასკნელი ვერტიკალი. მას მიპყვება „ლურსმანი“, რომელიც შეორე ჯგუფის „ლურსმების“ მსგავსად აშიიდან აშიას კი არა სწოდება, არამედ ზემო აშიიდან წამოსული მანძილის შუამდის აღწევს. ქვემო აშიიდან მის პირდაპირ ამავე ზომის „ლურსმანი“ გამოკვეთილია. შემღვმი ვერტიკალური ხაზი ასრულებს მესამე ჯგუფს და იშვებს მეოთხე ჯგუფს.

შეოთხე ჯგუფის „შინაარსს“ წარმოადგენს: ეს ვერტიკალური ხაზი, ზემო აშიიდან ქვემო აშიამდის გაყვანილი მობურცული ირიბი ხაზი, ცალი „ლურსმანი“ ქვემო აშიიდან ზემოთ ვერტიკალურად აშვერილი, რომელიც მანძილის შუამდის აღწევს; შემღევი ვერტიკალური ხაზით მთავრდება მეოთხე და იშვება შემღვმის ჰილუ.

მეხუთე ჯგუფი წარმოადგენს ორ სასაზღვრო უერტიკალურ ხაზს შორის მოთავსებულ ოთხ თანასწორს, უზრიესობისას პარალელურ, პორიზონტალურ, ამობურცულ ხაზებს. ურკილური

მეექვსე ჯგუფი: სასაზღვრო ვერტიკალური და ჰიპო მათ შორის მოქმედული ცალი ვერტიკალური ამობურცული ხაზი აში-იდან აშიამდის.

მეშვიდე ჯგუფი: სასაზღვრო ვერტიკალური ხაზები და მათ შორის ირიბად გაყვანილი ამობურცული ხაზი ზემო აშიიდან ქვემომდე.

მერვე ჯგუფი: სასაზღვრო ვერტიკალური და ორი ლერს-მანი, „ლურსმები“ მიშვერილი არიან ერთი ვერტიკალიდან მეორე ვერტიკალისაკენ და სწლებინან უკანასკნელს წვერებით. „ლურსმები“ ურთიერთის პარალელურია არ მიმართებიან. თავებთ დაშორებული, წვერებით ისინი ერთიმეორეს ისე უახლოვდებიან რომ თითქმის კუთხესა ქმნიან.

მეცხრე ჯგუფი: დაზიანებულია. აქ თითქო ორ ვერტიკალურ ხაზს შორის მოთავსებული ცალი „ლურსმანი“ ქვემოდან ზემო აშიამდის აშვერილი და ორი ირიბი ხაზი უნდა ყოფილოყო წარმოდგნილი.

მეათე ჯგუფი პგავს პირველს და განსხვავდება ყველა დანარჩენისაგან მით, რომ ის ორ ვერტიკალს შორის მოთავსებული არაა. თუ პირველს აკლია ვერტიკალი მარცხნით — მის მაგივრობის აქ აშია უწევა — უკანასკნელს აკლია მარჯვენა ვერტიკალი. აქაც აშია, უნდა ვითიქროთ, ნაგულისხმევია საქმით საზღვრად. აი ამ გარემოებიდან გმოვდივართ, როცა ყველა ამ ვერტიკალურ ხაზებს ჯგუფებს შორის სასაზღვრო ხაზებს უწოდებთ. მეათე ჯგუფის „შინაარსი“ ისეთივე ორი „ლურსმანი“, როგორც მერვე ჯგუფისა, მხოლოდ მათი მიმართულება აქ პირველის საწინააღმდეგოა: აშიას ებჯინებიან და წვერებით ვერტიკალს აღწევენ. ეხლა, თუ ვერტიკალურ ხაზებს მხოლოდ საზღვრებად მიერებთ, ჯგუფების „შინაარსი“ შემდეგი იქნება:

I — კვადრატი

II — ორი პირშექცეული „ლურსმანი“ აშიიდან აშიამდის

III — ორი პირშექცეული „ლურსმანი“ აშიებიდან შუა მანძილამდის

IV — ორიბი ხაზი აშიიდან აშიამდის და ვერტიკალური „ლურსმანი“ ქვემო აშიიდან აშვერილი შუა მანძილამდის

V — ოთხი პორიზონტალური ხაზი ვერტიკალებს შორის

VI — ვერტიკალური ხაზი ზემო აშიიდან ქვემომდის

VII — ირიბი ხაზი აშიიდან აშიამდის

VIII — ორი ლურსმანი ვერტიკალებს შორის, მარცხნილა ჭირ-  
კვინისაკენ ცირკულაცია

IX — „ლურსმანი“ ირიბად აშვერილი ქვემო აშიიდაზ ჭირკვინისა  
აშიის და ორი ირიბი ხაზი (?)

X — ორი „ლურსმანი“ აშიიდან ვერტიკალზე მარჯვნიდან მარცხ-  
ნით. როგორც აღვნიშვნეთ, „წარწერა“ ზედა სიბრტყის გარდა ამ  
ძვის დასავლეთ გვერდის სიბრტყეზეც მოიპოვება: მოჩანს რაღაც  
გვუფის დასაწყისი. სამწუხაროდ, ქვა მიწაშია ჩაფლული და მარც-  
რის მოუშლელად მისი ამოღება შეუძლებელია. ასეთია ამ „წარწე-  
რას“ ხასიათი (იხ. სურ. 1).

ამის შემდეგ ზემოთ დასმულ კითხვაზე: ხომ არ შეიძლება რომ  
ეს „წარწერა“ კი არა, ვინმე ქვის მთლელის ნოკენებელი იყოს —  
ჩენ შეგვიძლია უფრო დამაჯერებელი უარით უპასუხოთ.

ეს სხვადასხვა გვუფები და თოთოეულ მათგანის ყველა დანარჩენ-  
თაგან ვანსხვავებულობა ბუნებრივად უარყოფს ასეთ რამეს და  
ქმნის შთაბეჭდილებას, რომ ჩვენ საქმე გვაქვს ნიშანთა კომბინა-  
ციის გარკვეულ წესთან. და ეს კი „წერაა“ არა მხოლოდ იმ ფართე  
გავებით, როგორც წერა-კითხვის უცოდინარი ხმარობენ ხოლმე ამ  
ცნებას, არამედ მისი უფრო ვიწრო გავებითაც (დამახასიათებელია,  
რომ წერა-კითხვის უცოდინარს ჩვეულებრივ ყოველგვარი ნახაზი თუ  
ნახატი წერად წარმოუდგენია, გარკვეულ კანონზომიერების დაც-  
ვით ეს შართლაც „წერაა“ უკანასკნელის ფართე გავებით. ეს მოვ-  
ლენა ფრიად საინტერესოა საერთოდ წერის წარმოშობის საყითხოთან  
დაყავშირებით...).

შეიძლება დაშვეთ, რომ აქ რაიმე იმიტაციასთან, ტერატორი-  
თან გვერნდეს საქმე? ძნელი დასაშვებია, თუმცა გამორჩეული ასე-  
თი ამ არ არის. მაგრამ ასეთ დაშვებისას ის უცილებლად ნაგული-  
სხმევი რჩება, რომ ასეთ იმიტაციის პირველი „დედანი“ იჩნამენტი  
რამებ კი არა, არამედ გარკვეული შინაარსის ნიშნებია — „წარწე-  
რაა“. მაგრამ ეს „წარწერა“ არ გავს „ხეთურს“, „ლურსმულს“ ან  
„ხატოვანს“ ეგვიპტურს. ეს გარემოება, ბუნებრივია, სამართლიანად  
დაიწვევებს ადამიანს. მიუხედავად ამისა, ჩვენ უფლება არა გვაქვს  
ხელალებით უარყოთ ის იმიტომ. რომ ჩვენ ასეთი რამ დამწერლობა  
არ ვიცით...

მაგრამ შეიძლება აქ მისტიფიკაციას პქონდეს ჩემის მხრით ადგი-  
ლი? სანამ ეს ქვა ამოღებულ-გათავისუფლებული არაა, სანამ არ იქ-  
ნება საშუალება გულდასმით და ხანგრძლივად ჩაუკვირდეს. ადამია-  
ნი მას, მოიხილოს და შეისწავლოს გარშემო ადგილები. ზედმიწევ-

ნით გამოიყითხოს უოველივე ამ ქვის შესახებ, მანამდის, ამ თუ უნდა, ერთსაათიანი დავეირვებით და უხეირთ ფოტოგრაფიული პირით თავისი თავისადმი ურყევი ნდობა უადგილო გაბჭურებული შეიძლება აღმოჩნდეს.

შე ვიცოდი, რომ ჩილდირის ტბის მიღამოებში ნამოვნია ურარტული წარწერა. ეს იგივე ძველი ჯავახეთია. ჩემი ამ მოგზაურობისას ეს აზრი არც ერთხელ აზ მტოვებდა. სისაფლით, მღვიმე, „კვარი“ — ვიცოდი აქ უნდა მემა უძველესი ნაშებია. ვწუბდი, რომ არა მცოდნა საშუალება ყველა ასეთი აღვილები ზედმიწევნით დამტოვალიერებია. ჯავახეთის შესწავლა ამ მხრით უნდა მოხდეს და ააც შეიძლება სასწრავოდ, რადგან ასეთი ძეგლები განადგურებს კერ გადაურჩებიან სულ მოკლე დროში. და ჯავახეთშია სწორედ მოსალოდნელი უძველესი ნაშების პოვნა არტაან — ჩილდირ — თრიალეთთან ერთად...

ქვა გადავხატე, გადავიდე, ჩემ თანამგზაურ სერგოს მოსწყენია კოლმეურნეობის კანცელარიაში ჭდომა და მოვიდა. ფიქრს მიმიხვდა და ეწვიანად გაიღომა.

თითქმის ნახევარი სოფელი მოვროვდა. ვეკითხები, ვისია შატური. არავინ მიპასუხებს. ხაჩიყიც კი უარს ამბობს და მოხუცებულებზე მიმითითებს. ისინიც უარს ამბობენ. უხსნი, ვაჭერებ, არა გამოდის რა.

სინტერესო ჩანს სოფლის სახელი ვარევანი (ურევანი — პურ-ევანი), ძველი ჩანს ეს სახელი. ჯავახეთ — არტაანის ტერიტორიაზე პური სხვაც ჩანს (არტაანის ახლოს) და წუნდა. სინტერესოა, რომ წუნდა შემდეგ დაქმეული სახელია. უძველესი მისი სახელი ური (ან პური) ყოფილა: „წუნდა“-მ განდევნა „ური“. გამოდის, რომ იმ ეთნიკური ჯგუფის მოსულა — გაძლიერებამდის, რომელიც გეოგრაფიული სახელების აღნიშვნისას „და“ სუფიქსით ხასიათდება, აქ ჯავახეთში სხვა მოსახლეობა ყოფილა, რომელმაც გეოგრაფიული სახელების აღნიშვნაში ურ (პურ) მარცვლის სახით დატოვა თავისი კვალი....

ვარევანში თან ახალი კელესია. სომხური და ქართული. უკანასკნელის ეზოში წავედი. ერთი ყმაშეილი ამეციდა. დამიმარტოვა. ქართულად სადაურობა მყითხა. ვაველაპარაკე. ჯავახური გამოთქმა ჰქონდა. გვარი კეითხე — ბერიძე, ის აქამდის სომხურად ლაპარაკობდა და მეც სომეხი მეგონა, რათ გინდა ესენი? თუ იმიტომ რომ ქართველები მოიყვანო, ეს უიმედოა.



Fig. 1

მე აეხსენი ჩემს მოსაცებრებს, თუ რაისთვის გვიზღდა ყველა ეჭვი.  
ეს სხვა საქმეა, თითქო მიხედა ჯავახი და, არც თუ მოლუსტებული  
ფილი, მიღებდა.

ეკლესიის ეწოდი ვისოდე როსტომაშვილის შეირ შენიშვნული ძვა-  
ის ძველი ეკლესიის ბალავერია. წარწერა თარიღითანიც და ამდენადვე  
პალეოგრაფიულად მეტად საინტერესო. როსტომაშვილის წაკითხვა  
შევისწორე, წარწერა გადავიდე. ის იყითხება:

1. სხლთა ღთა დდგა ესე[ბლვ] ე. ი. სახელითა ღმრთისამთა
2. რი კლთა ც[დ]ლის [იოა]ნეს დაიდე ესე ბალავერი წე-
3. და გბრლთა ქრისტი იყო სშ ლითა ცოდვილის იოანეს  
და გამრიელისათა ქრისტი-  
კონი იყო სშ (240)

სიტუაცია „ბალავერი“ მეტად დაზიანებულია. მისი ასე წაკითხვა  
ჩვენ უაძველად მიგვაჩინა, როსტომაშვილი მის მაგივრად პეიონე-  
ლობდა „ვარევანს“. როვორც ვხედავთ, წარწერა ეკუთვნის 1020  
წელს.

ვერანა ვარდის-ციხეს წავედით. ის აქ ანლო აღმოსავ-  
ლეთით ერთ კილომეტრში. სოფელი გაშენებული ყოფილია მაღალ  
გორაკზე, საიდანაც თითქმის ნახევარი ჯავახეთი მოჩანს. ვარდისციხე  
უშაბრძანიშარი ნასოფლარია. იმოდენა სოფლები ჯავახეთში დღესაც  
არაა ბევრი, ეს ნასოფლარი შესანიშნავია შენახულობითაც. სახლის  
კედლები, შესასვლელები, პურის ორმოები, „მაღარები“ (ცხვრის  
სადგომები?). დაცულობით ყურადღებას იპყრობს აგრეთვე და გა-  
შენი სოფელ ჯიგრაშენის პირდაპირ. მაგრამ უკანასკნელი დიდად  
ჩამორჩება ვარდის-ციხეს. დამაბასიათვებელია: 1927 წელს ვერანა  
დივაშენი გაცილებით უკეთ შენახული ჩანდა. სწრაფად ქრებიან ვე-  
რანაები და ეს განსაკუთრებით უკანასკნელ წლებში. იმიტომ აუცი-  
ლებელია მათი სასწრაფო შესწავლა. შესაძლებელია ცოცხალა ჯავა-  
ხური კომლის ტრიპისა და ვერანას შედარებით შესწავლის ნიაღავზე  
გაირკვეს ძველი ჯავახური კომლის ნადგამობის რომელნბა — რო-  
ვორობა. ეს კი თავის მხრით საშუალებას მოგვცემს ამა თუ იმ ვე-  
რანას მოსახლეობის ჩაოდენობა საშუალოდ დავადგინოთ... . სეთი  
შესწავლა ეთნოგრაფის საქმეა. და ის უნდა მოხდეს, სანამ ზოგი ამ  
ვერანათაგანი ჯერ კიდევ თითქმის ხელუხლებლადაა გადარჩენილი.  
ასეთ შედარებით შესწავლის დალრმყებით შესაძლებელი იქნება ვე-  
რანათა მოსახლეობის არა მარტო რიცხვის დადგენა, არამედ ამ მო-  
სახლეობის ეკონომიკურ დაფუძნების ზოგადი სურათის დაღვენაც კი.

ჩვენ მიერ ნაწარმოები სახელდახელო დაკიტვება ვერანაებზე და-  
აწინდელ ცოცხალ სოფელთა რიცხვის გათვალისწინება უფლებას

გვაძლევს ქველი გავახეთის მოსახლეობა უფრო მცირე რომელიც  
არ ვივარაუდოთ, ვიდრე ის ორის დღეს.

ვერანანების ჩემ მიერი აღრიცხვა სტული არაა. როგორიც მცირე რომელიც  
ეს, ადგილობრივმა მოსახლეობამ მრავალი ვერანა ან ის იცის —  
დიდი ზნის ვერანაები თითქმის საესხით გამწორებული არიან მო-  
წასთან და მოსული მოსახლეობა ვერ ამნინებს მათ — ან იცის და  
მალავს, ამიტომ აუცილებელი ხდება ზედმიწევნითი მოვლა. ასეთი  
მოვლა ჩვენ ვერ დავასრულეთ. გამსაკუთრებით მოუცილელი დაგვრ-  
ჩა მთის კალთები. ასეთ ადგილებში კი ყველაზე მეტია მოსალოდნე-  
ლი ვერანაები.

რესული ხუთვერსიანი რუკა სულ თრმოცდახუთმეტ ვერანას აღ-  
ნიშნავს. ქართული რუკის აეტორებს თავიანთი შრომა იმით  
ცხვდავუკვიათ, რომ რესულად დამახინჯებული ადგილობრივი  
სახელები ქართული ასოებით უცვლელად გაღმოუტავ და რესული  
რუკის ორმოცდახუთმეტი სახელი ოცდაცამეტზე დაუყავანიათ, და-  
ნარჩენი ოცდაორი ნასოფლარის აღნიშვნა კი ზედმეტად უცვრიათ...  
ჩვენი მოვზაურობისას ჩვენ სულ 122 ვერანა სოფელი აღვნიშნეთ.  
მაგრამ, ვიმეორებთ, ეს სტული სია არ არის. შეიძლება თამამი იმ-  
კვას, რომ ვერანაების რიცხვი აუზიდელ გავახეთში 140—150-მდის  
იქნება, ეხლა, თუ ვაკითვალისწინებთ, რომ აუზიდელ გავახეთში სულ  
121 სოფელია 78937 სული მცხოვრებელით და მხედველობაში ვი-  
ვილებთ, რომ არც ერთი აუზიდელი ცოცხალი სოფელი „უდაბნო“  
აზე ილზე გაშენებული კი არ არის, არამედ ქველ ნასოფლარების ად-  
გილზე, მაშინ შეგვიძლია დაუშეათ, რომ გავახეთის ისტორიულ  
წარსულში იყო დრო, როცა 240—250 ცოცხალი სოფელი მაინც ითვ-  
ლებოდა. აქვე, თუ მხედველობაში მივიღებთ მაშინდელი გავიხი-  
გლების ოჯახის გაუყრელობას და თითო სოფელში საშუალოდ 30  
კომლს ვიანგარიშებთ — 30 კომლიანი სოფელი საშუალო სიღილის  
სოფლად ითვლებოდა — ხოლო თითო კომლზედ ათ სულს, ჩვენ  
მივიღებთ 75000 სულ მოსახლეობას, რაც გადაჭერბებულად არ შე-  
იძლება ჩაითვალოს.

აქვე უნდა შევწიშნო, რომ სიტრონილის გამო მე განზრან მინი-  
შეუშეუ ნაკლები ავილე სოფელში კომლთა რიცხვი. ჩემ მიერ ნატუ-  
ლი ვერანაები, როგორც მე მეჩვენება, გაცილებით უფრო მრავალ  
კომლოვანი უნდა ყოფილიყვნენ.

ამისთან დაკავშირებით ისმის ფრიად მნიშვნელოვანი ისტორიუ-  
ლი ხასიათის ხავითხები: როგორიც უნდა ყოფილიყო მოსახლეობის  
ასეთი სიმრავლე და რა პირობები იყო ამისთვის აუცილებელი: ე. ა-  
როგორი იყო ამ დროს გავახეთის მეურნეობა? უკანასკნელი გარემო-

ეპა უკავშირდება საერთოდ ფეოდალური საქართველოს მეურნეობის ისტორიულ განვითარების საყითხებს, გავახეთის როლს კრისტიანული ნელობას ამ მეურნეობაში (აქედან: გავახეთის ოსმალთა შედეგები ცემის შემცნელობა ფეოდალურ საქართველოს მეურნეობისათვის და სხვ.).

„გეოგრაფიული პირობები“ — ისტორიული კატეგორია და მაშინადამე, განსაზღვრული ყველა იმ გარემოებათა მიერ, რომელიც ამ თუ იმ ეპოქაში ისტორიული განვითარების პირობებს ქმნიან.

გავახეთის ისტორია (ისე როგორც ყველა სხვა ისტორია) ამის თვალსაჩინო მაგალითია. რას „წარმოადგენდა ეს ქვეყანა „უძველეს დროს“, ამას არქეოლოგია იტყვის, როცა შესაფერისი გათხრები შესრულდება. გავახეთი — ეთნიკური ქართლის განპირია ქვეყანაა, საზოგადო სადგომ-საძოვრებით მდიდარი (მცხეთა-არმაზის ძლიერების ხანი), კურნომიურად და პოლიტიკურად დაწინაურებული ცენტრალური ოლქი („საშუალო საუკუნეები“ — IX—XIII სს.), დაცუმის გზაზე დამდგარი პროვინცია (XIV—XVI სს.), ჩამორჩენილი პროვინცია (XVII—XVIII სს. — ოსმალთა მფლობელობა) და მიურცებული ბუნავი (XIX ს.). ამ როგორი სხვადასხვავგარი მდგომარეობა გვეჩენება ჩვენ ერთსა და იმავე ფიზიკურ-გეოგრაფიულ სინამდვილეში სხვადასხვა დროს და ეს მარტო იმიტომ კი არა, რომ საზოგადოების ტექნიკური განვითარება ზემოქმედებს, „სცვლის“ და მაში სხვადასხვა ინტენსიურით გამოიყენებს ქვეყნის ფიზიკურ თეისებებს, არამედ იმიტომ, და ეს უმთავრესია, რომ თვით ეს ტექნიკური განვითარება და მით უფრო მისი ასეთი თუ ისეთი მოხმარება დამოკიდებულია საწარმოო ურთიერთობის სახეობისაგან (კლასთა პრძოლის სახეობისაგან).

„იდეალური“ ქვეყანა იყო გავახეთი ფეოდალური საქართველოს საწარმოო ძალთა განვითარების გარევეველ საფეხურზე. „კალმახი და ქერის პური“, ჭოგის, ფარის, აზევერის და მროწერულის სიმრავლე ფრიადი, შინური ფრინველი, თაფლი და სანთელი, სელი და ზეთი, მატული და შალეული და სალი ჰავა ყველაფერი ეს შეიძლება მტკიცი ეკონომიური სიძლიერის საფუძველი შექმნილი კლასობრივი ურთიერთობის გარევეულს პირობებში... ცხოველი ეკონომიური ურთიერთობა საქართველოს ბაზობი (აწვდიდა ზეთს, თონის ფეხს, თაფლს, სანთელს და სხვ. შეიძენდა: პურს, ლეინს, ხილს, იარაღს, აბრეშუმს) და უცხო ქვეყნებთან: ვარკვეულ დროზან გავახეთი — ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან სომხეთ-ბიზანტიიდან მიმავალი სატრანსპორტო გზასაყარი იყო. ყველა ეს ხელშემწყობი გარემოებანი ქმნიდა, უკველია. სამათ პირობებს გავახეთის მოსახ-

ლეობის იმ სიმრავლისათვის, როგორც ზემორე ვვარაუდობდნო  
რამ ასეთი ხელშემწყობი შეთანხმება საშინაო და საგარეო პირობები-  
ბისა ხანგრძლივი არ ყოფილა.

საქართო ურთიერთობის განვითარების ახალი ეტაპის, სამა-  
ტონუმო ურთიერთობის საბოლოო გამარჯვება ის ძირითადი მნიშვ-  
ნელობის მოვლენა იყო, რომელიც ფეოდალური საქართველოს  
ცხოვრების ყოველ მხარეს ძირითადად განსაზღვრავდა... ასეთივე  
მნიშვნელობის მოვლენა იყო ის ჯავახეთის მეურნეობის განვითარე-  
ბისათვისაც და მაში მისი მწარმოებელი თუ არამწარმოებელი მოსახ-  
ლეობის რაოდენობისთვისაც.

ამ ძირითად მოვლენის ნიადაგშე აღმოცენებული ტენდენციები  
გარკვეულ საგარეო პირობებში (მონარქია ბატონობა, ჯავახეთი  
მონარქია უფლისწულის საფორმი, ჩრდილოეთიდან ბიზანტია-  
სპარსეთშე მიმავალთ საგარეო კრების მნიშვნელობის შესუსტება) იქცნენ ქვეყნის დაცუმის განმსაზღვრელ ძალებად.

ფეოდალური პარტიულარიზმი და მეურნეობის სახის ცვლა,  
ფეოდალური საქართველოს სუსტი სამეურნეო მთლიანობის მოშლა  
და ფეოდალური კართველი კოლონიების გაძლიერება, საგადასახადო სის-  
ტემის უმეურნეო მტაცებლობაში გადაწრდა, ე. ი. ფეოდალური ჩი-  
ხი — შეიქმნა ის საფუძველი, რომელიც ამა თუ იმ ტერიტორიაზე  
მოსახლეობის რაოდენობის პირობას განსაზღვროდა.

ასე რომ ნაოხარი, უკაცრიელი, პარტია, ვერანა, ხარაბა მხო-  
ლოდ თემურლენგვების ნაკვალევი არ არის. და თემურის ნაკვალევიც  
იძირომ იქნა წარუმლელ-გამოუსწორებელი, რომ განვითარდნენ,  
როგორც აღნიშნეთ, სხვა ძირითადი ხასიათის მოვლენანი, რომელ-  
ნიც არახელსაყრელ საგარეო პირობებთან კავშირში ხელს უწყობდ-  
ნენ ქვეყნის გაერანებას. ამიტომ იყო, რომ ვერანაც საქართველოს  
უმჩრედეს კუთხეებში (მთას გარდა) XIII—XIV საუკუნის შემდეგ  
არ გამჭრალა. მათი რიცხვი ხან იყლებდა, ხან იმატებდა იმის მიხედ-  
ვით, თუ რა განსაკუთრებული გარემოება შეექმნებოდა ამა თუ იმ  
კუთხეს, მაგრამ საერთო ტენდენცია კი ვერანათა გამჩავლებისაკენ  
მიმართული რჩებოდა.

როგორც ირკვევა, მესხეთის მიმტაცებელ ისმალი საქმიოდ მრა-  
ვალი და დიდი ხნის ვერანაები დახვედრიათ აქ. ეს ჩანს ცოცხალ სო-  
ფელთა იმ მცირე რიცხვიდან, რომელსაც ისმალი ხელისუფლება  
აღნიშნავს ამ კუთხის აღწერის დროს XVII ს-ში. მაგრამ ამ საერთო  
მიხედვებს გარდა ამა თუ იმ კუთხეში განსაკუთრებული პირობებიც  
მოქმედდედნ. მაგალითად XVI ს-ნის მესხეთი საქიშპო ტერიტორია  
იყო ისმალეთ-სპარსეთს შორის, მის დაკერას ლაშიობდა იმერეთის

შეუცე. ამ ნიადაგზე ის არაერთგზის იქნა დარბეული სადამსახური /  
თუ „დამცველ“ „პატრონთა“ მიერ.

ბუნებრივია, არა ერთი და ორი შეემატებოდა ამ გუშვიცვებით ყავა  
ბის რიცხვს. შესხეთის ზა კერძოდ ჯავახეთის დაქარგვა გამოისწო-  
რებელი ეკონომისტი ზიანი იყო ფეოდალური საქართველოს მეურ-  
ნეობისათვის. ამიერიდან ძირის გვიანად უნდა შეცვლილიყო აღმოსავ-  
ლეთ საქართველოს მესაქონლეობა, რომლის საზაფხულო საძოვრებს  
სწორედ ეს მხარეები წარმოადგენენ, მაგრამ მთლიანი სამეურნეო  
ტერიტორიის ასეთი დაფლეთი გამოისწორებელი ზიანი იყო ავრითვე  
თვით შესხეთისათვისაც. თითქმის გამუდმებულ სამტრიო ურთიერთო-  
ბის პირობებში, როგორიც დამყარდა შესხეთსა (ამიერიდან ისმა-  
ლეთსა) და მის მეზობელ კუთხეებს შორის, კიდევ უფრო სუსტდე-  
ბოდა ეკონომისტი ურთიერთობის ის მინიმუმი, რომელიც მოსახლე-  
ობის გარკვეულ რაოდენობისათვის ყოვლად აუცილებელი იყო. გა-  
უკითხაობის, სიღართვის, უმწეობის, ე. ი. სოციალურ-პოლიტიკური  
და ეკონომისტი სიღუბჭირის შედეგი იყო მოსახლეობის ბუნებრივი  
შეძლება-ამოწყვეტა, აურა-ამოძრავება, ე. ი. ვერანაების კიდევ  
უფრო გამრავლება. ასე იყო ჯავახეთშიაც. XVI საუკუნის ბოლოს ამ  
ვითარების შედეგია შეკამებული: ათეულობით ახალი ერანაები, ხო-  
ლო კოცხლად დაჩრიენილი სოფლები გაერჩნების პირას არიან ში-  
სული: თითოეული მათვანის კომლთა ჩიცხვი თოვებზე ჩამო-  
ითვლება.

(მე აქ არ ვეხები 1829 წლის კატასტროფას, რომლის შედეგად  
ჯავახეთი ქართულ მოსახლეობისაგან ძირითადად დაიცილა. ეს მე-  
ტად 250შენელოვანი საეითხი სპეციალურ გაშექებას საჭიროებს.  
ქამდის არსებული ტრადიციული ახსნანი, რა თქმა უნდა, დღეს აღა-  
რივის დაამაყოფილებს.

სამწუხაოოდ, ჩვენ იძულებული ვართ ეს საკითხი შემდეგისათ-  
ვის გადავდოთ).

\* \* \*

ვერანა ვარდისციხის დათვალიერება ხეირიანად არ შოგვიზერ-  
და. ამინდი წახდა, აქეთ-იქით წვიმის სვეტები ჩამოგდა და ჩვენც  
იძულებული ვიყავით ვარევნისათვის შიგვეშურებია..

ვარდისციხის ეკლესია სანახევროდ დანგრეულია. გადაჩნი-  
ლია მხოლოდ კედლები საჩრულამდის. ის XIV—XV ს-ნის ძეგლი  
ჩამს. ასეთ შთაბეჭდილების იძლევა წარწერის ნაშთი, რომელიც  
ძლიერ პგვის ქარცების ასომთავრულ წარწერას. სამწუხაოოდ, თავ-  
ცეტასტრიქონიან წარწერიდან, რომელიც მოთვავსებული ყოფილა ეკ-

ლესიონს სამხრეთ კედელზე კარს ზემოფარ ორ ქვაზე, დღევადღობაზე დის მოუღწევია მშოლოდ პირველ სტრიქონის დასაწყის საგრძლებულების უკან, ხოლო დანარჩენ სტრიქონთაგან ზოგიერთ ბოლო გამოიყენებოდა... იყითხება: სახელითა ღმისითა მოხები...

ჩვენი მხლებელი ბერიძის სიტყვით: „ეს წარწერა ხანდოელებმა მოშალუს, როცა ვარევნელი ქართველები ედავებოდენ მათ ვარდის-ციხის სახნავებს იმ საბუთით, რომ ვარდისციხე ქართველების სოფელი იყო და მათი სახნავები ჩვენი უნდა იყოსო. ასე ვიცი მამაპა-პიდან“ დასძინა მან და ვანაგრძო: „ამ რამოდენიმე წლის წინ აქ ვარდისციხეს ერთი კაცი მოვიდა მანგლისის მხარედან, თონქეთიდან. მან სოჭვა, ჩვენ იქნედან ვართ წასულით. მოილოცა. ამბობდა, ისევ გვინდა აქეთ გამოსვლათ. კინ გადმოუშვებს, მათი სახნავები ხანდოელებს უჭირავთ“...

ჩვენი მოსაუბრე, აშერად ჩანდა, ვერ იყო ხანდოელებისადმი კითილად გაწყობილი. ვარდისციხის ეკლესიის წარწერის ხელოვნური ამოშლის კვალი დღეს მაინც არ აჩნია. მით უფრო გაუმართლებელია ის მოტივი, რომლის გამოც თითქო ხანდოელებმა ის მოჰალეს: საფიქრებელია ასეთ შემთხვევაში აღარს დასრულებდნენ.

საინტერესოა ვარდისციხის სასაფლაო. მხატვრულიდ ნაქანდაკები. ცხენ-ვერძები ხამი ქვების კვერდით ოდესშე აქ კუკხალ სიმუდრე-სიღარიბეზე მიგვითითებენ.

ვარევანის მივატანეთ და ამინდის დადგომის მოლოდინში კოლ-მეურნეობის კანცელარიას შევეფარეთ. ხაჩიკი კარგა ხანია დაგვშემოდა. მინდობრში წასულა: კოლმეურნეობა მყის. კანცელარიის მოანგარიშე ისე გამოიმდა, რომ თავსაც არა სწევს. ვერ გვამჩნევს. მას იქნა საბუთი ჩვენი უკამაყოფილი იყოს: მისი „უკალაფრის მცოდნების“ პრესტიჯი ხავძოდ შევარყით...

შეკრტიჩ ულიანი შეპირებისამებრ დაგვხვდა აქ. სამწუხაროდ, მას წელანდელი ხალისი აღარ ემჩნეოდა. სულ უკოლინარობას მიწეზობდა. დიდის წვალებით ამოცტუეთ ვერანავები: ვარევანის აღმოსავლეთით ორნახევარ კერძში — ცხია. ვარევანის აღმოსავლეთითვე ერთ კერძში — ვარდის ციხე. ვარევანის ჩრდილო-დასავლეთით ორნახევარ კერძში — ძაღლათუბანი. ვარევანის ჩრდილოეთით ერთ კერძში — კარკლიანი. ხანდოსთან ახლოს — ვრია, ალასტანის ახლოს — ოლდანი, დევათი, ერიკლი, ბურას-ტანი.

ვამოიდარა და ჩვენც ხიზაბავრისაკენ ავიბარეთ. საღამოა. ვინ-ქარით: თორმეტი კილომეტრი გასავლელი გვაქვს. სოფელ ვარგვების ძირშე გავიაჩეთ. აწინდელი ახალქალაჭის რაიონის უკიდურესი სო-

უელია ეს ჩრდილო-დასავლეთით. ხიზაბავრა და სარო ტოლიშები იმაში შედიან. სარო-ხიზაბავრელები არ სთვლიან თავს გვერდის სამცხელებად მოაქვთ თავი. საფიქრებელია, რომ ეს ნაგვიზე უკრიმითა ვა, როცა „გადახში“ სომეხი იგულისხმება, ვიდრე ძველი დროის მოვლენა.

უკვე წვიმდა და ბნელდებოდა, როცა ხიზაბავრას მივატანეთ. მოყვრულად დაგვიხვდა კომისარი პეტრე პოსოშვილი. გაგვიმისაპინძლდა. მოვვასევენა და, რაც უელაზე სასიამოვნო იყო, ვერანაების ცოლნაში დიდი უნარი გამოიჩინა:

ხიზაბავრი ის სამხრეთით ვერანა ხიზა,  
იქვე ხევში წითელი ხიდი რომ არის — ჩიხორიში,  
ჩიხორიშიდან დასავლეთით — გომი,  
ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით — ობოლე თი,  
ხიზაბავრიდან იქითყენვე — ოსპნაური,  
ხიზაბავრიდან ჩრდილოეთით — ვარანტი,  
ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით — თეთრობი,  
ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით — კოროშე თი.

აქვე დაურთო:  
კოროშეთს თივა მოვთიბე,  
ოლდან დამიძირია.  
გოგო შენი სიყვარულით  
მე ერ დამიძირია.

ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით — ოლდანი,  
ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით — ვეროული,  
ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით — ჭობარეთი,  
ხიზაბავრიდან აღმოსავლეთით — წერიკუნტა,  
ხერთის ზემოთ კვარშის დაბლა — კიცხი,  
წყალგაღმა კიცხის პირისპირ — ნაისა,  
ხანდოს მხარეს — გრია,  
ასპინძის სამხრეთით — ხეილიში.

ასპინძის ზევით ოთის „მამულში“: აგარა, ბოგოთი, ასკილვანა, ლართა, ჭაირი (იქვე ოთის ტყეში განთქმული ჰყლესია მონაცერი), ჭაბიე თი.

პოსოშვილის მიერ უხვად მოწოდებული ცნობები უაჭველად გვიდასტურებდა იმ სამწუხარო ეჭვს, რომ ჩვენ მიერ აქამდის შეკრებილ ვერანაების რიცხვი სრული არაა.

მაგრამ ამას ამეამაზ აღარა ეშველება. აუცილებელია მხოლოდ მისი მომავალში გათვალისწინება.

დალაგადრიან ძეველი ეკლესის ეზოში წარწერიანი ქვე მოვნახე.

ის კარგად აქვს გადმოლებული ივანე როსტომიაშვილს და შეიძლება  
საინტერესო იყოს, როგორც მხედრული ხელის გადაგვარების წერტილი  
ში უწინვერობის პირობებში.

სარო მეტად საინტერესო ადგილია ისტორიულ-არქეოლოგიუ-  
რად, მტკერის პირიდან ჯავახეთში შემომავალი გზის ჩამკეტავი უძვე-  
ლესი ციხეები (სამი), მღვიმე — „სახიზარები“ უამიალია საინტერე-  
სო ისტორიულ გადმოცემებთან იქნება დაყავირებული. აქაც მოსახ-  
ლეობა ძველ ჯავახურია.

მაგრამ ამეამად მე ეს აღარ შემიძლია... მხოლოდ ცნობილი წარწე-  
რის შემოწმებას ვაპირებ.

სარო, ხერთესი, ვანისქვები, ვერტაშები, ოლადისქვები და აქა-  
იქ კიდევ სხვა სამერმისოდ უნდა გადაეჭო... საროს „ზემოთ“ ციხის  
წარწერა აღვილად ვიპოვეთ. როსტომიაშვილით ის ცნობილი იყო თა-  
მაჩის დროის წარწერად ამავე მეფის მოხსენიებით. ეს უკვე თაყაი-  
შეიძლება შეისწორა. წარწერა ასომთავრულია. მცირედ დაშიგნებულია.  
იყითხება:

1. ქე ა-დნ ძ-რი და [ო]
2. ძ-ლი მე-ფუთა მ-ფე
3. დ-ტე რ-ლნ რე მ-მთ
4. გბ-და მ-ს ქმ-სა ესე
5. ც-ხე ივა-გო მე ვ
6. აჩე დავწ-ერენ
7. ე ეს-ნ [?] და მ-ჭას მ
8. მო-ლი

9. ი. ქრისტე ადიდენ ძლიერი  
და თ-  
ძლეველი მეფეთა მეფე  
დემეტრე, რომელმენ რექი მა-  
მულობით  
გვბობა. მას ეამსა ესე  
ციხე ავაგეთ. მე კ-  
აჩე დავწ-ერენ  
ერისთავთ ერისთავისნი და მა-  
კას მა  
მული.

ხელის მიხედვით წარწერა XIII საუკუნეს უნდა ეკუთვნიდეს. თუ  
ჩენ წაკითხვა სწორია (ის აჩც ადვილად იყითხება), წარწერა საინ-  
ტერესოა და XIII საუკუნისათვის დამახასიათებელი. საგამგეოს „მა-  
მულობით“ ბოძება (და ისიც საუფლისწულო ტერიტორიის) და  
შეწყალებულის მიერ ასეთ ბოძების განსაკუთრებით აღნიშვნა კარ-  
გად უდგება XIII საუკუნის ხასიათს. ყოველგვარ მულობელობაში  
„მამულის“ პრინციპის გამარჯვების ხასიათს, ბატონყმური ურთიერ-  
ოობის საბოლოო გამარჯვების ეპოქას.

ის გარემოება, რომ საროში ამ დროს დემეტრე საქმიანობს კვლავ  
ადამტურებს ჩეკეს მიერ ზემოთ ვამოთქმულ აზრს, რომ XIII ს-ში  
ჭერ კიდევ საუფლისწულო ჯავახეთი ჯაყელთა საჭელოში არ შედი-

ოდა. წარწერიდანვე ჩანს თითქო, რომ ამ ადგილს მაშინ რეაქცია  
დებოდა, ვინ არიან წარწერაში მოხსენებული ერისთავთ ეზისთავი  
(მეიძლება კახა?), ვინ არის ეს დამწერი ვაჩე ან ეს მაჟა მარტივული  
ციც რა.

\*  
\* \*

გვახეთი ისტორიულ-გეოგრაფიულად ავრე ერთი მორბენით, რა-  
თქმა უნდა, არ შეისწავლება, მე ამის პრეტენზია არც მქონია. მავ-  
რამ ერთი მიღწევა მაქვს ამ ჩემი მოვნაურობის შედევგად: ნათლად  
წარმომიდგა ის ვწები, თუ როგორ უნდა იქნეს ეს მდიდარი ისტორი-  
ული შინაარსის შაარე შესწავლილი. კომპლექსური შესწავლა ერ-  
თაგერთი საშუალებაა იმ სიძნელის დასაძლევად ცოცხალი ტრადი-  
ციის გაშუცვეტის ნიადაგზე რომა შექმნილი (ეს ტრადიცია ნაწილობ-  
რივ დაცულია ძველი მოსახლეობის ნაშთებში: „იერლი“ მუსლიმა-  
ნებში, ბარალელ სომხებსა და ძველ „გავახებში“).

ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, ლინგვისტი და არქეოლოგი იქნებიან  
სასურველი წევრები მაგთი ექსპედიციისა.

საჩოდან ანალექალაქიძის ხერთვისზე გამოვლით 35 კილომეტრი  
მანძილია. ამ გზით წავედით და „არად შევრაცხეთ“ სიშორე: გვი-  
ლიმოდა თბილისი და კულტურულ პირობებში დასვენება.

## ქართველი დროის ხელბაში 1935 წელს

(ხანგარიძო მოხსენება)\*

სამეცნიერო ექსპედიცია, რომ ის ნაყოფიერი იქნეს, წინასწარ აერიოზულ მომზადებას საჭიროებს. — მომზადებას, როგორც ტექნიკური, აგრეთვე თეორიული ხასიათისას.

მიზანდასახულობის მეფის გარევეულობა, მიზნის მაქსიმალური უემოფარგლულობა და დასახული ამოცანის შესახებ არსებულ ლიტერატურულ ცნობათა წინასწარი საფუძვლითი გათვალისწინება, — ყველა ეს აუცილებელია, ჩათა ანლად გაწეული შერმატებული სამეცნიერო მიღწევის საშუალება აღმოჩნდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია არასასიამოვნო შარტი, თუ მთლიანი არა, ნაწილობრივი მაინც.

ამოცანის ამ წინასწარ გარევეულობაზეა დამოკიდებული ექსპედიციის ტექნიკური მოწყობილობის სათანადო გადაწყვეტაც: წევრთა შემადგენლობა, დრო, ეკიპირება.

მიუხედავად ამისა, რომ ლაპარაკი ჩვენი ექსპედიციის შესახებ კარგა ხნით აღრე სწარმოებდა, ის მაინც ნაყოფიერები და ამდენადვე სათანადოდ მოუმზადებელი აღმოჩნდა. ამის მთავარი მიზეზი იყო ეპვი, რომ ექსპედიცია არ შედგება.

მართლაც აგვისტოს შუა რიცხვებში განხრახული ის, როგორც იქნა, თვის ბოლოს განხორციელდა.

მიუხედავად ამისა ჩვენი ექსპედიცია ნაყოფიერი გამოდგა, მაგრამ ეს არა იმიტომ, რომ ჩვენი ექსპედიციის ნაყოფიერება თითქო მის მოუმზადებლობას არ შეესატყვისება, არამედ იმიტომ, რომ ჩვენში ისტორიული ექსპედიცია ყოველ პირობებში ცოტად თუ ბევრად ნაყოფიერი იქნება (მაგრამ ნადირთა სიმრავლე განა მონადირეთა დამსახურებაა?).

რაოდენ უფრო ნაყოფიერი იქნებოდა ჩვენი ექსპედიცია, რომ წინასწარი მომზადება პერნოდა მას?...

\* იბეჭდება პირევლად.

საქართველოში თითოეულ მხარეს „თავისი ისტორია“ ჟევანდიშვილისა და საქრთოს გვერდით თითოეულ მათგანს დანარჩენმთავან/გან/ სხვავებული ისტორიული განვითარების თავისებურებანცეულ ჭრაშია.

მათი შესწავლა-წარმოხენა აუკილებელია და ეს არავინ მარტინ შესწავლა-წარმოხენა აუკილებელია და ეს არავინ მარტინ შესწავლი ცნობილმოყვარეობის თვალსაზრისით. ქართული საისტორიო მეცნიერება ამავ თავის ზრდა-მომწიფების იმ ასაკშია, როცა მისი შემდგომი განვითარებისათვის ცალკეულ მხარეთა ამ თავისებურებების ისტორიული შესწავლა აუკილებელია. და ეს აუკილებელია სწორებ საქართველოს მთლიანი ისტორიული განვითარების ცოცხლად, ხორციელებულად წარმოდგენისათვის, ამ განვითარების ნამდვილი მეცნიერული შესწავლისათვის.

ისე როგორც საქართველოს სხვა მხარეები, კახეთიც რთული ისტორიული პროცესის შედეგად წარმოქმნილი ქვეყანაა. მაგრამ მრავალ დანარჩენთავან ამ მხარითაც განსხვავდება: 1. სხვებთან შედარებით ეს ისტორიული პროცესი აქ უფრო რთული ჩამს; 2. აწინდელი კახეთი ვაკილებით უფრო გვიან ყალიბდება, ეიდრე საქართველოს სხვა დანარჩენი კუთხეები და ამიტომაც ამ პროცესის შესახებ ცნობებიც მეტი მოვალეობაა. ამდენადვე უზვი ნაყოფიც უზრუნველყოფილია ამ ამოცანაზე ჭირნახული მკელევარისათვის. კახნი, კოხნი, წანარნი, გარდაბანელნი, ალვან-ჭერნი, სოჭნი, ფხოველ-ფშაველნი, ხევსურნი, თუშები, ქისტები და, შემდეგ, ლუკები, თურქები, ოსები, სომხები და ყველა თემის ქართველები (მეგრელები, გურულები, იმერლები, რაჭელები, ჯავახ-მესხნი, სომხითარნი, ქართლელები) — ყველა ამათ შერწყმა — „შევების“ (პრძოლისა და თანამშრომლობის) ისტორიული საზღიული იყო ეს შედარებით პატარა, მაგრამ დიდი შესაძლებლობის ქვეყანა.

თითოეულ ამთვანს თავისი წვლილი შეუტანია აწინდელი კახეთის შექმნაში. ათეულ საუკუნეთა სიგრძეზე მიმღინარეობდა აქ მოსულ-დამხედურთა თუ მეზობელთა ეს რთული ურთიერთობა, მთისა და ბარის, კელისა და ზეგანის სამეურნეო და სოციალურ სისტემათა კიდილი (და ამ ნიაღვშე თემობრივი ბრძოლის კლასობრივ ბრძოლად გადაიზრდა) და უოველოვე ეს სათანადო კვალს სტოკებდა მონუმენტურ-არქიტექტურულ, ენობრივი თუ მატერიალური, ფოლკლორული თუ წერილობითი ნაშთების სახით ხსენებული ნაშთების აღნესხვა-შესწავლა და ამის ნიაღვშე ქვეყნის ცოცხალი ისტორიის წარმოხენა, ესაა ის შორეული მიზანი. რომელსაც უნდა ითვალისწინებდეს თითოეული ისტორიული საეკლესიაც ექსპედიცია.

ჩვენი ექსპედიცია, რა თქმა უნდა, ყველა აქ დასახელებულ ობიექტებს თავის შესწავლის მიზნად უკრ დაისახადა. საამისო მას არც

ხალხი გააჩნდა, არც დრო და სახსრები ჰქონდა. მექამიდ ჩვენს მიზანს ისტორიული გეოგრაფიის ზოგიერთი საკითხი შეაღებულა.

ჩვენ იღრის ზეობით დავიწყეთ. და ეს განხრას, რაღაც მიუწყვეტისა და კისად მიაჩნდა ისტორიული კახეთის წარმოქმნის პროცესში.

ქართლიდან ერთო-თიანეთში შემავალი და ქედან შეინიო-კახეთში გარდამავალი ძველი გზები ექსპედიციას იმ ხერხებსად წარმოუდგენია, რომელსაც უცდომლად შეიძლება ისტორიული ხორცი შეესხა.

იმ გზებთან დაკავშირებით ცოცხლად შეტყველებურ ნაცისტურ-ნაქალაქარები, კოშკები, ბურჯები, საყარაულოები, „საზვერე“-„საბა-ეოები“, „ცხრაკარა“-სასახლეები, ეკლესია-მონასტრები და უძე-ლესი ქაბ-სასიზრები. ამ ძეგლთა ისტორიული შესწავლით სა-ბურველი ესდება და დროში გამილი კონკრეტულად წარმოვიდ-გება ტომობრივი, თემობრივი თუ კლასობრივი ისტორიული ურთი-ერთობანი.

ისტორიული ექსპედიცია ჩვენს პირობებში, როცა ისტორიის დამ-ხმარე დაისკიპლინათა მიღწევანი მცირედაც კი ვერ აქმავოფილებურ მათლამი წარდგენილ მომხმარებელებს, რაც შეიძლება კომპლექსუ-რი უნდა იყოს. არქეოლოგიური დაკვირვების (უძველესი ნეკროპო-ლები...), ისტორიული გეოგრაფიის მონაცემები (ტომების თუ გვა-რების ტერიტორიული განლაგება, გზები, ხიდები, ქალაქები და მა-თი ადგილდებარეობის ცვლა), ენობრივი მასალა (ტოპონიმია), ის-ტორიულ-ურთოგრაფიული დაკვირვებანი (მატერიალური კულტურა-სა და კულტის საკითხები). ზურაობობდებრული დასკვნები (ძეგლთა აჩქირებტურული შესწავლა) ყველა ეს ისტორიის „საველე“ საეით-ხებია (თავი რომ დავანებოთ უფრო შორეულ დისციპლინათა მონა-ცემებს). ყველა ესენი ერთი მთლიანია და ურთიერთობან ორგანულ კუშისშია. ამიტომაც არქეოლოგი, ეთნოგრაფი, ლინგვისტი, ბუროი-მოძღვარი და ისტორიკოსი ჩვენი ისტორიული ექსპედიციის სასურ-ველი წევრებია.

ჩვენი ექსპედიცია შემადგენლობის მხრით ასეთი „იდეალური“ ეყრ იყო. მასში სამი ისტორიკოსი, ერთი არქეოლოგი და ერთი ფო-ტოგრაფი შედიოდა. მაგრამ, თუ ყველა სხვა ზემოღასახელებულ დის-კიპლინათა ჟარგონს როგორმე მოეცელებოდა ჩვენ მიერ, მეცნიერ ხუროთმოძღვრის არ ყოლა გაუსწორებული ნაკლი იყო, რასაც ყო-ველ ნაბიჯე მწვავედ ვგრძნობდით.

თბილისიდან 20 ავგვისტოს გავემგზავრეთ. პირველი შეცდომა ექს-პედიციის დასწყისშივე მავრიკია: სარეისო ავტოთი თიანეთს წა-

ეფლით. საჭირო კი იყო არაგვის ხეობიდან ბულაჩაურის გრძიდ ან  
დევ ქინვაზე გავლით ერწო-თიანეთში შესვლა. გაცილებით ნატყებ  
ისტორიული მნიშვნელობისა და უფრო ნაგვიანევიც ჩატარდა და დატყები  
რომლითაც ჩვენ ავტომ გადაგვატარა: ლრმალელე—გლდანი—საბა-  
დურის მთა — ერწო — საყარაულო — თიანეთი.

მაგრამ, რაც კიდევ უფრო სამწუხარო იყო, ეს ისაა, რომ ავტო  
თავის საქმეზე მიღიოდა თიანეთს და ჩვენ სხვათა შორის შევყავდით.  
ჩვენი მიზნებისათვის ავტოს არ ეცალა და ექსპედიცია იძულებული  
იყო მხოლოდ გზის შესანიშნავი სილამაზით მოეტყუებით თავი. სწრა-  
ფად გადაკვერით ერწოს ტაფობი, რომლის კიდეებზე მრავლად ჩა-  
რაზმულან ხევსურთა, ფშავთა თუ ძველ ერწოელთა სოფლები. უნა-  
ხავი დაგვრჩა აგრე მრავალმეტყველი არჩილის მონასტერიც კი ნო ტ-  
კორა (—ნოკორნა, ნოდოკრა). ლიტერატურული მოწმობანი (ქ'ცა,  
215; ვახუშტი — გეოგრაფია, 141), ტრადიცია, მონასტრის სახელი  
(„არჩილის მონასტერი“), ადგილის სახელი (შდრ. ძაგნაკორნა), მისი  
მდებარეობა (ის ძევს ერწოს საზღვარზე, სადაც ერთმანეთს უახლოვ-  
დებიან ხევები არაგვიდან—ნოკორნისქვევი და ერწოდან და ამით ბუ-  
ნებრივ და ოდეილ გარდასავალს ქმნიან; უძველელი ქვე გადიოდა  
არაგვიდან ერწოში შემავალი ერთეულთი გზა) — ყველა ეს ნიშნები  
თანახმად და საყმაოდ აცხადებენ ამ ისტორიული პუნქტის სიძეველესა  
და დიდმნიშვნელობას. ამ პუნქტის ნახეა ჩვენ ძალაუნებურად არაგ-  
ვის ხეობის მოვლას დაუკავშირეთ, რაც, სამწუხაროდ, „მომავლის  
ამოცანად“ დაგვრჩა....

საინტერესო სახელი „ერწო“. ისტორიულად ერწო მხოლოდ ამ  
ტაფობს აღინიშნა ერქვა. მასში შეღიოდა ამ ტაფობის აღმოსავლეთით  
და სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარე ადგილებიც მდინარე იორის  
დაყოლებით უალეთიდან ბოკორმამდის<sup>1</sup>. მაგრამ ეს მოვლენა უნდა  
გვიანი, პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ხასიათისა იყოს და თავდა-  
პირელად ერწო მხოლოდ ამ ტაფობს უნდა ჩქმეოდა.

ვახუშტის თავის გეოგრაფიაში დაცული აქვს ცნობა, რომ მდი-  
ნარე ყვირილა გამოსდის ერწოს ტბას<sup>2</sup>. ერწოს ტბა იღნიშნულია  
აწინდელ რუკებზედაც ჯვის რაიონში, საიდანაც გამოდის მდინარე  
უკირილა.

პროფ. ი. შანიძის ცნობით ბაცბურ ენაზე ერწო ტბასა ნიშნავს.

ორივე ეს ფაქტი, ვფიქრობთ, საყმაო საფუძველია შემომოყვა-  
ნილ მოსაზრების წამოსაყნებლად. სიმართლე ითქვეს, ერწოს ტაფო-

<sup>1</sup> ვახ უ შეტა, გეოგრაფია, მ. ფანაშვილის გამ., გვ. 135.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 268.

ბი აქამდისაც საბოლოოდ ამომშერალი არაა. ტაფობის შეკრი სახურავი  
ტერიტორია უშბარ ჭაობს წარმოადგენს დღესაც. ის დღემთის დღეს  
გაუშერია ერწოსწყალს, რომელიც მთვარი არხივით შეაწერდა, ჩატარებულ  
ამ ტაფობს. საქართველოში გეოგრაფიული სახელი „ერთო“ აღნიშ-  
ნელით არ ამოიწურება. მეწინავე სადროშოს აღწერაში დასახელე-  
ბულა სოფელი ერწო ხუთი კომლი კაცით და ერთი ბოგანოთი თეთ-  
რი წყაროს რიონში<sup>3</sup>. აწინდელ რუკებზე ასეთი პუნქტი აღნიშნული  
არაა. საინტერესო იქნებოდა ამ ადგილის პოვნა — დათვალიერება:  
ხომ არ წარმოადგენს ისიც ტაფობს? თუმცა არაა გამორიცხული,  
რომ ეს სახელი აქ ნაგვიანევად იყოს შემოტანილი ერწოდან გადმო-  
სახლებულთა მიერ (ამ შერით საყურადღებოა ამ ერწოში ერთი  
მკეიღლი მექომურის გვარი და სახელი ჩეკურიშვილი, ჩეკურა. შერ.  
სოფელი ჩეკურნი ან ჩეკურთარი ერწო-თიანეთში..).

ტერმინ ერწოს, შეიძლება უკავშირდებოდეს ისტორიული ერ-  
წო ხი (კარ. ერტობი), სადაც დავით აღმაშენებელი განძის ათაბაგს  
და მის მიმღვმე ქერქათ შეებრძოლა და „ქმნა წყობანი დიდი და  
კიმა გასმენილნი“<sup>4</sup>. ამ ერწოსას მდებარეობა გაურკვეველია. ის ჰე-  
რეთ-კახეთში იყო და აწინდელ ერწოსთან მისი გეოგრაფიული  
გაიგივება დასაშვები არაა.

უმოწყალო მემანქანემ არც საყარაულოშე გაგვაჩვრა. სამავიე-  
როდ, ავტოს დაზიანების გამო ამ სოფლიდან მოშორებით ჩეკენ მოელ  
საათს უსაქმოდ ვისწერით.

„საყარაულო“ საქართველოში მრავალია. ის ყოველთვის გზასთან  
არის დაკავშირებული და უმრავლეს შემთხვევაში წინ წამოწერელი  
მთის ცხეირზე იყო მოწყობილი. აქედან ის, დღეს ასეთ გააზრებულია.  
ცეკხლის საშუალებით იძლევედა ნიშანს მეორე საყარაულოს. ასეთი  
საყარაულოები გარეშე მტრისაგან თავდაცეს თაღარიგს წარმოად-  
გნდნენ. საყარაულო ორ მთის შეუა ვიწრო ჩეკმიაც ეწყობოდა. ჩეკ-  
ულებრივ აქ ის ტახე-ბურჯს წარმოადგენდა და ორ მიზანს ემსახუ-  
რებოდა: ხეობას ჰკეტავდა და საზერე-საბაკო ადგილიც იყო.

ასეთი საყარაულოები იყო მოწყობილი აგრეთვე ულელტერილებ-  
ზე, მღინარეთა გადასასვლელებზე (ფონზე) და სხვა მოხერხებულ  
ადგილებზე. ამათვან რომელ ტიპს კეცუთვნის ჩეკი საყარაულო? ეს  
მოხერხებული გზასაყარია. აქ თავს იყრიან და უდიშეველია ძველადაც  
თავს იყრიდნენ გზები: თბილისიდან თიანეთისაკენ (თბილისი—გლდა-  
ნი — საბადურის მთა — ლულელები — ხევსურთ სოფელი — საყარა-

<sup>3</sup> მისალინი საქართველოს სტატისტიკ. ღლ. XVIII ს-ში, გვ. 54, 126, 127.

<sup>4</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამისეული ნუსხა, 1905, ტფ. გვ. 282.

ული), საგურამოდან თიანეთისაკენ (ბიშვენი — ახატანი — ნორ-  
ერა — თოლინგი — საყარაულო), უგარმიდან თიანეთისაკენ (ნორი-  
პირით, ბულაჩიურიდან—საყარაულოზე (ნოჭიერი, ჩეკურთულორისებრა  
ცხადია, ისეთი პუნქტი მხოლოდ სპომარი დარწმულების „საყა-  
რაულო“ XIII საუკუნეზე იღრინდელი არ უნდა იყოს. თვით დაწე-  
სებულება, რა თქმა უნდა, შეიძლება უძველესი იყოს. მხოლოდ მას  
სხვა სახელი უნდა რქმეოდა (საზურერე? ზორვეთი? ნეკოძირი).

იმავე დღეს სალამოს ჩვენ თიანეთში ვიყავით. თიანეთი საქმოო  
ფართო ქვეყანაა. იგი იყრისა და მისი შემდინარების (საგომა, კუსნი  
და სხვ.) ნაყოფია: მოზრდილი ქალების კიდევებზე ხშირი სოფლებია  
გაშენებული. ქალაქი (თუ აბაზ) თიანეთი ამ სოფლების ცენტრშია  
იყრის ნაპირას. ის კელშია გაშლილი და კიხე-სიმაგრით დაუცველია.  
ამიტომ პირველი შეხედეთ საკეცოც კი ზრდა, რომ ასეთი დაუც-  
ველი ადგილი საშუალსაუკუნებში ქვეყნის ცენტრად ყოფილიყო  
გამოყენებული. მაგრამ საქმაოა მცირე დაფიქრება, რომ იქვეის  
უსაფუძლობა აშერა გახდეს: თიანეთის ბაზი ციხე-სიმაგრეთა მთე-  
ლი წყებით იყო დაცული. უგარმა, ბოკორმა, კვერირა, არხლის ცი-  
ხე (და უკეცველია ციხეები დასავლეთის მხრიდანც მისადგომ გზებ-  
ზე, რომელიც ჩვენ შეუსწავლელი დაგვრჩა) იცავდნენ თიანეთის  
მევეუანს ყოველგვარ შემოსევებისაგან.

თიანეთის გეოგრაფიული მდებარეობა საშუალსაუკუნეთა მეურ-  
ნეობის გარევეულ ხანში მეტად ხელსაყრელი იყო. აქ ყველაზე უფ-  
რო უახლოვდებინ ერთიმეორეს არავისა, იყრისა და იღტოალი-  
ნის ხეობები.

არავეის ხეობიდან ალაზნის ხეობაში თიანეთზე გადიოდა უმოკ-  
ლესი გზა. თიანეთიდან თანაბრად დასამხარი იყო არავეისა თუ ალაზ-  
ნის ხეობანი. ამიტომაც თიანეთი ბუნებრივი ცენტრი იყო დასახელე-  
ბულ სამ ხეობათა მთიანი ნაწილებისა.

არავეის ხეობიდან თიანეთს მისავალი გზა არა ერთი იყო. სა-  
გურამოდან (ჩერქიდან), ბულაჩიურიდან, უინგანიდან და სხვ. თითო-  
ეულ მათვანს სხვადასხვა დროს სხვადასხვა მნიშვნელობა ჰქონდა. ამ გზების შესწავლა ჩვენ ამჯერად არ დაგვცალდა.

კახეთის ისტორიაში თიანეთს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს.

თავი რომ დავანებოთ უძველესი დროის ბუნდოვან ცნობებს, რო-  
ცა კახეთის ცენტრი თითქოს იყრის ხეობაში იგულისხმებოდა<sup>5</sup>, VII—

<sup>5</sup> ლ ე თ ნ ტ ი მ რ თ კ კ ლ ი ს ბ უ ნ დ ი ვ ე ა ნ ი ც მ ი ბ ე ბ ი ს კ ა ხ ე თ ი ს გ ე ო გ რ ა ფ ი უ ლ ა ს ა ზ დ უ რ ე ბ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ შ ე ი ძ ლ ე ბ ა დ დ გ ე ნ ი ლ ი ქ ნ ა ს VII—XI ს ა უ კ უ ნ ე თ ა ც მ ი ბ ე ბ ი ს

გამოყენებით კერძოდ, ლეონტის მეტად მნიშვნელოვანი ცწობა ჩე ლეთი ს-  
შესახებ. ჩელეთი, უკველია, კახულის თავდაპირებულ ცენტრიდ აქვს წარმოდგენი-  
ლი ლეონტის წყაროს. რა ოქმა უნდა, ამ აღვილის პოვნა-დაღვენა უდიდესი მნიშ-  
ვნელობის საკითხია. ვაჟებტის მისაზრება, რომ ჩელეთი შემდევი დროის ეალეო-  
ნიკო. მეტად საყურადღებო ჩანა „მავავ წულის (ფერლისხმება ერწოსწყალი) შე-  
სართავს შეით, ითარის პირზედ არს აღმოსავლით კერძ ფალეთი, შენობა დიდი და-  
შემცირილი. ვვონებო ამას ჩე ლეთი და, რომელ აღმენა კასოს ქალაქი, რო-  
მელსა პირველ ბერ ერქევა. შემდგომად გორგასალ აღმენა ეკლესია ერთად-შეე-  
ნიერი გუნდათა და დასაკავშირის, მშენების ერწო-თანარეონისა, ფარე-  
ბესტრისა და კერძისა“. თავის მოსაზრებას, რომ ფალეთი იგივე ჩელეთია, ვაჟებ-  
ტი შემდევ შემერტებზე ამყარებს: 1. ლეონტის ცწობის კონტექსტზე, სიღანძე სა-  
ვარაუდებელია ჩელეთის შედეარეობა ბოჭორმის მახლობლად, 2. ფალეთის ნანგ-  
რევთა ხასიათზე — „შენობა დიდი და შემცირილი“, 3. ფალეთის საეპისკოპოსი-  
სამწესის სახლერებზე, 4. გაღმოვევაშე, რომ აე გორგასალ აღმენა ცელესა“  
(ქ' ციონ ე გორგასალ დასაკავშირის შეცხრე ეპისკოპოსის ჩელეთი, რომელ სოფელია შეა-  
ღმენა“ იბ. ვგ. 179). 5. უკველია ვაჟებტის ისიც ეაჩვად იცოდა, რომ ფალე-  
თი ძველად ქვეყნის აღმინისტრაციული ცენტრი იყო და შეძლება ქალაქიც (იბ.  
ქ' ცა 274). ამინდად, ჩელეთი კანონის მიერ აგებდელი ცენტრი იყო კახეთისა, გორ-  
გასამდე ჩელეთის დასაკავშირის და აე ეკლესია აგრო ირჩევა ამ ცონბათა —  
ლეონტისა და ჯუანშერის — კონტექსტებით ჩელეთი და ჩელთა იერის ხეობაში  
არის საგულისხმეული.

ფალეთი აღმინისტრაციული ცენტრი იყო. აქვთ იყო საეპისკოპოსო კათედრაც. ფალე-  
თის ნანგრევები მის მნიშვნელოვნობას აქციანებენ. გაღმოვემო ფალეთის  
ტაძარი ვაჟტანგ გორგასალშია ააგო. მნიშვნელობა არა აქვს ეახებტის შეცდომის,  
რომ ვაჟტანგმა თოთქო აგრესიონით ველესია ააგო. გუნდათიანად ის შეცდოთ  
შემდეგ აეცათ მეცნიერ ისტორიკოსის დასაურდენი უცველა ეს ფაქტები მოდენად  
საფუძვლად ჩანან, რომ ჩელენ მასთან ერთად ავგონებთ, რომ ფალეთი იგივე  
ჩელეთი — (ჩელთა) იყო. სხვა მოსაზრებებს რომ თავი დასანგბოთ, ცონბები ჩელ-  
თის და ფალეთის საეპისკოპოსო კათედრების შესახებ კახეთში ამ თრი პენტეტის  
სხვადასხვაობას თოთქო გამორჩებას.

სახელწირების შეგავსებისდა მიუხედავად, სხვადასხება მოსაზრებათა თანახ-  
მად, უმართებულოდ მიგვაჩნია ჭუანშერისეული ჩე ლთას ძეგა აშინდელ  
შილდების დასაკავშირის (აე მდინარე ჩე ლთი იც არის), და მით უფრო ამ შილდის  
ლეონტისეულ ჩელეთის გავიდვება; ლეონტის წყაროთ შილდა კასოსის კა არა-  
კერძოსის წილში შედიოდა.

ალაზნის ხეობა უფრო ექსპანსია-კოლონიზაციის ობიექტს წარმოადგენს. ამ „კოლონიზაციას“ აღვილი აქვს ერთსა და იმგვე დროსა სამი მხრიდან: ჩრდილოეთიდან, ჩრდილო-დასავლეთიდან უკანა და კუთხიდან ლეთიდან. კერტერა, შუამთა, თელავი, კერემი, ნინოშვილის უკანაშიერ რესტავრაცია ამ ექსპანსიის გზაზე დასაყრდენი პრეტერიციაა. რა თქმა უნდა, ეს ექსპანსია შხოლოდ VII—X საუკუნეთა ამბავი ან არის. ის გაცილებით აღრე იწყება. უფრო აღრე, ვიღრე ჩვენი წერილობითი წყაროები აღწევენ. ლეონტი მროველის ცნობა კახო-ჰერთის საზღვრების შესახებ, რასაც თითქო სტრაბონის ცნობაც უკერს შხარს, გარეკეული დროის მდგომარეობის აღნიშვნელია. მაგრამ ეს ცნობა ან არის უძველესი, რომლის იქით გადახედვა ჩვენ თითქო არ შეგვეძლოს. აქ უკვე სხვა ხერხები უნდა იქნეს გამოყენებული, სადაც არქეოლოგიას და ტოპონომიკას უტიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

ასიმილაცია-კოლონიზაციის გზაზე ქრისტიანობა ერთ-ერთი ეტაპის აღნიშვნელი მოვლენაა. ქრისტიანობა ერთი უძლიერესი იარაღ-თავანი იყო ამ ექსპანსია-კოლონიზაციის საქმეში. მონასტრები და საეპისკოპოსო ტაძრები ამ კოლონიზაციასიმილაციის დასაყრდენი პრეტერები იყო. ქრისტიანობის გაერცელება მცხეთიდან ალაზნის ხეობაში (და ქალკედონური მჩრამისა კერძოდ) ფეოდალურ კლასობრივი ურთიერთობის ტენდენციათა გამარჯვების გვერდით ნიშნავდა

ჩვენს ექსპედიციის ფალთი უნძავი დარჩა, უნდა ვალიართ, მარტინ ამაზე პატის არ წავა. ფრი იყო და ფერომ გვანასნა თავის ნებაზე „უგზოუკვლიდ, ან-ნერდად“. შემდეგ, თავანებში ამ აღვილების მოხილვა ჩვენ უკანასაზღვრმის ნახვის დაკავშირეთ უკანასკნელთა მოელისას კი უკვე სკ მოღლოლი აღმოჩნდით. რომ, ბოჭოჩიში მისულთ, არც ერთმა ხმა ან დაგძარით ფალეთისაეკნ გადასვლასთვის, რაც ერთის ან ორის ზედმეტ უსიამიერ დღელაშის გატარებას გვიქანდა, და საკითხი შეთანხმებული დამილით გადადვიდო.

უფრო გვიან ამავე (ივრის) ხეობაში მეორე (1949 წ.) და მესამე (1951 წ.) გვალი — ექსკურსით და წერილობით წყაროებზე შემდგომი დაკავრვებით ჩვენ ერთოსა და თიანე თის ქვეყნების გვერდით დაღვითის ქვეყანის კონკრეტურ დაგენერიკული განვითარების გარენას გვიქანდა, და საკითხი შეთანხმებული დამილით გადადვიდო.

ასევე სარწმუნოთ გვერდენება კახეთიდან ქართლისაკენ მიმავალი მთავარი ჭრის წობენ-დაღვითის მონაცემი მდინარე იორ ზე გადასასკლა პუნქტი კრითი („საუარიაული“).

საბოლოოდ უკველადურ ამას იერის ხეობის შემდგომი სპეციალისტი ისტორიულ-გეოგრაფიული და არქეოლოგიური შესწავლა გაგვირჩვევა. ჩვენი ინსტრუმენტის მორიგეობისაც ეს არის.

ქართველთა ( resp . კახთა) პოლიტიკური ბატონობის გავრცელება  
ქერქეთში (ე. ი. მის იმ ნაწილებში, სადაც აქმდის წმინდაზე ტურქული  
ცერემონია მოსახლეობა) და ქერთა ასიმილაციას (ეს წერილი მოსახლეობა  
უფრო ადრეც მიმდინარეობდა).

საკითხის ასე დასმისას მეტად საყურადღებო ხდება, ცნობები  
ქრისტიანობის გავრცელების შესახებ ჰერქეთში IV საუკუნიდან, ვიდა-  
რე X საუკუნემდის, როცა უკანასკნელი ტეხილი მოხდა ამ ასიმილა-  
ციის საქმეში. ველისახმობ დინარ დედოფლის მიერ მწვალე-  
ბლობისაგან ქერთა მოქმედება<sup>6</sup>; საყურადღებო ხდება პოლიტიკურ მე-  
საქონა ამ მხრით საქმიანობა.

ჩვენი მოხსენების ხასიათი ნებას არ გვაძლევს ეს ცნობები და  
მოვლენები უალევულად განვიხილოთ და ჩვენ მიერ წამოყენებული  
დეტალება სათანადოდ დავისაფუძვლოთ. მაგრამ გეოგრაფიული მდე-  
ბარეობაც ისტორიული კატეგორია და გრძელებას ხანაში (უკუ-  
მეურნეობის გარევეული სახის პირობებში) გეოგრაფიულ უპირატე-  
სობათა მქონე იქრის ხეობა, თანდათან ჰყარგავს პირველობას და  
კახეთის პოლიტიკური ცენტრი იქრის ხეობიდან აღაუზის ხეობაში  
გადადის. ამას მოითხოვდა საქართველო ძალა შემდგომი განვითარე-  
ბა, ფეოდალური ქვეყნის ეკონომიკური წინსვლა. X საუკუნის მეორე  
ნახევრიდან ყველა ნიშნებით ეს უკვე მომხდარი ფაქტია.

XI საუკუნის 20-იან წლებში აღვილი იქვე კახეთ-ქერქეთის პოლი-  
ტიკურ გერთიანებას, რის შემდეგ „რანთა და კახთა“ სამეფოს პო-  
ლიტიკური ცენტრი, რა თქმა უნდა, თანაეთი ცელაზე იქნებოდა. გა-  
მაერთიანებელმა კვირიკე დიდმა უკუ თელავი სასახლედ და ტაბრად  
კახეთისა და ქერქეთისა<sup>7</sup>. მაგრამ მანვე თითქმ აღნიშნა მეორეხარის-  
ხოვნად ქცეული თანაეთის დიდმნაშენებლოვნებაც და „ჰკუ სასახლე  
თანეთს სახელოვანის<sup>8</sup>, ამიერიდან თანაეთი კვეტერას სახერისთაოში  
შედის“ და მხოლოდ XV საუკუნის დასასრულიდან ყალკე სამოურაო  
ხდება<sup>9</sup>.

ვახუშტის ღრმა მიხედვით შენიშნული აქვს მთის მოსახლეობაზე  
თანაეთის მფლობელთა პოლიტიკური ბატონობის საფუძველი. ფშავ-  
ნით „სიმწირისათვის მონებენ ვისცა უპყრავს თანაეთი, რამეთუ იშ-  
რდებიან მუნიციპი“. შესანიშნავი დაკვირვებაა: მეურნეობის განვითა-

<sup>6</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 229.

<sup>7</sup> ვახ ე შ ტ ი, საქართველოს ცხოვრება, 161—162.

<sup>8</sup> იქვე.

<sup>9</sup> იქვე, 151.

<sup>10</sup> იქვე, 158.

რების გარევეულს პირობებში მთა ბატონობს ბარზე, ხოლო დეკადა  
ბა ეს პირობები და პირუელ მოვლენას აქვს აღვილი: „ამჟაყი მთის/  
შეილები“ მორჩილების ქედს უხრიან განვითარებულ კულტურული ციფრის გარემონიანებულ ბარს, „რამეთუ იზრდებიან მუსიკაზე...“

შეი თიანეთში დღეს ღირსშესანიშნავი ძალის ისტორიული ძეგლი არა-  
ფერია გარდა XVIII საუკუნის გალავანისა, რომელშიაც XIX საუკუ-  
ნეში მოთავსებული იყო თიანეთის საბოჭალოს სამართველო. ლინკსახსოვარია ეს გალავანი 1812 წლის აჯანყების ეპიზოდით. საბო-  
ჭალოს არქივი, რომელიც, უიქველია, საინტერესო მისალებს შეი-  
ცავს ფშავ-ხევსურეთისა და თიანეთის სოციალ-ეკონომიკური ცხოვ-  
რებიდან, მეტად უნუგეშო მდგომარეობაშია. აუზერელ-დაუცველი  
ის განადგურების კარს აჩის მისული. აუცილებელია მისი სასწრა-  
ფოდ გადმოტანა.

მეორე დღეს ჩვენ ფუზნარს შავედით. ფუზნარი თიანეთურინე-  
ნის შეუა გზაზედ ძევს. სანახევროდ თლილი ქვისაგან ნაგები ლიდი,  
კუმბათიანი ჭვარის ტაბის ტაბარი საყმაოდ მოწმობს აღვილის მნიშ-  
ვნელოვნობას.

ტაბარი შიგნიდან გალესილი ყოფილა და თითქო მოუხატავი.  
ყოველ შემთხვევაში მოხატულობის რაიმე კვალი დღეს აქ არა ჩანს.  
როგორც ტაბარის სახე, ისე წარწერის ხასიათი თითქო მოწმობენ,  
რომ ეს შენობა XIII—XIV საუკუნისა უნდა იყოს. წარწერა მოთავ-  
სებულია დასაცლეთის მხრიდან ბალვერზე. ის ასომთავრულია და  
ოთხ სტრიქონის შეიცავს. წარწერა დაზიანებულია და მისი აღდგენა  
ესტუმპური ან ფოტოაპარატით გადაღებასა და ხანგრძლივ ჩავდომას  
მოითხოვს. ჩვენი გადაღება, სამწუხაროდ, სრულიად უვარების იღ-  
მონინდა. (ექვედან დასკვნა: ექსპედიციის მუშაობა სანახევროდ ფასდა-  
კარგულია, თუ მას საუკეთესო ფოტო-მოწყობილობა და ფოტოსტა-  
ტი არ აღლავს.).

### წარწერა შემდეგია:

1 [სახელითა] მამისა ძისა და სულისა წ' ი სა

2.... დედმზ დიდმ: შნ: ცოკველის ასოკულმან:

ხათოვნაუ: აღვა შენე: . . . . . [წ'ი]სა ლის: შშბ

3 ელისა სლცვლდ: სლთა ჩითას: შელთა: და: მომავლთა შე

ჩითა . . . . . წფლი (?) დოლოშისა ფო სა (?) ექლესია...

4 . . . . .

სისწრავე, უხერხელი პირობები (ძლიერი განათება, წარწერის  
სიშორე) და იმედი, რომ ფოტოგადანაღების მიღების შემდეგ შევძ-  
ლებდი ამ სახელდახელო წანაკითხის შევსებას, უკელა ეს უარყოფი-  
თად მოქმედებდა ამ ჩვენს წანაკითხის ხარისხზე. წარწერაში მო-

სენებული სახელი ხათუნაყ ჩერენ სხვაგან არსად შეგვხვდოდა. ის თოთქ XIII საუკუნეში აღრინდელი არ შეიძლება იყოს. სახელმწიფო ფილ სახელი დოლოში აქ ახლო მდებარეობს. აღნიშნულზე უცხოური ტერმინი სოფელი „დოლოშა“ ისე მთა „დოლოშა“. შეიძლებოდა აზამიანს ეფიქრა, რომ ქართლის ცხოვრებაში მოხსენიებული უალეთის მოსაკარგავე აზნაური ისაკ ტოლობელის ძე<sup>11</sup> ამ დოლოშთან იყო დაკავშირებული, რომ ქართლის ცხოვრებაში გარევევით არ იყოს ნითქვამი, რომ ის „აფხაზთა მეფის მკიდრი“ იყო და „მესხი“. ესარგებლობთ შემთხვევით და ქართლის ცხოვრების წაეითხვის შესაძლებლად გამოვთქმამთ შესაძლებლობას, რომ ეს მესხი აზნაური შეიძლება ყოფილიყო გვარით არა ტოლობელისძე, არამედ ტოლოშელისძე. საამისო საბუთია საგეოგრაფიო (სოფლის) სახელი სამცხეში — ტოლოში.

ფურზარიდან დაბრუნებულ ჩერენ „ცხრაყარაზე“ გამოვიარეთ, „ცხრაყარა“ დაბა თიანეთიდან ერთი კილომეტრის მანძილზე თუ იქნება. ის მდებარეობს თიანეთის ჩრდილოაღმავლეთით საკმაოდ მაღალ ბორცვზე. სამხრეთუდან ავლეთიდან მისასვლელ გზის აქ მაღალი კოშე დარიალობს. „ცხრაყარას“ სამხრეთით, კარგა მოშორებით ამ გზის პირს ჩაღაც „ჭვარია“ (პატარა სამლოცველო, საუკუნოვანი ხეებით, „ხატის ტყით“ გარშემო). ასეთი „ჭვრები“ თიანეთის მხარეში სწორედ რომ უთვალავია. ჩანს, აქ კარგად ხარობდნენ ქრისტიანობის ეს მოქმედები. მათი აღწერა-შესწავლა საყურადღებო მასალას მისცემდა ეთნოგრაფ მკელევარს...

გზა „ცხრაყარას“ ჩრდილო-აღმოსავლეთიდანაც შემოუდიოდა. ეს გზა ჯერ ჩაღაც გალავნის კარებს გაიკვიდა, შემდეგ რაც საერთო ხასიათის შენობებს მიადგებოდა და მხოლოდ ამის შემდეგ, საქმია მოშორებით, იყო „ცხრაყარა“.

დღეს ძნელია თქმა, რა კავშირში იყვნენ ერთიმეორესთან ეს გზები, ეს გალავნის ნაშთი და საერთო შენობები, ეს კოშე, „ჭვარი“ და „ცხრაყარა“. ერთობ დიდი ხნის ამბავი ჩანს ყევლა ეს და, რაც მთავარია, არა ერთი ხნის, აქ უძველესი ეთხზვის ნაგვიანევს და მთი დროში დანაწილება, დაგვენა სათანადო სპეციალისტთა ხანგრძლივ მუშაობის მოითხოვს. თვით „ცხრაყარა“ მეტად ლამაზ ადგილას არის აგებული, თვალწინ გადაშლილა თიანეთი — იერის ხეობა: სორი სოფლები, საბაზურის მთა, საყარაულო, ბოჭორიშა. შეიძლება ეს „ცხრაყარა“ იყო „დარბაზი ბოდოქისა სახლი სახელოვანი კვრიკე მეფისა აგებული“, რომელიც „დაწუა“ ბაგრატ მეოთხემ XI საუკუნის 40-იან

<sup>11</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 274.

წლებში, „გარდადგა“ რა „თიანეთს“? ბოდოვი ამ მოწმობით გვოდებული პუნქტია და იგულისხმება, რომ ის თიანეთის ქვეყანაშია. საფიქრებელია, რომ მსევე ესმოდა ეს აღვილი ვასუშტის ადგილი ამბობს: „კუალად ამანვე ც. ი. კვირიკე მეფები“ პყო სასანლე თიანეთს სახელოვანი“ (გვოგრაფია).

დღეს თიანეთი ამ შხარის ერთ დასახელებულ პუნქტს ეწოდება. ძეელად, როგორც ვხდავთ, ეს ასე აზ იყო. თიანეთი ეწოდებოდა ქვეყანას, რომლის აღმინისტრაციული ცენტრი ვარკვეულ დროს, როგორც ჩანს, ბოდოვი იყო, მისი „დარბაზით“. (როდის და რა ურთიერთობაში იყვნენ ერთი მეორესთან ეს ქვეყნები კახეთი, ერწო, უალეთი, თიანეთი და სხვ., ჩვენი ისტორიული გეოგრაფიის მოხივი ამოცანაა).

ბოდოვის „ცხრაყარა“ რთული ორსართულიანი შენობა ყოფილა. მისი ერთი სართული ექვისი, თუ შეიღი ახალანაბაზი ზომის ოთხმისაგან შედგებოდა — თითქო... მათი ფართობია მეტრებში 98,70, 190, 217, 165, 147: ეს ზომა მეტად „თავისუფლად“ არის აღებული და ზედმიწვნილობის პრეტენზიებს მოკლებულია. სასახლეს გარშემო გალავანი ჰქონია შემოვლებული, აომელიც დარბაზის წინ ოთხეტობ ფართო მოედანს 33მნიდა, 540 მეტრისას... ოთახების კედლები მიწასთან არის გასწორებული. გადარჩენილია მხოლოდ ერთ-ერთი ოთახის სამი თაღოვანი კრის...

საინტერესოა, რომ ეს „ცხრაყარა“ თავისი ფორმით სრულიად არა პგავს კახეთში დაცულ „ცხრაყარათა“ სასახლეთა ტიპებს (ასეთი ორი ტიპი ირკვევა თითქო).

შეიძლება ეს იმიტომ რომ ბოდოვის ცხრაყარა „დარბაზის“ ტიპის „სახლი“ იყო? ან შეიძლება ეს განსხვავება ამ სასახლის სიძველით აისწინება და შემდეგ ხანაში „ცხრაყარათა“ სხვა ტიპები შემოვიდა ან კიდევ აღვილობრივ შემუშავდა?

1. IX. ჩვენ არხლიანთქარში წავედით, გვარწმუნებენ, რომ იქ დადი ციხეა.

„თვით აზ იყო ძმარიო, შიგ შევიდა წყალიო“, —

ჩემი ამ მოხსენების ფანარჩენი ნაწილი დამეკარგა. მაინც ვფიქრობ, რომ ჩაც გადარჩა, მასაც აქვს რაღაც მეცნიერული ფასი.

## ერთი უძველესი საბაჟოს ადგილმდებარეობისა საქართველოში \*

ბაჟი ფეოდალური ეკონომიკის ღიღმნიშვნელოვანი დაწერა.

ამდენადეკ ფეოდალურ საქართველოში ბაჟისა და საბაჟობის საკითხის ისტორიულექონომიური შესწავლა მეტად საჭირო ამოცანაა.

სამწუხაროდ, ამ მხრით ჩვენს საისტორიო-სამეცნიერო მუზეუმთაში აქამდის არაფერი გაკეთებულა. ამიტომაც აღნიშნული ამოცანის სასურველი სისტულით შესწავლა, და ეს ქართული საისტორიო მისალების ყოვლად შეუწინარებელ მდგრმარეობის პირობებში, საკმაოდ მძიმე საქმეა.

სათანადო მასალებს კაგროვებ და ახლო მომავალში იმედი მაქვს წინასწარი დაკვირვებანი ამ საკითხის შესახებ გამოვაქვეყნო.

შემდგომი გაღრმავება-გაფართოებით შესაძლო იქნება საკითხის საჭირო სისტულით შესწავლა და ამ მნიშვნელოვან დარჩი-სათვის საქართველოს ფეოდალურ მეურნეობაში სათანადო ადგილის მიერთვნება.

დღეს კი მე ერთი მცირე დაკვირვების გაზიარება მსურს მკითხველთათვის. საკითხი შეეხება ერთი უძველესი საბაჟოს აღგილმდებარებისას საქართველოში. ეს საკითხი, რა თქმა უნდა, უბრალო მეცნიერული ცნობისმოყვარეობის საქმე არ არის. ის დაკავშირებულია საქართველოს საზოგადოებრივი განვითარების ფრიად მნიშვნელოვან საკითხებთან უძველეს ხანაში, რა დროის შესახებაც თითოეული ფაქტის მეცნიერული მოპოვება სინათლის შექმნის შემატებას ნიშნავს ჩვენი ისტორიის ამ ჯერ კიდევ ბუნდოვანსა და საცილობელს არეში.

მას შემდეგ კარგა ხანია, რაც აკად. ივ. გავახი შეი მა უკრავლება მიაქცია „ქართლის ცხოვრების“ ერთ ცნობას, სადაც მოხ-

\* პიჩველი გამოქვეყნდა 1940 წელს.

სენებული არიან „აზნაურნი საზუერელნი“ (ქ'კა 230). სამონიშვ  
ტექსტის დამოუშებით პატივცემული მკვლევარი აღნიშნავდა, რომ  
„ძველ ქართულ მწერლობაში, მაგ, სახარებაში, საზუერელნი და  
უო დაწესებულებას ეწოდებოდა“.

„...ამიტომ“ — დაასკვნიდა მკვლევარი, „აზნაურნი საზუერელნი  
აღნათ საზუერელ-ს ანუ საბაოს მოხელეები უნდა ყოფილოყონენ“.

ამით ჩვენს საისტორიო-სამეცნიერო ლიტერატურაში პირველად  
აღინიშნა, რომ ძველად საბაო დაწესებულებას საზუერელ- და  
დებოდა.

პროფ. ს. ჯანაშიამ ზემოღასახელებულ ცნობაში ტერმინი  
საზუერელ- გვოგრაფიულ სახელწოდებად გაიკო და ამ აღილის  
ლოკალიზაციის გუმანი აწინდელ აღნის მიღამოში აიღო. სხვა მოსაზ-  
რებების გვერდით მკვლევარს აქეთ მოუწოდებდა ჩივიაძე-ამირე-  
ჯიბთა შულობელობა: ამ ფეოდალურ გვარში სახელი საზუერელ და  
ერთი საგვარეულო სახელთავინია.

ამასწინად ერთ-ერთ საკითხთან დაკავშირებით ჩვენ შემთხვევა  
მოგვეცა ქ'კას ამ ცნობას დაკვირვებოდით და ერთი უძველეს სა-  
ბაოს შესახებ ჩვენი აზრი გაკერძო გამოგვეთქვა.

ქ'კა-ს ცნობა შემდეგია: ამბავი შეეხება X საუკუნის შუა წლებს.  
აფხაზთა მეფეს გიორგის აუგანუდა საკუთარი შვილი კოსტანტინი —  
ქართლის ერისთავი. „იშტო მტერობას შამისა თვისისა და ძებნად მე-  
ფობისა და ეითარ განცხადნა საქმე მისი, შედგა იგი უფლისციხეს  
და შეუდგეს თანა ტბელნი და სწუანი მრავალნი აზნაურნი. ხოლო  
გორგი მეფემან ეითარ დაისიდასტური გადგომა ძისა თვისისა და გა-  
მოილაშერა ყოვლათა ძალითა თვისითა და მოიყუანნა ტაოელნი მე-  
ფენი და ფადლა ქორეპისკოპოსიც კახეთით და მოადგეს უფლისცი-  
ხეს და პპრძოდეს მრავალთა დღეთა და ვერა რას ივნებდეს ციხესა-  
რომელ მრავალად დღეს შინაგანით. ზოგსა დღესა შეიძნიან ცხენითა  
და ზოგსა დღესა ქუეითნი.

მაშინ გიორგი მეფემან აბითან აზნაურნი საზუერელ- ელნი  
ესრე სახელ: გამოდ, ჩვენ წარვიყუანთ აფხაზეთად, შენ დაჭედ  
მეფედ და მიმა შენი დარჩეს გარევნით. ხოლო მან დაიჭერა და მოენ-  
დო, გარნა აზნაურნი, რომელნი დგეს თანა, უშლიდეს საქმესა ამის  
და მან არა ისმინა მათი. გამოვიდა ღამე მტერუანსა ტივითა და, ეითარ  
განეწურა პირსა მტერისასა, ვერღარა დაითმინეს, მოეტევნეს შეპ-

<sup>1</sup> ივ. გავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, ტ. I, 1919.

<sup>2</sup> იბ. ჩემი „სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში“. შპს. საქ. და  
კავკ. ისტ., ნავკ. VI, ტუ., 1937.

<sup>3</sup> ხაზი ჩვენია.

ყრობაზე და, ვითარ იგრძნა ზაკულება შეთი, შეატკიცნა ტრინი გაფე /  
რათამცა შევიდეს კიხესავე. ვერლარა დაიმორჩილნა ტავერ, მუჭუჭული  
დეს ადგილსა, სადა ტივინი დადგებოდეს. შეიქმნა ქმა. გამოვიდა მოვიყენ  
და ყოველი ლაშქარი, დაიცუეს ციხე გარეშამო და, რეამს განთვენ,  
იწყო ძებნად. ხოლო იგი გამოსრულ იყო წყლით და შესრულ იყო  
იგი ნაპრალსა კლდისასა და მუნ დამალულიყო. პრა იგი კაცმან, იცნა-  
შან უნდომან, შეიძყრეს და მოვუარეს მეფეესა“ (ქ' ც 270).

ამ ცნობაში ტერმინი „საზუერელნი“, ისე როგორც ცოტა  
ქვემოთ „აზნაურნი გარდაბანელნი“, ამ აზნაურთა სადაურობის  
ღმნიშვნელი უნდა იყოს და პრიოფ. ს. გ ა ნ ა შ ი ი ა მართალი  
იყო, როცა „საზუერეში“ გეოგრაფიულ ტერმინს ხედავდა.

რომ X ს-ში მეზუერე და საზუერე (და მაშასადამე ზუერიც) უკვე  
ცოცხალი ტერმინები არ არიან, ეს ითანე ბოლნელის ქადაგებიდანაც  
კარგად ჩანს.

ბოლნელს მოპყავს ადგილი ოზნთავიდან, სადაც მოხსენებულია  
მეზუერე და საზუერე და იძულებულია თავის მშენელებს იქვე გა-  
ნუშარტოს: „მეზოვერშ იგი არს მებაჟეშ, ხოლო საზოვერშ იგი არს  
ადგილი, სადა იგი ბაჟსა ოვეოფედ“<sup>4</sup>.

აშკარაა, ბოლნელის მშენელთ აღარ ესმით ეს ტერმინები. ისინი  
დიდი ხანია „მებაჟე“-თი და „საბაჟე“-თი შეცვლილან<sup>5</sup>.

აშიტომ ქ' ც ა-დან მოტანილ ცნობაში გამოთქმა „აზნაურნი საზუე-  
რელნი“, ბენებრივია, გაერგოთ როგორც აზნაურნი „საზუერე“-დან  
(თუ „საზუერე-თი“-დან), სადაც „საზუერე“ (თუ „საზუერე“-თი) და-  
წესებულების სახელისაგან წარმომდგარი გეოგრაფიული სახელია.

შავრამ ამ ცნობიდანვე იჩვევა, რომ ეს საზუერე საძიებელია არა  
ქ' ინდელ ალის რაიონში, არამედ „გამრა მხარში“, ანუ შემდეგი  
დროის საციციანოში. საქმე შემდეგმია: უფლისციბე, სადაც აგანე-  
ბული უფლისწული ჩაიკეტა მტკერის მარცხენა ნაპირშე გაშენებუ-  
ლი ციხე-ქალაქი იყო. დამავლეთ-სამხრეთიდან ციხის კედლებს უშე-  
ალოდ მტკერი ჩაიდიოდა და მდინარეშე ქალაქიდან (დღემდისაც  
კარგად დაცული) უზარმაზარი გვირაბი მოდიოდა.

<sup>4</sup> ითანე ბოლნელ ეპიკომისის ქადაგებაზე, გვ. 9, საუკ. მეზ. გამოცემა, 1911.

<sup>5</sup> როდის და ჩა ნიადაგშე მონდ ტერმინების ასეთი შენაცვლება, იყო თუ არა  
რამე გამსხვივება „ზუერ“-სა და „ბაჟ“-ს შორის, — ეს მეტად საინტერესო-  
საყითხები ჩევნს დღევანდელ დაკვირვების საფანს არ შეაღენენ.

ციხე-ქალაქის გარემოდგომა შეფექტური გიორგის ჩრდილოეთი ქალაქის აღება გასტირდა. ვიორგი შეფექტური მოღალატები შეუჩინა აჯანცერებული კულტურული უძლის: „გამოდ, ჩუენ წარვიყუანოთ აფხაზეთად“ და სხვ. კომიტანტის ტანტინეც ტივით გასურავს მტკვარს, სადაც მის „აზნაურინი საზუერელი“ ეგულება; ღალატს რა შეიტყობს, ტივს მოაბრუნებს და ისევ ციხე-ქალაქში შემოსვლის ლამბას.

აშენა, „აზნაურინი საზუერელი“ მტკვრის მარჯვენა მხრიდან არიან მომდგარი და აქეთ ეპატიებიან კომიტანტინეს. უკანასკნელს სწამს, რომ, თუ მტკვრის მარჯვენა ნაპირს გავა და „აზნაურინი საზუერელი“ მოისურვებენ, ისინი შესძლებენ მის უვნებლად „აფხაზეთში“ გადაყვანას. თუ ეს იმედი არა, ის, რა თქმა უნდა, მათ არ ენდობოდა. ამიტომც იყო, რომ სწორედ „აზნაურინი საზუერელი“ და არა სხვა ვინმე „აბირნა“ ვიორგი შეფექტური ასე რომ, ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს: „აზნაურინი საზუერელი“ ეს იყვნენ „გალმა მხრის“ ანუ შემდეგი დროის საყიდიანოს აზნაურინი და ეს „საზუერე“ (ანუ „საზუერეთი“) ამ მხრის მოავარი პუნქტი იყო.

შესაძლებელია ისიც, რომ „საზუერელი“ ამ ღრის აზნაურთა ერთ-ერთ დიდგვარის აღმნიშვნელი სახელი იყო (ძირ, ტბელი, თორელი), რაც სრულიადაც არ აბრკოლებს იმ მოსაზრებას, რომ „საზუერე“ (თუ „საზუერეთი“) გეოგრაფიული სახელი იყო და რომ ამ სახელის გეოგრაფიული ადგილი მტკვრის მარჯვენა მხარეს არის საძიებელი. რომ „საზუერე“ მართლაც ამ მხარეში უნდა ვეძიოთ, ამას ერთი ნაგიანევი ხსიათის ცნობაც ამტკიცებს. განსვ. თ. ე თა და ანიას თავის „ქრონიკების“ მეორე წიგნში 1543 წლის ქვეშ მოყვას მხედრული წარწერა ბრეთის ეტრატის ოთხთავზე: — აქ. აქეს ს აზუერისა ღრმა თი მ მშობლისა იქრობლებულსა სამი ჩარექი ვერცხლი, მისა სარგებელსა ასისა თანგისა ცვლა მიართმევდეს და ნაბეჭდა ლოტრა სანთლისა ვულსა მიართმევდეს. სხვა არასთანა სათხოვარი არა გეთხოვებოდეს რა ხატის სამსახურის მეტი, წელიწადშივან ამას მიართმევდეთ, ერთისა სათათროსა მალის მეტი. დაიწერა ესე წიგნი ქას სლა, თიბათვესა კმ\*.

ავევ თ. ე თა და ანია განავრძობს: „ამ ღრისავე უნდა იყვეს მეორე ასომთავრული წარწერაცა მარჯვენა ყდაზე იმავე სახარებისა: მე ფრიად კოდვილმან შალიკაშვილის ასულმან, თანამეცხელრემან ფანასკერტელის ფარსადანისმან გულდამ კელვავ დიდებულისა ს აზუერისა ღვთის მშობლისა ოთხთავისა შემეობად საბსრად სულისა ორთავე ჩუენ მეუღლეთა და საღლევრელოთა ძე-

თა ჩუენთათვის „ამინ“. ის გარემოება, რომ „საზუერის ლვოსმშობელის“ ოთხთავის შემქობაზე ზრუნვის ფარსაღან ფანასკერტელის ჩე-ულე „სახსრად სულისა თრთავე ჩუენ მეულეთა“, სამართლისათვის გვაფიქრებინებს, რომ „საზუერის ლვთისმშობელი“ ფარსაღან ფანასკერტელის მაშულშია. დღეს ამ სახელით რაიმე ეკლესია-მონასტერი აღნიშნული არაა. ჩუენ გვექს ცნობა, რომ „საზუერის ლვთისმშობელი“ მოიხსენიება XVIII საუკუნის ერთ-ერთ საბუთშიც, რომე-ლიც ციციანთ სამამულო საქმეს შეეხება.

ამ. თამაზ ციციშვილის ცნობით ასეთი სახელი „საზუერის ლვთისმშობელი“ მის ნათესაბაში ჯერ კიდევ ახსოვთ.

ასე რომ ყველა ცნობები ერთი მეორეს აქცებენ და მოწ-მობენ, რომ „საზუერე“ გარეუცლ დროს გეოგრაფიული ადგილის სახელი იყო გაღმა მხარში.

როგორც აღნიშნეთ, ქართლის ცხოვრების ზემომოყვანილ საზუ-ერეს პროფ. ს. ჯანაშია აღის სანახებში ეძებდა. მას საამისო ორი საფუძველი პქონდა: აქაურ ფეოდალთა — ჩიევაძე-ამირეჭიბთა საკ-ვარეულო სახელი „საზუერელი“; მეორე საფუძველი აღის სანახებში „საზუერეს“ ძიებისა, უკველია, ის იყო, რომ აქ „აფხაზთა სამეფო-სა“ და ქართლის საზღვარზე და ამ ორი ქვეყნის შემაერთ გზაზე უკ-ველად უნდა ყოფილიყო „საზუერე“ — საბაკო.

ქართლის ცხოვრების ზემომოყვანილ ცნობისაგან დამოუკიდებ-ლად ორივე მოსაზრება სრულად მართებულია (დოკუმენტურა-დაც კი დამტკიცებულია, რომ აღში საბაკო იყო), მაგრამ ამ მოსაზ-რებებით ქართლის ცხოვრების „საზუერე“-ს ამ აღვილის ქებნა, ვფიქრობთ, კერ არის მართებული. ამას ეჭინაალმდევება ქართლის ცხოვრების ტექსტის ჩვენებური გავება, ხოლო ჩვეში ასეთ გავებას, როგორც ენახეთ, მხარს უკერენ შემდევი დროის დოკუმენტური თუ ზეპირი ცნობები. რაც შეეხება ჩიევაძე-ამირეჭიბთა საგვარეუ-ლო სახელს, ის მეტად საფრთხილო (ამავე დროს მეტად სიინტერე-სო) საბუთის: ჯერ ერთი, ჩვენ არ ვიცით, ფეოდალთა ეს საგვარეუ-ლო იმ, ძველი დროიდანევ, როცა შესაძლებელი იყო მათ საგვარეუ-ლო სახელად „საზუერელ“ ქცეულიყო, აქ მეციდრობდა თუ არა და მეორეც, ჩვენ არ ვიცით; ეს სახელი (საზუერელი) დედის ხაზით ხომ არ აქვს მის მიღებული „საზუერე“-სთან ყოველგვარი კავშირის გა-რეშე?

ერთ სამუშაოსთან დაკავშირებით ჩვენ შემთხვევა გვეონდა ჩიჯა-ვაძე-ამირეჭიბთა გვაჩიზე დაკავშირებისა, გამოიჩევა, რომ კიხატერ ამირეჭიბის შეილი საზუერელ ჩიუვეს-ძე XV საუკუნის დამდევს ჩველურების შელობელია, ხოლო XV საუკუნის 40—50-ან წლებში

ჩიუავას-ძენი „გალმა მხარს“, საერთოდ, და ატენის მოურაობას, ძოდ, ეცილებიან ამ მხარეში ახლად ფეხმოკიდებულ ციციშეიღლება<sup>6</sup>. ამის მიხედვით ჩვენ ის მოსაზრება გამოვთქვით, რომ ჩიუავა მიუწვდებოდა საუკუნემდის „გალმა მხარშიაც“ მიუწვდებოდათ ხელი და შენლოდ ციციშეიღლების აქ საბოლოოდ დამყვიდრების შედეგად სტრუქტურა მას. სამართლიანია, ციფიტობით, დაესვათ კითხვა: ეს საგვარეულო ძველად მოთავსდ ან უმთავრესად გაღმა მხარში ხომ არ მყვიდრობდა?

ამ კითხვაზე დადგებითი პასუხის შემთხვევაში საგვარეულო სახელი „საზუერელ“ ჩიუავაძეთა გვარში მართლაც შეიძლება დაევშირებულ იქნეს „საზუერე“-სთან, მაგრამ არა ალის სანახებში, არამედ გაღმა მხარში, ე. ი. შემდეგი ღროსს საციციანოში. ვინ იცის, შეიძლება სწორედ ამ ჩიუავაძეთა გვარისანი, მათი წინაპარი იყენენ ის „აზნაურინი საზუერელინი“, რომელთაც აგრე ემარჯვებოდათ უფლისწულ კონსტანტინეს „აფხაზეთში“ გადაყვანა.

ამგვარად, ჩვენი დასკვნებია: უძეველეს ღროს, როცა ჭერ კიდევ ტერმინები „ბაზი“, „საბაზო“ არ შემოსულიყო, „გალმა მხარში“ ანუ შემდეგზრითინდელ საციციანოში არსებობდა საბაზო დაწესებულება, რომელსაც „საზუერე“ („ზუერის ადგილი“) ერქვა; X საუკუნეში „საზუერე“ აქ კარგა ზნის გეოგრაფიული ტერმინია (ას თქმა უნდა, საბაზო დაწესებულება ამით აქ არ გაუქმდებულა და სა ა ბ ა ჟ ოს“ სახელით ის შემდეგ ღროებშიაც არსებობდა); ამ ტერმინითაა ნაწილობრივ აზნაურთა გვარი „საზუერელინი“; ამ გვარის ძირიული „მაზული“ სწორედ ეს საზუერე (საზუერეთი) უნდა ყოფილიყო (შერ. ტბელთა ტბეთი, თორელთა თორი); ამ ტერმინის გარდანაშო წარმოადგენს „საზუერის ლცთისმშობელი“.

აქ შეგვეძლო დაგვემთავრებია და ჩვენი ამოცანა გადაწყვეტილად ჩავვარეთვალი<sup>7</sup>, მაგრამ ზედმეტი არ იქნება, ვფიქრობთ, საყითხის სახით რამდენიმე მოსაზრებაც იყოს აქ დართული.

მაინც საღ უნდა ყოფილიყო ეს „გალმა მხარის“ „საზუერე“. ნაგვანევ ზანაში გაღმამხარში ცნობილი იყო „ზოვრე თის სა ბ ა-

<sup>6</sup> იბ. ქრონ. II, 213 და ნები ფერდალურ ურთიერთობითი XV საუკუნეში: დოკუმენტი კრიტიკ. წერილით. მახალები საქართვ. და კავკ. ისტ.-საზოგად., I, 1937.

<sup>7</sup> დიდი ცერინომიცერი მნიშვნელობის საყითხის საბაზოებთან დაკავშირებით, როგორიცაა, 1. ამ საბაზოს დადგრალუკალიზების მნიშვნელობა უძეველი ღროსს ცერინომიცეს გასათვალისწინებლად, 2. უძეველეს საეკრან გშების მიმართულებითა დადგრანა ამ საბაზოების მიხედვით და სხვა ასეთები, ღლევანდელი ჩვენი იმცვანის ფარგლებს გადასცდებან. —

კო. ზოერეთი ძველი ქალაქი ჩანს და ჩეენ არა გვაქვს საცურავის  
მდინარე ძამის ხეობით მომავალ გზაზედ გამართული ეს მძივრების  
საპაკო აქ ნაგვანევად გაღმოტანილად ვივარიულოთ.

გაღმამხრის ფეოდალურ-პოლიტიკური ცენტრი, თუ ამანებ უწინა  
ნაც არა, X საუკუნეში მაინც „ძამის ციხე“ უნდა ყოფილიყო.  
ამ საუკუნის მეორე ნახევარში ეს იყო აღარნასე ძამელი მთავრის რე-  
ზიდენცია (ქართლის ცხოვრება, 234).

ვახუშტი თავის გეოგრაფიაში წერს: „ძამაზედ არს მძორეთი, მცი-  
რე ქალაქი. მოსახლენი სომებინი, ურიანი. ციხე არს მაღალ კლდესა  
ზედა ნაშენი. ეს არს ძამის ციხე, ამ ციხის ქვეშ სასახლე ციციანთა“<sup>8</sup>.

ჩეენთვის აქ განსაკუთრებით საინტერესო ის არის, რომ ციხეს  
სხვა სახელი აქვს — „ძამის ციხე“, ხოლო ქალაქს, რომელსაც ეს  
ციხე დაჰყურებს, ბატონობს და იცავს, კიდევ სხვა — მძორეთი. ვა-  
ხუშტის დროს, მამასადამე, ძამის ციხის ქვეშ გაშენებულ ქალაქს  
მძორეთი ერქვა. საბაკო დაწესებულება მძორეთში (თუ მის გარშემო  
ადგილებში) უძველესი დროიდანვე უნდა არსებულიყო. ძველი ქალა-  
ქის აქ მდებარეობასთან ერთად ამას მოწოდებს თვით ძამის ციხის აქ  
არსებობაც.

ძამის ციხე ძველიდანვე ამ სახელით იყო ცნობილი.

ეხლა, თუ X საუკუნის „საზუერე“ საბაკო დაწესებულების სახე-  
ლიდან წარმომდგარი გეოგრაფიული ტერმინი იყო, ასეთი ადგილი,  
ბუნებრივია, ძამის ციხის მიდამოებში უცილი უცილი უცილი უცილი,  
ე. ი. იქ, სადაც შემდგევ დროში მძოვრეთსა ეხედავთ.

ბუნებრივად იბადება კითხვა: ტერმინი მძოვრეთი (ზოვრეთი) იმავ  
უფრისაგან ნაწარმოები სიტყვა ჩომ არ არის, საიდანაც „საზუერე“.

ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა, რომ გეოგრაფიული  
სახელი „ზოვრეთი“ საქართველოში სხვაგანაც გვხვდება. ასეთია:  
ზე მო იმერეთში ქვემო საზანოს თემში სოფელი ზორვე თი,  
და XVIII საუკუნეში ჭერ კიდევ ცოცხალი, ხოლო ამ უკვე არასე-  
ბული სოფლები: საბარათიანო ში მძოვრეთი<sup>9</sup> (მძოვრეთი,  
ცოვრეთი)<sup>10</sup> და კახეთში: აწინდელ საგურამოში ბიწმენსა და

<sup>8</sup> ვახუშტი შტო, საქართველოს გეოგრაფია, მ. ჯანმედის გამოც, გვ. 82.

<sup>9</sup> ვახუშტის უცილ „ძამის ციხეს“ დღეს „ზოვრეთის ციხეს“ ეძღვიან.

<sup>10</sup> ა. მ. მასალანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა XVIII საუკუნი, გვ. 55, 121, 118, 132, 135, 137; სისტემით მომზე, II, 1536 წლის საბუთო.

ზაქარიას შორის მათ რეთი 11. ზოვრეთი მოიპოვება კლარჯეთშიც  
ქალაქ სათლე ს მახლობლად მის, ჩრდილო-დასავლეთით.

ზემო იმერეთის ზორეეთი სკანდა — შორაპანის იმ ქალაქის და მის გადიოდა, მეტად საინ-  
ზაზე, ქართლსა და კოლხეთს შორის რომ გადიოდა, მეტად საინ-  
ტერესო და დამაფიქრებელია. ასევე საინტერესოა საბარათიანოს  
მიმოვრეთიც ქალაქ სამშეილდის მახლობლად და კლარჯეთის ზოვრე-  
თი ქალაქ სათლეს მახლობლად. ხოლო მძოვრეთი კიშეთს XVIII  
საუკუნეშიაც საბარა ადგილი ჩამს... —

## წეალტებოს ისტორიისათვის\*

უძველესი წერილობითი ცნობა აუზიდელი წყალტუბოს სამკურნალო წყლის შესახებ XIII საუკუნიდან მოგვეპოვება<sup>1</sup>.

გვლათის მონასტრის დეკანოზი იაკობი<sup>2</sup> ჩახულის ლეთისმშობლის ხატისათვის შეწირულობის წიგნში ასწერს თავის სამეურნეო მოღვაწეობას ამ შეწირულობასთან დაკავშირებით და სხვათა შორის ამბობს: „გავიჩინე ესე:... მამული ჩემი მკუიღრი, პატრიონთაგან ბოძებული, მაღლაკს აბანო ის ა ს ა ს ა ბ ლ ი პირველცა სადეკანოზოდ შემექნა, თხუთმეტითა ლიტრითა ზეთითა ხახულისა ღოთისმშობლისათვის შემეწირა და აწცა, ვითა მომიქსენებია, განაღამც პაგრევე მას პმსახურებდეს. მისა სახლს აქით ქიჯგუსძე: ა:, ვაშაბერისძე: ა:, ფარისმანუანევს ჩაკოსძე: ა. ³ მათითა მიწაწყლითა, ტყითა, ველითა, სანაღისოთა, საქმიარითა და უქმიარითა ყოვლითა სამრი პარტანი, რომელთაგან გმირსავალნია: გუგაბაური, ლერუცული, ქორაული, გისალაური“. ქვეით დეკანოზი იაკობ ჩამოთვლის გლეხებს, ხა-

\* პირველი გამოცემაზე 1943 წელს.

<sup>1</sup> ამ სამუთის გამოშეცვლის, თ. ერთდანის, სამისო თარიღი (1246—1250 წ.) შესაძლებელია მცირე შესწორების მოიხოედეს, მაგრამ მარც უდავოა, რომ ეს ძველი XIII საცავებში არც აღწერილი.

<sup>2</sup> თ. ერთდანის აზრით ეს იაკობი და 1202 წელს თამარ მეფის სიგლის დამწერი სერე შეიცინდარი იაკობ აწერდასმე ერთი და იგივე პირია. ის თ. ერთდანია, ქრისტინები, II, ვე 128. სამწუხაროდ, მკელევარის სამისო სამუთიანობა საეხებით საქმიარის არა ჩამს.

<sup>3</sup> ძველის გამოშეცველი აქ ანის ნაცვლად ი-ნისა სწერს, თუმცა ვჰეობს, რომ აქ ა-ნი უნდა იყოს ქემიკოდეს, ჩვენც ვვიქტორი, რომ აქ დაწერილი უნდა უოფლიური ანი, ვ. ა. ერთი გლეხი. მას უნდა მოწმობდეს აქვე ქვემოთ აღნიშნული მაღლაცელ და ფარისმანუანეველ გლეხთა ღვინის გაღისახლის წუმიალი: „სამი უჩემ ლურინ“.

ხულის ლეთისმშობელს რომ შესწირა მან ზარაოს, ზენა ბერძენის ტურიბულს, რაჭის და გადაკვეთით აღნიშნავს ყველა იმ განახის ბეგარა-გადასახადს მონისტრის სასარგებლოდ: „ამათ ყუდის მიზანი თავან საუძარა ბეგარასა აქით ოცდაოთხი ლიტრა უკიდი გამოვალს; ზარათელთა გლეხთა გამოვალს მონისტრულითა ფიდითა კოითა თურამეტრი კოკაი ღური და: ა: გრივი ქურამი; მაღლაველთა და ფარსმანუანეველთა გლეხთაგან გამოვალს სამი ურემი ღური უპარტა-ხტოდ და ტუისაგან მოდი რაიცლა მოვალს, იფელი, ფეტვი და ღომი და ამათ გუმლათა ოთხ-ოთხი თეთრი საყაჭონო ზედა აც“<sup>4</sup>.

ჩეკენ გუმანი ივიღეთ (მსა შემდევ კარგა ხანია), რომ მოტანილ ამონაწერში მოხსენებულ „აბანოისა სახლში“ წყალტუბოს აბანი იგულისხმება. ერთის შეხედეთ ამ მოხაზრებას ის გარემოება ეწინააღმდეგება, რომ მოტანილი მოწმობის „აბანოისა სახლი“ დასახელებულია „მაღლავი“, ხოლო დღეს ამ სახელის სოფელი (მაღლავი) დაშორებულია წყალტუბოს აბანის. ამიტომ ბუნებრივია და მართებული ამ ჩეკენი მოწმობის აბანი უპირველეს ყოვლისა აწინდელი მაღლავის სახლვრებში ვეძიოთ. მაგრამ აწინდელი მაღლავის სახლვრებში მინერალური აბანი დამოწმებული იჩაა, ხოლო ამ ჩეკენს მოწმობაში რომ მინერალური აბანი იგულისხმება, ეს ჩეკენ უდავოდ მივაჩინა. ამავე დროს, არ აჩის გადაულახველი ის დაბრუოლება, რომ დღეს მაღლავი კიდევგან არის წყალტუბოს მინერალური წყლებიდან. აჩაერთ სოფელს უამთა ვითარებაში შესცელია საზღვრები; ზოგი სოფელი შემცირებულა, ზოგი გაურცობილა, ზოგსაც სულ გამოუცვლია ძეელი იდგილი და ახალ მიწა-წყალშე გაშლილა (ასეთ შემთხვევათა მიზეზების მოყვანა და მაგალითების დასახელება აღვილი საქმეა). ამიტომ ჩეკენ ვერაფერი შეგვიძლის ხელს, რომ აწინდელი მაღლავის სახლვრები არ შევიწყნაროთ ძეელი ვითარების ილმიშვნელად (თვით სახელწოდება „მაღლავი“, თუ ეს ცნება „მაღლას“ უკავშირდება, შეიძლება იმის მოწმობადაც გამოდგეს, რომ ძეელად ამ სოფელის „ცენტრი“, ე. ი. ის ნაწილი, საიდანაც მთელმა სოფელმა

<sup>4</sup> ამერიკად ამ საბუთის დედნის გასინჯვის საშუალება ჩეკენ არა გვაძეს. გამომდინარების ტექსტს ჩეკენ, რა თქმა უნდა. უცალელად ვაცავთ. თ. კორდანია, ჭრის ნიკები, II, გვ. 128—129.

<sup>5</sup> საერთოდ, ძეელი წყაროები, ზეპირი თუ წერილობითი, სოფლად. — უკათ, არა ქალაქად, — აბანის დასახელებისას მხოლოდ მინერალურ სამეცნიალო წყალს გრძლისხმობენ. ი. ფავაზიშვილი, ბალნეოლოგიური და ინირაციური მეცნიერობა საქართველოში, ტუ., 1935.

სახელშოდება მიიღო, აწინდელი მაღლაკის გარეთ საღლაც ზუგადი იყო).

წყალტუბოსა და მაღლაკის ურთიერთ შორის მდებარეობის წერტილი იყო 1586 წელს თავად წულუქიძეს ხოში „ხოსროს სახლე“ უწყალობა და „ამას გარეთ“ გიწყალობეთო, ნათევამია სამისო წყალობის წიგნში, — „ჩევნი სახასო სანადიროები და სასახუნდროები წყალტუბო ბოლო ბოს გაღმა ბოლო-ლო კის საზღურამდის“. აქედან ის მაინც ცხადია, რომ XVI საუკუნეში „წყალტუბოს გაღმა“ (აქ ორა აღვილი წყალტუბო, ორა მედ მდინარე წყალტუბო იგულისხმება) მეფის სანადირო-სასახუნდროები იყო და ეს აღვილები ბოლო-მაღლაკს უშუალოდ ესაზღვრებოდა, რომ, მაშისადამე, მაღლაკია და მდინარე წყალტუბოს შორის სოფელი რაიმე იმ დროს ჭრ კიდევ არ ყოფილა. არაფერია შეუძლებელი იმაში, რომ ეს ცარიელი (თუ დაცარიელებული?) აღვილები მდინარე წყალტუბომდის და, მაშისადამე, აწინდელი აბანოების ტერიტორიის მარტინა ნაწილი უფრო ჟელად თვით მაღლაკის საზღვრებში ყოფილიყო.

XIII საუკუნის საბუთიდან ჩანს, რომ „აბანოისა სახლი“ ძევლად სამეფო ქონება ყოფილა. ამას მოწმობს გამოთქმა „მამული ჩემი მეფიდრი, პატრიონთაგან ბოძებული“. იყომ დეკანოზის ეს გამოთქმა ნიშნავს, რომ „აბანოისა სახლი“ მას მამისაგან პქონდა მიღებული („მამული“), რომ ეს ქონება მამა მისს, შეიძლება, პაპსაც კი, მეფისაგან პქონდა ნაწყალობეցი („პატრიონთაგან ბოძებული“) საშვილის დროზე („მეუიდრი“). ასე რომ, ისე როგორც სამეფო სანადირო-სასახუნდროები ბოლო-მაღლაკის საზღვრიდ XVI საუკუნეში, „აბანოისა სახლი“ საღლაც XII საუკუნეში სამეფო ქონებიდან კერძო მფლობელობაში გადასულია. და ის ეს „აბანოისა სახლი“ იაყომ დეკანოზის მეფე დავით რუსუდანის ძის ნებართვით („მეფეთმეფისა წყალობითა“) ხახულის ღვთისმშობლის ხატისათვის შეუწირავს იმ პირობით, რომ ამიერიდან ამ „ხატის მამულის“, ე. ი. „აბანოისა სახლის“ მოურავი-მმართველი გელათის მონასტრის დეკანოზი იქნება („პირველცა სადეკანოზდ შემექნა“).

შემწირველ იაყობს თავისი შენაწირისათვის ყოველწლიური გადასახადიც გადაუკეთია ხატის სასაჩიგებლოდ („განაღამაც პაგრევი მას პშავურებდეს“) — 15 ლიტრა ზეთი.

\* ხაქ. შემ. ხელნაწ. განკ. № 2270.

საინტერესოა „აბანოისა სახლის“ გადასახადის სახეობა  
 ზეთ ი. იყობ დეკანოზმა, როგორც ზემოთ საბუთის მოტენიშვილის გადასახადის სახეობა  
 კვიშნეთ, გლეხები „მოივო“ და ხახულის ღმრთის მშობელი შემქამებელი იმავე მაღლაკს, ფარსმანყანევს, ზარათს, ზენა სეანდეს, მეხურს, ტყირბულს, რაჭას და ცხელა ამათი გადასახადიც გადაწყვიტა: ცვი-  
 ლი, ღვინო, ქვრიმი, ფეტვი, ღომი და ოეთრი საყაჭობო, ე. ი. ფუ-  
 ლი? არსად, როგორც ვხედავთ, გადასახადის სახეობად ზეთი არ  
 ჩანს და ის მხოლოდ „აბანოისა სახლის“ მართებს. ეს გარემოება,  
 ვფიქრობთ, ჩვენი მიზნისათვის განსაკუთრებით საყურადღებოა.  
 უპირველეს ყოვლისა ეს გარემოება იმის უდავო მოწმობაა, რომ აბა-  
 ნოისა სახლის მეურნეობა არსებოთად განსხვავდება ახლობელ თუ  
 შორეულ გლეხთა მეურნეობისაგან. ცონბილი ამბავია, რომ ამ თუ იმ  
 პირის გადასახადის სახეობათა განსაზღვრა მისი მეურნეობის სახეო-  
 ბაზე იყო დამოკიდებული. ასე იყო ყველგან ნატურალური მეურნე-  
 ობის პირობებში, ასე იყო ჩვენშიაც. ამავე ღრის არაა საფიქრებე-  
 ლი, რომ მხოლოდ „მაღლაკს აბანოისა სახლი“ ეწეოდა მეზეთობას,  
 მაშინ როცა იქვე მაღლაკს და სხვა სოფლებში ასეთ მეურნეობას  
 სხვა არ მისდევდა.

მაგრამ შეიძლება „აბანოისა სახლი“-ში „აბანო“ გლეხის საკუთა-  
 რი სახელია და „მაღლაკს აბანოისა სახლი“ საგლეხო კომლის აღნიშ-  
 ვნაა ისევე, როგორც, ვთქვათ, ამავე საბუთში დასახელებული „ზა-  
 რათს... არსენისძისა სახლი“? ვფიქრობთ, არა. ჯერ ერთი, აბანი ადა-  
 მიანის სახელად ჩვენ არსად შეგვხედითა”; გარდა ამისა, თუ აბანო  
 გლეხის სახელია, მოსალოდნებული იყო, რომ შემწირველი მისაც მა-  
 მისძეობით დასახელებდა ისევე, როგორც იქვე, მაღლაკს, ასახელებს  
 ორ გლეხს: „ქიჯგუს ძე: ა: ვაშაბერის-ძე: ა:“; შემდეგ, ამ „აბანოი-  
 სა სახლის“ აღნიშვნისას შემწირველი არ ასახელებს კომლის რაოდე-  
 ნობას, მაშინ როცა იქვე ქიჯგუს-ძეს და ვაშაბერის-ძეს კომლობით  
 იხსენიებს; შემდეგ, იყობ დეკანოზის მიერ უცელა შეწირულ გლეხს  
 ბეგარა-გადასახადის მრავალსახოვანობა ახასიათებს, მაშინ როცა

\* თვისითაგად მეტად ძეირფასი ცნობაა იმის შესახებ, რომ ყაჭი სოფელში  
 ფულის შესედის ერთ-ერთი უკელაზე პირველოებანი წყარო იყო, რომ ყაჭი-  
 ბას, ე. ი. აბანის მოყვანისას, სოფელს ფულიინბა ახასიათებდა, რომ, მაშა-  
 სადამე, ამ ღრის ხდებოდა ყაჭის შესუიდეთ ვაჭრების მიერ შეაბრეშემე გლეხთა-  
 ვან, რომ „ფაჭობა“ „ოეთრის“ მეურნეობად იყო ცნობილი, რომ სურარედ ასე  
 იწყება სულაც გადასახადის უცელადით შეცელაც (კომურაცა). შდრ. ღლემდე შე-  
 მორჩინილი თქმები: „დაუავე ფულა“, „ჩაუფაჭი გიბეში“, „ამოფაჭე“ და სხვ.

\* გვაგონდება ებანოის-ძე, ებანოის-ძე, „აბანო“-ჲთან კავშირი რაიმე მას არ  
 უნდა ქვინდეს.

„აბანოისა სახლს“ მხოლოდ ზეთით „სამსახური“ მართებსკ შემდგაროვნობის შემონაბრუნვით, „აბანოისა სახლი“ ახასიათებს, გადასახადის სახეობის სრული გამსხვავებულობა; დაბოლოს, თვით გამოვალის გველი გამორიცხავს „აბანოისა სახლს“ მის მიერცვე შეწირულ გლებთა რიცხვიდან. იყომ დეკანოზი ჩამოთვლის მის მიერ შეწირულ გლებებს მათი საღაურობის ჩვენებით: იწყებს მაღლავით, რომელსაც მიქაცვება ფარსმანუანეცი, ზარათი, არგვეთს ზენა სკანდე, ტყირბულა, რაც ას ქორთა, მუხური და სწერს: „ამათ უუელათა გლეხთაგან სხუასა ბეგარას აქათ ოცდა-ოთხი ლიტრა ცკლი გამოვალს. ზარათელთა გლებთა გამოქველს მონასტრულითა დიდითა კოკითა თერამეტი კოკი ღუინი და: ა: გრივი ჭურამი, მაღლაველთა და ფარსმანუანეცელთა გლეხთაგან გამოვალს სამი ურემი ღუინი უპარტაზოდ და ტყისაგან მოდი, რაიცლა მოვალს, იფქლი, ფეტვი და ლომი და ამათ ჭუმლათა ოთხ-ოთხი თეთრი საყავობო ზედა აც“. ჩვენ ვიცით, რომ „აბანოისა სახლს“ გადავვეთილი პერნდა შემწირეველის მიერ ერთი სახეობის გადასახადი — 15 ლიტრა ზეთი. სხვა მას არა მართებს რა. ასე რომ ეს გადასახადები, „ამათ უუელათა გლეხთაგან სხუასა ბეგარას აქათ“ რომ „გამოქველს“ ან კიდევ „სამი ურემი ღუინი, ტყისაგან მოდი, რაიცლა მოვალს, იფქლი, ფეტვი და ლომი და... ოთხ-ოთხი თეთრი საყავობოი“, მაღლაველთა და ფარსმანუანეცელთა გლეხთაგან“ რომ „გამოვალს“, — არც ერთი „აბანოისა სახლს“ არ შეეძებოდა. მაშასადამე, შემწირეველი იაკობ დეკანოზი თვით გამორიცხავს „აბანოისა სახლს“ როგორც „მაღლაველთა და ფარსმანუანეცელთა გლეხთაგან“, ისე — ამა უუელათა გლეხთაგანაც“.

მაგრამ ხომ არ შეიძლება, რომ იაკობ დეკანოზი გამოთქმაში „მაღლავს აბანოისა სახლი“ გულისხმობდეს მხოლოდ შენობას, სახლს, რომელიც აბანოს კეთივნოდა და მასთან სხვა რაიმე ურთიერთობაში არ იყო? არა, არ შეიძლება. სხვა სიძნელეებს გარჩა, ასეთი გაგებისას აუხსნელი შეიქნებოდა ამ სახლის „სამსახური“ „თხუთმეტითა ლიტრითა ზეთითა“. ასე რომ „აბანოისა სახლი“ უეპელად კავშირშია თვით აბანოს ექსპლოატაციისთან. ამიტომ, და არა იურიდიული კუთვნილების საფუძველზე, ეწოდება მას „აბანოისა სახლი“, ასეთი „სახლის“ „სამსახური“ „თხუთმეტითა ლიტრითა ზეთითა“ წარმოსადგენია მხოლოდ ისე, რომ ეს „სახლი“ არის კომპლექსი, ორგანიზაცია შენობით (შეიძლება, შენობებით) და სხვა საქონებელით, მათ შორის, უეპელია, აბანოს წყაროთი. „სამსახური“ სრულდება, რა თქმა უნდა, პირის მიერ, მაგრამ ამ პირის დაუსახელებლობა იურიდიულ დოკუმენტში იმის საბუთი უნდა იყოს, რომ ასეთი პირი აქ შემთხვევითია, რომ ის შეწირულობაში არ იგულისხმება, რომ ამ სამეუ-

ანეთ ორგანიზაციისთვის ის მულტიკულური კომიტეტი არ იმყოფება „სამსახური“ მართებს, მაშინადაც, „აბანოისა სახლის“ და ისის მოსახური მატერიალურიად ამ „სამსახურს“ ასრულებს ის პირის წესის მიზანი (ეს სარგებლობაშიაც) ამა თუ იმ დროს ეს სახლი იმურცება.

„აბანოისა სახლში“ აბანოს შენობა (თუ შენობები), უკველია, იგულისხმება. თვით ტერმინის — „აბანოისა სახლი“-ს წარმოშობისათვის მას, შეიძლება, გადამწყვეტი მნიშვნელობა პქონდა, მაგრამ იაუგ დეკანოზის ენაზე ის გარემოება ჩანს ხაზებსმული, რომ აქ უმთავრესია არა სახლი — შენობა, არამედ აბანოს ექსპლოატაციის ორგანიზაცია, რომელიც ამ სახლში (და, შეიძლება, სხვა ასეთივე სახლშიაც) მოწყობილა, ან უკეთ, ორგანიზაცია, რომელშიაც ეს შენობა-სახლიც, როგორც ნაწილი, შედის.

უკლაუდრი ეს, ვფიქრობთ, იმის საფრთხ საბუთია, რომ „მაღლაქს აბანოისა სახლში“ საგლეხო ფუძე ან შენობა-სახლი კი არ იგულისხმება, არამედ დაწესებულება, აბანო, სამეცნიერო და საგადასახადო ერთეული, ისევე, კონკრეტული შეიძლებოდა ყოფილიყო საბაზოისა, საფრთხოისა, სამღებროისა და სხვა „სახლი“.

ამრიგად, „მაღლაქს აბანოისა სახლი“ არის სავაჭასახადო ერთეული, რომელმაც ყოველწლიურად 15 ლიტრა ზეთი უნდა მიირთვას გრელათის დეკანოზს. ამავე დროს, ჩვენ ეს უკიდ შევნიშნოთ, არაა საფიქრებელი, რომ ეს „აბანოისა სახლი“ მეზოგობას მისდევდა. ასეთ პირობებში ერთადერთი სწორი ის მოსაზრება შეიძლება იყოს, რომ „აბანოისა სახლის“ ფულაზი შემოსავალი პქონდა, რომლითაც მას უნდა ყოველწლიურად 15 ლიტრა ზეთი ეყიდა და მონასტრის დეკანოზისათვის მიერთმია.

ასე რომ ჩვენ მივიღეთ: XIII საუკუნეში „აბანოისა სახლი“ მაღლაქის სახლერებშია; ეს სახლი ამ დროს წარმოქმნილი კი არაა, — ძევლი ჩანს; „აბანოისა სახლი“ სასოფლო მეურნეობას არ ეწევა და შემოსავალი კი აქვს; მისი შემოსავალი ფულადია; „აბანოისა სახლი“ სამეურნეო და სავაჭასახადო ერთეულია.

ამის შემდეგ, ადვილია, ვფიქრობთ, პასუხი კითხვაზე, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს უკნაური გამოთქმა: „აბანოისა სახლი?“ ეს არის აბანო (საღაც შეიძლება იყოს არაერთი შენობა-სახლი), რომელსაც

\* ჩვენი საკოხისაგან დამოუკიდებლად გამსაკუთრებით აღნიშვნის ღირსად მივვაჩნია: XIII საუკუნეში „სახლი“, ამრაგად, სამეცნიერო და მეცნიერების მიზანისადამ მიმდევად დამატებით ინტენსიურობით მომდევნობა (ამისი მოწმობა ამ დროიდნ სხვაც მოიპოვება).

ექვს ფულადი შემოსავალი. რაღა საექვთა, რომ ასეთი შემოსავალი ამ აბანის ექსპლოატაციის შედეგია (სამწუხაროდ, ჩვენს სატრანსპორტო კონკურენცია პირზეაპირი ჩვენება არ შემოუნახავს, თუ ვინ და როგორი გამჭვირვალება აბანის ექსპლოატაციის, მაგრამ ზემომოტანილ ცნობაზე დაკვირვებით შეიძლება თითქოს დავისკვნათ, რომ აბანის ექსპლოატაცია საიდან წესით ხდებოდა).

ეხლა, როცა, ამრიგად, დავადგინეთ „მაღლაქს“ ისეთი აბანი, რომელიც დიდი ხანია არსებობდა, ფართოდ განთქმული იყო თავისი სამეცნიალო თვისებებით (რომ ასე არ ყოფილიყო, მას მუდმივი შემოსავალიც არ ექნებოდა, ხოლო ასეთი გადაკეთილი გადასახადი შესაძლებელი იყო მას დაკისრებოდა მას შემდეგ, რაც მჩავალი წლის საამისო გამოცდილება მიღებული პერიოდი), საექსპლოატაციოდ იჯარით გაიცემოდა და კარგი შემოსავლის წყარო იყო. — კიდევ მეტის დაჭრებით შეგვიძლია მივიღოთ ჩვენ მიერ აღებული გვამანი, რომ „მაღლაქს აბანისა სახლი“-ში იგულისხმება აწინდელი წყალტუბოს მინერალური და შისი იმდროინდელი საექსპლოატაციო თრგი ანიჭა ცირა.

მაგრამ აქედან ჩვენ ის არ უნდა დავისკვნათ, თითქო XIII საუკუნეში სახელი „წყალტუბო“ არ არსებულიყოს, თითქო ის ამის შემდეგ ხანებში, საღლაც XIII—XVI საუკუნეთა შორის გაჩენილიყოს არა, თვით სახელწოდება „წყალტუბო“ (—წყალთბილა) გვარწმუნებს, რომ ის VIII—IX საუკუნებშე უფრო ძლიერ წარმოშობისაა. როცა ამ ადგილებში მეგრული ენა ჯერ კიდევ ბატონობდა, ჩვენი დაკვირვებიდან მხოლოდ ისა ჩანს, რომ წყალტუბო, უფრო ზუსტად, შეიძლება აუზნდელი წყალტუბოს ნაწილი, ე. ი. მდინარე წყალტუბოს მარცხენა სანაპირო, XIII საუკუნეში ჯერ კიდევ მაღლაქის საზღვრებში ითვლებოდა და რომ XVI საუკუნისათვის ეს მდგომარეობა შეცვლილია, რომ მაღლაქის საზღვრები შემცირებულა და წყალტუბო უკვე მის გარეთ იგულისხმება<sup>10</sup>.

<sup>10</sup> შეიძლება სწორედ ამ „აბანისა სახლის“ დიდმნიშენელობა იყო იმის მიზეზი, რომ ის თანამდებობა, პუნქტით გამოეყო მაღლაქს? მაგრამ ასეთი ვარაუდისას ჩვენ ისიც უნდა დაგვეშვა, რომ აბანის ასეთი მნიშვნელობა მხოლოდ XII საუკუნის ახლო დროიდან დაწყებულა, რაც მეტად საეცელო მიეცახინია, ჩვენი ასრით, ამ აბანის დიდი მნიშვნელობა უფრო ძლიერ ხანიდან უნდა იწყებოდეს. ამიტომ მაღლაქიდან წყალტუბოს, „აბანისა სახლის“, გამოყოფის მიზეზად სხვა საფუძველია სავარაუდობელი.

ზემორე მიღებული დაკვირვებიდან ჩვენ ვერც იმას დაუასკუთა, /  
რომ XIII საუკუნის საბუთით დადასტურებული „მაღლაქს აბანიი  
სა სახლი“ ერთადერთი იყო და წყალტუბოში იმ დროს სამართლის გადასაცემის დროის „აბანოსა სახლი“ არ არსებობდა.

ამის შემდეგ წყალტუბოს აბანოს საენების ჩვენ ვერა ვხვდებით XVIII საუკუნემდის. რასაკირველია, ეს გარემოება მზოლოდ იმით აისწნება, რომ წერილობითი სისტორიით მასალები დასავლეთ სა-პართელოდან, სამშუხაროდ, მეტად მცირე ვვაქვს". მარც წყალ-ტუბოს აბანოს შესახებ ამ ხანებში ერთი რამ მტკიცედ ვიცით. „აბა-ნოსა სახლი“ XVI საუკუნის შემდეგ, თუ იქამდისაც არა, გელათის მონასტერის უკვე დაპარვევია. ჩვენ მოგვეპოვება წერილობითი ცნო-ბები XVII—XVIII საუკუნისა გელათის მონასტრის ქონების შესა-ხებ და იქ აბანო (წყალტუბო თუ მაღლაყი) არსადა გვხვდება, ჩანს, გელათისათვის წაურითმევიათ შემოსვლიან აბანო სწორედ რომ წაურითმევიათ, რადგან ეკლესიისათვის შეწირულის გასხვისება, რა სანითაც არ უნდა იყოს, აჩვენისგან შეიძლებოდა).

ამას გარდა მოიპოვება ერთი საბუთი XVII საუკუნისაც, საღაც წყალტუბო თითქო იყულისხმება აზნაურ ეზია იოსელიანისთვის ბო-ძებულ წყალობის წიგნში იმერეთის მეფე ალექსანდრე წერს: „ვი-ბოძე ჩემი საკუთრით მამული და სოფელი გუმტიბი და იქ მოსახლე-ნი ორი შევანგირაძე, ორი ჩაფინძე და ერთი მელაძე და იმ სოფლის მიწაშეყალი გუბისწყლის გამოღმა გუბის ფონს ზეით ყენის (?) წყალის ჩასართავამდის ჩუნქშისა სასაზღურის დაბლა, — ამა ზღუ-რების შევ შენოვის გვიბოძებია ჩიწითა, წყლითა, საყანითა, სანაღი-რითა, ტყე და ველითა, ყოვლის მისის შესავალითა და გასაგალითა, საფლავ სამარჩითა“... ამ მოწმობიდან ჩანს, რომ „გუბისწყლის გა-მოღმა“, ე. ი. გუბისწყლის მარცხენა სანაპირო, — სოფელი გუმტი-ბი და „იმ სოფლის მიწაშეყალი“ XVII საუკუნის სამოციან წლებამ-

“ ჩვენი გაუღრითხილებლობა-ეგვიპტისყურობის გამო ასეთი დოკუმენტები, მას შემდეგ კარგა ხინია, დადა როდენობით სამუდამო. დაგვეტუმა, სხვები კიდევ აქამდის შეუგროვებულია და მეცნიერებისათვის ხელმიწვევობელია.

12 სამშუხაროდ, ეს საბუთი დედან არა მისი ლოკუმენტური სრული შეს-წევება სხვა სამიხო მასალების სიმირის გამო ვერ ხერხდება. მათვე დროს ეს საბუთი იძლევა ეჭვის საფუძველი, რომ ის ნატყუარი შეიძლება აღმოჩნდეს, თუმ-ცა მისი ნატყუარის გაღტრით მტკაცისათვის დამტებითა აზუმენტაცია იქნებოდა საქირო. მის გამო ამ საბუთზე ადგებული ჩეკენ მსჯელიბაც რამდენიმე პირობითი იქნება. ლოკუმენტები საქართველოს სტერილური ისტორიიდან, I, გვ. 473.

დე მეფის „სამკვიდრო მამული“ ყოფილა. მაგრამ გუშტიბის „შიწა-  
წყალშია“ წყალტუბოც იგულისხმება: ის სწორედ „გუბისწყალს უსაფრთხო  
მოღმა“ გუბის ფონსა და „ჩუქეშის სასახლურის შორის ჰიმურავებისა  
ბოლა. ამ რომ, ამ მოწმობით ჩვენ შემდეგი მოვიპოვეთ: მიწა-აღვი-  
ლი წყალტუბო, მაინტდამაინც მდინარე წყალტუბოს მარჯვენა სანა-  
პირო (მოტანილი საბუთი გუშტიბის მიწა-წყლის აღმოსავლეთის სა-  
ზღვისა არ უჩვენებს. ჩვენ ვეიქტობთ, ზემოთ გიორგი მეფის წყა-  
ლობის წიგნის ჩვენებათა გათვალისწინებით, რომ გუშტიბის მიწა-  
წყლის აღმოსავლეთის საზღვარი მდინარე წყალტუბო უნდა ყოფი-  
ლიყო) XVII საუკუნის 60-იან წლებამდე სამეფო ქონება იყო.

მაშამაღამე, გამოდის: აშინდელი წყალტუბოს მიწა-აღვილის ერ-  
თი ნაწილი, ე. ი. წყალტუბოს მარცხენა სანაპირო XVII საუკუნის  
მიწურულს გიორგი მეფემ უწყალობა წულუკიძეს, ხოლო წყალტუ-  
ბოს მიწა-აღვილის მეორე ნაწილი, ე. ი. მდინარე წყალტუბოს მარ-  
ჯვენა სანაპირო ალექსანდრე მეფემ აზნაურ იოსელიანს უწყალობა  
XVII საუკუნის 60-იან წლებში. ამ ხანებში, რაღა თქმა უნდა, გვლა-  
თის მონასტერის აქ აღარა ესაქმება რა. ჩამს, იყობ დეკანოზის მიერ  
შეწირული „აბანოსა სახლი“ რომელილაც მეფეს მიუთვისებია სად-  
ღაც XIII—XVI საუკუნეებს შორის.

როგორც უკვე აღვინიშნეთ, ჩვენ არ მოვყეპოვება რაიმე ცნობა  
წყალტუბოს მინერალური წყლებით სარგებლობისა ან მისი საექს-  
პლოატაციო ორგანიზაციის შესახებ დასახულებულ ხანაში არაა, რა  
თქმა უნდა, სავარაუდებელი, რომ ეს აბანო ამ ხანებში  
მოლად მიერწყებული იყო და ამ სამკურნალო წყლით აღმარენი  
სარგებლობდა. თუმცა გიორგი და ალექსანდრე მეფეთა წყალობის  
წიგნებში წყალტუბოს აბანოს მოუსესენებლობა იმის მაჩვენებლად  
მაინც შესაძლებელია გამოდგეს, რომ ხსენებულ ხანაში ამ სამკურ-  
ნალო წყლით სარგებლობა მეტისმეტად შემცირებული უნდა ყოფი-  
ლიყო (და ეს გასაგებიც იქნებოდა: ქვეყნის უეოდალურ დაშლილ-  
ობა-დანაშიილებულობისას, მეფე-მთავრებსა და თავადებს შორის  
ბოლომოულებელი ქიშისა და ომისას მოიშალა პირობები ამ სამ-  
კურნალო წყლებით შეიიღობანი სარგებლობისათვის. ასეთ გითა-  
რებაში წყალტუბოს აბანო მხოლოდ უახლოესი სოფლების მცხოვ-  
რებთათვის თუ იქნებოდა ხელმისაწვდომი. გასაგებია, რომ ამ ხანებ-  
ში მოიშლებოდა „აბანოსა სახლი“ და თავისი დროის შესაერთისი  
კრელტურული მეურნეობა (ისევ გაველურდებოდა). მაინც, თუ ვაზუშ-  
ტი ბატონიშეილი საქართველოს „ალწერაში“ აბანოს ჩვენი ქვეყნის  
სხვადასხვა ადგილის მრავლად უჩვენებს და ამავე ტროს წყალტუ-  
ბოს არ ისსენიებს, — ეს მხოლოდ იმით აიხსნება, რომ ვაზუშტი და-

სავლეთ საქართველოს მცირედ ეხება. მეცნიერ ბატონიშვილის ქვეყანა პირადად არ მოუვლია, და მისი ოლწერა უმთავრესად აუმჯობეს სავლეთ საქართველოს შეიცავს.

როგორც ზემოთ შევნიშნეთ, წყალტუბოს აბანოს მოსხენიება XVIII საუკუნიდან მოვევპოვება, ჩვენ ხელთაა ერთი ხელნაშერი ახალციხელ ხოჭა ჰოვანისი. საწირავთა დღიურში, — ეს ახალციხელი ხოჭა ჰოვანი კათოლიკ მღვდელია, — ავტორს ხშირად მოპყავს თავისი დროის მეტად საინტერესო ცნობები. როგორც ამ ხელნაშერიდან ჩანს, მისი ავტორი XVIII საუკუნის 70—80-იან წლებში ქუთაისში მოღვაწეობს. ამ ხანებში თავის დღიურში ის სამჯერ იხსენიებს წყალტუბოს აბანოს.

1772 წელი, 18 მარტი, კვირა. „წყალტუბოს მაიორშან და სხვებ-მან ძალები დაიჭირეს საივოდ“.

1772 წელი, 14 აგვისტო, საშშაბათი. „რუსის დოქტორი ქუთაისი-დან წავიდა წყალტუბოს“.

1775 წელი, 16 ივნისი, ორშაბათი. „ჩვენი ვაჟები ჩედაგით წყალტუბოს აბანოზედან წავილნენ“.

პირველი ცნობა მოწმობს, რომ წყალტუბოს აბანოზე მკურნალობა ამ დროს ჩვეულებრივი ამბავი იყო. მესამე ცნობიდან, ამას გარდა, ირკვევა, რომ XVIII ს. 80-იან წლებში წყალტუბოს აბანოზე ქუთათურებიც დადინან სამეცნიალოდ, რომ, მაშასადამე, ამ აბანოით მოსარგებლეთა არეალი ამ დროს საქმოდ ერცელია.

მეორე ცნობა კიდევ უფრო საინტერესოა. ჩანს, რომ ამ ხანებში იმერეთის სახოვალოება დაინტერესებულია წყალტუბოს სამეცნიალო წყლის თვისებებით. ამით აიხსნება, რომ ამ აბანოს სანახვად მიჰყავთ ავადემიკოსი გვლდენშტერი, რუსეთის ავადემიკის მიერ კავკასიაში სამეცნიერო მიზნებით მოვლინებულია. „რუსის დოქტორი“, ეს ავადემიკოსი გვლდენშტერია, რომლის შესახებ ერკელე მეფის კარზე მყოფი კაპიტანი ლვოვი 1772 წელს, 29 სექტემბერს მოსხენებით ატყობინებდა პეტერბურგში კანცლერ პანის: „Профессор Гюльденштет, осмотря владения царя Соломона земли, на сих днях для забрания своего экипажа поехал в местечко Ахалгори, откуда вскоре обратно в Россию отправиться намерен“<sup>13</sup>. სამწუხაროდ ჩვენ ამხელად საშუალება არა გვაქვს გვლდენშტერის თხზულება ამ მიზნით გადავათვალიეროთ<sup>14</sup>.

<sup>13</sup> А. Цагарели. Грамоты..., I, № 363.

<sup>14</sup> გვლდენშტერის უნახავს აბანო, მართლაც 14 აგვისტოს, ამის შესახებ ის სწერს: „თიხიან რამომაში ამოდის მბილი, ბერძებიანი წყალი, რომელიც

ჩვენ ზელთ არსებული ძველი ცნობები წყალტუბოს ქაშურის  
ლი წყლის შესახებ ამით ამოიწურება. ასეთი ცნობები სეჭარებული  
მოსალოდნელი ამ რაიონის შესახებ ძველ საბუთებში ცუკლებრზეა  
ძეთა, ლორთქიფანიდეთა, წულუკიძეთა, იოსელიანთა და სხვათა ოჯა-  
ხებიდან). საჭიროა ამ საბუთების შეგროვება, სანამ ისინი სამუდამოდ  
არ დაღუპულან, შესწავლა...

კიდევ უფრო მეტი ცნობების მოგროვება შეიძლება XIX საუ-  
კუნიდან.

ავრეთვე სრულად (შედარებით) შეიძლება იმის აღდგენა, თუ  
როგორი იყო XIX საუკუნეში ამ შესანიშნავი წყლებით მკურნალო-  
ბა (სალტური და მეცნიერული). ამისთვის საჭიროა სათანადო წერი-  
ლობითი თუ ზეპირი ცნობების გულდასმით შექრება და ამ მასალის  
მეცნიერული გააზრება. საჭიროა და დროუ არის ეს საქმე შესაჩუ-  
ლონ ჩვენში მკურნალ-სპეციალისტურორტოლოგებმა და ყოველად  
არასასურველია აწინდელი კითარება, როცა სამისიოდ მოწოდებუ-  
ლი (მაგრამ, სამწუხაროდ, მოუმშადებელი) ზოგიერთი პირი არა მარ-  
ტო იმსა აზ ამობს, თუ როგორ იყო ძველ დროს ამ წყლებით მკურ-  
ნალობა, არა მარტო მეცნიერული მოკრძალებით არ სდომს, როცა  
აზ იყოს, თუ როგორ იყო ეს მკურნალობა, არამედ საქმის მცოდნის  
ავტორიტეტული პერტინენციით აწვდის დაინტერესებულ შემენეულებს  
(ასეთი საუბრები სამკურნალოდ მოსულ საზოგადოებასთან ხდება  
ხოლმე) ზღაპრისა და ზედაპირული დაკვირვების უილაჭო ნაჩევს.

რა გამოიიყვა ჩვენი ამ მცირე დაკვირვებიდან?

წყალტუბო ძეელიდანვე ცნობილი იყო, როგორც სამკურნალო  
წყალი; XII საუკუნეში წყალტუბოს აბანო ფართოდ სახელგანთქ-  
მული სამკურნალო პუნქტია. წყალტუბო ამ დროს სამეცო ქონებაა;  
XII საუკუნის მიწურულს თუ XIII საუკუნის დასაწყისს „აბანოსა  
სახლი“ (ერთ-ერთი აბანო?) მეცემ კერძო პირს უწყალობა;

XIII—XIV საუკუნეებს შორის წყალტუბო ისევ სამეცო ქონე-  
ბა გამდა;

XIII—XVI საუკუნეებში არახელშემწყობ საზოგადოებრივ-პო-  
ლიტიკური პირობების შექმნის გამო წყალტუბოს სამკურნალო  
მცერივ, ცისური და უგემო არის და ამდენად არ გაუთვის სამკურნალო  
წყლებს“ (ვაკლდენტერტის მოგზაურობა საქართველოში. ტომი პირველი,  
ა. ვალაშვილის გამოცემა, თბ., 1962, გვ. 147) ჩვენ.

წულებით სარგებლობა თანდათან შემცირდა, მისი საეჭიპლატა მორგანიზაცია მოიშვა;

XVI—XVII საუკუნეებში წყალტუბოს აბანოს ტერიტორიის წარმართვა ფეხით წყალობით სათავად-აზნიურო საკუთრება გახდა; ბერძნები მართავდნენ

XVI—XVII საუკუნეებში წყალტუბოს სამკურნალო წყლებით მხოლოდ უახლოესი სოფლების მცხოვრები სარგებლობდნენ;

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში წყალტუბოს სამკურნალო წყლებით ფართოდ სარგებლობის საზოგადოებრივი პირობები გაუმჯობესდა და აქედან მოყიდებული მისი სახალხო მნიშვნელობა განუხრელად იზრდება XIX საუკუნის მთელ მანძილზე.

## ბორჯომის ხეობა\*

( დღიური, 1947 წ.)

1947 წ. აგვისტოში ბორჯომში ვისვენებდი. შეგა და შიგ ხეობის ლიტსშესანიშნავ ადგილებსაც კეცნობდი, — აზალ მშენებლობას თუ გადასული დროის ძეგლებს. შენიშვნებს დღიურის სახით ვიწერდი.

ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა მეცნიერებულად დადგენილი, მტკიცე დ შემუშავებული წესით უნდა ხდებოდეს. უამრესოდ მუშაობის შედეგი, საფრთხე რეალურია, ნაკლული აღმოჩნდება, ან, უარეს შემთხვევაში, ის მეცნიერებული ქნერგიის უმისამართო ფლანგვა გამოვა.

ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა საქირო სისრულით ერთი ცალკეული პირის მიერ კერ განხორციელდება. ამისათვის აუცილებელია შესაფერის სპეციალისტთაგან შემდგარი სამეცნიერო ექსპედიცია. ასეთ ექსპედიციებს, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის მიზნით, დროა აზორციელებდეს ჩვენი ინსტიტუტი.

თავისთავად ცხადია, რომ ამჟრტად ხეობის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა ჩემს მიზანს არ შეადგენდა.

ჩემი დღიური მნილობდ ისტორიკოსის საუბარია, უშუალოდ მიღებულ შთაბეჭდილებათა შედეგად გამართული, ამა თუ იმ საერთოს გამო.

6. VIII. უკვე რამოდენიმე დღეა „ბორჯომში“ ვარ (ითქვას მართალი, კერაფერი დასასვენებელია ეს სასტუმრო მისი სასადილოთი).

თუმცა „მართლა დასასვენებლად“ ვარ წამოსული, მაგრამ აქაური ისტორიული ძეგლების მოხილვის სურვეილმა ერთთავად შემიპყრო, როგორც კი ძველს თორელთა საღროში აღმოვჩნდი.

ეს არის, რომ ტრანსპორტის საქმე ჭირს.

\* ქვეყნიდება პირველად.

დღეს დოც. მამია დუმბაძეს შევხვდი, ტბაზე ისვერბის თუთი  
დამამხდა, რომ მანქანას იშოვნის. თორის ნახვა დავთქვით, თუ ჩე-  
საძლებელი გახდა.

დამსევნებლები უქმად ეისხედით პორჯომის პარტიაში ჩერების მიმდევად  
ალექსანდრე წუწუნავა გურიელების კარის ცხოვრებიდან მამისაგან  
გაგონილ ეპიზოდებს მოვყიოთხოვდა. აქე შორის ერთი მოხუ-  
ცი განმარტოებით იჭდა. მეც მას მიუჟექი, გამოვესაუბრე. ზუგდიდის  
რაიონიდან ყოფილა, ოფარჩხაფელი, გვარად ჯოჭუა, როგორც მი-  
ბობდა, „86 წლის კაცი“.

ჩემი მოსაუბრე საინტერესო იმითაც აღმოჩნდა, რომ ის არ მი-  
ლავდა თავის კულაყოფილობის პირიქით, ხალხით იკონებდა, თუ  
როგორ ემსახურებოდა „დედოფალს“, დავით დადიანის ქვრივს, და  
შემდეგ მის ქალს სალომეს, მარუატის მეუღლეს; როგორ შეიძინა  
ქონება იმათი წყალობით, — 80 ქცევა მიწა და სახლეარი, როგორ  
გააშენა მან პირეელმა ჩიას პლანტაცია სამეგრელოში; ნალელიანად  
იკონებს მწყალობელ დედოფალს: ქალაქიდან ისე არ ჩამოვიდოდა,  
რომ რაიმე „ხალდათად“ არ ჩამოეტანა ჩემთვის...

აქ შეიძლება ჩემი მოსაუბრე რამოდენადმე რომანტიკულად  
ძერჩებდა კიდევაც (საექვოა, მაგალითად, რომ მას ეკატერინე კავ-  
კავაძის ქალისათვის პირადად ემსახუროს).

სამავიროვნებელ ჩემი მოსაუბრის სხვა ცნობა უფრო საჩრდენი ჩან-  
და. ჭოჭუების ჭინჭი ხატი ილორმია. „ჩვენი ძევლი იქიდან მო-  
სულა—განმიმარტა მოსაუბრებ— — ყოველ მესამე წელიწადს დავ-  
დიოდით და შესაწირავი მიგვერნდა ცხვარი, ქათამი“.

„ოთარჩხაზიც წმინდა გიორგია, მაგრამ იგი სათ ე მო სალოცა-  
ვია. როცა გვალვა შეგვაწუხებდა, ლვაზელი თემს თავს მოუყრიდა,  
სწირავდა, წვიმა მოვიღოდა“. თე მი ჩემი მოსაუბრის ცნობიერება-  
ში ტერიტორია ული გაერთიანება ბა მოჩანს, გვარი კი—  
სისხლით გაერთიანება. ჭოჭუების გვარის სალოცავი, მა-  
ვალითად, ილორმის წმინდა გიორგია, მაგრამ ჭოჭუები შეიძლება სხვა-  
დასხვა თემში სახლობდნენ, ეს მართლაც ასეა, და სათემო სალოცა-  
ვიც სხვადასხვა ექნებათ.

სასიამოვნოა ცნებების ასე ზუსტი დადასტურება.

\* \* \*

10. VIII. თორი თორელთა განთქმული ფეოდალური სახლის  
სამშობლოა. თემცა საფალდებულო არაა, რომ თორელი, ე. ი. ამ  
ფეოდალური სახლის მეთაური ყოველთვის თორელი ბინადრობდეს.  
ფეოდალური სახლის მეთაურის სადაურობითი სახელი იწარმოება—

არა ქვეყნის, არმეზ ამ ქვეყნის ცურტირალური (სხვაზედ მნიშვნელოვანი) პუნქტის სახელისაგან. მაგრამ მას შემდეგ, რაც ასეთი სახელი სახლის მეთაურის სახელშიდებად იქცა, ის ამ სახელს ატაზების მიწოდება გან დამოუკიდებლად, თუ სად პინადრობს.

ქვეყნის სახელი „თორი“ მე პუნქტი თორის სახელისაგან წარმოშობილად მიმართია, ე. ი. ქვეყნის სახელი თორი ესაა პუნქტი თორის სახელის გავრცელება (გადატანა) ქვეყანაზე ანუ ესაა „თორის ქვეყნა“.

ვახუშტი თორის მთას ერჯევნის გაგრძელებად წარმოგვიდებს<sup>1</sup>, ხოლო მდინარეს, რომელიც ამ მთას გამოსდის, ის თორის წყალს უწოდებს<sup>2</sup>, რაც სრულიად ბუნებრივია და დამაჯერებელი. აწინდელი „დაბა თორი“ კი შავშეყალის მარცხნა მხარეზე ძევს, ხოლო შავშეყალი ბაჟულიანია და კოდიანის მთას გამოსდის<sup>3</sup>.

ისტორიული გეოგრაფიის თვალისწინით ეს გარემოება კანონიერ ძევს იწვევს: მაინც და მაინც თორის მთასა და თორისშეყალს დაშორებული და კოდიანის მთასა და შავშეყალის მიღამოებში დასახლებული ადგილისათვის სახელი „თორი“ მოულოდნელია.

ამიტომ ბუნებრივია კითხვა: ხომ არ არსებობდა თორის მთის მიღამოებში, თორისშეყალის ზემო წელში, დასახლებული პუნქტი (გორა, დაბა) „თორი“, რომელმაც სახელი მისცა მთელს ამ ქვეყანას? აწინდელი დაბას სახელი „თორი“, ამ შემთხვევაში, უნდა გვიგვილო სხმა გვიან წარმოშობილად. ე. ი. ამ პუნქტს ასეთი სახელი „თორი“ მას შემდეგ შეიძლებოდა შერქმეოდა, როცა ქვეყანა „თორი“ უკვე არსებობდა, ხოლო პუნქტისათვის ასეთი სახელი შეეძლო შეერქმია თორის ქვეყნის დასავლეთით, . მის მეზობლად მცხოვრებ აზათორის ტომის მოსახლეობას..

მაგრამ ასეთ საკითხებზე არსებითი მსჯელობა ამ ქვეყნის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის შემდეგ იქნება მხოლოდ შესაძლებელი.

თვით თორის ეტიმოლოგია ჩემთვის უცნობია.

ქვეყანა თორის საზღვრები (ეთნიკური თუ პოლიტიკური) გვრიდევ დაუდგენელია. უკველად ისა ჩანს, რომ ეს ქვეყანა სხვადასხვა დროს ერთი და იმავე ოდენობისა არ ყოფილა.

<sup>1</sup> აღწერა სამეცნისა საქართველოსა, გვ. 52.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 83.

<sup>3</sup> იქვე-

თუ, ერთის მხრით, დასაშვებია ვარაული თორის თორაულეთთან, ძელად ოდესმე, ეთნიკური და პოლიტიკური კავშირისა (სახულის/დებათა მსგავსების საფუძველზე), ასეთი რამ ფუოდალურისტურისთვის თორის ხანაში მაინც და მაინც აღარ იგულისხმება. სამაგისტროს გადასაცემა კვეული ჩვენებანი მოგვეპოვება აღრეფენდალურ ხანაში თორის პოლიტიკური კავშირისა შიდა ქართლის სამხრეთ-დასავლეთთან (გევანი საფავეთიანო, საცეციანო) და სამცხის აღმოსავლეთთან (აწყური).  
XII—XIII საუკუნეში თორელები ხელს იწვდიან არა მარტო მთელს ხეობაზე, არამედ, მოხელეობის გზით, გავასეთსა (ახალქალაში) და სამცხის ცენტრალურ ნაწილზე (ახალციხე).

მაგრამ ეს ცველაფერი სახელდახველო მონაბაშია და შემდგომ სპეციალურ შესწავლას საჭიროებს (ასეთი შესწავლის დროს ამ ქვეყნების ისტორიული გეოგრაფიის მონაცემთა გათვალისწინება ყოვლად აუცილებელია).

ვაკუმში თორზე საცბრისას, ამ ქვეყნის XII საუკუნის ვითარებას გულისხმობს, როცა შენიშვნას: „ევონებ თორელთა სამთა ამათ ქეობათა—საღვერს, გუგარეთს და მტკვრის ქობას, კინადგან სახელი და აღვილი მათნი ეგრეთ წარმოაჩენენ“<sup>4</sup>.

გვიანთვეოდალურ ხანაში თორის ქვეყნის ისტორიული ბედი განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა. მონოლები და საათაბაგოს წარმოქმნა. ქართლის ახალი სამხედრო-აღმინისტრაციული დაყოფა (სათავადო-საღროშობი), ისმალთა შემოტევა და ბოლომოუდებელი ბრძოლა ხეობისათვის... ცველაფერმა ამან მოშალა ქვეყანა თორი, როგორც ერთეული და თანდათან ნაოხარ-ნასაღვომევად აქცია ის. XIX საუკუნის დასაწყისს თორის ქვეყანა ცოტნალი აღარ იყო.



სოფელი თორი დღესაც ცარიელია. აწინდელი თორელები (ასე უწოდებენ მათ გარშემო მცხოვრებნი) — ნამესტნიერ ვორონცოვის მიერ აქ დასახლებული რესები და უკრაინელები. მორი წილის წინ საყუნეოში (სამცხეს) გადაუყვანისათ.

ბორჯომელი კოლმეტერნე რაზმაძემ გვეიმედა, რომ თორში ტყის-მცენა და ნასოფლარის ყარაულს ვიპოვით.

რაიონის მეორე მდივანი ამ. ი ვ ს ი ბ ი მ უ ჭ ი რ ი ცხოველი ინტერესით მოეკიდა ჩვენს განზრახვებს (მიმიაშ სოხოვი) და თავისი მანქანით წაგვიყვანა. სამწუხაროდ, ბორჯომის სამხარეთმცოდნეო

\* აღწერია სმელოსა საქართველოსა, გვ. 83.

შეზეუმის გამგე ამხ. ს ხ ე ი ტ ა რ ი ძ ე და ვერც მისი მეცნიერი შეაქო მუშეუმში ვერ ვნახე. მინდოდა ერთი მათგანი თან ჭამებულია, არმ ფოტო აპარატი, ვფიქრობდი, ექნებოდათ.

ვილისით გავემგზავრეთ. გუგარეთისწყალს ავყევით და შალე დაბის ცნობილ ეკლესიაზე მივყდით. გამოყალულს (ნაწილობრივ) კლდეში შეშენებულია ეკლესის ერთნაერიანი შენობა. ეკლესის ის ნაწილი, რომელსაც გამოქვაბული ცად ახურია, განსაკუთრებით კარგად არის დაცული. აქეე გარშემო მიმობნეული სამშენებლო ქვები თითქო ამ ეკლესის აღდგენა-გადაცეთებაზე მიუთითებს. მასვე მოწმობს თითქო ქვების სხვადასხვა ხსიათის შემცულობა სარკმლის ქადისა და ბალვერის, რომელზედაც წარწერაა მოთავსებული.

წარწერა ასომთავრულია. დასაწყისში ასოები მსხვილია, შემდეგ სულ უფრო და უფრო მცირდებიან. დამწერლობას ახასიათებს ლიგატურები და უოველი სიტუაცის შემდეგ სამი წერტილი. წარწერილიან უდავოდ მრყვევა, რომ ეს ეკლესია მისი აწინდელი სახით აშენებულია მეფეთამეფის გიორგი ლიმიტრის ძის დროს, ე. ი. XIV საუკუნის პირველ ნახევარში. სამწუხაროდ, წარწერა ნაწილობრივ გადასულია, თანაც ნახშირით არის გამურული და ძნელად იყითხება. „ინდიკტონისა მეფეთ მეფისა გვ-სა, ძისა ლიმიტრისა მეცნრამეტესა სიტუაცია ღ-თისა კორც-შესხმისა მიზნებო, აღვაშენე ტაბარი ესე უამსა მეფეთ მეფისა გიორგისა მე მათმან მოლარეთუხუცესმან... ქადა კა“.

აქედან ერთი ცხადია: XIV საუკუნეში დაბა ცოცხალია და ამ ქვეყნის პატრონი (სუვერენი) გიორგი მეფეა.

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ახალციხის მხარის საქართველოსთვის შემორჩენის შემდეგ, თავად ავალიშვილს ბრეთილი (ქართლიდან) გამოუყვანია გლეხები და დაბაში დაუსახლებიან. საინტერესოა: XVII საუკუნის დასაწყისის აწყურის ლეთისმობლის ყმა-გლეხები (მე ს ხ ე ბ ი) ბრეთში ხისნად იდგნენ. ავალიშვილებიც ამ ხანებში ლტვოლნენ ასმალთა მიერ მიტაცებული სამცხიდან და, ჩანს, უპატრონო ბრეთელ ხისნებში ხელი დაიდევს ხეობაზედაც ავალიშვილებს, როგორც ცნობილია, ხელი მიუწვდებოდათ XVI საუკუნიდანვე (იხ. მესხეთის თავადების სია), შემდეგ საუკუნეებში (XVII—XVIII) ავალიშვილების მოლარეთუხუცესმან...

\* ქრონიკები II, 180, კორდანია იმოწმებს ბროსეს Rap., IV, 101—2. კორდანის ეს წარწერა მოქმედია „პ ა ლ ე რ გ ჩ ა ფ ი უ ლ ა ლ გ ა დ მ თ ლ ე ბ უ ლ ა ნ ი რ ი დ ა ნ“.

ბუნებრივია ვაჟიქროთ, რომ ავალიშვილებიც იკულისტებია /  
იმ ქართველ თავიდთა შორის, რომელიც 1829 წელს, პალეონოლოგი  
მხარის შემოტოვების შემდეგ, ძველი საბუთებით ხელში ჩატარდა და ასეთი დაზიანებული  
გამოცხადდნენ და ოსმალთა ფაში დაზიანებული  
გამოცხადის დაბრუნება მოიხსენეს.

და როცა ქვეყანა დამშვიდრა, როცა ხეობაში „სამოქალაქო“  
ცხოვრების პირობები შეიქმნა, ბრეთის მებატონებს საკუთარი, მინა-  
თვისები თუ შემდეგ მინდობილი ბრეთელები დაბას გადმოისახლა.

ეს იყო ის დრო, როცა ხეობა ახლად ესახლებოდა, როცა ნამესტ-  
ნიკი თორის ასახელებდა, ავალიშვილი — დაბას, ხოლო ბატონის მობილი  
სულამოხეთული საქართველოს გლეხობა — მთელ ხეობას...

დაბაში მეორე (სასოფლო) ეკლესიაც ყოფილა ოდესმე. დღეს ის  
საფუძვლამდე დარღვეულია.

გავიარეთ წალვერი („წალველი“ ვახუშტით. აღწერა.. 204). კეჩო-  
ბილან („კეცხოველი“ ვახუშტით. აღწერა.. 205) ამს. მუჯირმა თავისი  
მეულე ზ ი ნ ა, გურული ქალი, წამოიყვანა და ბაკურიანისაეკენ გავ-  
წიეთ. აქ, ბაკურიანში თემსაბჭოს თავმჯდომარე ამს. ებრალიძე შე-  
მოვისეით და თორის გზას გაუდევით.

ბაკურიანის შესახებ ჩვენ ცნობები არ შემოგვნახვა. არც ძეგლი  
რაიმე არის აქ ცნობილი. მოხილვა უნდა. მოხალოების კია, რომ  
ბაკურიანის მიღამოებში იპოვებოდეს უცველესი ნამოსახლევები კვა-  
ლი. სახელიც ხომ „ბაკურიანი“ საინტერესოა. ბ ა კ უ რ ი ა ნ ი აღ-  
მიანის სახელად ჩვენ აღრე საშუალსაუკუნიდანვე გვაძვს დამოწმებუ-  
ლი: ბაკურიანი ძალისათვის\*—ქართლის ერისთავი VII—VIII სს.  
ვახუშტი იცნობს ბ ა კ უ ლ ი ა ნ ი ს მთას, ბაკულიანის წყალს?,  
ასახელებს საღვერის ხეობაში დასახლებულ პუნქტს ბ ა კ უ ლ ი ა ნ ი  
(აღწერა, 205) და არ შეუთითებს მის რაიმე ღირსშესანიშნაობას. სა-  
ხელიც ხომ („ბ ა კ უ ლ ი ა ნ ი“) მას განსხვავებული მოაქვს...

ბაკურიანიდან საკოჭავამდე დიდ შარის გაცემით. ძეველი ნასოფ-  
ლარი საკოჭავა დღეს აღდგენილია იქ ანდეზიტის წირმოების შეშე-  
ბი დასახლებულან. ეს წარმოება აქ ახალი საქმეა და, როგორც გაღ-  
მომცეს, პერსეპტივიანია. შავწყალის ხეობაში თურმე ღილი მარავია  
იმ ცეცხლისგამძლე ქვისა („ბორჯომულა“ — ისე დამისახელეს აქ  
ეს მდინარე — გაუგებრობა). ის რესული „ბორჯომება“ გადმოქარ-  
თულებაა. ვახუშტი ამ მდინარეს შ ა კ უ ლ ი ს სახელით იცნობს

\* თ. ეთ რ დ ა ნ ი ა, ქრონიკ. I, 71, ე. თ ა კ ა მ შ ვ ი ლ ი, სამი ისტორიული  
ქრონიკა, 37.

? გ ა ხ უ შ ტ ა, აღწერა., გვ. 52, 84.

(აღწერა... 83) და, როგორც ჩანს, ეს იყო მისი ძეველი ქართული ხელი (აღწერა... 83).

აქედან ახლოა აშინდელი სოფელი ციხის კვარცხელის უთუოდ როდ, იქ შესველი არ ვიხსერხდება. სახელწოდება ციხისჯვარი უთუოდ ძეველია და მეტად სინტერესული. ტოპონიმი ციხისჯვარი საქართველოში არაერთია (შედრ. ჭიხანჯირი, ჭიხანჯური...). იქ(ციხისჯვარში) საძიებელია „ციხე“ და გზაც, რომელიც, საფიქრებელია, ამ ციხესთან გაელით შედიოდა ჯავახეთს (შავარშეთის გადაელით? მ. ჭ. ვ. 300., ბავრატ IV რომ „ზამთრის ბუქთა საშინელთა გარდაიარა შავარშეთი და ჩავიდა ქართლს“. შედრ. ვახუშტი, აღწერა... 41, 130).

საკოქაბერიან (თუ საკოჩავილან?) თორამდე 18 კილომეტრია, გზა სულ დაბურულ ტყეზე მიდის. ეს გზა ოდესმე საგანგებოდ გაუტანიათ. ნამესტნიერ ცდილა კოლონისტების უზრუნველყოფას. დღეს ამ გზის მხოლოდ ნაკვალევი და ჩანს. დიდი ხანია ის აღარაიის შეუკეთებია და სულ ერთიანად მოშლილა ეს შესანიშნავი ნაგებობა.

უგზონბამ სულ ჩაგვაშხამია ბუნების სამოთხისებური სანახაობა. ბოლომოუღებელ იღრონილროებში ზინას შეკივლება-შეძახილები და მოსწრებული თქმები-ლა გვახალისებდა. ვილისი გაბრაზებით დაგდაგვებდა და ტყის ღრმა დუშილს არღვევდა.

დღიდი წველებით, როგორც იქნა, მივალწიეთ თორის.

თორი დღეს ცარიელია. როგორც ზემოთ აღნიშნეთ, თორელები (57 კომლი) საყუნეოში გადაუყავინიათ. დღეს თორის სავარგულებს ცემისა და ტბის კოლმეურნეობანი ამრშავებენ.

ნალვლიანად გამოიყერება დაყრუებული სოფელი. გაშეშებული დაგანან ლამაზად ჩამომარივებული ხის სახლები და მოსახლეებს ელიან..

მისელისასვე ვიპოვეთ სოფლის ყარაული შევჩენო, 65 წლის მოხუცი, ჭანმრთელი, ხალისიანი კაცი.

თორის შესანიშნავი ადგილმდებარეობა აქეს. მთელს ამ ქვეყანაში ძნელად მოიძებნება მეორე დასახლებული პუნქტი, სიღდანაც როგორც გუგარეთის. ისე შეუწყალის ხეობანი ასე „ხელის გულივით“ მოჩანდეს.

შევჩენკოს ცნობით თორი უფრო მშრალი ადგილია, ვიდრე ბაკურიანი ან, მით უფრო, ბორჯომი. იქ წვიმებიც ნაკლებია და ზამთარიც უფრო თბილია. ხორბალი აქ ძლიერ კარგი მოდის, ჰავა განსაკუთრებით განსალია.

მიდამთ ადგილების სახელები ვეითხე. სამხრეთ-აღმოსავლეთით დასახელა საირმი ქედი, ჩრდილოეთით ლიბანი, დასვლეთით ფარესები, ყველა ესენი დღეს ულრანი ტყეებია. საირმი-

ქედის გადაღმა ციხისკვარია. ზორს სამხრეთით მოჩანს უტყველისა კონტა კოდინი.

თორს დასავლეთიდან და ოღონისავლეთიდან ორი მცირებულები ჩამოაფიქსის. პირველს ფარს ადანკას, ხოლო მეორეს იართვია რე ჩემის უწოდებს შევჩენებო. ეს ხევები აქვე ხოფლის ბოლოზე შეიყრებათ და, შემდეგ, შავწყალს ერთვიან.

გეები (შევჩენების ცნობით) მარჯვედ მიღის: და ირის აკე ნ საკირქე გაელით (აქ, საკირეს, ძველი ციხე), აწყურის აკე ნ თანალების ხევით (აქ გზაზე ძველი ციხეა კალაბოინა), ბორგო მის აკე ნ ფარებულებზე და გომნაზე, ჭობის სხვ ვის აკე ნ დაბადებულზე. გუჯარეთის ხეობას თორი ბაქურიან-მიტანბით უკავშირდება, ხოლო ჯავახებით სა და თრიალე თს ს საკოჭავ-ციხისავეობით.

ზოგი ამ გზის მიმართულება მეტან ჩანს, ზოგიც შეიძლება გვიან გატანილი იყოს. ამას გარდა სავარაუდოა, რომ თორი ს ადგე რთანაც უნდა ყოფილიყო დავაგშირებული.

შეუსოფელში ვიდევქით, რომ სოფლის ბოლოზე იფნების ჯვალა ჩა ჩემი უურადღება მიიპყრო. სასაფლაოა მიპასუხა შევჩენებო. მივედით. სავანგებოდ შეზურგული ადგილის გარშემო წრისულად ფას ხუთი უზარმაზარი იფნის ხე. წრის შევნით ჩანს კელების ნანგრევი. შევჩენებო დავვიდასტურა, რომ აქ „წმიდა გოორგიაო“ და დაუმატა: ჩვენ აქ სალოცავი არა გვერნია, კვირაში ერთხელ ბაქურიანს დაედიოდით სალოცავად, ან იქაური მღვდელი ჩვენთან მოდიოდა, როცა დავვეტირდებოდათ.

მიწის ზედაპირზე „წმიდა გოორგის ქვები“ მცირედ გადატენილა, მოიპოვება ბალვერის ქვა მეტად ლამაზად ამოკვეთილი „ბოლონერი“ ჯვრით, სარქმლის ქუდი ასეთივე ჯვრით. ძეგლი, უეველია ღრმა სიძეველისაა. თორი ღირს იმად, რომ ეს ადგილი გაითხაროს. კინ იცის, შეიძლება მართლაც აქ დადასტურდეს თავდაპირველი თორი?

შევჩენებო გვარუშუნებს, რომ ამ სოფლის მიღამოებში მას შეიძი, თუ მეტი, ეკლესიის ნანგრევი ეგულება. ზოგი მათვანი მართლაც გვიჩენა ამ ჩვენმა მეგზურჩა.

ზოგიერთი ეს ეკლესია სხვა სოფლისა (ნასოფლარისა) ოღონინდა (ნაგარბაზევის, მონასტრის). მაგრამ ზოგიერთი მართლაც საკუთრივ თორისა უნდა ყოფილიყო.

კინის რაიმე ნაშთი შევჩენებო თორსა და მის მიღამოებში ეერ დაგვისახელა (თუმცა აქედან მხოლოდ იმის დასკვნა შეიძლება, რომ

თორმეთი ფეოდალური ხანის ციხე არ შეინიშნება და არა მას, რომ თორმეთი „ციხე“ არასდროს არ ყოფილა).

ჩვენი ხალისიანი მეგზური სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთი მიმართულებით გავიდიდვა (მაკურიანში უკან დაბრუნებაც ასე სკობია, ვეირინია). პატარა ხევი ასროვად რეჩქა გადაიტეთ და ტყის ვაკლით ერთ ნაკაფში შევედით. ერთი სანახვროზ დანგრეული კვადრატის ფორმის შენობა გამოჩნდა. ეკლესია არისო, ავვისსნა შევჩენებომ. მაგრამ ჩვეულებრივი ეკლესიისა ამ შენობას არაფერი ეტყობა. საკურთხეველი არ მარნევა, არც ისა ჩინს, რომ სარქმელი მჭონოდეს. შესასვლელი სამხრეთის მხრიდან ჰქონია, ვერსად შევნიშნე შემქულობა რაიმე (ჯვარი და სხვ.). ჩრდილოეთის მხარეს კედელში ნიშია. აქ იპოვება მლოცველთაგან შენაზირი რაღაც ნივთები, ფული ჩვენი დროისა (ცინ საიდან მოდის ამ უღრანს ტყეში, საღაც მოსახლეობა, ვარდა თორელებისა, დღეს ათი კილომეტრის რადიუსით არსადაა?).

ალბათ ამ ფაქტის (მლოცველთა სიაზული) გამო დასკვნის შევწენკო, რომ ეს ნაგებობა ეკლესიის ნანგრევებია.

ნაგებია ეს შენობა ბაზალტის ჯიშის ქვისაგან.

აქვე შეფენებაზე მთელი ნასოფლარი ჩინს. ნადარბაზე ეკვი ჰქინია, გვაცნობა შევჩენებომ, მალე ქვისაგან გამოკვეთილი რაღაც საოჭიო ნივთი (ოჩე, ვარული?) გვიჩვენა მან და გამომცდელი ოვალით ელოდა ასსნას-ვერ აუსწენი და, როგორც შევატყევ, ის შეეცვდა ჩემს „პროფესორობაში“.

ეხლა შევჩენკო „მონასტრისაკენ“ ვაკვიდვა. ტყეში შევედით. საქმაო მანძილი ვიარეთ და ისევ ნაკაფს მივადექით. ნაკაფის პირის შავწყალის მარცხენა პლატოზე ცალნავიანი ეკლესიის ნანგრევია ბაზალტის ჯიშის ქვისაგან. ცალკე გდია ლამაზი ბოლნური ჯვრით შემკული ბალავერის ქვა. ეკლესია სამუალო ზომისა უნდა ყოფილიყო. სახვა რაიმე შემქულობა არ შემინიშნავს.

შევჩენებოს ცნობით ამ დაგილს მონასტრი კევია. ეკლესიის ვარშემო ნამოსახლევები კვალი მრავლად შეინიშნება.

ჩვენი მეგზური კიდევ უფრო გახალისიანდა. ეხლა სახლი უნდა განახვოთო, გამოგვიცხადა და კვლავ ტყეში შევიძლვა. ჩვენც შევუვით. ერთხანს ვიარეთ და ეხლა უკვე სხვა ნაკაფს მივადექით.

შორისახლო რაღაც ნანგრევები მოჩანდა. აქ არისო, თქვა ჩვენია მძოლმა, წინ წავიდა და კარში შეძვრა, ჩვენც შევყველით. კარისამი ქვისაგან შედგება: ორი ცერად დგას, ერთიც პორიზონტალურად ზედ ადგეს. ის (მესასვლელი ხრელი) დაბალია, ასე რომ შიგ შესვლა მხოლოდ დაკუშვით შეიძლება. ეს „სახლი“ კონტას ფორმისაა, რომლის ძირი წრეა ოთხი შეტრი დიამეტრისა. სიმაღლეც ამ კონტას

თომი შეტრი ექნება, თუ ცოტა შეტი. კონუსის წევრიდან დღეს შე-ნობაში სინათლე ჩამოდის, მაგრამ ძნელი სათქმელია. ეს ქადაგურულება რით „ერზოა“, თუ შემდევ შემთხვევით შექმნილი კუტრუტშეა და აუცილებელი ნებ — მეორე.

მაგრამ უფრო შესანიშნავი ისაა, რომ ეს სახლი უკიროდ, „შშრა-ლი წყობით“ არის ნაგები (შევჩენკო მოვიყეა, თუ როგორ ცხოვ-რობდა მისი ბატყანი ამ „სახლში“ სამ თვეს ისე, რომ არაფერმა აკნო).

ღამდებოდა, შევჩენკო მანქანისაკენ წავიდა, სადაც ჩვენი მოლ-ლილი თანამგზავრები გვიცდიდნენ. მე და მამიამ ამ უცნაური სახლის გარემოს ერთხელ კიდევ უურადღებით მოვაცლეთ თვალი. მაღალ ჯავნარში ძლიერ ჩატეული ნანგრევები აღმოჩნდა. ესენიც კონტსე-ბი უნდა ყოფილყვენენ. ყველა ერთი ზომისა ჩანდა, ერთი შეორის გვერდით იდგნენ და ყველას ერთად საერთო გალავანი უვლიდა. ისე როგორც პირველი შენობა, ყველა დანარჩენი და ვალავანიც შშრალი წყობით (უკიროდ) იყო ნაგები.

მანქანიდან გვაცნობეს, რომ ვიგვიანებდით. დიდი ტუე გვერდა გასაცლელი.

რა დროისაც არ უნდა აღმოჩნდეს ნაგებობათა ეს კომპლექსი, ის შპანც საგანგებო შესწავლის ღირსია.

აღვილის სახელი ვიკითხე, — „ნადარბაზევიო“, მომიგო შევჩენ-კომ. საეკირველი არაა, რომ ნაოხაზ ქვეყანაში XIX საუკუნეში დასახლებულმა მოახალშენებმა ზედმიშვევნით არ იკოდნენ ნაოხა-ზის სოფლების სახელები. რუკაზე ამ აღვილის, სადაც არაერთი ნა-ზოფლარია აღნიშნული, სწერია: „ურიშე დარბა-დევი“ (აღმათ დარბაზევი).

„ნადარბაზევი“ თუ „დარბაზევი“ (დარბაზები?) სულერთია: აქ ეს სახელი „დარბაზი“ რეალურშინაარსიანია: ის თითქო პირდამირი დასახელება არის იმ ნაგებობათა, რომელთავაგან ერთი დღევანდლამ-დე ცოცხლად შემონახულა (იქნება „დარბაზევი“ შეცდომით აღდ-გენა კი არ იყოს რუკისეული „დარბა-დევი“-სა, არამედ უკი კილოს“ შემორჩენილი ნაკვალევი)?

როგორც აღვინდეთ, შევჩენკომ დღეს ნადარბაზევი ჩვენ შეო-რეც გვიჩენა. ამ ორი ტიპის ნანგრევთა შორის საერთო არაფერია. მით უფრო საინტერესო უნდა იყოს ეს ფაქტი ამ ძეგლების არჭიბეტ-ტურულად შემსწავლელისათვის.

\* ა. ვ. ვანიძე, ევ კალი კვალი საქართველოს გეოგრაფიულ სახელმძღვა-ნებ, სსრ. მეცნ. ეკოლ. მუსმბე, ტ. 2, № 8, 1941, გვ. 761—768.

მეგზური შევჩენქო დაგვემშერდობა და თორის წავიდა ბერი რეალისტი მცენარი ჩვენ თორშივე შემოვიყენოთდა), რომ ჩევნოვის ნასოფლარი რაღაც ეჩვენებინა.

კარგა ხანს ტყით ვიარეთ და ისევ ნაკაფში შევედით. ნამთვანილევი ჩანს. ნარუ ჯევი პევიანო, გვითხრა ტყისმცელმა. სახელი საინტერესოა: წარმოების ნაშთი ხომ არ იგულისხმება? აქვე ვდია ზეთსახდელის ეება გელაზი — ნარუჭევილთა მეურნეობის ერთ-ერთი თვალსაჩინო მოწმობა.

აქვე შეუჩერებლივ წავედით. ტყისმცელმა დამით ტუში გზა ძლიერ გაიყელია. 11 საათი იყო, როცა ბაჟურიანს დაეპრუნდით, ხოლო შუატამეზე უკვე ბორჯომში ვიყვავით.

რა მოვიპოვეთ ამ ერთი გავლით? — დაბა თორი აღრე საშუალ-საუკნეებშივე ღამაბლებული მნიშვნელოვანი პუნქტია (მისი უყრის ძველი ასაკის შესახებ ნივთიანი მსჯელობა ისტორიულ-გეოგრაფიული და ორქეოლოგიური სპეციალური კვლევის შემდეგ იქნება შესაძლებელი); თორის მიღამოებში იმ ძველ დროსვე ხშირი მოსახლეობა ჩანს.

აქვე ურაღლებას იქცევს ერთი გარემოება: აწინდელი თორისა თუ ხეობის სხვა სოფლებისაგან განსხვავებით ძველ სოფლებში სამშენებლო მისამალი უპირატესად ქვა ჩანს გამოყენებული. უნდა ვაფიქროთ, რომ იმ ძველ დროს, როცა ადგილობრივი სამშენებლო ტრადიციები იქმნებოდა, ხეობა საერთოდ ნაკლებად ტყიანი იყო.

ასეთ ბუნებრივ პირობებში საერთოულია უფრო ინტენსიური მოწინმოქმედება (ხორბლეული, სელი), მეფუტერეობა, მესაქონლეობა (ცხეარი და სხვა თოთხევები). ამას მოწმობს ხეობის ტრაპონიმიკაც... მოსახლეობის სისმირეც, ეს ნამოფლარები რომ მოწმობენ, ამ პირობების გათვალისწინებით უფრო ადვილად ასახსნელია.

\* \* \*

17. VIII. დღეს კვირას, 12 საათზე ტაბისყურს წავედით. ამ. ა. შეგისა იქ სამსახურის საქმეზე მიღიოდა და ჩევნც წაგვიყვანა. ავთ-არეთ ნაცნობი გზა წალევერი, ბაჟურიანი და უღელტეხილი ცხრაწყაროს აღმართს შეუღევით. მარჯვნით შავწყალის ხეობაში მოჩამის სოფელი ციხეის ჯვარი. ამნელად იქ მისვლა არ მოხერხდება. ამას წინათ გავიცანი ერთი იქაური მკვიდრი ბერძენი გრამატიკული. ის ანდეზიტის საწირმოზე მუშაობს. მისი ვადმოცემით, მოსუსტები იტყოდნენ, ბერძნები აქ საკირედან მოვიდნენ. საკირეს კი ისინი არტაანიდან მოსულან ჟევეველია, ეს ვადმოცემა გულისხმობს პასკევიჩის დროის ამბებს — სომეხ-პერძენთა მოახალშენების შე-

მოყვანის საქართველოში). მოხალშენე პერძები პირველად იქ სახლებულან, სადაც ნასოფლარი ციხისჯარი იყო შევწყალის სათავეში, უღელტეხილის ძირას, შემდეგ მოუცდიან მასში სახლო და აწინდელ კიბისჯარში დამკვიდრებულან. დაუკავშირდა უხე მართლაც ყოფილა. შეაგულ სოფელში ეხლაც შეიმჩნევა ბორუ-ვზე ნაციონალით. ცნობა მეტაც საინტერესოა, თუმცა საეჭვო მომენტიც ახლავს. მით უფრო საჭიროა ამ დღვილების (ორი „ციხისჯვარი“?) საკუთარი თვალით მოხილვა.

უღელტეხილი გადავიარეთ და ცხრაშეყაროს მთის (შევიზუატი?) ძირას მიმართულება თრიალეთისაკენ ავიღეთ — ჩრდილო-აღმოსავ-ლეთით. ნარიანი არი გართ. ამ ქვეყნის (ნარიანის) გამო გახუშტი ამბობს: აქ „დგების ზაფხულს ცხვართა და პირუტყვთა სიმრავლე, კიდრე ტბისყრამდე, ადგილსა ვაკესა და შევნიერსა- დის ქცია სა-შუალს ნარიანისა, კალმახთ სავსე“<sup>9</sup>. ამრიგად, ნარიანი ცალკე ქვეყანაა თრიალეთია, ჯავახეთია და თოხის შორის. ვახუშტის ღროს ნა-რიანი თორ-გუგარეთის ქვეყანაზე იყო მითვლილი<sup>10</sup>, მაგრამ ჩვენ გვიძეს საფუძველი ვამტკიცოთ, რომ ეს სახოვრებით მდიდარი ქვე-ყანა ძველადაც, ზოგჯერ მანც, თორში შედიოდა. ეს გარემოება კი მეტაც დიდი მნიშვნელობის ჩვენებაა თორისა და თორელთა ეკო-ნომიკური სიძლიერის გასავებად. ქვეყანა ნარიანის საზღვრების დად-გენა ძნელი არ არის. ლეონტი, ვახუშტი და სხვა — ლოუმენტური წყაროები საამისოდ საქმიან მასალის იძლევიან. ვახუშტი, როგორც ჩანს, თანამშად ლეონტის ძატორიულ-გეოგრაფიული წარმოდგენისა, ნარიანის თრიალეთის ნაწილად ჰყულისხმობდა<sup>11</sup>, თრიალეთშივე ეგუ-ლუშა ნარიანი („პოეანას წყარონი“) დავით აღმაშენებლის ძატორი-კუს<sup>12</sup>, თუმცა ვახუშტის სამართლიანი შეხედულებით ბოჟანო გეო-გრაფიულად ჯავახეთში შედას<sup>13</sup>.

ნარიანის მაგალითი იმის მოწმობაა, რომ ამა თუ იმ ქვეყნის პო-ლიტიკური საზღვრი ყოველთვის არ ემთხვევოდა მის ფიზიკუ-როგრაფიულ საზღვარს.

(სამისო მაგალითები ჩვენ სხვაც ბევრი მოგვეპოვება).

ქციის მარცხენა ნაპირს მიუკვებით. ქცია აქ ჯერ კიდევ მცირე ნა-დღულია და წყნარი ლიკლიკით მიჩნის თრიალეთისაკენ. მთის კალ-

<sup>9</sup> აღწერა..., გვ. 60.

<sup>10</sup> იქვე, გვ. 59—60.

<sup>11</sup> იქვე, გვ. 41—43.

<sup>12</sup> ქართლის ცხოვრება, 344.

<sup>13</sup> აღწერა..., გვ. 130.

თებულ შეფენილია უთვალავი ქართის ფარა. სერების უბეჭდში მოჩანს ფარებები. აქანე გვხვდება ნასოფლარები. ზემოვალია, ზემოვალია „ზაფხულის საჯდომია“ (ფეოდალის მოსახლეობის მიერ გაფრთხოებული შინაარსით ვნამიარობთ, ე. ი. არა მარტო ჩვენი დროის აგარიყის მნიშვნელობით, არამედ თურქულ-თათრული მაილაღის მნიშვნელობითაც). „ზაფხულის საჯდომი“ — ძველი საქართველოს მოსახლეობის მეტად მნიშვნელოვანი მოვლენაა. ის დაკავშირებულია მეურნეობის განვითარების გარევეულ მომენტებთან და მთისა და ბარის ურთიერთობის მატერიალური გამოსახულებაა.

გარევეულ დროს, როგორც ჩანს, საზოგადოების სამეურნეო ცალკების წესად შემოედა, რომ ბარის სოფელი „ზაფხულის საჯდომის“ იჩინდა მთიანეთში, სადაც ის ზაფხულობით სამეურნეოდ, მთლად თუ ნაწილობრივ, გადაიდიოდა (ვამორიცხული არც იმაა, რომ მთის სოფელს გაეჩინა „ზამთრის საჯდომი“ ბარში სამეურნეოდ... მაგრამ მთისა და ბარის ურთიერთობის ასე შორის მიმავალი საკითხის შესახებ საუბარი აქ უადგილოა...), ამ საჯდომებს ბუნებრივია, რომ ბარის სოფელის სახელი შერქმეოდათ. ზოგი ისეთი „ზაფხულის საჯდომი“ თანდათან მუდმივ სამოსახლოდ იქცეოდა. ჩნდებოდა, ამრიგად, ახალი სოფელი მთაში, რომლის მოსახლეობას სახელთან ერთად ბარიდან სხვა ტრადიციებიც ამოქმენდა (ნიშ-სალოცავები...). ჩვენი ნათქვამის ცოტხალი მოწმობანია დღევანდელი ორი ორჯა, ორი ჩანდო, ორი კოთელია, ორი ხორენია, ორი კულაკი, ორი ხულაკამი, ორი ხულგუმი და სხვ.

დროთა განმავლობაში, სხვადასხვა ვითარების გამო კავშირი ბარისა და მთის საჯდომებს შორის წყდებოდა. და დღეს ჩვენს წინამედინი საკითხად დგას სოფელთა საკეოგრაფიო სახელების ასეთი განმეორებანი. „ზაფხულის საჯდომის“ პრინციპის მიყენებით შეიძლება მარტივად აიხსნებოდეს, მაგალითად, თრიალეთისა და ქართლის ჩეხის ურთიერთობის ამოცანა, რომელიც ესოფერ მნიშვნელოვან საკითხს უკავშირდება აღრესაშუალსაუკუნეების საქართველოს ისტორიაში...

ჩენ მიერ უურადღება მიქცეული ეს მოვლენა, რა თქმა უნდა, ყოველთვის ვერ ასწინის საქართველოში სოფელთა საგეოგრაფიო სახელების განმეორების ყველა ფაქტს, სხვა შემთხვევაში ასეთ ფაქტს სხვა ასწინა მოეძებნება, მაგრამ ზოგი ფაქტისადმი ამ პრინციპით მიღვთმა, ეფიქრობთ, სხვაზე უფრო მართებულია (საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ეს დიდი საკითხი ასე ერთი ხელის მოსმით, რა თქმა უნდა, ამ გადაწყდება შეს ისტორიულ-მონოგრაფიული შესწავ-

ლა სჭირია და ექვემდებარებულია შემიძლია გარკვევით პლიტის  
რომ სააშისო მისალა საქართველოს ტოპონიმიკურისა თუ წარმომადგენ  
ბით წყაროებში უხვეად მოიპოვება). ცირკულაცია

ქცია გადაეციარეთ და მისი მარჯვენა მხრით სამხრეთშემციქლების ცირკულაცია  
ვით. ექვემდებარებულია ხელოვნური რუს ნაკვალევი. ვასტეტტი შენიშ-  
ვაც: „იტუვიან ტბის ყურისას — თამარ მეფემან ჰყო ტბად, ვინათ-  
გან ჩანს ნარუალი, რომელი გაიტანა ქციიდამ — და ამ უქმი არს“<sup>14</sup>.

ჩვენს მეცნიერის იმაში შეგვიძლია დავვთანხმოთ, რომ ეს რუს  
ქციიდან ტაბისყურამდე მიმღვრების მოსაზრებავად გატანილი არ  
უნდა ყოფილიყო: არც მოსაზრებავი ფართობი ჩანს და არც მოჩეუ-  
ების საჭიროება, ამიტომ, ხომ ამ იყო ეს რუს „ყალბიახით სახეს“ ქცი-  
იდან ტაბისყურამდი თევზის მომრავლების ხელოვნური ლონისძიება<sup>15</sup>  
თუ რა დიდი მნიშვნელობისად ითვლებოდა ფეოდალური მეურნეო-  
ბის ეს დარგი — მეთევზეობა, კარგად ჩანს თამარის (თუ დავითის)  
ხალხურ ეპიტაფიიდან: „თევზი იმერთა წყალთავან ამერთა წყალთა  
შთამესხნეს“...

მალე გამოჩინდა ტაფობი და თვალწარმტაცი ტბა. ტბაში შორის  
არის შეკრილი ნახევარეუნდული, რომელსაც სოფელია გაშენე-  
ბული. სოფლის შუაში, ცუკლაზე შემაღლებულ აღვილას, დგას ეკ-  
ლესია, რომელიც მართლაც წითლად გამოიყურება, აქედან სოფლის  
აწინდელი სახელი — კიზილქილისა, „Красная церковь“, წითელი  
საყდარი. ეს სახელი გვიან შეჩრქმეული არა ჩანს, მაგრამ ამ სოფლის  
ძეველი სახელი ტაბის ყურაც უნდა ყოფილიყო (შედრ. ტაბიამე-  
ლა, ტაბაკინი...).

XV საუკ.: კათალიკოზის სოფლებს შორის დასახელებულია  
„თრიალე თს... მილის სოფელი წითელსაც ა-  
რა“<sup>16</sup>. ისე რომ თუ ეს ტაბისყურის მეორე სახელი არაა, ის მაინც არ  
არის „უცნაური“, რომ ასეთი სახელის სოფელი არსებულა.

სოფლის აწინდელი შორისალეობა თითქმის სულ სომხებია ბა-  
რალეთიდან (ჩაითეთი). მცირე ნაწილი ქართველებია, გვარად სან-  
დაძეები (ამათვანაც უმრავლესობა გასომხებულია). მარკოშ სანდა-  
ძის გადმოცემით ამ სოფელს ძველად ხორი უნდა ჩქმეოდა, ძეველი  
წიგნები გვქონდა, ბეჭენელის დროს დაგვეკარგა, ექვემდებარებულია კაცი-  
ოთ რუს ვალინევი და ზონის ტბა ვადიზევიონ“. ასეთი „წიგნი“ საეჭვოა,  
რომ არსებულიყოს, მაგრამ გადმოცემის საფუძველი ის უნდა იყოს,  
ზემოთ რომ აღვნიშნე: ქციიდან ტბამდე რუს გატანას, ხალხის წარ-

<sup>14</sup> ალწერა..., ვვ. 60.

<sup>15</sup> ქრონიკები, II, ვვ. 196.

მოდგვინით, არა მინდვრების მორწყვა, არამედ ტბაში წყლის დაგრძელება კენდა მიზნად. ასეთ გადმოცემასვე გულისხმობდა, ქრისტიანული ჩანს, ვახუშტიც: „ი ტყ ვინ ტბის ყურისის“ და სხვ. (ცხმშემოწოდება რაც შეეხება „ხონის ტბას“, მარკოზ სანდაძის მოწმობა-ლექსი აქ უფრო ნიშანდობლივია და ასეთი სახელი მართლაც შეიძლება სწოდებოდა ამ ტბას, ხოლო სოფელს — ხონი).

სოფლის ახლოს, მის ჩრდილო-დასავლეთით სერზე მოჩანს ეკლესის ნაგრძელები. „წმიდა ნინოს“ ვეტვებითო, იქვე შერალ ხევს ნინო-ლელა პევიანო. უცნაურად ჩანს: ნინოს სახელობის ეკლესია ფარიფის ტბის გასაღინდებული და აქ კი არის.

წითელი საყდარი სანახვეროდ დანგრეულია. ის XI—XII საუკუნის ნაგებობა ჩანს (შეიძლება გადანეკეთები). დასავლეთის შერიდან კედელი მდიდრად არის შემქული ჯერებით, ბიბლიური სცენებით, უწესრიგოთ. ამ ხელოვნური ნახელავისაგან მკეთრად განსხვავდება ბალავერზე ამოქრილი (ნაგვიანევად?) უშმინ ჯვარი. აქვე ნაგრძელეთა შორის მოიპოვება წითელი ქვისაგან გამოთლილი სვეტის ნაწილი. ეკლესია მთლიად აგებული ყოფილა ლამაზად გათლილი ფიქლებისაგან. ის სამშენებლო ხელოვნების მაღალი კულტურის კირგი მოწმობა უნდა ყოფილყო. შეიძლება ისიც კი გვეციქნა, რომ ამ ეკლესის ავგაზში რიგოთი მოსახლეობის გარდა სხვაც მონაწილეობდა: ეს არაა ჩვეულებრივი სასოფლო ეკლესია. მაგრამ, თუ ეს ასეთ, რად არ ახლავს წარწერა?..

ტბის მიღამოებში სანდაძის ჩვენებით შემდეგი მოებია: მშრალი მთა (ჩრდილო-დასავლეთით), შორის სამხრეთით — აბული, მის ახლოს შავნაბადიდა და ბებერა კლდე. ჩრდილო-დასავლეთით თავკვეთილი (ჩამქრალი ვულკანი?), ჩრდილოეთით შუამთა.

ტბის შესახებ ვახუშტი ვეაუწყებს: „ტბა ტბის-უფრისა არს წყალი ანკარა, სასმელად ტკბილი და შემჩრე, ვარემო ნაძოვანი, ტყიანი, ბალახუფავილიანი, წყაროიანი და კალმახითა სავსე დიდ წვრილითა“<sup>18</sup>. სამწერხაროდ „ნაძოვანი და ტყიანი“ დღეს აქ აღარაუერია (ამბობენ, ტბაში პოულობენ ხის დიდროან მორებსო), დანარჩენი თვისებანი კი ამ ტბას დღესაც შერჩენილი აქვს (აქაური „დიდი და წვრილი“ კალმახის გემოიანობაში ჩვენ პრაქტიკულად დაგვარწმუნა ტაბისყურის თვეზის სარეწაოს გამგემ).

<sup>18</sup> იღწერა... გვ. 43.

შეა ტბაში კუნძული მოჩანს. ნავში ჩიგსხედთ და კუნძულის  
გაეცურეთ. იქ საძნტერესო ძელი ხამისახლარი ჩამს. ვინ იჭია, აქ  
ადამიანის უძველესი საცხოვრისის ნაკვალევიც შეიძლება და მართვის და  
დეს (ჩემ მიერ აქრეფილი კერამიკის ნაშთები ისე დაკვარებული არის და  
ერც ერთს ჩვენს სპეციალისტს კერ ვაჩვენე).

შოულონელად ქარი მოვარდა, არც თუ მაინცა და მაინც ძლიე-  
რი, მაგრამ ჩვენი ნაის პრტყულფრიანობა გაგვითვალისწინეს და  
სასწრაფოდ უკან დაბრუნება გვირჩიეს. დაებრუნდით, ტალღები საკ-  
მაღ ღონიერად გვაქანებდა და როცა ნახევარეუნძულს მოვატა-  
ნეთ, მაშინ მივხვდი, თუ რაზ უნდა სწოდებოდა ამ სოფელს ტაბი ი-  
ც უ რი: აქ ნახევარეუნძულის დასავლეთ ნაწილში ტბა არც კი ის-  
ხეოდა.

შე ჩადიოდა, როცა ცხრაშეაროს ულელტეხილზე ამოვედოთ. რა  
თვალსწიფრი, რა დიდებული სანახაობა, არ მასსოდეს ვთქვი თუ ვი-  
ფიქრე: „სხვა ხაქორთველო ხად არია...“

დამის თერთმეტ საათზე ბორჯომში ვიყვადით.

20. VIII. დღეს გამსაცუთობით მარჯვე დღე მქონდა.

მე და პროფ. პატ კ გ უ გ უ შ ვ ი ლ მ ა ჩიტახევ-ჰესის შექნებ-  
ლობის დათვალიერება განვიზრახეთ. შენებლობის ხელმძღვანელო-  
ბა გულმხურვალედ შეხვდა ჩვენს განშრახებს. დილის, 11 საათზე ამ  
დაწესებულების აეტობუსი სასტუმროს კარებზე მოვდადგა. შემოსვე-  
ეთ პროფ. შალვა რადიანი შემოვეხვდა, ჩაეძირა და წავე-  
დით.

გაეიძორეთ ლიკანი. აქ ლიკანის ხეობაში მტკვრის მარცხნა მხარე-  
ზე ნაჩვენებია (რუკით) „მონასტრის ნაგრძევი“. სხვა ღროს თუ და-  
ვათვალიერებ, თორემ ახალშენებლობის დასათვალიერებლად სპე-  
ციალურად მორთმეული აეტობუსით ასეთი რამ უხერხეულია...

ჩიტახევს მივედით. აქ სადგური უნდა აშენდეს. აჩხის სათვეე კი  
ქ ვ ა ბ ი ნ ე კ შ ი ა. ჩიტახევში დამათვალიერებელი ჯერჯერობით არა-  
ფურია. დვირში წავედით, საღაც მშენებლობის მმართველობა მო-  
თავსებულა. მშენებლობის მთავარ ინჟინერს ან დ ღ უ ლ ა ძ ე ს წა-  
რუდექით. გულთბილად მივვილო. მშენებლობის შესახებ ამომწურა-  
ვი ცნობები მოგვაწოდა. ჩემს შესატერის კითხვაზე ისიც დაგვიმოწ-  
მა, რომ აჩხის თხრისას მუშები და მშენებელი აქა იქ ბრინჯაოს ნივ-  
თებს პოლონები. არ შეგვინახავსო, ინანა. ჩვენი დანაშაულია: გა-  
ნა არ შეგვეძლო, თუ სპეციალურ ჩეთვალურებს კერ მიუჩენდით,  
ერთი სიინსტრუქციო მოხსენება წაგვევითხა ამ ამხანაგებისათვის, ან  
არა და, სად არის ბორჯომის სამხარეომულნეო მუშეული?

ამს. ანდლულაძემ ტექნიკური განყოფილების მთავარი რანჟინი აფინიული ჯავახი ამს. მოსიძე მოვეიჩინა და ავტომატური ჩემპიონი განკარგულებაში მოგვცა. ჯავახი ქართული კულტურისა და მთავარი რიცხვი მოყვარული აღმოჩნდა, თანაც ნიჭიერი და ხალისიანი ინ-ტელიგენტი.

ქვაბინებისაკენ წავედით. დვირშივე მტკვარზე ხიდის კურტინის ნაშთი შევამჩნიე. მოსიძის გადმოცემით ეს ხიდი, ასე ამბობენ აქაური მოხუცებით, ერეკლეს დროს მოქმედი იყო და ერეკლეც ამ ხიდზე გამოვიდა, აწყურის რომ მიღიოდა საომრალო (ე. ი. 1770 წელს). შეიძლება. შესწავლა უნდა (ერეკლეს მოვაცირე ტოტლებენი კი, ცონბილია, სულ სხვა გზით მივიდა აწყურში).

დვირში (სოფელში თუ ხეობაში) ბევრი რამ არის ჩემთვის ღირს-შესანიშნავი. ამ ხეობაზეა ს აკირის ციხე, ს თუ, ტაძრის ი. უნდა სხვა. რიგად მომარაგებულ-მოწყობილი და არა მოაგარებე, წა-მოვიდე საყუთარი მანქანით...

დვირი საზღვარი იყო ოსმალთა მძლავრობის ეამს ქართლა და ახალციხის საფაშოს შორის, ვიდრე 1828 წლამდე<sup>17</sup>.

ქვაბინებეს მივედით. ამს. მოსიძემ დაწვრილებით გავვაცნო კაშხლის მშენებლობა საცაა დაასრულებენ. გავვაცნო არხის მშენებლობის სათავე. გატაცებით გვესაუბრება. ჩანს, ესმის და უყვარის თვეისი საქმე... დავათეალიერეთ სამი კილომეტრი სიგრძის გვირაბის მშენებლობა. მან უნდა მტკვარი გაატაროს. მცირე და ღარჩენით გასაჭრელი გრანდიოზული სანახევია.

სამაცოა სოციალისტური მშენებლობა. მაგრამ აქ კიდევ შეტია ჩემთვის სამეცნი და სამაცო: სოციალიზმის მატერიალური მშენებელი სხვა კი არაა, თვით ქართველი ხალხია, მისი სახელოვანი შეი-ღებია.

კაშხალის „დამართებით“ (გარშა, პირდაპირ) მტკვარის მარჯვენა შეარეს ციცაბო კლდეზე რაღაც ნანგრევი მოჩანს. ციხეოთ, თამაჩის მიაწერენ, — გვითხრია მოსიძემ.

ავტომატურში ჩავწერით და უკან დაგეპრუნდით. მშენებლობა ვრახეთ, ჩემინი დროის უკთევა ძლიერიად ვიგრძენით და მე, ისტორიკოსს, სწო-

<sup>17</sup> ქართლისა და სამეცნის საზღვარის ისტორიის განძილებე უცდელია არ უ-ფრია და სასაზღვრო ხაზი სხვადასხვა დროს ტაშისკარიდან აწყურიძე ქანობდა კუკა, ლეონტი მრთველი, 10. ათონის იურიის მონასტრის 1074 წ. ხელნაწერი იღვებით (1901 წ. გმირცემა), გვ. 320; გ ა რ ი, ცხოვრება გზივის ხანძთელისად გვ. 3; თ ა უ ა ც შ ე ი ლ ი, მისაღანი საქ. სტატისტიკურის აღწერილ-ბისა..., გვ. V; 6. ბ ე რ დ ე ნ ი შ ვ ი ლ ი, უკოდალური ურთიერთობიდან XX საუ-კენეში, 51.

რედ ესლა მჭირია, ამ განწყობილებისას, ძველის მოხველე, ქველს ახლის შუქი მიეფინოს, რომ ძველი ახლის შუქშე განათდეს (და ესაა ჩვენი საბჭოური ისტორია...).

ლიდად დავალებული მოვდიოდით, თუმცა ტუსალეშიშვილი შეკაზე სიარული ტუსალობაა).

მოსიძემ შემამწინია, რომ ნაღვლიანი თვალები ქვაბიხევის სიღრმეში მიმდიოდა და წინადაღებით მომმართა. თუ გნებავთ მემანქანეს ვეტუვი და ამ ხეობაში შევიდეთო. გვესიამოვნა. შემანქანებ მანქანა მარცხნით შეუტკია და ხეობას ჩრდილოეთის მიმართულებით შევ-  
უვით.

შე ჭერ კიდევ აქეთ წამოსვლამდე დღეს დილითვე ჩაუჭექე რუ-  
კას. ის (ხუთვერსიანი რუკა) ამ ხეობაში ბეკრს არაფერს ვპატირდე-  
ბოდა, მაგრამ ამ რუკის ნაცლულობა ბეკრგერ მქონდა გამოცდილი  
და ესლაც მეიმურებოდა, რომ ამ საინტერესო სახელის ხეობაში რა-  
მეს ვიპოვიდა.

შესვლის უმაღვე თვალწინ წარმოგვიდგა მეტად ლამაზი ხეობა.  
ეს მართლაც რომ „ქვაბის“ ხევია, თუ „ქვაბი“ ადამიანის პირველ  
საცხოვრისს ეწოდება.

საქართველოში ასეთი ხეობა მე მხოლოდ ბზიფისა თუ მომავონ-  
დება (რიწასაცენ).

პეტერბერი დაშვებული საოცარი სიმაღლის კლდეები  
ერთი მეორის პარალელურიად ჩამწყრიცებულან. უბსოვან დროში ამ  
გიგანტებს გზა გაუთმიათ ვიწრო ხევისათვის. ლრმა ხეობით მოედი-  
ნება ქვაბიხევისწყალი (კალმაზით არის სისხეო). ცველაფერი დაბუ-  
რულია ხშირი ფოთლოვან-წიწვიანი ნარევი ტყით. შიგა და შიგ მო-  
ჩანს აღამიანის ნაკვალევიც: — კულტურული მცენარეები (კავ-  
ლი...).

ხუთი კილომეტრი ვიარეთ. ხეობის ერთ შედარებით ფართო აღ-  
გილს ორი კაცი შემოგვევდა. მანქანა დავაყენეთ და უცნობებს სა-  
დაუტობა და ვინაობა ვეითხეთ. აღვილობრივ მკვიდრს ვნატრიობდი.  
ასეც აღმოჩნდა: ქვაბიხეველი გო გო ჩი შვილები სოფელი  
ქვაბიხევი (ისე როგორც თითქმის ყველა სოფელი ბორჯომის ხეო-  
ბაში) XIX საუკუნეშია დასახლებული. აქ სახლობენ გოგიჩაშვილე-  
ბი (ქართლიდან), მაისურაძენი (იქიდანვე), ხაჭაპურიძენი (იმერეთი-  
დან).

ქვაბიხეველი გოგიჩაშვილის სიტყვით, მდინარე ქვაბიხევი ვამო-  
დის შავ სერიდან. ურმის გზა ამ მდინარეს და ხეობას ლო მის  
მთა მდე შესდევს, შემდეგ გზა აწვრილი მიღის მარელისში  
(იმერეთში). ჩვენ რომ ვიდევით, იქიდან კარგად ჩანდა უდელტეხი-

ლა — ლომის მთა. ამ მთაზე, ჩვეული მოსაუბრის გადმოცემის  
კინ არაა, მაგრამ ნასოფლარი კიდ და ძველი ეკლესიაც (რუსში ამ  
ადგილის მართლაც არის აღნიშნული „წმ. გორგის ეკლესი“). მაგ-  
დან გზა მარტოლის — ლელვანისაკენ და ვახანისაკენ მიღის მარტოლის  
მა კამანი, შეიძლება, სწორედ ამ გზით მოირანულა...).

შევსერიას წყალი (=ქვაბიხევი) და ლოშილე ლისწყალი  
ი ერთი მეორეს შეეყრებიან სოფელ ქვაბიხევიდან ჩა კილომეტრ-  
რში. ამ ადგილს წყალგაურილა პევია (sic „ხერთვისის“ და  
„შერთულთას“ საწინააღმდეგო თვალსაზრისი. ორივე კი სწორია...).

ჩემ მოსაუბრეს ვკითხე, თუ რა პევია ამ ადგილს მეთქი. ციხის  
ჭალა — მიბასუბა. ციხე სად არის მეთქი. დამანახვა. აქეთ ახლოს  
ციცაბო კლდეზე ციხის ნანგრევი მოჩანდა. ამ ციხეს რა პევია მეთ-  
ქი. ზე მოთხოვ — მიბასუბა. პირველად ამ სახელმა ჩემი ყურადღე-  
ბა ვერ მიიტყო. შემდეგ უეცრად წამომავონდა უდე მოთხოვ ცი-  
ხე. და მოსაუბრეს კითხვითვე მიემართე: ეს თუ ზემოთია, ქვემოთი  
სადაა მეთქი. ასეთი არაფერი ვიციო.

გამახსენდა დემოთის ციხე ვახუშტით<sup>18</sup>, ლეონტით<sup>19</sup> და თავი  
წარმოედგინე იმ ხეობაში, რომელიც ძველად აგრე დიდი პოლიტი-  
კური მნიშვნელობისად ეგვიპტოდათ. სარწმუნოდ მეჩევნება ვარა-  
ული, რომ ამ ხეობით, ერთ-ერთი ტონველი გზა გადადიოდა სამცხი-  
დან იმერეთში. ამ გზის ნიშნებია დემოთის ციხე და ლომისა...<sup>20</sup>.

მაგრამ „ქვაბიხევში“ მე ამაზე უფრო ძველი ნაკვალევიც მელან-  
დება. სამწუხაროდ, ეს ხეობა ამ თვალსაზრისით ჯერ არავის მოუხი-  
ლავს...

ციხეზე ასელის დრო არ იყო (ისტორიკოსები რომ მხლებოდნენ,  
სხვა საქმე იყო, ეს მოაგარებული კი უფრო ჩემი ხათრით წამოვიდნენ  
ამ „მიურუებულს“ ხეობაში. მართალია, მოსწონთ და ხალისსაც იჩე-  
ნენ, მაგრამ მე მაინც არ მმართებს თავდაციწყება... თანაც ეს ციხე  
არც აგრე ადგილად მისადგომი ჩანს)...

ამ ადგილს სპეციალური მოხილვა უნდა ნანგრევმა მეტად საინ-  
ტერესო მასალა შეიძლება მოგვცეს. ვინ იყოს, შეიძლება ჩვენ დრომ-  
დისაც ცოცხლად შემორჩენილია ნაგებობის კვალი იმ ციხისა, სუმ-  
ბატ ბივრიტიანშია რომ „აღაშენა... ქუეყანისა ოძრჲევისასა, რომელ-

<sup>18</sup> აღწერა..., გვ. 124.

<sup>19</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 47.

<sup>20</sup> დემოთის ციხე XVI საუკუნეშიაც ცოცხალია და ითაბავების ხელთაა,  
ვ. თავათშიოლი, სამი ისტორიული ქრონიკა, 114.

სა ეწოდების სამცხე, ადგილსა, რომელსა ჰქვან დემოთი, შოთა  
ბულად მთასა ღაფლასაა<sup>21</sup>.

(და რა საინტერესო მასალაა ისტორიულ-გეოგრაფიული უზურულებელი  
სათვის: ცემოთი, ოძრევე, ლომსია, წუნდა...). 

ეკლესია ვეითხე ჩემს მოსაფრენს. არასო აქ ხეობაში მარიამ  
წმიდაო... უკვე ეს სახელწოდება „მარიამწმიდა“ ძეგლის სიძვე-  
ლეზე მიუთითებდა. მარიამწმიდა სოფელ ქვაბისხევის ახლოს ყოფი-  
ლა უკან დავბრუნდით. მეგზურმა მაღა გაგვაჩერა. დავიქვეითედ და  
გზიდან. მარცხნით ბილიქს ავყევით მოლობისაკენ. ფერტობს ეტყო-  
ბა ძველი კულტურული ნასაქმევის კვალი: კაკლის ხეები. აქვე ახლოს  
რაღაც ძველი ნაწერევი ჩამს, უკიროდ ნაშენი.

მოთხედი კილომეტრი ავიარეჟ და ერთს უზარმაზაზ კლდეე-  
დელს მიგადევით. აქ არისო ვეითხე გოგიჩაშეიღმა და ამ კლდის  
დავაკებაზე მიგვითითა. ყოვლად შეუხედავი რამ მოჩანდა ამ კლდის  
ნაშალი ქვებისაგან უშნოდ არასეილი. არ მესიამოვნა. აქვე კლდი-  
დან ანკირა წყირო გადმოსჩეულდა და თავისკენ გვეპატივებოდა. ჩა-  
მოვჭექით. „მარიამობას აქ მრავალი ხალხი მოდის, ქვევით მდინარის  
პირას ღამეს ათევენ, ხატობენ“ — ვეითხრა ჩვენმა მეგზურმა.

უხალისოდ წავედი ეკლესისაკენ. ისე მეჩვენებოდა, რომ მოლო-  
დინი არ გამიმართლდა. ძველსა და საინტერესოს ამ ართხვილ ქვებ-  
ში ვერას ვიპოვიდი. მაგრამ მცირედ მივიწიე თუ არა, უცხათ გულს  
მომხვდა: კარნიზის თლილი ქვები აქაიქ შერჩენილი ჩანდა, სახუ-  
რავიც ფილაქნური გამოჩნდა. კოდევ ცოტა და ვერიყა! ჩვენ თვალ-  
წინ ტიპიური ბაზილიკა იყო, სიონი. თუმცა გაცილებით უფრო მცი-  
რე მოცულობისა, ვიდრე სხვა ამ ტიპის ძეგლები (ბოლნისის, ურბნი-  
სის, ანჩისხატის...).

ბალავერს ორნამენტი რაიმე არ აქვს. შესასელელი მხოლოდ და-  
სავლეთიდანაა. აქვე სარტმლის ზემო ქვა შემკულია ლამაზად ამო-  
კრილი სამი „ბოლნური“ ჯრით. ეკლესია სამნავიანია. ვეერდის ნა-  
ვები სამი სვეტით გამოეყოფა მთავარ ნავს. სვეტები წახნაგოვანია.  
კაპიტელებით. შეუა ნავის ფართობი 8×4 მ., გვერდის ნავისა (თითოე-  
ულის) 8×1,5 მ. ნავის თალები — წმინდად გათლილი ქვები. კედლე-  
ბი, ეტყობა, მოლესილი იყო. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ეს ნავე-  
ბობა აღრეფელულდალური ხანისაა.

<sup>21</sup> ქართლის ცხოვრება, გვ. 47.

მარჯვენა (სამხრეთის) ნაცი საკურთხეველის გასწვრივ გადატების რელია. უმეტესობა, ეს გვიანი ამბავია. შექმნილი, ამრიგად მომზადებული ცეცხლი ვიღაცას დაუმისებია და მოუხატვინებია. მოხატვული წარწერების ხასიათის მიხედვით თითქო შეუძლებელია ეს საქმე XIII - საუკუნეზე გვიანდელ დროს მოწერის. მოხატულია სამღლო-ცეცხლის მხოლოდ მარცხენა მხარე. ფრესკები დაზიანებულია. ოთხი ფრესკა, წელს ზევითი, წმინდაზე მისამართის. ამათ ქვეშ საგანგებოდ შემოხატულ ამიაში (წითელი საღებავით) ორი საერთო პირია მოთავსებული — ქალი და კაცი, ქალი შეა ხნისა ჩანს. სახე კარგად არ უჩანს, წამლილი აქვთ (ჩამორეცხია). თავსა და ყელზე მოხვეული აქვთ მათილი. სამოსელი წითელი ფრესის აცვია, მლოცველი ხელები წინ გაუმცვერია, ხელში არა უჭირივს რა.

მანდილოსნის უკან ახალგაზრდა კაცის სურათია მოთავსებული. ის უწევერულებაშოა. ტანისამოსი (ზედა) ამასაც წითელი აცვია, ქვეშ კი ცისფერი: მლოცველი მკლავები (უფრო კი მაჯები) ცისფერში ჩანან. სამწუხაროდ, ნათლად არა ჩანს თავის საბურველი: ამ ნაწილში ფრესკა დაზიანებულია. თმები კულტულებად ემჩნევა უკან. პირისახე უკეთ დაცულია, მეტად სანდომიერი, ახალგაზრდული. სიმაღლით ეს ახალგაზრდა იმ მანდილოსნის ტოლია. ტანთ აცვია ისეთივე სამოსელი როგორც „გაუცელებს“ (ზარჩხა — პელა — საფარი). ოღონდ წითელი. სამელავე და სარტყელი ძვირფასი თვლებითა აქვს შემკული. იარაღი არ ახლავს. მლოცველი. თითები — განსაკუთრებული ახალგაზრდა, ასევე წვივფლებებიც...

ეს ახალგაზრდა თითქო შეიღლი უნდა იყოს მის წინ მდგომარე მანდილოსნისა, თუმცა უკეთ თავს მოსწრებული ჭაბუკი.

ახალგაზრდას ახლავს მარცხენა მხრით წითელივე საღებავით შესრულებული ასომთავრული წარწერა, უკეთელია, ფრესკის თანამედროვე — შოთა. მარჯვენა მხრით იყო თუ არა წარწერა, არა ჩანს.

ამ წარწერის გასწვრივ მანდილოსნისაც (ამ უკანასკნელის მარჯვენა მხრით, ასეთივე საღებავით და ამავე ხასიათის (დამწერლი პიო) წარწერა: იარაღი).

მანდილოსნის ფრესკის მარცხნითაც თითქო უნდა ყოფილიყო რაღაც წარწერა, რომელიც (ნაკვალევი), სამწუხაროდ, აღარ იყითხება: გადასულია.

ი ა ი და შოთა, ბუნებრივია კიფიქროთ, დიდგვარიანი აზნაურის სახლის წევრებია — დედა და შვილი — ამ ქვეყნის (დემოთის ჰალის თუ მოელი ხეობის მარცხენა ნახევრის?) მემამულენი (ბუმულისძენი, ჩახრუხასძენი?...).

ია ი და შოთა ამ ეკლესიის კრიტორები, რა თქმა უნდა, ა ან, არამედ ამ სამლოცველოს შემქმნელი და მისი მოხატვეს ერწყმა ტორები.

გვიპლიტიკა

წელი (ზემოთ) რომ ფრესკებს XIII საუკუნით ვათარილებდი, ეს კისაუდია post quem non, თორემ ამაზე უფრო ქვევით ეს ფრესკა თავისუფლად შეიძლებოდა, თუნდაც XIII საუკუნის მეორე ნახევრიმდე, ჩამოვეწია.. (იხ. სურ. 2).

მე ამით რუსთაველისაენ არ ვეწევი შოთასა და იას. თუმცა შეუძლებელი აქ არაფერია. ამ ჩვენს შოთას თავისუფლად შეეძლო რუსთავიც და რუსთაველიბაც მიეღო... ვინ იცის, რუსთაველი მართლაც „მექევე“ ციო, ჩახრუხას ძეთა სახლიდან, მაგონდება შოთაძენი საღვერიდან. (მაგონდება საერთოდ ჩვენი რუსთაველოლო-გიური ლიტერატურა...). მაგრამ რუსთაველზე იმდენი ითქვა, რომ ის სამი საუკუნის მანძილზე ყოველ პირობას და გარემოებს ეგუება...

უკან დავბრუნდით. მენანებოდა, რომ, ჩემდა უნებურად, მეტ ხანს დარჩენა არ შეიძლებოდა. ავტობუსის ამდენ ხანს ვაჩერება უხერხული იყო, თანაც ჩემი მოაგარევე კოლეგები საღილს მაჩქა-რებდნენ.

დეირში გამოვიარეთ მშენებლობის დირექტორს ამხ. მინა-შვილს მადლობა მოვაძხენეთ. ჩვენი წარმატებაც ვაცნობე და ძეგ-ლის (მარიამწმიდის) დასაცავად ფინანსისური დაბმარება ეთხოვე. დამპირდა, ოლონდ საჭიროა დასაბუთებული მოხსენებაო. სად არის ბორჯომის სამხარეოთმცოდნელ მუშეუბი? აქ უკელა პირობაა კულ-ტურული მუშაობისათვის, საჭიროა, ოლონდ, კულტურული მუშავი.

დიდად ქმაროვილი ბორჯომს დავბრუნდით.

შაინც ია და შოთა არ მასვენებენ. „ვინ იცის, მართლა შოთაა“, კუიქრობ და მეცნიერული გამოკვლევის ჩონჩხს ზეპირად ეთხზავ... საფუძვლიანი კვლევა შემდეგ იყოს, ეხლა კი მაინც უნდა კანახო ერთხელ კიდევ ჩემი მარიამწმიდელები.

აქ, ბორჯომში, პროფესორი ალექსანდრე ალადა შვილი ისვენებს ცოლშვილით. საკუთარი მანქანა ჰყავს. პროფესორი ალექ-სანდრე სიძეელეთა მოყვარულია. თანაც მისი ქალი ნათე ელა ჩევენი ხაზით მუშაობას იწყებს (ქართული ხელოვნების ისტორიაში), ახალ-გაზრდა ვახტანგი კი, ექიმი, ფოტომოვარულიცა.

შევითქვით მარიამწმიდის წასკლა, იმ დღესვე აწყურის ნახვა-საც ვაძირებთ, თუ მოვიხერხდა.

დოც. მამია დუმბაძე შევიპირე, ავტობუსს გამოყვება.

შეორე დილით წავედით და სულ მაღლ მარიამწმიდაზე ვიყავით...



Նկ. 2.

დეგლის არქიტექტურულ დახასიათებას ან ამ სამღარევო  
ფრესკების აღწერის (იქ ექვსი წმიდანია) მე გამოვტოვებ. ჭრის ჩემი უკან  
ზე უკეთ საქმის სპეციალისტები შეისრულებენ. ის კი შემოზღუდულია არა  
ჯერებით განვიცხადო, რომ იაი-სა და შოთას სურათები ამ სამღლ-  
ცველოს საერთო მოხატულობის თანამედროვეა. როგორც ნავეალე-  
ვიდან ჩანს, შოთას ქუდი უნდა ხურებოდა (თოთქო ისეთივე, რო-  
გორც ათაბაგთა სახლისშევიღებს...), თოთხე ბეჭედი არ აცვა, არც  
საყურე ამკობს. სამკლავე, სამაჭური, კაბის გულისპირი და სარტყე-  
ლი კი ძეგინვასი თვლებით აქვს შემკული. ფეხზე აცვია წითელი ზო-  
ლით შემოვლებული ცისფერი საცვეთები.

ის წითელი მოსასხამი მუხლებამდე სწოდება, ქვეშ კაბა, აგრეთ-  
ვი წითელი, კოჭებამდე უწევს, ფეხზე ცისფერი საცმელი წითელ-  
ზოლშემოვლებული აქვს. მოსასხამს შეგნიდან ის ცისფერი სამ-  
კელი ჰქონია: მაჭებიდან ჩანს. კაბა გულმექრდზე სამეაულებმოყო-  
ლებული აქვს (თოთქო), მელავებზე და არც კაბის ქვემო აშიაზე სამ-  
კოული არ უჩიანს.

შოთას კაბა მუხლს ქვემოთ ოდნავ სცილდება, კაბის ქობაზე სამ-  
კაული არ ჰქონია. ყელი შოთას მაღალი და შიშველი აქვს, საგულე  
თეთრი.

ის მარცხენა მხრით წარწერა უთუოდ იყო. ერთი ასო რ კარგად  
ირკვევა.

ეხლა „იაი“-სა და „შოთა“-ს გამო. ეს წარწერა რომ XI საუკუ-  
ნეში. გაეკეთებინათ, მოსალოდნელი იყო, რომ ეწერებოდა იაი-  
XII საუკუნის მეორე ნახევრიდან კი შეიძლებოდა ყოფილიყო  
იაი-ც. მხედრულს მიჩვეული (სადაც ა არ იყო), აღარც ასომთავ-  
რულად წერისას იცავენ მართლწერას, თორებ წარმოუდგენელია,  
რომ აქ სიტყვის ბოლოში სრული ხმოვანი (ი) გამოითქმოდა, და  
არა მ.

საყურადღებოა, რომ დამწერი არც ამ წესს იცავს და წერს:  
შოთა და არა შოთი, როგორც მოსალოდნელი იყო. (ეს რომ  
X—XI საუკუნის წარწერა ყოფილიყო, გვექნებოდა შოთა). ჩანს,  
ამწერლობაც და ზეპირმეტყველებაც მტკიცე წესს აღარ იცავდა.



22. VIII. პროფ. ალ. ალადაშვილმა ტიმოთესუბანს (—ემოოთის-  
პანს) გაგვასეირნა საერთაში მანქანით. „აქა თორის წყლის აღმოსავ-

ლით ას კიმოთი სმანს მონასტერი გუნდათიანი, კიდევ მეტად შევნიერს ადგილს<sup>22</sup>.

წალვერს გაეცდით. გუგარეთის (თორის) წყლის გაფართოების შემთხვევაში როგორ კლიტიდან უზნარიანის ციხე გადმოგვყურებს. „კიმოთისძის ქვეით ას ციხე თორის წყლის აღმოსავლეთის კიდესა ზედა უზნარიანის ა, ფრიად მაგარი“<sup>23</sup>.

რა უმაღლერად გვიქვს მიტოვებული ეს ციხეები ჩვენ, ისტორიუმ-სებს. დგანან დღეს ცხეირპირჩალეჭილი ოდესებჲ ქვეუნის მცელი ეს ვაჟაცები და აზავის ჩვენგან არ აგონდება მათი საქვეუნო ლეაწლებულობა. არც ვიცავთ, არც ვსწავლობთ.

უზნარიანის ციხე ბუნებრივისა თორელთა ფეოდალურ სახლს დაუკავშიროთ (სამძივარნი)... მაგრამ ასეთ საკითხებზე მსჯელობისათვის საჭირო იქნებოდა თორისწყლის ხეობის (გუგარეთის ქვეუნის) ისტორიულ-გეოგრაფიული თვალსაზრისით მოხილვა და ამ ცახის საგანგებოდ შესწავლა...

ჩევნია მანქანამ ჩქარი დაეცა მანძილი თორისწყლის სანაპიროთ. მდინარის მარცხენა მხარეზე შეეცა სიბრტყეებად აუზდებულიან უზარმაშარი კლდეები. მათ თხემს ხშირი წიწვიანი ტყე ამჟობს. შემცელ კლდელში მრავლად მოჩანს ქვაბები. ზოგიერთ ქვაბს ხელოვნური კარი ემჩნევა.

ქვაბები ამ ხეობაში სხვაგანაც მრავლად ბოიპოვება. ადამიანის საცხოვრისად მათი გამოყენების კვალიც ადვილად შესამჩნევია, თუმცა მათი ხელოვნურად შეკეთება სხვაგან არც აგრე ხშირია. ზოგიერთი ქვაბის შესასვლელი ხელოვნური კლდით ამოქოლილი ჩანს. ძველის ძველი ამბავი ეს არ უნდა იყოს. უფრო სიფიქრებელია, რომ ამ ქვაბებში ცხოვრებას ერთხელ კიდევ (ვინ იცის მერაბ-დენეგერ...) დაუბრუნდა ქართველი მიწისმუშა გვიანდეოდალურ ხანაში, როცა ქვეყანა ბარბაროსმა ოსმალობ და მტაცებელმა აბრავებმა მოიცვეს.

ბუნებრივად აგონდება ადამიანს: ქვაბი, ქობი, ქობერი, ქვაბის-მანი, ქვაბთახევი, ქობთათვი, ქვაბის ლელე, ქვაბოანი, ქვაბოვანი, ქვაბიხევი, ქვაბულ, ქობულ, ქობულეთი, ქუაბულელ, ქვაბლიანი, ქვაბლიძე, ქობულაძე, ქობულია, ქობულაშვილი და სხვ.

„ქვაბულ“ — ადამიანის უძველესი ქართული სახელია წერა-ლობით დამოწმებული (მცხეთის გეორის წარწერა).

<sup>22</sup> ალწერა..., გვ. 84.

<sup>23</sup> იქვ.

  
ბუნებრივად სავარაუდებელია, რომ ადამიანის უძველესი ცხოვრისის ქართული (და ზოგად ქართული, თავდაპირვეულს, ჩრდილოების საცხოვრის შემდეგ, „გვიან“, შეერქვა; რომ თავდაპირველად „სახლი“ სისხლით მონათესავე ადამიანთა ერთობას ერქვა და ეს „სახლი“ „ქვაბში“ ცხოვრობდა; შემდეგ, გვიან, როცა „სახლშა“ „ქვაბი“ დატოვა და ხელოვნურად იყებულ საცხოვრისში მოთავსდა ამ საცხოვრის, ბუნებრივია „სახლივე“ ეწოდა. ქვაბი კი იმ უძველესი საცხოვრისის, ამ უკვე მიტოვებულის, სახლადვე დარჩა.

ასეთი ძერები, რა თქმა უნდა, დიდი საზოგადოებრივი ტეხილის, დიდი ტექნიკური და სოციალური წარმატების შედეგი უნდა ყოფილიყო...

აკეთ იქნება მთლად აგარაკული ფანტაზია, თუ ვიფიქრებდით, რომ ქვაბულ-ქობულ შეიძლება უძველესი ქართული ზოგადი სახელი იყო აღმიანისა.

კიმოთისმანს მივედით. მისასელელში საქმიად დაცული საერთო ხსიათის ნაგებობის ნაშთია. აგურით ამოყვანილი შენობა რაღაც ძველ კედელზე ნაწილობრივ დაშენებული. ის სამი განყოფილებისაგან შედგება, ამ ნაგებობის ისრისებური თაღი თითქო მის შედარებით ნაგვანერობაზე მიუთითებს. მთავარი ეკლესიაც ასეთივე ცვურით არის ნაგები და მისაც ასეთივე ისრისებური თაღები ახასიათებს. შთაბეჭდილება ისეთია, რომ ეს საერთო ხსიათის შენობა (სატრაპეზო, საოსტიგნე?) და მთავარი ეკლესია ერთი ღროის ნაგებობანია (თუმცა ამის შესახებ საფუძვლიან სიტყვის სპეციალისტები იტყვიან ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტიდან).

მთავარი ეკლესია დიდი ვუმბათიანი შენობაა. ის საქმიად დაცულია. შიგნით მოხატულია და ფრესკების დიდი ნაწილი გადატენილია. როგორც სატრაპეზოზე დაკვირვებით შეინიშნება, ეს ნაგვიანევი მშენებლობა ძველი მშენებლობის ნანგრევზე მომხდარა.

აქვე, მთავარი ეკლესიის ჩრდილოეთით, მოიპოვება რაღაც შენობის ნანგრევი ქვის თლილი ლოდებისაგან. ეს ნაგებობაც, საფიქრებელია, უფრო ძველია, ვიდრე მთავარი ეკლესია და სატრაპეზო.

აქვე, მთავარი ეკლესიის უკან, დგას მცირე ეკლესია — ერთხვიანი ნაგებობა. ძველად ის მთლად თლილი ქვით ყოფილა აგებული: ძველი თლილი ქვის კედელი სანახევროდ გადატენილია. ამ ეკლესის ერთი კარი აქვს სამხრეთის მხრიდან, სარკმელი — ორი აღმოსავლეთით და დასავლეთით. უკანასკნელის ზემოთ მოთავსებულია საჩქმლის ქვა დაზიანებული წარწერით. ეს ქვა ჯერ კიდევ ამ რამდენიმე ათეული წლის წინ ამ საჩქმელზე აზ ყოფილა (ვინ-

გრაფოვ-ნიკიტინის ცნობით). კეცს შეიძლება უფიქრა, რომ წარწერით მთავრი ეკლესიის სარქმელიდანაა. ასეთ მოსაზრებები და მაგრებდა იმ ქვაზე გამოყვეთილი ჯვრის ფორმის მსგავს უფლებელობები ეკლესიაზე გამოყვანილ ჯვრის ფორმებთან. მაგრამ საძირი ადგილი მთავრი ეკლესიაში არსად ჩანს, აյ კი, სადაც ეხლა, ის მოხდენილად ზის. წარწერა ასომთავრულია. ის მოთავსებულია სარქმლის მარცხნით და მარჯვნით ორსატრიქონად. გადარჩენილია მხოლოდ ცამეტი ასო, მარცხნით რვა, მარჯვნით ხუთი; ასოები მსხვილია, მტკიცე ხელით და ლრმად არის მოკეთილი (წელს ბორჯომში განზრაბ შეუიარაღებელი წამოვედი, რომ არსად მევლო და დამესვენა და ისტორიკოსისათვის ასეთი შეუფერებელი განზრახვის გამო, როგორც ვხედავთ, „სამართლად“ ვისჯები: წარწერის ფოტოპირი არ მექნება). წარწერა სარქმლის მარცხენა მხარეზე:

### ქ' ად' სოლ

აქ ლ-ასის შემდეგ ადგილი, ერთი ასო რომ დაეტეოდა, ცარიელია და ზედ ასოს კვალი არ აჩნია. საერთოდ, ასოები ისე მტკიცე ხელით და ლრმად მოკეთილია, რომ ძნელად დასაშეებია, თითქო იმ ცარიელ ადგილზე ასო ეწერა და ისე უკალოდ წაიშალა. ქვაც არა ჩანს აქ აგრე დაზიანებული: მოსალოდნელი კი იყო ი (ან ი ან თა ?).

წარწერა სარქმლის მარჯვენა მხრით:

### შლა ე

როგორც აღნიშნეთ, აქ ქვა ჩამოტეხილია და არ ვიცით, გრძელდებოდა მასზე წარწერა თუ არა. იმის გამო უკეცელობით წაკითხვა მოტანილი წარწერისა ძნელდება. უდავოა: „ქრისტე აღიდე“. იმის შემდეგ ჩვენზეა დამოკიდებული, მარცხენა მხრის მეორე სტრიქონის — „სოლ“ მივაყოლებთ. თუ მარჯვენა მხრის პირველ (დაცულ) სტრიქონის — „შლა ე“. პირველი კოშბინაცია მოგვცემდა: „ქრისტე აღიდე სოლ (უკანასკნელი სიტყვა შეიძლება წაგვეკითხა სულ(ითა) ინ სულ(ი) შალვა ერისთავთა ერისთავი (ან უსი): ნათესაობითი ბრუნვის ნიშანი „ისი“ შესაძლებელია ეწერა მეოთხე სტრიქონად, თუმცა ეს პრცაა აუცილებლად სივარაუდებელი: დაქარაგმებულ ე-ში წარწერის ამომპრელს შეეძლო ეგულისხმა როგორც ერისთავთა ერისთავი, ისე ერისთავთა ერისთავისი).

მეორე კოშბინაციისას მივიღებდით: ქრისტე აღიდე შალვა ერისთავთა ერისთავი სულ (ითა).

ჩვენ უფრო მისაღებ კომბინაციად გვეჩვენება: „ქრისტე აღიდე სულ ითა შალვა ერისთავთა ერისთავი“, თუმცა არც იმის საწინააღმდეგოდ ითქმის რომ პრინციპული,

თუ წავიკითხავთ: ქრისტე ადიდე სული შალვა ერისთავთ ერისთავთ ერისთავთ ერისთავთ ერისთავთ

ერისთავთ ერისთავთ შალვა საძიებელია. დამწერლურზურავებულება — XII—XIII საუკუნეს მიუთითებს. XIV საუკუნეში მისი გაღმო-  
ტანა გაჰირდებოდა (ერთი დეტალი იქცევს ყურადღებას: ფრის გა-  
მოსახულება ამ სარქმლის ქვედა — ოთხივე მელავი ბოლოვდება  
ნახევარ მოვარით — ისეთივეა, როგორც დიდი ეკლესის ფრესკებ-  
შე). თანადროულობის მოწმობა ხომ არა?

საყურადღებოა სახელი შალვა და მისი პატივიც — ერის-  
თავთა ერისთავთ. საფიქრებელი არაა, რომ აქ ვინმე გაყელ-  
თავანი იგულისხმებოდეს. ასეთი სახელის ერისთავთა ერისთავი ამ  
დროის (XII—XIII სს) გაყელთა (ციხისჯვარელთა) სახლში უცნო-  
ბია. არა საფიქრებელი, რომ აქ იგულისხმება XIII საუკუნის შუ-  
წლების მოღვაწე შალვა ბოცის ძე (ჩაყელი) (ქ'ცა, 252) ან შალვა,  
უმცროსი ვაჟი ბექა სარგისის ძისა XIII—XIV საუკუნის მოღვაწე (ქ'ცა,  
322, 323). ერისთავთ ერისთავობით, როგორც ვოჭვით, არც  
ერთი მათგანი არ იხსენიება და თანაც საექვოა, რომ მათი ხელი მის-  
წევომოდა ამ დროს, ე. ი. XII—XIII საუკუნეში, თორელთა სახ-  
ლის საპატრიონოს ამ შუაგულს. შალვა არტანუჭელი კი (ჩაყელი) ათა-  
ბაგობით არის ცნობილი და აზა ერისთავთა ერისთავობით, თანაც  
ეს შალვა XIV საუკუნის მეორე ნახევრის მოღვაწეა. სახელი შალვა  
ჭაყელთა სახლის ონიმასტრიკონში შესული ჩანს თორელთა სახლი-  
დან: თორელთა სახლში ეს სახელი გვარის მეთაურის („თორელის“)  
საკუთარ სახელად გვხვდება, ჭაყელთა სახლში კი შალვა უმცრო-  
სი ძმის სახელია (ჩვეულებრივ უფროს ძმას პაპის ან მამის სახელს  
არქევდენენ, უმცროს ძმებს კი ბიძათა, მამის ან დედის ძმის, სახე-  
ლებს).

დავვრჩა შალვა თორელ-ახალციხელი, XII—XIII საუკუნის დიდი  
სამხედრო მოღვაწე. მონაპირე ჭავახეთის მხრისა (ე. ი. ერისთავი),  
მანდატურთუხუცესი. მოიკლა ჭალალ ედინის მიერ 1226 წელს.  
(ქ'ცა 74, 95, 96, 129, 143, 169, 171).

არც ქრინოლოგიური მოსაზრება და არც სხვა ანსებითი მომენ-  
ტი ამ ჩვენს ვარაუდს რამე დაბრკოლებას არ უქმნის. სერთი სინ-  
ტერესი მოვლენის გამო შეიძლებოდა აქ სახელდახელო შენიშვნა:

ფეოდალური საქართველოს ერთ მონარქიად ქცევის დღიდან  
ერისთაობას კრიზისი დაუდგა. დაფილ აღმაშენებლის სახელშეისუ-  
პოლოტიკა ამ მხრით ყოვლად ნიშანდობლივია. გაძლიერებულმა სა-  
მეფისკარო სამოხელეო ინსტიტუტმა ვაზირისამ გასაქრობად შეუ-  
ტია ძველს (პატრონულმობის ხანის) ინსტიტუტს ერისთაობისას. მე-

ფის კარის მანდატურთობზეცესი, მიირსპასალარი, მექუპრლივობა  
ცესი, მსახურთობზეცესი და ოთაბაგი იმავე დროს ყველა ერთისთვის-  
ერისთვისა, მაგრამ სიკარისმოხელეო პატივით და არა ჭრისმისმამდე  
ერისთვისობით მათი მოხსენიება ნიშანდობლივი დამოწმებაში ჩატარებულ  
რატესობისა, რომელიც ენიჭებოდა ამ დროს სამეფო დარბაზით გა-  
მოსულ მოხელეს საქვეყნოდ გამრიგე მოხელესთან შედარებით.

ქართული სახელმწიფო სამართლის ეს საკითხი მონოგრაფიული  
შესწავლის ღირსაია. ასეთი შესწავლით მევლევარი საფუძვლიან მეც-  
ნიერულ დასკვნებს მოიპოვებდა ქართული ფეოდალური სახელმწი-  
ფოს განვითარების შესახებ].

ამრიგად, ჩვენ გმოვგიდის, რომ კიმოთისმანი შალვა თორელის  
მონასტერით და, შეიძლება, სწორედ ეს მცირე ვკლესია ამ წარწე-  
რით შალვის გამსასევენებელიც იყოს...

ბუნებრივად გვაკონდება წარწერები შალვის მოხსენიებით გან-  
ძილან და წარწერა სტელაზე (სვნაეტი) ვაჩიან-კუმურდოს შორის,  
საღაც შალვასთან ერთად მისი უმცროსი ძმა ივანეც იხსენიება (ინ.  
ქვე. გვ. 139).

ცველგან აქ, საფიქრებელია, იგივე კიმოთისმანის შალვა ერის-  
თავთა ერისთვისა...

აქ (მოაგარების დღიურში) ქმარი. ამ დიდაწნაურთა სახლების,  
თორელ-ახალციხელთა და ჯაყელ-ციხისჯვარელთა, მონოგრაფიული  
შესწავლა საშური საქმეა. ქართული ისტორიოგრაფიაში მოიპოვება  
ამ საკითხებზე მეცნიერული მსჯელობა (ს. კავაბაძე, ლ. მუსხელი-  
შვილი), ოღონდ არა ისეთი სისრულით, როგორსაც ეს საკითხი იმსა-  
ხურებს.

ეკლესიის ეზოში მრავალი საფლავის ლოდი XIX საუკუნის წარ-  
წერით. ამოწერა უნდა ვინ უნდა მომაგონდეს თუ არ ბორჯომის  
სამხარეომცოდნეო მუზეუმი?

\* \* \*

უკან დაბრუნებისას დაბის ეკლესიაზე გამოვიარეთ. ეს ძეგლი არ-  
ქიტექტურულად შესწავლილია. წარწერა მთლიად წავითხული არა. მაგრამ მას ამხელად ვერც მე დაუმატებ რასმე. ოღონდ ამ წარწე-  
რისთან დაკავშირებით ერთი საკითხი დაისმის, რომელსაც, რამდენი-  
თაც ვიცი, დღემდე შესაფერისაც საკმაო ყურადღება არ მიქცევია. ეს წარწერა მეფის გორგო დიმიტრის ძის სახელით იმას  
მოწმობაა თითქო, რომ იმ დროს, ე. ი. XIV საუკუნეში (1333 წ.?)  
ამ ქვეყანის არც თორელი პატრიონობს და არც ჯაყელი. ასე რომ ეს  
ფაქტი თორელთა და ჯაყელთა ურთიერთობის სიკითხს ახალი მომენ-

ტით ართულებს. როდის გადაშენდა ამ ვინ გადააშენა თორელი პატრინობა თორის ამ თითქოს და ძირეულ ქვეყანაში, როდის დაუფლა თორის ქვეყანას ათაბაგთა სახლო, როდის შეიქმნა იმპერიუმის მენტი, როცა თორს თუ მის ნაწილს არც თორელი და არც ჭაველი პატრინობდნენ, როცა ეს ქვეყანა საეუთოდ სამეფო გახდა?..

როგორც კვედავთ, დაბის წარწერას გარკვეული მომენტი შეაქვს XIV საუკუნის საქართველოს აგრე ბნელით მოცულ პოლიტიკურ ისტორიაში.

ვიდრე ძეგლს ვათვალიერებდით ჩვენთან ვინმე ხაჩიძე მოვიდა, აქვთ დაბელი კოლმეურნე. მათი გვარის (ხაჩიძეთა) საიდანმოსულობა ვკითხე. - პაპაჩემისაგან გამიგონია, რომ ძირი ხატის მოსალოცავად ის ნარამ (ე. ი. დვალეთს ნ. ბ.) დადიონდა; ჩვენი წინაპარი ძევა ფრისვე მოსულა ქართლში, წაქვსა და ბიგნის სახლებულან სურამის თავზე, შემდევ ზოგი ხეობაში წამოსულა, ზოგი აქვთ დარჩენილა. აქ, დაბაში, კველა მოსულია ქართლიდან (თელიაშვილი, მესხოძე, ლომიძე) და ვინ იცის საიდან?...

დღეს, როცა ამ დღიურსა ვწერ, მე ხაჩიძის ცნობის განზოგადება შემიძლია. ხეობა, მე რაც მოვიხილე, სულ მთლად XIX საუკუნეშია დასახლებული იმერეთიდან, რაჭიდან, ქართლიდან, მთიდან და, ხაჩიძის სიტყვით რომ ვთქვათ, „ვინ იცის საიდან“.

შესანიშვნავი მაგალითია ქართველი გლეხის ადგილმონაცელებისა საშუალსაუკუნეებში. საიდან საღ მიდის ქართველი მიწის მუშა მიწისა და თავისუფლების ძებნაში. ზოგან ნიაღაგია მწირი. ზოგან ბატონი არ გაახარებს, ზოგან გარეშე მტერი არ უსვევებს. დალის ქართველი გლეხი და ეძებს გისაძლის ქვეყანას: მიწას, მშვიდობას და თავის უფლებას. დაღის საუკუნეთა მანძილზე, მრავალ ადგილს იცვლის, მაგრამ „ძირი-ხატი“, „ძირი-სალოცავი“ არ ავტორდება. „ძირი-ხატი“ მისი საეუთოდ მფარველია და რომ „გაუშვეს“ (გაათვისუფლოს) და „გაახაროს“, გლეხი მოვალეა „თავისი მფარველი ხატი“ მოიკითხოს... ეს „ძირი-ხატი“, „მაგარი-ხატი“, „სალოცავი“ მისი თავისუფლების მონაგონარია, როცა „მიწის კაცი“ (მიწის მუშა, ქვეყნის მოქმედი, გლეხი), ქერ კიდევ თავისუფლი, თავის სახლისკაცებთან ერთად შრომობდა, იბრძოდა და ..თავის ღმერთს“ ლოცულობდა...

მოსახლეობის მოძრაობის სურათის ძებნა ძირი-ხატით ყველაზე სამედო ხერხია და ეს ხერხი მაქსიმალურად უნდა გამოიყენოთ, სანამ გვიან ამ არის...



ისტორიულისათვის ამ მრავალშეტყველი მოვლენის უწყებელი მუზეუმი კმელობა მიჰქირს და, თუმცა აქ, დღიურში, ამის ადგილი არაა, მაკავაშ დღიურის წერის წესის მცირედ დარღვევა, იმეცია, მეპატიუბა.

მოსახლეობის მოძრაობა, მოსახლეობის ტერიტორიული ადგილ-მონაცელობა ყოველი საზოგადოების ეთნიკური სახის დადგენის. მისი ეთნიკური განვითარების ერთ-ერთი ძირითადი მომენტია. და ჩვენი ისტორიოგრაფიის მძიმე ნაკლია, რომ დღემდე ეს საკითხი მონოგრაფიული შესწოვლის საგანი არ გამხდარა. დღემდის არავის შეუწუხებია თავი, რომ ეკვლია, თუ როგორი იყო ეთნიკური განვითარება მონაცელობელური საქართველოსი, როგორი იყო ეთნიკურად ფეოდალური ან ბურჟუაზიული საქართველო.

და ეს იმ დროს, როცა საამისო მასალა მოვლი ჩვენი ისტორიის ყოველი მონაცელისათვის აურაცხელია.

ისტორიული თობა (მარქსიზმაძელი ისტორიოგრაფია) მოსახლეობის ტერიტორიული ადგილმონაცელობას ქართველი ხალხის წარსულის უძველესი დროისათვის დიდის ხალისით სცნობდა და ამ მოვლენის საფუძველზე აშენებდა შორეულ სამხრეთიდან თუ მის მიმღებაზე მხარეებიდან ჩვენი ხალხის წინაპრთა ამიერკავკასიაში თანდათანი მოსვლის მწყობრ ისტორიულ სურათს. ოლონდ შემდეგ, როცა ქართველი ტომები (ამ კონცეფციის თანაბრძალ) კავკასიის შემოედანწენ, შეწყდა მოსახლეობის ადგილმონაცელობა, გადასახლება და იმ დროიდან მოკიდებული ქართველი ხალხი ცხოვრობს წმინდად და შეურევნელად ახალი სამშობლოს მიწაწყალზე...

იმ დროის ქართულ ისტორიოგრაფიის ამ მცდირი ისტორიული კონცეფციის საწინააღმდეგო ჩვენებანი, რა თქმა უნდა, მოეპოვებოდა, შაგრამ ამ ფაქტებს იგი შესაფერის ფასს ვერ სდებდა და მეცნიერეული ისტორიული სურათის წარმოჩენისას ასეთი ჩვენებანი მას უგრძელებელ-შეუფერებელი ჩემიდან.

მაგრამ საქართველოს ისტორიის ასე გამართვა თუ იმ დროის ზოგად ისტორიული კონცეფციის შესაფერისი იყო, დღეს, მარქსისტული ისტორიოგრაფიის სუფექსის ხანაში, ასეთი ისტორია ფაქტების მხრივ ნაკლულია და მეთოდოლოგიურად მანქიერია.

საქმიანი გონიერის თვალი მოავლოს ისტორიულმა ჩვენი სამშობლოს სხვადასხვა მხარეებში მოსახლეობის მოძრაობის ფაქტებს, ლრმად ჩაუკირდეს ამ ფაქტების ბუნების, რომ თვალზენ გადაეშალოს დიდი მნიშვნელობის მოვლენა. საქმიანი ერთი გარკვეული დროისათვის დადგნილი ასეთი სურათი ისტორიულმა გონიერის

თვალით, საჭირო მეცნიერული წესის გათვალისწინებით, გადატახტა  
საუკუნეთა სიღრმეში, რომ ხელშესახებად დაადგინოს უფლისების  
მნიშვნელობის ისტორიული მოვლენა და ამ მოვლენის მოქმედებულების  
მოქმედიდ კლასთა ბრძოლა დამაჯერებლად შეიცნო.

და ხელშესახებად გასაგები გახდება, თუ როგორ და რა ეოთარე-  
ბაში იყო შესაძლებელი, რომ აღრესაშეალსაცუკუნებში მოსახლეო-  
ბისაგან ამოწყვეტილი შემცირებული ქართლების ქვეყანა ქართლიდან გა-  
მოსულმა მოახალშენებმა დაასახლეს;

ნათლად წარმოგვიდგება კონსტანტინე-კახარეს საუფლოში, შიდა  
ქართლის გამა-მხარეში, მოდენილ „მოახალშენეთა“ ტალღა მევალე-  
თა მიერ დამონების შიშით რომ გამოიჩინან სამშობლოდან და ამ  
„ქველშოქმედს“ კუდლებიან.

გასაგები გახდება, თუ რა იყო უმთავრესი საფუძველი არგვეთ-  
ას და სამცხის მხრით მოახალშენეთა დაძრისა ადგილობრივი მო-  
სახლეობისაგან შეოხელებულ ფერსათის მხარეში, გურიაში, ქვემო  
აჭარაში:

რეალური-ისტორიული შუქით განათლება მოახალშენეობის ამ სა-  
ფუძველზე ძეველ მევიდრთა გადახალისება და ახალი მოსახლეობის  
წარმოქმნა რაცა-ლეჩისუმში.

ჩეენ ხომ პირდაპირი ჩეენებანი ას გვაქლია იმის შესახებ, თუ  
როგორ ამოძრავდა XIII საუკუნის მიწურულს ფეოდალური ანარ-  
ქით მოცული დამშეული ქართლის გლეხობა და, გასაძლისი პირ-  
ბების მაძიებელი, ის სამცხეში გადაიკიდა:

თუ როგორ დასახლდა ახლად კიზილბაშთა მიერ XVIII საუკუნე-  
ში ამოწყვეტილი კახეთი იმერეთიდან, ქართლიდან, მთიდან.

მწარმოებელი მოსახლეობის ასეთ მობილურობას, ზედაპირულა  
შეხედვით უცნაურს და მოულოდნელს, კარგად ითვალისწინებდნენ  
ამ დროის ფეოდალები (გაიხსნე ნიკიფორე ჩოლოყაშვილის მოსე-  
ნება რესეტის სამეფო კარზე) და ამ სოციალურ მოვლენას შესაფუ-  
რისად ეწყობოდნენ.

ჩვენ ხომ შესანიშნავი ცნობა მოვეპოვება ქართლის მოსახლეო-  
ბის „გადაბირებისა“ კახეთში, როცა ერევალე პირველმა ქართლის  
სამატონო გლეხები თავის საუფლისწულო ქიზიუში დაასახლა;

ან ცნობა ეგრეთ წოდებული „მყრელობის“ შესახებ, როცა ქართ-  
ლის მებატონები XVIII საუკუნის დასაწყისს უცხო ძალის მოშვე-  
ლიებით ცდილობდნენ კახეთს გაქცეული უმების ქართლშივე დაბრუ-  
ნებას; ხოლო იმერელ გლეხთა ქართლს ლტოლვის საკითხის სპეცია-  
ლურიადაც კი აღინიშნა სახელმწიფოთაშორის თვიციალურ დოკუ-  
მენტში.

დაბოლოს, ჩვენ მოგვეპოვება ყოვლად სანდო მოწმობაზე იქნა.  
რომ გვიანდეთ დალურ საქართველოში მწარმოებელი მუსიკურისტები  
გაღმობირება-გაღმოსახლება ხდებოდა არა მარტო ახლუაფილებულ  
დან და არა მარტო ქართველ ფეოდალებს შორის. გარდა ქართველუ-  
ბისა იძირებდნენ და მოყვადათ მთიდან, იმერვავესიდან, სომხე-  
თიდან. — მოყვადათ ლეკები, ქისტები, ოსები, ჩერქეზები, სომხები,  
ბერძნები, მოყვადათ ელის თაორები.

მაგრამ ამ განმაურებულ ფაქტებშე არაა ყელები სიცხადით მოწ-  
მობენ მწარმოებელი მოსახლეობის ადგილმონაცელების და ამ მოუ-  
ლენის მიზეზებს მიუთითებენ სხვა, ნაკლებად თვალსაჩინო, ცნობა-  
ნი. საქმია გაეცნოს ადამიანი ბატონყმური ურთიერთობის ხანის  
ქართულ დოკუმენტებს, რომ ეჭვი აღარ დარჩეს გლეხობის ადგილ-  
მონაცელების ინტენსიურობაში. აურაცხელი წიგნები ყმაღმოსუ-  
ლობისა, თავნისყიდობისა, ზიშკობისა, კედლად დგომისა, მოსახლეო-  
ბის აღწერის სტატისტიკური მასალის ჩვენებაზი (ზიხან-ბოგანოთა და  
აყრილთა საოცარი სიმრავლე) და სხვ. უცილობლად მოწმობენ კლა-  
სობრივი ბრძოლის ნიადაგზე ქართველი მწარმოებელი საშოგადო-  
ების ინტენსიურ ადგილმონაცელების.

საქმია ჩაუკვირდეს ადამიანი სატომო სახელებით ან სადაური-  
ბის მანიშნებელი სუფიქსით ნაწარმოებ ქართველ გლეხთა გვარებს  
(ქართველი, იმერელი, მეგრელი, გურელი, რაჭველი, მარგველი,  
ლაშები, სვანი, აფხაზი, აფშილი, ჯიქი, ჩერქეზი, ჩიჩი, ჩიხანი, სანიკი,  
სანი, ჭანი, ალანი, ოსი, დვალი, თუში, კახი, სოხი, ჰერი, მესხი, გვა-  
ხი, სომეხი, არაბი, ხაზარი, ყიქჩაყი, თათარი, ბერძენი და სხვ.) და  
თვალწინ ცოცხლად წარმოუდგება ეს დიდი მნიშვნელობის ისტო-  
რიული მოვლენა და მისი მარადმოქმედი მთავარი ფაქტორი — პერ-  
მანენტული კლასთა ბრძოლა.

მასთან ერთად ადამიანი ითვალისწინებს, რომ ყველაფერი ეს  
ხდებოდა არა მხოლოდ ომით ან ომის შედეგად, არამედ ფეოდალური  
ურთიერთობის ყოველდღიურ „მშეიღობიან“ პირობებში, რომ ყვე-  
ლაფერი ეს ქართულ ფეოდალური ურთიერთობის ბუნებისაგან გა-  
მომდინარეობდა.

ამის შემდეგ ადამიანს ხატოვან თქმად აღარ მოეჩვენება, არამედ  
ღრმა ისტორიულ კეშმარიტებად წარმოუდგება არა მარტო ის „გლე-  
ხური“ ფორმულა, რომ „ქართლი უსამირთლობამ ამოავდო“, არამედ  
ის ფორმულაც. რომ ფეოდალური ხანის საქართ-  
ველოს მოსახლეობა წარმოქმნილი უმთავრე-  
სიდ კლასთა ბრძოლის ნიადაგზე და მის შე-  
დეგიდ, რომ ფეოდალური საქართველოს ეთნი-

კური განვითარება უპირატესად კლასობრივი მართვა  
ბრძოლის შემოქმედება.

საუბარი გვიგრძელდება. მიწოდო ჩვენ აქ აღარ გამოიყენოთ და მოსახლეობის ეთნიკური თავგადასავალის აღწერას ბურუსებრივი ხანის საქართველოში. ვიტუვით მხოლოდ, რომ აღნიშნული მოვლენა აქ, შესაბამისად მოდიფიცირებული, კიდევ უფრო თვალნათლივი ფაქტებით არის წარმოდგენილი და ზემოთ მიღებული დასკვნაც კადევ უფრო უცილობელი ჩანს.

\* \* \*

ამრიგად, ჩვენთვის ნათელია, რომ ეთნიკურად საქართველოს აშინდელი მოსახლეობა მის ძველ მოსახლეობასთან შედარებით დიდად შეცვლილია, რომ ძველი ტომურ-ნათესაური სიწმინდით დღემდის არც ერთ კუთხის არ მოულწვევია (და ეს ცვლილება ზოგან მეტია, ზოგან ნაკლები მისი მიხედვით, თუ როგორი ისტორიული პირობები გამოიირა და საზოგადოებრივი განვითარების როგორ დონეს მიაღწია ამა თუ იმ ქართველშა ტომშა).

ჩვენი დროის კახეთში, მაგალითად, მცირე ვინმე ძველ კახთა და ჰერთა ჩამომავალი, რომ ეთნიკურ-ნათესაურად ჩვენი დროის კახელს მცირე რამ აქვს საერთო ძველ კახთან და ჰერთან.

მოსახლეობის ეთნიკური შედეგნილობის ცვლა არა ნაკლებ თვალსაჩინო საქართველოს ცენტრალურ რაიონში — ქართლში. ქართლის აშინდელ ქართველებში ძველ ქართებს ტომურ-ეთნიკური სიწმინდით მცირე ვინმეს თუ მოულწვევია...

ასეთივე მოვლენა აღინიშნება, მეტის თუ ნაკლები მიახლოვებით, საქართველოს სხვა მხარეებშიც: ეგრის-აფხაზეთში, გურია-ფერასთში, არგეთ-იმერეთში, რაჭა-ლეჩეჩეთში თუ მესხეთ-ჯავახეთში, — ცველგან ეთნიკურ-მონათესავეობის თვალსაზრისით თვედაპირველი მოსახლეობა სახეშეცვლილია და ვინ იცის რამდენი „ნათესავის“ შერწყმის ნაყოფია თითოეული მათგანის აშინდელი აბორიგენები.

ჩვენ განშრას ვიმარტო აქ ცნება „აბორიგენი“ ნაცვლად ქართული „მკვიდრიან-სა. ამით უფრო გვისმის ხაზი დიდი მნიშვნელობის ფაქტს: იმისდა მიუხედავად, რომ საუკუნეთა მანძილზე ამა თუ იმ მხარის ფინიკური შედეგნილობა თანდათან იცვლება, მოსული ელემენტი დამხვდურის კულტურას ეზიარება, მისი სამეურნეო და საზოგადოებრივი ტრადიციების მატარებლად იქცევა, კ. ი. ა ბ თ რ ი გ ე ნ ი ხ დ ე ბ ა.

ჩვენი ეს დაკირვება არ შეეხება, რა თქმა უნდა, უცხო ძალის ნების და უცხოელთა საგანვებო მასობრივ შემოსახლებას, როგორიც

იყო, მაგალითად, სპარსეთის ყავნებისა და შაპების მიერ თუმცი  
თურქმანების შემოსახლება გვიანული და ლურ საქართველოში არ კა-  
რიშმის მიერ კოლონისტთა შემოსახლება XIX საუკუნეში მომავა-  
წყვეტი ძალისად აქ სხვა კანონზომიერებანი მოქმედებულ კულასობრივი ბრძოლის გვერდის ავლით, რა თქმა უნდა, არც ეს  
მოვლენები მიმდინარეობენ.

\* \* \*

მაგრამ ისტორიულ წყაროთა (ისტორიკოსთა მოწმობანი თუ შე-  
პირსიტუციერი გადმოცემანი) ცნობების ანალიზი, ისტორიულ-გეო-  
გრაფიული და კონსტიტუციური ტერიტორიული მასალის  
შესწოვლა ჩვენ გვაძლევს საქმაო საფუძველს დასკვნისათვის, რომ  
მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა საქართველოს ტერიტორიაზე  
მხოლოდ კლასობრივი ურთიერთობის ხანაში და მის შედეგად არ  
დაწყებულა. რომ მოსახლეობის ადგილმონაცვლეობა წინაკლასობ-  
რივ საზოგადოებასაც ახსიათებდა და კლასობრივი ურთიერთობის  
ხანაშიაც მოსახლეობის შედგენილობის ცვლა, როგორც უკვე შევ-  
ნიშნეთ, ყოველთვის მხოლოდ კლასობრივი ბრძოლის უშუალო შე-  
დეგი არ ყოფილა.

ასეთი შესწავლის შედეგად ჩვენ ადვილად ვამჩნევთ არსებითი  
მნიშვნელობის განსხვავებას წინაკლასობრივსა და კლასობრივ საზო-  
გადოებათა მოსახლეობის ადგილმონაცვლეობის ხასიათს შორის.

წმინდა შეურყეველი გვაროვნული წყობის საზოგადოების პი-  
რობებში გვარის წევრის ერთპიროვნული გადასახლება, როგორც  
წესი, გამორიცხულია. ასეთი საზოგადოება შეიძლება მოლიანად თუ  
ნაწილით, გვარითვე, გადასახლდეს. გადასახლების მოტივი აქაც იგი-  
ვე საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებაა, მაგრამ გაუმჯობესება  
არა ერთპიროვნული, არამედ კოლექტიურ-გვაროვნული. შედეგი-  
ბიც ასეთი გადასახლებისა მისიც შესაფერისია, მოსული გვარი, უფ-  
რო ძლიერი, ფიზიკურად გაწყვეტის ან იძმობს უცხო დამხედურ ნაქ-  
ლებ ძლიერ გვარს, ე. ი. ორივე შემთხვევაში სპობს მის. როგორც  
საზოგადოებრივ ერთეულს — ერთეულს.

სხვა სახისა და სხვა შედეგებისა მოსახლეობის ადგილმონაცვ-  
ლეობა უფრო გვიან, როცა გვაროვნული წყობის საზოგადოება  
რლევფს განიცდის (სამხედრო დემოკრატიის ხანი). აქ გადასახლების  
ორგანიზატორია სამხედრო ბეჭადი თავისი ერთ (ე. ი. გვარის თა-  
ვისუფალი წევრებისაგან შემდგარი მოხალისე — მეომრებით). დამ-  
ხედურ საზოგადოებას ასეთი დამპყრობელი სამშობლოში მიმდინარე  
საზოგადოებრივი ტენდენციის შესაფერისად მოაწყობს: „მებეგ-

რედ" გაიხდის მას. ჩვენ საამისო შესანიშნავი ეთნოგრაფიული ჩანაწებანი და ისტორიული მაგალითები მოგვეპოვება. „მუდმივ აღის მოგარეულ" მთიელთა მიერ ბარის ჩბევა ან მთიელების ჩამოყალიბების რად XIII—XIV და შემდეგ საუკუნეებში... ბაზალიანია

ამ (სამხედრო დემოკრატიის) ხანისად გვერდენება ჩვენ ცველა ეს მსხვილი ტომობრივი ერთეულების ჩამოყალიბება აღრემონათ-მფლობელური სახელმწიფოების წარმოქმნით რომ დასრულდა...

ამის შემდეგ უკვე კლასობრივი ურთიერთობის სასუფეველია და კანონებიც მისი მოქმედებს.

მთისა და ბარის ურთიერთობა საქართველოს ისტორიის განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხია. ქველ წყაროებზე (მშობლიურზე თუ უცხოურზე) დავვირვება მტკიცე საფუძველს იძლევა და-დი მნიშვნელობის დასკვნებისათვის. კარგად იჩვევა, რომ კავკა-სიანელთა დამოკიდებულება ამიერკავკასიის ბართან ორ დიდ ეპო-ქად იყოფა: პირველი, როცა მთიანეთი უტევს ბარს, დრო და დრო არბევს და ძარცვას მას. რა თქმა უნდა, ეს აისანება არა მარტო მთის საზოგადოებრივი წყობის სიმტკიცით, არამედ ბარის საზოგა-დოებრივი წყობის სისუსტითაც.

მაგრამ დროთა განმავლობაში სურათი თანდათან იცვლება, სახელმწიფოდ ორგანიზებული ბარი ახერხებს მთის შეკავებას, მის ღამორჩილებას. „ვახტანგ გორგასალი" კონდენსირებული „ბარია" და ეპოქალური ჩვენებაა მთის შემოტევის დასასრულისა. ამიერიდან მთიელთა შემოტევანი ეპიზოდური ხასიათისანი არიან, ბარი აწესრი-გებს მთასთან ურთიერთობას, ძლიერად ერევა მთიელთა სამინათ ცხოვრებაში. არჩილ მეფის ორგანიზაციული ლონისძიებანი დალის-ტნის მისადგომებზე, გიორგი აფხაზთა მეფის მოღვაწეობა აღანეთში, დავით აღმაშენებლის პოლიტიკა მთიანეთ-ოსეთში, თამარის დროის საქართველოს პოლიტიკა მთელს კავკასიონში, გიორგი ბრწყინვალისა და ბაგრატ V ლონისძიებანი მთიანეთის მოსაწესრი-გებლად და სხვადასხვა იმის უტყუარი მოწმობანია, რომ ფეოდალური ბარი ძლიერად მიიწევს მთის გარდასაქმნელად, მთის დასამორ-ჩილებლად.

და იმისდა შესაბამისად, თუ როგორ ღრმა და არსებითია ბარის დაწინაურებული საზოგადოებრივი ურთიერთობის გავლენა ზეგან-მთიანეთზე და როგორი საზოგადოებრივი ურთიერთობა შექმნილა მთაში, იცვლება მთიელთა გადმოსახლების სახეც.

მთისა და ბარის შეა ტერიტორიული ზოლი, ზეგანი, ორი მეურნეობის დაახლოების სარბიელია. ზეგანით ახერხებს ბარი მთია-ნეთშე გადასაცავს, ზეგანითვე ეზიარება მთა ბარის ურთიერთობას.

ქერქეთის ჩრდილოეთი, კანეთის გაღმამხარი, ქართლის ქახანის მუხრანის გამოკლებით), ცხინვალ-გევრდის ძირი; ზემო რაჭა, ლეჩ-ხევი და ოფხაზეთის ზეგანეთი საქართველოს ბარისა და შიდა ქართველი ბის ის ზოლია, რომელიც ბარმა თანდათან ითვისა და თვეში სოციალურისა და კულტურულ ურთიერთობას აზიარა. კი და ბელა-ქანი, ლაგოდეხი და შილდა, თიანეთი და უინვანი, ახალგორი, მეჯვრისხევი, ცხინვალი, ონი და ლაილაში და სხვ. მთისა და ბარის ამ შეხების ცხოველი პუნქტებია.

მძიმედ მაგრამ მაინც იცყვლებოდა მთიანეთის საზოგადოებრივი წყობა, ირლევოდა მთიელთა „ძმობა“, ისახებოდა კლასობრივი ურთიერთობა, ჩინდებოდნენ მთაში „აზნაურები“, ე. ი. ბარის საზოგადოებრივი წყობის აგნეტები, მთა თანდათან ბარს ემსგავსებოდა.

ამისდა შესაფერისად იცყვლებოდა მთიელთა ბარად ჩამოსულის სახეც. მთა აღარაა მთლიანი, ბარი აღარაა მთიელისათვის წინანდებურად სუსტი და იდეილმოსარბეველი. ამავე დროს ეკონომიკურად შევიწროვებული მთიელისათვის არც „მებეგრეობაა“ უცხო და მიუღებელი. ეს ინსტიტუტი, თუნდაც განვითარებელ-პრიმიტიული, უკვე დიდიხანია შემოსულია მთიანეთში.

მთიელები თანდათან ჩამოდიან ბარში, ისინი ქართველი ფეოდალების „მებეგრებად“ ესახლებიან და თავისუფლების ამ მცირელ შეზღუდვის კომპენსაციად მატერიალურ წარმატებას ცდილობენ.

მაგრამ ბარის სოციალურ ურთიერთობას თავისი კანონები აქვს. მთიელი მებეგრე-ხიზნები სულ უფრო და უფრო ემსგავსებიან თავიანთ ახალ სოციალურ მოძმებს, — ქართველ გლეხებს.

თავისთავად ცხადია, ბარის ურთიერთობას ნაზიარები ეს მთიელ-ყოფილები მთიელობასთან ერთად კარგავენ თავიანთ ეთნიურ სახეს, ქართველგლეხებიან.

\* \* \*

ჩვენ რომ ქართველი ხალხის ეთნიური განვითარების ეს მთავარი მომენტი შეუწყნარებლად ნაკლული არ დაგვრჩეს, საჭიროა ამ განვითარების არა მარტო იმ მხარეს შევეხოთ, რომელიც ქართველი ნათესავის შეგნით მოსახლეობის მოძრაობას მოწმობს, ან გარედან არაქართველთა შემოთხველების ფაქტებს აღნიშვნას, არამედ საჭიროა აქვე მოვიგონოთ ქართველი ნათესავის განთესვის ფაქტები.

საქართველოს ისტორია, განსაკუთრებით გვიანდეთდალური ხანისა, არსებითად განუწყვეტელი, ბოლომოულებელი ბრძოლა ქართველი ხალხის ეთნიური დამაგრებისათვის. საფრთხე ფეოდა-

დარი საქართველოს, როგორც ორგანიზაციის, მოშლისა (დაკანონის ველი ხალხის გადაშენებისა) საუკუნეთა მანძილზე შეუწყებელი სიმწვავით ემუქრებოდა დაჩიხულ საზოგადოებას. „ქრისტიანული დან მიქევა“, „გათათრება“, „გალეიება“, „დაკარგვა“ სამინი შეტყველი ნიშნებია (სასირცეოდ ჩვენდა ეს მოვლენები ამ თვალსაზღისო დღემდე შეუსწავლელ-შეუფასებელია და ქართულ ისტორიაფიაში ამ საყითხზე დღესაც კი შეუწყნარებლად ცალმხრივი შენედულება ბატონობს).

საქმიანი ადამიანი მოიგონოს შესაფერისი მოწმობანი: დაცით კათა მეფის წერილები ვახტანგ VI-ისადმი, ერეკლე II ღონისძიებანი „დაკარგულ“ გლეხთა საქართველოში დასაბრუნებლად, „დაკარგულთა“ საჩიტრები, კვლავ „დაკარგვის“ მუქარანი, ქართლის მეფეთა ღონისძიებანი თრიალეთის დასასახლებლად და ითასი სხვა საამისო ჩვენებანი, ქართული თუ უცხოური, და ჩვენ მზის სინათლეზე დავნახეთ, რომ ასეთ მოვლენათა უმთავრესი საფუძველი იყო კლასთა ბრძოლა, რომელსაც ისეთი ფორმები მოელო, რომ შშობელი ქვეყანა გაუსაძლისი გამნდარიყო მწარმოებელი საზოგადოებისათვის და ისიც „იყარგებოდა“, „ლუკლებოდა“, „თათრდებოდა“...

ცნობილია, რომ გვიანდეოდალური საქართველოს მოსახლეობის რიცხვი კატასტროფიულად მცირდებოდა. ეს მოვლენა, დაჭერებით შეიძლება ითქვას, შედეგი იყო არა მხოლოდ ყიზილბაშ-ოსმალ-ლუკითა თარეშისა, არამედ, კიდევ უფრო, ეს იყო შედეგი ქირთველი ფეოდალის თარეშისა საკუთარ ქვეპანიში. საამისო მოწმობათა ზეპირად მოტანას განზრის ვერიდები. მრავალრიცხოვანი, ხშირად შემზარვი და ველურობამდე მიწევნილი საამისო ფაქტების მოგონება არ გაუჭირდება საქართველოს ისტორიის წყაროთა მცოდნეს.

გვიანდეოდალურ საქართველოში იშვიათია მშენებელი ფეოდალი, ოჩბელი, მაღალაშვილი და სხვა ასეთები, სამწუხაროდ, ერთგულებია, სამაგიეროდ ლეგიონია თავადები, თავადიშვილები, აზნაურები, მთავრებიც კი და, არაიშვიათად, ეპისკოპოსები (nomina-sunt odiosia) საუთარი ქვეყნის გამოხრებელნი, ტყვის მსყიდვები, ისმალ-ყიზილბაშებისა და ლეკების მოკავშირე ბანდიტები.

და იცლებოდა მოსახლეობისაგან საქართველო, მისი აღმოსავალეთი და დასავლეთი, სოხუმი, ანალია, ფოთი, ქობულეთი, ბათუმი, აბალციხე, აღმაყალა, ქარი და კიდევ სხვა რამდენი ხალხის შეირდაწყველილი პუნქტი იყო, საიდანაც უწინებერ ნაკადად საუკუნეთა მანძილზე უცხოეთს მიედინებოდა ძალით თუ „ნებით“ სამშობლოს პორცვეტილი მისი შეიღები...

ტყვის სყიდვა და ფეოდალური ურთიერთობა პრიმუსური  
შეუთავებელია, ტყვის სყიდვა არსებითად ფეოდალური ურთიერთ  
თობის უარყოფაა ფეოდალიზმია მოხსნა ტყვის სყიდვურიაზე  
ვეღი — მონობა, საუბარია მონობაზე, როგორც მწარმოებელთა  
კლასშე და არა სასახლის მსახურ-მიწალაბებზე — „საოჯახო  
მონებზე“. უკანასკნელნი მეტნაკლები სიმრავლით ფეოდალური ურ-  
თიერთობის მთელ მანძილზე ჩანან.

ისტორიულად ტყვის სყიდვა ჯერ კიდევ სამხედრო დემოკრა-  
ტიის ხანაში უნდა ჩასახულიყო.

ფეოდალიზმია მონა — instrumentum vocale ნახევრადთავისუ-  
ფალ ადამიანად აქცია.

ამ ნახევრადთავისუფალთა წრეში შემოიყვანა თანდათან ფეოდა-  
ლიზმია მთელი თავისუფალ-ყოფილი მიწისმოქმედი საზოგადოება-  
ფეოდალის მიწაზე მხოლოდ „მებეგრე“, „გლეხი“, „მიწისმოქმედი“,  
„მიწისკაცია“ ამ ახალი ურთიერთობის საფუძველი იყო. ამ ახალი ურ-  
თიერთობის ორგანიზაცია იყო ფეოდალური სახელმწიფო. და რო-  
დესაც ფეოდალი, განსაფუთრებით გვიანცემოდალურ ხანაში, კლება-  
მიწისაგან წყვეტდა და მიწისმოქმედს (მწარმოებელს) უცხოეთშე-  
ყიდდა, ეს იყო არა მარტო გლეხის პიროვნების უარყოფა, არამედ  
მდენადე ეს იყო თვით ფეოდალური ურთიერთობის საფუძვლის-  
ხელყოფა.

ფეოდალური სახელმწიფო არასოდეს შერიგებია ასეთ ხელყოფა-  
და მუდამ იბრძოდა (ეკლესიასთან ერთად) ტყვის სყიდვის წინა-  
აღმდეგ. ეს იყო ბრძოლა ფეოდალიზმისათვის, ბრძოლა საქართვე-  
ლოს, როგორც ფეოდალური ორგანიზაციის, მოშლის წინააღმდეგ-  
ხოლო სადაც და რამდენადაც ასეთი ბრძოლა აღარ იყო, იქ აღარც  
სახელმწიფო იყო და ასეთი ორგანიზაცია მონათმფლობელური რო-  
მის დროინდელ ტყვეებით მოვაჭრეთა პირველყოფილ ბუნავს ემს-  
გავსებოდა. სწორედ ასე გამოიყურება ხშირად გვიანცემოდალური  
დასავლეთ საქართველო. ტყვის მსყიდვებები ჩანან არა მარტო  
თვით და აზნაურები, არამედ ზოგ-ზოგი მთავარი და მეფეც კა-  
კითალიკოზ-ეპისკოპოსებით.

ეს უკვე ფეოდალური საქართველოს ღრმა კრიზისის მოწმობა-  
იყო. ეს იყო მძიმე დაჩიხულობის პირობებში კლასობრივი ბრძოლის.  
გადაგვარება, რომელიც ფეოდალურ საქართველოს სრულიად მოშ-  
ლით ემუქრებოდა, რაც იმ პირობებში ქართველი ხალხის ფიზიკური  
არსებობისათვის რეალურ საფრთხეს წარმოადგენდა.

ასე გვესახება ჩევნ, ორიოდე სიტუაცით, ისტორიული მაქანიკუ-  
ლოს ეთნიკური განვითარების სქემა. აქედან ჩანს, რომ ეფექტურული  
საქართველოს შოსახლეობას არ მოუღწევია ჩევნს დრომზე აუკუნულება  
ლად, ერთხელ მოცემული სახით. ის მუდამ იცვლებოდა მეტის თე-  
ნაკლების ინტენსივობით, — ომით თუ მშეიღობიანი შემოთხელე-  
ბით, ერთიანი შემოსახლებით თუ თანდათანი, ყოველდღიური, კო-  
ლექტიური თუ ერთპიროვნული შემოწმევით.

ჩევნ ამ უკანასკნელი მოცემის გამო წამოვიწყეთ და ამაზევე  
შეეწყვეტო აქ საუბარს, ოლონდ ერთხელ კიდევ ვიტყვით: ჟოველ  
ხანაში ამი თუ იმ საზოგადოების ეთნიკური  
ვანვითარების სახე მისი საზოგადოებრივი  
ვანვითარების შესაფერისია. ჩოგორც ყოველი ისტო-  
რიული კატეგორია, კლასობრივი ურთიერთობის ხა-  
ნის საქართველოს ეთნიკური განვითარების  
სახე. მუდმივ ცვლილებას განიცდის და ამ  
ცვლილების უმთავრესი საფუძველი არის  
კლასთა ბრძოლა.

23. VIII. დღეს სამხარეთმცოდნეო მუშეუმს ვეწვიე. გამგე ვე  
შევისწარი და მუშეუმის მუშაობას მეცნიერმა თანამშრომელმა ამს.  
კაბანაძემ გამაცნო. ვერ დაერჩი კმაყოფილი. ამ საპატიო დაწესებუ-  
ლებას ცარიშმის ხანის კულტურული შემცვიდრეობაც კი ვერ აუთვა-  
სებია.

მცნიერულად შესრულებული აქ არის ერთადერთი ფარი, სადაც  
გამოფენილია არქეოლოგ გორგოდცოვისა და სიძველეთმოყვარელი  
მეტყველ ვინოგრადოვ-ნიკიტინის მიერ რაიონში მოპოვებულ შესწავ-  
ლილი არქეოლოგიური მასალა ბრინჯაოს ხანისა. ფარი გაფორმებუ-  
ლია პროფ. გ. ნიონაძის მიერ. ეს არის და ეს.

რაიონის საზოგადოებრივი ცხოვრების სურათი, ქვეყნის წარსუ-  
ლი, მისი სელიერი თუ მატერიალური კულტურა, აქ წარმოდგენი-  
ლი არაა, თუ ასეთად არ ვიქმნებოთ ერთ უწინვნურ რუკას, რომელ-  
საც ეწოდება „რუკა რაიონის მატერიალური ძეგლების განლაგები-  
სა“. აულიათ, ე. ჭ. ხუთვერსიანი რუკული რუკა და უწინვუ-  
რად „გაუქართულებიათ“. ამავე დროს საკუთარი მეცნიერუ-  
ლი შემოქმედება იმაში გამოუჩენიათ, რომ იქ, სადაც დედანში  
+კელესია“ და „ციხე“ ან მათი „ნანგრევა“ ეწერა, აქ ეს ძეგლები  
დაუხატავთ, რა თვემა უნდა, ისე, რომ ეს ძეგლები არავის უნახავ...  
ჩაქვე მუშეუმში დაცულია ალბომი ისტორიული ძეგლების — ექ-

ლესიების და ციხეების — ფოტოსურათებით, ვინმე ხმალაძის და ვინოგრადოვ-ნიკიტინის მიერ შესრულებული. აღმომი უნიკურუალუა თუნდაც კალესია-ციხეების ჩამოთვლაშიაც კი და, რაც უპირატყვანება ძეგლები გადალებულია მოყვარულთა მიერ და, სამწუხაროდ, მეცნიერულ ღირებულებას მოკლებულია). არც ნასოფლარები, არც სახლებისა თუ სასახლეების ნანგრევები, ქვაბები, დარანები, სტელა-ქვაჭარები, წისქვილ-ზეთსახდელები, ხიდები, გადისსვლელები, კლდეკარები, ტოპონიმიკური ფაქტები რაიონის ამ „მატერიალურ ძეგლების განლაგების“ რეკაზე აღნიშნული არა. ასე რომ ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის მხრით ეს რაიონი სრულად ჰელ-შეუხებელია. ამავე დროს რაიონი ისტორიულ ძეგლთა ნაშთებით განსაკუთრებით მდიდარია.

შეზეუმს, როგორც ჩანს, საკუთარი ძალებით მისი პირველადი შესწავლაც კი გაუკირდება. გონიერული იქნებოდა, თუ მუშეუმის ხელმძღვანელობა შესაფერისი სპეციალისტების დახმარებას მიმართვდა (ამისთვის საჭირო მატერიალური საშუალება მუშეუმს არ აკლია). აյი მეცნიერულად გაუფორმებია პროფ. ნიორაძეს ერთი ფარი... ასევე შეეძლო მუშეუმს მიემართა რომელიმე მეცნიერ ეთნოგრაფის, ხელოვნებათმცოდნის თუ ისტორიუმისის კონსულტაციისათვის.. ასეთი მუშაობით მუშეუმი ოთხ-ხუთ წელიწადში დიდ საქმეს გააკეთებდა და აქვე აღვილზე სამხარეთმცოდნეო მუშავთა საკუთარ კადრსაც ამოზრდიდა. თორემ რაიონის „მატერიალური ძეგლების განლაგების“ უწიგნერი რეკა და კიდევ უფრო უწიგნერი ფორმა აღმომი რა შესაფერისია ჩვენი დროის მხარეთმცოდნეობისათვის?..

მუშეუმში გამოფენილია ყოვლად უნიკოდ შესრულებული ქართველ მეცნიერთა და პოლიტიკურ მოღვაწეთა რამოდენიმე სურათი. ეს გარემოება (შესრულების დაბალი დონე) განსაკუთრებით თვალშისაცემია იმიტომ, რომ აქვე გამოფენილია რამოდენიმე მაღალმხატვრულად შესრულებული სურათი რამანვების დროისა. გამოდგმულია რამანვების ნაქონი ავეჯ-დგამი...

იქნება შთაბეჭდილება: ყველაფერი, რაც რომანოვების დროისა, ბრწყინვალეა, ყველაფერი ჩვენი დროისა კი...

რაიონში ისტორიული ძეგლები სრულიად დაუცველია. ამბობენ, ლიქნის ეკლესიის (შეაფენდალური ხანის) პერიგი (კედლის თლილი ქვები) სანატორიუმის შენებლობაზე მოუხმარიათ.. და პორტომის სამხარეთმცოდნეო მუშეუმი ამის მოწმე იყო!?

რაშია საქმე? რაიონის ხელმძღვანელი მუშავები ისტორიის დიდა პატივისმცემელი არიან (რაიონში მდიდები რაზმადე, მეცნიერ, აღმასკომის თავმჯდომარე ლურსმანაშვილი).

მუზეუმი რომ წესიერად მუშაობდეს, მას, ცხადია, ყურადღება  
და ხელისშეწყობა არ მოაკლებდა.. ერთი სიტყვით, მუზეუმის წევა-  
შობა მეტად სუსტია. ის საფუძვლიანად უნდა გადახალიყდეს მოთხოვთ

\* \* \*

25. VIII. დღეს დვირში მივდივართ მე და მამია. დვირი და ქვა-  
ბიხევი მტკრის გაღმა-გამომა სოფლებია, პირველი საყირის-  
წყლისა და მეორე ლომისისწყლის (იგივე შავსერისწყალი) ბოლოზე  
(თანაც მარიამშვიდელი შოთა არ მისევნებს. მაინც ვინაა, რომელი  
ფეოდალური სახლის შვილია? მძიმეა გაწყვეტილი ტრადიცია. ქვა-  
ბიხევის აწინდელი მოსახლეობა XIX საუკუნეში მოსული ხალხია,  
უმთავრესად, იმერეთიდან. მისი მეხსიერება აქაურობის შესახებ სულ  
ასი წლისაა.. მაინც უნდა ვცადო. შეიძლება გადმოცემა რამე ან სა-  
მისოდ მეტყველი ტოპონიმი გადარჩენილიყოს....).

მაინტერესებს დვირი მისი „Горачий источник“-ით. ქუში  
(XII ს.) მრავალგზის მოხსენიებული დვირი, დური ნიშანდობლივ  
ქვემო ქართლში ივარაუდება. იქ ეს საგოგრაფიო სახელი მე სომ-  
ხურ „ქართან“ ( ქართ ) დასაკავშირებელი ტოპონიმი მგონია (დურ-  
ნუე). თუ ეს ჩვენი გუმანი სწორია და თუ ხეობის დვირიც ასეთი-  
ვე წარმოშობისაა, ხომ არ შეიძლება აქ ეს სახელი სუმბატ ბივრი-  
ტიანისა და წუნდა-დემოთის ეპიზოდს დაუკავშიროთ?

ტრანსპორტის საქმე ჭირს. ჩიტანებების დასათვალიერებლად  
მთელი ვეტობასი მოგვართვეს. ისტორიის მოყვარულნიც, სანამ ის-  
ტორია ეყოთ, ხალისით გვეხმარებოდნენ. მაგრამ ჩანს, ყველაფერს  
საზღვაორი აქვს...

საბარგანს ჩაუკეტით მე და მამია და დვირს წავედით. სოფლის  
მისავალში მტკრის ორივე მხარეს ჩიტანებების სამმართველო, ვე-  
ტობაზა და სხვა სამეურნეო დაწესებულებანია მოთავსებული.

აეტომ ჩამოგვსხა და თემშარით თავის საქმეზე წავიდა. ჩვენ  
სოფლისაკენ გავწიოთ. მალე ერთი ხნიერი ქალი შემოგვხვდა. მან  
სოფელში მარჯველ მისასულელი გზა გვასწიველა. გამოვესაუბრეთ.  
გვარი და სიღანმოსულობა ვკითხეთ. მისი შეუღლე ბიბილურთა  
გვარის აღმოჩნდა „ქვემოდან“ მისული. სალოცავს „ძელი-ცხორე-  
ბისას“ იტყოდნენ, სად არის კი არ ვიცორ...

სოფელში შევედით. კარგი სოფელი ჩანს, კეთილად ნაგები ლა-  
პაზი სახლებით. ხალხი მინდვრად არის გასული სამუშაოზე და სო-  
ფელი თითქმის ცარიელია. ერთი ლამაზი ნის სახლის აივანზე მოხუ-  
ცი შევნიშნეთ. იჯდა და ლობიოს მარცვლავდა. შივედით, მივესალ-

შეთ. მოიპოდიშა, წამოდგომა დააპირა. კილოში ზემოიცერული ეტყობოდა, თუმცა ჩვენი მასპინძელი და მოსაუბრე სეიმური (ფრანგ.) ნანიტაშვილი, როგორც დავვარშმუნა, დვირს დაბადებული — შესაჩიტებული ერთხელ იმერეთს არ ყოფილა. სეიმინი 75 წლის კაცია.

„ნანიტაშვილი ვარ სეიმინ, ლიმოს მეძხიან. მე და ერთი ჰობახეველი გოგო ერთ დღეს დავბადებულეართ. დედა მისს ეთქვა, ეს ბიჭი ამ ჩემი გოგოს ქმარი უნდა იქნესო. იმ გოგოს ლიმო დაარქვეს. ამიტომ მეც ლიმო მიწოდეს მეტსახელად. მე ის ქალი არ შემირთავს, სახელი კი (ლიმო) შემრჩა“.

დვირის „აბანოს“ შესახებ სეიმინმ გვითხრა. „ბავშვობიდანვე მახსოვს ესარგებლობდით, იქ მუდამ აბანი ყოფილა“.

„ჩვენი ძეელი, მოგვიყენ სეიმინ, ბაზალეთიდან (იმერეთს) წამოსულა. ოთხი მმანი ყოფილან. ჩუმლაყს (sic) უცხოვრიათ ბატონთან. ბატონს მამა ჩემი თბილისში წამოუყვანია. აქ ბავშვი მეტივეებს გასცნობია, მათ შეხვეწინია, მაგრამ არ წამოუყვანიათ. ბოლოს ცხრამუხელებს შეუფარებიათ და სურამს მოუყვანიათ. აქ დვირელები ბეგარაზე (რუსთა ჯარისათვის მეტვირთობა) დადიოდნენ. მამაჩემი დვირელ ლომსაძეებს მოგამაგირედ გამოპყოლია. ლომსაძეებს მისოვის „ერთი ნაქერი მიწა“ მიუციათ და ქალიც მიუთხოვებიათ. ლომსაძენიც იმერეთიდან, წითელან, მოსულები არიან.

ერთხელ თურმე მამაჩემი ბეგრის ურემს მიპყვებოდა ახალციხეს. თავისი ბატონი დაენახა, ჩუმლაყს რომ ჰყიდვა, შორიდან ეცნო. ხარებს შორის გაწოლილიყო, ბატონს ერ დაენახა.

დვირში მებატონე მიხეილ მეფისაშვილი იყო. ძალიან მდიდარი კაცი იყო. აქ არ ცხოვრობდა. ჩვენი მოსაუბრის წარმოდგენით მიხეილ მეფისაშვილი ქართველი იყო, ქვაბიხეველი მემამულე ხაჩიკოვი კი — სომეხი. „— ათხე ერთს ვიხდიდით, წინათ კი, ვიდრე ნადეღობა შემოვიდოდა, მებატონეს ექვსწე ერთი მიქვინდა“ (დვირი და ქვებიზევიც ყოფილ ახალციხის სატაძოში შედიოდა 1828 წლის ომის შედეგად. ამ ქვეყანას ძველი მემამულე მესხი ბეგები გაეცალნენ და ისინი ახალმა მებატონეებმა შეცვალეს. (მეფისაშვილი, ხაჩიკოვი..).

დვირში კეირიკაშვილები სახლობდნ, ხუციშვილები („საქართველოდან“), ნანიტაშვილები, კურტანიძეები (იმერეთიდან), გელაშვილები (იქიდანვე), კევლიშვილები (სურამის მხრიდან), ბიბილურები („ძელი ცხოვრებისა“ დან).

თქვენი ძირისალოცავი სად იყო? — „სარეის წმინდა ვიორგამ მოვიყითხა (ალბათ დედის ხაზით...). იქ თაორებმაც კი ჩამოიყანეს, მახსოვს, კურატები... კურტანიძეებიც იქ დადიოდნენ. ჩვენ ბაზა-

ლეთს აღარ დაუდიოდით, დავიწყებული გვქონდა, გელაშვილები გა-  
ლათს დაითიღნენ.

თუ ეს ცნობა მართალია და აქ რაიმე შემთხვევით მოვლენა მოვა-  
სდა გვილების თავდაპირველი გელათელობა შეიძლება მეტად საინ-  
ტერესო ჩვენება იყოს თვით ტოპონიმი „გე ლა ა თი ს“ წარმოშობი-  
სათვის. (შეადარე ტოპონიმი ბალდ ა თი და გვარი ბალდავაძე  
აწინდელ მაიაკოსესა და მის მეზობელ ზესტაფონის რაიონში, იმა-  
ძეთა გვარი ლანჩხუთის რაიონში და იქვე ტოპონიმი იმნათი და  
სხვ. (მაგრამ ამაების შესახებ სხვაგან..).

საკვირიე ფეიზული ბეგის იყო, განაგრძო ჩვენმა მოსაუბრებ,  
ლალას ის იღებდა. ფეიზულა ახალციხეში ცხოვრობდა.

საუბარში სვიმანმა გარიგებული ჭვის დელე მოიხსე-  
ნია. ჩავკითხეთ. — „იქ ძელად ნაშენობა ყოფილი, ქვები ერთი მეო-  
რეშე მიწყობილი, ერთ ვერსტუშე მიღიოდა. საზღვარი იყო ველიკ  
კრიზისა და საბატონოსი“. სვიმანის განმარტება ნიშანდობლივია და  
სარწმუნო. „გარიგებული ქვა“ საინტერესო იურიდიული ტერმინი  
ჩანს „ქელის“, „ქვაჯვარის“, „სინორის“, „ქვაჯაცის“, „სკნეტის“ და  
„სამანის“ რიგისა.

მტკვარზე ხიდის ბურჯები ვკითხეთ. — „აწყვერში მახსოვეს, სლუ-  
საში, საკვირიკეში, ჩიტახევის ზევიდან, დვირში“ — ახალდაბას არ  
ასახელებს...

დაბაძეველში ციხეს ასახელებს და ძელ ნამოსახლევებს. დვირა  
უხემოსახლიანი სოფელი ჩანს. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს  
საუცხოვოდ მოვლილი ხილი...

„დიდი ტყეები იყო აქ, დაასკვნის სვიმანი, მეტივეობამ გააჩინა-  
ვა. მიტომაცაა, რომ მტკვრის დასამხარზე ტყე ან სულ ახალია, და-  
ცვის შემოღების შემდეგ მოშენებული, ან სულ აღარ არის.. არა  
უშავს რა, სხვაფრივ თუ არ წაგვიხდა კიდევ ლილი“ — გვამედებს  
მოხუცა.

მთის გზა ვკითხე. „აწყურიდან თისელს, თისლიდან დგვარს, დგვა-  
რიდან საკირეს, საკირედან დაბაძეველს, დაბაძეველიდან თორს, თო-  
რიდან სადგერს“. დასლოებით მართლაც ასეთი უნდა უოფილიყო  
ეს მარშრუტი. ამ მიმართულებით წავიდა სადგერიდან აწყურის ცი-  
ხეზე სალაშქროდ გენერალი ტოტლებენი 1770 წელს.

მაგრამ არა ნაკლებ უიპერელია სხვა გზის ნაკვალევი მტკვრის პი-  
რიდის დაყოლებით. თავის დროზე ეს გზა დიდი მნიშვნელობისა უნდა  
ყოფილიყო. ხიდის ბურჯები, ციხეთა ნაგრძევები, საკულტო ძეგ-  
ლები, ძველი წერილობითი წყაროები (ქართული თუ უცხოური)

კარგად მოწმობენ როგორც ამ გზის მიმართულებას, ისე მის დამზადებას.

„ლომისისწყალს გამოღმა (ე. ი. აღმოსავლეთი) ვერტულურიშვირუ სა იყო, გაღმა — სარქის აღა ხაჩიკოვის სომხისა.. და ამ ცნობისთან დაკავშირებით ჩვენს მოსავაბრეს აგონდება: ერთ მებატონეს 25 მანეთად უყიდია ერთი სოფელი (სვიმანი 1828 წელს გულისხმობს), გვლაშვილი იტყოდა ამის, არ იყის კი რომელი სოფელი“..

სეიმან ნანიტაშვილს მოღლილობა შევატყვევთ. მაღლობა გადაუზადეთ და გამოვეთხოვთ.

დვირში საშუალო სკოლაა. მისი დირექტორი ჩემი ყოფილი მსმენელი აღმოჩნდა ქუთაისის პედ. ინსტიტუტიდან — ჭალალანია, სამამულო ომის მონაწილე. მან ორი მოწაფე ქალი კევლაშვილი და კურტანიძე მეგზურებად მოგვიჩინა. თითონაც კარგა ხანს დაგვყვებოდა და აქაურ ისტორიულ ლიტერატურუს შესანიშნობას გვიჩერებდა.

დვირში დღევანდველი სოფლის შუა ადგილას ძველი კელესია მდგარა. ის დანგრეული ყოფილა და XIX საუკუნეში ყოვლად ულაზათოდ გადაუკეთებიათ. ის ძველი კელესია თითქო, მარიამშვიდის მსგავსად, სამნავიანი უნდა ყოფილიყო (გადაკეთების შემდეგ ორი ნავი შემოჩენია). იქა იქ დაცულია თლილი ქვის ძველი პერანგი. ცალკე უადგილოდ არის კედელში დატანებული თლილი ქვა ბოლნური ჯვარით.

ჩვენმა მეგზურებმა საკვირიკეზე წაგვიყვანეს. საკვირიკე დღეს დვირში შემოდის. რეინიგზის საღვრი „დვირიც“ აქ არის. ძველად საკვირიკე ცალკე სოფელი ყოფილა (თუ მონასტერია?): კელესია ნანგრევის გარშემო მოზრდილი მოსახლეობის ნაკვალევი ჩანს. ეკლესია სამნავიანი, უგუმბათო, საქმიან მოზრდილი ნაგებობა ყოფილა (ასეთივე შეიძლება იყო დვირის ტაძარიც). საკვირიკის ეკლესია მოხატული ყოფილა. მოხატულობა თითქო XII—XIII საუკუნისა უნდა იყოს. ჩანს საკვირიკე ძველად მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა მტკერის პირის დიდ გზაზე, რომელიც ამ ადგილის ხიდით გადალახდება მდინარეს. ვინ იყის, ის ფერწულა ბეგი რომელი ქართველი აზნაურის ჩამომავილი იყო ან რა დროდან დაეპატრონა ამ აზნაურის სახლი გრიგოლ ხანძთელის თანამოღავრის ქრისტეფორეს მიერ 1X საუკუნეში აშენებულ კვირიკეში მიღება (ვგონებ, რომ გიორგი მერჩულეს თხზულებაში მოთხრობილი ეპიზოდი სწორედ ამ პუნქტს გულისხმობს) <sup>24</sup>.

<sup>24</sup> Георгий Мерчул, Житие св. Григория Хандатийского, гл. 36.

ეს მნიშვნელოვანი ძეგლი სრულიად მოუცდელია და მის საბოლოოდ გაქრობა ემუქრება რეინიგზის სადგურის შეეწყობულებულია, გაანადგურებს მას, თუ ჩვენ მიერ სათანადო ფრთხოების დროშე არ მიექცა.

პორჯომის სამხარეო მუნიციპალიტეტი მუშაუმზი კი ამაზე არც ფიქრობს..

ციცაბო აღმართით „დვირის ციხეზე“ ავედით. სამწერხაროდ, აქ მცირე რამ გადააჩენილა. სოფელს დაშორებული, მტკვრის მაღალ კიდეზე „წაკიდებული“ ნაგებობის (ორი შენობის?) მცირე ნაშთი უჩვეულო ფართო სარემლით გადააჭურებს მდინარეს. ეს უფრო უკოდალის სასახლეს (ცხრაკარის) ავინებს ადამიანს, ვიდრე ციხეს.

ავარიული ფანტაზიისათვის საბუთი საყმაოა: რად არ შეიძლება, რომ ეს ციხე კი არა, თამარის (მეფის) სასახლე ყოფილიყოს. თამარით „ზამთარს დეირს იყენის...“ რად არ შეიძლება ქართლის ცხოვრებაში ამ ადგილს დართული მითითება „სომხითი“ გადამწერის შემცდარი გლოსა იყოს და ნამდვილად კი არა სომხითის (ე. ი. ქვემო ქართლის) დეირი (დურნუი?), არამედ ხეობის დეირი ყოფილიყო ნაგულისხმევი... სურათს ის უშლის ხელს, რომ ჩვენი ლეირი ვერაფერი საზამთრო აღვილია, თუმცა აქაური თბილი სამკურნალო წყალი („აბანო“) ამ სიძნელესაც საყმაოდ შეანეცებდა...

და აქევ დამართებით (ე. ი. პირისპირ) მტკვარს გაღმა ქვაბიხევი დემოთის ციხით და მარიამწიდით — შოთას და იაის სახლის საფეოდალო...

უველავერი ეს ამდენი „შეიძლებაბით“, მკითხველი ხედავს, ისტორიის სფეროს სცილდება და საკუთრივ პოეტური შემოქმედების თქმად თუ გამოდგება...

სამწერხაროდ, ამ ტრადიციაგაწყვეტილ სოფელში ასეთი სიძველეთა შესახებ რამე პოზიტივური ცნობის დაჭრის ცდა უიმედო საქმეა. ისევ გათხრითი დაზვერვა და ზედმიწევნითი ისტორიულ-გეოგრაფიული ჩხრეკა თუ რამეს მოგვცემდა..

\* \* \*

ჩვენი მეგზურებით „კვირაცხოველზე“ წავედით. „კვირაცხოველი“ სოფელის ჩვეულებრივი ერთნავიანი ექლესია აღმოჩნდა. ძველი ნაგებობა გადაუკეთებიათ. ისტორიულად საყურადღებო ვერაფერი შევნიშნეთ. აქევ ნეკროპოლი XIX საუკუნისა, ეთნოგრაფიულად საინტერესო ლოდებით, წარწერებით..

სოფლიდან ერთი კილომეტრის მოშორებით საყირისწყლის მაჩუენა მხარეზე მოიპოვება „აბანო“ — თბილი მინერალური წყარო.

ჩეენი კურორტოლოგები რას ამბობენ არ ვიცი, მე კი თვეუმაღალ ფრთხ „აბანო“ იმით მაინტერესებს, რომ ის, საფიქრობელია, ძველ დროს ვე მოხმარებული იყო და ამ სოფლის მნიშვნელობასაც ჩატარებულია, ხელს უწყობდა (შლი. „მაღლაქის აბანოისა სახლი“ — წყალტუბო).

ამ ხეტიალში საქმიო დრო გავიდა. ჩეენც მოვიქანცეთ. უკან დავბრუნდით. სოფელში შემოსავალს საუცხოვოდ მოელილ ხილის ბაღში ერთი მოხუცი დავინახეთ. გამოვებაასეთ, მიხა გელაშვილი აღმოჩნდა, 70 წლის გლეხეცი.

— ველაშვილები ნადაბურიდან (იმერეთში) მოესულვართ. შვიდი ძმა ყოფილიყვნენ. ყველანი გამოქცეულან. ოთხი ძმი ყვიბისს დარჩენილა, ერთი თელუანს მისულა, ერთი (პაპა ჩემი) აქ დვირს მოსულა. მეშვიდე კახეთს წასულა. როცა პაპაჩემი აქ მოსულა, დვირი ცარიელი ყოფილა.

ჩეენი ბატონი (დვირის მემამულე) ნეფისოვი იყო. ათზე ერთს ვიხდითით. სუბაში მოდიოდა, მას მიქეონდა ბატონისათვის ლალა. ზოგჯერ ნარდათ ვეტერდა: რას მომცემთ ამ ყანაზეო, ხუთმეტზე ერთი ძლიერ მოუდიოდა...

ზორეთში შვიდი ბატონი იყო, გვაჩით არ მახსოვეს.. აქ ეცოდანებათ. ჩეენი მოსავალი ხილია, წელს სულ ერთთავად მოგვიცდა.. უცნაურია: თუთა ბევრი აქვთ, მეაბრეშემეობას კი არ მისდევენ.. რატომ?

სკოლის დირექტორს ჯალაღანის გამოუარეთ. მადლობა მოვახსენეთ ხელისშეწყობისათვის. კარგი კაცია, ალალი პარტიული მუშავი ჩანს. ოღონდ მძიმე ისაა, რომ ისტორიკოსი ვერაა, თუმცა ისტორიული დარგი დაუმთავრებია ქუთაისის პედ. ინსტიტუტში (ვერაფერი სანუგეშო შედევრია ჩეენი პედაგოგიური მოლვაშეობისა). რაღა გასაკვირველია, ამის შემდეგ. რომ მისი მოწაფები, ჩეენი მეგზური გოგონები, VIII და IX კლასის მოწაფები, ისტორიის სრული ველურები არიან. უახლოესი წარსულიც კი (პაპა-მამის ამბები) მათთვის სრულიად უცხოა.

უკვე ბინდდებოდა, როცა სოფელი დაეტოვეთ და ბორჯომს მამავილ ივტობეს ჩაეცუჭქით. დეირთან ს აკირე ს კაფი გზა ყოფილა გატანილი. საყირეზე მობმულია მეორე სოფელი ტაძრისი. მარტო სახელები რადა ლირს დაბაძველისა, ქვაბიხევისა და ნადა ბაზევისა გვერდით. მენანება, რომ ვერ ვნახულობ. „მომავლისათვის“ გადავდე...



26. VIII. დღევანდელი დღე გამიცდა. სტუმრებს მოვუწილებული მარი, ნესტორი). მათი წასვლის შემდეგ გრგია ციხე კი მარტინების დღი. ტიპიური ციხე-გალავანია კოშკით ლექიანობის ხანისა. მავრნდება ლევან ბატონიშვილის ტრაგედია. ქედან ხეობით გზა იმერეთს პირდაპირ ვაზანებ მიღის ლომის მთის, უკეთ ქედის, გადაელით (ლომის მთა, ჩოგორუ ჩანს, ერთ პუნქტს კი არ ეწოდება, არამედ მთა-ვრეხილის მოზრდილ ნაწილს). გზაზე ავე ახლოს („ორი საათის სავალში“) საღის ციხე ა. მის გარშემო თურქე ნასოფლარიც ჩანს-ეს ცნობა ერთმა ბორჯომელმა მყვიდრმა, სახელით ას მახსოვს, მომწოდა, გოგიას ციხეზე რომ შევხვდი.

\* \* \*

27. VIII. დღეს ისევ პროფ. ალ. ალადაშვილის მანქანით ვისტა-გებლე. ვახტანგი, ნათელა, მამია და მე აწყურში წავედით.

ამას წინათ, მარიამშვიდას რომ ვიყიდით, ალექსანდრე ალადა-შვილი ძეგლების ამ სიუხვებ გააყირვა (მე რომ აღვნიშვნედი) ამ „მწირ ქვეყანაში“. რით იყვებებოდნენთ? ძეგლების მოხილვის სა-ფუძველზე მართლაც უნდა დავისკვნათ, რომ მოსახლეობა ძევლ „თორში“ შედარებით ხშირი უნდა ყოფილიყო. ამას თითქო თორელ-თა შესახებ წერილობითი ცნობებიც ჰგულისხმობენ: თორი XII საუ-კუნეში ერთ-ერთი ძლიერი სამხედრო ერთეული ჩანს საქართველოს სხვა ასეთ ერთეულებს შორის (საღრმოშო).

ამ ფაქტის ახსნა ჩვენი, ისტორიკოსების, უპირველესი მოვალეო-ბაა. ამისთვის საჭირო იქნებოდა ჩვენ ხელო ასახებული მოელი მასა-ლის (წერილობითის თუ მატერიალურის) ერიტრეული შესწავლა ძეგ-ლების ქრონოლოგია, მოსახლეობის ტექნიკა, მეურნეობის სახეო-ბანი, მეზობელ თემებთან ურთიერთობის საყითხები.. მე, მაგალი-თად ისე წარმომიდგნია, რომ ძევლი თორელები დიდ ოჯახებად და შედარებით პატარა სოფლებად მოსახლობდნენ. მარცვლეული კულტურის გვერდით თორელთა მეურნეობის უმთავრესი დარგი მეცნიერება უნდა ყოფილიყო; სელი აგრეთვე დიდი მნიშვნელო-ბის დარგი ჩანს თორელთა მეურნეობაში. ტყის მეურნენი და შეენ-დებელი (ხურო-გალატოზები) უნდა ყოფილიყვნენ იმ დროის თორე-ლები და ასც ისე „კარჩაკეტილნი“, საფიქრებელია, ცხოვრიბდნენ, როგორც ეს ზოგიერთ სოციოლოგს იმ დროისთვის ჩვეულებრივ წარმოუდგენია.. გზასაყარი, ჩასაც ამ ქვეყანას საქართველოს თემე-ბის შეაგულში მდებარეობა უქმნიდა აგრეთვე ხელსაყრელი მომენ-

ტი იყო თორელთა დასაქმებისათვის გზის მშენებლობაში და მომსახურეობაში (ხიდები, ფუნდუკები, მეულაყობა, შეგზურება) და, ბოლოს, ვაჭრობა აღებ-მიცემაში... ცარიცალი

მაინც დამიანც, როგორც ვხედავთ, ჩეენ, ისტორიას მშენებლობაში და საეკითხის შესწავლა რიგითანად არც კი დაგვიწყია (და ილია ჭავჭაძის საყვედური ძველებურადვე ძალაში რჩება).

საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის უმთავრესი ამოცანა სწორედ ეს არის.

მანქანიდან ვაკეირდები და ვამჩნევ, რომ მდინარის უბეები, სა- დაც მტკვარის ჩრდილოეთიდან (ფერსათის მთიდან) და სამხრეთი- დან (კოდიანის მთიდან) ხევები ერთვიან, დღეს ახლაც არის გატყე- ვებული. სავარაუდოა, რომ ამ ადგილებში, ზოგან მაინც, მოსახლო- ბა ყოფილიყო.

ჩაურეთ ზოგრეთს (შებაუბის ნაკვალევი), „შვიდი ბატონი“- რომ პყვედა, მოქცევს (მაგონდება მოქცევის ლმრთისმშობელი ბე- ქას სამართლის წიგნით), სლესის ციხეს.. რა დროისა ეს ციხე, რა ურთიერთობაშია ის აწყურის ციხესთან? (აქედან აწყური ორ კილო- მეტრშია) ამ საკითხზე იმან უნდა იტკიცოს თავი, ვინც მესხეთის თავიდების ცნობილ ნუსხას მეცნიერულ-მონოგრაფიულად გამოს- ცემს.


\* \* \*

აწყურს მივედით. ნასყიდა სესაძე — 11 წლის ბიჭუნა — გაგე- უა ციხეზე. ნასყიდა წარმოშობით ჯავახია, ახალქალაქელი. პაპამისი წამოსულა და საკირეს დასახლებულა. აქ აწყურში სულ ორი წელია, რაც ნასყიდას დედმამა სახლობენ. ნასყიდას მამა მოსამსახურეა, ასე- ვე დედაც — მასწავლებელი. იშვიათი ბავშვია ნასყიდა, გონიერი, და- კეირვებული.

ციხის აღმოსავლეთით ებრაელთა სასაფლაოა. მრავლად ჩანს ლოდები ებრაული წარწერებით.. აქე ახლო წყაროა. წყაროზე თა- ვი მოყურათ ქალებს, ბავშვებს. იმერეთიდან ახალ გადმოსული ლაბაძებია. ქალი მოსუავლობას ჩივის. სიმინდი ვთესეთ, შესანიშ- ნავი ამოვიდა. შემდეგ კი წვიმა არ მოვიდა და ყანაც ერთიანად გა- დახმარ. ურწყავში უთესიათ. ამათი მეურნეობა აქ ნასყიდასაც არ ყოფნის სასაცილოდ...

აწყური მტკვრის ორივე მხარეზეა გაშენებული. მდინარის მარჯ- ვენა მხარეზე ხეხილი უწყლობით ხმება. ორი წლის შემდეგ საქმე- ლი მსხალიც კი არ იქნებათ, გვეუბნებიან. წინათ თურმე ეს სანაპი-

რო თისლის მხრიდან მოტანილი არხით ირწყვოდა, ეხლა არხი აღადგინებს. რატომ? მხრებს იჩეჩავენ. ნასყიდა კი ეშმაკურად იღება.



ციხეზე დასავლეთის მხრიდან წამოვედით, ებრაელთა სკემატური ასახული ასაკის თავზე გაღმოუარეთ და კლდე კარში შემოვედით. ეს არის ძველი გზის შენებლობის უტყუარი ნაშთი. უშუალოდ ციხის ძირში ხუთმეტი მეტრის (დაახლოებით) სიგრძეზე ხელოვნურად არის გაჭრილი კლდე. გზის განი 1,5—2 მეტრამდეა. კლდე, რელიეფის შესაფერისათვის, ჩაჭრილია ზოგან ორი მეტრის სიღრმით, ზოგან ნაკლების.

უაპეველია, ამ ციხის ერთი ყევლაზე მნიშვნელოვანი ნაგებობა სწორედ ეს კლდე-კარი იყო. როგორც ირკვევა (მე ერთხელ უკვე გამოვთქვი ეს მოსაზრება), მხოლოდ ციხე კი არ მიიწევდა გზისკენ, არამედ გზასაც ეწეოდნენ ციხისაკენ. ე. ი. გზა იქ გამქონდათ, სადაც ციხე შენდებოდა. ასე უნდა იყოს, კერძოდ, გაგებული მატიანე ქართლისამას ეპოქალური ცნობა ლიპარიტ ბალვაშის მიერ კლდე-კართა ციხის აგების შესახებ...

ე. ი. სამისოდ შესაფერის აღგილას ციხეს აგებდნენ. აქვე ან-ლოს (თუ შორიახლოს) რომ გზა გაღიოდა, — ეს გზა ერთ-ერთი მთავარი სტიმული იყო ამ ციხის აგებისა, — მას ამიერიდან ამ ციხის ქვეშ უნდა გავვლო („ციხის ქვეშ“გავლა ყოველთვის ფიზიკურად „ქვეშ“-ს არ ნიშნავდა, მაგრამ ყოველთვის ნიშნავდა კ თ ნ ტ რ ი ლ ს) და სადაც საჭიროდ და მარჯვედ მიიჩნევდნენ, სამისო სპეციალურ ნაგებობასაც ასრულებდნენ (კლდე-კარის გაჭრა, ფუნდუქ-ქარვასლათა აგება, ხილების შენება და სხვ.). ამიერიდან გზა ციხის ძირის იმიტომ კი არ გაივლიდა, რომ სხვა უფრო მარჯვე მიმართულება არ მოიპოვებოდა, არამედ იმიტომ, რომ ამ გზის მიმართულება ასე იყო დადგენილი და სხვა მიმართულებით სკლა ამ ქვეყანაში არ შეიძლებოდა: ციხე პოლიტიკური ხელისუფლების განსახიერება იყო და მისი ნება ამ ქვეყანაში კანონი იყო...

როგორც აღნიშნეთ აშშურის ციხე მტკვრის მარჯვენა ნაპირზეა. აქედან ხეობისაკენ საფიქრებელია გზა ორი მიმართულებით მიღიოდა, ერთი ის იყო, რომელიც სლესის ციხის ახლოს მტკვრის გადაღნავდა და მისი მარცხენა ნაპირით მიჰყებოდა მდინარეს (ნანიტა-შვილმა აქ სლესისთვის ხილის ბურჯები დაასახელა. მე ვერ შევნიშნე, მაგრამ ვეტომანქანიდან განა ბერზ რამეს შენიშნავ?). ამ გზის მიმართულების ნიშნებია ეს ამოდენა ნაბიდურები მტკვრზე.

მეორე მიმართულება ზემო სოფლებზე, მტკვრის სამხრეთით იყო. ჩვენმა ნასყიდამ ეს გზა უმაღლეს დაგვისახელა: აშშური — თისლები —

დგვირი — ტაძრის-საკირე... აქედან გზა ან დვირში ან დაბადებულის თორმეთი, თორმიდან ციხისჭარ-ბაკურიანს (და აქედან გვევარო) ან სადგერს მიღიოდა, საღაც როგორც ჩანს, თავს იყრიც ხელი [ცემა და ნაში მაინც] ქართლიდან საცილიანო-გუგარეთის ხეობის ჩუა შეტყობინების პირით ტაშისკარ-ახალდაბაზე მომავალი გზები.

გზა დვირიდან, როგორც აღვნიშნეთ, ან მტკერის პირით ქართლისაკენ ან ქვაბისევ (დემოთით) ლომისით იმერეთისაკენ მიღიოდა... იმერეთში ხეობიდან აჩაერთი გზა გადადიოდა, თოთქმის ყოველ ხევს გზა მიჰყვებოდა და მათი მნიშვნელობაც სხვადასხვა იყო.. (ამ გზებზე უფრო ცოცხალი და მეცნიერულად დამაჯერებელი სიტყვა მაშინ ითქმება, როცა საამისო მასალა სრულად აღრიცხული და განხილული იქნება).

\* \* \*

აღმოსავლეთის მხრიდან აწყურის ციხის ნანგრევი ძნელად მასასვლელია (იყი ნასყიდამ საგანგებოდ გაგვაფრთხილა). აქ გზაჭრილის ბოლოზე ვიღაც ახალ მოსახლეს დაუდევია პინა. ახალგაზრდა იმერელი ზრდილობიანად მოგვესალმა. მძიმე სანახევია მისი ეს ახალი ეზო. ბალახი და ბოსტნეული სულ გადამხმარია, ხეხილიც კი ისე შეუწიუხებია უწყლობის, რომ დღეს-ხვალ სულ ერთიანად დაიღუპება.. აქვე ჩანს, რომ მის წინა მოადგილეს იყვავებულ ტერასებად (ოროვა) ქქონია გაშენებული ეს ეზო.. მიუუთითე, შევეკითხე, გვიკვირვე, შევარცხვინე... იღიმება,—ამისათვის ვისა სცხელა, სიმინდი-სათვის ცერ მოგვიცლიაო, თანაც არავინ ზრუნავს წყლის გამოსაყვანადო.. უნდა აღინიშნოს: სამცბის ძველი ქართული კულტურული მენილეობა საფრთხეშია.. უკეთელია, ეს ახლად ჩამოსული მოსახლეობა ოდესმე იღადგენს ამ მეურნეობის, მაგრამ მძიმე მარცხისა და მწირე გამოცდილების გზით. იყი XIX საუკუნის იმერელმა მოახალშენებმა აღადგინეს მესსური მეურნეობა დვირში, ქვაბისევში და სხვაგან..

მაგრამ განა ჩვენი დროის შესაფერისია, რომ მეურნეობის აღდგენა ისეთივე გზით მოხდეს (ე. ი. გავერანების გზით), როგორც ეს ხდებოდა მაშინ, როცა გადმოსახლებულის დამხმარე და გზის მანევრებული არავინ იყო?

აწყურის ციხის აღმოსავლეთით ფართე მოედანია. აქ რაღაც შენობის კვალი ჩანს. შეიძლება ქარეასლა იყო: ის გზისპირში, კლდე-კარის დასაწყისს, გალავანს შიგნით უნდა ყოფილიყო.

აქედან ციხეზე ასელა ვცადეთ. ნასყიდა ჭინქისავით აცოცდა-ჩვენ ცერ გავპეტეთ და ნასყიდას ვთხოვთ სხვა გზით გავდღოლო-

და, ეკი გვუბნებოდითო გვისაყველურა, ჩამოცოცდა და წინ გადასტურებული დასაულეთიდან შემოუარა და მიგვიყვანა გვირაბთან, რომელიც ლიც, როგორც ჩანს, მტკიცებული ჩამოდიოდა. გვირაბს აფეშორულუა ზოგან ჩანგრეულია, ზოგან კი ჭერ ისევ მტკიცეა და საფეხსტოების შემცირება კახგად შენახულია.

მატერიალური კულტურის ეს ძეგლი — ციხე ჩვენში ხომ ჭერ კადევ შეუსწავლელია, როგორც სამხედრო ისე სოციალური თვალსაზრისით. მავე დროს ციხე ამა თუ იმ სახით თან ახლავს საზოგადოებას მისი არსებობის მოელს მანძილზე.

ციხის ნაგებობაში თვალსაჩინოდ არის აღბეჭდილი მისი შემქნელი საზოგადოების რაობა და ამ საზოგადოების განვითარების საფეხურები.

ციხეში წარმოდგენილია საზოგადოების არა მარტო ტექნიკური განვითარების მომენტები: არა მარტო ქვისა და შურდულის ან შუბისა და შევილდისრის, არა მარტო ფილაცევანის და ოთფ-ზარბაზნის ხანა, არამედ ადამიანის ამ ნამოქმედევეში არა ნაკლებ თვალსაჩინოდ არის წარმოდგენილი საზოგადოებრივი განვითარების სოციალური მომენტები. როდის და ვის ემსახურებოდა ციხე, ვის დაცვას, ვის ბატონობას ან ვის დამონცხას ქველისხმობდა ეს ნაგებობა.

იყო დრო, როცა „ციხე“ საზოგადოების პირველიაცხოვრისი იყო. შინაარსობლივად ციხე ამ დროს იყიდვე იყო, რაც „ქვაბი“, „გორი“, „სახლი“ (ამ საფუძველზე დასაშევებია ვარაუდი, რომ ტერმინი „ციხე“ შეიძლება ტერმინი „სახლი“-ს სახესხვაობა იყოს..).

ამ პირველყოფილი „ციხე“ — „ქვაბი“ — „გორი“ — „სახლი“-საგან ვიდრე ფეოდალის „ბროლის ციხემდე“ ამ ნაგებობის („ციხის“) განვითარების ისეთივე საფეხურებია წარმოდგენილი, როგორც გვაროვნული წყობის საზოგადოებიდან ფეოდალურ ხანამდე.

სოციალური და ტექნიკური განვითარების ამ გრძელ მანძილზე მოხდა დამიმართის ამ პირველიაცხოვრისის შინაარსობლივი დიდერენციაცია. „ციხე“ და „სახლი“ შინაარსობლივად და ფუნქციონალურად ურთიერთს დაშორდნენ.

ამ ნაგებობათა (ციხეთა) ნაშთების სიმრავლით საქართველო უმდიდრესი ქვეყანაა. ქვაბიდან სალევო გალივნამდე ჩვენ წინ განვითარების უწყვეტ რგოლებად არის აცმული გორა — დიხაგუმუბები, ციხეურები და ჯიხურები, ჯიხა-ციხეები, ციხე-გალავნები, ციხე-ქალაქები, დედა-ციხეები, ციხე-კოშკები..

კარგად ჩანს, თუ ნაგებობიდან, რომელიც ოდესმე მისი ამგები საზოგადოების დაცვას ემსახურებოდა, როდის იქცა ციხე ამავე სა-

ზოგადოებაზე ბატონობის იარაღიად, როდის მიიტაცა კიხეულამა-  
რივ ბრძოლაში საზოგადოების გამარჯვებულმა ნაწილმა და ამავე სა-  
ზოგადოების დამონების საშუალებად იქცია ის... უროკული

გადაჭრით შეიძლება ითქვას, მატურიალური კულტურის უსტყომება  
ნაშთს არ შემოუნახავს აგრე მდიდრად და აგრე კოცხლად საზოგა-  
დოების თავგადასავალი, როგორც ის შემოვენიანა ციხემ და მით  
უფრო მძიმეა, რომ ასეთი მრავალშინარსიანი ისტორიული ძეგლი  
დღემდის შეუსწავლელი გვრჩება.

აწყურის ციხე მეტად ჩატული ნაგებობაა სამხედრო და სამე-  
ურნეო დანიშნულების შენობებით, საბრძოლო კოშებით, სათო-  
ფურ-სანაბაზნებით, აქ იქ კოცხლად ატყვევა შორიდან შემოსრო-  
ლილი აზტილერიის ქურების ნაკვალევი, — შენგრეული კადლები.  
ციხის კოშებიდან აღამიანს თვალშინ ეშლება ბუნების შესანიშნავი  
სანახაობა...

აწყურის ციხე ერთი იმ უძველეს ნაგებობათაგანია, რომელიც  
შეცემატლივ კოცხლობდა ეიდრე XIX საუკუნემდე. ამიტომ ბუ-  
ნებრივად მოსალოდნელია, რომ აქ შემორჩენილი იყოს სულ სხვა-  
დასხვა ეპოქათა ნაკვალევი. მა როგორ კომპლექსის ხუროთმოძლე-  
რული განხილვა შესაფერისი სპეციალისტის საჭმება.

კოშებები ეიდები, ციხის გარემოს შორი მანძილზე თვალს ვავლებ-  
დი და ისტორიული ეპიზოდები კოცხლად თვალშინ მეხატებოდა.

ციხიდან აღმოსავლეთით მდებარე მთა ის მაღლობი იყო, აღმართ,  
საიდანაც ტოტლებენი ამ ციხეს აზტილერიის ცეცხლს უშენდა. ცი-  
ხის საშეჩერთ-დასავლეთის მხარეს, იქ, სადაც ტაძარია, ერეკლე უნდა  
მდგარიყოს: აქედან მიღის პირდაპირი გზა ასპინძისაეკნ (მტკვრის  
მარჯვენა მხრით). მტკვრის მარცხენა მხრიდან (ახალციხიდან) უნდა  
მოსულიყო ლეკ-ოსმალთა დამხმარე გარი. ერეკლეზ რომ დამარ-  
ცხა.

როგორ კოცხლდება აგრეთვე მესხური დაეითნის მატიანის  
ცნობა იმის შესახებ, რომ ოსმალთა გარი ლიანა-ფაქის მეთაურო-  
ბით „გაღმა ლექზე დადგა... აკარი და წასვლა იწყო. სამ დღეს  
ძუილ გაწმდა“<sup>25</sup>. XVI საუკუნეში აღნიშნული ეს „ლეკი“ „მდინარის“  
„გაღმა“ დღესაც კარგად ჩანს. მტკვრი დღესაც ციხის კედლებს,  
უკეთ, ციხის კლდეს სამი მხრით ლოკვეს. მისი (მდინარის) მეორე ნა-  
პირი კი სილნარი ჰილავია („ლეკი“).

აქვე კოცხლდება სურათი (XVI ს.), როცა ოსმალთა გარი სათათ-  
ბიროდ დაგდა და „მანუჩარ ათაბაგს ულალატეს“..

25 სამი ისტ. ქრონიკა, ვე. 104.

და ვინ მოთვლის სხვა რამდენი ისტორიული ქარტებილა ჰომერი და მონაწილეა ჩვენი დიდი წარსულის ეს ურულო, მარად ფერ-ზელი ღარიშვი...

01.01.2023  
შემადგროვებელი

\* \* \*

ციხიდან ჩამოვცოცდით და სოფლის შეკით ტაძრისაკენ წავი-  
ზო. ტაძრი ციხის სამხრეთით დგას ნახვარ კილომეტრში.

შეკიდან თვალი მოვარი ერთ სახლში შეშენებულ ქვას. აშერად  
ჩანდა, რომ ეს ქვა ტაძრის პერანგისა იყო. ნასყიდამ განგვიმარტა,  
რომ ამ სახლში ბეგი ცხოვრობდა. ეზოში შევედით. ასეთვე ქვები  
ჩუქურმებით (საჩემლის ქუდი) თუ სადა ფილები მრავლად ჩანდა  
ამ სახლში დატანებული. სახლის აწინდელი პატრონი იმერელი ლა-  
პაძე გამოგვევება, მოვევსალმა. მას, ისევე როგორც უველა აქაურ  
მოახალშენეს, უწყლობა ვანსაურებით აწუხებს. ჩივის ლაბაძეც  
და მოშლილი ოხის ილდგენის მოთავეობას მთავრობას ვეალებს,  
მან ბარემ ისიც იცის, რომ მტკარზე ჩარხის მოწყობით საჩრყავა  
წყლის მიღება აღვილია. მაგრამ.. „ვინაა მოთავე“? — გაიძახის ეს  
საჩულწლოვანი კაცი და კი არ ფიქრობს. რომ მასაც არავინ უშლის  
ასეთი საქმის მოთავეობას.. რაშია საქმე? ასეთი ინერტულობა და  
მოუსახრებლობა იმერლის ბუნების შეურაცხყოფაა.. ჩანს, მიზეზი  
აქ რაღაც სხვაა და ამაზე უნდა ფიქრობდეს მოახალშენეობის რე-  
პრეზებლიკური სამართველო. ამ ორგანიზაციის დიდი ისტორიულა  
დავალება აქვს ნაფისრები. მოკლე ხანში მან საქართველოში სოცია-  
ლისტური მეურნეობის შესაფერისი გვემისიერი მოსახლეობა უნდა  
მოაწყოს...

ჩვენს შეშფოთებას, ბეგის მიერ ტაძრის გაძარცვის გამო მოახალ-  
შენე ლაბაძე საქმოდ გულგრილად უყურებს და მე საგანგებოდ მო-  
საზრებული საუბარი მცირდება, რომ აუხსნა გაეკვითებულ მოსაუბ-  
რეს ჩვენი შეშფოთების საფუძვლიანობა და ჩვენი ღროისათვის  
ასეთი შეშფოთების შესაფერისობა.

ტაძარზე მივედით. გრანდიოზული სანახაობაა. აწყურის კათედ-  
რალი იმავე ტიპის ნაგებობაა, როგორც მცხეთა, ალავერდი, ქუთა-  
ისი. მისი აშენების ხანაც, უნდა ვიფიქროთ. იგივე ეპოქაა, როცა  
ჩვენში ეს კოლოსები იქმნებოდა.

დღეს ტაძარი სულ ერთიანად გაძარცულია. პერანგის ქვები, რო-  
გორც შეინდან, ისე გარებან, მთლად გაცლილი აქვს და ჩვენ თვალ-  
წინ შემზარევად დგას ეს ვეება ჩინჩხი.

ასეთი ველური გაძარცვა აწყურის ტაძარშია, ჩანს, XIX და მეორე მისამართის განიცადა. მართი ბრილს დროს იყო მხოლოდ გუმბათისაქცევებული იყო, კედლები კი ჯერ ისევ მთელი ჰქონდა.

შესანიშნავი გარემოებაა. ოსმალთა მიერ მიტაცებული უკიდისი ეჭვა  
კვლის მხარეებში ქრისტიანულ კულტის ძეგლებს ძალით არ ანგრევ-  
დნენ. ქართველი მოსახლეობა, უპირატესად გლეხობა, დიდხანს-  
ქრისტიანალე რჩებოდა და მეტად მიმოედ მაპმადიანდებოდა. მის-  
ჟემდეგაც მიტოვებული მამაპაპისეული კულტის მატერიალური ნიშ-  
ნების მიმართ მას ტრადიციული შიში და მოყრიძლება დიდხანს რჩე-  
ბოდა. ყოველთვის არც ოსმალთა ხელისუფლება არღვევდა საგან-  
გებოდ ამ ძეგლებს. ეს იყო ოღონდ, რომ მიტოვებული ძეგლები  
მოუკლელობით ზიანდებოდა.

მაგრამ ვითარება ძირიანად შეიცვალა გვიან, XIX საუკუნეში, როცა საქართველოს შექრება ხდებოდა. ოსმალეთი ძლიერად იყენებს საჩქმუნოებრივ ფანატიზმს, რაც, კერძოდ, ქრისტიანული კულტის ძეგლების მიმართ აფრესიულ დამოკიდებულებაშიაც მეღვნდება. ანგრევენ ამ ძეგლებს, ძარცვავენ, იტაცებენ. ინიციატივა მოლების, ბეგების და ოლიებისაა. ხალხიც თანდათან უსმებს და პადეს მით...

და აუკუნელმა მესხებმა გაძარცვეს და გაანადგურეს მთიცე წინაპრების სასოფტა, ეს საამაყო ნიშანი ამ მხარის კულტურული წარსულისა.

„აქ ისეთ სახლს ვერ ნახვთ, რომ ამ ეკლესის ქვა, ერთი ორი მაინც, არა პქონდეს კედლებში დატანებული“ — გვითხრა ერთმა მთავარალშენებმ. ძველი მესხების ეს ულირსი მემკვიდრეები თითქო შეთქმულან იმაში, რომ ყოველ აზიან სახლს აწყურის ტაძრის კედლისეული ერთი ორი ქვა მაინც შეაშენონ. თითქო ამ ტაძრის მფარველის მიღლის ინაწილებენ ან მის რისხებს იწიარებენო..

„ამიტომაც ეწიათ, რაც ერგებოდათ“ — წამოიძახი ერთმა მოახალშენებ. ღმრთის რისხვის რა მოგაიხსნოთ, და ის ცოდვა კი ნამდვილად ეწიათ, როგორიც საშშობლოს მოლალატეს ეწევა ხოლმე.

აწყურის ტაძრის კედლის დუღაბს მრავალ აღვილას სხვადასხვა სახის ჩრქეულობის კვალი (ანაბეჭდი) ეტყობა. უნდა ვიტიქროთ, რა- ღაც ძველი შენობის სამკაულოანი ქვები ამ ახალი ტაძრის კედლში მოუხმარით (დუღაბზე შერჩენილი ანაბეჭდებით აღვილად შესაძ- ლებელია ამ სამკაულობათა ხასიათის აღდგენა). აქ რომ ძველი ტაძ- რი უნდა ყოფილიყო, ვიდრე აწინდელს ააგებდნენ, ეს სარწმუნოა: მაწყვერებელი ეპისკოპოსი ჭერ კიდევ აღრე საშუალსაუკუნეებში არ- ურთხელ იქსენიება.

ერთაუდი მეტიც შეიძლება: რომ ის პირველი ქრისტიანული ძალი აქ კიდევ უფრო ძველი წარმართული ტაძრის აღგილეს წერილზე დარღვეული იყოს აგვისტული (ლევკოსთავის ტაძრი?).

ტრადიციის მიხედვით აწყური პოლიტიკურ ცენტრად ივარაუდება ქრისტიანობის პირველ საუკუნეშივე (ანტჩია მოციქულის მიმსლევა). შემდეგ კი, გვიან, აწყურის დადი მნიშვნელობა ისტორიულადაც ტამოწმებულია (მაწყვერლები VII—IX საუკუნეებში და შემდეგ).

რა საფუძველზე უნდა შემუშავებულიყო და როდის მაწყვერელის ფერის რეტორიტეტი? რა დამოკიდებულებაშია ძველი აწყური („სოსანგეთი“?) ოძრხესთან (თუ ოძრევეთან)? ქართლის ცხოვრების ტრადიციით ისიც ხომ ქვეყნის პოლიტიკური ცენტრი იყო. რას შეიძლება მოწმობდეს აწყური „სამცხისა“ და „ქართლის“ ქვეყნების ურთიერთობაში, რა ურთიერთობაშია „ოძრეე“ (ოძრხევი) „სამცხესთან“? ბევრ საკითხებზე საფუძვლიანი საუბარი მაშინ იქნება შესაძლებელი. როცა ეს ქვეყანა ისტორიულ-გეოგრაფიულად და არქეოლოგიურად შესწავლილი იქნება, როცა ქართველი ტოშების არქეოლოგია შესაცემის სიმაღლეზე დადგება.

უფრო გვიან, ფერდალური ურთიერთობის ხანაში სამცხეში არაურთი პოლიტიკური ცენტრი ჩამოასხმა: ოძრეე-ციხისჯვარი კალმახელ-ციხისჯვარელ-ჭაყელებით, ჩორჩან-ოქროსციხე ჩორჩანელებით, ჩაცესციხე ბოცოსძე-ჭაყელებით, ახალციხე თორელ-ახალციხელებით. სამრიყმათა სახლის თვედაპირებულ სამფლობელო აწყურს კაფეოდალური ურთიერთობის ხანაში ქვეყნის რელიგიური ცენტრის მნიშვნელობა ლა რჩებოდა).

საერთოდ კი აწყურის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში ისე დიდია, რომ მა ძეგლის (ციხის, ქალაქის, ტაძრის) მეცნიერულ-მონოგრაფიული შესწავლა მოელი ამ ქვეყნის (სამცხის) მეცნიერულ შესწავლის საფუძვლად უნდა დადგოს.

დრო ამოიწურა. ჩვენს მოაგრძავე ყმაშვილებსაც რეფიმი ქვეთ გამოვეთხოვეთ ძეირთას ნახყიდა სესაძეს და წამოვედით. დაუტოვეთ აწყური: ჩალეშილი ცახე, უწყალოდ ტყავგახდილი ტაძარი, დაურუებული ნაქალაქარი, მომლილი არხები, გაოგნებული „მოახალშენენი“... და თან წამოვილე მტკიცე განზრახვა, რომ მალე გავხსნით ჩვენი გადასული დიდი ცხოვრების მოწმობათა ამ დაკეტილ სალაროს.

ვერც სლესის ციხეზე ვეღდით, ვერც ვინმე ზოგრეთელი ან მოქაცელი ვნახე.. მოინც კმაყოფილი ვარ და იმაზე ვფიქრობ, თუ რომრი შეიარაღებით და რამდენი სპეციალისტით უნდა წამოვიდე ამ

ქვეყნის შესასწავლად. მაშინ ვნახავ, ალბათ, თისლებს. ტრადიციული კორეს, დაბავებლს და სხვა მრავალს..



ეროვნული

სამ დღეში თბილისს უნდა წავიდე. იქედან ერთი დღიურული სათვის მცირია. თანაც მანქანა არა მაქს, ქვეითად ჩემი სიარული კი ძლიერ „ოჯახურ წინააღმდეგობას“ ხვდება...

28. VIII. დღეს არსად წავსულიარ. პარკში ესეირნობდი. გამახსნდა ვინოვრადოვ-ნიკიტინის მიერ საღლაც ქვე ლია ცის ქვეშ მოწყობილი „სტრონის კუთხე“. ამის წინ მუზეუმში იმედი გადამიწურებს: ის კუთხე, ასე ვიციოთ, დიდი ხანია აღიდებულმა შეკუალმა: გაანადგურა, იქ აღარაფერი დარჩენილა. მაინც წავდი, ვინძლო ვიპოვო რამე.

ელევტროსადგურის წინ მინდორზე დიდი სვეტი გდია. დავხედე: ოთხფერდა ვათლილი ბაზალტის ქვა. ერთ ფერდზე გამოსახულია ადამიანი. ხელები არ უჩანს, თავზე თითქო არა ჰესურავს რა, ან. თუ ჰესურავს — მრგვალი ქუდი, კაბა ისეთი გრძელი აცვაა, რომ მხოლოდ ფეხის ტერფები უჩანს. ფეხსაცმელი თითქო მაღალქუსლიანი აქს. ადამიანის ამ გამოსახულების ზემოთ ჯვარია გამოქანდაკებული.


სვეტის მესამე ფერდზე გამოსახულია ჯვარი, რომლის ასწერივი ბუნი შეს მოგვავონებს. ამ ჯვარის ზემოთ გამოსახულია მეორე ჯვარი, რომლის ერთი ლერო „სამყურა ბალახით“ ბოლოვდება.

სვეტის მეორე ფერდზე ისევ ჯვარია, როგორც მესამეზე. განსხვავება ის არის, რომ ამ ჯვრის ასწერივი ბუნი შეუში მსხვილია, თითქო კერცხლის დროშის (სატვირთველი ჯვარის) ბუნით. ამ ჯვარის ზემოთ მცირე ჯვარია.

სვეტის მეოთხე ფერდზე — ასევე ჯვარი — დროშა, ოღონდ ბუნი აგრე გამსხვილებული არ აქს. ამ ჯვარის ზემოთ რაღაც ფერება, თითქო მცენარის შტო, რომელიც სამ ტოტს იძლევა ისე, რომ თითეული მათგანი თავის მხრით სამად განშტოვდება. ასე რომ ამ ოთხფერდა სვეტზე ექვსი სხვადასხვა სახის ჯვარია (სამი მათგანი თითქო დროშა), ერთი ადამიანის გამოსახულებაა, ერთიც ჩემთვის უცნობი ნიშანი, — ერთი ლერო ცხრა შტოზ (უკვდავების ხე ?). (იხ. სურ. 3).

რას უნდა ნიშნავდეს ეს სვეტი? მატურს? ადამიანის გამოსახულება შეიძლება ამის საბუთი იყოს. თუ აქ რეალური პიროვნებაა ნაკულისნმევი, ის უნდა დიდგაცი ყოფილიყო, კინ იცის, დროშის პატრონი. სამწუხაროდ, დღეს არავინ იცის, საიდან არის ეს ქვა მოტანილი. სვეტის აშეარად ეტყობა, რომ, ის ქვისავე კვარცხლბეჭრის

მდგარია. შართლაც, აქევ ახლოს მფინარის ნაპირზე დგას საგამოხტო  
გათლილი ბაზალტისავე კვარცხლბეკი, რომელსაც ერთ მხარეზე ჩაუდი-  
რი აქვს ამოკეთილი. ეს კვარცხლბეკი დღეს გახეთქილში უკარისია  
და მისი მეორე ნახევარი იქვე ახლოს დაყირავებული გდია. გაზომ-  
ვამ დაგვიდასტურია, რომ ის სვეტი სწორედ ამ კვარცხლბეკში იდგა.  
ეს გარემოება თითქო ხელს უშლის იმ მოსაზრების სისწორეს. რომ  
ეს ნაგებობა მატური იყო.. (ინ.სურ. 4).




სურ. 3.

აქევ ამ სვეტის ახლოს ბრტყელი ლოდი ძეგს. ამასობაში ჩემთან  
რამდენიმე ცნობისმოყვარე ყმაწვილი შეგროვდა. ერთმა მათგანმა  
სთქია: „ამ ლოდზე არსენი აწერიო“; ლოდი გადავამრუნეთ. აქ ალ-

მოჩნდა: უშინოდ გამოხატული, მამაკაცის ფიგურა. მარჯვენა ხელის  
ხმალს ეშიღება ქარქაშიდან. ხმალი მოღუნულია. აქვე სრალთან ტანკი  
დაც თოხუოთი ნივთია გამოსახული (ვერ გავარჩიო). წიგნის მიზანისა  
იმ ლოდზე არ მოიპოვება.

უმარტვილის განცხადებამ, რომ იმ ლოდზე „არსენა აწერია“ მე  
ერთხელ კიდევ დამიმოწმა, რომ დღესაც კი ხალხურ მეტყველებაში  
ცოცხალია „წერის“ („აწერია“, „დაწერილი“ და მისთ.) თავდაპირ-  
ველი გავება. რომ „წერა“ და „დაწერილი“ ხალხს ესმის არა მარ-  
ტო იმ დავიწროვებული შინაარსით, როგორც ჩვენ. ე. ი. ცნების თუ



სურ. 4.

აზრის ასო-ნიშნებით გაღმოცემის შინაარსით, არამედ რაგინდარა  
ნიშნით რაგინდარა შინაარსის გაღმოცემის მნიშვნელობით. და ეინ  
იცის, რამდენჯერ უმართებულოდ მიგვილანდლავს გუნებაში ცნობის  
მომწოდებლები, რომ იმა თუ იმ ადგილას მათ უნახავთ „წარწერა“.  
ხოლო ჩვენ მიესულვართ ხოლმე და იმედი გაგვირუებია. გაუგებ-  
რობა კი იქვიდან წარმოდგებოდა, რომ „წერა“ („დაწერილი“ და  
მისთ.) ჩვენ სხვადასხვა შინაარსით გვესმოდა: ხალხში ეს ცნება,  
ჩვეულებრივ, ძევლებურადვე ფართვ შინაარსით იხმარება, ჩვენ კი  
მას კემარობთ დავიწროვებული, „დაწერილის“ მხოლოდ ერთ-ერთი

სიხეობის (ასო ნიშნებით დაწერილის) გავყიდოთ.. ასე რომ ისტუმანული ამბობდა: ამ ლოდზე გამოსახულია („აწერია“) აღამიანი და სა ადამიანი მისი აზრით ასესენა უნდა კოფილიყო (ალბათ ჭამილი ჩამოსახულში შინაარსმა — ხმალს რომ ეზიდება — აგულუქმინა მუციულა ხელით გმირი „არსენა“..).

აქვე მდინარის პირას მოჩანს სანახევროდ მისილული ვეებერთე-ლა გელაზი, კოტა მის ზემოთ რალაც ნივთი, ასევე მისილული, თით-ქო ზეთსახდელის იარაღი... კიდევ უფრო ზევით მეორე გელაზი, ზემდევ სულ ერთიანად მისილული რალაც გათლილი ქვა.

ბრაზმორული მუზეუმის მისამართით ვბურტყუნებდი და ჯო-ხით მიწას ვაცლიდი „მატურის“, რომ სამი ახალგაზრდა მოვიდა. მოზრდილები არიან. თამბაქო გააბოლეს. ვინაობა ვკითხე. ბორჯო-მელი ახალგაზრდებია, საშუალო სკოლის მეათეულისეცლები. ისტო-რიის მასწავლებელი ვინა გუათ მეთქი. მასწავლებლის გვარი ატა-ერთს არ ასრულდა, ან განზრაბ არ ამბობენ. ბოლოს ერთმა იოხუნა: კიდევაც: ამ წლიდან სწავ მასწავლებელი გვეყოლებაო, მალე გამე-ცალნენ, იქვე ახლოს მიღენენ და ერთმანეთში ხმამაღლა უწმაწური საუბარი გააძეს.

კარგად წარმომიდგენია ამათი დირექტორიცა და ისტორიის მის-წავლებელიც..

მაგრამ განსაკუთრებით მე მაინც ბორჯომის სამნარეთოცოდნეთ მუზეუმი მაბრაზებს. სირცეცილი ამაზე მეტი რალა იქნება, რომ ოდესმე მეფის მოხელის მზრუნველობით შეგროვებული ისტორიუ-ლი ძეგლები მოუკლელობა-უპატრიონიბით დღეს იღუპება ბორჯომ-ში, სადაც ამავების დამცულ-მეთვალყურედ მოწოდებულ მუზეუმს სამისოდ არა ერთი ათასი თუმანი აქვს ყოველ წლიურად გადაკვე-თილი...

29. VIII. დღეს გურამ (უჩა) დონდუა წავიყვანე, მამიაც გვახლ-და. ისტორიული კუთხის ნაშთები გადავაღებინე. გავაზომ-ჩივახატ-ენე.

ხვალ სადგერს წასვლა დავთქვით.

\* \* \*

30. VIII. მე და გურამ დონდუა მატარებლით ტბას ვედით. იქ მამია გველის. აქედან საღვერს უნდა წავიდეთ. ტბაში ასულს უფრო თვალსაჩინოდ მეჩვენება პეროვ. დავით დონდუას საუბარი იმის შე-სახებ, რომ ბაჟურიანი, ლიბანი, ტბა, ცემი, საღვერი, წალვერი, ე. ი. შავწყალისა და გუგარეთის შუამდინარეთი ერთ ველკანურ მავიდას წარმოაღვეს...

სადგერი სოფელ ტბილის ბორჯომისაკენ მიმავალ გზაზე, სადაც  
პირს გაუყევით. ეს არხი საკოჭავის მიღმამოებილიან არას გამოიტანა-  
ლი და ამ დიდი ვულკანური მავიღის ზედაპირით ბორჯომის ტბის მიმდევა-  
ბორჯომში ის ელექტროსადგურს ამუშავებს (ეს სადგერი თურქე-  
ულებელი კავკასიაში, როგორც პროფ. პ. გუგუშვილმა მაცნობა) და  
კურორტს სასმელ წყალს აწედის. ის ამ სამოცი წლის წინ აუგიათ.  
არხი დახურული ყოფილა. დღეს სახურავი მრავალ ადგილს მოშ-  
ლილა, ჩაქცეულა და არხის წყალი ზატ-ინვების და ორების საბა-  
ნაოდ გამზღარა. იშვიათი არა უბედური შემთხვევებიც. არხში წყა-  
ლი ვიწრო კალაპოტით და ძლიერი დაქანებით მიედინება. მობანავე  
ცხოველს გაიტაცებს ხოლმე და აღრჩობს არხის დახურულ ნაწილში.  
წელს თურმე ერთი სადგერელი ბიუნაც უშმხვერპლნია. სად არიან  
კურორტის შმართველობა ან ჭალაქის მეურნენი?

ბუნებრივად ფიქრად მომდის კულტურის მემკვიდრეობის ზოგა-  
დი საკითხი ეპოქათა ცვლის დროს (ამის შესახებ საყმოდ თქმულ  
მარქსიზმის კლასიკოსთა მიერ). ჩვენი მაგალითი ამ დიდი საკითხის  
ერთი კერძო შხარება.

ბორჯომი ჩვენმა მტრებმა თავისთვის ააშენეს. ჩვენ კი დაგვრჩია.  
მის აშენებაში სულიერი მონაწილეობა ჩვენ არ  
მაგვიღია. ძველი ბორჯომის პატრიოტი შეიძლება იყოს შისი  
აშენების ინიციატორი.

კოლონიური ქვეყნის შეილთა უბედურება მხოლოდ ის კი არ  
იყო, რომ მის ქვეყანაში დაპყრობელი თავისი საკუთარი საჭიროების  
მიხედვით მეურნეობდა, აშენებდა თუ აშენებინებდა, არამედ ისიც,  
რომ ამ შენებლობაში კოლონიური ხალხის შეილები, როგორც ინი-  
ციატორები, არ მონაწილეობდნენ. ინიციატივა აქ დაპყრობელისა  
იყო და მშენებელიც ის იყო. ჩაგრული ხალხი ამდენადც არ შეი-  
დებოდა ყოფილიყო თავისი აშშყოს პატრიოტი. ის წარსულის („მუნ  
ჩვენ ხელთ იყო ჩვენობა“) ან მომავლის პატრიოტი იყო. წარსულით  
ძველი მშენებელი კლასი იოხებს გულს, მომავალისათვის ქვეყნის  
მომავალი მშენებელი იბრძეის.

პატრიოტული იყო ის კლასი, რომელიც ქვეყნის მშენებლობას  
ინიციატორობდა, რომელიც აღმავლობას განიცდიდა, რომლის სისარ-  
გებლოდ, უპირატესად, მიიმართებოდა მისი ფრთის საზოგადოებრივი  
განვითარება (ამიტომაცა, რომ აზნაურები აჩვენებდნენ ხოლმე პატ-  
რიოტიზმის ნიმუშს ფეოდალური ურთიერთობის აღმავლობის ხა-  
ნაში).

პროვინციელობა კოლონიურობის ერთ-ერთი სახე იყო. მოვად  
ციელობა ნიშნავს თაოსნობის მოკლებულობას, შემოქმედების შეზ-  
ლუდულობას, სხვისი შემოქმედების და სხვისი ნების შემოქმედების  
ბას. პროვინციელი არა დამოუკიდებელი შემოქმედი. მას არ შეიძ-  
ლება უყვარდეს ის ქვეყანა სადაც ის არ ეწევა შემოქმედებით შრო-  
მას. ის არ შეიძლება ამ ქვეყნის პატრიოტი იყოს, ის ან ინდიფერენ-  
ტულად უყურებს ასეთ ქვეყანას, ან მტრულად.

აქედან გასაგებია ის სიძულვილი, რომელიც ჩვენ ხალხს ახასია-  
თებდა კველაფერი იმისადმი, რაც ცარიშმის დროის სახელში იყო  
საკუთრებას წარმოადგენდა.

პროვინციელობა კლასობრივი (ბურჟუაზიული) ურთიერთობას  
პროდუქტია. სოციალიზმი პროვინციელობის უარყოფაა. კომუნიზ-  
მი საბოლოოდ გააქრობს კოლონიურობა-პროვინციელობის მახინა  
ფუნქციონირება.

სოფლიდან გამოსავალს, მის ბოლოზე, ძევლად ტბა არსებულა,  
საიდანაც ამ სოფელს სახელი („ტბა“) მიუღია. ის ტბა ამ ახლო  
ხანში ამოუშრიათ და დღეს ნატბეური სიმინდის ყანას უკავია. ამ  
ტბას ოურმე „სადგერის ტბა“ ეწოდებოდა, როგორც გვითხრეს.  
ნატბეურის გერებით პატარა ბორცვზე სამაროვანი ჩანს, აქევე კელე-  
სიის ნანგრევი, „მაცხოვარს“ ეძახიან; აქევე ფართო გალავნის ნანგრე-  
ვი შეინიშნება.

სოფელი ტბა შავიწყლის მარჯვენა ნაპირზეა. აქ შავიწყლის მარ-  
ცხენა მხარეს ამართებულია ლიბანის მთები, საიდანაც „ხელის გულ-  
ვით“, როგორც აქ იტყვან. მოჩანს თორი საფოთვისწყლის ხეობის  
მარცხენა მხარზე.

იაკობ იოსების ძე ლომიძის გადმოცემით (90 წლის მთხუცია)  
პირველი მოსახლე ტბაზე შაქარა მახათაძე იყო. ამასევ მოწმობს შა-  
ქარას შეილისშეილი მალაქია მახათაძე (67 წლისა).

იაკობ ლომიძე ტბაზე სოფელ ხენევიდან (ხარაგაულის რიონი)  
მოვიდა. მაშინ ის 20-25 წლის ახალგაზრდა იყო. მის აქ შაქარა და-  
უხვდა. უკანასკნელი მაშინ 50 წლის კაცი იყო. თვით შაქარა სოფელ  
ითხვისიდან ყოფილი (ჭიათურის ჩ-ნი). პირველად შრომის მოსულა  
ხოლო აქედან ტბაზე. ასევე ძევლი მყიდრია აქ ლურსმანაშვილი.  
70 წლის წინათ ტბაზე სულ ხუთი მოსახლე ყოფილა: მახათაძე,  
ლურსმანაშვილი, ხაჩიძე, ლომიძე და გოგოლაძე. ეხლა აქ 80 კო-  
ლი კოლმეურნეა.

ლურსმანაშვილები ვერტუვილიძან ხაშურს მოსულა, ქედები ტბაზე. ლომიძეების ძირი-ხატი ხუნევს იყო — ტბეთის წმინდა გორგო. სხვები სადგერში ასახელებენ „დიდ ხატს“. ტბაზე გამოსახული ბის შემდეგ აქ იყო მათი სალოცავი...

სადგერში მისავალს სოფლის ეკლესიის ნანგრევი მოჩანს. ის თლილი ბაზალტისაგან ყოფილა ნაშენი. გაღმარჩენილია კედლის ნაშთი, ქვის ტრაპეზი და ქვისავე ერთი პატარა ჭვარი...

ჩვენთან ორი ბიჭუნა მოვიდა სირო ხაჩიძე და გალაქტიონ ჭანგურიძე.

დღეს სადგერში მოსახლობენ ხაჩიძენი, გელაშვილები, სტეფანიძენი, გეგმიძენი, ამანათაშვილები, ლომიძენი, ჭანგურიძენი, ტბატაძენი, ხეთაგურები.

სადგერის სამხრეთით შევწყლის (აქ „დილწყალს“ უწოდებენ, ალბათ, გუჯარეთისწყალთან დაპირისპირებით) მარცხნით არის მთა ლაიბან დი (ასე იტყვიან), მას მისდევს შველიველი, ამას მიჰყვება ნამწვი (დღეს აქ ტყეა), შემდეგ, ეს უკვე დასავლეთით მოდის, მოშველე პილი (ცხეც ტყეა), ამის გვერდით ნაჩეხი (ცხეც ტყეა და ნაჩეხობა. არ ეტყობა) და, ბოლოს, ბორჯომის თავზე —

სვნის თავი „სვანი ხის დასაცურებელი კვალია“. „წიგიდეთ სვანში, ხეგბი აუშვათ“, ასე ვიტყვითო ავვისხნა გ. ჭანგურიძემ.

სადგერის ჩრდილოეთით გუჯარეთისწყლის მარჯვენა მხარეზე ჭანგურიძემ „გორათები“ დაგვისახელა.

სოფელში შევედით. ბორჯომის არხზე წისქვილი მუშაობს. მოზრდილებს ვერავის ეხედავთ. მინდორში არიან.

ციხის ნანგრევი და ეკლესიი სოფლის გვერდით მოჩანს შევწყლის ნაბირზე.

ნახევარკუნძულს, სადაც სადგერის ციხე-გავალანია, სამი მხრიდან შევიწყლის ღრმა ხევი უვლის, მეოთხე მხრიდან (ჩრდილო-აღმოსავლეთით) — მას აქრავს კედელი ბურჯით. „არც აგრე დიღი ხანია, რაც დაანგრიეს“ — გვეუბნება ერთი მოხუცი ქალი, გეგმიძის მეუღლე. ის სამოცა წელია აქ ცხოვრობს. „ას კედელი ისე მიღალი იყო, რომ ზედ ჩიტი ვერ გაღმოფრინდებოდა“ — გვეუბნება ის. „ძველ დროში ლეკიანობა ყოფილა. და ხალხს აქ უცხოვრია“. მართლაც სადგერის ციხე მიუვალი ადგილია. ის 1,5 ჰექტარ ფართობს მოაკვეს.

სადგერის ეკლესია ცალნავიანი ნაგებობაა. აწინდელი სახით ის მაინც ამანც ქველი არ უნდა იყოს. აქ დაცული გაღმოცემით კი

ის თამარ დედოფალს აუშენებია. გეგუშიძის მეუღლე სამხრეთი კედელზე მიუთითებს: აქ იყო თურმე მარმარილოს ქვა და ზედ ტურმა, თუ ვინ აშენა ეს კელესია. მითითებულ აღგილს მარისტაცი მარტინი ლია რამოდენიმე ქვა. საეჭვო ცნობაა: აღმშენებლის სეულის წარწერა 2019 წლის რიანი ქვისათვის აქ აღგილი მარა. ოღონდ ის კი შესაძლებელი, რომ ამ კელესის მეორედ შენებისას (რესტავრაციისას) უაღვილოდ მოუყოლებინათ აქ რაიმე სახოვანი ქვა (საფლავის ლოდის წარწერა მარმარილოზე?).

სადგერის კელესია წმინდა გიორგის სახელობისაა. „ეს კელესია თურმე ორშაბათ დღესაა აშენებული. ამიტომ აქაურები ორშაბათს უქმნიბდნენ. შეპათს მოვამზადებდით ხოლმე ხარჯს კვირისა და ორშაბათისათვის“ — გვეუბნება გეგუშიძის მეუღლე. ასენა ხალხურია, ფაქტი კი მეტად საინტერესო.. უნდა კითქვაროთ, რომ სადგერი თეთრი გიორგის და მისი ჩელიგიური წინაპრის — მოვარის — თავიანისკემის აღვილი იყო უძველეს დროდანვე.. და ამ კულტის სიცოცხლე ავრე ნიშანდობლივად გამოიყერება ამ მესაქონლეობის ძველანაში. როგორიც უკელა ნიშანით, ჩას თორ-თრიალეთი.. (იხ. სურ. 5).

როგორც ვთქვით, ძველი სადგერი (დასახლებული პუნქტი) კადლის შიგნით ყოფილა მოთავსებული 1,5 ჰექტარი ფართობზე. დღა-საც კარგად ემჩნევა ნამოსახლევი: ბინების ნაკვალევი, აქა იქ შეიმჩნევი ქვისაგან დამზადებული სხვადასხვა სამეურნეო დანიშნულების ნივთები, კირნახულის შესანახი ორმოები, თონეები..

თავის მდებარეობით სადგერი სამშვილდეს და სხვა მის შეგავს სამოსახლო პუნქტს გვაგონებს. საფლავებელია, რომ აქ აღმიანს უძველესი დროდანვე დაედო პინა. მაინც დამიანც აღმიანის პინადრობის „მეგალითურ“ პერიოდში (კარქნალ-ლოდოვანის ხანაში) სადგერი აღმიანს ათვისებული უნდა ჰქონდა (და თეთრი გიორგის წინაპრი ღვთაება—მოვარე—ამ საზოგადოების ღვიძლი ხატი ამ დროს ვე უნდა ყოფილიყო).  
სადგერიში ბრინჯაოს ნივთების მოპოვება ამ თვალსაზრისისას აღვილად გასავავებია.

(ბუნებრივიად დასაშვებია, რომ ხეობაში იმ დროს არა ერთი სხვა პუნქტიც უნდა ყოფილიყო დასახლებული. შევიწყლისა და გუგარეთისწყლის ავრე მრავალ გამოქვაბულთაგან (ასევე ნიშანდობლივია ქვაბისხვევი..) შეიძლება არა ერთი აღმოჩნდეს ისეთი, რომელიც აღმიანის მოსახლობის კიდევ უფრო ძველ კვალს ატარებდეს..).

შემდეგ, ცხოვრება წინ წიგიდა, წარმოების საშუალებანი განვითარდა, საზოგადოება გამრიცელდა (საზოგადოების გამრაცელება ხომ

საბოლოო ანგარიშით წარმოების საშუალებათა განვერარებულად  
და საწარმოო ურთიერთობის პირობებისაგან არის დამოკიდებული  
და არა შეიძლება მიოღოვის უნარისაგან) და სტრუქტურული-  
ზოგადოებაც თანდათან გამოვიდა თავისი მეგალითური ცილგეტის  
(„სადგერის“?) გარეთ და ახლო ადგილებში დასახლდა.

ფეოდალური ურთიერთობის ხანაში სადგერლები ერთი მეო-  
რეს მოშორებულ უბნებად ცხოვრობდნენ (დიდი ოჯახები, ფეოდა-  
ლური გვარები, საფიქრობელია ასეთ უბნებსა ქმნილნებ). „კვირა-  
ცხოველი“, „მაცხოვარი“ და სხვა ასეთი პუნქტები (და არა ნაგებო-  
ბანი) იმ ეპოქის ნაშთებია...

ამრიგად, შესაძლოა ვიფიქროთ, რომ ეს ცულკანური მაგიდა (ზე-  
მოთ რომ აღვნიშვნეთ) მოლიანად სადგერს ეჭირა, რომ სადგერი  
მართლაც „დედაქალაქი“ (მეტროპოლისი) იყო იმ ქვეყნისა. ვინ იყო  
აქაური პატრიონი—ფეოდალი, სამწუხაროდ, არა ჩანს. გოგიბაშვილი,  
ავალიშვილი შედარებით გვიან მოსულები მდონია. არც აქაური აზ-  
ნაურები შოთაძე და კეჩხობელი ივარაუდებიან სადგერის პატრიონე-  
ბად იმ კლასიურ ხანაში.. როგორ ურთიერთობაში იყო სადგერი  
თორთან და დროშის პატრიონ თორელთან, ვისი იყო ის სალაშქრო  
დროშა, სადგერს რომ ინახებოდა?

შემდეგ, ქართველი ხალხის განვითარების გზა მძიმედ დაიჩინა:  
თაორობა, ყიზილბაშობა, ოსმალობა, ლევიანობა და ამთავე არა  
ნაკლებ მძიმე ქართული თავადობა (=ბატონიუმობა) საუკუნეთა მან-  
ძილებებისა და ქართველ მწარმოებელ საზოგადოებას, ხრავდა ქვეყ-  
ნის დოკუმენტებს. მოიშალა სამეურნეო განვითარების პირობები. გავე-  
ლურდა კულტურული ქვეყანა. თანდათან მოიშალა სადგერული უბ-  
ნები.

XVIII საუკუნეში სადგერი ცოცხალია და ქართული ხეობის  
ცენტრალური პუნქტია. ერეკლე მეორეს იქ სადგერს ჰყავდა ერთ-  
გული მენაპირე ავალიშვილი, შერ ისევ XVI საუკუნიდან ხეობაში  
შემოსული მებატონე..

„მე რომ მომიყვანეს, — ამბობს გეგეშიძის მეულე, — სადგერს  
სულ შვიდი კვამლი კაცი იყო იყო, ყეველა ახალმოსული; ახლა ასი კვამ-  
ლია“. ჩანს XVIII საუკუნის მიწურულსა და XIX საუკუნის პირებელ  
მესამედში ქართველი მოსახლეობა სულ ერთიანდ გასცლია ხეობას  
და შემდეგ, ახალციხის შემოერთებიდან (1828), იწყება ხეობის კულა  
დასახლება.

„ჩემი მამამთილი, — ამბობს გეგეშიძის მეულე, — სამტრედი-  
ოდან ყოფილა, სალოცავში იქ დადიოდნენ, ტაბატაძე კი (ეს ჩვენი მო-



הנַּכְלָל  
הַמִּדְבָּר  
בְּצִדְקוֹת



לְגֶת ב.

საუბრე ტაბატაძის ქალია) ხეისჯვარიდან მოსულა, იმერეთიდან  
დაბაში ნაცხოვრება, იქიდან ცემს ასულა.

აქ სადგერს ბევრი მოდის სალოცავად ხაშურიდან და სხურავშენული  
ლიდან. აღმათ, აქედან არიან „წასული“. ჩევნი მოსაუბრის ეჭრისკენ მიერა  
სწორია. ძველი სადგერელების აღმოჩენა ამ მეოთიდით უცდომლად  
შეიძლება.

სამაგიეროდ ასე აღვილი არაა სადგერის თავგადასაულის აღდე-  
ნა, თუმცა მეცნიერული შექმის შეტანა მის გრეძლსა და შეფოთიან  
ისტორიაში, რა თქმა უნდა, შესაძლებელია და ეს უნდა შეძლოს  
კიდევაც საქართველოს ისტორიულშა გეოგრაფიამ.

\* \* \*

სადგერს ყოფნის დროს ჩემთვის ძნელი არ იყო დამეზუსტებინა  
ძველი გზის მიმართულება: საფიქლის ხევით თორს, აქედან დაბა-  
ძველს და ა.შ.

სადგერიდანვე წალვერს (კეჩობს) და გუჯარეთის ხეობით ქართ-  
ლისაკენ..

31. VIII. ჩემი აგარაკობა და ისტორიულ ძეგლებზე სეირნობაც  
მით დასრულდა. ხვალ ქალაქს მივდივა.

## აძიგვის წარწერის პარამეტრები

(1948 წ.)

18. X. დილის 7½ საათზე ვილისით (ХВВ) გვემგზავრეთ მე და ორი შოთა (შესხია და ხანთაძე).

აძიგვის ბარელიეფი მაინტერესებს. თუმცა პავლე ინგოროვა წარწერის წაკითხვისა და ბარელიეფის შინაარსის შის მიერ გავების სისწორეში არ ეჭვობს... მე კი ორი გარემოება შეუჭერს: 1. ეჭვითმე თაყაიშვილის მიხედვით ეს წარწერა უფრო ძნელად წასაკითხავი ჩანს, ვიდრე პ. ინგოროვას ცდით არის წარმოსადგენი (პ. ინგოროვასთვის აქ ყველაფერი ცხადია გარდა ერთი სიტყვისა), 2. ეს ძეგლი უწეველოა და მისი შინაარსი ცნადი არაა, მიუხედავად ინგოროვას ცდისა. არაა გარკვეული, თუ რა „შექმნა“ „ელიქატმონმა“ ასო-ების შერჩენილი ნაწილების მიხედვით ეს სიტყვა არ იყო არც „ტა-ძარი“, არც „ეკუდერი“, მაში რა უნდა იყოს? ეჭვს იწვევს ბარელიე-ფის მოთავსების აღგილიც: — „ეკვდრის დასავლეთ კედელში, შენო-ბის შიგნით მხარეს“. სამწუხაოოდ, ეს გარემოება არ აფიქტრებს პ. ინგოროვას.. მე კი მგონია, რომ ამ ბარელიეფის აღგილი უცნაუ-რია, თუ აქ მართლა „მთავრები“ იგულისხმებიან, — ის გარეთ უნდა ყოფილიყო. ამვე დროს, თუ აქ ამ ბარელიეფზე „ტაძარი“ ან „ეკუდერი“ ან „შტოი“ არ იგულისხმება, შეიძლება ეს ძეგლი ამ ეკუ-დრის კუთვნილება არც იყოს და შეიძლება ეს ბარელიეფი ამ „მთავ-რებით“ „ქელიც“ კი იყოს, ხოლო აქ ის შემთხვევით მოხვედრილი აღმოჩნდეს...<sup>1</sup> სადაო ამას გარდაც ბევრი რჩებოდა... მაინც ბარე-ლიუტი მეტისმეტი საინტერესო ჩანდა სახელებით — შოთა, ვამრე-

\* ინექტება პირველად.

<sup>1</sup> ასეთი შენიშვნები შაქერ მიწერილი „რუსთაფელიანის“ 1926 წლის ვამოცე-ბის 330—332 გვერდებზე.

კილ, აფაგ, ელიქატმონ და აგრე გარკვევით აღნიშნული არის ნიშანი<sup>2</sup>.

ამიერ ე. თაყაიშვილს ნიშანდობლივ აქვს ნაჩვენები „Нижний Тагишево“<sup>3</sup> სახე, თამ გვითხოვთ, რომ ამ სახე არა არ იქ ეკლესის ნანგრევი. თავისი „ხუტორი“ კი და-  
გვისახელეს, მაგრამ იქ ეკლესის არსებობის შესახებ არა ვიცით

რო... შემი შემებარა, ვით თუ ვერ ვაპოვო მეთქი. პირველ საათზე უკვე გოხნარს მივატანეთ. აქ ახლო ორი მანგლისელი რუსი შეგვხვდა, კოროშილვის სახელობის კოლმეურნეობის წევრი. ვითხოვთ, თუ სადაა თონეთელების ხუტორი, მიგვითხოვთ. თანაც დადებითად გვიპასუხეს, რომ „თონეთის გოხნარში“ ეკლესის ნანგრევები მართლაც მოიპოვება. — „აქაცაა, როგორც ნახვდით, ერთი მეჩე თას ნან-  
გრევით“, და გოხნარის ტაძრი დაგვანახვეს. „მანგლისში რომ გარი იღვა, ამ მეჩე თას დინამიტი შეუდვეს და ერთბა-  
შად გად მოანგრია ეს თ. ხომ ხედავთ, რომ ნახვარი კედელი გადმონგრეულია“. უხსნით, რომ ეს „მეჩეთი“ კი არა, რვასი წლის  
ქრისტიანული ტაძრია... სადაა სიძელეთ დაცვის კომიტეტი? მაგ-  
რამ განა რას იცავს, რომ ეს დაიცვას...

გოხნარის ეკლესის სამხრეთ-აღმოსავლეთით კილომეტრ ნახე-  
ვარში და ახალსოფლის დასავლეთით ერთ კილომეტრში არის ეს ხუტორი თონეთისა (თითონ თონეთელები ამ თავის ხუტო-  
რი ნერთის გოხნარს უწოდებენ).

მანქანა შარაზე დავტოვეთ და თავჭერ დავვეშვით.

მალე ამიერის გალავანში შევედით. ვიღრე ბაზელიეფს მიექ-  
დობით, ჩვენი ყურადღება საფლავის ქვების სიმრავლემ მიიპყრო  
ეკლესის გარშემო რომაა მოფენილი. საქართველოს მუზეუმის მუ-  
შავეს ირაკლი ქავთარაძე ს ბევრი მათგანი ახლად გამოუჩი-  
ნია ამ ზაფხულს. ეს ლოდები სულ ერთთავად შემქულია საყოფა-  
ცხოვრებო თუ სამხედრო იარაღებით: მაღალი ოსტატობით შესრუ-  
ლებული შვეიცარი, გურზი, კაპარჭი, მაკრატელი, ხმალი, ცულდი  
და სხვა იარაღები. ერთ ლოდზე მოცემულია ურემი სოლებიანი  
თვლებით... ეს ლოდები ღირსია იმისა, რომ თბილისში იქნას ჩამო-  
ტანილი (ამის შესახებ მე კარგა ხანია ვლაპარაქობდი). საქართველოს

<sup>2</sup> ჩემს გამსაკუთრებულ ინტერესს აგრეთვე ეს „მთავარნი“ იწვევდა.

<sup>3</sup> Такашвили, Археологические экскурсии, вып. IV, 1913, Тифл., გვ. 7.

მუშაუშს კარგი საქმე წამოუწყით და ის ყოველმხრივი ხელისუფალი  
ბის ღირსია...

ჭერ კადევ წელს ზაფხულშე, თრიალეთში ყოფნისამართის მიმდინარე  
აზრად, რომ ერთი პრაქტიკული წინადაღებით მივმართო ჩერების მეც-  
ნიერულ საზოგადოებას, სათანადო სამეცნიერო დაწესებულებებს.  
ჩერების მთავრობას.

საქართველოში, განსაკუთრებით, ქვემო ქართლში, თრიალეთში,  
ჭავახეთში, სამცხეში, თორმში მრავალი ისეთი ძეგლი, რომლის დაც-  
ვაც ადგილშე მეტად ძნელია. ასეთი ძეგლები უნდა ზედმიწევნით  
შესწავლილ იქნას და, რის დაცვაც ადგილშე აღარ შეიძლება (ცალ-  
კეული ქვები, იშვიათი ხელოვნებით გათლილ-მოწიქერთმებული),  
უნდა აღრიცხულ იქნას და თბილისში ჩამოვიტანოთ, სადაც შესაძ-  
ლებელია ამ ქვებისაგან აშენდეს ორიგინალური სასახლე ისტორიუ-  
ლი ძეგლების დასაცავად. ვფიქრობ ეს წინადაღება დროულიცაა,  
პრაქტიკულიც და შესაფერისიც... მთელი XIX საუკუნის მანძილშე  
და დღესაც ასეთ ქვებს კერძო პირები (მოსახლეობა) თუ დაწესებუ-  
ლებანი იტაცებენ (მარტო აწყურის ტაძრის პერანგი რად ღირს)...  
უნდა შეგროვდეს, სადაც ეს შესაძლებელია, ხოლო ისეთები, ცალკე-  
ულად რომ ყრია მიწის ზედპირზე ან დამარხულია, უნდა თვით  
მოუყაროთ და თბილისში ჩამოვიტანოთ...

ეკლესიაში შევედით. შეუა თაღის ქვაზე წარწერა შევამოწმეთ.  
ე. თაყაიშვილს ის უნაკლოდ წაუკითხავს. „ქ. სახელითა ღმრთისათ-  
თა მე ვარაზბაჟურ შეესწირე მიწად თვენარული აძიურსა ეკლესიასა  
სალოცავად სულისა ჩენისა. ვინ შეუცალოს, ანუ ლოცვისაგან კი-  
დე რასაც ენუკედეს, კრულ იყოს ღმრთისა დაუსაბამოება პირით,  
ამინ“<sup>4</sup>.

ექვთიმე სწორად შენიშნავს, რომ აძიევი საბარათიანოში შედიო-  
და, მაგრამ სამწესაროდ, არაფერს ამბობს იმაზე, თუ რა დროს შეიძ-  
ლება მიეწეროს ეს წარწერა. არც იმის შესახებ სვამს საკითხს. ეს  
წარწერა ეკლესის აგების თანამედროვეა თუ უფრო გვიანი?  
(3. ინგოროვავს ეს წარწერა სულ არ მოჰყევს). წარწერის ხსიათის  
მიხედვით შეიძლება ის XI—XII საუკუნეს მიეკუთვნოს. მაგრამ  
იმის მტკიცება, რომ ეს წარწერა ამ ეკლესის აგების დროისაა, ძნე-  
ლი საქმეა. ეს წარწერა ამ ეკლესის აშენების შემდეგაც შესაძლებე-  
ლია ამოეკვეთათ. ასეთი ხსიათის წარწერები ჩვენ არაერთი ვიცით

\* ე. თ ა ყ ა ი შ ვ ი ლ ი, დასტ., ნაშრ., გვ. 8:

(მარტო კუმურდო საქმია სამისოდ), რომ გვიან იწერება... თუმცა  
ჩვენ ამით არ ვამტკიცებთ, რომ ეს წარწერა უთუოდ უფრო გვიანაა  
შესრულებული.

ინტერვიუ  
გიგაზერია

შემწირველი ვარაზბაკურ, უმცველია, აზნაურია და ეს არა იმი-  
ტომ, რომ მან მიწა შეწირა (მიწა შეეძლო მოლაშქრესაც შეეწირა  
ან ვაჭარს...), არამედ, უმთავრესად, იმიტომ, რომ მან შეწირა თავ-  
ნარ ული მიწა აქ ნიშნავს ზომის გარკვეულ საგლეხო სამე-  
ურნეო ერთეულს—ფუ დეს, ისევე როგორც ეს გვაქვს დამოწერებუ-  
ლი იმ ეპოქის არა ერთ საბუთში. ეს რომ ასე არ ყოფილიყო, შემ-  
წირველი უთუოდ იტყოდა, თუ სად და რამდენი მიწა შეწირა. მიწა  
თავნარული კი სახესშით გარკვეული რაოდენობაც იყო და უველა  
ქვეურმაც იცოდა, თუ სად იმყოფებოდა ის „მიწა“: უიპველია ის მი-  
წა ანუ ფუძე სოფელ აძიევში იყო. ისიც ყველამ იცოდა, რომ ეს  
მიწა თავნარას ნაფუძარი იყო, თავნარული ფუძე იყო. თვით  
თავნარა ან აღვილშე არ იყო, გარეთ მყოფი იყო, ან ამოვარდნილი  
იყო. ასე რომ ვარაზბაკური თავნარას პატრონი თუ ბატონი იყო.

ამავე დროს ისიც ჩანს, რომ თავნარული მიწა ვარაზბაკურის პი-  
რადად ნაშოვნი არ ყოფილა; ასეთი რომ ყოფილიყო, ამას შემწირ-  
ველი უთქმელად არ დააგდებდა: შეწირულობის სიმტკიცისათვის  
ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩანს, თავნარა და მისი მიწა ვარაზ-  
ბაკურს მემკვიდრეობით ხვდა...

პროფ. ე. თაყიაშვილს ვარაზბაკურის სახელთან IV საუკუნის  
იძერიის მეფე აგონდება (რა თქმა უნდა, ექვთიმე ჩვენი წარწერის  
ვარაზბაკურს სხვა პირად სოფლის). ვარაზბაკურ ჩვენ სხვაც მოვა-  
გონდება (ნახე სამშეილდის წარწერა) ერისთავი ვარაზბაკურ, XI ს.  
60-ანი წლები (ვარაზბაკურ ვამრჩეველი?) (ანასული ქ' ცა, გვ. 191).

რა თქმა უნდა, არც ამ ვარაზბაკურის ჩვენი წარწერის სუბიექტ-  
თან გაიგივების საბუთი მოიპოვება...

როგორც აღვინიშნე მე უმთავრესად იმის გარკვევა მაინტერესებ-  
და, თუ რა შექმნა ელიქატმონმა, რაღვან პ. ინგოროვა „ტაძარს“  
ან „ეკვდერს“ უარყოფდა. დანარჩენი ტექსტი მას ისეთი უეჭველო-  
ბით მოჰყავს, რომ მე მხოლოდ შესამოწმებლად თუ მივიღოდი...

სამწერაპოლ, საქმე სხვა რიგად აღმოჩნდა და ჩემს თეორიასაც,  
პ. ინგოროვას წანაკითხის საფუძველშე რომ ავაშენე, საფუძველი  
უმოწყალოდ მოეშალა:

ბარელი ფის წარწერაში სიტყვა „მთვარე“ ნახსენ ნები არსა და.

ეკვდერი, რომლის კედელშიაც ეს ბარელი ფირა მოთავსებული იყო ეკლესის აშენების დროის არ უნდა იყოს. ის უფრო გვიჩვენებული ჩანს: ეკვდერის ერთ-ერთი თაღი ეკლესის სამხრეთ კედელზე ამოკეთილ ჯვარს ფარავდა. ამავე დროს ეკვდერის აშენებისას მოუხმარით რაღაც შენობის ნანგრევები.

ჩექერომიანი ქვები (სამი) უადგილოდაა დატანებული ეკვდერის სწორედ იმ ნაწილში, სადაც ეს ბარელი ფირა მოთავსებული, ამავე დროს ასეთი რამ ეკლესის კედელში არ შეინიშნება; კიდევ მეტის თქმაც შეიძლება: ეს ბარელი ფირა იმ თავითვე ამ ეკვდერის კუთხილება არ ყოფილა ან, უფრო სწორად, ეს ბარელი ფირა სადღაც სახვაგან იყო, ვიდრე მას ამ ეკვდერში შემოიტანდნენ: ეს ბარელი ფირა რომ ამ ეკლესის ან ამ ეკვდერისთვის ყოფილოყო დამზადებული, ის არც იმ ადგილს იქნებოდა მოთავსებული, სადაც დღესაა — ეკვდერის შიგნით, მის დასავლეთის კედლის მარჯვენა კიდეში და შედარებით დაბლა. ბარელი ფირის აღვილი, რა თქმა უნდა, გარეთ კედელი იყო, თუ მას (ბარელი ფირს) ამ ეკლესისათან ან ეკვდერთან უშუალო კავშირი ჰქონდა. ამასვე უნდა მოწმობდეს ის გარემოებაც, რომ ამ ბარელი ფირის კედელში ჩაშენებისას მისი წარწერა ნაწილობრივ საშენებლი კირით დაფარულა, რაც, საფიქრებელია, არ მოხდებოდა თუ კი ეს ბარელი ფირი თავისი წარწერით ამ ეკლესის თუ ეკვდერის ნაწილად იქნებოდა ნაგულისხმევი (იხ. სურ. 6. სტოას დას. კედლის დაშტრიზული ნაწილი).


ბარელი ფირი  $1,85 \times 0,85$  ზომისაა. მასშე მოთავსებულია ოთხი მამაკაცის ფიგურა. ისინი დგანან (ე. თაყაიშვილი შეცდომით პერსებს, რომ აქ „имеются доволъно грубыя поясныя изображения четырех лиц“. ფიგურები ყველა ერთი ზომისაა, ყველას ერთნაირია თარგის სხვადასხვა სახიანი ტანსაცმელი აცვია, ყველას ერთნაირი წვერი აქვთ (მეტად გრძელი) და ყველას ერთნაირად აქვთ შესრულებული ნებისმიერი უნდა ჰქონდეთ მოქცეული) ეს უკანასკნელი გარემოება, ჩეენი აზრით, განსაკუთრებით საინტერესოა (სამწუხაროდ, ბარელი ფირის ამ მომენ-

\* ეფიქრობო ასევე შეხრილხელვის გამოხატულებაა თხაბარების ეკლესის მდელში ჩადგმულ ერთ-ერთ ფილაზე. *Материалы по археологии Кавказа, VIII. I, 1888, გვ. 14.* ასეთივე შეხრილ ხელებითა წარმოდგენილ მამაკაცის ფიგური თრიალეთის (შემცირების) X საუკ. ძეგლის კადილშე (ქართული ხელოვნება VI—A, 1963, ტაბ. 72). რეჭ.



לוח 7

ტრანსფორმის უცრადლება ან მიუქცევიათ არც ე. თაყაიშვილს და ასე ვ. ინგოროვებს) (იხ. სურ. 7). უეპელია, რომ ბარელიეფის შემნებული აქ დასახელებულ პირთა პორტრეტების მოცემის ჩრდილოებისა ასეიძლება ვიფიქროთ, რომ ის ტრაფარეტად მიღებულ სურათს აქმდავებს. ამის მოწმობაა სამოსელის თარგის და წევრების ერთნაირობა. შეიძლება ეს იყო ამ კუთხეში ძველადვე შექმნილ-შემუ-



სურ. 6\*.

შევებული პირობითი პორტრეტი აზნაურისა. ძველადვე შემუშავებული მეთქი ვამბობ იმიტომ, რომ ეს ამოდენა გრძელი წვერის ტრაფარება XI—XII საუკუნის წესად ან გვეგულება... რაც შევხება ხელების შეხრილობას, ეს, ვფიქრობთ, ამ ბარელიეფის ინდივიდუალური მოვლენაა... არაა დასაშვები, რომ აგრე ხელშეხრილი ქანდაკება ნორმალურ მდგომარეობის გაღმოსაცემად ვამომუშავებულიყოს (ასპირანტ ზანთაძის ხუმრობა-შთაბეჭდილებით ამ ხალხს იარაღი დაუყრია და მტერს ნებდება).

\* ძველია ანაზომი (სურ. 6) და წარწერის ასლი (სურ. 8) შესრულებულია ან ჭირებულ ვიფი ვაფრინდაშვილის მიერ.

სამოსელი, როგორც ალვნიშნეთ, ყველას ერთნაირი თარიღი, მაგრამ სხვადასხვა სახიანი აცვია. პ. ინგოროვეს აზრით უფლისებული ჩატულია „ძეველ-ქართულ საერისთავო ტანსაცმელებში“<sup>1</sup> ჩატულია.

სამწუხაროდ, ძეველი ქართული საერისთავო ტანსაცმელი აგრე კარგად როდი ვიცით, რომ პ-ლი ავტორის ეს განცხადება უყოფმანოდ გავიზიაროთ. კარგი იყო პ. ინგოროვეს საამისო საბუთი ეჩვენებინა. ჩვენ ვიცით საერთისთავო მოსახლეობი წითელი ფერისა (საკრამანგვი), ხოლო აქ მოსახლეობი კი არა, სახელოები სამოსელი აცვიათ. ერთი კი უფრო უდავო უნდა იყოს: ბარელიეფზე წარმოდგენილი პირები მაღალი საზოგადოების წევრები არიან.

\* \* \*

ე. თაყაიშვილმა ამ ბარელიეფის წარწერის მცირე ნაწილი წაითხა<sup>2</sup>. პ. ინგოროვეს სცადა ეს წარწერა ბოლომდე გაშიფრად და ერთი სიტყვის გარდა, მისი აზრით, გაშიფრა კიდევაც<sup>3</sup>. ჩვენ, როგორც მოგახსენეთ, უმთავრესად ამ ერთი გაუშიფრავი სიტყვის მისახვედრად წვევდით.

ეს სიტყვა ჩვენ ვერ ამოვხსენით, მაგრამ კიდევ უფრო უსიამოვნო ის იყო ჩვენთვის, რომ პ-ლი პ. ინგოროვეს წაყითხვა სულ ერთიანად მცდარია.

წარწერა შესრულებულია ასომთავრულით XI—XIII საუკუნეებისა. XII საუკუნე შეიძლება უფრო მიახლოებული იყოს. მოელი წარწერა ორი თანასწორი ნაწილისაგან შედგება: ერთი იწყება ოთხეუთხედის ზემო მარცხენა კუთხიდან და უჭირავს ზემო და მარჯვენა აშიები. მეორე იწყება ოთხეუთხედის ზემო მარცხენა კუთხიდან და უჭირავს მარცხენა და ქვემო აშიები (იხ. სურ. 8).

ზემო აშიაზე იქითხება: ქე აღიდე (აქ ეს ი-ნი ე-ნს უფრო პევეს) შოთამ (აქ ონი ნაწილობრივ, ხოლო თანი უფრო დაზიანებულია. მაინც წაყითხვა შოთამ თითქო უდავოა) და გამრელ და (ეს წაყითხვაც უდავო). ამის შემდეგ ზემო აშიაზე რჩება სამი ან ოთხი ასოს ადგილი. პ-ლი ინგოროვეა აღადგენს: „ავაგ“. ჩვენ ასეთი წაყითხვა, სამწუხაროდ, ვერ დაერიდასტურეთ. ჩვენი მიხვედრით პირველი ორი ასო არის არა ავ, არამედ ბე, მესამე ასო შ-ინია, მეოთხე ასოს ნაწი-

\* რესოველიანა, გვ. 331.

<sup>2</sup> მაგრამ რაც წაყითხა, უდავო ჩანს, იხ: Археологические экскурсии, вып.

בְּרִית  
מָשֶׁיחַ

בְּרִית  
מָשֶׁיחַ

לְמִתְּחִילָה  
בְּרִית  
מָשֶׁיחַ

לְמִתְּחִילָה  
בְּרִית  
מָשֶׁיחַ

ლი ქ-ანი უნდა იყოს. მაინც და მაინც აქ ავაგ არ შიძლება იყოს  
ამას მოწმობს მარჯვენა აშიის წარწერა (რომელიც გაგრძელებაა ზუ-  
მო აშიის წარწერისა).

3. ინგოროვა აქ უკეთელობით კითხულობს: მთავარზე, ზოლო  
„ი ჩ უ ე ნ ნ ი“ ალადგენს (ე. თაყაიშვილი მთელ ამ სტრიქონში მხო-  
ლოდ ავას კითხულობდა). ინგოროვას წაკითხვა-აღდგენა აქ სავ-  
სებით მცდარი ჩანს. გვერდის არშიის პირველი ასო, ინგოროვა  
რომ გ-ანად კითხულობს, არ შეიძლება ასე წაკითხულ იქნას, თუნ-  
დაც წარმოვიდგინოთ, რომ ამომქრელმა ის უკუღმა ამოსჭრა. მაგრამ  
თუ დაუშვებთ რომ ეს ასო ზემო აშიაზე დაწყებულ სიტყვას აბო-  
ლობს, მაშინ ბუნებრივია ის უხეიროდ ამოკეთილ ნ-არად წავი-  
კითხოთ. და რომ ეს მართლაც ასეა, ამაში შემდგომი გვარწმუნებს.  
მეორე ასო ამ სტრიქონში უდავოდ დ-ონია (და ორა თ-ანია, როგორც  
3. ინგოროვა ფიქრობს) ამის მომდევნო ავა კომპლექსს არავინ  
დავობს. მეექვსე ასო აშეარა რ-ავა. მეშვიდე ასოს ინგოროვა ნ-  
არად კითხულობს, მაგრამ აქ იკითხება უდავოდ ჭ. ამის შემდეგ იგი  
აღადგენს (რავი მიიღო „მთავარზე“): „ი ჩ ნ ნ ი“. ჩვენ კი გვგონია  
უკეთელობით წაკითხეთ ბ კ რ ამის შემდეგ ორი ან ერთი ასოს  
ადგილი რჩება. ამრიგად, ჩვენი წაკითხვა წარწერის ამ პირველი ნა-  
წილისა შემდეგა: ქ ე ა დ ი დ ე შ თ ა ა და გამრკლ და ბეშქ და  
კარზბერ ა[6].

წარწერის მეორე ნაწილი, როგორც ალვნიშნეთ, მარცხენა აში-  
ოდან იწყება:

ქ ე — მეხუთე ასოს ინგოროვა კითხულობს — ე. თაყაიშვი-  
ლი — ო, ჩვენ კი გვგონია, რომ მოცემულია ი-ნი.

მეექვსე ასოს ინგოროვა აღადგენს ლ-ასად, თაყაიშვილი რ-ავა.  
მაგრამ აქ იღსაღვენი არაფერია, რადგან დაუშიანებლად სწერია და  
ცხადად იკითხვის ჩ-ი ნ ი.

მეშვიდე ასო დავას არ იწვევს — წერია ქ-ა ნ ი, მერვე, მეცხრე.  
მეათე, მეორთმეტე და მეოთომეტე ასოები, იგრეთვე უდავონია —  
ატ მთ ნ. ინგოროვა ამ აშიაზე სხვას არ ამჩნევს, ჩვენ კი ნ-არის  
შემდეგ მეცამეტე ასოდ — ა გვაჩვენება.

წარწერა მარცხენა აშიიდან, როგორც ალვნიშნე, ქვემო აშიაზე  
გრძელდება. სამწუხაროდ, აქ ასოები განსაუთრებით დაზიანებუ-  
ლა. უკეთელ აქ მხოლოდ ერთი სიტყვა განირჩევა: შ ა თ ს ა. ამის  
შემდეგ ინგოროვას უდავოდ ეჩვენება წაკითხვა მთავრ, რო-  
მელსაც ის შეავსებს ბ ს ა. აქაც ცდება პ-ლი მკვლევარი. პირველი  
ასო მართლაც მ-ანია, მაგრამ მეორე ასო გამორჩენია პ-ლ აკტორს: იქ

უდავოდ იკითხება რაც; მესამე ასო ასევე უდავოდ თავისი, შეოთხე დაზიანებულია, ნაშთის მიხედვით ლა-ასია. ამის შემდეგ სამი ასოს აღვილი ამოტენილია, რის შემდეგ ჩანს თითქო ო მურავი და კარი ასო — ქმ. პ-ლი ინგოროვა ამის შემდეგ უდავოდ კათულობს: ნ. ა. ჩვენი დავვირებებით მ-ანის შემდეგ აქ ნარი არაა. ასო ის ნაშთი, აქ რომაა, ნარის გამორჩეული აცხადეს კ. ა. ამის შემდეგ დაახლოებით რვა ასო შეიძლება ყოფილიყო. ამათგან ნაწილი სულ ამოტეხილია, ნაწილი კიდევ (ბოლო) ნაშთების სახით არის გადარჩენილი, მაგრამ აღდგენა ესე, ინგოროვა რომ თითქო უდავოდ კითხულობს, ჩვენი აზრით, მოუღებელია. ასოს ნაშთების მოხაზულობა ამის უფლებას არ იძლევა.

ამრიგად, წარჩერის შეორე ნაწილი ჩვენი ამოკითხვით შემდეგია: ქე შე იჩქარ მონა მათსა მრთილ ...უქმ...

აქვე მოვიტანოთ ინგოროვების წაკითხვა:

ქრისტე შეიწყალე ელიქატმონ. — ქრისტე აღიდე შოთამ, და გამრეყლ, და ავა[გ], მთავარმა ჩუენნი] მათსა მთავრო[ბასა შეა]ქმნა [...] ეს.

ჩვენი წაკითხვა კი შემდეგია:

ქრისტე აღიდე შოთამ და გამრეყლ და ბეშქენ და ვარაზბაკურ ან] ქრისტე შეიწყალე იჩქარ მონა მათსა მრთე[ლ ობასა] ან მართ ცელობასა] <sup>9</sup>.

ჩვენი წაკითხვა დიდ წარმატებას ეერ დაიჩემებს (ამ წარჩერის წაკითხვა შეტის წარმატებით მოხერხდება, თუ ის ჩამოტანილი იქნება და კირით დაფარული ასოების ნაწილები გადაიშმინდება. ძეგლი და მისი წარჩერა ისეთი მნიშვნელობისა ვერცხენება, რომ მისი ჩამოტანა საშუალი საქმეა...). მაგრამ ჩვენი „მიღწევა“ ისაა, რომ დავიდასტურეთ: აქ არც „მთავარი ა“ მოხსენებული და არც „მთავრობა“ არც ავაგ და არც ელიქატმონ.

ამის შემდეგ ჩვენ აღარ დაგჭვირდება მსჯელობა პ-ლი ინგოროვას მოსამარებაშე მთავრებისა და თარიღის შესახებ <sup>10</sup>. ასევე უდავოდ დავიდასტურეთ, რომ ბარელიეფზე მოცემულია ოთხი პირი: შოთამ, გამრეყლ, ბეშქენ და ვარაზბაკურ.

<sup>9</sup> სახელი იჩქარ ჩვენ არ შეგვხვედრია, მაგრამ ამ ღრმასც და უფრო ვრანეც გვხვდება სახელი იჩქით (იხ. წუნდის წარჩერა).

გილერე იჩქარი ისსენიგა ХVIII საუკ. დასაწუისის ისამულისანის დავთარში. დღეს ვარა იჩქირიდა გამრელებული ვარია ხარაგორლის ჩათონში, სოფ. ლორეში და სხვაგან. საბას განშეატებით კი იჩქარი — შეისა. ჩედ.

<sup>10</sup> ტუსოველიანა, 332—334.

რაც შეეხება იჩქატ მონა-ს (ინგოროვეა მას „კოთხულობს ქატმონი), ის ამ ბარელიეფზე გამოხატული არ იგულისხმება, ამის თვით წარწერაც კი მოწმობს. ბარელიეფზე გამოხატულია მარტინ და ალექსანდრე ვარი, რომელიც ცოცხალი ნი იგულისხმებიან და რომელთათვის დიდებას გამოსთხოვენ ქრისტეს. იჩქატ მონა კი, უნდა ვითქმის ბოთ, ბარელიეფის შექმნის ინიციატორია. იჩქატ მონა ისაა, ვინც ამ ბარელიეფის ტექნიკური შექმნა „მოიპირვა“ (მდრ. თრიალური ხელის წარწერა) ამ თავისი პატრიონების სადიდებლად. სწორედ ასეთ სიტუაციას მოწმობს სახოვარის ეს განსხვავებაც: „ქრისტე დიდე“ (პატრიონთათვის) და „ქრისტე შეიტყოლე“ (იჩქატ მონისათვის). წარწერის ისე დალაგება, პლ ინგოროვეს რომ აქვს (იხ. ზემოთ), ნებისმიერია და გაუმართლებელი: იჩქატ მონა ამ წარწერაში სხვა როლს ასრულებს, დანარჩენი კიდევ სხვის. 3. ინგოროვეს მიერ ტექსტის ასეთი ნებისმიერი და უმართებულ გადასმა იმ გარემოებამ მოითხოვა, რომ პ-ლმა ავტორმა ბარელიეფზე ოთხი მთავარი იგულისხმა და ტექსტშიც მეოთხე მოაცრად ელიქატ-მონ დაიგულა, რაფი ვაჩაბებეკურ ვერ მოიცნო.

მაშ რაღაა ეს ბარელიეფი? ამ კითხვაზე პასუხი ნააღრევია (ამისათვის საჭიროა უფრო მეტის ამოშიფრება), მაგრამ ერთგვარი მოსაზრების წამოყენების საშუალებას იძლევა რამოდენიმე მომენტი: ბარელიეფზე მოცემულ პირთა ჩაცმულობა ჩვენ ძეველი ტრადიციისად გვეჩენება. ასევე ძეველი ტრადიციისად გვეჩენება სახეების გადმოცემაც გრძელი წევრით. ეს რაღაც შემუშავებული ტრადარეტია. სამაგიეროდ განსაკუთრებით საყურადღებო გვვონია მათი შეხრილი ხელების ასეთი შეხრა შეიძლება იყოს წყალობის ნიშანი („ხელის აპყრობა“), ან კიდევ ფიცის რაიმე აქტის დამოწმების ნიშანი. მაინცადამიანც ის ვეღდების ნიშანი არა გვვონია. ბუნებრივად გვაგონდება XVI საუკუნის ერთი იმერული საბუთი — განჩინების წიგნი, სადაც ორგვარი ფიცია დამოწმებული სასამართლო პრაქტიკში: „ნაბნითა და ხელშეხრითა“. ასე რომ შეიძლება ვიფიქროთ, ამ ბარელიეფზე გამოსახულია ამ ოთხი პირის მოწმობის აქტი, მათ მიერ რაღაცის დამტკიცების აქტი<sup>11</sup>.

<sup>11</sup> შეიძლებოდა გარსულები განვევეგრძო მრთება და მრთლობა თუ მრთლობა ამავე აქტით დაგვეკავშირებია, ზაგრებ წობის დავაცალო, ვარდე ძეველს ჩამოეტანდეთ და მეტს წავიკითხავდეთ.

მოკლედ რომ ვთქვათ, აქ ამ ბარელიეფში მე აკელის უნდა ერთი იურიდიული გამოსახული პირების ცუკრატული ნება<sup>12</sup>.

ეხლა, ვინ არიან ბარელიეფში გამოსახული პირების ცუკრატული რი შეიძლება სწორედ იგივე იყოს, რომელმაც თავნარული მიწა შესწირა აძიების ეკლესიას.

ინგოროვებს აზრით ესენი, შოთას გარდა, ორბელებია. მკვლევარს ამის სახუთს ადლევდა მის მიერ ამოკითხული ელიქატმონ და ავაგ. მავრამ როგორც ვნახეთ, ავაგი ამ ბარელიეფში სულ აზ იყითხება, ხოლო ელიქატმონი (ჩვენი წაკითხვით იჩქატ მონა) ბარელიეფში არა წარმოდგენილი. ბარელიეფში წარმოდგენილი შოთა, გამრეკელ და ვარაზბაკურ ორბელთათვის დამახასიათებელი სახელები მაინცდამინც არაა. ბარელიეფში წარმოდგენილი პირები რომ დიდკაცები არიან, ეს თითქო უცილებელია. ესენი შეიძლება იყვნენ ფეოდალური სახლის შვილები, რომელთა მოწმობა, დამტკიცება აუცილებელი იყო იურიდიული აქტისათვის. უნდა დაუშეათ, რომ მათ ხელი მიუწვდებოდათ იჩქატ მონის ნასაქმევშე. ამავე დროს არაა აუცილებელი, რომ ესენი უსათუოდ აღილობრივი წარმოშობისანი იყვნენ. შეიძლება შოთად და მისი სახლისკაცნი იმ სახლის შვილებია, რომელიც მეცემ შეიწყოლა და ეს ქვეყანა უბოძა...

მაგრამ ისიც შეიძლება, რომ ყველა ესენი ერთი ფეოდალური სახლის შვილები არ არიან. მაშინ ისინი ოფიციალური პირნი არიან, რომელთაც აგრეთვე ხელი მოუწვდებათ იჩქატის ნასაქმევშე და რომელთა დამტკიცება-მოწმობა ხსნებულ იურიდიულ აქტს სიმტკიცეს ანიჭებს. აი ისევე როგორც თრიალურ ხელზეა წარმოდგენილ ვაზირები.

<sup>12</sup> „აკელის“ შესახებ აქტორის მიერ წაკითხული იყო მოხსენება საქართველოს შეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივი შეცნიერებათა განუოფილების XII ნაშენი. სესიაზე, 1943 წ. ის. ოქტომბერი. რედ.

## ქვემო-ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული მიმოხილვა

(შესავალი)\*

(1949 წ.)

საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლისათვეის ის ტორიული გეოგრაფიის აუცილებლობას ჭრი კიდევ ვახუშტი ბატონიშვილი ხედავდა, — XVIII საუკუნის პირველი ნახევრის დადი მეცნიერი. ისტორია ვახუშტით „განიყოფების ოთხ ნაწილად: აღგილის აღწერა და ნათესავთა მეტყველებად, წლის მრიანებებად და მოქმედების აღწერად“<sup>1</sup>.

თუ როგორ ესმოდა ამ მეცნიერს „ადგილის აღწერა“, ეს ჩანს მისივე ნაშრომიდან, სადაც არა მარტო ქვეყნის ფიზიკური თვისებებია აღწერილი, არამედ ამასთან ერთად მოცემულია მისი სამრეწველო-ეკონომიკური დაზისიათება (სად რა მოიპოვება, სად რა მოდის, სად რა მოპყავთ, სად რას აწარმოებენ), აღნიშნულია ღირსშესანიშნავი იტორიული ძეგლები (ზიდი, ქარგისლა, ციხე, სასახლე, ქალაქი, დიდი დაბა, კლესია, მონასტერი, ნაციხეარი, ნაქალაქევი, ქვაბები და სხვ.) და აქვე მოცემულია მათ შესახებ მოკლე ისტორიული ცნობები.

ამრიგად, ვახუშტის „ადგილის აღწერა“ ეს არის გეოგრაფიულ სიცრუეში გაშლილი ცოცხალი ისტორია. ამიტომაცა, რომ ვახუშტის აღწერის გაცნობისას მეტითველს მუდამ თვალშინ უდგას არა გეოგრაფიული სურათი საშოგადოებისაგან მოწყვეტით, არამედ ქვეყნის ფიზიკურ პირობებთან ურთიერთ შემოქმედებაში მყოფი

\* იმეტება პირველად.

<sup>1</sup> კახუ შტი, საქართველოს ისტორია, ვანმარტებული და შეესტულ ასად შექმნილის არქეოლოგიურისა და ისტორიულის ცნობებთ დ. ზ. ბაქ ადას შეერ, ტფილისი, 1885, გვ. 1.

საზოგადოების საქმიანობა? ასე რომ ისტორიის მეცნიერებული კულტურის გახუშტისეული მეთოდი თავის ამ ნაწილში დროის-ტუ შეიძლო — რისად მაღალი — მოწინავე მეთოდი იყო.

სამწუხაროდ, ვახუშტის შემდგომში ქართულში ისტორიულა მეცნიერებამ ვერ შეინარჩუნა დიდი მეცნიერის ეს მეთოდოლოგიური წარმატება (ძმას, რა თქმა უნდა, თავისი შინეზი პერნდა) და ისტორიული გეოგრაფიის საჭიროებას საქართველოს ისტორიის შესწავლისას დიდხანს აღარია გრძნობდა.

მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში იჩენს ახლად თავს ეს დავიწყებული მეთოდი. მარი ბროსეს და მეხუთე არქეოლოგიური ყრილობის გაელენა ამ საქმეში უდაცო ჩანს. მაგბის შედეგი იყო ამ მიმართულებით მუშაობა დ. ბაქრაძის, გ. წერეთლის, ივ. როსტომაშვილის, გ. ყაზბეგის, თ. ურმანიანისი, ე. თაყაიშვილის და სხვების.

თუმცა უნდა ითქვას, რომ „ადგილის აღწერის“ ვახუშტისეულ-მეთოდის სრულ აღდგენამდე ვერ კიდევ შორს იყო. ზემოხსენებული მკვლევარი (და კიდევ უფრო სხვები) თავიანთ ისტორიულ-არქეოლოგიური მუშაობისას მეტ-ნაკლებად ვიწრო — სპეციალური ამოცანებით იფარგლებოდნენ და, თუ ჩვენი ისტორიული წარსულის ესა თუ ის კრძოლული ნაკვალევი (კოქვათ წარწერები ან საუკრონ ნაგებობანი) ზედმიწვევით შეისწავლებოდა (რაც ვახუშტის არც კი წამოუწყია), სამაგიეროდ კოცხალი ურთიერთობა საზოგადოების ისტორიისა და ფინანსურ-გეოგრაფიული გარემოსა, ვახუშტის „ადგილის აღწერაში“ რომ ავრე აშკარად იყრძნობა, ამ ისტორიულ-არქეოლოგიურ ნაშრომებში არსად ჩანდა.

ისტორიული გეოგრაფიის საჭიროებას, საქართველოს ტერიტორიის ისტორიულ-არქეოლოგიურად შესწავლის აუცილებლობას კარგად ხედავდა აკად. ივ. ჯვახიშვილი. „ქართველი ერის ისტორიის“ მეორე წიგნისათვის წამდლეარებული ისტორიული გეოგრაფია თავისი რუკით ამის თვილსაჩინო მაჩვენებელია. კიდევ მეტი, განსვენებულ მეცნიერს განზრახვა პერნდა უნივერსიტეტში ისტორიული გეოგრაფიის კურსი შემოყლო. მაგრამ სეთი რომ იმ დროს ვერ კიდევ ნააღრევი აღმოჩნდა; ამისათვის საჭირო საველე მუშაობა შესრულებული არ იყო (ის არც დაწყებული იყო).

მხოლოდ დღეს გვაქვს სრული შესაძლებლობა ეს საქმე განვახორციელოთ. საამისოდ უშურეელი გვაქვს მატერიალური საშუალებანი და საემალ მოვალეოვება მეცნიერული ძალებიც.

<sup>2</sup> ამ მოსაზრების სისწორის თვალსაჩინო საბუთა ვახუშტის' ქართველიაფა-რული ნაშრომები.

და ჩვენი მოვალეობაა საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიულ  
შესწევლა იმ სიმაღლეზე ვიყვანოთ, როგორიც ჩვენი დროის მეტ  
ნიერულ ისტორიოგრაფიას შეეფერება.

ეს იქნება გალრმავება ქართული მარქსისტულ-ლენინურმა პრიმატის  
რიოგრაფიისა.

საქართველოს ისტორიის წყაროები მეტისმეტად დაზიანებუ-  
ლია. განსაკუთრებით საგრძნობია წერილობითი მასალის განადგუ-  
რებულობა. მაგალითისათვის საქმაოა: XIV საუკუნის ქართულ საკა-  
ნონმდებლო წიგნში — „გარიგება ქელმწიფის კარისა“—ში ვკითხუ-  
ლობთ, რომ საქართველოს სამეფო კარის წერილობით საჭიროებას  
ოცდა ექვსი მწიგნობარი ემახურებოდა ჰყონდიდელ-მწიგნობართ-  
უხუცესის მეთაურობით. მასისათვის თურმე „ხუთი ფურცელი ქა-  
ლალდი ყოველთა დღეთა ჰყონდელია, სამი ფურცელი საწოლის  
მწიგნობარსა, ორი ფურცელი ზარდაბანის მწიგნობარსა და თვთო  
ფურცელი სხვათ მწიგნობართა“ ეძლეოდა<sup>3</sup>. გამოდის, რომ ყო-  
ვე ლთა დღეთა მხოლოდ სამეფო კარშე საშეალოდ 34 ფურცე-  
ლი ქალალდი იწერებოდა. და ასეთი რამ საკარაულებელია, სულ  
მცირე, ორსა-სამისი წლის მანძილზე (XII—XIV სს.). ჩვენს დრომდე  
კი აქედან ნახევარი დღის პროდუქციის თუ მოუღწევია...

უფრო უარესია მდგომარეობა სამეფო კარის გარეთ შესრულე-  
ბული დოკუმენტების შენახულობის მხრით. ხოლო იმის წარმოსად-  
გენად, თუ როგორი ინტენსიური უნდა ყოფილიყო ასეთი დოკუმენ-  
ტების წარმოება, ვთქვათ, XI საუკუნეში, საქმაო ვავისხენოთ ნი-  
კორწმიდის მონასტრის წინამდებრის დაწერილი<sup>4</sup> (მაგრამ, რაც  
უარესია, „ემთა ვითარებას“ გადარჩენილი ეს მცირე ნაშთიც „<sup>5</sup>  
დღემდე მეცნიერულად შესწავლილ-გამოცემული არა).

წერილობითი წყაროების ასეთ მდგომარეობისას განსაკუთრებუ-  
ლი მნიშვნელობა ენიჭება ისტორიის სხვარივ წყაროებს. ხალხური  
ისტორიული ზეპირსიტყვიერება, ყოფაცხოვრებითი თუ სულიერი  
სამყაროს გაღმონაშები, მატერიალური კულტურის წილისეული  
თუ მიწის-ზედა ძეგლები მოწიდებული არიან შეავსონ წერილობი-  
თი წყაროების სიმცირე. მაგრამ ამისგან დამოუკიდებლადაც უნდა  
ხაზგასმით ითქვას, რომ ამა თუ იმ ხალხის მეცნიერული ისტორიის  
დაწერა, ჩვენს ხანას რომ შეეფერება, შეუძლებელია, თუ ეს ქვე-  
ყანა ისტორიულ-გეოგრაფიულად წინასწარ სათანადოდ შესწავლილი

<sup>3</sup> პროგ. კ. თავი 17 გვ. 1, გარიგება ქელმწიფის კარისა, ტფილის, 1920,  
23. 63—66, 370—375.

<sup>4</sup> თ. ფოტ. გ. 6 გვ., ქრისტენი, II, გვ. 43—49.

არ იქნა ახალ ეტაპზე ქართული ისტორიული მეცნიერების ლიტერატურად დამკვიდრება შესაძლებელი იქნება მხოლოდ მაშინ, როცა არა მარტო წერილობითი ძეგლები, არამედ ყოველგვარი წყარის და მიმდინარე საქართველოს ტერიტორია მარქსისტული თვალსაზრისით ისტორიულად შესწავლილი გვიჩნება.

ჩვენ კი დღემდე საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიური ჩუკაც კი, ჩვენი დროის შესაფერისი, არ მოგვეპოვება, ქართულ წარწერათა კორპუსიც კი ვერ გამოგვიცია. საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერაც კი არა გვაქვს, რომ არაფერი ვთქვათ, სახალხო მეურნეობის ისტორიულ შესწავლაზე (იგულისხმება სასოფლო მეურნეობის სხვადასხვა დარგები — მელიორაცია, ხელოსნური წარმოების დარგები, ვაჭრობა, გზები).

შედარებით უკეთესი მდგომარეობაა ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლთა შესწავლის საქმი, თუმცა აქც კი სასურველ მდგომარეობამდე ჭერ კიდევ შორსაა. დღემდე ნაკლებადაა შესწავლილი საერთო ნაგებობანი: სასახლე, ციხე, კოშკი, ბურგი, სახლი, დარბაზი, ქარვასლა, მარანი, ხიდი და სხვ. კალვე აღსანიშნავია საქართველოს წიაღისეულ ძეგლთა აღმოჩენა-შესწავლის საქმის კითხვება.

დღემდე არაფერი ან თითქმის არაფერი ვიცით იმის შესახებ, თუ სად რა უნდა ვეძიოთ, საქართველოს ისტორიის სად რა ძეგლები შეიძლება იყოს დამარხული. საბჭოთა ხელისუფლების პირობებში შექმნილი ეს დარგი ქართული მეცნიერებისა — საქართველოს წიაღისეულის არ ჭერ ლოგია დღემდე თითქმის სულერთიანად შემთხვევით აღმოჩენილ თბიერები ბით საზრდოობს (დაბლა კომი, ვანი, კლდევეთი, ურკე, სამთავრო, თრიალეთი და სხვადასხვა). რა სალიბარაჟოა, რომ ასეთი ვითარება დღეს უკვე შეუწყინარებელია, რომ დროით ვიცნობდეთ საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიის იმდრენად. რომ მეცნიერული გათხოვა შემთხვევათა ანაბარად არ ვიყოთ.

ერთი სიტყვით, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა ქართული ისტორიოგრაფიის განვითარების ამ საფეხურზე სრულიად გადაუდებელი საქმეა.

დღეს ჩვენ, როგორც აღვნიშნე, ყველა შესაძლებლობა გვაქვს ეს დიდი საქმე წარმატებით წამოვიწყოთ და ღირსეულადაც შევასრულოთ.

ყოველივე შემოხსენებულის გათვალისწინებით იყო, რომ საქართველოს მეცნ. აეადემიის აეადემიელს ივანე გავახიშვილის სახელის ისტორიის ინსტიტუტში 1948 წლის სამუშაო გეგმით ისტო-

რიცვლ-არქეოლოგიური ექსპედიცია დასახა ქვემო ქართლში ჩატარდა ექსპედიცია, გასაგებია კომპლექსური უნდა ყოფილიყო. ისტორიულ-სისა და არქეოლოგის გვერდით აქ ივარაუდებოდა ეთნოგრაფიული ფოლკლორისტი, ხელოვნების ისტორიკოს-ხუროთმოძღვავის. გეოლოგი, გეოგრაფი, ტოპოგრაფი. სამწუხაროდ, ნავარაუდევ სპეციალისტებიდან ზოგიერთის წაყვანა არ მოვიხერხდა. ჩვენს ექსპედიციაში შვიდი მეცნიერი მუშავი შედიოდა, მხატვარი და ფოტოგრაფი.

სამეცნიერო მიზნების გვერდით ჩვენი ექსპედიცია პედაგოგიურ მიზანსაც ისახავდა. საველე მუშაობის პრაქტიკის მისაღებად ექსპედიციაში მონაწილეობდნენ აკადემიისა და სახ. უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის ასპიციანტები (10 კაცი).

ექსპედიციის მუშაობა ერთ თვეს გაგრძელდა (25.IX—25.X).

ჩვენი მიზანი მრავალმხრივი იყო. ძევლი გზების მიმართულებათა დაღვენა (ზიდი, ქარეასლა-ფუნდუკი, კლდე-კარი, ქვაგვარა, კიბე თუ ტოპონიმიკური მასალა), ნაქალაქარების, მონასტრების, ნისოფლარების აღრიცხვა, მათი სახელების დაღვენა და, რამდენად შესაძლებელი იქნება, მათი ტოპოგრაფიული აგეგმვა, ნაგებობათა (სასახლის, ციხის, დარბაზის, კოშკის, კელესის, სახლის და სხვ.) ფიქსაცია და დღემდის უცნობ-შეუსწავლელთა განაზომად გათვალისწინება, გამოქვეყნებულ წარწერათა შემოწმება და სხვა წარწერათა მოძიება, წილისეული არქეოლოგიის პუნქტების დასახვა (სამართებები, ყორდანები, გმირთაცვეობი, მიწის ზედაპირზე ამოსული წილისეული მასალა), საშუალსაუკნეების სამართვანთა ისტორიულ-ეთნოგრაფიული შესწავლა (ლოდები და მატურები წარწერებათ... 6 სხვადასხვა საყოფაცხოვრებო სურათებით), ისტორიულ-ეთნოგრაფიული თუ ისტორიულ-ზეპირსიტყვიერი მასალის ჩაწერა. კალკ მაინტერესებდა კელის და მის ნაცვალთა შემცველი ძეგლები (სტელები).

მიღდიოდით ამ პირველს ექსპედიციაში და თვალწინ მეხატებოდა წამოწყებული საქმის წარმატებით დაგვირგვინება, როცა მოედნენ ქვეყანას ასეთი ქესპედიციით მოვიდეს და ხელო გვიჩნება დიდი მეცნიერული მასალა: საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიური რუკები, ნაგებობათა განაზომება, ციხე-ქალაქთა და სოფელთა ტოპოგრაფიული გეგმები, წარწერათა კორპუსი, ექსპედიციის დოკუმები, ეთნოგრაფიულისა და ფოლკლორული მასალის ჩანახატ-ჩანაწერები და... ვინ იცის, კიდევ რამდენი რამ ახალი, ჯერ გაუთვალისწინებელი საკითხი დაგვესახება და მათ შესახებ მასალა დაგვიგროვდება... და როცა ყველაფერი ეს აგრე შესრულებული გვეჩნება,

საქართველოს ისტორიის მეცნიერული შესწავლის საქმე



ნებული ვარ, დიდად წინ წინწევს.

ექსპედიციამ, როგორც აღვნიშნე, მუშაობა ქვემო ქართლის ზე ნაკლები წყო. ამას გვიყარნახებდა ის, რომ ეს ქვეყანა ისტორიული უკავია ზე ნაკლებად არის შესწავლილი, ამავე დროს ამ ქვეყნის მნიშვნელობა საქართველოს ისტორიაში განსაკუთრებით დიდია, ისტორიული ძეგლებიც აქ, გვოგრაფიული თუ ისტორიული სპეციფიკური პირობების გამო, უხვად არის შემონახული და, ბოლოს, უნდა გამოვტყდე, პირადი მეცნიერული ინტერესებიც აქეთ მეწეოდა.

## აფხაზეთში

(გენერალური სელმძღვანელის დღიურიდან) \*

(1951 წ.)

6. X. ძლივს „დავალწიე თავი თბილისს და დღეს აფხაზეთსა მიეცედი ექსპედიციით. ამოცანა განსაკუთრებული გვაქვს გადასა-წყვეტი — დიდი პოლიტიკური მნიშვნელობის ამოცანა. ამას ელიან ჩვენგან, კერძოდ, ამას ელის პარტია. უკეთ: პარტია დახმარებას მოითხოვს ჩვენგან იმ დიდ საქმეში, რომელსაც ის პრაქტიკულად ახორციელებს.

იმ აქაც შევავედ იგრძნობა ჩვენი (ისტორიული მეცნიერების) ჩამორჩენილობა. პარტია, მთავრობა, პრაქტიკული ფრონტის მუშა-კები ჩვენგან მოითხოვენ მეცნიერულ დაბმარებას კონკრეტული სახისას და ჩვენ კი შზად არა ვართ (და შზად არა ვართ იმიტომ, რომ უველა ჩვენ თავის ნებაზე რაც და როგორც გვსურს და გვეხალისება, ისე ვმუშაობთ და არა იმაზე და ისე, როგორც და რაც ამ დიდ პატ-რიოტულ საქმეს — ახალი საბჭოური საქართველოს შენებას სჭირ-დება).

თუმცა გვიან, მაგრამ, ესეც კარგია: დავგეგმეთ და ეს არის წა-მოიწყეთ...

ექსპედიციის შედგენილობას არა უშავს, თუმცა უკეთესიც შეი-ძლებოდა.

ამოცანის სიძნელე არა მარტო იმაშია, რომ წყაროები აფხაზე-თის ისტორიისათვის მეტისმეტად მცირეა და რაც არის ისიც სრუ-ლად შესწავლილი არაა არამედ იმაშიაც, რომ რაც აქამდე გაკეთე-ბულა, სულ ერთიანდ გადასასინჯავია მახვილი კრიტიკული თვა-ლით.

\* ამეცნება პირველად.

თურქელი და ცარისტული აქ დიდიხანია ერთი მეორეს შეკრული  
და ორივემ ერთად თვალურ-კულაკულ რეაქციას „იდეური“ საკულტურო  
ბი მისცა. პანთურქისტი და დერეიმორდა შეუღლდნენ უწყვეტისას  
ცხოვრების წინააღმდეგ დადგნენ. კერძოდ, „მეცნიერებაში“ ეს გა-  
მოვლინდა ისტორიული მომენტის აფხაზებისა და ქართველების  
გათიშვის ცდაში.

დღეს ჩვენ მეცნიერულად უნდა მოვხსნათ რეაქციის ნახელავი.  
კეშმარიტი მეცნიერების შექით უნდა დავფლითოთ ის ცრუმეცნიე-  
რული აბლაბუდა და ნითელი მოვფინოთ აფხაზეთის წარსულს,  
საქართველოს წარსულს.

სადგურზე აფხაზეთის სამეცნიერო ინსტიტუტის ლირეგტორი და  
თანამშრომლები დაგვიხვდნენ. ეს ინსტიტუტიც ჩვენს ექსპედიცია-  
ში მონაშილეობს (არქეოლოგი, ეთნოგრაფი). სუსტია ჯერჯერიბით  
ეს ინსტიტუტი, თორემ ამაზე უკეთესი ამოცანა, ჩვენ რომ აფხაზე-  
თისათვის დავგვეგმეთ, მათ რა შეიძლება ჰქონდეთ?

ქალაქი განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას სტოკებს. სწორად  
შენდება და სულ უფრო და უფრო კოპწიავდება ისედაც ლამაზი  
მდებარეობის სოხუმი. ყველგან და ყველაფერში მშენებლის მტკი-  
ცე და მზრუნველი ხელი ჩანს. საოცარია, თუმცა ჩემთვის, ისტორი-  
კოსისათვის, ეს საოცარი არ უნდა იყოს: რამდენი მშენებელი  
ჩანს დღეს სარბიელზე! ქართველებსაც, ჩანს, შეგვიძლია გაშენოთ.  
და განა საეჭვო უნდა ყოფილიყო ეს? ბაგრატ III, დავით კურამა-  
ლატი, ლიპარიტ ბალვაში, ბაგრატ IV, დავით აღმაშენებელი, თამარი  
და რამდენი სხვა დიდი მშენებელი ჩანს იმ აღმავლობის ხანაში!  
და შენდებოდა ქვეყანა მატერიალურად, იდეურ-პოლიტიკურად.  
არც შემდევ ხანაში გადალეულან საქართველოში შენების მოვა-  
წენი („მეორედ მშენებელნი“). მაგრამ გვიან-ფეოდალური დაჩი-  
ხულობის ხანა მშენებლობისათვის გასაქაში არ იძლეოდა. ბოლო-  
მოუღებელი მონლოლ-თათრობა, ყიზილბაშობა ისმალობა (ლეკია-  
ნობით) რომელი მშენებლობის ხელისშემწყობნი შეიძლებოდა ყო-  
ფილიყვნენ? განვითარებაში შეფერხებულ-ჩამორჩენილი დაჩიხული  
ფეოდალური ქვეყანა, ბურუუაზიული მსოფლიოს გარემოცვაში მოყ-  
ვა და გასაგებია, თუ მშენებლობისათვის (ბურუუაზიული მშენებლო-  
ბისათვის) მოუმზადებელი აღმოჩნდა. პოლიტიკურად უფლებააყრი-  
ლი დაგვიანებული ქართველი ახალი მშენებლობისათვის უუნარო  
უნიჭოს ეითარებაში აღმოჩნდა. მაგრამ საფრთხის წინაშე დამდგრამა

ქართველმა ხალხმა თავის გადარჩენის უდიდესი ნიჭი გამოიჩინა: მან თავისი ხსნა რევოლუციაში დაიღულა: „ეკუთხა“ რევოლუციონერები სინონიმი შეიქმნა. რევოლუციაშ გამიმარტვა და ქართველთა მარტობრძოება ხალ ხ მა. რევოლუციას და მის შემდგომ ხანას უდიდესი მშენებელი მის ცა....

შენდება ახალი აფხაზეთი და გულწრფელად მცხვენია, რომ ჩვენ ისტორიულ მხოლოდ ახლა ვიწყებთ მის მეცნიერულ შესწავლას.

ჩვენი მასპინძლებმა ქალაქი დაგვატარეს. ლაფიანი ბაზარი სამოთხე-ბაღად უძეცებათ, დალარული ქუჩები ასფალტით მოუფენიათ, ქალაქში ქოშმახები გაუწყვეტიათ და შესანიშნავი სასახლეები, ხიდები, ლობე-გაღავნები აუგიათ. ქალაქში მაყად გამომდვარან პოლიტიკური ბელადების გვერდით ბარათაშვილისა და რუსთაველის სახელები... (არც პ. ჭარია, თ. სახოვია, ნ. ჯანაშია, ა. ჭულელი არიან დასაციფრითი ახალი აფხაზეთსათვის). მთელ ამ წარმტაც შენებლობას ავტორგვინებს „სოხუმის მთა“, ამ ერთი წლის წინ ჯავნარით შემოსილი „гора Чернавского“, შესანიშნავი ნახელავი შემოქმედი ხელმძღვანელობისა. მოკლედ, შენდება სოხუმი, შენდება ახალი აფხაზეთი, შენდება საქართველო და ჩვენ, ისტორიულები, რალის მაქნისები ვართ, თუ ამ შენებლობაში უაზლოეს მონაწილეობას არ მივიღებთ?

თბილისიდან ასეთი ექსპედიცია აფხაზეთს არასოდეს სწვევია. და არც იყო საამისო პირობები. ქართული მეცნიერება დევნილი იყო. დევნილი იყო საქართველის ისტორია, სიტყვა „საქართველო“, როგორც პოლიტიკური ცნება, აქრძალული იყო. ცარიშმა მის მიერვე შემოლებული „გრუზიაც“ კი ვერ მოითმინა და უკუაგდო... „შავი ზღვის“, „მტკვრის“, „რიონის“, „არენის“ და „კასპის ზღვის“ მხარეები და ბოლოს კველა მათი შემცველელი ტერმინი „Южная Россия“ — ასეთი პროექტები ცოცხლობდნენ და სადღა იყო აღვილი „საქართველოსათვის“. „აჩიქბაში“ „იმერეტიამ“ შეცვალა, „გურჯისტანი“ — „გრუზიამ“, „გრუზია“ — „გრუზინსკაია გუბერნიამ“. „გრუზინსკაია გუბერნია“, „ტიფლისკაია და კუტაისკაია“ გუბერნიებმა, ხოლო ამ უკანასკნელთა შეცვლას „იუგადა როსია“-თი პირებდნენ...

ჩვენი მიზანი დიდია და ძნელი. უნდა ავამეტყველოთ (ნამდეილ მეცნიერულად) ძეგლები, აქმდე რომ, ავრე მიტოვებული ჩვენ მიერ, რაგონდა რას „მოწმობდნენ“ ცრუმეცნიერთა ხელში...

ძეგლების სიმცირე განსაკუთრებით საგრძნობია გვიანდებულები ხანიდან... საქართველოს საერთო უბედურება იმ ხანისა აქაც

ჩანს. მაგრამ აქ უფრო, ვიდრე დანარჩენ საქართველოში: რასმაც ბატონობა, მათი გავლენა აქ უფრო ძლიერი იყო, ვიდრე სხვაგან დასავლეთ საქართველოში ან უკეთ—ისეთივე, როგორც მეტად მეტად არისა, აქარასა და სამცხეში... და შედეგიც იგივე: არც ერთი წერილობითი ძეგლი, არც ერთი არქიტექტურული ძეგლი. თუ თამაღლეთზე რამეს იტყვიან, ესაა ტყვის სკიდვა ნაესადგურებში, ხანა, როცა ზღვის სანაპირო მეკობრებისა და ტყვებით მოვაჭრების ბუნავებად წარმოუდგენია გაუბედურებულ მოსახლეობას— მათმი, ქობულეთი, ფოთი, ანაკლია, ტიბუნი, სოხუმი ბიჭვინტა...).

შედარებით უხვადაა ჩევნის დრომდის მოღწეული ძეგლი და შეუხანის ძეგლები — აშენარ ა მოწმობა ცხოველი შეენებლობისა და ცხოველი კედლები, ციხე-გალავნები, სასახლეები, ტაძრები, ნიდები... ას ძეგლები უნდა ავამეტყველოთ, უნდა ვათქმევინოთ, თუ როდის და როგორ შენდებოდა ეს ქვეყანა, ან კიდევ, როდის არ შენდებოდა ის.

გავრის რაიონშის მდინარი გვეუბნება (და სხვა პრაქტიკული მუშავებიც), რომ აქ აურაცხელი ხალხი მოდის, კითხულობენ ამ ძეგლების შესახებ, ცნობას ითხოვენ მხარის შესახებ. ბევრი არაფერი გვაქვს, რომ მიერწოდოთ და რასაც ვიწვდით, არც ის ვიცით, თუ რაღორსების ცნობებიათ. ჩევნი ჩამორჩენილობაა, რომ დღემდე ამ პრაქტიკული მნიშვნელობის მოცუნას „მაღლიდან“ უყურებთ. აქოდა ეს რა მეცნიერების საქმეაო... ძეგლი ბურჟუაზიული მეცნიერების გადმონაშთია ასეთი შეხედულება. პრაქტიკულ მუშაյთა მიერწამოყენებული მოთხოვნილება პირველხარისხოვანი მნიშვნელობის ამოცანაა. მეცნიერებული ცოდნის სახალხოდ გადაქცევის გზაა და კომუნისტური მეცნიერების მსახურების გარენისათვეის უსაზღვრო სარბიელი იშლება და ჩევნ უნდა მიერწოდოთ ასეთი ცოდნა პრაქტიკულ მუშაებს. რათა ის გავრცელდეს უფართხეს მასებში ჩევნი კავშირისა. ესევე მოცუნა გვავალებს მეტად მეცნიერებული ცოდნის მოპოვება-მიწოდებას. უნდა გვახსოვდეს, რომ მიუდგეთ ჩევნი ივისმდომელნი პროგრესის და ახალი საქართველოს კეშმარიტ მეცნიერებული ცოდნის არაკეთილმოსურნენი გერ კიდევ არ გადალებულია. ასეთ პირობებში მცირე შეცდომაც კი შესაძლებელია მძიმე შედეგებისა აღმოჩნდეს.

დღეს სოხუმში ვრჩებით, პარტიული ხელმძღვანელობა უნდა ვნახოთ, ჩევნი მუშაობის შესახებ უნდა მოვესახუბრო. მანქანებით ქალაქი დავიარეთ. სიამიყის ვრძნობით გვაჩვენებენ ახალი ქალაქის შენებას და სამაყოც აქვთ. სიძველეთაგან კელასური ვნახეთ. ამ იშვიათ

ძეგლს ჩვენ მომავალ წელს შევისწავლით აღმართ. მაშინვე „შევადა  
დებით გავარევიოთ ვინ, როდის, როგორ და რაისთვის შეასრულოს ვა  
ვრანდიოზული ნაგებობა, რას მოწმობს ის ამ მხარის ისტორიული განვითარებაში. არა მგონია, რომ ეს ამოცანა ისეთი დაუძლებელი  
იყოს, როგორც დღემდე მოჩანს, როცა ეცნობი სათანადო ლიტე-  
რატურას. აზრთა დიდი სხვადასხვაობა მოვლენის გულდასმით შეუ-  
სწავლელობას უფრო უნდა ეყარებოდეს, ვიდრე საკითხის სიძნე-  
ლეს. შედარებითი, ისტორიული შესწავლით, ცნობათა კრიტიკული  
ანალიზით შეიძლება მეცნიერულად დამაჯერებელი სიტყვა ითქვას  
ამ ნაგებობის შესახებაც...

ბასლათის ხიდის სანახავად წავედით. აქაურ ძეველ „მეცნიერთა“  
დამახასიათებელია რომ ამ იმპიათ ნიმუშს ქართული შენებლობი-  
სას „ევნეციურ ხიდს“ უწოდებდნენ. 1936 წელს ხიდზე ქართული  
წარწერის აღმოჩენამ დაამსხვრია ვენეციელთ მოყვაჩულთა და  
საქართველოს მოძულეთა ეს „მეცნიერება“. წარწერის ნაშთი მოწ-  
მობს, რომ ხიდი იგებულია საქართველოს სამეცნოს ძლიერების ხა-  
ნში, საფიქრებელია, აღგილობრივი აღმინისტრაციული შმართვე-  
ლის მიერ. ასოების სიდიდე და მათი იშვიათი ხელოვნებით შესრუ-  
ლებულობა მოწმობს, რომ ამომცრელი ამ წარწერის შორიდან წა-  
კითხვას გარაუდობდა — ე. ი. ჩრდილოეთის მისასვლელიდან, საი-  
დანაც გზა შემოღიოდა ამ ხიდზე... ამ გზის ძეველ მიმართულებას  
მიუთითებს იგრძოვე, აქვე ახლო ხიდთან, მდინარის მარცხენა მხარე-  
ზე ნანგრევი (იმავე ხანის) სასახლის და ეკლესიისა... ხიდები საქარ-  
თველოში მრავლად არის გადარჩენილი. სხვადასხვა სახისანია ეს  
ხიდები: კიწრო და ფართე, ცალთალიანი და მრავალთალიანი, აღრინ-  
დელი და გვიანი. სამწუხაროდ, დღემდეც კი ეს ძეგლები სრულიად  
შეუსწავლელია. ამავე დროს მათი შედარებითი, ისტორიულარქეო-  
ლოგიური შესწავლა მნიშვნელოვან შექმნა შეიტანდა ჩვენი წარსუ-  
ლის ცოდნაში... ეს ხიდიც (და სხვა აქაური სიძეველენიც) ჩვენ უნდა  
მომავალ წელს შევისწავლოთ.

„სოხუმის გორაზე“ გავვიმსპინძლდნენ. შოთა ჭანაშია აფხა-  
ზურად თამადობდა: „წვეთიც აჩავის შეარჩინა“.

საოლქო კომიტეტში ვიყავით. ჩვენი განხრახვა-შეხედულებანი  
მდივანს მოვახსენეთ. ჩვენი სურვილი მხოლოდ ის არის. რომ, რაც  
კი შეგვიძლია, მხარში ამოუღევთ მას ამ ქვეყნის შენებლობის სა-  
ქმეში. ეკალნარი და მყრალი სარეველა ჩვენც ბევრი გვაქვს საგლეგი  
იმისათვის, რომ უდაბური „ჩერნიაცესის მთა“ წარმტაც „სოხუმის  
მთად“ ვაქციოთ (ბაშეიროვ-სტრაჟევები, გრენები და მათი თანა-  
მოსანგრენი ჩვენც მრავლად გვყავს მოსათხრელი).

7. X. დღეს გაგრაში მივდივართ. ჩეენი მუშაობა, გადაწყვეტილება და იქიდან დავიწყოთ. ვიდრე წავიდოდეთ სოხუმის ციხე-გალავნები ნანგრევები ვინახულეთ. ლრმა შთაბეჭდილებას სტრეგბს უკავშირება გალავანი, მისი გარევაული ნაწილი უძველესი მოჩანს (შესასწავლია უძველესი დროისავეა ეს მოცულობა თუ უფრო გვიანი დროისაა ის) — რომაულ-ბიზანტიური ხანისა. ქელაიშეგიც აქ მარხია, ეს ციხე-გალავანი, რა თქმა უნდა, ღირსია მონოგრაფიული შესწავლის. შეიძლება ბევრი რამ ცხადი გახდეს, ბევრი რამ სთქვას აფხაზეთის ისტორიის ამ უტყუარმა მოწმემ (ციხე-გალავნები ჩეენში იურაცხელია ძველიცა და ნაგვიანევიც; ესაა ოლონდ ,რომ ისინი სულ შეუსწავლელია. ძველად, ჩანს, აგებდნენ ციხე-გალავნებს, შემდეგ ეს არ-ჰიტექტურული ნაგებობა სახეს იცვლის და შეა საუკუნეების ფეოდალური ციხეები უფრო მცირე და მიუვალ მთის წევერებშე წამოზრდილი ბუდეებია... კიდევ უფრო გვიან ხელახლა ჩნდება გალავნები — თავდაცვის ნაგებობანი. უკველა ესენი უთუოდ განსხვავდებიან ურთიერთისაგან თავიანთი დანიშნულებით... პეტრას შესახებ ცნობა შეიძლება მრავალმეტჯელი იყოს ამ უკველესი ციხე-ქალაქების გასაგებად: ფაქტორიუმი, ჯარის სადგომი. უცხოელთა ქალაქი უკვე ქვეყანაში, პოლიტიკური ბატონობის დასაყრდენი, თავდასაცავი... შემდეგ ერისთავის სამმართველო პუნქტი და ადგილობრივ მოსახლეობაზე ბატონობის იარაღი ციხე-ციხისთავები, შემდეგ ფეოდალური გვარის ატრიბუტი... შემდეგ სოფლის თუ ქალაქის გალავნები).

ფრიად საინტერესოა ბაგრატი ციხე — ბასლათისშეყალის მარცხნა მხარეზე სოხუმის ციხიდან სულ რალაც სძიოდე კილომეტრში. ეს ციხე ჩეენ ამ დაგვითვალიერებია (მომავალ წელს მოვიხილავ), მაგრამ ეხლავე კითხვას სვამის: რა დამოკიდებულებაშია ეს „ბაგრატის ციხე“ სოხუმის ციხესთან? სახელი მოწმობს თოთქო, რომ ის აგებულია X—XI საუკუნეში ან ბაგრატ III ან ბაგრატ IV მიერ (ბაგრატ აფხაზთა მეფე IX საუკუნისა აფხაზეთის ეკლესიის ბერძენთავან განმათავისუფლებელი?). ეს უფრო მისაღები ვარაუდი ჩანს, თუ ციხის ნაგებობა ამის საშუალებას მოგვცემდა....). რად იყო საჭირო აქ ეს სამეფო ციხე, როცა სოხუმის ციხე აქვთ იყო? შეიძლება სოხუმის ციხე-გალავანი ამ დროისათვის უკვე მოშლილი იყო, ხოლო ფეოდალური ხანის მფლობელს ზღვისპირის ციხე-გალავანი არც ავრე სჭიროდა, რომ ის აღდგანა: ეპოქას მთაზე — ციხე უფრო შეეფერებოდა. სოხუმის ციხე

რომ დიდ პატივში არ ყოფილა ფეოდალურ ხანაში  როგორც სხვა საზღვრისპირო ციხე-ქალაქები იმათ გარდა, რომელთან ერთად ქვეყნის შიგნით შემოსასვლელ გზის კეტავდნენ: გაგრა, გრიგორიანია (პეტრი), ეს იქიდანაც ჩანს, რომ გვიანდეოდალურ ხანაში ეს ციხე გაუქმდებული ყოფილა და ოშაბალებს განუახლებით, რათა აფხაზეთში თავისი პოლიტიკური ბატონობა განეხორციელებინათ. საფიქრებელია, რომ ასეთივე პოლიტიკური ფუნქცია ახლდა ამ ციხე-გალავანს ძეველ დროსაც და ჩვენ მისი პირდაპირი მოწმობაც მოვცეპოვება: არიანეს მოხსენება სოხუმში რომაული გარნიზონის დგომის შესახებ... ისე რომ ამ ზღვასიქითო მებატონეთაგან განთავისუფლება თვით ამ ციხე-გალავანის შემდგომი საჭიროების საკითხს, საფიქრებელია, უკავშირდებოდა. ასევე, როგორც სოხუმის ციხე, ფეოდალურ ხანაში (ზღვასიქითელთაგან ქვეყნის დამოუკიდებლობის ხანაში) მოიშალა არა ერთი ასეთი პუნქტი (თუ საბოლოოდ არ გაქრა): ქვეყნის ცხოვრებაში მათი მნიშვნელობა მეტად დამკირდა, მაგალითად ფოთი, ბათოში, გუდავა, ურეკი, პეტრი, ყულივა, დიოსკურია, ანკულია, ფსირცხა, გუდაუთა, ბიჭვინტა და მრავალი სხვა. მარტო ის რად ღირს ამის საილუსტრაციოდ, რომ ზოგი მითგანის აღვილ-მდებარეობაც კი—ძეველ წყაროებში მოხსენებულთა — დღეს სადაო შექმნილია, ხოლო ზოგი მნიშვნელოვანი ნანგრევები უსახელოა დღეს (ცანდრიპშ, კორობიოვის დაზა, ლაზარევსკოვ და სხვ.). აქეოლოგია, უკველია, გამოაკვლევს და დაადგენს ამ საზღვისპირო პუნქტებს ზღვასიქითელებთან სავაჭრო და პოლიტიკური ურთიერთობისას, ჩვენი ქვეყნის წინა ფეოდალურ ხანაში შედარებით ფეოდალურის უპირატესობა სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით აქიდანაც კარგად ჩანს: ის თავს აღწევს პასიურ-მიმწოდებლის მდგომარეობას, და ზღვასიქითელთა პოლიტიკური ბატონობასაც. ქვეყნის სამეურნეო-ეკონომიკური ცხოვრების ცენტრი ქვეყნის შიგნით გადმოდის, შრომის განაწილების შემდგომი გაღრმავების ნიადაგზე ნაწარმის გაცვლა-გამოცვლა მხარეებს (და სოფლებს) შორის ცხოველდება, ამ ნიადაგზე წარმოიშვებიან ქველა ქვები ქვეყნის შიგნით. ამავე დროს ქვეყანა პოლიტიკურად თავისუფლდება ამ ზღვასიქითელთაგან. ასე რომ ამ საზღვისპირო ციხე-ქალაქების მოშლა ნიშანია არა ქვეყნის დაცემის. არამედ მისი ეკონომიკური და პოლიტიკური შემდგომი დაწინაურებისა. ეს ასევე, მაგრამ დასავლეთ საქართველოს ცხოვრებაში ისტორია, სამწუხა-როდ, თითქმის განმეორდა და განმეორდა უარეს პირობებში. ტუკის-

მყიდველები იმ ძეელ ხანაშიაც იყვნენ „მეფენი“ და მეურისმეტე/ თეშები თუ ტომებიც ეწეოდნენ ასეთ „მეურნეობას“ და მონაზოგება/ ადამიანებს ამ ზღვისპირა პუნქტებში სცვლილნენ უცხოური/ ნელზე. მაგრამ ზღვის იქით იმ დროს კულტურულად დაწინაურე/ ბული სახერძნეთ-რომი იყო, რომელსაც სავაჭრო საქონლის გვერ/ დით ჩვენში კულტურული ცოდნაც შემოქმნდა. სხვა მატერიალური/ ხასიათის მოწმობათა გვერდით ჩვენ პირდაპირი ჩვენებანიც მოგვე/ პოვება სახერძნეთ-რომის კულტურული გავლენის შესახებ დასავ/ ლეთ საქართველოს ტომებზე... შემდეგ, როგორც აღნიშნეთ, ჩვენი/ ქვეყანა დაწინაურდა, ახალ სოციალ-ეკონომიკურ ფორმაციაში (—ფე/ რდალური ურთიერთობა) საზღვისპირო ვაჭრობის შეიშვნელობა/ დაცუა და ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების მაჯისცემა უპირატესად/ ქვეყნის შიგნით მოთავსდა. ქვეყანა პოლიტიკურადაც განთავისუფლ/ და და საკუთარი დამოუკიდებელი ნაბეჭით წინ წავიდა. მაგრამ დად/ გა გვიანულეოდალური ხანა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარე/ ბის დაჩიხელობის ხანა (როგორ, რატომ და რა ნიადაგზე მოხდა/ ეს, აქ ამის შესახებ საუბარი შორს წაგვიყვანდა). ოსმალეთის სა/ ხელმწიფო ამ პიროტების ერთ-ერთი სათავე იყო (მან გამოხ/ რა არაერთი ფეოდალური ქვეყანა: ბიზანტია, ბულგარეთი, რუმინე/ თი, სერბია, უნგრეთი...). ზღვისიქითოელი ეს ბიზანტიის „მემკვიდ/ რე“ ოსმალეთი ასეთი „მემკვიდრე“ იყო მხოლოდ გეოგრაფიული/ თვალსაზრისით, რაც შეეხება მის კულტურულ მემკვიდრეობას ოს/ მალეთი ამას არც კი იჩემებდა: ბარბაროსული ფეოდალიზმის საფუ/ ხურზე მდგომს მას, რა თქმა უნდა, არ შეეძლო უარყოფითი გაელე/ ნა არ ჰქონდა მაღალფეოდალური განვითარების საფეხურზე მყოფ/ იმ ქვეყნებზე, რომელიც ისმალთა სახელმწიფოს საზღვრებში მო/ ყვნენ (უშუალოდ და შუალობით). საზღვისპირო ძველი ქალაქები/ აღდგა როგორც ციხე-სიმაგრეები, ოსმალთა ბატონობის დასაყრდე/ ნი: ბათომი, ფოთი, ანალია, სოხუმი, გოლოვინჯა (რა ერქვა?), სუ/ კუე და სხვ. მაგრამ ამ „ქალაქებიდან“ ეხლა კულტურის ხასახიც/ კი არ ვრცელდებოდა, მონობოლიური საქონელი, თურქი ვაჭრები/ რომ ვაჭრობდნენ და ქართველი ტყვეები (და ბზა) უმთავრესად... და ქვეყანა კატასტროფიულად უკან წავიდა, მოსახლეობა განახევრ/ და (საუკეთესო ნაწილი გაიყიდა), ველური მორილი გაბატონდა, ქვეყანა გავერანდა... გლეხმა მიწის მუშაობას თავი დაანება და მე/ კობრეობას ხელი მოეიდა, შეენებლობას თავი დაანება და ფაცხას/ (მოლობილი) მოიჩინა, სამშობლოს გაეცალა და სხვა ქვეყანას გადავიდა. თარეში მეფე-მთევრების, თავადების, ტყვეისშეყიდველი/ ბაზების — ეს აცოცხლებდა ისგაურს (დიოსკურიას?), ფოთს, ანაკ-

ლიას, სოხუმის, ქობულეთს, ბათომის. ეს ადგილები იყო განვითარების ხალხის შეკვეთის-შეჩერების ადგილები, უსამართლობის და ურცვოს ადგილები...

მაგრამ ჩვენ „მცირედ გარდამაბიჯებელთა პირველსაც უკიდურესად მოვიდეთ“ (ამ შემთხვევაში ესც კმარა).

სოხუმის ციხის დაცემა, მისი მნიშვნელობის დამცირება ფეოდალური ურთიერთობის გაძლიერების ხანაში გასავაბია (წორმალურ პირობებში სოხუმი ბურჯუაზიული ურთიერთობის შემოსელის დროს უნდა „განახლებულიყო“ ეკონომიკურად. სულ ერთია, სოხუმი თუ მის ახლოს სხვა ადგილი შევი ზღვის სანაპიროზე...). გასავაბია ამდენადე აქცი ფეოდალური ბატონობის პოლიტიკური საყრდენის წარმოშობა. ცხუმის ერისთავი უეპეველია იქდა არა სოხუმის ძევლი ციხე-გალავანში, ორამედ ამ „ბაგრატის ციხეში“, მისი პოლიტიკური დასაყრდენი მაინცდამაინც ეს ციხე იყო და არა სოხუმის ციხე-გალავანი. ასეთ კონტექსტში ისმის საკითხი: თუ „ცხევის ერისთავის“ სადგომი (საყრდენი) ეს „ბაგრატის ციხე“ იყო, ხომ არ ერქვა ცხემი თვით ამ „ბაგრატის ციხეს“? ამას უნდა მოწმობდეს ალექსანდრე მეფის რუკა (XVIII საუკუნის 30-იანი წლებისა), სადაც სოხუმის ციხე და ნაერთსადგური ცალკეა აღნიშნული, ხოლო მას ახლოს სწორედ იქ, სადაც ბაგრატის ციხეა საგულვებელი, აღნიშნულია (დაბატულია) ციხე სახელით „ცხუმის ციხე“. რუკის გამკეთებლის შეცდომა აქ მოსალოდნელი არაა. იმერეთის მეფის კარზე კარგად იკოდნენ, უეპეველია, თუ სად იყო „სოხუმი“ და სად „ცხუმი“. სოხუმის შესახებ იქვე აწერია, რომ ის ავტობულია (განახლებულია) ასმალთა შიერ XVIII ს-ში და რომ იქ ფაშა ზის, ხოლო ციხეს ასი შეციხოვნე იცავს. ცხუმის ციხე კი ცალკეა აღნიშნული და იქ არც ასმალო გარნიზონი იგულისხმება, თუმცა რუკის შემდგენელს ეს ცხუმის ციხე ცოცხალ ციხედ (და არა ნანგრევად) აქვს აქ წარმოდვენილი. ჩანს, ეს ცხუმის ციხე ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო. უნდა ვითქინოთ, რომ აფხაზთა მთავრის სახლის ერთი შტო, რომელიც აბეჭას ფლობდა, ციხეში მჯდა გვიანდეოდალურ ხანაში (სოხუმის ძევლი ციხე-გალავანი იმ დროს გაუქმდებული უნდა ყოფილიყო). ეს რუკა იქამდე კარგად იკნობს ამ მხარეს, რომ აქ ბასლათხე ზიდიც კი არ არის დავიწყებული...

ამ „ბაგრატის ციხის“ თავგადასავალი, ამრიგად, ასე უნდა წარმოედგინოთ: უძეველეს დროს იყო ციხე-გალავანი ცხუმი, აფხაზეთში (უფრო სწორად—აფშილეთში) ფეოდალური ურთიერთობის განვითარებამ ამ ძევლი ციხე-გალავნის მნიშვნელობა დასცა. აქევ ახ-

ლოს ფეხულ იქნა ფეოდალური ხანის შესაცერისი კახე-სომხეთი („ბაგრატის ციხე”), რომელსაც ცხუმის კინ ეწოდა, რამდენადც ეს ახალი ციხე ძველ ციხე-გალავანს შეენაცელა, როგორც მიღლიარებული რო ბატონობის ადგილი (ასეთი ვარაუდისას უნდა ვიტოქტონო, ჩასტე „ბაგრატის ციხის“ ავებამდე ძველი ციხე-გალავანი ცოცხლობდა). აქ ცხუმის ციხეში იჯდა ცხუმის ერისთავი და შემდეგ აფხაზეთის მთავრის სახლის კაცი, მაშინ, როცა თვით აფხაზეთის მთავარი ლიხნისა (ზუტუს) და ანაკონდის იყო. XVIII საუკუნიდან ვითარება შეიცვალა. ცხუმის ძველი ციხე-გალავანი ისმალებმა გაამაგრეს. აქ გარნიზონი ჩააყენეს და აფხაზეთის გამამადიანებული მთავარი (ცელაიშებეგის მამა) ფაშად დასვეს. მირიგად, თურქული „სუხუმი“ ცხუმის ციხეს დაუპირისპირდა. ასე რომ აფხაზეთის პოლიტიკური ცენტრი ეხლა აქ „სოხუმში“ გადმოვიდა. მიერიდან თანდათან „ბაგრატის ციხე“ — „ცხუმის ციხე“ დაუცა მნიშვნელობით... ამას კარიზმის მოსვლა მოყვა და სოხუმის კიდვე უფრო ზრდა. ბაგრატის ფეოდალური ციხე სულ მოიშალა (და ბურუჟაზიული სოხუმი იშვა).

უფრო ზედმიწევნით საუბარი შეიძლება მაშინ, როცა ამ ციხეს შევისწავლით აფხაზეთის ისტორიულ-არქეოლოგიურ სერთო შესწავლისთან ერთად...

აქვე კითხვის სახით: რატომ ას ჩანს სოხუმის ძველ ციხე-გალავანში ძველი ცელესის ნანგრევები, ან იყო და გაქრა?

კ. ბერულავა შეიძლება მართალი იყოს და აბეაურა მართლა მე-ფეთა სადგომი იყო. შეიძლება ეს ხიდი ასეთი საგანგებო წარწერით ამის მოწმობაც იყოს (ცელესია, სასახლე, აბანო, ხიდი, და აქვე ახლოს ცხუმის ციხე).

გაგრისაკენ წავედით, სამწუხაროდ, იღრუბლება. ვულმა ას მოითხინა, მინდა ერთი თვალის მოვლებით ლიხნიც ენახო.

აუარეთ აფხაზეთის „ციხეთა თავაძეს“ ანაკონდის — საკუთრივ აფხაზეთის ამ საზღვარს. ყველა ნიშნებით აქ იყო საზღვარი, როგორც პროკოპი კვარიელი, ისე ძველი ქართული წყაროები თანაბარი სიცხადით და ნიშანდობლივობით უჩვენებენ. რომ ფსირცხა (რა ერქვა აფხაზურად ანაკონდის?) იყო აფხაზეთის აღმოსავლეთი საზღვარი (კ. ბერულავას დაკვირვება ამ მხრიց სწორია). ამ ციხეს (თუ კომპლექსს) ჩვენ შემდეგ შევისწავლით.

ეხლა ანაკონდის ტერიტორიაზე შევენიერი ახალი ათონია — თვალის წარმტაცი სილამაზის კურორტი. აქვე მოხანს ჩვენი (საქართველოს) გაქრობის მიზნით ანაგები მონასტერი, XIX საუკუნის მიწურულს რომ ცარიზმის ჭამბერში მყოფმა ბერებმა დაარსეს. ფართე მოედანი უკირავს ზეთის ხილის პლანტაციას (ამ მონასტრის ნასაქ-

მევს), შესანიშნავია კვიპაროსთა ხეივანი (მათივე ნასაქმევი), მაგრამ გდაგს კაცს ყველაფერი ეს, რადგან იყი, რომ აქ ის სულა ტრადიცია, რომელიც საქართველოს გაქრობას მიზნად ისახავს. მაგრამ აცნობდა, რომ აქედან სოხუმამდე ბოძებზე ერთ დღეს ჩამოსწორდა „ქართველთა“ (—რევოლუციონერთა) გვამები ჩამწყრივდებოდა (ასეთი იყო ცარიზმის ქრისტიანული სათნობის მოღვაწეთა ნატერა).

ლიხნი საქუთრივ აფხაზეთის შუა გულშია.

ერთ-ერთ წარწერაში ლევან დადიანი, მახსოვეს, წერს, რომ მან ზუდუ აიღო და ზუდუარნი გააქცივა. აქ, საფიქრებელია, ზუდუ ქვეყნის სახელია და არა მარტო ლიხნის (ლუზუნის?). ლიხნი არა ჩანს, რომ საგანგებოდ გამაგრებული ყოფილიყო ოდესშე. საამისო იქ არც ნიშანი რამე მოიპოვება, არც ადგილმდებარეობა არის საამისო. ლიხნი გაშლილ ვაკიობზეა მოთავსებული, XIX საუკუნის ფეოდალის კარიბიდამი გვევნება, ნაგებობათა ნანგრევების სიციდე რომ ხელს არ გიშლიდეს. აქ გადაიჩენილია სასახლის უზარმაზარი ნანგრევები და დღემდე საქმიან კარგად დაცული ვაკლესია. მა ძეგლების დათარილება ბევრ რასმე გვეტყოდა. ჯერ კი უნდა დაუცადოთ (გავიგე ლ. რჩეულიშვილი მუშაობს ამ საკითხზე). აქედანვე შეიძლება ითვესას, რომ ორივე ძეგლი ძეგლია, აფხაზეთის კულტურულ-პოლიტიკური ღომავლობის ხანაში აგებული. XIX საუკუნეში სასახლე მხოლოდ შეკეთებული ჩანს. უკეცელობით ის ითვესას, რომ ეს სასახლე ისეთ დროს არის აგებული, რომ გარედან შემოსევის არავის ეშინია და ქვეყანაც მდიდარია და წელმაგარი, ხოლო ხალხი კულტურული (რა თქმა უნდა ფეოდალური თვალსაზრისით). ნაკარმაგერვით „სახლი სათამაშო“ და გეგუთივით „სახლი სათამაშო“ ჩანს ეს სასახლე ამ ვაკიზე ან სახლი სალხინო, მაგრამ ვისი? — „აფხაზთა მეფის“ თუ შარეაშიძის?

ვაგრაში მივედით. თვალშეარმტაცია ეს ვიწრო ზღვისპირი, სადაც აფრე სიყვარულით მიყვრიან მთის მქერდს, თითქო ჩამოვარდნისა და ზღვაში დანთქმის ეშინიათ. კოპწია სახლები—შშრომელთა დასასვენებელი სანატორიუმები. მშენებელი ქართული ხელი აქცე ენერგიული ჩანს: სტილი, წარწერები და, გზაზე სოხუმიდან ეს არაერთვზის შეიძმინეოდა, ახალი სოფლები.

ვიწრო ვაგრაში ეხლა ვანსაეუთრებული ვიწროობაა. დამსვენებელთა სიმრავლის გამო. სასტუმროში მოვთავსდით. ვერაცერი შეიძლია „პრინცის“ ეს ნაგებობა, მაცვე დროს აქ ბინა მეტად ძვირია: ექსპედიცია ასეთ თანხებს ბინაზე არ ითვალისწინებს...

8. X. ჩვენი ექსპედიცია ორად ვაიყო: ეთნოგრაფები და მარტინ კოს-არქეოლოგები. დღეს უნდა ცანდრიქიში ვნახოთ. ასეთა აქტო ფელს განთიადი მექია. მოსახლეობა აქ სომხურ-რუსულ-აზერბაიჯანურია და აქამდე მას პილენეოვო ერქვა ვიღაც მსახლობელი პილენეონ გაძო. აღვილობრივი ძეველი სახელი თითქოს არის ცანდრი კეში.

(მხარეთმცოდნე აფხაზი არ ძინბა ჩვენ დიდ სამსახურს გვიწევს: მას 1936 წელს შეუდგენია წიგნი შე რუსა აბხазი, სადაც შეძლებისდა კვალად ცდილა აფხაზეთის ისტორიული აღვილების სრულად აღრიცხვას. ეს ხელნაწერი, აფხაზეთის საკულტო ინსტიტუტის საექსპრება პროექტი რატიონმა გვათხოვა).

გაგრიდან განთიადისაკენ კარგი სამანქანო გზაა ზღვაში წმოწვდილი კავკასიონის მთის დასავლეთ კალთებზე. აქვე ზღვის პირით ქურდულად მოიპარება რეინისგზა, რა არი ზღვამ ტალღებით არ წამლეკოსო. გზა აქ ძეველადც უნდა ყოფილიყო, არა ზარტო ის გზა, ეხლა რომ ჩერკევს საკეთი ტრონის უწოდებენ, არამდე ზღვის პირით ვიწრო და საცალფეხო, მაგრამ ის მაინც იყო. თითქო ამის მოწმობაა მურავიოვის მიერ XIX საუკუნის შუაზე იმ კოშეის (ბურჯის) აგება, რომელიც შემოდასახელებულ ჩერქეზთა ბილიქს დარაჯობდა მდინარე ეონევარის მარჯვენა ნაპირზე: ამ ბილიქით რუსთა წინააღმდეგ მეომარი ჩერქეზები გაგრის ციხე-გალავანს გვერდს უკლიდნენ და ჩრდილოეთიდან სამხრეთში და პირუკუ დადიოდნენო. ჩანს, ციხე-გალავანზე რომ გზა მოდიოდა, ის სხვა გზა იყო.

გაგრიდან განთიადამდე გზა სულ ასე მთის კალთაზე მიდის. აქ მთა შევ ზღვაშია შეკრილი ოცი კილომეტრის განისა. ამ გზის დასაწყისს არის გაგრის ციხე-გალავანი, დასასრულს მდინარე მეხადირის შესართავი და ცანდრიქიში. ფიქრობენ (არძინბას, ჭანაშია), რომ ბერძნულ წყაროებში მოხსენებული ვიწრობი ტრაქე ა აქ არის საცულისხმებელი. ვფიქრობ შეცდომაა. ვერ ერთი აქ აფხაზეთი არ ყოფილა, ჯიქეთი იყო და თუ მაინცდამინც გავიზიარებო იმ აზრს, რომ აფხაზეთი აქამდე მოდიოდა, მაშინ გაგრა აფხაზეთის ბოლო დ (ომმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ) ივულისხმება, ხოლო ასეთი დაშვებისას პროექტის ტექსტი სრულიად არ უდგება ამ აღვილს. ასე რომ პროექტის ტრაქეა და მისი მონათხრობი ეპიზოდი გულისხმობს ანაკოფია-ფსირცხას, სადაც აფხაზეთი მართლაც მწყებოდა (კ. ბერძულავის დაკვირვება აქ მართალია, თუმცა აეტორი არ ცდილა თავისი ეს მიხვედრა მეცნიერულად დამტკიცებინა).

მთისმკერდი გადავიარეთ და მეხადირის ჭალაში შეცემით (გაგრძელება სხვა დროს).

## შეკვეთი თბილისის ტოპონიმიკიდან

(ა გ ა რ ა ნ ი)<sup>1</sup>

უნებურად მაგონდება 1927 წელი, როცა ჩვენ, აზალგაზრდანი, ას-  
პირანტები და უკანასკნელი კურსის სტუდენტები: გ. წერეთელი,  
ს. ჯიქია, ლ. მესხელიშვილი, ი. ცინცაძე, გ. გოზალიშვილი და ამ  
სტრიქონების ავტორი პირველად გავემზარეთ სასწავლო-სამეც-  
ნიერო ექსპედიციიში. ინიციატივა, მუშაობის გეგმა, მატერიალური  
სახსრები სულ ყველაფერი ჩვენივე იყო. საისტორიო-საეთნოგრაფიო  
საზოგადოება იმით დაგვეხმარა, რომ მცირე თანხა გვასესხა, მასწავ-  
ლებელმა ივ. ჯავახიშვილმა, კი ჩვენ მიერვე შეტენეული მარშრუტი  
(ჯავახეთი) მოგვიწონა.

ადგილზე ჩვენი სატრანსპორტო სამუალება ერთადერთი ვიზი  
იყო, რომელსაც ჩვენი ბარგი-ბაზანა აყიდეთ, თვითონ-კი ქვეითად  
მივდევდით მას. 15 დღეს დავდიოდით, ჯავახეთის მესამედიც-კი ვერ  
მოვიარეთ. ზოგი მონაწილე მოიქანცა და ჩამოგვმორდა, ზოგიც ავად  
გახდა. მეტად მძიმე პირობები იყო მატერიალურიც და მორალურიც.

მიუხდავად ამისა რა ბევრი რამ შევვძინა ჩვენ ამ მოზაუ-  
რობამ!

დღეს (1947 წლის ივლისი) თბილისის სახელმწიფო უნივერსი-  
ტეტის რექტორის განკარგულებით ჩვენი სასწავლო-სამეცნიერო  
ექსპედიცია საესპილ უზრუნველყოფილია: მის განკარგულებაშია  
საქმიან თანხა და საქუთარი ავტობუსი. ჩვენს აწინდელ ექსპედიცი-  
აშია: ქარი ასპირანტი, სამი უმცროსი მეცნ. მუშავი, ოთხი უფროსი  
მეცნ. მუშავი და ერთიც ხელმძღვანელი (1927 წელს ექსპედიციის  
მონაწილეთა შორის ორი კუთხით საქართველოს ისტორიის სპეცია-  
ლობისა, სახლშიაც ორი გერჩებოდა, დღეს 15 მივდივართ და კიდევ

<sup>1</sup> მოხსენებად იყო წაკითხული ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესიაზე  
1948 წ. 5 მაისს. (ვიზუალურ გამოქვეყნდა 1951 წ.).

რამდენი არ მოღის! საქართველოს ისტორიის კათედრის სისისხლე  
ლო წარმატებაა...).

3. VII გავემგზავრეთ. თავდაპირველად ჩინაფიქრის მიზნში უკიდის  
გეგმის შეცვლა დამტირდა: ავტომატიკური მხოლოდ ათი კლიმატურული,  
ჩეენ-კი ერთი თვით კვარაუდობდით. გადაცემული თრიალეთის მოე-  
ლა და ჯავახეთ-სამეცნის გზით უკან დაბრუნდა. ტექნიკური დაბრუო-  
ლებათა გამო ახალი გზით (მარნეული — თეთრია-წყარო — წალკა) წასელა არ მოგვიხერხდა, ძველ გზის (მანგლის—წალკა) ავყევით.

ჩემი ასპირანტების განწყობილება მხიარულია: სიმორტცვემ ჩეა-  
რა კაურათ. ხშირადლა ფიქრობენ, ოხუჯობენ... აუარეთ ქალაქის-  
პირა სოფლებს — შინდისს, ტაბახ მელას. მავონდება შინ-  
დისს ლხინი ლუარსაბ მეფისა (საკაძის გაქცევა); შინდელი გლეხის  
ქალი, როსტომ მეფის დედა... ტაბახმელა კადევ უფრო მეტ მოვო-  
ნებას იშვევს. თავარ მეფე ხშირად იყო ტაბახმელის, აյ იშვა თამარის  
პირველ, აქევ ტაბახმელის გარდაიცვალა მეფე თამარი. თემიკა სა-  
კიოხავია, ძველად ტაბახმელა იქვე იყო, სადაც დღეს არის, თუ ამ  
სახელით სხვა ადგილი, აქევ სადმე, იწოდებოდა?.: საინტერესოა  
თვით სახელიც — „ტაბახმელა“. თითქო ისე ჩანს, რომ „ტაბა“ შეიძ-  
ლებოდა ყოფილიყო კმელი, ე. ი. უწყლო (ცევი როგორც  
ხე ვაჭმელი—ეწინდელი ხოვლეს მიდამოში). მაშ „ტაბა“ შეიძლე-  
ბოდა ყოფილიყო წყლიანიც და უწყლოც (ე. ი. „ხმელი“). გამოდის,  
რომ ტაბა არის გეოგრაფიული ადგილის გარკვეული ფორმა (მაგო-  
ნდება აკად. ალ. განელიძის პოპულარული წერილი ზღვების წარმო-  
შობის შესახებ), და თუ ეს ასეა, რა კავშირშია ეს სიტუაცია „ოურქულ“  
ტატართან?

გადაცემული კოერტის ციხე ვნახოთ. რა საშინელი წამლეკა-  
ვი უნდა ყოფილიყო ყიზილბაშერი მოძალება, რომ ქვემო ქართლის

<sup>2</sup> ტაბა რომ ძირეული ქართველურია, თითქო სადომ არა (მაგონდება აკად.  
ა. განიძის წერილი „ტობადა“); „ტაბა“ გამრეცებული გოგორიფიული სახელია:  
ტბა თორმე, ტობა ნიკა რი ისერომე, ტაბა სკურ რი (ეს უკანასკნელი  
სოფლის სახელი უნდა იყოს, ისევე როგორც „ფარვენის“. „ტაბა“—საგან შეიქმნა  
სოფლის სახელი, შემდევ კი ეს სახელი თვით ტაბასიც შეერქეა, ისევე როგორც  
ფარვენის ტბა ა. ტბა ცთა შემეტმე, თითქო ქართლშია უნდა ყოფილიყო  
გეოგრაფიული სახელი ტბა ცთა, სიღდანც აზნაურთა განთქმული გარს-სახელი  
ტბა ცთა ჩანს ჯ სიცეუნეში, ტბა ცთა ქვემო ქართლში, ტაბაშინი გურიაში,  
სხალ ტბა ქართლში და შე...

ამ შექტრა ციხეს საკუთარი ქართული სახელი დაკარგა და მისთვის „ქოროლლი“ ეწოდებინათ (ქოროლლი თურქული სამყაროს ხალხური კორია და ყოველი ციხე მისი ადგილისამყოფელი იყო). ურმაცხვავი

რამდენი ისტორიული გაღმოცემა იქნებოდა შემონახული პერიოდის შესთან დაკავშირებით, ეს აღლო-მახლო სოფლები ჩომ ათასეული არ ამოწყვეტილიყვნენ თურქების, თურქმანების, ყიზილბაშების ან სხვა უკელურებისა “თუ „ტყიურების“ წყალობით. ეს სოფლები წომ ამ კიხის „შემავალის“ იყვნენ, უკეთესია. მაინც საქორთოა ამ სოფლების მოვლა და, თუ რამ გადარჩა, შეგრივება. ზეპირვადმოცემანი, წერილობითი ცნობები, აჩქიტექტურული დაკვირვებანი, — ეს პირველადი სამუშაოები ჯერჯერობით შეესრულებელია ჩენი ციხეების შესწავლის საქმეში. ციხისა და მის გარშემო ნაგებობანი, ქვაბები, კვირაბები, კარები, გზაჭრილები, სამშირალ-საგუშავოები, წყალსაღენი, წყალსაცავები, ხორბალ-სანოვაისი საცავები, იარაღის საცავები, ხარო-საღილევოები, სასახლე, კელესია, — უნდა შესწავლილ-დადგენილ იქნას ციხის (და სხვა) ელემენტები, უნდა შესაჩერებითი შესწავლის გზით დადგენილ იქნას ციხე-სიმაგრის ტიპები (კოშკი, გალივანი, ნარიყალა, ციხე-ქალაქი, დედა-ციხე, ციხე-ტურჭი და სხვ); უნდა შესწავლილ-შეფასებულ იქნას (ციხის სოციალ-პოლიტიკური და ეკონომიკური მნიშვნელობა. მაგრამ ჯერ მუშაობა არც კი დაწყებულა ქართული ისტორიოგრაფიის ამ მორიგ ამოკანაშე. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩვენში გვაინი ხანის არქეოლოგია საესპერი უგულვაბელყოფილია (განსვ. ლ. მ უ ს ხ ე ლ ი შ ვ ი ლ ი ს მუშაობა ამ საქმეში მთსმა უდრიო სოკვდილი შესწყვიტა). და რაოდენ ახალ ცნობას შეგვძენდა, რაოდენ ცოდნას შევვმატებდა ასეთი მუშაობა... ციხეები, ქალაქი-სასახლეები, სამეურნეო თუ საკულტო ნაგებობანი სანახევროდ (და ზოგჯერ მთლად) მიწაშია ჩაფლული... ზომევალად უნდა წამოვიწყოთ, ან უფრო სწორად, უნდა განვაახლოთ ფეოდალური ხანის საქართველოს არქეოლოგიაში მუშაობა და ეს ფეოდალური ხანის ქართული ციხისა და ქალაქის შესწავლის პრობლემას უნდა დაუყევშიროთ.

აღრინდელ წყაროებში სახელწოდება „ციხე კოურისა“ ჩვენ არა ცვეტდება, თუმცა „კოური“. საფიქრებელია, დაბას აქ ძველიდანვე ერქევა. ამის საბუთითაც ჩოგორუ თვით სიტუაცია კოერა, ისე დოკუმენტური ცნობა, რომლითაც „კოერ ჩისა დაბა“ აქ უკვე XIV საუკუნეში არ ის დამოწმებულია. ვახუშტი წერს: „არს

\* საქ. სიცელენი, II, 8—9.

ციხე აზეულის და აწ კოერის თხემსა ზედა კლდისასა<sup>4</sup>. რითქმ ჩა-  
ხუშტი ფიქრობს, რომ დაბა კოერის ძველად ა ზე უ ლა მარცხ  
რომ, მაშისადამე, სახელი „კოერი“ ვეიან შემოსულია მრეწმის ცისტი  
ლობა სახელოფაზა მეტნიერმა აღბათ იმაზე დამყარა, პირზე შეუკეთეს  
კორი“ ძველ წყაროებში არ შეხვედრია. როგორც ვნახეთ, ეს შეც-  
დომაა. მაგრამ სიიდან მოაქვს ვახუშტის ეს „აზეულა“, რომელიც მი-  
სი აზრით, „კოერის“ წინ უსწრებდა ჩ ჩერ ასეთი საგეოგრაფიო სა-  
ხელი არ შევხვედრია. უნდა ვიფიქროთ: ვახუშტის პქონდა საქმიო-  
საბუთი აზეულის არსებობის შესახებ ძველად, მხოლოდ მის ლო-  
კალიზაციაში (აზეულა = კოერი) ცდებოდა.

მაშ ას სახელით გვნედება ჩ ჩერ ეს ციხე ძველ წყაროებში<sup>5</sup> ან,  
შეიძლება, ძველად ის არც იყო?.. აქვე კაბე ნის მონასტერ რი,  
რომელი „აღაშენა მეფემან თამარ“<sup>6</sup>, აქვე ტაბახმელა—საზაფხულო  
ადგილ-სამყოფელი თამარ მეფისა, აქვე ახლოს ბეთანია „თამარ მე-  
ფის აღშენებული“<sup>7</sup>. ვახუშტი წერს: „ამ ციხის (ე. ი. კოერის ნ. ბ.)  
სამხრით (sic) არს სასახლე მეფისა კოერი. აღაშენა პი მეფემან  
როსტომ, უმეტეს — ეს მეფემან გიორგიმ და უდ მეფემან ვახტანგ.  
დგებოლუნენ ზაფხულს მეფენია<sup>8</sup>.

კოერის სასახლეების შენებლობა, შეიძლება ამ ნაგვიანევი ხა-  
ნის (XVII—XVIII ს.) ქართლის მეფეთა თავდაპირეელი წარმყე-  
ბა არც კი იყოს, არამედ ძველი ტრადიციის განახლებას წარმოად-  
გენდეს. აქვე ყურადღებას იქცევს ს ა მ ა დ ლ ი, რომელსაც ასეთი  
სახელი, ვახუშტის აზრით „ეწოდების მუნ ფუნდუკისათვის“<sup>9</sup>. ქართ-  
ულ საისტორიო წყაროებში ს ა მ ა დ ლ ი ვახუშტისზე უფრო იდ-  
რეც იხსენიება. XVI საუკუნის 60-იან წლებში, როცა სიმონ ქართ-  
ლის მეფე თბილისში მსხდომ ყიზილბაშებსა და მათ მფარველობაში  
მყოფ დაულიანს ებრძოდა, ის ერთხანობას სამადლოს იდგა. აქვე  
მოხდა ოში სიმონისა და დაულიანს შორის, რომელიც ქართველთა  
გამარჯვებით დამთავრდა. დამარცხებული დაულიანი ყიზილბაშებით  
ისევ თბილისის ციხეში ჩაიკეტა<sup>10</sup>. საგეოგრაფიო სახელი ს ა მ ა დ-

<sup>4</sup> ვ ა ხ უ მ ტ ი, აღშერა..., 47—48.

<sup>5</sup> აქვე, 47.

<sup>6</sup> აქვე, 49.

<sup>7</sup> აქვე, 47—48.

<sup>8</sup> აქვე, 47.

<sup>9</sup> მარიამისერია ქცა-ა, 939.

ლ 2 ვახტემტის ალნიშნული აქეს თრიალეთშიც. ეს პერტიცელი საკუნ მიმავალ გზაზე ჩანს<sup>10</sup>.

ასევე საინტერესო ფიქრის აღმძერელი ჩანს აქევე სადაც მარტინ და სახელი დიდები მარტინ და სახელი დიდები...<sup>11</sup>.

კიდევ უფრო შავურადღებოა აქევე კოქტის ციხის ძირას ხელოვნურად გაჭრილი კლდე, სადაც გატანილი ყოფილა გზა, რომელიც ვარდაბას აკაციებით (სკეირეთის ხეობით?) შიღა ქართლთან. ბუნებრივად შაგონდება კლდეკარები თ რიალე ეთში, ბაგინე ეთში, უფლის ციხეს, აწყურ ეთში... გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ აქ ციხის არსებობა დიდად იყო დაკაცირებული ამ კლდე-კართლთან, სულერთია, ერთად წარმოიშვნენ ისრინ, თუ სხვაგალებების დროს. ეს მოვლენა, კლდეში ხელოვნური გზის გატანა, რა თქმა უნდა, გვინ-ფურდალური ხანის მმავი არაა. ის ზოგიერთ შემთხვევაში შეიძლება უფრო ძველიც იყოს, ვიდრე კლასიკური ხანა ქართული ფეოდალური ურთიერთობისა (ამას გვაფიქრებინებს კლდეკარები ბაგინეთს, უფლისციხეს, აწყურს...), მაგრამ საეკრო გზებით დაინტერესებულობა და ციხეების აგება „კლდეკართა“ კარგად დამოწმებული ფაქტია IX საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოში: „შეიძყრნა ლიპარიტ ქუეყანანი თრიალეთისანი, აღავ ციხე კლდეკართა, იპატრინა დავით, მე ბაგრატ კურამალატისა“<sup>12</sup>.

მაინც, რა ძლიერი აღმავლობის ეპოქა იყო არაბთა ერთიანი სახელშიცის ფეოდალური დამლისა და საქართველოს პოლიტიკური ვაერთოანების ხანა! არაბთა ერთიანი სახელშიცის ფეოდალური დაშლა ეს იყო დაპყრობილ კულტურულ ხალხთა გამარჯვება, იმდროინდელი საზოგადოებრივი ერთობებისათვის შეუფერებელსა და ამდენადვე ქვეყნის წინსვლის შემაფერხებელი ორგანიზაციის დამსხვერევა და კულტურულ ხალხთა შემოქმედებითი ძალების განთვითებულება. ამავე დროს ეს იყო ხანა ნორმალური საერთაშორისო ურთიერთობისა აბლოაღმოსავლეთში. „ნორმალურში“ აქ იგულისხმება მეტ-ნაკლებად თანაბაზი სიმაღლის კულტურათა მქონებელ ხალხთა ურთიერთობა.

სამიწათმოქმედო კულტურის ხალხთა ისტორიაში განსაკუთრებით მძიმეა ე. წ. „გადმოსახლების ხანა“. უკეთ, გადმოსახლების ნო-

<sup>10</sup> ვ ა ხ უ შ ტ ი, ალექსანდრა..., 194; ა. ლ ი რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ქვემო ქართლი, I და II, 342.

<sup>11</sup> თუ ის „დიღი დაბასაგან“ არა ნაწარმოები, თუმცა ძველად უფრო მოსალოდნელი იყო „დაბადიღი“.

<sup>12</sup> ბატ. ქარ, ანასული ქურა, 164.

მაღური სახეობა, თორემ მოსახლეობის გაერცელების ტარდა /  
გარცეული მიმართულებით მუდამ არის ამა თუ იმ საზოგადოებრივი...  
მაგრამ აღნიშნული ტენდენცია ხორციელდება კულტურული განვითარების  
გადოებისათვის ასატან ფორმებში. ურთიერთის მეზობელ ეჭარუ-  
რულ ხალხებს შორის ამ ნიადაგზე მეტოქეობა, რაც ხშირად ომსაც-  
კი იწვევს, რომელსაც, შესაძლებელია, მოსაზღვრე ტერიტორიის დაპ-  
ყრიბაწავლებიც მოჰყევს ხოლმე, სრულიად ნორმალურია: ის კა-  
ტასტროფას არ მოასწავებს... მაინც და მაინც მეზობლობის ეს ფორ-  
მებიც ასე თუ ისე შეხამძღვრულია იმ კულტურულ მეურნეობასთან, ამ  
მეზობლებს ჩომ გაარინიათ.

სულ სხვა მნიშვნელობისა ნომინა მეზობლობა მიწისმოქმედ  
საზოგადოებასთან. აქ მუდმივი ომია და კატასტროფის საფრთხე.  
თამას vivendi აქ არ ხერხდება. ან ერთი უნდა გაქრეს, ან მეორე... და  
რამდენი ასეთი შემოსევა — მართლაც ჩომ „შემოსევა“ — განუც-  
დია ჩვენს ქვეყანას!.. რამდენხელ ნომიდები მთელი თავისი „ველერი“  
ენერგიით ცდილან ჩვემს წალევებს.. რამდენი ასეთი ტალღის მოზღ-  
ვავება გადაიტანა ჩვენმა ხალხმა, ჩვენმა კულტურამ ჩარტო ფეოდა-  
ლურ ხანაში!..

დასავლეთ ევროპელებს ვერ დაუფიქნიათ პონ-თურქთა შესვეა-  
ნი IV—V საუკუნეებში ან ვიკინგების მეზობლობა X საუკუნეში.  
ჩვენ ქვეყანასკი არ გამოსწყვეტია პონ-თურქთა თურქ-ხანე-  
ბი, არაბები, თურქ-ყიყალები, თურქ-სელჩუკები, თათარ-მონ-  
ლოლები, ყიზილბაშ-თურქმანები, მაგრამ, თუ ამ „ველურებ-  
თან“ ბრძოლა სამკედრო-ხასიცოცხლო იყო, უკითხისი არც ბარ-  
ბარისულ ისმალეთთან მეზობლობა იყო. მეზობელთან კულტურუ-  
ლი შევიდობისი ურთიერთობა ხომ არც ამის ეხერხებოდა. უკელის  
ჩასანთქავიდ უყურებდა და ნოჭივდა კალევაც, ვილრე ძალა შესწევ-  
და, თუმცა არ ძლეოდა. და ასეთი მეზობლობა ასეულ წლების მან-  
ძილზე! ისმალეთმა გამოხრა ახლო-აღმოსავლეთი, კულტურული  
დოკლათი გაუნიავე მას... დაუმატეთ ყველაფერ ამას „ლეკე ბის“  
შე ზობლობა და თქვენ მიიღებთ იმ საგარეო-სამეზობლო პირო-  
ბებს, რომელშიაც ქართველ ხალხს წილად ხვდა ცხოვრება მრავალი  
ასეული წლის მანძილზე. შედეგი ბუნებრივად გასავებია: მძიმე დაშია-  
ნება, გაერანება... უფრო საკურეველი ისაა, თუ როგორ მოვახდეთ  
იმის დაცვა, რაც დავიცავით,—რაც შემოგვრჩა (ეს ფრიცად საინტე-  
რესო საკითხი დღემდე, რამდენადაც მავონდება, არავის უკისრია  
გადასაქრელად ჩვენს ისტორიოგრაფიაში. დასვა კი ის პირველად  
დიღმა იღიამ... — დროა უკეც, რომ ამ საკითხს მოევლოს და არც  
ძნელად გადასწყვეტი საკითხია ის).

ორისი წლის, დაახლოებით (IX—XI სს.), შევიდობიანობის ხის  
საქმია აღმოჩნდა, რომ ახალგაზრდა ფეოდალურ საქართველოს  
უკვე მართვის მიზანი გაემალა ბრწყინვალე შემოქმედებულ მიზანების  
ექვსის წელწიადს გვიაჩიეს ამის შემთხვევა და ერ მოვემალეს, თუმცა  
უსასტიუდისად დაგვაზიანეს...

\* \* \*

კოვრის ციხე (მისი კლდეფარით) შესანიშნავია. იდგა ეს ქორის  
პულე ამ გზის ყელზე და, რა თქმა უნდა, ქართველი მას გვერდს ვერ  
აუქციონდა, გარდამანიდან შიდა ქართლს მიღიოდა ის, თუ თბილისი-  
დან თრიალუთზე.

საქართლი, ციხე, ეს პოლიტიკური (და სოციალური) ბატონობის  
საშუალება (და ნიშანი) არა მარტო გზის ყელზე იდგა, არმედ გზას  
თვისებენ ეწერდა: ამა თუ იმ კრის „შემავალ“ ქვეყანაში გამკლე-  
ლი, რასავერიველია, გვერდს ვერ აუქციონდა ამ ციხეს, ხოლო მთე-  
ლი საქართველო ხომ გარკვეულ დროს ასეთ საკისისთაო ტერიტო-  
რიული ერთულებისაგან შედგებოდა...

„დღიური“, კარგი ხანია, უნგბური წიაღსვლებით თითქმის და-  
მერდვა. აქ კი მას დართებით განხრას თავს ვანებებ და მინდა ერ-  
თი ისტორიული უძეტის დაზეგნას გამოვეყიდო. თუმცა სასურველი  
სისრულით, ვხდავ, არც ეს მომიხერხდება: ამისათვის საჭირო იქნე-  
ბოდა სპეციალური საველე მუშაობა. მაგრამ წერილობითი მასალაც,  
ჩვენს განკარგულებაში რომა, საშუალებას იძლევა, ვფიქრობ, ამ  
ფაქტის ასე თუ ისე დასადგენად, ხოლო ხსნებული ფაქტის დადგე-  
ნა გვითვალისწინებს სინტერესო პერსპექტივას სხვა კუთ უფრო  
მნიშვნელოვანი მოვლენების გარკვევისათვის (აქ უკვე სპეციალური  
საველე მუშაობა აუცილებელი შეიქნება).

ჩვენი განხრახვაა წერილობითი წყაროების მონაცემთა საშუალე-  
ბით უკადო დადგრანტ, თუ სად იყო „აგარანი“, XI—XII საუკუ-  
ნეთა ქართულ სისტორიით თხშულებებში რომ აგრე ბმირად მომ-  
სწონება. ამ გეოგრაფიულ სახელთან დაკავშირებულია ჩვენი ისტო-  
რიის მნიშვნელოვანი ამბები აღნიშნული დროისა.

XI საუკუნის 60-იან წლები იყო. განძის ამირა ფარლონ და ქართ-  
ველთა მეფე ბაგრატ ურთიერთს ებრძოდნენ. თურქთა სულტნის ალ-  
ფალრსლანის წყალობით თბილისის საამირო ფადლონს ექირა. ბაგ-  
რატ მეფებ ხელთ იდდო განძის ამირა და საქართველოს ეს ნაშილი  
წართვა მას. მაგრამ ქართველთა მეფებ ქალაქი თბილისი გმანელ  
სითილ-არაბს უწყალობა, ხოლო „თავისად ასუნა ციხენი რესოუ-

სანი (MB—რუსთავი), ფარცხისი, აგარანი (M—აგარანი), გრიგორე/ჭმიდანი, ქვეაზინი (M—ქვეაზინი, ВЭ—ქავეაზინი)\*<sup>13</sup>.

მოტარილი მოწმობიდან უკველად ჩანს, რომ ა გა ა რისტრიული მისამართი როგორც რუსთავი, ფარცხისი, გრიგოლწმიდანი და ქვეაზინი. ცი-ნ ე ა ამ ციხეთა ოლების სპეციალური აღნიშვნით მემატიანეს სურს-გვითხრას, რომ მეფე ხსენებულ ქვეაზინს პოლოტიყურად დაეფუ-ლა. ამ ციტატის საფუძველზე (და სხვა ვითარებათა ვათვალიშვინე-ბით) იმის ფუძინიც შეიძლება კაცს გაუჩინდეს, რომ ა ვარა არ ი, ისე-ვე როგორც სხვა აქ ჩამოთვლილი ციხეები, სომხითში (-ქვემო-ქართლი).

ბაგრატ მეფემ დატყვევებული ფადლონი ერთგულებაზე აფიცა და-გაუშვა. მაგრამ განძის ამირა ფიცის გამტეხი აღმოჩნდა. „ფადლონ-გატეხნა ფიცინი და შუამდგომლობანი დიდისა სულტნისანი და მო-პარა ქვეაზინი და შემდგომად ამისა, მეფე აფხაზეთს იყო, მოვიდა-ფადლონ და მოადგა აგარათა. და გაუშუნა ციხისთავმან აგარანი. და-მსწრაფულ აღმოვიდა მეფე, მივიდა და მოადგა აგარათა და წარისუნა-აგარანი“<sup>14</sup>. აქედან კიდევ უფრო ნათლად ჩანს, რომ აგარანი ციხეა: მას ციხისთავი კუავს. ქართველთა მეფე ამ ციხის დავარგ-ვს უფრო მწვავედ გრძნობს, თითქო, ვიდრე ქვეაზინის „მოპარეა“ ფადლონის მიერ. ზემოთ აღებულ გუმანს, რომ აგარანი ისე, რო-გორც ქვეაზინი, სომხითში იყო, ეს ადგილიც მხარს უქერს<sup>15</sup>.

როგორც ცნობილია, ბაგრატ მეფის გარდაცვალების შემდეგ, გი-ორგის მეფობის ემის, საქართველოში იყო „დიდი თურქობა“. ქვეყა-ნა თურქთა სულტნის მალიშეაპის მოხარე შეიქნა. მაგვე დროს სულ-ტნმა ქართველთა მეფეს მრავალი ციხე და ქალაქი წაართვა. დაიით-აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს: „ხოლო ვიდრე ამა უამაღმდე ქა-ლაქი ტუილისი, რუსთავი და სომხითი ყოველი, სამშეილდე, აგარანი-

<sup>13</sup> ანასურლი ქ-ცა, მატ. ქ-ჩ, 195.

<sup>14</sup> ანასურლი ქ-ცა, მატ. ქ-ჩ, 196.

<sup>15</sup> ამასთან დაკავშირებით საინტერესოა საქოთხი: საიდან, ე. ი. რა მიმართულე-ბით მოდის ლაშქარ-შეყრილი ბაგრატ მეფე აქ, სომხითში? რა თქმა უნდა, ეს არ ხდება თბილისხე გმირვლით: თბილისი ზისი გმირმოთ მაგრატს არ უკუთხოს. სა-შურადლებოა, რომ ბაგრატ მეფის აქტიურობა სომხითში მას შემდეგ ხდება შე-სამჩნევი, რაც მან თრიალეთი დამორჩილა. ეხლა მის ხელთა აფხაზეთი, ქართ-ლი, თრიალეთი და ამ უკანასკნელის უშუალო გაფრიქნება მანგლის-სომხითი. სა-შეიოლდე, ფარცხისი ბაგრატეს აქვს. მარაბდაც (თუ მარაბდანი?) ხომ ქართველთა-მეფის ხელი იყო ანასურლი ქ-ცა, მატ. ქ-ჩ, 196). ასე რომ ბაგრატი შიდა ქართლი-დან სომხითს, უნდა ეცვიქოთ, თრიალეთ მანგლის ქვეთ უკავშირდებოდა.

თურქთა პერიოდებს, ხოლო თრიალეთი და კლდე-კარნი პერიოდებს თევზ  
დორებს, კუონდიდელისა ღისწულსა, კაცა გონიერსა და კრისტეფორი  
მყოფსა. რამეთუ, რა მეფე გარდავიდის აფხაზეთად, უმცირის-უშიშრის  
ნოდის თურქთა და მათთა ციხოვანთა მას უმსა მეფე გარდავიდა იმე-  
რით (MB—იმერითს). შეკრბეს გიორგი კუონდიდლის წინაშე და მწი-  
კონბართა უსუცესა (MB add.— წინაშე) თევდორე, აბულეთი და  
იყრე ორბელი და სიმარჯვით მოიპარეს სამშუილდე... ცნეს რა თურ-  
ქთა ოლება სამშუილდისა, უმრავლესი ციხენი სომხითისანი დაუტევ-  
ნეს და ღამით მეორე იქმნეს და ჩუენთანა მოითუალნეს იგინი<sup>16</sup>. ეს  
ამბავი მოახდაო, გვაუწყებს ისტორიები, 1110 წელს<sup>17</sup>.

სომხითის იმ ციხეთა შორის, ქართველების მიერ სამშვილდის  
დღების გამო თურქებმა რომ დაცალეს, აგარანი არ იგული-  
სხ მე ბა: მს დავით მეფემ მოით იიღო მხოლოდ 1118 წელს. ჩანს,  
აგარანი არ ყოფილა ისე დამოკიდებული სამშვილდეზე, როგორც  
ის „უმრავლესი ციხენი სომხითისანი“. აგარანს თავისთავადი, სამ-  
შვილდისაგან დამოუკიდებელი მნიშვნელობა პერიოდა და, უნდა ერ-  
უძრაოთ, მაგარი ციხეც ყოფილა.

ჩვენი თავდაპირებელი გვმანი, რომ აგარანი სომხითში იყო, ამ  
პოწმობით კიდევ უფრო საფუძლიანი ხდება; სამშვილდის გვერდით  
ისაც ნაგულისხმევი ჩანს „სომხითი ყოველ“-ში<sup>18</sup>.

იგვევ ისტორიების განავრბობს. 1118 წელი იყო. დავით მეფემ  
ამისვე წელსა იიღო ციხე ლორე. მაშინ იელისა აიხუნა აგარანი<sup>19</sup>

<sup>16</sup> ანასეული ქ-ცა, ც-ბა ღ-თისი, 210.

<sup>17</sup> იქვე, 211.

<sup>18</sup> მისადა შესაბამისად ჩვენ ამ ციტატში რედაქტორისეული პრეტრაცია  
შეეცემულო.

<sup>19</sup> სამწევაროა, რომ ანასეული ქ-ცას რედაქტოის აქ არ აღინიშნეს M და A  
ერთონტების ჩვენებანი: M — ა მ ა ს ე კ წელს აღიღო ს ი მ ხ ი თ ს ციხე ლორე  
ც ა ხ ე ქ ა ლ ა ქ ი და მ ა შ ი ნ კ ი ი ფლისა აიხუნა აგარანი; A — ამისვე წელსა  
აღიღო ს ი მ ხ ი თ ს ა ც ი ხ ე ქ ა ლ ა ქ ი ლორე და მ ა ს ე კ წ ე ლ ს ა ი ე-  
ლისა აიხუნა აგარანი. ეს ჩვენებანი კი მრავალმხრივ საინტერესოა. მაგალ-  
იად, ანასეული ვარიანტი აქ, როგორც ეხდავთ, არ იძლევა ჩვენებას, რომ ამ  
ჯრის ლორე სომხითში იკულისხმებოდა. მართისეული ვარიანტი კი ასეთ ჩვე-  
ნებას იძლევა. ეს მნიშვნელოვანი გარემოებაა: სხვის რომ თავი დავანებოთ, ვამუშ-  
ტაც კი ლორეს სომხითს ვარედ ჰერულისხმობს (აღწერა... 50). ეტკონა სახელმო-  
ვანი მეცნიერი თავისი ღრისის მიხედვით მსჯელის, როცა „სომხითი“ მართლაც არ  
შეიცედა ტაშის. როსტომ მეფე (XVII ს.) ეცნება თავის მესტუმრე ღონისძიებას:  
„პედინიერ ჰელმწიფეთა პაპა მამათა ჩუენთა პაპა თქუენი და მამა თქუენი ლ ი რ-  
ა ლ მ ა ფეხარა და ს ი მ ხ ი თ ს გადმოესხა“, საქ. მეზ. ხელ. განუ., Hd 14673.

მეორესა დღესა, ცისკარს რამეთუ პირველცა ესე ციხე ფერების გან  
რატს, პაპასა მისსა გარნა სამ თუ ბრძოლითა”<sup>20</sup>. აქედან შემოზურული  
ვად მტკიცდება, რომ აგარანი ფრიიად მაგარი ციხე ყოველდღიურის გადა  
რიცოსს სურს სავანგებოდ აღნიშნოს დავით მეფის სამხედრო ნიჭი:  
მან ისეთი მაგარი ციხე, რომლის სასალებად პაპა მისს სამი თუ ბრძო-  
ლა დასჭირდა, „მეორე დღეს“ აიღოვო. დამოწმებული ადგილიდან  
თითქო საფოტრებელია, რომ აგარანი სადღაც ლორეს ახლოსაა, მაგ-  
რამ შემდგომი ჩავირჩება ცხადყოფს, რომ ასეთი დასკვნა სავალდე-  
ბულო არაა. აქ ის კი არა სწერია, თითქო დავით მეფემ აგარანი ლო-  
რეს აღების მეორესა დღესა ცისკარს აიღო, არამედ ის, რომ მეფემ  
„ივლისში ისხუნა აგარანი“<sup>21</sup>. შემოდგომის უმაღვე, ე. ი. დღეს რომ  
შემოადგა ციხეს, მეორე დღეს ცისკარისას აიღო იგი. ლორესთან ამ  
ამბავს მხოლოდ ის კავშირი აქვს, რომ ის ციხე-ქალაქიც (ლორე)  
მეფემ იმავე წელს (ალბათ, ივლისმდე) აიღო.

ყველა ზემონათქვამიდან დავსკვნით: აგარანი მაგარი  
ციხეა: ის, ყველა ნიშნებით, სომხითში ია, ამ ციხის მნიშვნელო-  
ბა უფრო ღილია, ვიდრე სომხითის უმრავლეს ციხეთა მნიშვნელობა.  
აგარანი სამშვილდისა, ლორესა და ჩუსთავის  
რიგში დგას (თუმცა ის ციხე-ქალაქი არ უნდა ყოფილიყო).

ცნობები „აგარანი“-ს შესახებ თამარის ისტორიუსებსაც შემო-  
ნახათ.

გორგი მეფემ, თამარის მამამ, აჯანყებული უფლისწული დემნა-  
და მისი მომხრე ორბელები შეავიწროვა. აჯანყებულთა წინააღმდეგ  
ვალაშერებულმა მეფემ ტაშირი მოარბია. დემნა ორბელებით ლორეს  
ციხეში ვამგზრდა გორგი მეფემ-კი „მომხრეველმა ტაშირისა და  
ლორის კართამან დაიბანავა აგარათა“<sup>22</sup>. აქედან მეფემ ლაშქარი ჰე-  
რეთს გაგზავნა აჯანყებულთა მომხრების წინააღმდეგ ერთის შეხე-  
დვით, შეიძლება კაცმა იუგირის, რომ აგარანი, სადაც გორგი მე-  
ფემ დაიბანავა, სადღაც ლორეს ახლოა, მაგრამ შემდგომი ჩავირჩება  
ასეთი დასკვნის გაეკონებს არ გვაიძულებს. გორგი მეფე ამ დროს  
კერ კიდევ გამარტვებული არაა და აჯანყებულნი, ლორეს ციხეში რომ  
შევიდნენ, თავს დამარტვებულად არა ვრმბობდნ, ისინი აქტიურიად  
მოქმედებენ. ირანს მოციქულებს გზავნიან და უცხოელებს მეფის  
წინააღმდეგ ომში ეპატიუებიან, კავკასიის მთიანეთის მოშეველიება—

<sup>20</sup> ანბერლი ქ-ცა, ცა-ბა დაეთიხის, 212.

<sup>21</sup> შემდება ვითიქროთ, რომ ტექსტში ძირველად ეწერა: „მაშინ ცელისსა  
იიხუნა აგარანი“.

<sup>22</sup> ისტ. და აზმ. 68 (388).

საც ცდილობენ და ამ საქმეში მათ წარმატებაც აქვთ. ბრძოლის საფეხურზე გიორგი მეფე უფრო თავს იყავს. შეტევაზე ის მწყოლეობული მას შემდეგ გადადის, როცა მისმა ლაშქარმა პერეთს ბრუნვაშეუწყერებელი გაიმარჯვა და აგანყების მეთაური დიდებულები მხარშეკრული მეფე მოაჩათვა. მხოლოდ ამის შემდეგ მეფე უვინაშედგან პხედავდა მარჯუებისა მომცემსა ღმერთსა, არღარა ემისა დამყოფელი აღვიდა და მოადგა ლორესა<sup>22</sup>. ასეთს პირობებში, ვიდრე მეფე შეტევაზე არ გადასულიყო, მისი დაზარავება ლორეს ახლო, მტრულ ქვეყანაში სავარაუდებელი მიაა.

მოტანილი აღგილიდან ჩანს, რომ აგარანი ტაშირში არაა, რომ ეს პუნქტი ტაშირს გარეთაა. შეიძლება ისიც დავასკვნათ, რომ აგარანი ამ დროს მეფის დასაყრდენი პუნქტია, მაშინ როცა ლორე (ტაშირით) აგანყებულთა სიმაგრეა. ამის გარდა, დამოუშებული აღგილი კიდევ ერთი დაკვირვების საშუალებას იძლევა. გამოიწმი, რომ აგარანი მყოფი მეფე „აღვიდა და მოადგა ლორესა“ მოწმობს, რომ აგარანი იქაა, საიდანაც ლორეს ა ვ ლ ე ნ, ე. ი. იგულისხმება დებედას ზემო წელისაენ სელა. ამ მოსზრებათა საფუძველზე შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა, რომ აგარანი იყო დებედას ქვემო წელში, ან ისეთ აღგილას, საიდანაც ლორეს მისასელელად საჭირო იყო დებედას პირის ავლა ქვემოდან ზემო წელისაენ<sup>23</sup>.

განვაგრძობთ დაკვირვებას.

თამარ მეფის ქმარყოფილი გიორგი რუსი ქართველმა დიდებულებში ექსორიობიდან მოიყვანეს. აგანყებული გეგუთს შეიყარნენ, გიორგი რუსი მეფედ გამოატანეს და თბილისში მყოფ თამარისა და დავითის წინააღმდეგ წამოვიდნენ. „ნახევარნი მათითა მეფითა გარდამოვიდეს მთათა ლიხისათა და ამწყუედელი და ამაოქრებელი ქართლისანი, მოვიდეს ნაჭარმაგვეამდის და გორგამდის; ნახევართა დადიანისა წინამძღომითა გარდაიარეს რეინის-ჭუარი და ჩავიდეს ციხის-ჭუარის და დაწუეს ქალაქი ოძრეჲ. მენ შეიყარნეს ბოკო და მესწნი, ერთა იყვნეს მიმდგომნი მათნი და გამგებელთა ესე ეითარისა საქმისათა... გააგეს პირველად აღებად გავახეთისამ და ახალქალაქისამ, კუალად თრიალეთისამ და სომხითისამ, ვინაითგან ქურდვაქრისა იქით გასდგომდა ყოველი სომხითი: ივანე ვარდანის ძე პა-

<sup>22</sup> ისტ. და ამშ., 68 (389).

<sup>23</sup> ასებობს ერთი საცორი, რომელსაც მოეღა სკორია, წუანშერი აღნიშნავს, რომ ესტრანგ გორგასალმა ქართლი ეკლესია ამლებურად მოაწყო. მცენათა კათალიკითი დასვა, ქვეყანაში კი ესტიკომისტება, ერთი ასეთი ეპისკოპონი ესტრანგმა დასვა „ავარიაში, რომელ არს ხერის გაერთებით“. MB —გამართებით (ენსერელი

ტრონი გავისამ, მაყა, პატრონი კაეწონისამ, კაენი თვით ფარიდან  
იყო, და სხუანი მის ქუცავისა აზნაური და აზნაურების შემცირების  
თვითი ზაქარია ვარაშისძისა; იგი კაცი ერთველი იურიული და მარტინი

ქ-ცა, ქუანშერი, 136). სად იყო ეს „ა გ ა ჩ ი კ ი“ და რა ურთიერთობაშია ის  
ავარანი-სთან? (ევოგრაფიული სახელი „ავარა“, „ავარაკი“ „ავარანი“ საქართვე-  
ლოში გვერდებულია. ავარა — **ავარაჭი**—ძევე სომხერში და სომხერშიაც  
გვერდებული სამეურნეო და საგეოგრაფია ცნება — სახელი იყო მმ ხიტყვის  
უძინისა, მისი სადაურიბისა, თუ ცნების წარმოქმნა-გვერდებისა და მისი შე-  
ნარსობლივი სახეცვალების საყითხები, თავისთვალი მეტად მნიშვნელოვანი, ამ-  
იამად ჩვენი კვლევის საგანი ვერ იქნება). ჭავანშერი გულისხმობს, რომ ეს „ავარა-  
კი სომხითშია, რომ ავარაკის საქმისკომიში ხუნანის სიერსთავის კულესთვის  
შესატყვისია. უცნაურია რამოდენადმე ხსენებული ავარაკის გვოგრაფიული გან-  
მარტება, ჭავანშერი რომ იძლევა. ჭერ ერთი, რა საჭირო იყო ასეთი გამშარტება,  
რატომ სხვა საეპისკოპოზო კათედრების აღვილს არ გამოიჩინა ჭავანშერი და მე-  
ორეც, რომ ნიშნავს, „რომელ არს ხუნანის გამართებითა? მანკუ და მანკუ ეს არც  
ტველა შეიძეგებულისათვის უკუთლა მოლად ნათელი მიტომაც მოძღვა, უნდა ე-  
ფიქროთ, რომ ანასული უარიანტი ქ-ცასა იძლევა წაყითხვას: „რომელ არს ხუ-  
ნანის გაერთებით“.

გამომტერი წერს: „ხოლო ამატეს ჰერით არს კერძა ჭოქანისა ლელვაზის მთის  
ქედზე — მის ქეემოთ არს ჩრდილოთ კედესა ავარაკის (რომელსა შინა დასეა გორ-  
გასაც ეპისკოპოზი, შემდგრმად იქმნა მიტომოლიტი და მეტოქი სომხითისა, რომ-  
ლისა სამწყსო იყო ხუნანი, გარდაბან და ხერილის მდინარე) გუნდათინი, დიდ-  
შენი, აუ უწილებენ ახტალას“ (ჭავანშერი, აღწერა... 36). როგორც ვხედავთ, ვახტე-  
ტის დროს ამ აღვილს ავარაკი არ ეწიოდებოდა, არამედ ახტალა. უნდა ვა-  
უკიქროთ, ვახტეტის ქეონდა სახელი, რათა ჭავანშერის შეირ დასხელებული ავა-  
რაკი ახტალს ეცელისხმია და, როგორც მოტანილ აღვილიან ჩანს, მეცნიერა  
ასაბუთებს, კიდევაც თავის მოსახრებას და, შეიძლება თავისა, რომ ასაბუთებს  
საქმაო საფუძველიანობით.

შაგრამ, ჭერ ერთი, ვახტეტი ამ აღვილს იიჩეს არც აღნიშნავს, არც ვარაუ-  
დობს და, შეორეც, დასახელებულ აღვილს ვახტეტი ხაზგასმით უწილებს, ისევე  
როგორც ჭავანშერი, ავარაკი (საგეოგრაფიო სახელი „ა გ ა რ ი კ ი“ აღნიშნებული ავ-  
რეოვე ტაძირში, ლორედან ხეთი კილომეტრის მანილშე, მის აღმოსავლეთით,  
არაა საფიქრებელი, რომ მას კავშირი ქვენდეს ავარაკის საეპისკოპოზო ეკლესი-  
ასთან ან, კიდევ უფრო, სომხითის ავარანთან). ამავე დროს ვახტეტი იცნობს სა-  
გეოგრაფიო სახელს ავარანს და მას არ ავგივებს ავარაეთან. ჩეენ საქსებით ვე-  
თამასმებით ვახტეტის, რომ ავარაკი, სადაც საეპისკოპოზო ეკლესია იყო, და ავა-  
რანი სომხითში სულ სხვადასხვა აღვილებია და არც ჩეენს წყაროებს ერევათ ისა-  
ნი ერთი შეორები.

გამოცდილი. ამათ უოველასე ა გა არ ა თა შეყრამ გაავეს და მუნი  
დაღმა მათ და ზემო ქართლისათა მყოფთა—კართა ქალაქისაფუძულებელ  
კლას, სადა იგი იყო მზე მშეთამ ნათელი ნათელთამ” (ე. იპტაშვილი)<sup>25</sup>

მოტანილი მოწმობა ჩვენი საყითხისათვის ნიშანდობლუ ჩვენების  
შეიცავს. აგანყებულნი გეგუთიდან თბილისზე თბილონად მოდიან. პირველს ლისის მთა გადმოუელია, შიდა ქართლს მოსულა და გო-  
რი — ნაჭარისგვევიდან მცხეთის გამოვლით თბილის (დიმისკარით)  
შემოდგომას პპირებს. აგანყებულთა მეორე კოლონა რეინისგვარით  
საცეცეს გადასულა. აქედან ის ჯავახეთის, თრიალეთის და სომხეთის  
აღებას პპირებს (ისტორიკოსი აქ ამ „სომხეთში“, ქურდვებრის აქეთ  
სომხითს ჰელლისხმობს, რადგან ქურდვებრის იქით „უოველი სომხი-  
თი“ აგანყებულთა მხარეზე იყო). ამ ოპერაციების შესრულების შემ-  
დეგ აგანყებულთა ეს მეორე კოლონა საბოლოოდ ა გა არ ა თა შეი-  
რება, საიდანაც ის თბილისზე წავია. ამავე დროს გადაწყვეტილია, რომ  
ორივე კოლონა ერთგრძოლულად მიიღიდეს „კართა ქალაქისათა“. აქე-  
დან ცხადია, რომ აგარანი არაა ჯავახეთში ან თრიალეთში. ის არც  
სომხეთის იმ ნაწილშია, რომელიც აგანყებულთ შომხერობდა, ე. ი.  
ქურდვებრის იქით. ამავე დროს ეს აგარანი მარჯვე პუნქტია დიდა-  
ლი ქარის შესაყრელად და ის (აგარანი) თბილისის აბლოს მდებარე-  
ობს. შართალია „აგარანი“—ში საყუთივი ცისქეს გარდა შეტნაელებად  
ფართო არემარე იგულისხმება, სადაც, საფიქრებელია, ეს აგარაები (= „აგარანი“) იყო და რომელთა სახელიც შეერქვა თვით ცისქეს (ნი-  
შანდობლივია, რომ ისტორიკოსს „აგარანი“ მრავლობით რიცხვები  
ესმის და არა ისე, როგორც, კონკრეტურა, ისტაანი), მაგრამ ვახუშტი  
მაინც ცდება, ვფიქრობთ, აგარანის განმარტებისას. მეცნიერი ბატო-  
ნიშვილი ასწერს გარდაბანს მის პირველ სახლვრებში: გარდაბანი  
არს სახლვრით აღმოსავლეთით მტკერი და, ხუნანის „გამართებით  
ბერდუჯის აღმოსავლეთის მცირე მთა, სამყრით შულაქრისა, ქაპა-  
ლისა და ბოლნისის გორაები; ჩრდილოთ მტკერიდამ ტფილისის გო-  
რაები ტაგნაგეთამდე; დასავლით ქევი ასურეთისა წინწყარის გამო-  
მართებით ნახილურამდე და ბოლნისის მცირე მთამდე. იწოდების  
ქართლოსის ის გარდაბანის გამო, რომელსა მისცა დედამიან თვისმან  
ბენანი და ესენი და მან უწოდა სახელი თვისი. ამავე უწოდეს შემდ-  
ვომად აგარანი<sup>26</sup>. ვახუშტით, როგორც ცხედავთ, ისე გამოდის, რომ  
„აგარანი“ მთელ ძველანას, გარდაბანს, შეჩქმევია. საქმე ვახუშტის  
ისე წარმოუდგენია, რომ ეს შერქმევა „შემდვომად“ მომხდარა, რომ

<sup>25</sup> ისტ. და იზ. 92 (437—438).

<sup>26</sup> ვახუშტი, აღწერა..., 49—50.

უწინ ამ ქვეყანას გარდაბანი უჩქევა, შემდეგ კი ავარიანთ რა სამუშაო  
დასკვნის ამას ჩვენი მეტნიერი ასეთი დასკვნა ვარუშტის გამოცხადებული  
საფიქტობელია, XII—XIII საუკუნეთა ქართველი ისტორიული მოზღვე  
ამავე ცნობათა ნიაღავშე. ზოგიერთი ისტორიკოსის ვამოთქმა ხშირად  
მართლაც ისეთი ხასიათისაა, რომ იძლევა მიზეზს ამ ტერმინის („ავა-  
რიანი“) ასე ფართებ გაეცნისა, მაგრამ ასეთ ჩვენებათა გვერდით აქევე  
მოიპოვება ისეთი მოწმობანიც, რომელთა მიხედვით ასეთი ფართე  
გაცნის შეზღუდვა აუცილებელი ხდება.

„ავარიანი“ ქართულ სიისტორიო წყაროებში სხვაგანაც მოიხსე-  
ნიება.

შანქორის ომის (1195 წ.) შემდეგ რანის საქმე კვლავ აირია, გან-  
ძის შეღლობელი ამირ-მირმანი (ქართველთა მეფის უმა) ბაჟანის შე-  
ჩენით მოწამლეს. შეშინებული შარვანშა აღსართან შევლას ითხოვ-  
და ქართველთა მეფისაგან. იგანე შასხურთუხუცესში გვალაქუნის შხა-  
რე დაარჩია. მტრის ასეთი აქტიური დაშვერვის შემდეგ, როცა ივანე  
მსახურთუხუცესი დაბრუნდა, „შეიყარა მეფე სპითა იმიერთა და ამი-  
ერთამთა ქუეყანისა განძისასა და თამარ ჩვეიდა დვინომდი“. წინაშე  
მისსა მოვიდა შარვანშა სამსახურად და გაგზავნა ლაშქარი და შემოქ-  
ცეცული დადგა აგარათა მორქმითა და სუფერითა<sup>27</sup>.

აქედან ისა ჩანს, რომ აგარანი შეცის ჩვეულებრივი და ა დ გ რ მ ი ა<sup>28</sup>.

<sup>27</sup> ავალ კ. ა ვ კ უ ლ ი ძ ი ს ე რ დ ი ე ს რედაქცია — „დვინომდე“ მიუღებუ-  
ლი ჩანს. ამ დროს დვინი, თუ ვარ, რედაქტორს სოსხეთის დვინი აქვს მხელეებუ-  
ბაში (ხოლო სხვა დვინი კი ჩვენ არ ვიცათ), ყველ კიდევ საქართველოსთან შემო-  
ერთებული არ ყოფილა და ის თერქთა სამიულობელი იყო. მაგრამ არც პარამი-  
სული ვარიანტის „დვინომდი“ ჩანს მისაღები, თუ ამ სახელში ცნობილ დაბას  
კიგელისბებით, თორმე რომ იყო: მოტანილ კიტარში სსენებული აღგადი ნი-  
გვლისმეცია თბილისიდან აღმოსავლეთით (განზის მიმართულებით): აქ „წინაშე  
მისსა მოვიდა შარვანშა სამსახურად“, აქედან თამარშა გაგზავნა ლაშქარი განძის-  
კენ და „შემოქცეულა“ ვ. ი. უცან გამოწრიუნებული დადგა აგარათა.

<sup>28</sup> ისტ. და აზმ. 112 (476).

<sup>29</sup> მოცანილი ცატარი თითქო უცრო შეტი ვარაუდის უფლებასაც იძლევა-  
თამარ ჩაედა დვინამდი. დვინი, ჩეკონ ვეგონია, რანისაკენ მიმდივალ გზაზე იყო  
სადღაც საქართველოსა და განძის ქვეყანის საზღვრისაკენ, საქართველოში. ეს აღ-  
ვილი მტკრის მარჯვენა მხარეზე იყო. გზა კი თბილისიდან განძისაკენ, როგორც  
საფიქტობელია, ლომითა-კონას (—მარნეულის) ვაიცილა და აქედან ხუნანისაკენ  
მიღიოდა. აქ ხუნანის აბლოს, მის აღმოსავლეთით, უნდა უკავილიყო დვინი  
ქვევით, გამოწაოქეობით — „თამარი დვინიდან“ შემოქცეული დადგა აგა-

მაგრამ საკითხება, თუ რა იყო ლისტმება აქ „აგარაში“. ჩაით ჩამო სავალდებულო, რომ ამ ცნებაში მხოლოდ ციხე ეიცულისხმოთ (თუმცა არც მისი გამორიცხვა სავალდებული). აგარანი, საფიქციურო მიზანით იყო დაბა (თუ დაბანი?), სადაც ციხეც იქნა აგებული. ჩვენს საკითხოს მისაზრებას დასტურებს ბასილი ეზოსმოძღვარი, რომელიც ამ ციხეს „აგარა ათა ციხეს“ უწოდებს. ჩანს, აგარანი იყულისმებოდა (ოდესმე უკველად, — ხოლო ამ დროს, — შესაძლებელია) ციხისაგან დამოუკიდებლად აქვე იყო ციხე, რომელსაც, ბუნებრივია, „აგარათა ციხე“ ეწოდებოდა. ამავე დროს ამ ციხეს შემოკლებით დაბის თუ დაბათა საერთო სახელი „აგარანიც“ ერქვა (ანალოგიური ხასიათის ქართული საგეოგრაფიკო სახელი მრავალია).

თუ რას წარმოადგენდა ეს აგარათა ციხე, რამდენადმე ეს ჩამი ბასილი ეზოსმოძღვრის მოწმობილან. მძიმედ დასხეულებული თამაზ მეცე აგარათა ციხეს მოიყენეს. აქ ის თითქმის ნახევარ წელს იყო. აქვე აგარათა იმყოფებოდა მეფის მრავალრიცხვანი კარი: ვაზირები, დიდებულები. აქვე აგარათა ციხეში იყო სამეფო პალატი, რომელსაც პეტრი „სასუენებელი“, სადაც ავადმყოფი მეცე იმყოფებოდა. ამ სასუენებელში „შემოუწოდა თამაზ მეფემ ყოველთა სამეფოსა თვისისათა წინაშე მისისა და სიკვდილის წინ მეფეური სიტყვა უთხრა მათ“<sup>20</sup>.

ასე რომ აგარა ათა ციხე შენობა-ანაგებობა რობათა რობათა ული კომპლექსი უნდა ყოფილიყო.

ჩვენ უკვე ზემოთ შევნიშვნთ, რომ ეს „აგარანი“ თუ „ციხე აგარათა“ სომხითში იყულისხმებოდა. ამასავე პირდაპირ მოწმობს ლაშავიორების დროინდელი მემატიანე. თამაზით, ამბობს ის, „ალვიდა წინაშე ღმრთისა... იანვარისა თორმეტსა, დღესა თორმეტსა, ა გა არ ათა სომხითი სათა ქრონიკისა თოხას ოცდა შუიღდა“<sup>21</sup>.

რათა „შეიძლება გავიგოთ ისე, რომ „შემოქცეული“ თამაზი თბილისა არ მოსულა, არამედ უშეალუდ „დადგა აგარათა“, ასეთი გაფებისას სავალდებულია წარმოვალებით, რომ დეიტიდან ვჲა მიღიოდა აგარანისაკენ; ებლა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს ვჲა ლომითა-ვარის გმირიდა, აგარათა აღვილებდარებობა უფრო ნიშანდობლივი შეიქნება: აგარანი საერაულებელია ლომთა-კორას ჩრდილოეთით.

<sup>20</sup> ბათოლი ეზოს მოძღვარი, 33—34.

<sup>21</sup> ანასეული ქ-ცა, 242. აქ ჩვენ უფრადებოდ ეტოვებთ საინტერესო საკითხს იმის შესხებ, თუ ვარ დეიტისხმება ნამდევილად ოთხს თოდა შეიღი ქრისტიანის გარდაცვალებულად, დავით სოსლანი თუ თმაზ მეცე. ჩვენთვის აქეასად საკმაო თანამედროვის კატეგორიულა ჩვენება. რომ აგარანი „სომხითში“ იყო.

კიდევ ერთი მოწმობაც. ლაშა-გორგის დროინდელი მემატიუნე /  
მოგვითხობს: „უცხო თესლი ვინმე ლაშვარნი“ (ლაპატჯვრუმუნა; //  
ლოლებზე ნ. ბ.) მოგიღენო. „მომართეს და დადგეს ბარჩეჭის-ჭიჭლები  
სა“. მეფე გიორგიმა „შეიყარა სამეფო მისი და მოიჩნა კარნუ-  
კალაქისა ლაშვარნი, დადგა ლომთა-გორასა და აგარათა შუა და ვიდ-  
რე ზედა-მისულადმდე გაექცნეს და გარდაიხუცნეს, განვლეს დარუ-  
ბანის გზა“<sup>42</sup>.

ამ ძეირფას ცნობაში აღნიშნული ლომთა-გორას ადგილმდებარე-  
ობა ფლესაც კარგად ცნობილია. ეასუმტი წერს: „მარნეულს არს ნა-  
ციხვარი, მისგამო იწოდა ძეელადვე ლომთა-გორა“<sup>43</sup>.

ლომთა-გორა, ამრიგად, კინე იყო დიდ გზასაყარზე (მარნეული  
მნიშვნელოვან საგზაო პუნქტად ჩინებოდა შემდეგ დროშიაც).

ლაშას დროინდელი მემატანე ზემომტანილს ცნობაში ორ თა-  
ნაბარი ხასიათის პუნქტს გულისხმობს, ორ დაბას ან ორ ციხეს. ასე  
რომ ავარანში აქ არ შეიძლება ნაგულისხმობს, ორ დაბას ან ორ ციხეს. ასე  
იყოს ქვეყანა, რამდენადაც ლომთა-გორა ქვეყანა არ ყოფილია.  
შემდეგ, როცა შეეჩალი ამბობს, რომ ლაშა თავისი ქარით დადგაო  
ლომთა-გორასა და აგარათა შუა, ის, უციცელია, ამ ორივე პუნქტს,  
(= ორივე ციხეს) ერთ ხაზზე გულისხმობს, რომლის ერთ ბოლოზე  
აგარათა ციხე, ხოლო მეორე ბოლოზე ციხე ლომთა-გორა. ამ პუნქ-  
ტებს „შუა“ მდგომი ქართველთა ლაშვარი ერთს მხრით აგარათა

<sup>42</sup> ანსეული ქ-ცა, 244.

<sup>43</sup> აღწერა- 48. მარნეული, „ეკლესია“ — „კოჯორთა“ (ოდესე დიდი ხო-  
ფელი, დაქვემდინარი), ლომთა-გორა (ნაციხეარი) ფრიად მნიშვნელოვანი პუნქ-  
ტი ჩანს. ჟპირელეს ყოვლისა აქ იყო გზასყარი. გზები აქედან მიემართებოდა  
თბილისისაკენ, შიდა ქართლისაკენ (კოგრის ცხით), სამშევალისაკენ, დაბანისისა-  
კენ, ლორისაკენ, ხენანისაკენ. აქვე იყო ტაბე, რომლის „შემავალი“ იყო თავის  
დროს, საციქრებელია, როგორც მდინარე ალგეთის ჰეომ წელი, ასე ქციის მარც-  
ხენა სანაბირო მის ქვემი წელში (ნახილურს ქვემოთი). ხელსაყრელში ადგილმდე-  
ბარებამ მარნეულს მნიშვნელობა საქართველოს ისტორიის მთელს მანძილზე  
შეუნარისუნა.

უცელეს დროს ლომთა-გორა აბოლოებდა „შეგალითერი ციხეების“ შეკრივნ  
ალგეთის მდინარის მარცხენა მხარეზე: ჩ ხ ი კ ვ თ ა, მ ა წ ე ვ ა ნ ი, წ ი ნ წ ჲ ა რ ი,  
დუ რ ნ ჲ კ ა, ლ თ შ თ ა გ თ რ ა.

ციხეს ებჯინება, მეორეს მხრით ლომთა-გორას. ამავე დროს შე ლაპატაზე კარი აღმოსავლეთისაკენ არის პირმიქეცული<sup>34</sup>.

ლომთა-გორას ადგილმდებარეობა ზედმიწევნით ვიცით უნდა შესაძლებელია მხოლოდ ორი რამ: თუ ქართველთა ლაშქრის უაჭავენ ფრთა ლომთა-გორას ებჯინებოდა, მაშინ აგარანი მისგან ჩრდილოეთით ყოფილა, ხოლო თუ ამ ლაშქრის შარქენა ფრთა ებჯინებოდა ლომთა-გორას, მაშინ ციხე აგარანი მისგან (ლომთა-გორისაგან) სამხრეთით უნდა ვეძიოთ. მაგრამ ამ მიმრთულებით აგარანის ძებნა, ვუკირობთ, გამორიცხულია. როგორც დაფინახეთ, აგარანი თბილოსის დასამხარზეა და მის ახლოსაა ის თბილოსის კარებს (ერთს ან რამდენიმეს), უშუალოდ უშიშნებს; აგარანი ციხესა და თბილოს შორის სხვა რამ ციხე-სიმაგრე საგულვებელი არა, რაც აუცილებლად საგულვებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ აგარანის ლომთა-გორას სამხრეთით ვიგულისხმებით. ას რომ ყველა ეს მოსაზრება ვავალებს აგარათა ციხეში აწინ დელი კოტრის ციხე და ავინ ან თ. ამის შემდეგ მონღოლთა წინააღმდეგ გამოსული ლაშა-გიორგის ლაშქარი ბუნებრივად წარმოგვითგება დაბაზებული კოურ — ვაშლოვან — მარაბდა — მარნეულის ხაზზე.

ამრიგად, სახელი „აგარანი“ ერთის მხრით ეწოდებოდა აქ დაბას (უფრო — დაბებს), ხოლო მეორეს მხრით ამ დაბის (დაბათა) ციხეს. აგარა, როგორც მოელენა, ჩეელებრივ ამა თუ იმ დაბას განეკუთვნებოდა. ერთ დაბას, შესაძლებელია, რამდენიმე აგარა ქვენოდა<sup>35</sup>. ისმის საკითხი: ჩვენი ეს აგარანი თავდაპირველად რომელი დაბის ან ქალაქის შეიძლებოდა რომ ყოფილიყო? ტაბახმელასი თუ თბილოსი? ტაბახმელი ანსებითად თითონ იყო აგარა და საფიქრებელია თვით შედიოდა ამ „აგარათა“ კომპლექსში, თუმცა საკუთარი სახელით („ტაბაჟმელა“), ისევე როგორც ერთ-ერთ აგარას „კოტრი“ ერქვა, ამიტომ უფრო ბუნებრივად გვეჩევნება, რომ ეს იყო თბილისი აგარა ები. ამ საკითხისათვის ნიშანდობლივ გარემოებად მიგვაწინა ზემოთ დამოწმებული საბუთის ჩვენება, რომლის მიხედვით შესაძლებელი ხდება დასკვნა, რომ კოტრის შიდამოებზე თბილისის ამირთა მირას ადმინისტრის ადმინისტრის ტრაციული და ელი მიუწვდებოდა. და ეს, ჩა თქმა უნდა, 1338 წელს

<sup>34</sup> სულერთია „ბარდავის ჭალა“-ში ჩანს ცნობილი ბარდავი იფულისმება, თუ სხვა რამე სახელია აქ შეცდომა-დამახინების ნიაღაზე ამ სახით მოცემული. როგორც არ უნდა იყოს, ის მარც უდავთა, რომ მონღოლთა გარი აღმოსავლეთიდან, მტკრის ქვემთ წელიდან მომავალი იფულისმება.

<sup>35</sup> იუ. ჭალა აშენებილი, ქართველი ერთს ისტორია, წიგნი 11, გვ. 264.

<sup>36</sup> ხავ. ხედ., II, 9.

“შექმნილი მოვლენა კი არ იყო (ამ წელს არის ეს საბუთი დაუტელი), არაშედ ძეველი დროიდანვე არსებული ვითარება.

ისე გვეხატება, რომ თბილისის გარშემო სოფლები — ზოგი მცხაჭავი შობითვე, ზოგი შემდევ დაქვემდებარებით — მისი (ქალაქის) აგარები ის იყო (გვიან ხანაში ამათ „ქალაქის პირის სოფლები“ ეწოდებოდა<sup>77</sup>, ოღონდ სახელი „აგარანი“ იმათ შერჩია, რომელთაც დანარჩენთაგან („ადგილი სიყანური, გინა საერაპე, გინა დაბა“ — საბა, ლექსიკონი) განსხვავებით — აგარის“, ეითარება „საზაფხულო საფლურის“ (საბა, ლექსიკონი) სახელიც უპირატესად შეეფერებოდათ.

შემდევ კი უფრო გვიან, ამ დაბებმაც დაკარგეს აგარათა ძეველი მნიშვნელობა, ქალაქმაც დაკარგა უფლება ამ აგარაებშე<sup>78</sup>. ასეთ ვითარებაში გასაგებია მათი საერთო სახელის („აგარანი“) გაქრობა და ეს დაბებიც ამიტრიდან მხოლოდ-ლა თავთავიანთი საკუთარი სახელით იცნობიან (შინდისი, ტაბახმელა, ზემო ტაბახმელა, კოკორი). ასეთი მოსაზრება გვავალებს დაუშვათ, რომ რაღაც დროს, XIII—XVII საუკუნეთა შორის, აქ ზაფხულობით მეფეთა დგომის ტრადიცია დიდი წილით შეწყვეტილა და ის მხოლოდ XVII საუკუნეში მიმოლაციურ არსტომ შეფეს განუახლებია<sup>79</sup>.

<sup>77</sup> ასეთი „აგარაების“ გარეშე თბილისი, როგორც ქალაქის წარმოქმნის ვითარება ძნელია წარმოსადგენი იქნებოდა..

დღემდე თბილისი ისტორიის სპეციალისტის, სამწევაროდ, არავის მიუტცედი უცრადება ამ საკითხისათვის. არავის უცრი ქალაქის წარმოშობა, ზრდა თუ დაცემა მისიც აგარაებთან კარგიში შეესწიება..

მაგრამ ამ მოსაზრების განხოვადაც, უფიქრობთ, შესაძლებელია. ასეთი „აგარაები“, დამოუკიდებლად იმისაგან თუ რა ეწოდებოდა მათ, საფულისხმებელია ყოველი მეტად თუ ნაელებად მნიშვნელოვანი პრეტეის გარშემო. მაგალითად, მცხეთა-ათიშის უახლოესი აგარაები უნდა კაფალუყვნელი ნაქულბავევი, მცხეთა-კერი, კარსანი, ქართლი, ციხე-დიდი, კოდმნი, წიწმერი, ჯვევი, ჰავეალა (იქ არა კაშხაბთ მცხრარის და დიღმის სოფლებშე... მცხეთა-ათიშის, როგორც ქალაქი, რაჭველია ხელი მოუწევდებოდა ამ „აგარაებშიდაც“).

<sup>78</sup> XVII საუკუნეებში (საციქრობელია, პეტრი უფრო აღრეც) ყველა ეს აგარაები, გარდა კოერისა, კერძო მცელობელთა ხელშია (ი. მახალანი საქ-ლოს სტატისტიკური აღწერითობისათვის მცოცრავები საუკუნეში. გამოც. ე. თაყაიშვილის რედაქტორითი).

<sup>79</sup> ვ. ა. უშტი, ალწერა..., 47. ამავე XVII საუკუნეში აქვე კოერის „კი საზაფხულო სასახლე და კარის საყდარი“ იუშენებია ქირთლის კათალიკოსის ნიკოლოს (ისტორიკული საბუთები, IV, 66).

ებლა ცოტა რამ აგარითა ჭალის შესახებ.

„ვალა“ ძევლ საქართველოში დასახლებულ პენქტს (დაბას, ჩალაქს) აღლდა. ის, როგორც ნაწილი, იმ კომპლექსურ ტერიტორიაზე ერთეულში შედიოდა, რომელიც განვითარებული მიწის მეურნეობის ძევიანაში (როგორც საქართველო იყ) დაბას (სამეურნეო თვალსაზრისით) ქმნიდა და ხსიათუბოდა „მთითა, ბარითა, კელითა, ვენახითა, წყლითა, წილქვილითა, საძოვრითა, სათიბითა, ჭალითა, სახადირითა“ და სხვ<sup>40</sup>.

აგარითა ჭალის გვერდით, სახელდამელოზ შეგვეძლო იმავე დროის ძეგლებიდან დაგვესახელებინა „სასირეოის ვალა“, „ნაღარბაზევთა ვალა“, „ქვეშის ვალა“, „ბარდავის ვალა“ და სხვა. თვით თბილისაც, უკველია, ქონდა თავისი (და შეიძლება არაერთი) ვალა<sup>41</sup>.

გიორგი რუსის აჯანყებისას თამარ მეფის მომხრეებმა პირველად ჯავახეთისაკენ წამოსული აჯანყებულთა კოლონა დამატებულა. ამავე დროს დაფილ სოსლანი თამარის მომხრე ქართველებით გორსა და ნაჭარმაგვეს მოსულ აჯანყებულთა კოლონის წინაღმდეგ გავიდა. აჯანყებულთა ამ დასმა, რა კი პირველი კოლონის ჯავახეთს დამარცხების ამზადი შეიტყო, უკუჩეცევა ირჩია. თამარის მომხრენი გამარჯვებული დაბრუნდნენ და „შემოქცეულთა და მოსრულთა წინაშე თვით თამარისა ჰკალრეს განსკლად სომხითით და მიმართებად უჩითა და ვანდგომილთა მეფობისა მისისათა“<sup>42</sup> ე. ი. ებლა მესამე მიმართულებით ან ქურდაჭაჭრის იქით რომ იყენენ გადამდგარნი, იმათ წინააღმდეგ წავიღნენ და თამარიც თან წაიტანეს. აჯანყებულთა ეს მესამე ჯგუფი გატყდა: „მუნცა იქმნეს ჩეეულებითნი გამარჯუებანი“. მეუე თამარ „შემოქცეული დგი ჭალას აგარითას ა. მონადირი და მონადირე, მხიარული და შემწყალებელი ერთგულთა და საკუთართა მისთავა“<sup>43</sup>.

ეს ჭალა აგარითა, „აშეკარაა, ქურდვაჭრის აქეთა: მუნარის მიურნის იმიური აჯანყებული იყო და მისი დამორჩილების შემდეგ „შეკოჭეული“ მეფე „დგა ჭალის აგარითასა“. აქედან ვი საფიქრებელია, რომ „ჭალა აგარითა“ თბილისიდან ძლიერ შორის არაა. ზაგრამ მიაში სხვა ქრთი მოწმობა კიდევ ეფურო დაგვარუშესუნებს.

<sup>40</sup> მომიქცეს მაგალითისათვის.

<sup>41</sup> ართა ჭალა, ჭალა უკრყუოს (?), დორის ჭალა (?), ჰავეალა (?)... .

<sup>42</sup> ისტ. და აზმ., 94 (442).

<sup>43</sup> ისტ. და აზმ., იქვე.

შარვანშა აღსართანისა და ამირ-მირმანისათვის შეელობა და კულის ასაპყრობად თამარ მეფებმ ლაშქარი შემოიყარა. ქართველები მოელოდნენ, რომ შარვანისა და რანის მფლობელუბი შეუძლია ბის სათხოვრად მოვიდოდნენ. დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენა იყო. პატრონს „გამოჩენებით“, ღირსეულად დახვედრა მართებდა, რათა ყმას იგი „საწუნელად“ არ სჩენებოდა. ამისდა შესაფერისად თამარ მეფე, დავითი და სამეფო კარი „დიდთა ლაშქართა შემყრელნი დადგეს დასოთა“<sup>44</sup>.

„მაშინ მოვიდეს ამირ-მირმანი ფაქლავანდის შეილი და აღსართან შარვანშა ყოვლისა არანისა დიდებულითა და ჰულამითა“<sup>45</sup>. ქართველები საგანგებოდ მოემზადნენ. „და დგე ს კელმწიფენი სუესრულნი და ღმრთივ ამობრწყინვებულნი ჭალასა აგარათასა და პატივისმცემელთა ნებისმყოფლობისა მათისათა აწურენს და მოიწურენს დიდითა შარითა და პატივითა დედოფალი რუსუდან აქა“<sup>46</sup>.

თუ რას ჭარმოაზევნდა ამ დროს „ჭალა აგარათა“, სადაც მეფენი იღვნენ, ჩანს მომდევნო ტექსტიდან: „რომელმან სახელმან, ვისმცა კონებამან და ენამან აღმოთქნა ქებანი ზართა და დიდებისანი, კარავთა და სარატაზათა, კოშეთა და ფილომატთანი, მოქაზმულობანი და შემქობილებანი ბესელიებრნი გინა სოლომონიანი ტაძრისა ღმრთისანი“<sup>47</sup>. ეხლა, თუ რა იყო ეს „ჭალა აგარათა“, შეიძლება მიახლოვებით ჭარმოვიდებინოთ ამავე მოწმობიდან. რუსუდან მობრძანდა. „შეიქმნა ღარბაზობად და დასხდეს ტახტსა ზედა ოქროპედილსა თვთ თამარ და დავით და ეკ მათი გიორგი“<sup>48</sup>. და მწერალი ასწერს აღსართანისა და ამირ-მირმანის მიღების ცერემონიას: „პირველად რა გამოვიდეს ტფილისით ჭალაქით (რა თქმა უნდა, ლაპარაფია აღსართანისა და ამირ-მირმანშე, რადგან ქართველი მეფენი კარგა ხანია.

<sup>44</sup> ისტ. და აზმ., 102 (457). უკანსენელი სიტყვა ჩვენი კონვექტურაა. M აქ იმდევთა „დასაოთა“. აკად. კ-კ ეკ დ დ ა სწორებს დასითა, რაც უჩვეულო გამოთქმა და ჩვენი აზრით ვერც მარტვას ის ვერა სხნის მომდევნო ტექსტის — „რომლის სიმაგრით და სიმრავლით აღივსნეს მტკვრის პირი..“ ამიტომ უფრო ბუნებრივად (თუმცა, არც თუ უცილებლად) გვეჩვენება, რომ განმარტებითი წინადაღება — „რომლის სიმაგრით და სიმრავლით“ და სხვ. მივაკუთხოოთ არა „დასაოთა“-ს, არამედ, „დიდთა ლაშქართა“-ს (გრამატიკული შეუთანხმებლობა აქ გადაუდასველ დაბრკოლებად არ მიიღება).

<sup>45</sup> ისტ. და აზმ., 102 (457).

<sup>46</sup> ისტ. და აზმ., იქვე.

<sup>47</sup> ისტ. და აზმ., იქვე.

<sup>48</sup> ისტ. და აზმ., 103 (458).

„პალისა აგარათასა“ იუვენტ და ტაბტზე ისხდნენ...), მიაგებოდ შემდგომი და ყველა უკიჩაყნი ახალნი და შემდგომად მათსა ჰქონდნ უა კარი, შემდგომად ქართველნი და შემდგომად მესნი და თხრის მიერთ შემ-კლარჯ-ტაოელნი, შემდგომად სომხითარნი, შემდგომად პრინცესები და სუან-მეგრელ-გურულნი თანა რაჭა-თაკუერ-მარგულითურთ და თვით კარვის კარსა კელის უფალნი და შინაურნი. ხოლო ვინათგან შინაური და თვისი იყო შარვანშა, პირველად შემოვიდა იყო... და დასვეს თვისსა დფილსა; და შემდგომად მიისა მოვიდა ამირ-მირმან”<sup>48</sup>.

ჩევნ, სამწუხაროდ, არ ვიცით, როგორი იყო ისეთი ზეიმის დროს საქართველოს სხვადასხვა თემის ლაშქართა დგომის წესი, არ მანძილი ამორებდა ერთი თემის ლაშქარს (დროშის) მეორესაგან. მაგრამ აქ მოტანილი ტექსტი ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ საქართველოს გარის ეს ნაწილები ერთომეორესაგან დიდად და მორებულნი არ უნდა ყოფილიყვნენ. მაშინადამე, შეიძლება კითხვა უნდა არ უნდა ყოფილიყო: ქალაქიდან მეფეის კარვაშდე, ამ „პალის“ რომ იყო, სულ საქართველოს გარი იყო გან ღი ბული.

ესევე „პალა აგარათა“ უნდა იგულისხმებოდეს ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობაში, რომ თამარმა „პალისა მდგომან მოუწოდა ხუთოდევ და სიბრძნითა თუისითა შეიძყრნა, და თუითო თუითოსა ციხესა შესუა, რათამცა განიწყართნეს“<sup>49</sup> (ცნობა შეეხება ძმებს კახაბერისძებს, რომელნიც თამარმა დასაჭა იმის გამო, რომ მათ ანტონ კუონ დიდელის ორი ძმა მოქლეს).

ერთი სიტყვით, სრულიად გარკვევით გვეჩვენება, რომ ჭალა აგარათა თბილისის სანაზე ბში აღ გილია. ამ ჭალაში საქართველოს მეფე ხშირად დგას და ხანგრძლივადაც. აღსაჩთანისა და ამირ-მირმანის მიღების ცერემონიიდან (იხ. ზემოთ) თითქო იმის დასკვნაც შეიძლება, თუ ეს პალა თბილისიდან რომელ მხარეზეა საგულისმებელი. „პალა აგარათა“ თბილისიდან აღმოსავლეთის მიმართულებით არაა. აღსაჩთან და ამირ-მირმანი აღმოსავლეთიდან მოვიდნენ ჯერ თბილისში და მხოლოდ აქედან გავიდნენ ქალს მისასელელად. არ გვავიშუდება, რომ საგანგებო ვითარება იყო, მაგრამ მაინც დაუშევებლად გვეჩვენება, რომ ეს შემოხვეული სტუმრები ჯერ განზრახ თბილისში მოეცვანათ და აქედან ისევ აღმოსავლეთის მიმართულებით ჭალას წაეყვა-

<sup>48</sup> ისტ. და აზმ., 103 (458—459).

<sup>49</sup> ბ. კ. მ., 24.

ნათ... თუმცა ოღონისავლეთიდან თბილისში ერთადერთი ჭანა მოგვიანებულია/ შემოღონდა და შარევანში ოსართანი თავისი სიძირ, საფიქრებელია, პერეთზე (აწინდელ კახეთზე) გამოვლით შემოვიდა თბილისში (ასეთი ში). - მაშასაღამე თბილისზე გავლა მას უიშველად დასკრიტუსოდა იმ შემთხვევაშიაც-კი, თუ „აგარათა ჭალა“, სადაც მეფენი იდგნენ, განჯის მიმართულებით (და მაშ თბილისის ოღონისავლეთით) ვევენება ნა-გულისხმევი. მაგრამ აյ მეორე გარემოებაა გასათვალისწინებელი. ძნელად საფიქრებელია, რომ მაისის მიწურულს (ეს ამბავი წლის მშ დროს მოხდა) საქართველოს მეფე თავისი კარით სომხითის ამ ნაწილში დაბანავებულიყო. ჩოგორუ ბასილი ეზოსმოძღვარი გაღმოგვევემს, საქართველოს მეფე და მისი კარი ზაფხულის პირს „ჩეეულებრისაებრ“ „ისწრაფდეს“ მთაში სააგარევო დაფილის გასვლას. ჭალის მფებარეობას თბილისიდან ოღონისავლეთით არც სხვა რომელიმე მოწმობა გულისხმობს.

ზემოთ, აგარანის შესახებ რომ ცნობები მოვიტანეთ, უცილობლად ჩანდა, რომ აგარანი სომხითშია და, მაშისაღამე, ის არ შეიძლება თბილისიდან ჩრდილოეთით ან მის დასავლეთით ცყოს. ეხლა კი აგარათა ჭალის მდებარეობა (და თვით აგარანის მდებარეობაც) თბილისიდან ოღონისავლეთით გამოვრიცხეთ. დარჩა ერთადერთი შესაძლებლობა: როგორც „აგარათა ჭალისთან“, ისე „ჭალა აგარათა“ თბილისიდან იდან სამხრეთით იგულისხმება.

რამდენიმე საკითხი დაგვრჩია. ერთი ასეთია საკითხი „დასოს“ ადგილმდებარეობის შესახებ. „დასო“ უეპველს კავშირშია „აგარანთან“ და „აგარათა ჭალისთან“.

საქართველოს მეფეებს, ჩოგორუ ჩანს, თბილისიდან „დასოს გას-ელა“ ჩეეულებად ჰქონდათ. ბასილი ეზოსმოძღვარი მოვათხეობს: იმისათვის, რათა ორგულობაზე არ ეფიქრნათო, თამარი თავის დი-დებულებს „არავის მისცემდა მოცალეობასა: ანუ იყუნიან წინაშე მისა, ახალებდის და საბოვარითა ღირსებისაებრ სწყალობდის და განისულებდის, ანუ თუით წარუდგუის, იორის პირი და მტკრუის პირი მოინადირის, მერმე დასოს შემოდგის და მუნ იბარებლინ ვიდრემდის თოვლშიან არა დამშიმის კარავი. შუნით სომხითი შემოვიდიან, ნადირობდიან ამოთა თამაშითა“.

„დასოს“ ნათელი და დამაქმაყოფილებელი განმარტება არ მოეპოვებათ არც საბას, არც ჩუბინაშვილს. საბა ისაას (9<sup>18</sup>) დამოწმე-ბით განმარტევის: „დასო მაღნარისა და ქშირისა ჩომელთაცა ფიჩ-თა სახელი არს“. დ. ჩუბინაშვილი საბასაგან დასესხებით ამბობს: „დასო, ფიჩთ, კუსტ თერნოვის, თერნი. (ზურ. ლ.) და თავისი მხრით

უშატებს: სალთო წერილში: სიხშო მაღნარისა, ფიჩნარისა(?),  
ურკოცვა-  
უაშა, დებრია, ისაი, 9 18\*.

დასახელებული ოდგილი კი ესაიაღან შემდეგია: -და აღერების  
ეითარიცა ცეცხლი უსჯულოება და ვითარიცა კლერტი ქმელი შეიქა-  
მის ცეცხლისა მიერ; და აღერებინოს დასოთა შორის შაღნარისათა და  
თანალ შექამნეს გარემონი ბორცუმანი ყოველნი.

სომხური დაბადების შესატყვიის ადგილი იძლევა:..., և ქათხუგე  
კანთავი მაკებავ... სადაც ნაგულისხმევია ნაძვის, კედარის და,  
საერთოდ, ხის მაკე ტევრი, ტყე (անտառ). ბერძნული დაბადების  
შესატყვიის ადგილია: ას კასტერა: ეს თის ბარები თუ მრავია.  
ქართველ მთარგმნელს, როგორც ჩანს, ბერძნული ეს თის ბარები:  
გადმოულია: „დასოთა შორის“, ე. ი. ბერძნული სიტყვა: თი ბარები  
(ტევრი, უღრანი, დაბურული) უთარგმნელად დაუტოვებია (შეიძ-  
ლება იმიტომ, რომ თვით „მაღნარში“ იგულისხმებოდა არა მარტო  
რ მხარეს (მუხის ტყე, ტყე), არამედ ნაწილობრივ თა ბარებ-ს ცნებაც)?  
შემდეგ დროში, როგორც ჩანს, ამ ბერძნულ სიტყვას — დასო —  
ქართულ ენაში მოქალაქეობა მოუცოვებია. მაგრამ საბასეულა გან-  
მარტება, რომელიც ესიას ქართული არასწორი თარგმანიდან გმომ-  
დინარეობს, რომ შართუბული ვერაა, ეს კარგად ჩანს როგორც ბერ-  
ძნული დედნიდან, ისე სომხური თარგმანიდანაც. დასო ფიჩი კი არ  
არის, არამედ ტყე, ტევრი სიხშო (იგულისხმება მაღნარის).

გასილი ეზოსმოძღვრიდან ზემოთ მოტანილი ოდგილი მოწმობს,  
რომ ეს დასო თბილისის სანახებში მაღლობ ოდგილშე ყოფილა: ით-  
რისა და მტკერის პირის მონაცირების შემდევ თამარიო თავისი კა-  
რით „ზერმე დასოს შემოდი ის“, ასე რომ ეს დასო ხშირი ტყით  
დაფარული ოდგილია მთაში, თბილისის მიდამოებში. აქ ამ დასოს  
მეტე ხანგრძლივად დგას თავისი კარით, — ზამთრამდე: „კიდრე თოვ-  
ლან არ დაამძიმის კარავი“. დასოს, იგულისხმება ზაფხულ-შემოდ-  
გომაზე დგანან: ნაღირობით იორისა და მტკერის პირებს მოიღლიან  
(იგულისხმება გაზაფხული), ზამთარში „სომხითს შემოვიდიან, ნა-  
დირობდიან ამოთა თამაშითა“<sup>51</sup>. დასოს სასახლეები არაა: იქ კარვებ-  
ში დგანან, იგულისხმება, ზაფხულში.

მრიგად, დასო იყო თბილისის მიღამოებში მთი-  
ა ადგილას ხშირი ტყე (მაღნარი), სადაც მეცე  
თავისი კარით ზაფხულსა და შემოდგომას ატა-  
რებდა.

51 „გამიანი რომელ არს სანაღირო ქალაქი(?)“.

კოტა რამ სინათლე ამ საკითხში შესაძლებელია კიდევ შევთან  
ნოთ, თუ ხსენებული აეტორის სხვა მოწმობასაც ჩაუყოფილი გადა  
ბასილი ეზოსმოძღვარი ამბობს; თამარ მეფე ნაქარმფედური შემცირ  
როცა სენი გმოაჩნდა. ვეადმიყოფი მეფე „წარმოიყვანეს კუპონთა  
ტფილის“ და შემდგომად მცირეთა დღეთა ენებათ ჩეულებისა-  
მებრ, აათა დასოს განვიდინენ. ისწრაფდეს და მუნ წარიყვანეს კუ-  
ბონთავე და დიდად გაძნელდა სენი იგი უწყალო და კუალად წარმოი-  
ყუანეს აგარათა ციხესა<sup>22</sup>. აქედან ჩანს, რომ დასო თბილისიდან რა-  
მოდენადმე დაშორებული ყოფილა: ავადმყოფი თამარი ქალაქიდან  
დასოს „კუბონთავე“, ე. ი. ჯორებზე თუ სხვა სახედაზ ცხოველზე გა-  
მართული „პალანკინით“ წაუყვანიათ. მაგრამ მოტანილ მოწმობაში-  
სხვა გარემოებაც შეიძლება არანაკლებ საყურადღებო იყოს. ავტო-  
რის გამოთქმებით თამარი ნაქარმავევიდან აწარ მოიც უანეს ს-  
ტფილის სისტემაზე; თბილისიდან „წარიც კანეს“ დასოს, ხოლო აქედან  
კი უწყალად წარმოიც კანეს აგარათა ციხესა“. არა გვევინია შე-  
მოხვევითი იყოს ჩვენ მიერ ხაზგასმული ზმინის ასეთ ფორმებში მო-  
უვანა. ისე გამოდის, რომ აეტორს აგარათა ციხე და დასო თბილისი-  
დან ერთი მიმართულებით ეგულება და ამავე დროს აგარათა ციხე-  
უფრო ახლოა ქალაქიდან, ვიდრე დასო. აქვე გვეიხსენოთ, რომ ეს-  
დასო იყო მაღნარი მთაში და მოვალე ვიქენებით დავასკვნათ,  
რომ თბილისის დასო საგულვებებელია აწინ დელი-  
კორის ციხის სამხრეთ-დასავლეთით.

ასეთ ადგილად ჩვენ კაბენი გეერჩენება. ამის გვაფიქრებინებს-  
მისი მდებარეობა და ბუნებრივი თვისებები. აქვე თამარის უკლესია,  
შეიძლება სწორედ ამისივე მოწმობა იყოს.

ზემოთ ჩვენ „ისტორიანი და აზმანის“ ერთი ადგილის შესწორე-  
ბა ვცადეთ: „დასათა“ აღვადგინეთ „დასოთა“-ს. თუ ეს ჩვენი კო-  
ნიერტურა სწორია, მაშინ „აგარათა ჭალა“ იქვე<sup>23</sup> უნდა ვიგულისხ-  
მოთ, სადაც დასო; მართლაც, მას შემდგე, რაც ჩვენ აგარათა ციხის  
აღვილმდებარეობა დავადგინეთ, აგარათა ჭალა შეიძლება მნილოდ  
იქ ვეძიოთ, სადაც დასო ვიკარაულეთ. აქა ის ერთადერთი მთიანი  
ადგილი, ტყით დაფარული, რომელსაც შემვენოდა ამავე დროს აგა-  
რათა ჭალაც ყოფილიყო („ტყე მდინარის პირზე და დაბალთა აღგი-  
ლას“ ჩუბინაშვილის ლექსიკონით. მდინარე აქ საურეოსის ჩევია, ხო-

<sup>22</sup> ბ. ე. მ., 32—33.

<sup>23</sup> ახლო-თე იგვევ?

ლო ეს ადგილი დაბალია აგარათა მცმართ, რომლის „კალა“ ის, ანუ ტომას, შეიძლებოდა ყოფილიყო <sup>34)</sup>.

ეხლა, მას შემდეგ რაც დავადგინეთ „აგარათა“ და „აგარათა ტერიტორიაზე“ ადგილშედებარეობა, რომ ის სომხითში იყო, რომ ის სახაფხულო ადგილი იყო, — ორაფერი გვიშლის ჸელს, რომ ერთი მეორეს შევარიგოთ ისტორიანი და აზმანისა, ბასილი ეწოსმოძღვრისა, ლაშას დროის მემატიანისა და იოანე ბატონიშვილის ცნობები თამარ მეფის გარდაცვალების ადგილის შესახებ <sup>35)</sup>.

თამარ მეფე გარდაიცვალა სომხითში, აგარათა ციხეში (ანუ „აგარათა სომხითისათა“), რომელსაც იმ დროს, ჩანს, ტაბაქმელაც ეწოდებოდა. „ზემო ტაბაქმელა“ ეს უნდა იოანე ბატონიშვილის გლოსა იყოს. მაინც და მაინც იოანე ბატონიშვილს კარგად სცოდნია, თუ აგარათა ციხე სად იყო. ამიტომაც განმარტა მან „ტაბაქმელა“ (კელსა დგომასა შინა...). „ზემო ტაბაქმელად“.

რა შეიძლეთ ჩვენი ამ მცირე დაკვირვებიდან?

ობილისის გარშემო ძეველ დროს მრავალი აგარა იყო <sup>36)</sup>. ამ ავარაებიდან სახელი „აგარანი“ შეიჩინა ქალაქის სამხრეთით შედებარე სოფლებს, საღაც სახაფხულო საღვერები პქნონდათ ქალაქის მაღალ საზოგადოებს (არაბ მირას, ქართველ მეფეს მისი კარით). ამ აგარაებზე დიდი საქარავნო გზა გაღიოდა და იქ, საღაც გზასაყაჩი იქმნებოდა, ციხე იყო, რომელსაც იგარათა ციხე ეწოდებოდა. აგარათა

<sup>34)</sup> აյ ჩვენ იმ დებულებიდან გამოვდივართ, რომ „აგარათა ჭალა“ უშეალო ნაწილია „აგარანის“, როგორც ტერიტორიულ-სამეცნიერო ერთეულის. მაგრავ სავარაუდებელია სხვაგვარი ვითარებაც „აგარათა ჭალა“ შეიძლება ამ დროს „აგარათანი“ კავშირი არც ჰქონდეს. შეიძლება „აგარათა ჭალა“ უფრო ძველი დროის საგეოგრაფიო სახელი იყოს, როცა ციხება „აგარანი“ გვერ კიდევ არ დავიწროებულიყო, გვერ კიდევ ერთი დაბის და ციხის სახელად იმ ქედებისუთ, ამამედ კაწიანისიდან შეიძლის ტაბაქმელა/კაფუორს (და კიდევ სხვას?) ჯველს საკითხოდ ეწოდებოდა. ასეთი ეთარების გათვალისწინებით „აგარათა ჭალა“ აწინდელ თართა ჭალაშიაც თავისუფლად მოთავსდებოდა... და ჩვენი კონიერტერია (დასოთავ დასოთავი) უმართობული იღმოჩნდებოდა: აგარათა ციხიდან დასოს დაშორება გამოიჩინდა, ხოლო აგარათა ციხის ადგილშედებარებია ჩვენ საჩიტონიდ დადგენილად შეივინდა.

<sup>35)</sup> იხ. იმის შესახებ აკად. ტ. კვერცხის ქ. ისტორიანი და აზრინი შაჩავანდვერთანი (ცდა ტექსტის აღდგენისა), შესავალი წერილი, გვ. 40—41.

<sup>36)</sup> „გარეუბნები“, „ქალაქის პირა სოფლები“, კაწიანისი, შეიძლისი, წავერისი, ტაბაქმელა, კოფორი, კალორებანი, ვერა, უაკე, სამურთალა, ღიღუბე, კვარ, ჩელრ-ტერი და სხვ.

ციხე ქართველ მეფეთა საზაფხულო საღვური იყო. ექვე აჭარა (ტყე-მალნარი), სადაც მეფე თავისი კარით ზაფხულს ატარებდა, აქვე შეიძლება ყოფილით „აგარათა ჰალა“ (ან, შესაძლებელია რეალური მტკრის პირის იყოს ნაგულისმმეფე, თუ მას ძელი დროის უკანასკნელი მტკრის ნაქმდ ვიცირაუდებო და ეირჩოდ გავემულ აგარას დავაშორებო). აგარათა ციხე XI საუკუნის 60-იან წლებში ბაგრატ მეფემ განძის პატრიონს შაართვა. ცოტა ხნის შემდეგ განძის ამირა ფადლონმა ეს ციხე ისევ ხელთ იკლო, შაგრამ ბაგრატ მეფემ სამი თვის ბრძოლით დადაც აიღო ის.

„დიდი თერქობისას“ აგარათა ციხე ისევ მტრის (თერქების) ხელში გადავიდა და მხოლოდ 1118 წელს აიღო იგი დავით აღმაშენებელმა ერთი დღის ბრძოლით.

1123 წელს დავითმა ეს ციხე ივანე ორბელის უწყალობა.

1177 წელს აგარათა ციხე დემნა-ორბელთა შეოქმულების ბუღე იყო.

ამავე წელს გორგი მეფემ ეს ციხე 25 დღის ბრძოლით აიღო.

ამიტომ აგარათა ციხე გორგი მეფისა და, შემდეგ, თამარის ხელთ იყო.

თამარ მეფე ამ ციხეში გარდაიცვალა.

XV საუკუნეში აგარათა ციხეს კოერის ციხე ეწოდება. ის ამ დროს სოლალაშვილების ხელთაა.

XV საუკუნის უკანასკნელ მეოთხელში კოერის ციხე თურქმანება აიღეს და ძლიერ დააზიანეს.

ძეელ დროს აგარათა საციხისთაოში ბეთანიაც შედიოდა.

საინტერესო საკითხი იმის შესახებ, თუ როგორი იყო ურთიერთობა ძეელი დროის აგარათა საციხისთაოსა და ვეიანი ხანის სოლალაშეილების სათავაზო ტერიტორიას შორის, ცალკე კვლევის საგანს შეადგენს.

მ. ბროსე ვასტშტისეულ საქართველოს ისტორიის თარგმნისას (*Histoire de la Géorgie... 1-re partie.., 399 n 1*) აგარანის შესახებ შენიშვნაში ამბობს: *dans l'Additions au règne de Giorgi III la note relative à cette localité, que mes M-its nomment ici Agara, au lieu de la forme plurielle Agaran i.*

მითითებულ ადგილის (*Additions XVI, 259*) ავტორს განთაღული აქვს საკითხი ამ საგეოგრაფიო სახელის შესახებ. მკვდევარს ეკვიც არ შესდის იმაში, რომ ქართული წყაროების აგარანი და სტეფანოს ორბელიანის აგარავი (იხ. Պაտმოსტების სართმებრივ ქართველობა, არარაულ სოხინნასტ Օრბელანს არქამების კოպიაზე).

Մինյաց: Թիֆլիս, 1910, զ. 33. 379, 383, 384, 385) ընթուածութեան օգոզ և ազգագրագուու սաხելուա.

Հաւ Շեքեբա յահուալու Ռյահուացն ազարանու-ս, ծրութիւն մշեա յախթիւս ցանմարմբաս (Additions. p. 180), հռութեան սահելու ցիոնց մատուցուա մզել ցարդանու և տայու մերուու շրտոց; „Une foule d'autres passages des Annales nous montrent clairement que Agarani était le nom d'un canton de la Géorgie méridionale, H. de la Gé. p. 334, 5; 398, 9; et un autre texte très décisif nous fait voir non moins clairement qu'il y avait en ce lieu une forteresse du même nom“. Ցէվլցարս օչպէ մրայքս Տրէցանու-սուցան ու օջուլցան, սագաւ, մուս անուու, յահուալու Ռյահուացն ազարանու Շըսանցան օջուլցա լասախելցանուո. Իրազորը նշմորը դաշունաեց, ծրուցու Շըսամլցանուա մուհինու „ազարանուս“ և „ազարայցու“ ցայցոցն, թաշրամ Տրէցանուուս և յահուալու Ռյահուացն Շըշտանեմբեցնուա մուս Շըմլցաց հիւնա. յահուալու Ռյահուացն ասախելցան ազար անուս, Տրէցանուու յու: առաւ նմա... Ազարակն առպի դարապասի (379); նատեր իվանէ... յԱզարակն կոչեցեալ դարապասի (383); եկեալ էին առ նա յԱզարակն դարապաս (384); Գէորգի եկեալ և ոչ դասւ գնասա յԱզարակին (385).

Ցրուց եցացա ամ և նեցանձա յահուալ-սոմեց Ռյահուացն հցենցաւա թորուս և մատ Շըշտանեմբեց լունուան պատուած. Տրէցանուուտ ամ ազարայց „գարձանու“ ցիոնց մատուցուա (383), ծրուց յմբեց և մերուա-հատուանու և սացուցրացու սահելս գար ան ան գար սայտ սահելս վունուած. ու առա գարիմենց նախուու, հռու մուս մոյր նախուու ջար-ծան սիրուց ու օջուլցա, Տրէցանուու հռու մասախելցան, թացրամ մուս յայցու առ Շեքան մումու, հռու ազարայու յայց ազարանու և մուշու մայունու (ցարդանուն) սահելու, եռլու գարձանու յար-յարու պանցիւ ամ ազարայցն. մուսնու Շըսամամուա մէվլցարս և մերուանու Ռյահուան տարց-մանուսն և Տրէցա-Տրէցանու առ մուղցա Ծայքսիւ, հռուա առնունաց յուղաց: „Tous ces motifs me forceent à m'écartier un peu de la rigueur littérale des quatre textes arméniens cités au commencement de cette note et de traduire:—Le roi lui donna (à Ivané), la lieu dit Darbas, dans l' Agarac; — Pendant qu'il était dans l' Agarac, ainsi nommée de Darbas;—Tous s'étaient rendus auprès de lui, à Darbas, dans l' Agarac; Le roi ne les trouva pas dans Agarac“.

Երտու Տրէցա, հցեն մէվլցարս և մուս ցամուցանու, հռու Տրէցանուու ու այցու, հռու հցեն աշտորու, ազարայց մուշու մայունուն

უწოდებდა, წოლო დარბაზს ამ ქვეყნის (აგარაჟის) ერთურთ ტექსტი/ ტად გულისხმობდა.

მაგრამ, თუ ადამიანი სომხურ წყაროს ჩაუკვირდებოდა, მაგრამ დაინახეს, რომ სტეფანოსი აგარაჟი მთელ მხარეს არ გულისხმობდა და და არც „დარბაზს“ გულისხმობდა „აგარაჟის“ ერთ-ერთ პუნქტად.

სტეფანოსის ეს აგარაჟი არის „სახლი სალხინო“, „სახლი სათამაზო“: მწნავ ნათესტ რყანას სეღარებრ և ირყოფტ ჩატოფტ კ Ագარაჟის կიჯისესა და მარატას ს խრაჭანაები წ მწარის... (383)... და ამ აგარაჟს, როგორც ამ მოწმობიდანეე ჩანს, ჰევია და არ პაზი, მაგრამ ის შეიძლება დასახელებული იყოს აგრეთვე მხოლოდ „აგარაჟი“-ად (385). ასე რომ სტეფანოსის „აგარაჟი“ მხარეს, ქვეყანას არ ნიშნავს. უკელაზე მართებული ჩანს, რომ სტეფანოსს აგარაჟი „სადგური საზაფხულოდ“ (საბა) ესმის.

ამისგან დამოუკიდებლად, შეუძლებლად არ გვეჩერენება, რომ ქართული წყაროების აგარანი და სტეფანოს ორბელიანის „აგარაჟი—დარბაზი“ ერთი შეორეს ემთხვეოდნენ: ბეთანია—ორბელთა საძვალე (სტეფანოსი, 378) საგულისხმო ფაქტია... მართლაც და, სტეფანოსის ეს აგარაჟი დიდიშნიშენებულები აღილია; ის ლორესა და სამშეკილდეს გვერდით ისენიება, როგორც წყალობის საგანი; 1123 წლამდე იგი სამეფო ყოფილა (ლორე და აგარანი დავითმა, როგორც ვიკით, 1118 წელს წაართვა თურქებს); ავანუებული ორბელები და სხვა დიდებულები ამ აგარაჟს არიან თავმოყრილნი, აქვე მათი ლაშქარი, რომელიც 30000 კაცისაგან შედგება. მავე დროს მეფე თბილისშია გამავრებული. არაფერი არ გვიშლის ხელს, რომ ეს ავანუებული მათი ლაშქრით წართული წყაროების „აგარათა“-ში წარმოვიდგინოთ.

სტეფანოსით ისე გამოდის, რომ მეფესა და ავანუებულთ შორის უნდა გამართულიყო „მი-და-მო საუბარი კელოვნად“, რის შედეგად მეფეს აჯანყებული დიდებულები მჩავლად გადაუბირებია (384—385). აჯანყებულთა მხარე შესუსტებულა და ივანე ორბელსაც დაუტოვებია დარბაზი (=აგარაჟი), სიმღიდორე-საგანძურო სამშეილდის ციხეში (ჩ რხეფტნ Շოմշույլտნ) დაუხიზნავს და მთელი თავისი ძალით ტაშირს წასულა და ლორეს ციხე-ქალაქში გამავრებულა.

შეუე გიორგი, რავი გამლიერებულა, დიდის მომზადებით აჯანყებულთ წინააღმდეგ შეტევაზე გადმოსულა. მეფე აგარაჟს მისულა, სადაც მას ავანუებულები უგულებოდა და, რავი ისინი აქ არ დაპვეტრია, ციხე ხისარისათვის აღყა შემოუტრყამს, ოცდა მეხუთე დღეზე აულია ის, მეციხოვნეები გაუწყვეტია, ორბელის ქო-



ნებას დაპატირონებია, იქედან წისულა და ლორეს გარშემო დაუბა  
ნაცემი (385—386).

ქართული წყაროთიც გიორგი მეცემ ამ ბრძოლის დროზე აფიშის  
პანიკა აღარათა<sup>6</sup>. ჩეენ არ მიგვაჩინია შეუძლებლად ქართულ-სომხუ-  
რი ცნობების შეთანხმება. ის გარემოება, რომ ორივე შეერალი ერ-  
თი მეორისაგან დამოუკიდებლად ასახელებს ერთი აგარანს, მეორე  
აკარებს, სადაც ამ ბრძოლის ეპიზოდი გათამაშდა, კუიქრობთ, უფ-  
ლებას გვიძლევს დაუშვათ, რომ ამ ორივე სახელში ერთი და იგივე  
გეოგრაფიული პუნქტი იგულისხმება.

სტეფანოსის ტექსტით იგულისხმება, რომ ციხე ხისარი  
„აგარაჟთან“ კავშირშია. მაინც და მაინც სადაო არ ჩამს, რომ ეს  
ციხე იქაა, სადაც აგარაჟი. წალ მთავაორის ზხოვაში ხელია և ქიზ  
ჭავალ ქართულ ქართულში, თავა ნათხალ ჩ ქსერავ ქხედებნ խხავა  
ყავთორა 25, ხ ხაო ქნა ხ ქოთორხავ ყავთანასან ხ ხაო ქოთორე  
ყრავდმოსტხის ფანძილე ნოგა ხ ფანძნარენ მთავაოდან, ხ ხელა  
რათასასხავა გორგ ყლოხები. (385 — 386).

თუ ბრისე მართალია (რაც ჩეენც შესაძლებლად მიგვაჩინია),  
რომ ტერმინი խხავარ არაბული სიტუეიდანაა<sup>7</sup> და აქ ციხეს, ხი-  
მაგრეს (*citadelle*) ნიშნავს<sup>8</sup>, უნდა ვაფიქროთ, რომ სტეფანო-  
სათვის სიტუეა խხავარ ზოვადი ტერმინი კი არ არის, არამედ  
ამ ციხის საკუთარი სახელი (ი. ისევე, როგორც „ისნის ციხე“).  
ამიტომ, შეიძლება დაუშვათ, რომ ეს არაბული სახელი ამ სიმაგ-  
რეს იმ თავითვე შეტქმევია, ე. ი. რომ ეს სიმაგრე აქ ჯერ კიდევ არაბ-  
თა ხანიდან არსებობს ამ სახელით.

ერთი სიტუეი ჩეენ შეუძლებლად არ მიგვაჩინია, რომ „აგარათა  
ციხეს“ სხვა სახელიც — ხისარი (პისარი, ისარი) რეშეოდა და ამ  
ციხის სანახებში ერთ-ერთი აგარა (საღვური სახაფუნულო) „დარბა-  
ზი“ ყოფილიყო.

### ٦٣ حصار Siege, blosus (?)

ამ სიტუეის გამო ბრისე ჩეირშენავს: „Je ne fais aucun doute que ce  
mot arabe, si singulièrement employé ici, et qui signifie citadelle, ne  
soit un attribut de Samchwilde, dont il vient d'être parlé: comme du  
dépôt des trésors d'Ivané<sup>9</sup>. ქართულ მასალებში ასეთი ტერმინი ციხისათვის  
(სიმაგრისათვის) ჩეენ დამოწმებული არა გვაქვს. თურქეულში ის უნდა ვაფი-  
ლიყო (დამიდასტურა თურქოლობმა ს. ჯ ა ქ ი ა მ). ამის მოწმობაა სათანადო  
საფორტოავით სახელი იმაღლებში: შისარი. (ასეთი სახელიდან ნაწარმოებად  
გამოიკვერება გვარი ისარლაშეილი—შისარი + ლი + შეილი).

1948 წლის 30 მაისს ჩემი ასპირანტებით ისევ სომხით-გორგანულ კერძოების კოურსის გზიდან ტაბახმელას გადაუხევით და „ს ერებითი“ (ისევ ეწოდება მთის ზურგს) შევნაბადი ადასაკენ წამტკიციანულ კავშირს ტაბახმელასა და შევნაბადას შეუა ერთ დავაკებულ ადგილზე დასაცავი და შევი ეწოდება. ლოც. გ. ბრეგვაძის ცხობით (ის აქ მეტყველ იყო და დიღდანის მუშაობდა) რუსულ რუკაზე ამ პუნქტის სახელად სანდარბაზე ბი წერია. თუ ისეა, ესეც საინტერესოა (სამუშაოროდ, ასეთი რუკა მე ვერ ვნიხე... 5 ვერსიაზე კი ასეთი რამ აღნიშნული არაა).

ნადარბაზე ვი „სანდარბაზები“ „სერების“ ზურგზეა. აქედან შესანიშნავად ჩანს თუ როგორ ერთიან მოელს და როგორ მცილონო ერთობას წარმოადგენდა თბილისი კარწანისით — შინდის — წავკისით, ტაბაზე ლაკონიური ფლევანდელი შარა თავისი ათასნირი მიხევულებით მეტისმეტად ავრიცელებს მანძილს და კოეორს თბილისიდან აშორებს); კრწანისის ბალების ბოლოზე შინდისი იწყება, ხოლო ტაბახმელა შინდისის გვერდითვე, იქვე წავკისც. აქვე, ხელს გაიწვდი, კოეორია. ასე რომ ეს „აგარავები“ უშუალო მიღამოებია თბილისისა... ნადარბაზე ვი შესანიშნავი ადგილია, სააგარავო (და ყველა ეს ადგილები სააგარავო). ტერიტორიულად ეს ნადარბაზევე ტაბახმელაში შეფის. შეიძლება ვამტკიცოთ, რომ თამარის ტაბახმელა აქ ყოფილიყო, უკეთ, თამარის სასახლე აქ ყოფილიყო, მაგრამ მაშინ გიორგი მეფის (თამარის მამის) სასახლეც (საზაფხულო) აქ უნდა ვიკულისხმოთ. აქ სასახლე მეტად მოხერხებული ჩანს, ის, კაცმა რომ თქვას. თბილისშივეა, და, გასაგებია, რომ მეტეს შეეძლო აქ დიდხანს ყოფილიყო.

თუ ამ ნადარბაზევს მართლაც მეფის ნადარბაზევად ვივარაულებდით, მაშინ ვარდანის ცნობა მეტად ნიშანდობლივი ჩანს, რომ გორგი მეცე დემნას აჯანყებისას სახატე ს იღვაო. სტ. ორბელიანის ცნობით ივანე ორბელი ამ დროს აგარაკის იყო, რომელსაც დარბაზი ეწოდებოდა. ვარდანის ცნობით ივანემ და მისმა მოყიდულება გიორგის შეპყრობა გადაწყვიტეს, რომელიც სატატე ს იღვაო. მეცე, როგორც კონტექსტიდან ჩანს, თბილისის ახლოა, მას შეატყობინეს მოსალოდნელი ხიფათის შესტეპ და ისიც სახატედან თბილისს ვაიქცა. ორბელი მართლაც დაესხა სახატეს და სისახლე დაიკირა და დაწყო დიპლომატიური საუბარი... ჩანს, იკანე თაბაზე ლი უფრო შორს იყო თბილისიდან (ანუ მისი „დარბაზი“ და შეტკიცია გარდანით), თავისი „დარბაზიც“ დასტოვა (სტედარბაზი) დასტოვა (ვარდანით), თავისი „დარბაზიც“ დასტოვა (სტე-

ფარნისით) და ლორქეს წავიდა. მეცე კი გაჩით ხისარს (ციხეს) შემზრდება (სტეფანოსით), თოლო და შემდეგ ლორქესაკენ წავიდა... ქართული წყაროთი მეცე, ლორქეს მორბევის შემდეგ, აგარათა დაჭრული ციცა აკარათა“ აქ, კოიქრობ, ცველა ამ აგარაბეს ნიშანეს, მავრი მიმკრებული ტესად — კოტრის ციხეს...). ქართულ-სომხური წყაროების ჩვენებათა შეთამშება შეიძლება: ისინი ბრძოლის ერთი და იმავე მომენტის აღნიშვნისას ყურადღებას მის სხვადასხვა მხარეს აქცევენ.

ასე რომ ჩვენ ეს სურათი შემდევნაირად გვესახება: მეცე იდგა სახატეს („ნადარბაზევს“). ორბელები იჯდნენ ზემო ტაპაშმელის (კოკორის ანუ აგარაკის — დარბაზის). ივანე სახატეს დაესწა. მეცე თბილის ჩაიყერა. ივანემ სახატე დაიკირა. მეცე გაძლიერდა. სახატეც დაიბრუნა და ივანეს სასახლე (დარბაზი) და ციხეც (ნისარი). ისეთი სურათის დადგვნის მართებულობას მოწმობს, კოიქრობთ, სახელის ა ა ტ ე. უძველია, ის დაკავშირებულია ხ ა ტ თ ა ნ: ეს ადგილი, სადაც მეფის სასახლე იყო, სახატედ იწოდებოდა. ეხლა, თუ გაეიძნებოთ, რომ სწორედ ეს ადგილი ნადარბაზე ც ვ ი აწინდელი თელურის ჩრდილოეთით, მისივე მიღამოშია, ხოლო ეს თელური კი არის დღეს განთქმული თავისი ხ ა ტ ი თ, სადაც მლოცველები უშორესი მანძილებიდან მოდიან და ამის გამოვე ეს სოფელი ხ ა ტ ი ს თ ე ლ ე თ ა დ იწოდება, ჩვენ შეგვიძლია უფრო მეტის დარწმუნებით ვივრაულოთ, რომ იმ ადგილს, სადაც მეფის დარბაზი იყო აქვე ამლოს, სა ხ ა ტ ე ეწოდებოდა.

არა საფიქრებელი, რომ ს ა ა ტ ე შავნაბადა (შავნაბადი?) იყო. აქ ხატის სიძველე დამოწმებული არაა, ხატისთელეთისა კი უდავოა. სახატე რომ შავნაბადზე დაგვეშვა, მაშინ ნადარბაზევი ივანე ორბელის დარბაზად უნდა გვევარაულნა, მაგრამ, ჯერ ერთი, ესენი ერთი მეორესაგან მეტისმეტად ამლოს არიან და მეორეც, სტეფანოსით ისე ჩანს, რომ ივანეს დარბაზთან ციხეც არის („ხისარი“). ამიტომ უფრო ბუნებრივად მიგვაჩინა პირველი გაგება, მიუხედავად იმისა, რომ შ ა პ ნ ა ბ ა დ ი (ასე უწოდებს შავნაბადას აქ ეკლესის ვ ა ნ მ ა ა ხ ლ ე ბ ე ლ ი ბურთიყოვი — თბილისელი ვაჭარი 1842 წელს) შეიძლებოდა მეფის სახელს დაკავშირებოდა...

## ურთი ისტორიულ-გეოგრაფიული მოგლენის გამო \* (1952 წ.)

„რუსთველიანას“ ავტორი პ. ინგოროვა<sup>1</sup> ამტკიცებს, რომ „რუსთველი მდებარეობდა პერეთში“, რომ ეს „პერეთის რუსთავი მეტად მნიშვნელოვან პუნქტად ითვლებოდა უძველესი დროიდანვე მოკიდებული“<sup>2</sup>.

ვახუშტი პ-ლი მკვლევარის მმ დებულებას აჩ ამოწმებს. ვახუშტის ცნობით რუსთავი კახეთში შედიოდა და მისი ერთ-ერთი საერთისთავოს პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა. კვირიკე მეფემ (X I ს.), მოგვითხრობს ვახუშტი, ერისთავები „დასხნა სამი კახეთს და ოთხი პერეთს და კახეთისა (ხაზი ჩემია ნ. ბ.) ერთი რუსთავეს და მისცა სრულიად კუხეთი, რომელ არს ნაგები, ყარაია, ჩაღივარ-სამგორი, უჯარმა, ლილო, მარტყოფი, გრდანი, ხერკი, და თანამეთი არავის კერძო კუნძანამდე. მეორე დასვა კვეტერისა“ და ა. შ.<sup>3</sup> თემობრივად რუსთავის საერთისთვო იყო „სრულიად კუხეთი“.

ვახუშტი არა თვლიდა, რომ ეს (კუხეთის ან რუსთავის) საერთისთვო პირველად კვირიკე მეფემ დააარსა. მან კარგად იკოდა (ლეონტი-ჭუანშერიძან), რომ ეს საერთისთვო მეოთხე საუკუნიდანვე აჩსებობდა.

პერეთ-კახეთის საზღვარზე მდებარე რუსთავი რომ პერეთში კი არა, არამედ კახეთში (კუხეთში) შედიოდა, ამას ის გარემოებაც მოწმობს, რომ რუსთველი ეპისკოპოსის სამწყსო იყო არა პერეთი

\* იბეჭდება პირველად.

<sup>1</sup> რუსთველიანა, 1926, გვ. 149, 150 და სხვ.

<sup>2</sup> ავტორი გულისხმობს საქართველოს ისტორიის როგორც წინა, ისე მისი ფულალური ურთიერთობის ხანას.

<sup>3</sup> ხაյ. ქხოვტება 1469—1800-შედე ბატონიშვილი ვახუშტის შექმ, მეორე გამოცემა ზ. ჭიქინაძისაგან 1913 წ., გვ. 151.

(ე. ი. რუსთავის სამხრეთ-აღმოსავლეთი), არამედ სწორედ ის ჟეკები ნა — კუხეთი, რომელიც, ვახუშტით, რუსთავის საერისთავოში შედიოდა, ამასვე მოწმობს, რომ რუსთველი ეპისკოპოსი გვიპტინის შემდეგ (რუსთავის მოშლის შემდეგ) მარტყოფში (ლეთაებში) შეიძლო.

ვახუშტის მიერ მოწოდებული ცნობა კუხეთის საერისთავოსადა მისი ტერიტორიის შესახებ რომ რეალურ ისტორიულია, ეს იქნანაც ჩანს, რომ XII საუკუნეში რუსთავის ერისთავი სწორედ ამავე ტერიტორიის პატრიარქი ჩანს, ე. ი. რომ რუსთავის საერისთავოს ტერიტორია ძველივე დარჩენილა.

3. ინგორიოვა სწორად აღნიშნავს (ვახუშტისა და სხვა „ძეველ ქართული წყაროების ცნობების“ მიხედვით), რომ „რუსთავი ოთვლებოდა ჰერეთის და კახეთის პროვინციების საზღვრად“ (რუსთველიანა, 150). შემდეგ კი მკვლევარი უმატებს მეტად მნიშვნელოვან (ხოლო მისი ამოცანისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის) მომენტს: „ამიტომ პოლიტიკური დ (ხაზგასმა მისივე) რუსთავი და მისი რაიონი ხან ჰერეთის საზღვრებში იყო მოქცეული, და ხან კი კახეთის საზღვრებში შედიოდა“ (იქვე). სამწუხაროლ, მკვლევარი არ ცდილა, რათა აქვე მოეტანა მისი ამოცანისათვის აგრე დიდმნიშვნელოვანი დებულების ტაბამტკიცებული მოწმობა, ე. ი. რომ რუსთავი „ხან ჰერეთის საზღვრებში იყო მოქცეული“.

შემდეგ პ. ინგორიოვა, რუსთავის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე საუბრისას, შენიშვნაში მიუთითებს ძეველ ქართულ საისტორიო წყაროებს, სადაც ეს რუსთავი. (ჩვენი ავტორის მტკიცებით — „ჰერეთის რუსთავი“) არის მოხსენებული. მითითებული ადგილები მართლაც მოწმობენ, რომ რუსთავი ძეველ საქართველოში მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური პუნქტი იყო, მაგრამ, სამწუხაროლ, არც ერთი ეს დასახელებული ადგილი არ მოწმობს, რომ რუსთავი ოდესაშე ჰერეთში ყოფილიყოს, რომ ის „ჰერეთის რუსთავი“ იყოს, ხოლო იმის მოწმობა, რომ ეს რუსთავი ჰერეთში არ იყო, რომ ის კუხეთში იყო, არა ერთხელ არის იქვე ხაზგასმული.

ლეონტი მროველით ქართლის ის გარდაცვალების „შემდგომად ცოლძან მისმან... აღაშენა ბოსტან-ქალაქი, რომელსა ამ ჰერიან რუსთავი“. შემდეგ ქართლოსის ცოლმა ქმრის სამკეიდრო ქვეყანა (ქართლი) თავის ხუთ შეიღს (ქართლოსის ძეგბის) გაუნაწილა და მათ შორის კუხოსს<sup>4</sup>, „მისცა ბოსტან ქალაქი, რომელსა ამ ჰერიან რუს-

\* წყაროში წერია „კახოს“, მაგრამ ყველა სხვა ჩვენებით დუდანი დამახინებულია და „კახოს“ ნაცვლად თავდაპირველად აქ ეწერთ „კუხოსს“.

თავი, მისცა ქავეოთვან კიდრე თავალმდე მთავა კახეთისასა და  
მტკუანსა შეა<sup>5</sup>.

ამ დამახინჯებული ადგილიდან ის მაინც უდავოა, ჩაუძლია უნდა  
მროველს ჩუსთავი კუხეთის პოლიტიკურ ცენტრად ეგულება (ისე-  
ვე როგორც გარდაბანის პოლიტიკური ცენტრი, მასევე აზრით, იყო  
ხუნანი, კახეთისა ჩელეთი და ა. შ.). ასე რომ, ლეონტის წარმოდგე-  
ნით, რუსთავი „ქართლ ში“ იყო, ქართლოსის ცოლის მიერ  
იყო აშენებული და შეადგენდა ქართლოსის ერთ-ერთი შეილის კუ-  
ხოსის წილს. ამდენადევ (ლეონტის წარმოდგენით) რუსთავს პე-  
რეთთან არავითარი კავშირი არ აქვთ: პერეთი  
ამ უძველეს დროს, ლეონტის გავებით, ქართლის-დაგვარი  
პოლიტიკური ერთოფული იყო, — ქართლოსის ძმის პერისის წილი.

სწავ ადგილის ლეონტი ისევე გარკვევით უჩენებს, რომ რუსთავი  
იყო კუხეთის საერისთავოს პოლიტიკური ცენტრი.

მეცე ბაქარ მირიანის ძემ თავისი ძმის რევის შეილი, ქართლის  
ტახტის მოცილე, შემოირიგა. „დააწერინა კელითწერილი ძმის-  
წულსა მისსა და დედასა მისსა სალომეს“, რომ „არა ოდეს ძებნონ  
მეფობა ნათესავთა რევისთა.

მაშინ ღა მოყვაბ[ნ]ე ძმისწული მცინი და მისცა კუხეთი და  
დასწავლა რუსთავის ერისთავად<sup>6</sup>. აქედან ცხადია, რომ, ლეონტის წარ-  
მოდგენით, რუსთავი კუნეთშია და რუსთავის სა-  
ერისთავო კვეყანა კუნეთი.

გუანშერი ერთიგან მირიან მეფის ჩამომაჯლობაზე ჩამოაგდებს  
სიტყვის და აღნიშნავს, რომ ვახტანგ (ვორგასალი) და მისი დები  
ბაქარ მირიანის ძისაგან ჩამომაჯლობდნენ, „ხოლო მირიან და გრი-  
გოლ იყუნეს ნათესავისაგან რევის, მირიანის ძმისა და აქუნდა მათ  
კუხეთი და ცხორებდეს რუსთავს კუხე-ქალაქსა<sup>7</sup>. აქედან ცხადია,  
რომ, ისევე როგორც ლეონტი, კუნეთშერიც რუსთავს კუ-  
ნეთის პოლიტიკურ ცენტრად გულისხმობს.

ამზიგად, ლეონტი, კუანშერი და ვახტეტი თანხმობით უჩენებენ,  
რომ რუსთავი „ქართლ ში“ მდებარეობდა კუნეთის თემში  
და ამ თემის გამგებელებისთავის ადგილია<sup>8</sup>-  
კუნელი იყო; რომ, უფრო გვიან, რუსთავის  
საერისთავო კახეთის სამეფოში შედიოდა. ამ-

<sup>5</sup> ლეონტი მრთველი, ან ლეონტლისერლი ნესტა, 5.

<sup>6</sup> იქმა, გვ. 84—85.

<sup>7</sup> კუანშერი, ან დედოფლისერლი ნესტა, გვ. 105.

დენადვე ეს ავტორები რუსთავს პერეთში ღულის ხმები და გულის ხმობდნენ. სამწერაოთა, რომ პ. ინგოროვების საკმარ ყურადღება არ წარიჩებულია მის ამ ცნობებისათვის და არ ცდილა უარეული ან შეესწორებინა სტატია ნებული ავტორების ეს კატეგორიული ხსიათის ჩვენებანი.

პერეთში რუსთავს (ისევე როგორც ვეფხის-ტყაოსნის ავტორის პერობას და მის პერეთის ერთსთავობას) პ-ლი პ. ინგოროვები თეომურაზ ბატონიშვილის ცნობის მიხედვით პერებს (რუსთველიანა, 163) და, შემდეგ, საამისოდ, სხვა კონტექსტში, ერთგვარ წერილობით ცნობასაც იშველიებს. ამ უკანასკნელის შესახებ ჩვენ ქვემოთ სპეციალურად შევწერდებით, ფერ კი თეომურაზის ცნობის შესახებ: თეომურაზ ბატონიშვილი (1843 წ.) რუსთავის შესახებ აქ არავერს ამტკიცებს. ის მხოლოდ აცხადებს, რომ რუსთავი „ქალაქი არს პერეთისა, ეს ივი გარე-კახეთისა მამული“\*. — თ. ბატონიშვილის ეს ბუნდოვანი განცხადება ორავითარ წერილობით წყაროს ან ემყარება, ის არც ანგარიშს უწევს, ზემოხსენებული ავტორების (ლეონტი, ჯუანშერი, ვახუშტი) ცნობებს, ააც ფასს უკარგავს მისი განცხადების სანდობას<sup>5</sup>.

როგორც ვხედავთ, თეომურაზ ბატონიშვილი რუსთავს პერეთის ქალაქიდ აცხადებს. ასევე გადაჭრით აცხადებს პ. ინგოროვებიც, რომ რუსთავი „მდებარეობდა პერეთში“ (რუსთველიანა, 149), მავრამ, როგორც ეტყობა, მის მაინც აწუხებს ამ დებულების საწინააღმდეგო ჩვენებანი (თუმცა ამ გარემოებას არსად არ აღნიშნავს) და შემოაქვს მოსაზრება, რომელიც ვითომცდა მოწოდებულია შეათანხმოს თრი ერთმეორის გამომრიცხვი დებულება, — თეომურაზისა ერთის მხრით და ლეონტი-ჯუანშერ-ვახუშტისა მერეს მხრით. პ. ინგოროვები აცხადებს: „ეს რუსთავი ითვლებოდა პერეთის და კახეთის პროვინციების საზღვრად; ჩრდილოეთით მისგან იწყებოდა კახეთის პროვინცია, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობდა პერეთი. მიტომ პ-ლი რა იკავებდა (ხაზებშია ავტორისა) რუსთავი და მისი რაორნი ხან პერეთის საზღვრებში იყო მოქცეული და ხან კი კახეთის საზღვრებში შედიოდა“ (რუსთველიანა, 150).

„რუსთავი და მისი რაორნი“ რომ „პოლიტიკურად“ „ხან პერეთის საზღვრებში იყო მოქცეული“ პ. ინგოროვები შემდეგნაირად

\* Е. Тахайшвили, Описание рукоописей, т. II, вып. III, гл. 586—587.

\* პერეთში ვალისხმობს რუსთავი პრიოტ. ს. კამაძეც. არც მის აღრიცხვს ლეონტის, ჯუანშერისა და ვახუშტის ჩვენებანი. ასევე როგორც პ. ინგოროვები, ეს მაცლევარიც, ჩამს, თეომურაზ ბატონიშვილის განცხადებას ემყარება. ის, ვეფხის-ტყარისანი, ტფილისი, 1927, გმირვლევა, გл. LIII და სხვ.

ცდილობს დამტკიცოს. მან იცის, რომ ჩუსთავის ცხელ აფეთქება  
რიც „რიშაყალა“-ს ანუ „არიშა-ყალა-ს“, ე. ი. არიშა კიხეს-კერძო  
დებენ (ჩუსთველიანა, 175). ამ საბუთის საცურცელზე უსწერის მიზანი  
მოსდის აზრი, რომ ჩუსთავისა და „ბოსტან-ქალაქის“ პურილი ჭამის  
ლაქს „არიში“ ეწოდებოდა (იქვე, შენიშვნა 5). შემდეგ მკვლევარი  
იშველიებს „მატიანე ქართლისახ“-ში დაცულ ცნობას, საიდანაც,  
მისი აზრით, ნიშანდობლივ ორკვევა, როგორც ის, რომ არიში „მდე-  
ბარეობდა ყარას ველზე“, აგრეთვე ისიც, რომ ეს ჩუსთავი—არიში  
ამ დროს „პოლიტიკურად“ ჰერეთში იგულისხმებოდა. მატიანე ქართ-  
ლისახ-ში კი წერია: „მაშინ (იგულისხმება X საუკუნის 20-იანი წლე-  
ბი) უკმი კვრიკე ქორპისკოპოსმან კოსტანტინე აფხაზთა მეფესა ჩა-  
ვიდეს ჰერეთად და მოადგეს კიხესა ვევინისასა. აფხაზთა მეფე მო-  
ადგა ზედათ კერძო და კვრიკე ქუემოთ და ვითარ მისწურეს წალებად,  
მაშინ ადარნას პატრიკი მოვიდა პარასკევას ჯუარსა მიუცყრა ზავის  
პირი, მოსკა აფხაზთა მეფესა არიშუ, გვაზნი და კვრიკეს ორქო-  
ბი“<sup>10</sup>.

იმ აქ მოხსენებული „არიშუ“ პ. ინგოროვას აზრით იგივეა, რაც  
ჩუსთავი (რიშა-ყალა, არიშა-ყალა, არიშის ციხე), ხოლო გავაზნი  
კი მკვლევარის აზრით იგივეა, რაც „გავაზნი იგივე ქავაზნი,  
ქოზიანი, ძეელი განიანი, დედა ციხე; იგი მდებარეობდა მტკერისა-  
და ხრამის შესართავთან (ეხლანდელი ყიზ-ყალა, იგვე დედა ციხე  
წითელ ხილთან), ე. ი. იმავე ჩუსთავის საპატრიონოს რაიონში“ (ჩუს-  
თველიანა, 175). სამწუხაროდ, მკვლევარი ამ თავის მოსაზრებას  
არ მტკიცებს (მკითხველს ის მიუთითებს სქოლიოზე, რომე-  
ლიც დღემდისაც არ გამოსულა), ხოლო სათანადო დასაბუთე-  
ბის გარეშე ამ მოსაზრების მეცნიერული ფასი მეტად სათვოა. აქვე  
(ისიც შენიშვნაში!) მკვლევარს მოაქვს ერთადერთი საბუთი იმისა,  
რომ წყაროში მოხსენებული არიშუ გავაზნი არის მის მიერ ნავარა-  
უდევა ჩუსთავი და გავაზნი (ყიზ-ყალა დედა-ციხე წითელ ხილთან);  
მკვლევარი შენიშვნას: მკითხველს, რომელიც გაცნობილია საქართ-  
ველის ისტორიულ გეოგრაფიას, რასაცეირველია კარგად მოეხსენე-  
ბა, რომ X საუკუნის დასაწყისში ერთადერთი კუთხე, სადაც ეკვრი-  
და ერთი მეორეს ქართლისა და ჰერეთის სამეცნოების ტერიტორიე-  
ბი, ეს იყო მხოლოდ ყარას ველი. მხოლოდ ამ ტერიტორიის შემო-  
ერთება შეეძლო კოსტანტინეს (ჩუსთველიანა, 175). მაგრამ აეტო-  
რის ეს საბუთი აზა ნაკლებ სადათა, ვიდრე ის მოსაზრება, რომლის  
დასამტკიცებლადაც ის არის მოტანილი. პლი მკვლევარიც გრძნობს,

<sup>10</sup> მატიანე ქართლისახ, მარაშისეული ნუსხა, 228.

უნდა ეიფიქროთ, მის სადაოობას და „უფრო დაწერილებით ამის შესახებ“ № 22 სქოლიოში გვპირდება საუბარს. სამწუხაოოდ, სქოლით, ისევე როგორც ყველა სხვა სქოლით, ღლემდე აუსაფრთხოები მრიგიდ, პ. ინგოროვა და უმტკიცებლად ტოვაზეგაურითავა ვის (მთავარ) დებულებას იმის შესახებ, რომ რუსთავი (თუნდაც „ხან“ და მხოლოდ „პოლიტიკურიად“) პერეთში იმყოფებოდა.

ჩვენ აქ ვერ შეუდგებით იმის შეცდისწევნით მტკიცებას, რომ რუსთავი X საუკუნის დასაწყისში ჰქონდა არ იგულისხმებოდა და რომ მატიანე ქართლისას არმშუ-გავაზნი არ შეიძლებოდა ყოფილი ყორუსთავი და ქაოზიანი. შევნიშნავთ მხოლოდ, რომ პ. ინგოროვას დებულება ჩვენ სარწმუნოდ არ გვეჩვენება, თუნდაც იმიტომ, რომ რუსთავი, ისევე როგორც ხუნანი, ამ დროს, საფიქრებელია, თბილის სამირის (უფრო სწორად „ქართლის სამიროს“) საზღვრებში იგულისხმებოდა. ამის მოწმობაა, რომ XI საუკუნის 60-ან წლებში რუსთავი ამირა ისხსნიება თბილისის ამირასთან ერთად. მატიანე ქართლისამ-ში კვითხულობთ: 1068 წელი იყო. სულტანი ალფარისლან ბაგრატ მეფეს ზავშე ელაპარაკებოდა. ზამთრის სიციური გამო სულტანმა გორის მიდამოებში (შერთულთა) ვერ გაძლი. ის თყვარა, ჩიმოვლო ქართლი „და წარულო (ბაგრატის ნ. ბ.) ტფილისი და რუსთავი და მისცა ფალლოს განძისა პატრიონა, არა თუ მეფეთა ჩუქუნთა მტკირობისათვის ოდენ მოსწყვიტა ტფილისი და რუსთავი ამის სამეცნია. არცა ამისთვის ქმნა, თუმცა იყი ამირა ნი ირგულად დგომილ იყუნეს მისსა კარსა შედა, არამედ კეთილისა და მსახურებისა ნაცულად ბოროტსა უყოფითან ყოველსა კაცსა<sup>11</sup>. აქედან ჩანს, რომ XI საუკუნეში რუსთავი, ისევე როგორც თბილის (სხვა წყაროებით დმანისს და, უნდა ეიფიქროთ, ხუნანისაც) ყავს ამირა, ქალაქის და ციხის პოლიტიკური პატრიონი (ამ დროს თბილისის ამირასთან ერთად ბაგრატ მეფის ყმა). რა თქმა უნდა, რუსთავი ეს ამირა XI საუკუნეში არ გასჩენია. ის ძველი დროიდანვე მოდის. მაფაქტის ნიადაგში ჩვენ საფუძველი გვაქვს ვიფიქროთ, რომ X საუკუნის დასაწყისს, თბილისის სამიროს ძლიერების (შედარებით) ხანში, რუსთავი პოლიტიკურად თბილისის („ქართლის“) სამიროში შეძლოიდა.

აქვე მეორე სიძნელე (სიძნელუნი სხვაც ბევრია, რომელთა შესახებ საუბარი ჩვენ სხვაგან, ვფიქრობთ, გვეჩნება): მატიანე ქართლისას ავტორი „რუსთავს“ არა ერთგზის ისხსნიებს და არც ერთხელ მას „არიშს“ არ უწოდებს. იმიტომ როდესაც იგივე აეტორი იმავე

<sup>11</sup> მატიანე ქართლისამ, შარიამისული ნუსხა, 272.

თხშულებაში ასახელებს „არიშუს“, ჩვენ მოვალე ვართ—ცეკვი რევა ტახოთ ამ არიშუსა და რუსთავის იგივეობაში ან, ყოველ შემოხვევაში, უნდა კვლავოთ, რათა ავსნათ ის უცნოური გარემონტიზმის მაქსი ერთი და იგივე „ვტორი ერთსა და იმავე ტექსტების“ ბაზი ერთსა და იმავე ერთგრაფიულ ადგილს, ერთი და იგივე შნიშვნელობით აღებულს, ხან რუსთავს უწოდებს და ხან კი (ერთხელ) „არიშუს“. ამიტომ ჩვენ არ გვეჩერები დამაგერებლად პ. ინგოროვას მოსაზრება იმის შესახებ, რომ „მატიანე ქართლისამ“ ამ ცნობაში „არიშუ“ იგივე რუსთავია და ეს მიუხედავიდ იმისა, რომ რუსთავს „რიშა“ შართლაც ეწოდებოდა”<sup>12</sup>.

ამის შემდეგ პ. ინგოროვა აუკრიბს მეორე და მესამე დებულებას: (2)—რომ ტერმინი „არიშიანი“ არის „საგვარეულო სახელწოდება“, რომელიც „ცხადია, წარმოსდგება სპატრონო ციხისაგან „არიში“, ისევე როგორც ეს ნაწარმოებია სხვა ძეველი დიდი გვარეულობის სახელები (ორბელიანი—ორბეთის ციხიდან, დადიანი—დადის ციხიდან და სხვ.)“ (რუსთველიანა, 174—175) და (3) — რომ „არიშიანის ადგილი“<sup>13</sup> „ეს არის სწორედ რუსთავის სამფლობელო (რუსთავ-ეინვანის თემი)“ — (რუსთველიანა, 172).

სამწუხაროდ, მკვლევარი იქაე (მისი ამოცანისათვის ამ გაიდამუკვეტი მნიშვნელობის დებულებათა დასამტკიცებლად) საკმაოდ ვერ იცლის, რათა ურწმუნო მყითხველოც დაავეროს იმაში, რაც ოვით ავტორისათვის აგრე „ცხადია“ (რუსთველიანა, 174).

დებულება, რომ „საგვარეულო სახელწოდება „არიშიანი“ წარმოდგება საპატრონო ციხისაგან—არიში“, ჩვენ დამაგერებლად არ გვეჩერება ისევე, როგორც არ მიგვაჩინა დამაგერებლად პ-ლი მკვლევარის საამისოდ მოტანილი ანალოგიები, თითქო „დადიანი“ დადას ციხიდან, ხოლო „ორბელიანი“ ორბეთის ციხიდან იყვეს ნაწარმოები.

<sup>12</sup> ამის მიზნობაა ქუას სომხური თარგმანი. დედობისეულ (ქართულ) „რუსთავ“-ს მთარგმნელი გამოიკვლებლის ფასტავ გადმოსცემი შემა (ჩაშა).

მაგალითად, ლეონტი მროველის — „და შემდგომად კოლმან მისმან აღმენა დედა ციხე და მანვე იღაშენა ბოსტან-ჟალაქი, რომელსა ამ პეტრან რუსთავი“ — სომხურ თარგმნის მოცემულია — ნა կრის ჭარბელია ქნისად զმაქარებელ ა ქადაგან ირ ჰიჯბ შემა, ირ է ჭარბაზავადავარი იმ. Համահաւա Պատմութիւն. Արաց ընծայեալ հաւանგի պատմებ. ვენეტიი, 1884, გვ. 11; და გვ. 20, 70, 72, 91, ეს ფატრი პორცელად შენიშვნა და ჩვენ ცნობად მოვაწოდა პროფ. ი. აბულაძემ, რისტორიუმ გულითად მადლობას მოვაძენებთ.

<sup>13</sup> ამ ტერმინს — „არიშიანის ადგილი“ პ-ლი მკვლევარი რატომლაც (დაუსაბუთებლად) ცელის და შემდეგ ტრეჭალებში დატოვებით) ჩამოგებს: „არიშიანია ადგილი“, რესოფ. 173, 174, 176, 178.

3. ინგოროვეა ნაწილობრივ უთუთდ მართალია.  მენიშნავს, რომ „შეხედულება თითქო „დადიანი“ თანამდებუძეა უკურნებელი და არა საგვარეულო სახელწოდება“, — შემცირია (რუსული და ქართველი ენა) 155). ნაწილობრივ მართალია მეტქი, ვამპობ, იმიტომ, რომ გვიან ხანაში (ვთქვათ, ლევან II დადიანი ან სხვა რომელიმე) ტერმინი დადიანი უკვე „საგვარეულო სახელწოდება“ აღიარა ისევე, მაგალითად, როგორც არაა „საგვარეულო სახელწოდება“. „გურიელი“ ან „შარვაშიძე“. უკვე ესენი ამ გვიან ხანაში მხოლოდ პოლიტიკური შინაარსის ტერმინებია, თანამდებობის („მთავრის“) აღმნიშვნელია. იმიტომც იყო შესაძლებელი, მაგალითად, რომ ზოგიერთი „გურიელი“ „დადიანიც“ იყო და პირუკუ (= „დადიანი“-„გურიელი“), როცა ესათუ ის გურიელი ოდიშესაც ფლობდა ან როცა ესათუ ის დადიანი გურიასაც იქცერდა).

შეგრძნ პ-ლი ინგოროვეა მართალი იმაშია, რომ თავდაპირი ლ-დ „დადიანი“ მხოლოდ „საგვარეულო სახელწოდება“ იყო.

საერთოდ, თვალის მიღებენებაა საქირო, თუ როდის და როგორ უკავა ეს „საგვარეულო სახელწოდების“ ტერმინი „დადიანი“, „მთავრის“ აღმნიშვნელ პოლიტიკურ ტერმინად<sup>14</sup>. მაგალითად „ერისთავთ-ერისთავი და მანდატურობულესი დადიანი ხაეგი“<sup>15</sup>. ამ მაგალითში (ვამომცუმელი მას X IV საუკუნეს მიაუთვენებს) „დადიანი“ ერთის შეხედვით უფრო ნათესაობის მაჩევნებელი ჩანს, ვიდრე თანამდებობის: მასი თანამდებობა გარკვეულია — ის ერისთავთ-ერისთავი და მანდატურობულესი. იგულისხმებოდა ამ დროს უკვე „დადიანი“-ში კიდევ სხვა რამ გარდა ერისთავთ-ერისთავობისა და მანდატურობულესისა? გვაძეს საბუთი ვითიქროთ, რომ „დადიანი“-ში ამ უროს (XIV ს-ში) უკვე უპირატესად მთავარი იგულისხმებოდა, მაკამ არც „ერისთავთ-ერისთავი“ და „მანდატურობულესი“ უნდა ჩატაროს უნდა მანდატურობის მოგონებად. კუმათის მთავარ-ანგელოზის ხატის წარწერა (XIV ს.) ამის თვალსაჩინო საბუთია: ერისთავთ-ერისთავის დადიანის გიორგის „ორი ვაჟი პავას: — მანდატურობულესი ვამეყ“ და „გურიელი კახაბერ“<sup>16</sup>. როგორც

<sup>14</sup> ასეთი კელენის იდგილი იქ არ არის. შეიძლება ჩოქეს, საერთოდ, რომ ეს მოხდა ისევე და მშინ, როგორც და როდისაც (დახლოებით) „გურიელი“, „შარვაშიძე“ და „ათაბაგი“ იქცნენ ხელშიციუებად, და რომ ეს მოხდა არა ერთხაშაუ და ერთის დაკრით, არამედ თანდითან შეშაბდება საქართველოს ფეოდალური ვანგისარების შესაბამისად XIII—XV საუკუნეთა მანიშნებელში.

<sup>15</sup> პ. ინგოროვა, სკანდინავიური ძეგლები, II, ტექსტები, 113.

<sup>16</sup> ლიმ. ბაქრაძე, არქ. მუ. იური ადგარ, 262.

ვხელავთ მამა „დადიანია“, შეიღო კი „გურიელი“. აშერთა ასეთი რეულო სახელწოდება“ აქ „დადიანში“ აღარა ჩანს, ისევე როგორც არა ჩანს ის აქ „გურიელში“<sup>17</sup>.

უფრო ვეინ, როგორც აღვინიშნეთ, „დადიან“-ში მხოლოდ „მთავარი“ და, შემდეგ, „ხელმწიფელ“ იგულისხმებოდა. ამდენადევე ასეთი დადიანის (ე. ი. ხელმწიფის) სამოხელო სახელები — „ერისთავთ-ერისთავი“, „მანდატუროსუსულესი“ უშინაარსო პატივებ უნდა ქცეულიყვნენ, მაგრამ რაც უფრო ადრე, მით უფრო მეტად ეს სამოხელო სახელწოდებანი რეალური შინაარსის მქონენი იყენენ და თავდაპირელად ტერმინი „დადიანი“ მხოლოდ მონათესავეობის (დაღის სახლის კაცი) აღმნიშვნელი ცნება იყო. და ამ იმ დროს, როცა ტერმინი „დადიანი“ მხოლოდ საგვარეულო სახელწოდება იყო, ნიშნავდა ის ამ დროს სადაურობას (შინაარსით — „ელი“, დადელი), თუ გვაძის („პატრიარქალური“ სახლის) შეილობას („დადიან სახლის შეილი“)?

დადიანის „სეანთა ერისთავობა“ მის სეანურ (ფიზიკურიალ) წარმოშობილობაზე მიუთითებს (ამასვე მოწმობს დადიანთა დაყიდულობა სვანეთის სალოცავებთან. ხაუიგ დადიანი XIV ს-ში სეტის მთავარმოწამეს სწირავს მეგრელ გლეხებს), ხოლო ძველ ქართული სიტყვაწარმოება „დადიანი“ ტიპიურია იმ დროის სვანეთისათვის (გარკვეული პირობების გამო დღემდე შერჩენილი). „დადიანი“ „ვარდანისძის“ მიმართ გვაროვნელი ცნებაა, „ვარდანის ძე“ „ფეოდალური“ გამოხაყოფია „დადიანისა“. დად (შედრ. დადიშ, დადიშვი, დადიშველ) აქ საკუთარი სახელი ჩანს (ისევე, როგორც ჯაფარ, ჩხერი, კორუოლ, ვახტანგ, აფაქ და სხვ.), ხოლო იან, ინ—კუთვნილებითა სუ-

მაგრამ ის მცირე ნაწილიც კი, რომელიც ჩვენი აღრიცხვა-დაკვირვების ფარგლებში მოყვა, საფუძვლიანი ვარაუდის უფლებას იძლევა მნიშვნელოვანი დასკვნებისათვის. საკითხი დასახლების ხასიათისა და მისი ცვალებადობის შესახებ სხვადასხვა დროს, საკითხი მოსახლეობის რაოდენობის შესახებ ამა თუ იმ დროს, საკითხი გვართა და ტომთა ბინადრობის შესახებ იმ უძველეს დროს, ეთნიკური მომენტი და სხვა ასეთ საკითხებზე დღესვე შესაძლებელი ხდება ფრთხილი და საფუძვლიანი მსჯელობა, ხოლო როგორი იქნება ჩვენი ცოდნა, როცა ეს „გორაები“ სულ მთლად აღრიცხული გვექნება, ისტორიულ-გეოგრაფიულად შესწავლილი და არა ერთი აშათვანი არქეოლოგიურად გათხრილ-გამოკვლეული. — ეს აღვილად წარმოსადგენია.

1949 წელს ისტორიის ინსტიტუტიმა ქვემო ქართლში ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია წამოიწყო. ქვემო ქართლი სხვადასხვა ჩვენებათა საფუძველზე („ქართლის ცხოვრებაში“ დამული ტრადიციული ცნობები, მატერიალური ხასიათის ძეგლები, უცხოური ლიტერატურული წყაროები) აღმოსავლეთ საქართველოს იმ კუთხედ გვეხატებოდა, სადაც ქართის ტომის კულტურულ მაჯისცემას ყველაზე უფრო ღრმა კვალი უნდა დაეტოვებინა. კერძოდ, ქქ. გვერნდა გუმანი, რომ უძველეს ქართულ წარწერებს მოვიპოვებდით (იმ დროს ჩვენ ჯერ კიდევ ვიზიარებდით ქართული (აქრისტიანული) დამწერლობის ქრისტიანობამდელ ხანაში არსებობის ოერობის).

რიგი წლების მანძილზე მუშაობის შედეგად ჩვენ წინ გადამშალა ჩვენ წინაპართა ცხოვრების უწყვეტი ნაკვალევი: ძველი და ახალი ქვისხანა, ენეოლითი, ბრინჯაოსა და რკინის ხანა, ლილოვანები და გორაები, ყორლანები, აღრეული და განვითარებული ფეოდალური ურთიერთობის მატერიალური ძეგლები, უძველესი ციხეები, ნაქალაქარ-ნასოფლარები, არხები, რკინისა და სპილენძის გამოხურვების

ჰატერიალური და სიტუაციები ჩვენებანი (რეინისხევ-სარკინეფები), გშები (ცლდეკარები, ქარგასლები, ბაშიჩეთები), მთისა და ბარის სიძმიოზის მაჩვენებელი მომენტები (ფეოდალების საბუმუშებრივი ხევის პირის ციხეებში „ცხვრის გზაზე“), ორი მოძმე ხალხის, ქართველთა და სომეხთა თანამეზობლობის მანიშნებელი მატერიალური ფაქტები და სხვა მრავალი...

ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული ექსპედიცია ჯერაც არ დამთავრებულა, ის სულ უფრო და უფრო ღრმა, შინაარსიანი ხდება, მაგრამ ისიც კი, რაც დღემდის მოპოვებულია უმდიდრესი მასალა ამ მხარის მეცნიერული მესწავლისათვის. თანდათან სინათლე ეფინება ქვემო ქართლს, მისი ისტორიული ცხოვრების სხვა-დასხვა საფეხურს და სულ უფრო და უფრო საბუთიანი ხდება ის მოსაზრება, რომ ქართის კულტურის აკვანი აქ დაირწია, რომ ქვემო ქართლი არის არა მარტო ქრისტიანული (და ფეოდალური) საქართველოს მოწინავე მხარე, არამედ ქვემო ქართლშია სათავე აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი კულტურისა (ქართის კულტურისა); თანდათან მოიხაზა ქვემო ქართლის ტერიტორია: ფეოდალური ურთიერთობის ხანაში აქ იგულისხმება როგორც ხუნან-გაჩიან-სამშვალდის ბარი („ქართველთა ველი“), ისე თრიალეთ-გუგარეთისა და ალგეთ-მანგლისის ზეგან-მთიანეთი...

გათხრითი არქეოლოგია ნელის ნაბიჯით კვალდაკვალ მისღევს ისტორიულ გეოგრაფიის ჩვენებებს და მეცნიერული საბუთიანობით ამაგრებს და აზუსტებს ამ ქვეყნის ისტორიული წარსულის რეკონსტრუქციას. უახლოეს წლებში ჩვენ შეგვეძლება ქვემო ქართლის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის შედეგებით პირნათლად წარმოვდგეთ ჩვენი მეცნიერული საზოგადოებრიობის წინაშე.

\* \* \*

სამწუხაროდ, საქართველოს ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლა მეტისმეტად დაგვიანდა, მით უფრო ინტენსიური მუშაობა გემართებს, რათა იმ დადი ხარევზის ლიკვიდაცია დროულად შეეძლოთ. ამ სწორედ მიშინ, ავრე მოპოვებული მასალისა და წერილობით ჩვენებათ კრიტიკული შესწავლით ჩვენ შევძლებთ უფრო მაღალ მეცნიერულ საფეხურზე ავიყვანოთ ჩვენი ისტორიოგრაფია და მდიდარ კონკრეტულ ფაქტებზე დავამყაროთ ჩვენი ქვეყნის წარსულის მარქსისტული ცოდნა.



როგორც მკითხველი შეამჩნევდა. ჩემი სამსჯელობრივი უცხადებოდა (გალიოზბი) მცირედის გამოკლებით აღებულია აღმოსაფეხული წიქიტა თვეელოდან, თუმცა ასეთი მასალის მოტანა ევტორს არც დასავლეთ საქართველოს წარსულიდან გაუპირდებოდა, მაგრამ ისტორიული გეოგრაფიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის, ჩვენს ისტორიო-გრაფიაში შემოღების საჭიროების ცხადსაყოფად. ვფიქრობთ, მოტანილი მასალაც საკმაოა.

დასასრულ, მკითხველი იმასაც შეამჩნევდა. რომ ჩვენი საბჭოთა დროის ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტები აქ გათვალისწინებული არსადა. სოციალისტური ხანის საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიას ინსტიტუტის მუშაობაში, რა ოქმა უნდა, საგანგებო ყურადღება ეთმობა და იმედი გვაქვს ამ მუშაობის მეცნიერულ შედეგებს უახლოეს დროში მივაწერით საბჭოთა საზოგადოებას.

## ერთი ფურცელი ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან \*

ჩვენი განყოფილების სესია მისი მეცნიერული მუშაობის დემონსტრაციაა. ამავე დროს ეს სესია მასში მონაწილე მეცნიერ მუშავთა (განსაკუთრებით ახალგაზრდა მეცნიერ მუშავთა) გამოცდაა. იმსტიტუტი თხოვს პატივცემულ საზოგადოებას ქრიტიკულ ყურადღებას ნუ მოაცემას ჩვენი ამ ახალი სამეცნიერო დარგის მუშაობას. რომ სამართლიანი მსჯავრით ხელი შეეწყოს, როგორც ამ სამეცნიერო დარგის წარმატებას, ისე ახალგაზრდა მუშავთა მეცნიერულ ზრდას.

ისტორიული გეოგრაფიის პირველ სამეცნიერო სესიას ბუნებრივი იყო წამძლეარებოდა შესავალი, სადაც საუბარი იქნებოდა ისტორიული გეოგრაფიის, როგორც ისტორიის დამხმარე სამეცნიერო დისკიპლინაზე, მის საგამა და პეთოლზე. მაგრამ ასეთი თეორიული ხსიათის მსჯელობა იმსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომის გასული წლის შემოდგომაზე მოხსენდა. და აյ მისი გამეორება აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს. რაც შეეხება მოთხოვობას იმის შესახებ, თუ რა მუშაობა უძლოდა წინ ამ დისკიპლინის ჩამოყალიბებას ჩვენში და ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების შექმნას ჩვენს იმსტიტუტში, ასეთი საუბარიც შესაფერისი იქნებოდა ამ პირველ სამეცნიერო სესიაზე, ვაგრამ სხვადასხვა მოსაზრებათა გამო, უმჯობესად ჩავთვალეთ ეს ისტორია ჩვენში ამ სამეცნიერო დისკიპლინის ჩამოყალიბებისა სხვა.

\* შობსენებად იყო წაკითხული ისტორიის იმსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების პირველ სამეცნიერო სესიაზე — 1959 წლის 30 აგვისტი, პირველი გამოქვეყნა — 1960 წ.).

<sup>1</sup> იხ. აქვთ, ნ. პ ე რ დ ე ნ ი შ ვ ა ლ ა, „ისტორიული გეოგრაფიისათვის“.

დროს წერილობით გავაცნოთ ქართველ საბჭოთა მეცნიერებული ზოგადოებას.

დღეს კი მე თქვენდა საყურადღებოდ გამომაქვს ერთხუთ მეცნიერებული წიგნი „ისტორიულ-გეოგრაფიული დღიურიდან“.

ჩვენი ეს ისტორიულ-გეოგრაფიული „გასელანი“ ტექნიკურად ყოვლად მოუწყობელი იყო. ყველა საამისოდ აუცილებელ სამუშაოებს, როგორიცაა ფოტოგადაღება გაზომეა, ჩახანგა-ჩახატვა, რუკაშე დატანა და სხვ. ჩვენ „სხვა დროისათვის“ ვვარაუდობით, როცა ამ მხარის ისტორიულ-გეოგრაფიული შესწავლის მიზნით სპეციალურ ექსპედიციას მოვაწყობდით. ამდღნად, ჩვენს ამ „გასელებს“ ჭინაშვილი დახვერვის ხასიათი ჰქონდა.

მაგრამ ამ ჩვენს „დღიურს“ სხვა ნაკლიც ახლავს. ის ყოველთვის ერთი გასელის შემდეგ მეორე გასელამდე კი არ იწერებოდა, არამედ ზოგჯერ რამოდენიმე გასელის შემდეგ. ასე რომ უფრო გვიან მოპოვებული დაკვირვება წინა დაკვირვების გადმოცემაშე, ბუნებრივია, ზემოქმედებდა. მაგრამ ამ მიმართულებით კიდევ უფრო არსებითი ისაა, რომ ეს „დღიური“ საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომი ხდება ხუთი-ექვსი წლის შემდეგ მისი ჩაწერიდან. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ახალი ფაქტი მოვიპოვეთ, ბევრი რამ ვისწავლეთ, წინ წავიდა ჩვენი მეცნიერება და ექვსი წლის წინ ჩაწერილი დღიურის სიახლენი. ბუნებრივია, არაერთვარ კრიტიკულად გადასახედავი აღმოჩენდა.

ავტორი ცდილობდა უცვლელად დაუცვა პირველი ჩანაწერი, სადაც კი ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ სადაც ეს არ ხერხდებოდა, მას, ბუნებრივია, დღიურის გაღათეთრებისას შიგ საჭირო შესწორებანი შექმნდა.

\* \* \*

ეს იყო 1953 წელს. საქართველოს ისტორიის საუნივერსიტეტო კურსის დაწერის გეგმასთან დაკავშირებით მოწყობილ ერთ-ერთ თაობირზე უნივერსიტეტში მე გამოვთქვი ისტორიული გეოგრაფიისა და არქეოლოგიის მისამართით მოსახრება, რომ მათ უნდა გვიჩვენონ ქვეყნის საწარმოო ძალთა განვითარების ის კონკრეტული ფაქტები, რომელთა ნიადაგშე შეგვეძლება დავასაბუთოთ ჩვენში ფეოდალური ურთიერთობის წარმოქმნა, უნდა ხელთ მოგვცენ ფაქტები, მატერიალური საბუთები იმ მცირე და ბუნდოვეანი წერილობითი ცნობების მართებულად ასსნა-გაგებისათვის, რომელთა ნიადაგშე ჩვენ ფეოდალური ურთიერთობის წარმოშობის სოციალურ სურათსა ვქმნით. გამიკვირდა, რომ ზოგიერთი ამხანაგი სკეპტიკუ-

რად შეხვდა ამ ჩემს მოსაზრებას... განა ვინ შეისწავლა ამ ცუალ-  
საზრისით ჩვენი არქეოლოგიისა და ისტორიული გოგრაფიის მონა  
პოვარი? და განა წინასწარ ამ შეიძლება მტკიცება, რომ ასეთი მუზეუმი  
სალი უთუოდ ასებობს, ოღონდ ის (მაკალა) მეცნიეროთ მიერ ჯერ  
კიდევ ვერ არის მეტყველებული ჩვენთვის ვასაგები ენით?

ჩვენ წინ ბუნებრივად დაისვა საეითხი ისეთ მრავალმეტყველ  
ქედითა ისტორიულ-არქეოლოგიური შესწავლის შესახებ, როგორი-  
ცაა ძველი სარწყაფი არხები. მარტო ის რად ლისის, რომ ტრადიცია  
რუსთავის არხის მშენებლობას მეოთხე საუკუნით ათარიღებს, ხო-  
ლო წილუნის რუს ვატანის მეხუთე-მეექვსე საუკუნით... დღემდე  
ამ არხთა შესახებ ამ მიმართულებით სიტყვაც კი არ თქმულა ჩვენს  
სამეცნიერო ლიტერატურაში. რუსთავის ნაქალაქარის შემსწავლელი  
არქეოლოგიური ექსპედიციაც კი არ დაინტერესებულა რუსთავის  
არხით და მისი არქეოლოგიური შესწავლა არ უცდია... და რა საფუ-  
ძველი გვაძვს ჩვენ იმისათვის, რომ არა მარტო რუსთავე-წილუნის,  
არამედ არა ერთი სხვაც (მაგალითად ნახიდურის, გაჩიანის, მუხრა-  
ნის, რუის-ურბნისის და სხვა) იმავე ხანისად არ ვიცნათ? პირიქით,  
ჩვენ აქ შევვეძლო ზოგიერთი ანგარიშგასაწევი მოსაზრება ახლავე  
ჭამოვეცხვნებინა იმის სასარგებლოდ, რომ მელიორაციის ეს დიდი  
ნაგებობანი სწორედ ამ ფურდალური ურთიერთობის ჩასახვა-გამარ-  
ჯვების ხანისანი შეიძლება იყვნენ.

საქართველოში სარწყაფი არხების ისტორიული შესწავლისათ-  
ვის საქმაო მასალა მოიპოვება: ზოგიერთი არხის მშენებლობის შე-  
სახებ ჩვენ პირდაპირი წერილობითი ცნობაც გვაძვს<sup>2</sup>. ბევრი რამ  
ახსოვს ხალხს თავისი სამეურნეო ცხოვრების ამ დიდი ფაქტორის  
შესახებ. საჭიროა ოღონდ უნარი ამ ცნობების შეკრებისა და  
მათი მეცნიერული მოხმარებისა. ბევრ რამეს გვეტუდა ხალხში  
ზეპირად დაცული თუ წერილობით წყაროებში აღბეჭდილი ჩვევა-  
შესები, ტერმინები, სარწყაფი არხებისა და სერტიფის საქ-  
მის ტექნიკურ ორგანიზაციისთვის რომ არიან დაკავშირებული, ასე-

<sup>2</sup> წერილობითი ცნობებისათვის ერთი თვალის მოვლებაც კი საფულისხმი  
ცოდნის მოგეცემდა. არხების მშენებლობა გირკვევით უფრეშირდება საქართვე-  
ლოს სამეურნეო ცნობებისა და იღორძინების ეპოქებს: ფეოდალური ურთიერ-  
თობის წარმოქმნა-გამარწევების ხანა, განვითარებული ფურდალური ურთიერთ-  
ობის ხანა (კ. წ. „თამარის ხანა“), გვიანდებული ქართლის იღორძინების ხა-  
ნა XVIII—XVIII საუკუნეებში (როსტომი, ვაჩტავანგ IV, ერეკლე II).

ბითი ხასიათის ცოდნას შეგვძლდა სარწყავი არხების არქეოლოგიური შესწავლა.



და როცა ამ დიდი მნიშვნელობის ფაქტებს ისტორიული და კულტურული დანართით, დარწმუნებული ვარ, მნიშვნელობის მნიშვნელობის ჩამონა წარსული ცხოვრების ეკონომიკური და სოციალური მხარეების გასაშუალებლად. ამ ათი წლის წინ (დღეს უკვე ამ ოცი წლის წინ) მე ინსტიტუტ „ნასყიდ“-ზე გმუშაობდი. ის მეტად მნიშვნელოვანი და მდიდარშინაარსიანი აღმოჩნდა (ამ ინსტიტუტზე მუშაობამ მე უკვე ლიკი დამაწერინა. მანვე, მეორეს მხრით, მეევნახეობა-მელინეობის საკითხთან მიმიყვანა. სხვადასხვა სამუშაო გამოჩნდა (დავალებანი) და ძძულებული ვიყავი საქართველოს ისტორიის ამ დიდმნიშვნელოვან საკითხზე მუშაობა „დროებით“ შემეწყვეტა)...

ვაშინ მე იმ დასკვნამდე მივედი, რომ „ნასყიდი“ საქართველოში შეტაც ძეველი ინსტიტუტია, რომ ის ფეოდალური ურთიერთობის გამარჯვების წინა ხანაში უკვე აჩსებობდა იურიდიულად საკსეპით გაფორმებული. ლაპარაკია, რა თქმა უნდა, მიწის ნასყიდობის ინსტიტუტზე. ამავე დროს გიორგია, რომ „ნასყიდევი ქვეყანა“ არ იყო მაინც და მაინც სპეციალისტური ხასიათის მიწა, არამედ საერთოდ მიწა, ე. ი. გაირკვა, რომ ყიდვა-გაყიდვის სფეროში იყო მოქცეული რაგინდარა მიწა, ე. ი. საკუთრების პრინციპი ფართოდ იყო გვარცელებული წარმოების ამ ძირითად საშუალებაზე, რაც თავისთვის საზოგადოებრივი ურთიერთობის მაღალი განვითარების ნიშანია. V—VI საუკუნიდან მოღწეული ამ რიგის მოწმობანი უფლებას ვაძლევს ამ ინსტიტუტის ხნიერება გაცილებით უფრო დიდი კივარა-უდოთ. ვაშინ ბუნებრივად დაისვა ჩვენ წინაშე საკითხი იმის შესახებ, თუ რა უნდა ყოფილიყო საფუძველი ჩვენში მიწის ნასყიდობის წარმოშობისა. რაიმე უცხოურ გავლენაზე აქ ლაპარაკი არ შეიძლება და ეს ინსტიტუტი საკუთრივ ქართულ ნიაღაგზეა წარმოშობილი. სხვადასხვა მოსაზრებანი, რომელთა შესახებ საუბარი უპრინანია სპეციალურ გამოკეცევაში, გვარწმუნებენ, რომ ხესნებული ინსტიტუტის შემუშავების საფუძველი ჩვენში. იყო ინტენსიური მიწათმოქმედება. რომელიც იგულისხმება აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, ქართლში, მესხეთში მორწყვისათვის იყო დაკავშირებული. ამდენადვე მორწყვის საქმე, მორწყვის წარმოშობა, განვითარება, ტექნიკა და ორგანიზაცია მეტად მნიშვნელოვანი საკითხებია, რომელთა შესწავლა დიდად შეუწყობდა ხელს ჩვენი ისტორიის აზა ერთი ძირეული საკითხის გაშუქებას. ის გარემოება, რომ ნასყიდობის ქრები ნაგებანევ, შედარებით, ხანაში უპირატესად შეეხებიან საზრ

წყავ მიწებს და, კადევ უფრო, კენახებსა და საექნახებს, იმას მოწოდებაც შეიძლება იყოს, რომ ეს ინსტიტუტი მნიშვნელოვანი მუზეუმი იქნავთ სწორედ ამ ნიადაგზე შემუშავებული. მთის გამოა, რომ მუზეუმი იქნავთ ამის ან მეხილეობა-მებაღეობის საყითხი ქართლსა და მესხეთში უშეოლო კავშირში შეიძლება იყოს მორწყვისა, საკუთრებისა და ნასყიდოან, რომ საკუთრებისა და ნასყიდის განვითარებულობა, თავის მხრით მოწმობს მორწყვის საქმის განვითარებულობას.

ასე და ამრიგად „ნასყიდის“ ინსტიტუტზე მუშაობის პროცესში ჩემთვის ნათელი გახდა საქართველოში მოჩიწყვის საქმის ისტორიული შესწავლის დიდი მნიშვნელობა, რომ მელიორაციის საქმეს უკავშირდება ქართული ინტენსიური მეურნეობის ოაერთო ისეთი დარგი, რომელთაც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ძველ საზოგადოებრივ ურთიერთობათა (ადრეკლასობრივის, ანტიურის თუ ფერდოლურის) წარმოქმნა-გამარჯვებისათვის.

ამასთანვე ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ დიდი არხები ჩვენში გარე კვეულ დროს ჩნდებიან. ასეთი ცნობები საქმიანდ შემოუნახავს ხალხის ხსოვნას თუ წერილობით წყაროებს, ასევე გარკვეულ დროსა და პირობებში ქრებიან ასეთი არხები. ამავე დროს მცირე ხსოვლო აზხის აჩც შენებლობა და აჩც გაქრობა შეუნიშნავს ისტორიას. შეგრამ ასეთი საყითხები სცეციალური კვლევის საგანი უნდა გახდეს. ეს კი ჩემი „დლიურის“ ამოცანას სცილდება.



1953 წლის ოცი ივნისი. ზეერვა ჩეენ რუსთავის ამხით დაიწყეთ. ჩემი თანამგზავრები იყვნენ ამხანაგები: გიორგი ლომთათიძე და იოსებ გძელიშვილი და, ზოგჯერ, გარლაშ დონდუა.

ქალაქ „რუსთავის“ ამ სახელის დაქავშირება „რუსთან ბუხებრივად გამოიყერება. ასე ეჩვენებოდა, როგორც ჩანს, ეს ლეონტი მროველს (თუ მის წყაროს). ქართლოსის ცოლმათ, მოგვითხრობს ლეონტი, „აღაშენა ბოსტან-ქალაქი. რომელსა ამ ჰქვან რუსთავი“ და შემდეგ იქვე: „ხოლო კუხისს მისცა ბოსტან-ქალაქი, რომელსაც ამ ჰქვან რუსთავი“. ლეონტის ამ ცნობის წყაროთვისთვის და მთის აღვილი აქ არის. მოტანილი ცნობიდან ის უმცველეს ჩანს, რომ ძველად, ლეონტის დროს, და ამაზე უფრო ადრეც „რუ-

\* პირველი დედოფლის ქართლის ცხოვრება, გვ. 6.

სთავი“ ამ ქალაქის ნაგვიანეც სახელად მიაჩნდათ და მის თავის  
პირველ სახელად „ბოსტონ-ქალიშვილი“ გულისხმობდებოდა. ქალაქის ამ აბალ სახელს („რუსთავი“) იქედან გატანილი ჰქონდა მოქადაცებული ვებობის სახელს (რუს) უკავშირებდებოდა. შეიძლება ისიც ვაჟიქროთ,  
რომ ლეონტის (თუ მის წყაროს) ამისთვის გათვალისწინებულია ქონ-  
და მოქუცავდ ქართლისამში დაცული ცნობა, რომ IV საუკუნეში  
თრდატ (თუ მირდატ) მეფემ „რუსთავისა რუს გამოილო და ეკ-  
ლესისა საფუძველი დადგა“<sup>4</sup>. მაგრამ რამდენად მართებულია ლეო-  
ნტისეული (თუ მისი წყაროსეული) ეს ეტიმოლოგია რუსთავისა?  
სხვას გარდა ამისთვის საჭირო იქნებოდა საქართველოში ცველა-  
„რუსთავის“ (ქართლში, სამცხეში...) გათვალისწინება. ეგრეთვე გა-  
სათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ სახელი „რუსთავი“ ადვილი  
დასაცავშირებელი ჩანს იმ ძელ დროს ამავე რაიონებში გავრცელე-  
ბულ საგეოგრაფიო სახელებთან: ოელავი, მანავი, ზანავი, ცურტავი,  
ბარდავი (პარტავი) და სხვ. არც ის გარემოებაა უგულევებელსაყო-  
ფული, რომ არც რუსთავის ეს ვითომედია თავდაპირველი სახელი—  
ბოსტანქალაქი (ან როგორც ფიქრობენ, ვოსტანქალაქი) ჩანს იმ ხე-  
დველისა, როგორსაც ლეონტი (თუ მისი წყარო) გულისხმობს. შეიძ-  
ლება საკითხი ისეც კი დასივას, რომ ეს სახელი „ბოსტანქალაქი“  
(თუ „ვოსტანქალაქი“) „რუსთავის“ ღროსისავე, მისი პარალელური  
სახელი იყოს ან უფრო გვიანი, მაგრამ არა აღრინდელი. აქე ვასა-  
თვალისწინებელია ამავე პუნქტის სხვა სახელები: ნაგები და  
რიცხვი ალ ა. პირველი თითქო ქართული წარმოებისა და შეიძლე-  
ბა ნაგვიანეცი წარმოშობისაც იყოს. მეორე, რიშ-ყალა თუ რიშია-  
ცა, თითქოს იმისი მოშობაა, რომ ასებობდა ამ პუნქტის სახელი  
„რუსთავი“. ქართულად მინეული ამ სახელის თარგმანი შეიძლება  
იყოს ეს რიშ (რიშ-ყალა). ხოლო სახელი „რუსთა“ მოდის, შეიძ-  
ლება ვიჟიქროთ, სპარსულიდან სარ (მორწყულ-მოშენებული, ყასახ-  
ლებული ილგილი და, მაშასადამც, ამ ადგილებში იმავე აზის (რუს)  
გარანის საფუძველზე შექმნილი ვითარების მოწმობა) იხ. H. Mapp,  
Мнимое географическое название ъротастак, в Истории Ага-  
янгела.

<sup>4</sup> თ. ცორდანია, ქრონიკები, I, გვ. 41.

<sup>5</sup> ვაკელე ინგორუს ახახელების ეგრეთვე ვარიანტს „აზიშყალა“ (იხ. „რუსთაველანა“, 151), მაგრამ ასეთ ვარიანტი ღოյშენტურად დადასტურე-  
ბული არა ჩამა.

ასეთი საკითხების შესახებ სპეციალური საუბარი სხვაგან უფრო  
მარჯვე და შესაფერისი იქნება. „დღიურში“ კი ესეც ემართა, მარტივული  
მაგრამ იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა ურთიერთობა ქალაქის  
მოშობის თვალსაზრისით ტერმინები: „რუ“, „რუსთავი“, „ბოსტან-  
ქალაქი“ თუ „ვოსტანქალაქი“, ის ფაქტი ხომ უდავო, რომ ლეონ-  
ტი მროველი (თუ მისი წყარო) სარწყავ ნაგებობას (რუ) ამ ქალა-  
ქესთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს: იგულისხმება,  
რომ ტრადიციით განმტკიცებული თავდაპირველი სახელი „ბოსტან-  
ქალაქი“ ამ რუს მნიშვნელობის გადაღენით შეეცვალა მას „რუსთა-  
ვად“ და ჩვენც ამებად სწორედ საკითხის ეს მხარე  
გვაინ ტერა ეს გვაბს.

მარიგად, ტრადიციით ისა ჩანს, რომ ეს ქალაქი ძველის-ძველია,  
მაგრამ ქალაქი და მით უფრო ვოსტანქალაქი აქ ძნელად წარმოსად-  
გენია, თუ ავევ სარწყავი არხს ამ ეგვიპტისხმებთ. ასე რომ არხის უფ-  
რო ძველია, ვიდრე ეს ტრადიციით იგულისხმება (ე. ი. IV საუკუნე),  
საფრანგებელი ჩანს. მაგრამ ასეთი არხის გატანა—რუსთავიდან ჭან-  
დრის ტბამდე მაღალტემინურ ცოდნას გულისხმობს (ამის შესა-  
ხებ საამისო სპეციალისტები იტყვიან საფრანგელიან სიტყვის).

ასე რომ ჩვენ ვფიქრობთ: როცა რუსთავი ქალაქი იყო, და  
ეს ძველ დროსვე იყო (აქ წიაღისეულის არქეოლოგია ვაშვილის),  
მაშინ ეს სარწყავი ნაგებობა უკვე უნდა ყოფილიყო და ეს მიღამოც  
(ყარაიბის ველი) დასახლებული რაობინი იყო.

მართალია, რუსთავი კუხეთის, პოლიტიკურ-აღმინისტრაციული  
ცინტრი იყო, მაგრამ ქალაქი წარმოშვა არა ამ მომენტმა, არამედ  
პირუკურ. ხოლო რუსთავ ქალაქის უპირატესობა, უპირველეს ყოვ-  
ლისა მის გარშემო მდებარე რაობის სამეურნეო ვანეითარებულო-  
ბას ჰგულისხმობდა...

ასე რომ ჩვენი დაშვერვის მიზანია აღმოვაჩინოთ ქალაქ  
რუსთავის გარეობრივო.

\* \* \*

ციხე ზედ თავზე აღვას არხის გამოსავალს. ეს არხი შეიძლება  
ერთბაშად არც გატანილა და თავდაპირველად ის მოქლე იყო და  
მნილოდ ამ ციხეს („გორას“) ემსახურებოდა, როგორც სიმაგრე—  
ობრილი და ამავე დროს სარწყავი რუ (ამ ციხისა და მისი მიღამოს  
არქეოლოგია ბევრ რამეს გვეტყოდა საამისოდ).

დროთა განმავლობაში ამ სარწყავი რუს განვითარება იქამდე მი-  
ვიღება, რომ „ბოლოს“ მან მიაღწია იმ ტაფობამდის. რომელშიაც თავს

იყრიდნენ გარეჯის მთებიდან წამოსული ხევები. შეიძლება მეტი მეტის დამსახურება სწორედ ის იყოს, რომ მან ამ სარწყაფი კრიას სამოლოოდ გამართა ჩუსთავის ქალაქიდან ვანღერებით გარემო, როგორც აღნიშნე, ამ ჩუს აგრე ნაგვიანევობა, ზოლო ქალაქის აგრე ნააღრევობა, როგორც ეს ტრადიციით ივარაუდება, ძნელად შესათავსებელია. ამავე დროს ისიც უკველია, რომ თრდატ: ძუფეს ამ ჩუს მშენებლობაში დიდი დამსახურება მიუძლების. ეს გარემოება თავისთავად მრავალმეტალია და IV საუკუნის იზე-რის სამეურნეო აღმავლობის მაჩვენებელია.

ჯერ ისევ ამ დაზვერეამდე მე მაფიქრებდა ის გარემოება. რომ ძველი ქალაქი ჩუსთავი ასე ობლად გამოიყურება და მის ახლოს რამე დასახლებული პუნქტიც კი აღნიშნული არ არის. ვახუშტია თავის ისტორიულ-გეოგრაფიულ თხხულებაში აღნიშნავს ჩუსთავის ქალქობას და მის მოოხრებულობას ბერქა ყაენის ლაშქრობის დროიდან<sup>6</sup>. მეცნიერი ბატონიშვილი აქ მოლად მართალი არ უწდა იყოს. ჩუსთავსა და მის მიდამოებში, ე. ი. აწინდელი ყარაიბის ველში ქართველთა ცხოვრება ასე ერთპაშალ არ შეწავეტილა და ის პურქას „გამოსავლის“ შემდეგაც გრძელდებოდა, საფიქრებელია, შემცირებულ-დაგნინებული. ერთი წყაროს ცნობით (სპარსულის?) ჟირის ტბა XVII საუკუნის დასაწყისსაც ჯერ ისევ ასებობდა, ე. ი. არხი ჯერ ისევ მოუშლელი იყო. საფიქრებელია, რომ ქართული შოსახლეობა ამ ველს თანდათან გაეცალა თურქების მომთაბარეებთან მრავალსაუკუნეონებით მას შედეგად XIV—XVII საუკუნეებში, როცა „გაველურდა“ იერის პირი, გარდამანი, მტკვრისა და ლებედა-ქურის პირის სომხითო...

ვახუშტი არ აღნიშნავს, რომ ჩუსთავთან ერთად ამ რაოინშა რაისე ცოობები და, ამავე დროს მას არ ავიწყდება, რომ იორის პირი იყო ალაზნის შესაძლებელები და ვიღრე სამგორამდე შენობანა დად ფრიად, არამედ მოოქრდა გამოსალვასა ბერქასსა და შემდგომად ლანგ-თეშტრისაგან, რომელი ჩანან დღესაც<sup>7</sup>? ჩანს, სახელოვან მეცნიერის ჩუსთავის გარემო ქვეყნების შესახებ ასეთი დავვირებება არ ჰქონია და არც რაიმე სხვა საამისო ცნობა მოვპოვებოდა მას.

ამავე დროს წერილობითი მოწმობანი ქალაქ ჩუსთავის-შესახებ ისეთი ხასიათისანია, რომ მის გარშემო მცირერო პოსახლეობა იმ ძველი დროიდანვე უაპევლად ივარაუდება: ჩუსთავი —

<sup>6</sup> ვახუშტი, აღწერა..., გვ. 50.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 99.

კუხეთას პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ცენტრი, — საუფლას-  
წული (ეოსტანი?) და, შემდეგ, საერთოთო, რუსთავი საეპისკოპოსურული  
კათედრა ვახტანგ ვორქასალის ლროდან, და ამ ევება შეჩემული იყო  
არჩის პატრიონი ქალაქი. უცელაფერი ეს კმარა იმისათვის, რომ ეს  
ქალაქი უდაბურ ველში განშარტოებულად ან წარმოვიდგინოთ (სა-  
ფიქტობელია, რომ რუსთავისა და მისი რაიონის ქართული მოსახლე-  
ობის ტრაგედია ჯერ ისევ XI საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო  
მომთაბარე თურქი ტომების შემოსევისთან ერთად. დავითის ისტო-  
რიკოსის თხზულებაში ბევრი რამ იგულისხმება ამ მოვლენის შე-  
სახებ. დიდი თურქობა ეს იყო პირველი დიდი ბრძო-  
ლა თურქულ ველურ მომთაბარეობასა და ქარ-  
თულ კულტურულ მეურნეობას შორის. დავით  
აღმიშენებელმა რუსთავი და მისი გარემო—ქართლის მთელ ველო-  
ბთან ერთად—იხსნა გაველურების საფრთხიდან და ქართულ სამი-  
წამოქმედო ფეოდალურ კულტურის დაუბრუნა ის. დიდი თურ-  
ქობისას არამცირედ დაშიანდნენ, საფიქტობელია, ველის სანა-  
ზირო ქალაქი ქცეული რუსთავი და კილევ უფრო, მის გარ-  
შემო სოფლები...).



რუსთავს (ჩვენი დროის ქალაქს) ჩაუარეთ. არჩის სათავესთან  
კიხეც კი არ ვნახეთ. დღეს ამას არ ვიზამდით, მაგრამ ეს იმიტომ,  
რომ უკვე ხუთი დღის ზეერვამ სრულიად გარკვეული შედეგი მოგვ-  
უა და ჩვენი ისტორიულ-გეოგრაფიული წარმოდგენა ამ მხარის წა-  
რსულზე მეტად გაამდიდრა. მეტიც შეიძლება ითქვას: ამ ხუთი დღის  
ზეერვამ სრულიად აზალი ელემენტი შემოიტანა ჩვენი ისტორიული  
გეოგრაფიის საკულევო-სადაზეერვო მუშაობაში:— „ნატახტარი“,  
„გორა“, მაგრამ ამაზე ქვემოთ.

ხუთვერსიანი რუსის შემდგენლებს ერთ დღიოზე არჩის პირას  
რაღაც „ნანგრევი“ (Развалины) აღუნიშნავთ. ის გვინდა კიბოვთ,  
შეიძლება ძველი რამ ძეგლი იყოს. სოფელ ბირლა ქზე გვიარეთ,  
ვიორგი გვეუბნება, რომ ამ სოფელში მას სამი ყორლანი შეუნიშნავს.  
გადაწყვეტილ მოის გზაზე ვნახოთ ეს ყორლანები. კიბოვთ რუკაზე  
ნაჩვენები „ნანგრევის“ ადგილი. იქ, სადაც ჭანდრის ტბიდან წამოსუ-  
ლი ხრამი მთავრდება, სადაც სოფლის პესია, აქ დღეს არჩის მმარ-  
თველობაა და ნანგრევისა არაფერი ჩანს. კერამიკა რაღაც შეიმჩნე-  
ვა ხრამის პირზე... ვინ იცის, სოფელი რამ იყო (მერუვენი?). ამას

ისიც გვიმოწმებს, რომ აქ წყაროცაა. რაღაც შენობის ნახვიდე  
იყოვო, გვეუბნებან (ცელესია?). ქვები გაზიდესო. ორქეოლოგების  
უნდა მოსინჯონ. ამ ადგილის არქეოლოგიური შესწავლის შესაბამის  
ჩვენი არხისათვის ხელშესახებ მასალას მოვცემდა. ასეთი დროის  
იმედგატრუებული ტბისაკენ წავედით. სწორად ჩაუარეთ თვეზის  
მჩერწველობის სადგურს, ცოტას გავცდით და უკვე აზერბაიჯანის  
საზღვაოში ვართ. ტბის პირად მანქანიდანვე ყორლანებს ვამჩნევთ:  
ერთი, ორი... ათი... ყორლანი ზოგი მცირეა, ზოგი უფრო მოზრდილი,  
მაგრამ სამგორის ყორლანის ოდენობისა აზერთი არაა. გვეოცა,  
გავვეხარდა. ნეტავი ეს ყორლანები ამ ტაფობთან (ტბასთან) რა კავ-  
შირში არიან? (მაშინ ჯერ კიდევ აზაფერი ვიცოდით ყორლანების იმ  
სიმრავლის შესახებ, დღეს რომ ვიცით, და ვასაგებია, ეს „იშვიათი“  
ძეგლები ტბას დაუკავშირეთ).

არც ისე დიდი ხანია მას შემდეგ, რაც ყორლანი ჩვენს არქეოლო-  
გიაში სკვითურ რაღაც მოვლენად ითვლებოდა... თრიალეთის ყორ-  
ლანებში დიდად შეარყის ეს „სკვითური თეორია“. ჩვენმა ექსპე-  
რიციამ ქვემო ქართლში კიდევ უფრო მძიმედ დაქრა ამ თეორიას:  
ათეულობით ყორლანი ბედენზე, თეორიუმარის და ნადარბაზევის  
მიღმიერდში და სხვ. მტრივად, ჩვენში ყორლანთა იშვიათობისა და,  
კრიძოდ, მათი სკვითურობის თეორია ამ ჩვენს ექსპერიციამდეც  
ფაქტებით უარყოფილი იყო.

მაგრამ ყორლანიც არის და ყორლანიც: ზოგი ვეებაა და ერთი მი-  
ცვალებულისათვის არის აგებული (თრიალეთი, სამგორი), ზოგი მცი-  
რე და მრავალსაცლავებიანია (სტეფან მენოვაშვილის გათხრები  
კოლონოში, ს. მაკალათის გათხრები შიდა ქართლში და სხვ). ეს  
მრავალსაცლავებიანი ყორლანები იმას მოწმობს, რომ ასეთი ნაგვ-  
ზობანი იმ ეპოქაში მეტად ბევრი უნდა ყოფილიყო და დროთა ვი-  
თარებაში, სადაც გადარჩენის ხელსაყრელი პირობები არ იყო (მიგა-  
ლითად საკუთარი სიღიდე, ადგილის მიუდგომლობა, არა სამიწათ-  
მოქმედო ალაგზე მოთავსებულობა), ისინი გაქრნენ, წაიშალნენ. რა-  
მდენია რომ ეხლა ჩვენ თვალშინ იშლება, ქრება. საჭიროა, რომ  
ჩვენმა არქეოლოგიმ გათხაროს ეს ყორლანები, ზოგირთი მაინც,  
რათა დაადგინოს, თუ როგორ საზოგადოებას გულისხმობს და დრო-  
ის რა მანძილზე ცოცხლობს დასაფლავების ეს წესი...

ტბის აღმოსავლეთიდან შემოუარეთ. სოფელი ძმობა და შემ-  
დეგ მულონი გავიარეთ, გზადაგზა რამოდენიმე ყორლანი შევ-  
ნიშნეთ. ისეთი სიცხე შემოვევურია, რომ მანქანიდან გადმოსედა შე-  
უძლებელი გახდა. ისევ საქართველოს საზღვრებში შემოვედით და

ეყადებით საცდელ სადგურს მიეაშერეთ. გვინდა ერთმე დაფუძნებული კაცი ეპოვოთ, ვინც ამ ქუთხეს კარგად იცნობს. ყოროვანების ჩვენშე დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს. უკელავ ვეძებთ, უკერძნები ლობთ შევნიშნოთ და მართლაც ვამჩნევთ, ან შეიძლება გვეჩერება. ზოგერ მინც, თავშავეთილი კონტსები...

საცდელ სადგურში ერთმა მცნიერ თანამშრომელმა ქალმა თავისი დაცვირება გავვინიარა. რუსთავიდან სამგრისაკენ მიძინვალ გზაზე მას სასაფლაო შეუნიშნავს, იქვე ახლო ნასახლარები ემჩნევაო. მეტად საინტერესოა, ეს ხომ ისეთი ადგილია, თუ აქ ასეთი ასამ მართლაც აღმოჩნდა, რომელიც ცოცხალ კავშირს გააბამს რუსთავსა მხარის პოლოტიურ აღმინისტრაციულ ცენტრსა) და ამ მხარის ზემო სოფლებს შორის. ერთი ასეთი სოფელი ლოჭინის კბოდეზე ჩვენ ხომ შარშანვე დავიდგინოთ, მცირედ გვეთხარეთ და, სხვათა შორის, ქართულ წარწერიანი ჰინტილა ვიპოვეთ (საღაზვერეო თხრა ჩაატარა არქეოლოგმა როსტომ აბრამიშვილმა). იქვე გვითხრეს მაშინ, რომ საღლიაც ახლოს შეინიშნება ნისოფლარის ასეთივე ნაკვალევი და სასაფლაო. ასე რომ ჩვენ უკვე შარშანვე დავადასატურეთ, რომ ლოჭინის ქვემო წელი საშუალო საცურნებში უდაბნო უკარისელი სრულიადაც არ ყოფილა. როგორც ის არის ეხლა ცეკვა, როგორც აქამდე იყო), არამედ უწივეტი სოფლებით იყო დაკავშირებული მხარის პოლოტიურ-აღმინისტრაციულ ცენტრთან — რუსთავთან. კელის ტალღებმა (სელჩუკები, მონლოლები, თურქმანები) გადაიხეცეს მათი ცხოვრება, დემურჩი-ასალუ დაუუფლა კუბ-კახთა ნასადგომეეს.

სამწუხაოდ, საცდელ-სადგურელი ქალის მიერ მითითებული დღვილი ჩვენ ვერ ვიპოვეთ.

იქვე ეყადებით საცდელ სადგურში გავიცანით ერთი ადგილობრივი მკეიდრი რუსი (რუსთავ სოფელი „მიხაილოვკა“ აქ 190ს წელს გაშენებულა. ეს სოფელი უშუალო გაგრძელებაა აწინდელი რაიონული ცენტრის, გარდაბანისა). ჩვენი ეს ახალი ნაცნობი მონადირეა, კუთხეს კარგად იცნობს. თანაც დაკავშირებული კაცია და ზოგი რომ საინტერესო შეუნიშნავს. გარკვევით აგონდება, თიხის კურული რომ უპოვნია მიწის თხრისას ამ სოფლის მიღამოში, აგონდება, რომ სხვებსაც უპოვნიათ „რაღაცაები“. რამოდენიმე მოჩეტაც აქცა შულავრიდან და აზერბაიჯანიდან. მანვე გვიჩვენა ერთი თვეს ინკუნადი ქართველი, რომელსაც სახლში დღესაც უდგას სახმარ-დ სადღაც აქცა ნაპოვნი ქვევრი. ჩვენც ვნახეთ ეს ნივთი. სამეურნეო დანიშნულებისა ჩანს, ოლონდ არა სალეინ. შეა საუკუნეებისა უნ-

და იყოს. აქევე გვატუობინებენ, რომ მავანში თეფში რაოდ ცოდნა  
ნია; ა გმოვნა მიწის თხრის დროს და სახლში აქვსო. თანდათან აუკ-  
ვე კი ხდება, რომ ეს სოფელი — მიხაილოვკა ძეველ ნატრუტურულ  
დასახლებულა. აქევე გვიჩვენებენ, რომ საფლავები და ნივთები რა-  
კულად ჩნდებოდა კარიტში, აქ-ის რეინიგზისაოეის რომ სარ-  
გაპქონდათო...

დღეს დანაზვერავით კმაყოფილი ვართ. თბილისში დაბრუნებას  
ვპირებთ. სოფლიდან გამოსახალს კორაჟი შევნიშნეთ. სასაფლაო  
არისო, გვითხრეს. ავედით. ამ სოფლის (მიხაილოვკის) სასაფლაო  
აწინდელი. საქმიო იყო მცირედ თვალის მოვლება და შევნიშნეთ  
ბრინჯაოს ხანის კერამიკის ნაშთები და სხვადასხვა ზომის უჩვეული  
სიმრავლით ხელსაფქავები. იქევე სასაფლაოზე ერთი ადგილობრი-  
ვი რუსი ვნახეთ. გვითხა: აქ საფლავის ორმოს ეერ გათხრით, რომ  
რაიმე ნივთი არ ამოვიდესო. ჭურჭელი, რაღაც ნივთები, ეს ქვები  
(ხელსაფქავები) სულ ყველა მიწიდან ამოყრილია.

მანევე გვაცნობა, რომ მტკვრის პირის ფლატეში მას შეუნიშნავს  
ადამიანის (?) ძელები და რაღაც ნივთები. დღეს იმ მიღამოში მო-  
ლოდ ტყეაო... ჩენი სიამოვნება გასაგებია. ეს სოფელი, მიხაილოვ-  
კა, როგორც ჩანს უძველესი კულტურის (და შემდგომისაც) ნაკა-  
ლევს უხვად შეიცავს. ეს კორაჟი, დღეს რომ სასაფლაო, ძეველ,  
კინ იყოს, სასაფლაო კი არა, საცხოვრებელი ადგილი იყო. გორავი  
ინაზღეულად აზიდულა, ის არც მცირე ფართობისა და თითქო განზ-  
რას დახრამული გვერდები პქონდა ოდესმე, შეიძლება თხრილიც.  
მაინც და მაინც ამ კორაჟს ყორლანთან საერთო არა აქვს რა. მაშინ  
არ ვფიქრობდი და ეხლა კი, ხუთი დღის შვერვის შედეგად, დარწმუ-  
ნებული ვარ, რომ ეს ტიპიური „გორა“ არის („ნატრეტარი“), სა-  
ზოგადოების ადგილსამყოფელი მისი განვითარების გარკვეულ სა-  
ფუძულზე (მაგრამ ამის შესახებ ქვემოთ...). რუსთავში გამოვიარეთ,  
მონამოვარი სამხარეთმცოდნეო მუზეუმში დავტოვეთ და თბილის-  
დავბრუნდით. რუსთავი და მისი არხი თან დათან ცოც-  
ხლ დება.

\* \* \*

გ ა ს ვ ლ ა მ ე ო რ ე. გადავწყვიტეთ ყარისის ველი (ჩენი ანხის  
სამოქმედო არე) ჩრდილო აღმოსაცლეთიზან დავშვეროთ, გარეგის-  
მოები და აქედან ველში შემავალი ხევები დავათვალიეროთ. სამ-  
კორი. ჩაუარეთ ძეგლს, კორონცოვის მიერ რუს გატანის შესახებ-  
რომ მოვიტხრობს (ამ წარწერაში ქართველ პატრიოტ ინკინერს-

ერეკლე მეფის მოხსენება არ დაუვიწყნია. „თამარი“, ერეკლე რონცოვი, ჩვენი ხანა... ასევე რუსთავის რუ: ორდატი, ვახტაგი დიდი მთავარი, ჩვენი ხანა...). დღეს სამგორი ცოტლდება. მარტინ და ლა სოციალისტური ქართული სოფელი ხდება. მუღანლო-ორმობა-რეთა შემოტევის კვალი, გერმანელები — უარიშის ნამოქმედარი. სოციალისტმა სხვარიგად ვანსაჭა: ბატონობა და ბატონები ვადა-ქარა, საქართველო აღადგინა და უკელანი ერთ ძმურ თვაზში შე-იყვანა.

სართიჭალაში არე-მარის მცოდნე პირი ვიპოვნეთ — ჭოხონელა-შე (პაპამისი აქ რაჭიდან მოსულა). ვკინდა ვიპოვოთ ის ადგილი, სა-დაც პროფესორი ნიოზ რა ა ნეკროპოლს თხრიდა. ამ ველში ნე-კროპოლი მეტად ნიშანდობლივი ფაქტი იქნებოდა და, ვინ ბუის, სამჯორის რუს მოქმედების მოწმობაც.

მეგზური მაგისტრი, ველში წაგვიძლა. სასაფლაო მეგულებაო, აქმდე არა ვხნავდითო, სართიჭალაში ფიქლები იქიდან მოგვქო-ნდაო.

სართიჭალიდან სამხრეთ-დასავლეთით ათოლდე კილომეტრში. არ-ხა ა შ ნ ი ს ხევის მიღამოებში მცირე (სასოფლო) ვკლესის ნანგრევი ჩანს. აქვე ყანაში კერამიკულ ნამსხერევებს ვპოულობთ. ჭოხონე-ლიძემ სასაფლაოს აღგილიც ვეიჩვენა. აქვე მოშორებით გაგები მო-ჩანს, ენახეთ, თითქოს ნათხარია სამ ადგილის. შეიძლება ეს იყოს პროფ. გ. ნიორბაძის მიერ დადგენილი ნეკროპოლი. უკელაფრიდან ცხადია: ჩვენ რაღაც ნასოფლარზე ვიმუოფებით...

არხაშენის წყაროსაცენ წავედით. ის აქვეა ორიოდე კილომეტრ-ში. დღეს წყარო მცირეა იმისათვის, რომ არხობა გასწიოს. ეს ხევი არხაშენი პირდაპირ რუსთავისაცენ მიდის. დღეს არხაშენის წყარო სართიჭალელებს ემსახურება. ამ ხევითო, გვეუბნება ჭოხონელიძე, ადგილად ჩავდიოდით რუსთავშით. დღეს კი ეს გაძნელებულია სამ-გორმშენის არხების გამოვო. მართლაც, სწორედ აქ გაიცლის ახალი არხის ერთ-ერთი ტრასა. სამგორმშენის აქ არხაშენის მიღამოში არ-ხისთვის მიწის თხრისას მრავლად ამოუყრია ქვაყუთები. ჩანს აქ მო-სახლეობა იყო ადრე საშუალსაუკუნეებში. კერამიკა თითქო ამის მოწმობს. სართიჭალაში არაეს ახსოეს, არც რაიმე დაკვირვება აქვთ, რომ ამ ადგილას ოდესმე სოფელი იყო. მაგრამ ის სამგორ-მშენის აღმოჩინა და ჩვენი ცოდნაც რუსთავის პრქეოლოგიში კი-დევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტით გამდიდრა.

აქვე ორი გორიადა. ერთი მათგანი, წყაროსაცენ წარზიდული, თითქო საცხოვრებელი ადგილი უნდა ყოფილიყო. ამს. გძელიშე-

ლმა ამ გორაზე რაღაც „ნატარგორულიც“ იმოვა. თუ ეს დათავსებული დეპოდა, მეტისმეტად საინტერესო ფაქტი გვექნებოდა: გორა უწყელესი ნამისახლევის ნაკალევით, ხოლო ნეკროპოლი აღმართდა... საუკუნეების ხანისა. საინტერესოა, რომ პროფ. გ. ნიორიშვილი გათხრილი ნეკროპოლი I II—IV საუკუნისა ჩანს. საერთოდ საყურადღებოა ჩვენი წელთალრიცხვის ეს პირველი ხუთი-ექვსი საუკუნე. ის ყოველი მხრით ძლიერი ჩანს და სწრაფი აღმავლობის გზით მავალი... (ოუმცა ჩვენი აჩეოლოგები მთლად ამ აზრისანი არ უნდა იყვნენ. შეიძლება, ცდებოდნენ. ფორმაციის ცვლისას სიმდიდრე-კულტურისა და მისი გამოვლინების სახომიც უნდა შეიცვალოს...).

ჭოხონელიძე „ნატახტარისაკენ“ წაგიძლვა. უნდა გამოვტყდე: მე ეფიქრობდი, რომ ეს „ნატახტარი“ ვიღაც მეფის ნასადგომევი იქნებოდა საშუალსაუკუნეებში, ვინ იცის, ბერქა ყავნის ნასაჯლომევიც კი... არც თუ დიდის ხალისით მივდიოდი. მთა-გორაკების შემოვლით, ხევით („მაყვლის ხევი“) თანდათან მაღალ მთებს შეუდევით. ერთ განმხოლობულ გორაზე ვედით. გორა თავშაკვეთილია და წანაკეთი საემაოდ ფართე გაეყისა პემნის: ოდინდელი სიცოცხლისა ამ „ნატახტარს“ ის აჩნა, რომ გარშემო, საფუძველზე დიდი თხრილის (უთუოდ ხელოვნური თხრილის) კვალი უვლის. გორა, რა თქმა უნდა, ხელოვნური არაა, მაგრამ ამ თხრილით განხლოვნურებულია. გორას კედლის რაიმე ნაშთი არ ატყვარა, ასე რომ ეს თხრილი მისი თითქოს ერთადერთი სიმაგრეა. შეიძლებოდა ადამიანს ეფიქრა, რომ აქ გორაზე დიდი ვიზმეს („მეფის“) საღვმი იყო, კარავი ედგა. ასეთი ფაქტი შეიძლება, რომ სხვა საამისო ნიშნები მოიპოვებოდეს. საამისო აქ კი არაფერია. სამაგიეროდ სხვა რაღაც ნიშნები კი შეიძინება. თიხის ჭურჭლის ნამსხერევები და ქეის იარაღები. ჩვენი აჩეოლოგების დაკვირვებით ეს ნიშნები საშუალსაუკუნეების ნაკალევია არაა, არმედ გაცილებით უფრო ადრე ხანისა ჩანს. თითქო შეიძლება კიფიქროთ, რომ ეს გორა ადამიანის (გვარის?) ნასადგომევია... ეს სახელი „ნატახტარი“, გვიან შეჩრეული თუა...

ჭოხონელიძემ გვაცნობა, რომ აქ ახლოს მის სხვა „ნატახტარიც“ ეგულება. მართლაც, ჩვენმა მეგზურმა ცოტა გვატარი სართიჭალის მიმართულებით და ამ პირველი ნატახტარიდან ორიოდე კილომეტრის მოშორებით ასეთივე გორაზე შეგვაყენა. ისევე ოვალური სიბრტყე, საფუძვლის გარშემო ისეთივე თხრილის ნაშთი, აქაც ქვის ჩაღაც იარაღები.... შეიძლება ერთ-ერთ ასეთ გორაზე მართლაც იდგა ტახტი („მეფის“ საჭდომი) და ამის ანალოგით სხვა ასეთ გორაების...

საც ნატახტარი უწოდეს? მავონდება ორავეის პირის სოფელზე „ნატახტარი... ორივე ნატახტარი ძეელი ნისაღომევი ჩანს, ხელაშნურული რად გამაგრებული გორები. ტახტი აქ, თუ ის ფანტაზიის წევაზომისა არა, ვეიანი ელემენტია. მაინც რა დროსია ეს გორაები? გათხრა უშევლის. სართვეალაში დაებრუნდით. სოფლიდან ჩრდილო-აღმოსავლეთით „უდაბნოსაენ“ შიმავალი გზის პირს ჭოხონელიძემ ყორილინი „აბრამის გორა“ გვიჩვენა. აქვე მეორე და მესამე ყორლანი გზის გაუჭრია.

ჭოხონელიძე შემდეგი გასვლისათვის შევიპირეთ და თბილისისაკენ წამოვედით, მაგრამ ლოჭინე, ჯეირნის ველით, რუსთავისაკენ გადაუწვევით. დაგვშილი თვალით ყორელანების მთელი გროვა შევინიშნეთ,—ისეთივენი, როგორიც ძის წინად ვნახეთ ვანორის ტბის პირას. ესენიც სხვადასხვა სიღიღისანი ჩანან, მაგრამ შეუდარებლად უფრო მცირენი, კიდევ სამგორის გიგანტები.

ესლა ჩვენ ეს ყორლანები აღარ გვაკვირვებს. დარწმუნებული ვართ, რომ ეს მოვლენა საზოგადოებრივი განვითარების გარკვეული საფეხურის მაჩვენებელი ზოგადი ხასიათის მოვლენაა და არა რომელიმე მოდგმის დამახასიათებელი რომ. საჭიროა, ოღონდ, შესწავლილ იქნას შინაარსის მიხედვით ეს ყორლანები, მათი ქრონოლოგია, მათი შემქმნელი საზოგადოების ხსიათი.

იმ სოფლის ნაკვალევს კვებდით, საცდელ სადგურში ქალბა რომ გვაცნობა. კერც ეხლა ვიპოვეთ. დაღლილებიც ვართ. ა ხ ტ ა გ ლ ა ზ ე გამოვლით თბილის დაებრუნდით.

ერთი გზობა კიდევ მოგვიწევს რუსთავის ჩრდილო-აღმოსავლეთით მთებსა და ხეობებში სიარული. ჭოხონელიძეს შეუთანხმდით და 4 ივლისს დილით სართვეალის მივედით. ჯანგირის ხევი გვაინტერესებს, ეს ხევი, ისე როგორც არხაშენი, ყარაია-რუსთავის კულტი შედის. ნატახტრებს ჩაუარეთ. ჭოხონელიძემ აქ ქვაკაცია დაგვასახელა, ადგილს ეწოდებაო. ასეთი სახელი თრიალეთშიაც და სხვავნაც გვხვდება. დასტურლამალში ქვაკაცია დასახელებულია, როგორც ადგილის მიზნის ნიშანი. ქვაკაცია მეტად საინტერესო ინსტიტუტის მატერიალური ნიშანი ჩანს, წინამორბედი ქაიჯვარა-ქვაჯვარისი და მონათესავე „ქელის“, „სვინაკტის“, თალრის, სინორის დასხვ.

იქვე ახლოს სამი ყორლანი შევიშნეთ. ადგილს „საგაფეებს“ უწოდებენ. შემდეგ ორიოდე კილომეტრში კვლავ ყორლანები, შორს სამხრეთით ხევი „ნაცვალწყალი“ (ყარაბულალი) — „კარგი წყარო“ ჭოხონელიძით. აქვე გორა თავშაკვეთილი. ამ წყაროს მიღამოებში

ნამოსახლევი მოსალოდნელია. მოშორებით მოჩანს კელიუარალის /  
ამ კელის მისავალში ჩევნი მეგზური „გოლგოთას“ კვინენებს და/—  
მხოლოდბული გორა. ნაყორი ქვები თითქო საგანგებოთ შოტარის გენერალი  
შეიძლება კელესია იყო — „გოლგოთა“? (ან ყორლანი?). აქევ ახ-  
ლოს ჩამორის ხევი „გრძელგორის ყელი“. ამ ხევით გზა მიღის ა ზა-  
მბ ურისაკენ (მალხაზოვე). ხევის გაღმა ყარაღუშის კელი იწ-  
ყება. ეს კელი დღეს უდაბნოს საბჭოთა მეურნეობისაა. ყორლანი  
აქაც მრავალია. ზოგი დიდი და მაღალია, ზოგი მცირეა და დაბალი,  
ზოგი დაშლის პირზეა, მრავალი აღბათ, დაშლილია და გამჭრალი.

ყარაღუში გავიარეთ და ჯანგირის ხევში შეფედით. დღეს ეს ხევი  
თითქმის მშრალია, ორ ადგილს მცირე წყარო გამოიდის. ხევში აქა-  
ც გამოქვებულები ყოფილია. ჩამონგრეულიან. ჯანგირის ხევი ორი ხე-  
ვისაგან შედგება. ერთ-ერთი ხევით გზა უდაბნოს საბჭოთა მეურნე-  
ობაში მიღის. იქამდის თორმეტი კილომეტრია. იქ კი საბჭოთა მეურ-  
ნეობის გერედით იწყება გარევის უდაბნოები. ასე რომ გარევის  
უდაბნოების კავშირი რუსთავ-ყარაიასთან უკველია. ამ უდაბნოე-  
ბიდან რუსთავ-ყარაია უფრო ახლოა და უფრო ადვილი მისადგომი,  
ვიდრე საგარეჭო-ივრისპირი. მაშ რატომაა, რომ ამ მონასტრებს მა-  
მულები თვალზე („საგარეჭოში“) აქვთ და რუსთავ-ყარაიაში კი არა?  
შეიძლება ჰქონდათ. ჭოხონელიდე ჯანგირის ერთ-ერთ ხევს დიფი-  
ზის ხევს უწოდებს. ეს გზა — ჯანგირის ხეობით უდაბნოსაკენ—  
უკველია, ძველი დროიდანვეა... უდაბნოს საბჭოთა მეურნეობაში  
წავედით. გზის პირს ხეობაში მოვლად გვხდება ყორლანები. გზა  
ადვილ სავალია. უდაბნოს საბჭოთა მეურნეობა, ისე ჩინს, ძველ ნა-  
მოსახლარზეა მოწყობილი. აქვე ახლოს მოზრდილი წყაროა. „დიფი-  
ზის წყაროს“ უწოდებენ (შეიძლება ეს წყარო ამ ერთ-ერთი ხევის  
გამოსავალშია, რომელიც ბოლოზე ჯანგირის ხევს ერთვის?).

ამრიგად, გარევის „უდაბნოები“ სრულიადაც ისე კელურ ადგი-  
ლის ამ ყოფილა გაშენებული. ეს არის მდიდარი სამონგრების ადგი-  
ლი. ნოკიერი და კარგად დასახლებული რუსთავ-ყარაიის უშუალო  
დასამზარზე...

აზამბურზე (მალხაზოვე) გამოვლით სართიჭალისაკენ წამოვე-  
დით. გზაში „პაპალის კელზე“ ისევ ყორლანი შევნიშნეთ. როგორც  
ჩინს, ეს კორლანები ამ უდაბნოს ისტორიას კაპ-  
ცოცხლებენ. გასავებიცაა: მეხორბლეობა-მესაქონლეობისა-  
თვის ამ ხელსაყრელ რაიონში აღამიანს უძველესი დროიდანვე ბა-  
ნა უნდა დაედო...

შედარებით აღრე იყო, სართიჭვალის რომ მივატანეთ დოკუმენტების გვაქვს. გადაწყვიტეთ აქცე პატარძეულს მისელა, თუმცა პირთვის რი კავშირი ამას არ აქვს ჩვენს მოცანასთან.

(პატარ მე ულში ბილანიანთ კოშკი ენახეთ, ეს სულ სხვა სამყაროა. ერეკლე და თეიმურაზი, ლევიანობა, ბრძოლა საქართველოს გადასარჩევნად... სამსართულიანი კარგად შენახული კოშკი... კოშკის სარქმლიდან სოფლის აღმოსავლეთით, განაპირის, გორა შევნიშნეთ. დაგვეშილები ვაჩოთ. გორას გარშემო მოსამჭალი ქერი შემოუვლის წრიულად. „მათარიყანთ გორა“ არისო გვითხრეს. სხევებმა კი „ბეკიტაანთ გორა“ გვითხრეს. გორაზე იველით. წრიულად ყანა იმ თხრილში დაუთესით, რომელიც ამ გორის საფუძველს ვარს უვლიდა. „წავვეთილი“ თავი ოვალური ფორმის საქმიან ფართობს წარმოადგენს. უკანასკნელ დრომდე ამ გორას ერტყაონ დიდრონი ხეები. ეხლახან გაიყაფათ. გორაზე დლეობა — ლრეობა აქაურების ჩვეულება იყოვთ. აქ თურმე ბევრს ჩასმე პოულობენ: თიხის ნატეხებს, ქვის რაღაც იარაღებს. „ნატახტარი“ ჩანს. ჩემი და სოსო გძელიშვილის კამათი. სოსო ფიქტობს, რომ ეს „ნაცარაგორას“, ე. ი. საკულტო ადგილი, ჩემი აზრით კი ეს „ნატახტარია“, ე. ი. ადამიანის უძეველესი ნისაღვმევი, შემდეგ, შეიძლება, „ნაცარაგორადაც“, ე. ი. სპეციალურ საკულტო აღვილად ქცეული... ერთი აშენია: ეს არაა ყორლანი, ე. ი. საფლავი თუ სასაფლაო. მაგრამ ის არც „სალოცავი“ ადგილია მხოლოდ, მაგრამ უპირველს ყოვლისა საჭიროა ამ „ნატახტარების“ არქეოლოგიური შესწავლა: ამ თხრილის განისა და სილრმის დადგენა, ვკობის ზედაპირის ფრთხილად აღება... (იხ. სურ. 9).


სწორედ აქ, პატარძეულში, მათარიყანთ გორაზე მოხდა აქამდე მოპოვებულ ამ რიგის ფაქტთა პირველი განხოგადება (ჩემს ამ დღიურს კი ხუთმეტი დღის გასულს ვწერ): იშვა თეორიული ხარისხის მოსახტება, რომ ეს ნატახტარ-გორაები საზოგადოების პირველი საცხოვრისებია (რა თქმა უნდა, „პირველსაცხოვრისი“ აქ პირობით, შედარებითი გამოთქმაა).)

ეს, ჩვენი არქეოლოგია. საქართველოს ისტორიულ გეოგრაფიის არ ვიცნობთ (და არც ვცნობთ), საქართველოს ისტორიულ-არქეოლოგიური რუეა არა გვაქვს, არ ვწყალობთ ისტორიას, ენას, ფოლკლორს, ეთნოგრაფიას; მოკლედ, ყალიბდება საქართველოს არქეოლოგია ქართველობისაგან გამოჯნული. სწორედ ამის გამოხატულება, რომ დღეს ჩვენში უყველაზე დიდი წარმატებით არქეოლოგის ის, ვისაც წარმოდგენაც კი ქართველობისაზე არ აქვს და მისი ცოდნის საჭიროებას არც კი სცნობს.

დღემდე ჩვენი ოქეოლოგია უპირატესად სასაფლაო-ტაბართული ნის ოქეოლოგიად რჩებოდა. ვარ, დაბლაგომი (ნაციზარი), ვაჭხარი, ბაგინეთი და სხვა თოთქო საკმაო ხაბუთი იყო იმისათვის რომელისაც არქეოლოგიას სამაროვნის გარეთაც ეძებნა საზოგადოებრივი ცისტები რების ნაკვალევი. მშრით თეთრამიწა, ოდიში, ურთა, დევისხევრელი, საგვარევილე, მღვიმევი და სხვა კიდევ უფრო მეტყველნი არიან.

საკვირველია: ბრინჯაომდე ნასაცხოვრისებს ვიკვლევთ. ხოლო ბრინჯაოს დროდან ასეთ ნასაცხოვრისებს არც კი ვაჭებთ, მათ შესახებ ვივიწყებთ და სამაროვან-სასაფლაოებს ვიკვლევთ. თოთქო ბრინჯაოს ხანის ნასაცხოვრისები არ არსებობდნენ ან ნაკლებ საინტერესონი იყვნენ, ვიდრე იმავე ხანის სამაროვანი, და ასე მოგვდის იმიტომ, რომ არც პალეოლით-ნეოლითის ხანის ძეგლები შეგვისწავლია მართებული მეთოდით, ეს რომ ასე არ ყოფილიყო, განა ბრინჯაოს ტრიას საცხოვრისები აქამდე აღმოჩნილი არ გვექნებოდა? თრიალეთის ყორდანეთი აღმოჩნდა. ის დიდის გულისხმიერებით შეისწავლება, მრავალი დიდმნიშვნელოვანი ფაქტი ელინდება და რიგ შემთხვევაში მართებულად შექდება. დიდის ხმატრით ეცნობა შეცნიერულ სამყაროს ამ თააღ აღმოჩნდათ შესახებ, ხოლო ამ აღმოჩნდათა ვეტორი ჭქამდე არც კი ცდილა ეძებნა და მოეპოვებინა ამ ყორდანეთის შემჩნევლთა ნასაცხოვრისები.

საქმე იქამდე იყო მისული, რომ მცხეთის, სამთავროს, ამბაზის ხევის, წიწამურის და სხვა სამაროვნები დიდის გულისყურით შეისწავლებოდა, ხოლო იმის შესახებ კი დიდხანს საკითხსაც არავინ სვამდა, მაინცდამაინც არავინ ეძებდა, თუ სად ცხოვრობდნენ ეს თეული ათასობით საფლავის შევიდრნი, სანამ დაიხოცებოდნენ. 16 წელია ჩატეთაში ოქეოლოგიური გათხრები დაიწყო და დღესაც კი მცხეთის ისტორიული გოგრაფია არა გვაქვს და წიწამურის აღმოჩნდა ამ გათხრების დაწყებიდან თხუთმეტი წლის გასულს გახდა მხოლოდ შესაძლებელი, როცა, პოლოს და ბოლოს, საჭიროდ იქნა ალათებული მცხეთის ისტორიულ-გოგრაფიული დაზვერვის განახლება. რაღა საკვირველია, რომ კვლევის ასეთი მეთოდით ჩვენი ოქეოლოგია ბრინჯაოს ხანის საზოგადოების ნასაღვომევს ეკრ აღმოაჩენდა. რაღა საკვირველია, რომ კვლევის ასეთი მეთოდით ჩვენი ოქეოლოგია ბრინჯაოს ხანის საზოგადოების ნასაღვომევს ეკრ აღმოაჩენდა. 1945—1948 წლებში ამხ. გობეგიშვილმა ცხინვალის ახლოს „ნაცარგორა“ გათხარა, მეტად საინტერესო მასალა გამოვლინა. მან ისიც დაადგინა, რომ ეს კორა თავდაპირველად აღამიანის საცხოვრის უნდა ყოფილიყო. ბევრი რამ სხვა მართებულიც შენიშვნა მან,





סארכוס  
בנין קדום

טג' 10

მაგრამ, სამწუხაროდ, ფიქრი გულისყური სხვა მიმართულებით ვა-  
ნავითარა და ის კი გამოჩია, რომ ცდილიყო ეწვენებინა, თუ საკულტურო  
შევიდა ის აღამიანი (საზოგადოება), რომელიც ამ კორაზე მუშავე იყო  
სამართლიანი დაკვირვებით, ბინადრობდა, ან რატომ ბინადრობდა  
ამ ბირცებე და როგორ ბინადრობდა. ამს. გობეჯიშვილს ის თხრი-  
ლიც კი არ შეუსწავლია (ან, რაც უარესია, საჭიროდ არ დაუნახავს,  
რომ ამის შესახებ მკითხველს აცნობოს), რომელიც, როგორც სწო-  
რად შენიშვნას აეტორი, თითქო თავდასაცავი ნაგებობა იყო იმ კო-  
რაზე მობინადრე საზოგადოებისა. შემდეგ ისე ჩანს ამს. გობეჯიშვი-  
ლის აზრთა მსვლელობით (თუმცა ის ამაების შესახებ გარკვევით  
არას ამბობს), რომ აღამიანშა (II ფენიდანვე) ეს ადგილი დატოვა.  
როდის და რატომ დატოვა?

ამს. გობეჯიშვილის დაკვირვებით II ფენისა (ე. ი. შუაბრინჭიათ-  
სანისა) და III ფენის (ე. ი. გეიანბრინჭიათ ხანის) ნაცარგორა მხო-  
ლოდ საკულტო ადგილია. ვითომ მთლაც ასეა? შემდგომი ჩაკვირ-  
ვება უნდა.

და თუ ასეა, რატომ იქცა და რა ნიადაგზე აღამიანის ნასადგო-  
მეები მის სამღლოცველო ადგილად? სად ცხოვრობდნენ ეს მეორე და  
მესამე ფენის საზოგადოებანი, სად არის მათი ნამოსახლევი ან ნე-  
კროპოლი? სამწუხაროდ, ასეთ საყითხებს ჩვენი აეტორის გულისყუ-  
რი არ მიუჰყირია". განა ცოტა ამის მეტყველა ის ფაქტი, რომ  
ასეთი ნაცარგორაები ამს. გობეჯიშვილს მთელ რიგ სოფლებში შეუ-  
ნიშვნას (დგანს, აენევს, არქენტი, მსხლებს, ტბეთს, ერედეს, ორტევს).  
და ჩვენის მხრით შეგვეძლო მაგვემატებინა არაერთი ათეული ასე-  
თი პუნქტი. რას ნიშნას ის გარემოება, რომ ეს ნაცარგორაები ამ  
უძველეს სოფლებშივეა? განა უსაბუთო იქნება მეცნიერეული ვარ-  
უდი, რომ ეს „გორელი“ აღამიანი გორის, როგორც საცხოვრებელ  
ადგილს, გაეცალა, იქვე მის ძირის დასახლდა მაგრამ გორი კი არ  
დაიყიშა, არამედ „საკულტო ადგილად“ შეინარჩუნა. განა რით შე-  
იძლება უფრო რეალურად იასხნას ის გარემოება, რომ ეს საკულ-  
ტო ადგილი გორაქზეა, თუ არა იმით, რომ აღამიანი გარკვეულ დროს  
(„თავდაპირეულად“) იქვე ცხოვრობდა, აქვე პქონდა მას სამღლო-  
ცელოცა და სასაფლაოც... თუ არა, რით უნდა აგვეხსნა ჩვენ აღამია-

\* ცქირი შვილი და მუსხელი შვილი კი იღნიშნავთ: „ნაცარგო-  
რის იღმოსავლეთ მხარეს აერეს გორის II და III ფენების შესატყვევის დროს  
საექიმოდ დიდი ნასახლარი“. ის. მათი „შიდა ქართლის 1955 წლის დაცვერვის  
ექსპედიციის შედეგები“.

ნის საცხოვრისის, სალოცავის და სასაფლაოს დაშორიშობაზე/—/ ნა პირელუოფილი ადამიანისათვის სამიერ მოშენტი ერთ როგორი მოლიანს ან წარმოადგენდა? „კულტი“ მისთვის ისეთი ფიციალური დღის საქმიანობა იყო. როგორც საკედის თუ სამოსელის მომოვება ზოლო სიკედილი რომ იყვევ ცხოვრება იყო. ოღონდ „გარდაცვალუ-ბული“ ცხოვრება, ამას ეს ქართული ტერმინიც კარგად მოწმობს. და რატომ, რა მიზეზით უნდა მომხდარიყო, რომ ეს ორგანიული მოლიანი სამაც განაწილებულიყო, რომ ადამიანს ერთგან ცხოვრა, მეორეგან ელოუნა, ხოლო მესამეგან „გარდაცვალუბულს“ ცხოვ-რება განვერძო? რა თქმა უნდა, ეს საკითხი შეტად მინშვნელოვანია და სპეციალური შესწავლის ღირსი. აქ „დღიურში“ მხოლოდ ზოგადი მოსახრება შეიძლება გამოთქმული იყოს. ეს წესი — საცხოვ-რისის, სალოცავის და სამართლის ურთიერთისაგან გამოყოფა დაშორიშობისა თანდათან და „გვიან“ შემოვიდა და შემოვიდა ეს წესი არა იმის ნიადაგზე, რომ ადამიანს ასეთი შეგნება შეუმც-შევდა, არამედ პირუკუ: წესი შემოვიდა „ბუნებრივი“ მატერია-ლური ცხოვრების პირობების განვითარების შესაბამისად, ხოლო ამას თანსდევდა, მის ნიადაგზე იქმნებოდა სათანადო „შეგნებაც“. გამარტივებული სახით პროცესი შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: პირელუოფილი ადამიანი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითა-რების რაღაც საფეხურზე ასეთ გორაებზე ცხოვრობდა, ეს გორა იყო მისი თვევასაცავი დღისათვის, რომელსაც ის ხელოვნურადაც ამაგ-რებდა (გვიშემო თხრილით თუ ყელის გადაჭრით), აქვე „ლოცუ-ლობდა“ ის და აქვე საფლავებოდა...

ადამიანმა გარკვეულ დროს დატოვა ეს თვეისი საცხოვრისი. რო-დის მოხდა ეს დიდი მოვლენა და რამ გამოიწვია ს ა ზ თ გ ა დ ი ე ბ-რ ი ვ ი გ ა ნ ე ი თ ა რ ე ბ ი ს . ე ს დ ი დ ი ტ ე ხ ი ლ ი . — გამოსარ-ავევა (და დარწმუნებული ვართ, ეს საკითხი გადაწყდება მას შემ-დეგ, რაც ეს გორაები მეცნიერულად აღრიცხული იქნება და ათა-ერთი მათგანი ისტორიულ-არქეოლოგიურად სწორედ ამ თვალსაზ-რისით გთხოვთ — შესწავლილი იქნება), მაგრამ დატოვა არა ერთ-ბაშად და ნებისმიერად, არამედ თანდათან, საზოგადოებრივი ცხოვ-რების განვითარების შესაბამისად, ზოგან უფრო აღრე ზოგან უფრო გვიან, მაგრამ ასესად ისე არ დაუტოვებია, — თუ კატასტროფა არა, რომ მისი ხსოვნა დავიწყებოდა. ამიერიდან საცხოვრისად ადამიან-ში გორის ძირი, ან მისი შორიახლო ადგილი შეარჩია, გორა კი სპე-ციალური დანიშნულების საზოგადო ადგილად დარჩია: სალოცავის ადგილად, უკეთ, საკურთხეველ-საშესვერპლოდ და ამ ცერემონიის-

თან დაკავშირებულ რიტუალის აღვილად (როკეა). სხვაგან კიდევ  
სამისო საზოგადოებრივსა და მუნებრივ ხელსაყრელ პირებებშიც ასე  
ასეთი გორჩაები ციხე-ქალაქებად (ციხე-გალავნებად) იქცნენ ჟულიანურა  
ლა, გორჩისძირას, ან მისგან შორისას განსახლებულ მცხოვრებთა  
თავდასაცავ აღვილებად — დ ე დ ო ც ი ხ ე დ (რა ბევრის მეტყვე-  
ლია აქ ეს „დედაციხე“!).

შესანიშნავია ვახუშტის დაკავშირვება იმის შესახებ, თუ რატომ  
არის, რომ ეკლესიები ჩეგნში ბორცვებზე აშენებული. მახვილ-  
ნიჭიერი ვახუშტი ხელავდა, რომ ამ გორჩებზე ხალხი „ჯვარობდა“,  
რომ ეს ხატობა მცირე რამეს შეიცივდა ქრისტიანულს და მცენიერი  
სრულიად მართებულად დაასკვნიდა, რომ ქრისტიანობამდე ამ აღვი-  
ლებში „წარმართოული“ მღვდელმსახურება უნდა ყოფილიყო, რომ  
ქრისტიანობის მსახურნი შეეცადნენ „მოეხსნათ“ ეს ძველი წესი  
იმით, რომ ამ აღვილებში ეკლესიები ააგეს და „წარმართოული“  
ღვთაება ქრისტიანული კულტით შეცვალეს, ასე წარმოდგა ჩეგნში  
წესი ეკლესიების აგებისა ბორცვებზეო. ეს სავსებით სწორი დაკავში-  
ვებაა, ოღონდ ვახუშტის არ ჩამოუგდია იმის შესახებ სიტყვა (და  
ეს მის ამოცანაში არც შედიოდა), თუ რით აისხნება, რომ „წარმარ-  
თოული“ როკეა-ღრეობა ამ ბორცვებზე იმართებოდა ხოლმე. ზოგად  
ხაზებში ეხლა ეს აბსინლად ვამოიყურება, აუქსენელი ისა რჩება, თუ  
კონკრეტულად როდის, რატომ და როგორ მოხდა, რომ საზოგადო-  
ებამ გორა დაროვა, როგორც საცხოვრისი, ან კიდევ, საზოგადოება  
როდის ავიდა ამ გორჩებე. ყველაფერს ამას, როგორც შემოთაც შევ-  
იშნეთ, ჩეგნი არქეოლოგია გაარკვევს. სამწუხაოოდ, ამ თვალსაზრი-  
სით გორჩების შესწავლის საკითხი ჩეგნში დღემდის არც კი და-  
შულა...

მერმე და რა მეტყველი თქმას! შეიღბორცვიანი რომი, ხუთმორ-  
ცვიანი ფილიპოსოლი, სამხორცვიანი მცხეთა, „აქროპოლისება“,  
„ქრისტულები“, „დედაციხეები“, თეფე-პისარები, ციხურები, ნაცი-  
ზეარები დიხაგუძებაები, გორჩები და გორიზორები, ნატახტრები და  
ბლურები და სხვადასხვა... რა თქმა უნდა, ყველა ესენი ერთი დროი-  
სანი არ არიან აბსოლუტური ქრონოლოგით, მაგრამ სოციალურად  
საზოგადოებრივი განვითარების თვალსაზრისით აქ რომ ერთ რაღაც  
(მთავარ მაგისტრალურ ხაზში) მოვლენასთან გვაქვს საქმე, — უცი-  
ლობლად მეჩევნება.

